

სახელმძღვანელო პრინციპები  
სამხედრო მოსამსახურეთა ადამიანის  
უფლებათა და ფუნდამენტურ  
თავისუფლებათა შესახებ

გამოიცა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საქართველოს მისიის ფინანსური მხარდაჭერით

თარგმნა და გამოსცა ასოციაციამ "სამართალი და თავისუფლება"

კრილოვის ქ. 7,

თბილისი 0102, საქართველო

[www.ajl.ge](http://www.ajl.ge)

© OSCE/ODIHR 2008

უფლებები დაცულია. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაციის გამოყენება შეიძლება თავისუფლად, ასევე, შესაძლებელია მისი გადამრავლება: საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება OSCE/ODIHR, როგორც პირველწყარო.

ISBN 978-9941-0-0955-6

დაიბეჭდა შ.პ.ს. "სეზანში"

**Handbook on Human Rights  
and Fundamental Freedoms  
of Armed Forces Personnel**



## სამადლობლო სიტყვა

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორები არიან პროფესორი იან ლი დარჰამის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრიდან (დიდი ბრიტანეთი) და დოქტორი პანს ბორნი ენევის შვიარდელული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრიდან (შვეიცარია). მათ დახმარებას უწევდნენ უკრაინის სესილია ლაზარინი (DCAF) და ბატონი იან კლემენსი (დარჰამის უნივერსიტეტი).

ODIHR და DCAF დიდ მადლობას უცხადებენ გერმანიისა და რუმინეთის მთავრობებს მრგვალი მაგიდის ღონისძიებების მასპინძლობისათვის სახელად "მოქალაქე სამხედრო ფორმში: ადამიანის უფლებების ინსპექტორატის შეიარაღებულ ძალებში" და "სამხედრო კავშირები და ასოციაციები". ისინი ასევე მადლობას უძღვნიან ექსპერტთა კომისიას, რომელმაც წინამდებარე სახელმძღვანელოს ადრეული ვარიანტი შეაფასეს: პოლკოვნიკი ბრიტ ბრესტრაპი, ნორვეგიის თავდაცვის ეროვნული კოლეჯის სარდლის მოადგილე; დოქტორ ნატალია დანილოვა, მკვლევარი, მართვის კვლევის ცენტრი, პოლიტიკის დეპარტამენტი, ბრისტოლის უნივერსიტეტი; ალისონ ჯილი, Human Rights Watch-ის მოსკოვის ბიუროს დირექტორი; მანუელ ჯაკობი, ევროპის სამხედრო ასოციაციისა და ორგანიზაციის პრეზიდენტი; პროფესორი მაიკლ ნოუანი, სამართლის პროფესორი, ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი, ვაშინგტონი, აშშ-ს საჰაერო ძალების ყოფილი გენერალური პროკურორი; პაულინ მარინან ქუინი, ირლანდიის თავდაცვის ძალების ომბუდსმენი; კაპიტანი კატია როდერი, გერმანიის ბუნდესვერის ასოციაციის თანაბარ უფლებათა მრჩეველი; პროფესორი პიტერ როუი, სამართლის პროფესორი, ლანკასტერის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, დიდი ბრიტანეთი; რუთ სეიფერტი, რეზენბურგის გამოცენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, გერმანია; ირაკლი სესიაშვილი, ასოციაციის "სამართალი და თავისუფლება" დირექტორი, ომბუდსმენის ყოფილი მოადგილე სამხედრო საკითხებში, საქართველო; ასევე, ბატონ უილემ ვან ეკელენს, ნიდერლანდების თავდაცვის ყოფილი მინისტრი; ბატონ ჯოს უეერთს, ნიდერლანდების ეტერანთა ინსტიტუტის კვლევითი განყოფილების უფროსი; დავით ნოუსუროთსი, მუგან ზასტიკია და გენერალ-მაიორს გაი დე პაინინ დე ბრიეს (DCAF-დან) მათი სასარგებლო კომენტარისათვის სახელმძღვანელოს მომზადების ადრეულ ეტაპზე.

ODIHR და DCAF დიდ მადლობას უცხადებენ ავსტრალიას, გერმანიას, ფინეთსა და ნიდერლანდების ფინანსური დახმარებისათვის.

ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება," როგორც ამ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემული, დიდ მადლობას უხდის მის ავტორებსა და ზემოქაშოთელილ ყველა ექსპერტსა და ორგანიზაციას განუვლი სამუშაოებისათვის, ასევე, განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს იმის გამო, რომ ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემის უფლება მოგვეცა, რაშიც თავისი ფინანსური წვლილი შეიტანა ეუთო-ს მისიამ საქართველოში.



# შინაარსი

<b>შემოკლებები და აკრონიმები</b>	<b>9</b>
<b>წინასიტყვაობა</b>	<b>11</b>
<b>ნაწილი I</b>	<b>13</b>
თავი 1 როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე სახელმძღვანელო	14
თავი 2 ადამიანის უფლებები შეიარაღებულ ძალებში: მიდგომები და მნიშვნელობა	17
თავი 3 შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა	22
<b>ნაწილი II</b>	<b>25</b>
თავი 4 ეუთო-ს ვალდებულებები	26
თავი 5 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	31
თავი 6 ზოგადი საკონსტიტუციო ჩარჩო	42
თავი 7 ეროვნული/შიდა კანონმდებლობა	47
<b>ნაწილი III</b>	<b>55</b>
თავი 8 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები	56
თავი 9 სამხედრო კავშირები და ასოციაციები	65
თავი 10 კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურში განუეცასა და სამსახურზე	74
თავი 11 რელიგია შეიარაღებულ ძალებში	87
<b>ნაწილი IV</b>	<b>99</b>
თავი 12 ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობა შეიარაღებულ ძალებში	100
თავი 13 ქალები შეიარაღებულ ძალებში	113
თავი 14 ჰომოსექსუალები და ლესბოსელები შეიარაღებულ ძალებში	129
<b>ნაწილი V</b>	<b>143</b>
თავი 15 შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული ბავშვები	144
თავი 16 შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პირთა ცუდი მოპყრობისგან დაცვა	161
თავი 17 სამუშაო პირობები	173
თავი 18 ვეტერანები	188
<b>ნაწილი VI</b>	<b>203</b>
თავი 19 ადამიანის უფლებათა სწავლება	204
თავი 20 სამხედრო მეთაურთა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა	209
თავი 21 დისციპლინა და სამხედრო სამართალი	219
თავი 22 ომბუდსმენი	230
<b>დანართი 1. ეუთო-ს ვალდებულებები</b>	<b>245</b>
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>249</b>
<b>გამოყენებული ინტერნეტ რესურსები</b>	<b>251</b>





## შემოკლებები და აკრონიმები

- BVertGe** — გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო
- CAP** — სამოქალაქო საპაერო პატრული (აშშ)
- CRC** — ბავშვთა უფლებების კონვენცია
- CEDAW** — კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- CF** — კანადის ძალები
- CSFM** - საფრანგეთის უზენაესი სამხედრო საბჭო
- DACOWITS** — სამხედრო სამსახურში მომსახურე ქალთა თავდაცვის დეპარტამენტის სათაბირო/საკონსულტაციო კომიტეტი
- DCAF** — შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ფენევის ცენტრი
- DoD** — თავდაცვის დეპარტამენტი (აშშ)
- EEC** — ევროპის ეკონომიკური კომიტეტი
- ESC** — ევროპის სოციალური ქარტია
- EU** — ევრო გაერთიანება
- EUROMIL** — სამხედრო ასოციაციათა ევროპის ორგანიზაცია
- FBI** — გამოძიების ფედერალური ბიურო (აშშ)
- HC** — თემთა პალატის დოკუმენტაცია (გაერთიანებული სამეფო)
- HPAT** — დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების პომოსექსუალთა პოლიტიკის შეფასების გუნდი
- ICCPR** — საერთაშორისო შეთანხმება სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ
- ICERD** — საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- ICESCR** — საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ
- IGK** — ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების გენერალური ინსპექტორი
- ILO** — შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
- IOM** — მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- KMFRC** — კინგსტონის სამხედრო ოჯახის რესურს ცენტრი (კანადა)
- LUVA** - პოლანდიის საპაერო ძალების მოხალისე ქალთა ჯგუფი/ძალები
- MARVA** - პოლანდიის სამეფო საზღვაო ძალების მოხალისე ქალთა ჯგუფი/ძალები
- MILVA** - პოლანდიის ჯარის მოხალისე ქალთა ჯგუფი/ძალები
- NATO** — ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
- NCO** — სერჟანტი
- NGO** — არასამთავრობო ორგანიზაცია
- ODIHR** — ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი
- OSCE** — ეუთო
- PRISMA** — ხელახალი დასახლებისა და გადამზადების პროექტი (სერბეთი)
- PTSD** — ტრავმის შემდგომი სტრესის მოშლილობა
- QC** — დედოფლის საბჭო
- SAMO** — შვედეთის სამხედრო ოფიცერთა ასოციაცია
- SPARS** — აშშ-ის სანაპირო დაცვის ქალთა რეზერვი
- UDHR** — ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- UN** — გაერო
- UNDP** — გაეროს განვითარების პროგრამა
- UNICEF** — გაერო-ს ბავშვთა ფონდი
- VA** — ვეტერათა საქმეების აშშ-ის დეპარტამენტი
- WAC** — ქალთა საჯარისო კორპუსი (აშშ)
- WAVES** — მოხალისე ქალები გადაუდებელ სიტუაციებში (აშშ)



# წინასიტყვაობა

შვიარალბული ძალები დემოკრატიული სახელმწიფოსა და საზოგადოების განუყოფელ ნაწილად წარმოადგენენ. ასრულებენ რა თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების ფუნქციებს, ისინი გადაამწყვეტ როლს თამაშობენ უსაფრთხო ვარემოს შექმნაში, რაც საშუალებებს გვაძლევს ვისარგებლოთ აუცილებელი უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც გვეუფლებინებს, როგორც ადამიანებს. როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, შვიარალბული ძალების პერსონალს საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ევალება პატივი სცეს ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო კუმინტარულ სამართალს. თუმცა, შვიარალბული ძალები საკუთარ უფლებებს მხოლოდ მაშინ გამოიყენებენ, როდესაც მოხდება ამ უფლებების გარანტირება მათსავე ინსტიტუტებში, როგორც ყაზარმებში, ისე სამხედრო ოპერაციებისას.

მრავალ ქვეყანას მოუწია საკუთარი სამხედრო სტრუქტურების ახლებურად ჩამოყალიბება იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რაც თანამედროვე სამხედრო მისიებს ახასიათებთ. ეუთო-ს წევრმა მრავალმა ქვეყანამ სამხედრო ძალები სამხედრო სამსახურში საეალდებულო განვლვის სისტემიდან სრულიად გადაიყვანა მოხალისეობაზე დაფუძნებულ პროფესიული ძალების სისტემაზე. ამან თავის მხრივ გამოიწვია სამხედროთა როლისა და ამოცანების შეცვლა. მრავალი ქვეყანა თარსულია საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში და პუმინიტარულ მისიებში. ამასთანავე, წერი ქვეყნები ათვითცნობიერებენ საკუთარ სამხედრო ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის მნიშვნელობას და, შესაბამისად, მიმართავენ ზომებს, რათა ისინი მოარგონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მოთხოვნათა ფარგლებში.

ეს ცვლილებები ასახევენ იმას, რომ შვიარალბული ძალების პერსონალი, როგორც "მოქალაქეები სამხედრო ფორმაში", მიუხედავად იმისა, არიან ისინი განეულები სამხედრო საეალდებულო სამსახურში თუ სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში ირიცხებიან, იმავე ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობენ, როგორითაც სხვა მოქალაქეები. ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების, რომლებსაც ეუთო-ს წერი ქვეყნები აღიარებენ, ძირითადი მიმართულება არის ის, რომ ყველა ადამიანს, მიუხედავად საზოგადოებაში მისი პროფესიული მდგომარეობისა თუ პოზიციისა, აქვს განუყოფელი უფლებები და თავისუფლებები.

ODIHR-DCAF-ის პროექტის ფარგლებში წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადება, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა ეუთო-ს ქვეყნის კოდექსმა უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც წევრმა ქვეყნებმა 1994 წელს მიიღეს, აეალდებულებს ქვეყნებს "თავიანთ კანონებსა და სხვა დოკუმენტაციამ ასახონ შვიარალბული ძალების პერსონალის უფლებები და მოვალეობები" და "უზრუნველყონ სამხედრო, ნახევრად სამხედრო და უსაფრთხოების ძალების პერსონალის მიერ საკუთარი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენება." იგი ასევე მოითხოვს წერი ქვეყნები სცან "უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები, რათა დაცულ იქნეს მათი ყველა ძალების პერსონალის უფლებები".

ეუთო-ს, როგორც მსოფლიოს ყველაზე დიდი რეგიონალური უსაფრთხოების ორგანიზაციის, მეუფლია შვიარალბული ძალების მოსახსარებების ადამიანის უფლებების საკითხის განხილვა და მოგვარება. უსაფრთხოებისადმი ჩვენი ყოვლისმომცველი მიდგომიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელი წინაპირობაა რეგიონალური სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის.

DCAF-ს გააჩნია კვლევის, ანალიზის, რჩების მიცემისა და ოპერატიული მხარდაჭერის დიდი გამოცდილება უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობის კუთხით. იგი აქტიურად მონაწილეობს მთელს მსოფლიოში მთავრობებისა და პარლამენტებისათვის, გაერო-სათვის, ეუთო-სათვის, ევრო კავშირისათვის, ევრო საბჭოსათვის, ნატოსათვის, და დასავლეთ აფრიკული სახელმწიფოების ეკონომიკური საზოგადოებისათვის ჩრეყების მიხედვითა და საგანმანათლებლო ხასიათის კურსების უზრუნველყოფაში.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს კანონმდებლობის, პოლიტიკებისა და მექანიზმების მომხილვას შვიარალბული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვისა და მათ აღსრულებასთან დაკავშირებით. მასში ფიგურირებს ის აზრი, რომ ერთი მოდელი ვერ მოერგება ყოველ ცალკეულ ქვეყანას. შესაბამისად, მოცემულია ეუთო-ს მთელი რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა წარმატებული მაგალითები. იგი

ასევე შეიცავს რეკომენდაციებს წვერი ქვეყნებისათვის იმ ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ მოხდეს პოლიტიკებისა და პრაქტიკის თანხედრად ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ეუთო-ს ადამიანის განზომილების ვალდებულებებთან.

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიზნულია ყველა იმ ადამიანისათვის, რომელსაც ევალება შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებათა დაცვა, ხელშეწყობა და ძალაში გატარება. ესენი არიან პარლამენტარები, სამთავრობო პირები, მოსამართლეები, პოლიტიკის შემქმნელები, სამხედრო პერსონალი, პროფესიული სამხედრო ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებულ ქვეყანას მიიღოს ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამხედრო მოსამსახურებმა, როგორც სრულუფლებიანმა მოქალაქეებმა, ისარგებლონ ყველა უფლებით.

ელჩი კრისტინა სტროპალი  
დირექტორი

ელჩი თეოდორ პ. იუნკერი  
დირექტორი

ODIHR, ვარშავა

DCAF, ჟენევა

# ნაწილი I

# როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე სახელმძღვანელო

წინამდებარე სახელმძღვანელო დაყოფილია 6 ნაწილად. თითოეული ნაწილი შედგება რამდენიმე თავისაგან. სახელმძღვანელოს გამოყენება შეიძლება მრავალმხრივ, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ინფორმაციის მიღება სურს მკითხველს. წარმოდგენილი სახელმძღვანელო იძლევა შესაძლებლობას სრული წარმოდგენა შეგვიქმნას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების შესახებ, მათი უზრუნველყოფის ჩათვლით. თუმცა მკითხველმა შესაძლოა სახელმძღვანელოს მხოლოდ იმ თავებზე და ნაწილებზე მიაქციოს ყურადღება, რომლებიც მისი კერძო ინტერესის სფეროს წარმოადგენს. იმ მკითხველს, რომელიც დაინტერესებულია პოლიტიკაზე ორიენტირებული პრაქტიკითა და რეკომენდაციებით, ეურჩევათ დაკვირვებით ნაიკითხოს სახელმძღვანელოში მოცემული შესაბამისი სექციები - საუკეთესო პრაქტიკა, და თითოეულ თავში განთავსებული რეკომენდაციები.

სახელმძღვანელოში მოცემულ სექციებში მკითხველი ასევე გაეცნობა თემატიკის მიხედვით სხვადასხვა ფაქტებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. მათი საშუალებით ხდება იმ რთული საკითხების გააზრება და გარკვევა, რომლებიც აღწერილია ამა თუ იმ თავის ტექსტის ნაწილში უთუო-ს წევრი ქვეყნების პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პროცედურების მაგალითებზე ან ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორებიცაა: ეუთო, ევროსაბჭო, გაცრო და ევროკავშირი, შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფით. გარდა ამისა, თავების უმეტესობა შეიცავს ნაწილს სახელად "საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები", რომელიც ფრჩხილებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემის განმტკიცების სამხედრო ყაზარებში.

ნაწილი I. მასში მოცემულია მთლიანი სახელმძღვანელოს შინაარსი და განმარტებულია, თუ რაგნადა შეესაბამება ადამიანის უფლებები შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს. ამ ნაწილში ძირითადად მოცემულია პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რა გამოხატულებას პოულობს ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა შეიარაღებულ ძალებში?  
რას ნიშნავს ცნება "მოქალაქე სამხედრო ფორმაში" და როგორ უწყობს იგი ხელს სამხედრო სერვისტორებში ადამიანის უფლებების ინტეგრაციას?  
როგორ მოხდა ამ საკითხების გასრუმეო ინფორმაციის მოძიება-შეგროვება და ანალიზი სახელმძღვანელოს გამოშვებამდე?

ნაწილი II. მასში მოცემულია შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის საკანონმდებლო ბაზა, ნორმები, და სტანდარტები. იგი გვაძლევს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიერ ადამიანის უფლებათა გამოყენების ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტს. ამ ნაწილში ძირითადად მოცემულია პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რა შესაბამისი მექანიზმები გააჩნია უთუო-ს? რამდენად შეესაბამება უთუო-ს ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებს?  
სად უნდა ვეძებთ შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები? ადამიანის უფლებათა შესახებ რა საერთაშორისო ხელშეკრულებები არსებობს? რა დაცვის მექანიზმები არსებობს საერთაშორისო დონეზე?  
რატომ არის საჭირო შეიარაღებული ძალებში ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებული ადგილობრივი კანონმდებლობის აღსრულება? შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა რომელიც ადამიანის უფლებებისა ჩვეულებრივ კოდექსში არსებული კონსტიტუციის მიერ? რომელი საკითხები უნდა შედიოდეს ქვეყნის კანონმდებლობაში?  
რა კონკრეტული საფუძველი არსებობს, რომელიც უკმაღლეს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ადამიანის უფლებების გამოყენებას? ადამიანის რომელი უფლებების არქმალვა არ შეიძლება?  
როგორ უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებმა ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა?

ნაწილი III. მასში მიმოხილულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, კერძოდ, პოლიტიკურ უფლებებში იგულისხმება ის უფლებები, რომლებიც ადამიანს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საჯარო საქმიანობაში. ამ ნაწილში ძირითადად განხილულია შემდეგი საკითხები:

- რა შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები და ინსტრუმენტები არსებობს, რომლებიც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული გამოყენების შესაძლებლობას იძლევა?

რა დასაბუთებული მიზეზები არსებობს იმისათვის, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს დაუნესდეს შეზღუდვები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სარგებლობისთვის?

როგორ ხდება ეუთო-ს წევრი ქვეყნების მიერ შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიზების უზრუნველყოფა ისე, რომ სამხედრო მოსამსახურეთა პოლიტიკური უფლებები არ შეიზღუდოს (მაგ., უფლება განეწიანდეს პოლიტიკურ პარტიაში, სიტყვის თავისუფლება, უფლება დააყენონ საკუთარი კანდიდატურა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად)?

რა მიდგომას იყენებენ ეუთო-ს წევრი ქვეყნები შერევის თავისუფლებისა და იმ უფლებისათვის, რომ განეწიანდნენ სამხედრო კავშირებსა და ასოციაციებში?

როგორ არის კეთილინდობიერი წინააღმდეგობისა და ალტერნატიული სამსახურის განვითარების უფლებები კოდიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და მექანიზმებში ისევე, როგორც საკონსტიტუციო და ეროვნულ კანონმდებლობაში? როგორ ხდება ამ უფლებების გარანტირება პრაქტიკაში?

როგორ ხდება რელიგიური თავისუფლებისადმი უფლების (რელიგიური თავისაბურავისა და ტანსაცმლის ტარებისა და რელიგიური რიტუალებში მონაწილეობის თავისუფლების ჩათვლით) ინტეგრირება სამხედრო სტრუქტურებში? რა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები არსებობს და რა მიზნებსა და საუკეთესო პრაქტიკად ეუთო-ს რეკომენდებ?

**წაწილი IV.** იგი ეხება თანასწორობას, არა-დისკრიმინაციას და თანაბარ შესაძლებლობებს შეიარაღებულ ძალებში. ამ წაწილში, ერთი მხრივ, მიმოხილულია ის საკითხი, რომ ადამიანის უფლებების დაცვა თანასწორობის საფუძველზე არ ნიშნავს ყველა შემთხვევაში ერთნაირ მოპყრობას, მეორე მხრივ კი, განხილულია შეიარაღებულ ძალებში დე ფაქტო და დე იურე თანასწორობა. კონკრეტულად კი, იგი მოიცავს ეთნიკურ და ეროვნულ უმცირესობებს, სქესს და სექსუალურ ორიენტაციას. ამ წაწილში ძირითადად მიმოხილულია შემდეგი საკითხები:

- რომელი საერთაშორისო ხელშეკრულებები და მექანიზმები იცავენ შეიარაღებული ძალების თანაბარ შესაძლებლობებს? რა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს შეიარაღებულ ძალებში თანასწორუფლებიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის? როგორ ახერხებენ როგორც შეიარაღებული ძალების, ისე სამხედრო დაწესებულების წევრები თანასწორობისადმი ე.წ. "მრავალფეროვნების მართვის" მიდგომის განვითარებას?

როგორ უნდა მოხდეს ყაზარმაში დისკრიმინაციული მოქმედების აღკვეთა? როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან შურადნაცხყოფა?

რა მიდგომას ანიჭებენ უპირატესობას ეუთო-ს წევრი ქვეყნები შეიარაღებულ ძალებში?

**წაწილი V.** მასში მიმოხილულია სამხედრო ცხოვრების კონკრეტული საკითხები, როგორებიცაა, არასათანადო ასაკის მქონე პირების შეიარაღებული ძალებისთვის შერჩევა, სამუშაო და საცხოვრებელი პირობების სტანდარტები. ამ წაწილში ძირითადად მოცემულია შემდეგი საკითხები:

- რა პროცედურული და ოპერატიული გარანტიები გააჩნიათ ეუთო-ს წევრ ქვეყნებს შეიარაღებული ძალების არასრულწლოვანი წევრების ადამიანის უფლებათა დაცვაზე? რა შესაბამისი და სწორი პოლისი არსებობს კადეტთა სკოლებსა და სამხედრო მომსახურების სფეროში ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში?

რა სახის წამახალისებელი პაკეტები და პოლისები არსებობს ევტერანებისათვის ეუთო-ს წევრ ქვეყნებში?

რა არის სამხედრო სამსახურში "დედოფრინის" და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიმართ არასანსდებო ურთიერთობების მიზეზები, განსაკუთრებით, ვინც იმყოფება საუკუნეებო სამხედრო სამსახურში? როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან "დედოფრინა" და მოვადინოთ მასზე შესაბამისი რეაგირება?

რა მიდგომები არსებობს ეუთო-ს რეკომენდირებული დროსა და პირობებთან დაკავშირებით?

დაბოლოს, თავი VI მიმოხილავს ჯარში ადამიანის უფლებების გაერცხლებასა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის საკითხებს. იგი მოიცავს ადამიანის უფლებათა განათლებას, მეთაურთა პასუხისმგებლობას გამოიყენოს სასჯელი ზომები ჯარისკაცების მიმართ შესაბამისი საკითხების გამო, სამხედრო სამართლისა და ომბუდსმენის ინსტიტუტებს. ამ წაწილში ძირითადად მოცემულია შემდეგი საკითხები:

- როგორ გაზრდის შესაბამისი მომზადება ადამიანის უფლებათა საკითხებში ცნობადობას და ხელს შეუწყობს პროფესიული კულტურის განვითარებას შეიარაღებულ ძალებში, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილია ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის საქმეში? რატომ და როგორ უნდა წარმოადგენდნენ მეთაურები უფლებადამცველთა წინა ხაზის ყაზარმებში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებში? რატომ და როგორ უნდა

იყენენ შეიარაღებული ძალების კონკრეტული პასუხისმგებელი მოსამსახურეები საკუთარ საქციელზე და როგორ შეუწყობს ეს ხელს ადამიანის უფლებათა პატივისცემას? არსებობს თუ არა შესაბამისი მიდგომები ეუთო-ს რეგიონში სამართლიანი და ამოუკიდებელი სამხედრო სამართლის სისტემისადმი?  
რა განსხვავებული მიდგომები არსებობს იმისთვის, რომ მოხდეს ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება ეუთო-ს რეგიონში?



## ადამიანის უფლებები შეიარაღებულ ძალებში: მიდგომები და მნიშვნელობა

### ამოცანები

წინამდებარე სახელმძღვანელო მიმოიხილავს შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების არსებობისა და გამოყენების საკითხებს.<sup>1</sup> სახელმძღვანელო არ ისახავს მიზნად ახალი სტანდარტების დანესებას. პირიქით, მისი მიზანია ხელი შეუწყოს არსებული სტანდარტების ეფექტურ განხორციელებას ეუთო-ს რეგიონიდან გარკვეულ წაროდენობის მოდელის ან საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების წარმოდგენის გზით, რაც ნათლად გვიჩვენებს, თუ როდენ წარმატებით შეუძლიათ სამხედრო სტრუქტურებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ინტეგრირება. ამავე დროს, მზადდელია მთლიანად შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საჭირო შეზღუდვები იმის გათვალისწინებით, თუ რა მოთხოვნები გააჩნია სამხედრო ხასიათის ცხოვრებას და ეროვნულ უსაფრთხოებას. იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს ერთი იდეალური მოდელი და ცალკეული სიტუაციის დამახასიათებელი თვისებები, ეს ყოველთვის ზეგავლენას მოახდენს მოცემული ქვეყნის მიდგომაზე. ეუთო-ს წევრი ქვეყნებისათვის წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს მითითებას იმ მოდელთან დაკავშირებით, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებული აღმოჩნდა.

### მიდგომა: მოქალაქე სამხედრო ფორმაში

სახელმძღვანელოს ათელის წერტილია უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტების ეუთო-ს ქვეყის კოდექსი (იხ. თავი 4, "ეუთო-ს ვალდებულებები"). ქვეყის კოდექსი ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებებს რამდენიმე შემთხვევაში, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მუხლი 32:

თითოეული წევრი ქვეყანა ვალდებულია უზრუნველყოს ის, რომ სამხედრო, ნახევრად სამხედრო და უსაფრთხოების ძალების პერსონალმა შეძლოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენება, როგორც ამას ეუთო-ს დოკუმენტები და საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, შესაბამისი საკონსტიტუციო და საკანონმდებლო მრჩევლების, ასევე სამსახურის მოთხოვნების გათვალისწინებით.

წინამდებარე მუხლი ხაზს უსვამს იმ ცნებას, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს გააჩნიათ უფლება ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, სამხედრო სამსახურის შეზღუდვებისა და მოვალეობების გათვალისწინებით, როგორც ეს შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ქვეყის კოდექსის სხვა დებულებები ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებებს, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებებს შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის კუთხით (მუხლი 23); სამხედრო სამსახურში განევა (მუხლი 27); უფლებები და მოვალეობები ისევე, როგორც სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება ან სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამსახური (მუხლი 28); სახელმწიფოთა ვალდებულება უზრუნველყონ შესაბამისი იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურები, რათა დაიცვან სამხედრო მოსამსახურეთა უფლებები (მუხლი 33).<sup>2</sup>

ქვეყის კოდექსში მოცემული მიდგომა შეგვიძლია შევაჯამოთ როგორც მიდგომა "მოქალაქე სამხედრო ფორმაში", რომლის მიხედვითაც, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები ინ-

<sup>1</sup> წინამდებარე სახელმძღვანელოში ტერმინები ჯარისკაცი, შეიარაღებული ძალების პერსონალი და სამხედრო მოსამსახურეები ერთნაირად გამოიყენება. ამით არ ხდება სხვადასხვა ნოდების თუ თანამდებობების შეიარაღებული ძალების პერსონალის განსხვავება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული. გარდა ამისა, უფრო მეტი პრაქტიკულობისათვის ტერმინი სამხედრო მოსამსახურე გამოიყენება როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიმართ, თუ საგვარად არ იქნება მითითებული.

<sup>2</sup> უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე ეუთო-ს ქვეყის კოდექსი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე: [http://www.osce.org/documents/sg/1994/12/702\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/sg/1994/12/702_en.pdf). ქვეყის კოდექსის უფრო დეტალური კომენტარისათვის, იხ. ვიქტორ-იე გებელი და ალექსანდრე ლამბერტი, უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე ეუთო-ს ქვეყის კოდექსი: ანატომია და განხორციელება (Leiden/Boston: Brill Academic Publishers, 2005).

არჩუნებენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მაგრამ ექვემდებარებიან გარკვეულ შეზღუდვებს და მოვალეობებს შესრულებას, რომლებსაც მათ აკისრებს სამხედრო სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ეუთო-ს წევრი ქვეყნები თანხმდებიან, რომ შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებს გააჩნიათ უფლება ისარგებლონ ადამიანის უნივერსალური უფლებებით, ცნება - "მოქალაქე სამხედრო ფორმში", სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად აღიქმება მისი კონკრეტული ისტორიის, სამხედრო კულტურის, ავტორიტარული მართვის წყობიდან დემოკრატიულზე ბოლო დროს შესაძლო გადასვლის, კონფლიქტებისა და ომებიდან გამომდინარე პოლიტიკა, როგორც წესი, არ არისთვის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების დაცვის ერთი იდეალური მოდელი. ამდენად, წინამდებარე სახელმძღვანელო ვთავაზობთ ეუთო-ს წევრი ქვეყნების რამდენიმე სხვადასხვა მოდელსა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორ მოახდინეს შეიარაღებულმა ძალებმა ადამიანის უფლებების წარმატებით ინტეგრირება.

## მოცულობის არე

### ადამიანის უფლებები:

წინამდებარე სახელმძღვანელოში ადამიანის უფლებები დაყოფილია ოთხ ჯგუფად: (1) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები; (2) უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღებულ ძალებში თანაბარ შესაძლებლობებსა და არა-დისკრიმინაციასთან; (3) უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ცხოვრებასთან; (4) პროცედურული უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ყაზარმებში ადამიანის უფლებათა განხორციელებასა და უზრუნველყოფასთან. ეს უფლებები უფრო დეტალურად განხილულია მე-5 თავში. ისინი ასევე ნახსენებია თითოეულ თავში შესაბამის მნიშვნელოვან საკითხებთან, უფლებებთან, პოლიტიკასა და კონკრეტულ რეკომენდაციებთან მიმართებაში, თუ როგორ უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის უზრუნველყოფა. თითოეული თავი ასევე შეიცავს რამდენიმე სქემას, რომლებშიც მოცემულია ეუთო-ს წევრ ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა, პოლიტიკა და მიღებული პრაქტიკა.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შიდა ასპექტებზე. იგი არ მოიცავს გარე ასპექტებს, რომლებშიც მოიაზრება შეიარაღებული ძალების პერსონალის მიერ ადამიანის უფლებათა პატივისცემა თავიანთი მოვალეობების შესრულებისას. ამდენად, წინამდებარე სახელმძღვანელოში არ არის განხილული ის საკითხი, თუ რა ზეგავლენას ახდენს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა საქციელი სამოქალაქო ღირებულებებზე.

### შეიარაღებული ძალები:

მიუხედავად იმისა, რომ ეუთო-ს ქვეყნის კოდექსი მისი დებულებებიდან გამომდინარე მიუთითებს "სამხედრო, ნახევარდასამხედრო და უსაფრთხოების ძალებზე" (მაგ. მუხლი 32), წინამდებარე სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია შეიარაღებული ძალების წევრებზე. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ "სამხედრო, ნახევარდასამხედრო და უსაფრთხოების ძალებზე" შეგვიძლია მოვიხილოთ როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების სექტორის ყველა ელემენტის შემცველი, სამხედრო, პოლიციის, საზღვრის დაცვის, ნახევარდასამხედრო ძალების, ექიმო უსაფრთხოებისა და სამხედრო კომპანიების, შიდა უსაფრთხოების სამსახურებისა და უცხოური და სამხედრო სადაზვერუო სამსახურების ჩათვლით. გამომდინარე იქნება, რომ ამ სამსახურებს გააჩნიათ მეტად განსხვავებული მანდატები, ოპერატიული პროცედურები და იურიდიული ასპექტები, სახელმძღვანელო შემოისაზღვრავს მხოლოდ შეიარაღებული ძალებით.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს უნარჩუნდებათ თავიანთი უფლებები შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დაწყების შემთხვევაში, სახელმწიფოს მეშვეობით შეზღუდით ადამიანის უფლებები სამხედრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით. რაც შეეხება სამხედრო ცხოვრების თავისებურებებს, რომლებიც გამოიყენება იმისათვის, რომ გააძაბოს ადამიანის უფლებათა დამარცხების შემზღვევა ყაზარმებში, ისინი ხშირად უკავშირდება სამხედრო სისტემაში წესრიგისა და დისციპლინის შენარჩუნებას; შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დამკვიდრებას; სამშოშრობის შესრულების ეფექტიანობას; საიდუმლო ინფორმაციის დაცვას; ბრძანებებზე დამორჩილებასა და სამხედრო ორგანიზაციის იერარქიული სტრუქტურის შენარჩუნებას. ის საკითხი, თუ როგორ და რამდენად არის აღნიშნული დამახასიათებელი თვისებები ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საფუძველი, ერთ-ერთი მთავარი განხილვის თემაა წინამდებარე სახელმძღვანელოში.

<sup>2</sup> პიტერ როუი, წარმოდგენილი თემა კონფერენციაზე "მოქალაქე სამხედრო ფორმში: ადამიანის უფლებათა განხორციელება შეიარაღებულ ძალებში", რომელიც მოხდა DCAF, ODHR და გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მიერ ერთობლივად, ბერლინი 2006, ბერლინი 7-8 სექტემბერი.

## შეიარაღებული ძალების პერსონალი:

შეიარაღებული ძალების პერსონალი არ წარმოადგენს ერთგვაროვან ჯგუფს, რადგანაც არსებობს მრავალი ქვე-კატეგორია, კერძოდ: ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა (ახალწვეულთა) პერსონალი, მოხალისეთა მომსახურე პერსონალი, შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ნაწილები (საზღვაო ფლოტა, საჰაერო ძალები, სამხედრო პოლიცია და სპეცდანიშნულების ნაწილები), ასევე, სხვადასხვა სამხედრო ნაწილები როგორც ადგილობრივ გენერალშტაბში, ნინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია ის აზრი, რომ ადამიანის უფლებები ადამიანის არსებობის განუყოფელია ნაწილია და არა ადამიანის სამხედრო სამსახურში მსახურობამ არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა მის უფლებათა დაცვაზე.

კონკრეტულად, ცნება - "მოქალაქე სამხედრო ფორმაში", არ ნიშნავს, რომ ის ეხება მხოლოდ ახალწვეულ ჯარისკაცებს. მაშინ, როდესაც ახალწვეული ჯარშია, რამდენადაც გადის სამხედრო საველდებულო სამსახურს, პროფესიონალი ჯარისკაცი თანაშემწა მოხალისედ ჩაენერგება შეიარაღებულ ძალებში. იმ ფაქტს, რომ შეიარაღებულ ძალებში მოხალისედ განეწიანდები, არ მოსდევს შედეგად ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებებზე, როგორც ეს დადასტურდა 1999 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში მიერ<sup>4</sup>. საჭიროა განსაკუთრებულ დამცველთა არსებობა, რათა მათ დაიცვან გარკვეული ჯგუფები შეიარაღებული ძალების შიგნით, მაგ., 18 წლამდე ასაკის ჯარისკაცები. მეორე მხრივ, ზემდგომ ოფიცრებს გააჩნიათ ისეთი ძლიერი პოზიციები შეიარაღებულ ძალებში, რომ მათი სიტყვის თაქისუფლება საკუთარი ქვემდგომების მიმართ უნდა შეიზღუდოს, მაგ., ქვემდგომების დაცვა არასასურველი რელიგიური ყურადღებისაგან (მაგ., პროსელიტიზმი) ზემდგომთა მხრიდან.<sup>5</sup>

## მშვიდობიანი მდგომარეობა: უფლებების დაცვა ყაზარმებში

ნინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია მხოლოდ მშვიდობიანი მდგომარეობის მაგალითები. ამდენად, საზღვარგარეთ განლაგებული შეიარაღებული ძალები, როგორცაა, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაგზავნილი ძალები, ან განლაგებული ქვეყნის შიგნით კრიზისის ან საგანგებო მდგომარეობისას, არ არის განხილვის ობიექტი.

## მეთოდოლოგია

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა შესწავლა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მნიშვნელობის საკითხის ნინამდებარე გვაცუენებს. ნინამდებარე სახელმძღვანელოს ამოცანა არ არის ამ განსხვავებების ეკლავა. მხოლოდ რამდენიმე გამოცემა თუ არსებობს, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ყაზარმებში შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ეკლავები კონკრეტული საპარტლბეროი სისტემებისა და ამ საკითხის კონკრეტული ასპექტების გასმეში, ამ კარანაკლებობა შედარებითი მონაცემებითა და ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზისა.<sup>6</sup> ამას ისიც ემატება, რომ დიდი სხვაობაა საპარტლბერო მხარესა და რეალობას შორის. ქვეყნის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში მოცემული ნორმებისა და სტანდარტების აღსრულება ხშირად რეალობაში ადეკვატურად არ ხდება. ამიტომაც, ნინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა გამოიყენეს ეკლავის ის სტრატეგია, რომელიც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს.

### 1. ODIHR-DCAF კითხვარი:

კითხვარი მომზადდა იმ მიზნით, რომ განხილული ყოფილიყო შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების საკითხი შედარებით მონაცემების ნაკლებობის გამო, კონკრეტულად კი, პოლიტიკის და პრაქტიკის გათვალისწინებით.<sup>7</sup> სქემაში 1.1 მოცემულია დამატებითი ინფორმაცია ამ კითხვარის შესახებ, რამაც შედეგად მოგიტყუნა ნერვი სხალმწინელების კანონების, პრეტენდებისა და მათში არსებულ პრაქტიკის უპირის უპირისუფლები. ნინამდებარე სახელმძღვანელოში ეს საკითხი წარმოდგენილია როგორც ტექსტურ ნაწილში, ისე სხვადასხვა საილუსტრაციო სქემაში.

<sup>4</sup> ბიტირ როვი, ადამიანის უფლებათა საპარტლბერო ზეგავლენა შეიარაღებულ ძალებზე (კემბრიჯი. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006), გვ. 9-23; ლუსტიკ-პრინი და ბუკტი დიდი ბრიტანეთის ნინამდებარე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1999 წლის 27 სექტემბერი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 29, 2000, გვ. 548.

<sup>5</sup> ლარისის და სხვების უფლებების ნინამდებარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1998 წლის 24 თებერვალი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 27, 1999, გვ. 329; ან სტიკი "შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებების და ძირითადი თვისუფლებები: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო", DCAF-ის სამუშაო დოკუმენტაცია N165, 2005, გვ. 4.

<sup>6</sup> იბ., მაგალითად, როვი, ოპ.ცი., მენიშენა 4; ყროვ ნოლიტი, ევროპის სამხედრო საპარტლბერო სისტემები (მინამდებარე: De Gruyter Recht, 2003); მ.სასლი და ა. მკ.ჩენი, ნევემდებარე უფლებებისა და სამხედრო საპარტლბერო სახელმძღვანელო (წმინდა: მოლდავეთის რესპუბლიკის რეკრუტებისა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის ცენტრი, 2002); გებალი და ლამბერტი, ოპ.ცი., მენიშენა 2.

<sup>7</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი მშვიდობიანი მდგომარეობის ვებ-გვერდზე: <http://www.dcaf.ch/odihr/index.cfm>.

სქემა 2.1 გვიჩვენებს, რომ ეუთო-ს ნეერ ყველა ქვეყანას არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები. იმ შემთხვევებში, როდესაც რეგულარული შეიარაღებული ძალების მქონე ქვეყნებში ვერ გაცხეს პასუხი კითხვარში მოცემულ შეკითხვებს, მაინც შესაძლებელი იყო შეიარაღებულ ძალებზე ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და პრაქტიკის სხვადასხვა ნაწილებზე აღწერა ღია საჯარო წყაროებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, მასმედიის საშუალებებიდან და აკადემიური ინსტიტუტებიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებით.

## სქემა 2.1

### ეუთო-ს ნეერ ქვეყნებში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა ODIHR-DCAF-ს კითხვარი

შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა 2004 წლის ინფორმაციის გაცემის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა "ეუთო-ს ქვეყნის კოდექსს უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტების შესახებ". არსებული ინფორმაციის ხარისხსა და ბუნებას შორის დიდი სხვაობისა და შეუსაბამობის გამო, საქორ გახდა დეტალური კითხვარის შემუშავება, რათა მიეღოთ მონაცემები ეუთო-ს რეგიონში შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებების შესახებ არსებული კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის ირგვლივ. კითხვარის ორივე, ინგლისური და რუსული ვერსიის, რომლებიც მოიცავდა 85 კითხვას, ეუთო-ს ნეერი ქვეყნების მუშები მისიებს დაურგდა 2005 წლის ბოლოს. კითხვარი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე [www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch).

#### 1. სრულყოფილი პასუხები მიღებულ იქნა შემდეგი ქვეყნებიდან:

ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, გერმანია, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი და მონტენეგრო\*, სლოვაქეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, ტაჯიკეთი, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო და აშშ.

#### 2. ზედაპირული შინაარსის შედეგად ეუთო-ს ნეერი ქვეყნებში მიღებულ იქნა შემდეგი ქვეყნებიდან:

ლიხტენშტეინი (რომელსაც არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები), ტაჯიკეთი და ვატიკანი (რომელსაც არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები).

#### 3. შემდეგმა ქვეყნებმა საერთოდ არ შეაჯეს კითხვარი:

ალბანეთი, ანდორა (რომელსაც არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები), სომხეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია (რომელსაც არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები), იტალია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, მოლდოვა, მონაკო (რომელსაც კვავს სასახლის დაცვა მხოლოდ ცერემონიებში მონაწილეობის მიღების ფუნქციით), ნიდერლანდები, რუმინეთი, სან მარინო (რომელსაც არ გააჩნია რეგულარული შეიარაღებული ძალები), თურქმენეთი და უზბეკეთი.

## 2. ODIHR-DCAF-ის მრგვალი მაგიდა

პრაქტიკისა და პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ODIHR და DCAF-მა მოაწყვეს ორი მრგვალი მაგიდა შერჩეული საკითხების განსახილველად ეუთო-ს ნეერი სახელმწიფოების მთავრობებთან თანამშრომლობით. პირველი მრგვალი მაგიდა სახელწოდებით "მოქალაქე სამხედრო ფორმები: ადამიანის უფლებათა დანერგვა შეიარაღებულ ძალებში", გერმანიის თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მოენყო 2006 წლის სექტემბერში, ხოლო მეორე - "სამხედრო კავშირები და ასოციაციები", 2006 წლის ოქტომბერში, რუმინეთის თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო ასოციაციების ევროპულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. ორივე მრგვალი მაგიდის მიერ შესრულებულმა სამუშაომ დიდი წვლილი შეიტანა წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადებაში, ასევე ეუთო-ს ნეერი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის შესაბამისი საკითხების გაგრძელებების წარმოთვამში.<sup>5</sup>

## 3. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეუთო-ს საველე ოპერაციების მიერ განეწესა დახმარება

პროექტის მსვლელობისას სახელმძღვანელოს ავტორებს დიდად დაეხმარა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეუთო-ს საველე ოპერაციების მხრიდან გამოცდილების გაზიარება, რათა გარკვეული წარმოდგენა შეექმნა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა რეალობაზე. წარმატებით იქნა გამოყენებული ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მონოღებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორებიცაა: EUROMIL, Human Rights Watch-ის მოსკოვის ბიურო, გერმანული Bundeswehrverband (ფედერალური

\* კვლევა განხორციელდა 2006 წელს, სერბეთისა და მონტენეგროს განცალკევებამდე.

<sup>5</sup> ODIHR-DCAF-ის შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებათა შესახებ მრგვალი მაგიდების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ პროექტის ვებ-გვერდზე: [www.dcaf.ch/odihr\\_events.cfm](http://www.dcaf.ch/odihr_events.cfm).

შეიარაღებული ძალების ასოციაცია), ესპანეთის ეტერანთა ასოციაცია და ორგანიზაცია სანქტ-პეტერბურგის ჯარისკაცთა დედები.<sup>10</sup>

#### 4. ექსპერტთა დახმარება

ევთო-ს რეგიონში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა სფეროს ექსპერტების მიერ აქ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დასკვნების სისწორისა და საფუძვლიანობის დადასტურების მიზნით, სახელმძღვანელო დამატებით განიხილა მრავალმა სხვადასხვა ექსპერტმა. 2006 წლის დეკემბერში ODHR-მა მოაწყო ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ვარშაეაში, სადაც მიიწვია აღნიშნული ექსპერტები. შედეგად, სახელმძღვანელოში განხორციელდა სხვადასხვა სახის ცვლილებები და საბოლოო ჯამში მივიღეთ მისი გაუმჯობესებული ვარიანტი.

<sup>10</sup> იხ. მაგალითად, [http://www.euromeet.orgch/odhr/\\_events.cfm](http://www.euromeet.orgch/odhr/_events.cfm) ან <http://soldiersmothers.ru>.

# შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა მნიშვნელობა

როგორც წინა თავში აღინიშნა, ეუთო-ს ქვეყნის კოდექსის 32-ე მუხლი, რომელიც უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებს მოიცავს, ავალდებულებს ნეურ ქვეყნებს უზრუნველყონ სამხედრო, ნახევარ და სამხედრო და უსაფრთხოების სამსახურის პერსონალის მიერ მათი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გამოყენება შესაბამის საკონსტიტუციო და საკანონმდებლო დებულებებთან და სამხედრო სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ, არის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია. ეუთო-ს ქვეყნის კოდექსის თანახმად, აღნიშნული კონვენცია, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მიიჩნევს მოქალაქეებად სამხედრო ფორმში. ეს ნიშნავს იმას, რომ მომსახურე პერსონალი ინარჩუნებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, თუმცა, შემდგომ ხდება მათი ხახვცეცლა სამხედრო სფეროში.

"მოქალაქე სამხედრო ფორმში" მიდგომა გულისხმობს, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეს, საკონტრაქტო თუ სამხედრო სავალდებულო სამსახურში განკუთვნილ, უფლება აქვთ იხარგებლონ იმავე უფლებებითა და დაცვის პირობებით, როგორც ყველა სხვა ადამიანს, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებსაც მათ სამხედრო ცხოვრება უფლებებს. მართლაც, ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, შეიარაღებული ძალების პერსონალის ჩათვლით, ეუთო-ს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების ცნების ნაწილია, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ პატივისცემას უკავშირებს მშვიდობის შენარჩუნებას.<sup>11</sup>

თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, კერძოდ, ახალწვეული ჯარისკაცები, ხდებიან დამცირების, არაადამიანური მოპყრობის, დედოფმჩინის, წამების, შეკვლეობის ან თვითშეკვლეობისა და სხვა არაკანონიერ ქმედებათა მსხვერპლი. მსგავსი რამ ხშირად იწვევს სერიოზულ უზედურ შემთხვევებს, დაზიანებებს, დაინვალიდებას, სიკვდილს ან თვითშეკვლეობას. სამწუხაროდ, ასეთი სახის მოპყრობა დამკვიდრებულია როგორც უფრო ფართო სამხედრო კულტურის ნაწილი, რომელსაც ახასიათებს შესაბამისი დაუსჯელობა და ადამიანთა ღირსების მიმართ უპატივცემულობა.

ზოგიერთ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობა არაპროპორციულიადაა შეზღუდული კონსტიტუციით ან კანონმდებლობით. მაგალითად, მრავალ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეს არ აქვს უფლება სრულად გამოყენონ საკუთარი სიტყვის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლების უფლება. შედეგად, შეიარაღებული ძალების პერსონალს არ აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი და ხმა აიმალოს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებში. რამდენადაც შესაძლოა მოხდეს ამგვარი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავება სამხედრო ინსტიტუტების დაზარული ხასიათის გათვალისწინებით, ქვეყნების მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა დაცვა ყაზარმებში.

ადამიანის უფლებები, როგორც ცნება, განუყოფელი ნაწილია ადამიანის უფლებისა - იყოს ადამიანი. მართლაც, ზოგიერთი ადამიანის უფლების გამოყენების შეზღუდვა საერთოდ შეუძლებელია.<sup>12</sup> თუმცა, სხვა უფლებებით სარგებლობა შესაძლოა მოვარგოთ კონკრეტულ

<sup>11</sup> ეუთო-ს ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე. პრინციპი 2: "ნეური ქვეყნები აღსატურებენ, რომ მათ გაიწიონ უსაფრთხოების საკუთარი ყოვლისმომცველი კონცეფციის თანმიმდევრული კანონრება, როგორც ამას საბოლოო აქტი გვარანახობს, რომელიც მშვიდობის შენარჩუნებას უკავშირებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას. იგი უკავშირებს ეკონომიკურ და გარემოსდაცვით თანამშრომლობას მშვიდობიან მიდასახელებიფორმებზე უწყობითობებს". ქვეყნის კოდექსის კარი VI, რომელიც უფრო დეტალურადაა განხილული მე-4 თავში.

<sup>12</sup> ეს ის ადამიანის უფლებებია, რომელთა შეუარაცყოფა არ შეიძლება, სიკვდილის უფლების ჩათვლით; წამების აკრძალვა; მონობის აკრძალვა; დამატირების აკრძალვა იმ საბაბით, რომ ვერ მოხერხდა საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება; ნებისმიერი სისხლის სამართლის დარღვევისათვის დაწინაურება აღიარების აკრძალვა; მამის, როგორცაც ჩაედინება დანაშაული არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამართლის დარღვევები იმ დროს, როდესაც იგი დარღვეა; და უფლება - კანონით იყო აღიარებული ადამიანად. ასევე, იხ. ნინამდებარე სახელმძღვანელოს თავები 5 და 16.

პირობებსა და სიტუაციებს. უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი სხვადასხვა ფაქტორი, როდესაც ადამიანის უფლებათა სწავლასთან დაკავშირებული ვარჯიშები შეიარაღებულ ძალებს: სამხედრო, დისციპლინის ბუნება, სამხედრო ნოდების იერარქიული წყობა, ბრძანებებზე დაქვემდებარების საჭიროება და შორალბა დაცვა. ნებისმიერი სხვა მოქალაქეთა უკუფიგან განსხვავებით, შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებს თავიანთი ოფიციალური ვალდებულებების ფარგლებში შესაძლოა უბრძანონ სხვა ადამიანების მოკლა და საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღება. სამხედრო ცხოვრება შესაძლოა საჭიროებდეს უხეი ან ექსტრემალურ პირობებში მოქმედებას. ჩვეულებრივ პირობებშიც კი, შესაძლოა არსებობდეს მცირე სამხედრო განსხვავება პირად ცხოვრებასა და ოფიციალურ მოვალეობებს შორის. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც პერსონალი ცხოვრობს ყაზარმებში. ეს განსაკუთრებული ხასიათის ფაქტორები, რომლებზეც უკრძრებას განსხვავებულ ხდიან, ადასტურებულს შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებებზე მეზღუდების დანების საჭიროებას.

### სქემა 3.1

#### შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის მნიშვნელობა

1. იქიდან გამომდინარე, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები არიან მოქალაქეები, მათ უნდა ისარგებლონ იმავე ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, როგორც სარგებლობენ სხვა მოქალაქეები.
2. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებათა პატივისცემა ხელს უწყობს სამხედრო მუშაკების მიმართ პატივისცემას, რომლებიც მყარად არიან ინტეგრირებული საზოგადოებაში.
3. ყაზარმებში ადამიანის უფლებათა პატივისცემა ხელს უწყობს მთავრობის მიერ სამხედრო განსხვავება არამიზნობრივად გამოყენებისა და მათი სამოქალაქო მოსახლეობის ნინაალმდე დაპირისპირების თავიდან აცილებას.
4. ყაზარმებში ადამიანის უფლებათა პატივისცემა იცავს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მთავრობის ან უარის შეთაურების მხრიდან უფლებათა ბოროტად გამოყენებისა და ჩავერისაგან.
5. თანამედროვე სამშვიდობო ოპერაციები ავალდებულებს შეიარაღებული ძალების პერსონალს თავიანთი ყოველდღიურ საქმიანობაში ჩართონ ადამიანის უფლებათა დაცვა და უზრუნველყოფა. ისინი ამისათვის უფრო უკეთესად იქნებიან მოზადებული, თუ ისეთ ვარჯიშში გაივლიან სამსახურს, რომელიც პატივისცემას და იცავს ამ უფლებებს და ავალდებულებს მათ გაითავისონ ის ღირებულებები, რომლებიც მათ საფუძვლად უდებს.

სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ მეთოდს ირჩევს უარისკაცთა უფლებების შეზღუდვისათვის და ეს გამომდინარეობს ზემოთ ხსენებული ფაქტორებიდან. ეს განსხვავებები გამუდმობს საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების უფრო ფართო როლისა და პოზიციის ცნებაში. როდესაც პასუხი უნდა გავცეთ კითხვას "რამდენად განსხვავებული უნდა იყოს სამხედრო?" - ზოგან მიიჩნევენ, რომ სამხედრო სფერო უნიკალურია, რომელიც სრულად განსხვავდება სამოქალაქოსაგან. ეს უნიკალურობა სავალდებულოა ყველა დროის სამხედროთათვის და ყველა ქვეყნისათვის, რადგანაც იგი ერთადერთი გზა ოპერატიული ფუქტიანობის შესანარჩუნებლად. ამდენად, გამომდინარე ამ მოსაზრებიდან, შეიარაღებული ძალების მოსამსახურე არ არის ჩვეულებრივი სახელმწიფო მოხელე. იგი გახლავთ ადამიანი, რომელიც ემართება მონოდებას, და ვალდებულია, ქვეყნისა და პატივის ერთვულობა. ამ პოზიციის საპირისპიროდ, სხვები მიიჩნევენ, რომ სამხედროს განსხვავებულობა მხოლოდ შედარებით მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სამხედრომ განიცადა "გამოქალაქების" ტენდენციის ქვეშ მოქცევა მე-20 საუკუნეში საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ზნოლის შედეგად.<sup>13</sup> ამდენად, დღევანდელი დღის სამხედრო პროფესია შედეგია საზოგადოებაში მომხდარი უფრო ყოვლისმომცველი ტრანსფორმაციისა. ამ ტრანსფორმაციების გავლენა კარგად ჩანს ინსტიტუტის/თანადებობის მოდელში, რომელსაც საფუძვლად უდევს ის მოსაზრება, რომ სამხედრო პროფესია სავალდებო ინსტიტუტური ფორმაცია და ემსგავსება ისეთს, რომელიც ახლსაა საზოგადოებაში სხვა პროფესიების თანამდებობრივ ფორმატთან. ამდენად, სამხედრო პროფესია სულ უფრო და უფრო ხდება "კიდევ ერთი სამსახური", რომელსაც ახასიათებს ფინანსური დაინტერესება, სამსახურებრივი უსაფრთხოება, და მიმოხედული საშუალო პირობები ნაცვლად უნიკალური ინსტიტუტისა, რომელიც ეწყარება მხოლოდ ქვეყანას, მოვალეობასა და დეოთ სკვლი.<sup>14</sup> ინსტიტუტის მოდელის მიხედვით, უარისკაცთა ადამიანის უფლებები დიდად შეიზღუდება, რადგან სამხედრო პროფესიას ვერ შევადარებთ ნებისმიერ სხვა პროფესიას საზოგადოება-

<sup>13</sup> ბერნარდ ბოენი, "რამდენად განსაკუთრებული უნდა იყვნენ სამხედროები? ნარმოამდენლობითი ლტოლტურის მიმოხილვა და სისტემური ფორმულებების მოსახლე", სოციოლოგის ევროპული ფრნალი, ტომი 31, N1, 1990.  
<sup>14</sup> "არალზ მოსკოი", "დარსებულბანდ თანამდებობამდე მმდნარობები სამხედრო ორგანიზაციაში", შეიარაღებული ძალები და საზოგადოება, ტომი 4, N1, მფუ-ფრნალი 1977; ჩარლზ მოსკოი, უკან აღენ უღლიაში და დეოთ სკვლი, პოსტ-მოდერნისტული სამხედრო: შეიარაღებული ძალები ცივი ომის შემდეგ (ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, 2000).

ში. თუმცა, თანამედრობრივი მოდელის მიხედვით, უჯარსკაცები, როგორც წესი, ზუსტად იმ-  
ავე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, როგორც სხვა მოქალაქეები, რადგან სამხედრო  
პროფესიასა და სხვა პროფესიებს საზოგადოებაში ბევრი რამ აქვთ საერთო.

თუმცა, საკვლევებულაა, რომ ეს შეზღუდვები აკმაყოფილებდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს.  
ის რაციონალურად უნდა უკავშირდებოდეს სამხედრო საქროებებს და არ უნდა წარმოად-  
გენდეს მხოლოდ თვითნებურ ტრადიციას. ის უნდა ემყარებოდეს კანონს, უმჯობესია, კანონ-  
მდებლობას, რომელიც დემოკრატიული დებატებისა და კანონიერი პროცედურების შედეგია.  
შეზღუდვები უნდა იყოს პროპორციული, ანუ მორგებული სამხედროთა ინტერესებს,  
რომელთაც ადამიანის უფლებათა სრული გამოყენება ესაჭიროებათ. შეიარაღებული ძალებ-  
ის მოსახლურთა უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა, რომელიც მადისკრიმინაციულია რა-  
სის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, სქესისა და სექსუალური ორიენტაციის  
საფუძველზე, დაკვირვებით უნდა იქნას გამოკვლეული, გამომდინარე მათი საეჭვო ბუნები-  
დან და ფაქტების ამკარა დადასტურების საჭიროებიდან. პასუხისმგებლობა იმისა, რომ საქი-  
რთა შეიარაღებული ძალების პერსონალის უფლებათა შეზღუდვა, ეკისრება თვით სამხე-  
დროებს.

ადამიანის უფლებები არ წარმოადგენს მხოლოდ ქალაქზე დანერგილ მაღალფარდოვან მის-  
წარაგებებს: აუცილებელია მათი ყოველდღიურად დაცვა შეიარაღებულ ძალებში. ადამიანის  
უფლებათა დარღვევები, რომლებიც შედეგია არაკანონიერი ქმედებებისა (მაგ., ახალწვეულთა  
მიმართ ცუდი მოპყრობა), ყველაზე გავრცელებული დარღვევაა, რომელსაც ადგილი აქვს  
შეიარაღებულ ძალებში. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ქმედების აღმკვეთი კანონები არ-  
სებობს, მათი ცხოვრებაში გატარება პრობლემური საკითხია.

ეთო-ს ნევრ მრავალ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების პერსონალის უფლებათა დაცვის  
მექანიზმები კვლავაც არ არის შესაფერისი. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საკანონმდებლო ბაზა  
საგრძობლად დაიხვეწა და გაუმჯობესდა, პრაქტიკულად არ ხდება კანონებისა და ბრძანე-  
ბების შესრულება.

ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ეფექტური განხორციელების  
საკითხი. წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემულია არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის  
იურისდიქცია და საერთაშორისო სასამართლოები, არამედ სხვა მეთოდებიც იმისათვის, რომ  
მომხდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიება და შესაბამისი საქციების  
გატარება, სამხედრო ომბუდსმენისა და საერთაშორისო მონიტორინგის ორგანოების ჩათვ-  
ლით. თუმცა, დაცვის პირველ ხაზს უნდა წარმოადგენდეს თვით შეიარაღებული ძალები. ზემ-  
დგომი ოფიცრების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა თავიანთი ქვემედიანების ადამიანის  
უფლებათა დაცვა. ადამიანის უფლებათა განათლება მნიშვნელოვანია ცნობიერების განე-  
თარებისა და სამხედრო სფეროში პროფესიული კულტურის შექმნისათვის, რომელიც მოიცავს  
ადამიანის უფლებათა პატივისცემას, როგორც დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთ-  
გულებას. როდესაც ეს ყველაფერი მიიღწევა, შეიარაღებული ძალები არ წარმოადგენენ მხ-  
ოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დამცველებს; ისინი ასევე იცავენ და განასახ-  
იერებენ მის დემოკრატიულ მისწრაფებებს.



# ნაწილი II

## უეთო-ს ვალდებულებები

უეთო დემოკრატიის უზრუნველყოფას, ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, ე.წ. ადამიანურ განზომილებას, მიიჩნევს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ასპექტად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება უეთო-ს მოღვაწეობის ორ სხვადასხვა სფეროს, პოლიტიკურ-სამხედრო და ეკონომიკურ-გარემოსდაცვით განზომილებებს. ტერმინი ადამიანის განზომილება ასევე მიითვლება, რომ ამ სფეროში უეთო-ს ნორმები სცილდება ტრადიციულ ადამიანის უფლებათა კანონმდებლობას და უფრო ფართე არეალს მოიცავს. წინამდებარე თავში განიხილილია უეთო-ს ადამიანის განზომილების სფეროსადმი ნაკისრი ვალდებულებების ბუნება და მოცულობა და უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტების უეთო-ს განზომილებათა შორისი ქვეყნის კოდექსის ადამიანის უფლებათა ასპექტები.

### 1. უეთო-ს ადამიანის უფლებათა მიმართ ნაკისრ ვალდებულებათა არსი და სტატუსი

უეთო-ს ყოვლისშემოცეული უსაფრთხოების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს მისი შემოღებისთანავე ადამიანის უფლებათა მიმართ ნაკისრი ვალდებულებები წარმოადგენდა. პელსონკის საბოლოო აქტში უეთო-ს ნაწილი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ მათ შორის ურთიერთობების ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი იქნებოდა:

"სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური გამოყენება, რომელთაგან ყველა გამოძინდარეობს ადამიანისათვის დამახასიათებელი ღირსებებიდან და აუცილებელია თავისუფალი და სრული განვითარებისათვის".<sup>15</sup>

ვალდებულებები ადამიანის უფლებათა მიმართ რამდენჯერმე დადასტურდა (მაგ., მადრიდი 1983; ვენა 1989; და მოსკოვი 1991).

ის ვალდებულებები, რომლებიც უეთო-ს ნევრმა ქვეყნებმა იკისრეს ადამიანის უფლებებთან მიმართებაში, პოლიტიკურად ავალდებულებს იმ ქვეყნებს, ისევე, როგორც ახალ ნევრ ქვეყნებს, რომ მათ მიიღონ *აქტუს უეთო-ში* განვერიანებისთანავე. ქვემოთ ვაჯამებთ იმ ძირითად სფეროებს, რომლებშიც უეთო-ს ნევრმა ქვეყნებმა იკისრეს ეს ვალდებულებები. ძირითადი ინდივიდუალური ვალდებულებები კი ამ სფეროებში დანერგვით განიხილება III და IV ნაწილების შესაბამის თავებში.

ვალდებულებათა პოლიტიკური ბუნება ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, ისინი დაუყოვნებლივ შედიან ძალაში (რადგანაც მათ არ სჭირდებათ საკონსტიტუციო დამტკიცება) სრული მოცულობით (დამატებითი შენიშვნების გარეშე). თუმცა, სასამართლოები როდი ითვალისწინებენ მათ იურიდიულ იმპერატიულობას. უეთო-ს ვალდებულებები სცილდება ნების ან კეთილი ზრახვების უბრალო დეკლარაციის ფარგლებს. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ დანაპირებს ამ სტანდარტების დაცვისა და შესრულების შესახებ. მათ ასევე შესაძლოა მიუთითონ პრეცედენტული სამართლის აუცილებლობაზე თუ ეს ახასიათებს სახელმწიფო პრაქტიკას და თანმხლებ *opinio iuris*-ს.

1990 წელს კომპენაგენში უეთო-ს ნევრმა ქვეყნებმა განაცხადეს თავიანთი ვალდებულებების შესახებ უზრუნველყოფი ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და საჩივრების განხილვა მათი დადებითად გადწყვეტის პერსპექტივით. პრობლემის გადწყვეტის სხვადასხვა ზეზმი საშუალებას აძლევს შეიარაღებული ძალების ინდივიდუალურ სამხედრო მოსამსახურეებს პრაქტიკულად გამოიყენონ ამა თუ იმ სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვან ადამიანის უფლებათა ნორმები. პრობლემის სცილდება ნების ან კეთილი ზრახვების ფარგლებს. ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ დანაპირებს ამ სტანდარტების დაცვისა და შესრულების შესახებ. მათ ასევე შესაძლოა მიუთითონ პრეცედენტული სამართლის აუცილებლობაზე თუ ეს ახასიათებს სახელმწიფო პრაქტიკას და თანმხლებ *opinio iuris*-ს.

<sup>15</sup> პელსონკი 1975, ვეროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: I (ა) მონაწილე ქვეყნებს შორის ურთიერთობების მარკეტულიზებული პრინციპები - პრინციპი VI.

ბათა დარღვევის ფაქტების ეფექტური გამოსწორების რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი, რომელსაც შეიცავს 1990 წლის კოენაპაგენის დოკუმენტი.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება მდგომარეობის გამოსწორება სახელმწიფოს დონეზე, დახმარებისათვის მიმართავს საერთაშორისო მექანიზმებს. ეუთო-ს ადამიანის უფლებათა ვალდებულებები არ უზრუნველყოფს საჩივრის ინდივიდუალურ მექანიზმებს. ეს მექანიზმები მოიპოვება გაერო-სა და რეგიონალურ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით, რომლის ხელმოწერები არიან ეუთო-ს წევრი ქვეყნები. ეს საკითხები განხილულია მე-5 თავში.

ეუთო-ს მონაწილე ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ადამიანის უფლებათა ნებისმიერ შეზღუდვას უნდა უზრუნველყოფდეს კანონი და იგი უნდა შეესაბამებოდეს სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს (კოენაპაგენი, 1990). ადამიანის უფლებათა ნებისმიერი შეზღუდვა გამოყვანილი უნდა წარმოადგენდეს. იგი თანმიმდევრულად და პროპორციულად უნდა იქნას გამოყენებული კანონის მიზანთან შესაბამისად. ამდენად, ვალდებულებები ზუსტად ისეა ჩამოყალიბებული, როგორც ამას მოითხოვს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები.

## 2. ეუთო-ს მონიტორინგისა და განხორციელების მექანიზმები

ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა ნათლად განაცხადეს, რომ რამდენადაც ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო წესრიგის მთავარ საყრდენს წარმოადგენს, ადამიანის უფლებათა აღიარება კონკრეტული სახელმწიფოებისთვის იმპერატიული ხასიათის ატარებს. სახელმწიფოები ანგარიშვალდებული არიან თავიანთი ქვეყნებისა და ერთმანეთის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განხორციელების მხრივ. 1991 წელს მოსკოვში ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა კატეგორიულად და გადაჭრით დაადგინეს, რომ ეუთო-ს ადამიანის უფლებების ფარგლებში მოქცეული საკითხები წარმოადგენდნენ "ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყნის პირდაპირ და ლეგიტიმურ განსჯის საგანს".

რეგულარულ შეხვედრებთან ერთად, რომლებზეც განხორციელების საკითხები იხილება, ეუთო-მ ასევე დაანება ე.წ. ადამიანის განზომილების მექანიზმები — ვენის მექანიზმი<sup>16</sup> და მოსკოვის მექანიზმი<sup>17</sup>, რომელთაგან უკანასკნელი წარმოადგენს ვენის მექანიზმის უფრო სრულყოფილ ვარიანტს. ისინი ერთიანობაში ქმნიან პროცესს, რათა მოახდინონ ადამიანის განზომილებათა ვალდებულებების განხორციელების ზედამხედველობა, რასაც მოუწოდებენ ეუთო-ს წევრი ქვეყნები. ვენის მექანიზმი საშუალებას აძლევს წევრ ქვეყანას მთელი რიგი პროცედურების გაყვას საფუძველზე დააყენოს სხვა ეუთო-ს წევრ ქვეყანაში ადამიანის განზომილებასთან დაკავშირებული საკითხები. მოსკოვის მექანიზმი კი, ამასთან ერთად, უზრუნველყოფს დამატებით შესაძლებლობას დაინიშნოს დამოუკიდებელ ექსპერტთა ერთობლივი მისიები ადამიანის განზომილებასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად და დახმარების გასაწევად. იგი მოიცავს უფლებას გამოიყვანოს ექსპრტები ადამიანის განზომილებათა ვალდებულებების დარღვევის ფაქტები, განსაკუთრებულ შემთხვევებში, - ბრალდებული ქვეყნის თანხმობის გარეშეც კი.

პრაქტიკაში რეალურად ძალიან იშვიათად თუ გამოიყენება ადამიანის განზომილების მექანიზმები. - ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეუთო გარდაქმნა მუდმივმოქმედ ორგანიზაციად, და ნაწილობრივ, ასეთი სახის მექანიზმების<sup>18</sup> საფუძველად მდებარე პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ეუთო-ს დონეზე არსებობს მრავალი სხვადასხვა ორგანო, რომელსაც შეუძლია მონიტორინგი გაუწიოს ადამიანის განზომილებათა ვალდებულებების განხორციელებას, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების სამსახურისა და ეუთო-ს წარმომადგენლის ჩათვლით მედისის თავისუფლების საკითხებში. ეუთო-ს წევრი ქვეყნები პასუხისმგებელი არიან ალბუელ ვალდებულებათა განხორციელებაზე. ისინი ასევე მონაწილეობას იღებენ ერთობლივ განხილვაში ეუთო-ს წევრ ქვეყნებში ვალდებულებათა განხორციელებაზე.

<sup>16</sup> ისევე, როგორც დადგინდა ვენაში 1989 წელს, იხ. ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი (პელსინკის კონფერენციის მსაგებ მომდევნო მუხვებში).

<sup>17</sup> 1991 წლის მოსკოვის დოკუმენტი, მუხლები 1-6, შესწორებები შევიდა 1993 წლის რომის დოკუმენტის შედეგად (თავი IV, მუხლი 5).

<sup>18</sup> ODIHR აგრძელებს ექსპერტთა სიაზე მუშაობას, როგორც ამას მოსკოვის მექანიზმი მოითხოვს.

### 3. ეუთო-ს შესაბამისი ვალდებულებები

ეუთო-ს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ იყისრებდნენ გარკვეულ ვალდებულებებს კონკრეტულ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. სქემაში 4.1. იხილეთ ამ ვალდებულებათა შეჯამება, მომდევნო თავებში კი, - მათ დეტალურ განხილვას. გამომდინარე იქიდან, რომ ვალდებულებები ყველას ეხება, ისინი ასევე განსაზღვრულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის.

ნქმშა 4.1 ეუთო-ს ვალდებულებები და ადამიანის უფლებები		
უფლება	ეუთო-ს პალატის ვალდებულება	შემავლოში დანერგვითი ინფორმაცია
სიცოცხლის უფლება	"იმ წევრ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა ჯერ არ გაუქმებულა, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ხდება მხოლოდ სერიოზულ შემთხვევებში იმ კანონის ფარგლებში, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იყო ძალაში და არა საერთაშორისო ვალდებულებების საპირისპიროდ" (ვენა 1989)	თავი 16
წამება, არადამიანური და დამამცირებელი დასჯა ან მოპყრობა	"წევრი ქვეყნები სასტიკად გმობენ წამების ყველა ფორმას, რადგანაც ის ადამიანის უფლებათა და ღირსების ერთ-ერთი შემწარადი დარღვევაა. ისინი იღებენ ყოველგვარ ვალდებულებას მის აღმოსაფხვრელად" (ბუდაპეშტი 1994)	თავი 16
გაერთიანების უფლება	"ეუთო-ს წევრი ქვეყნები აფასებენ, რომ ყოველ ადამიანს განუზრუნველდება აქვს გაერთიანების და მშვიდობიანი შერევის უფლება" (პარიზი 1990)	თავები 8 და 9
გამოხატვის თავისუფლება	"ეუთო-ს წევრი ქვეყნები უზრუნველყოფენ ... რომ ყველას გააჩნდეს გამოხატვის თავისუფლების უფლება კომუნიკაციის უფლების ჩათვლით. ეს უფლება მოიცავს აზრის გამოთქმის უფლებას და ინფორმაციისა და იდეების/აზრების მიღებისა და შეტყობინების უფლებას სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად"	თავი 8
აზრის, სინდისის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება	"ეუთო-ს წევრი ქვეყნები თანხმბა არიან მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ ადამიანის თავისუფლება მიგმზროს ამა თუ იმ რელიგიასა თუ რწმენას მართლ ან სხვებთან ერთად მისი საკუთარი ცნობიერების კარნახით" (მადრიდი 1983)	თავი 11
ეროვნული, კულტურული და ენობრივი ინდივიდუალობა	"ეუთო-ს წევრი ქვეყნები დაიცავენ და შექმნიან პირობებს ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ინდივიდუალობის პირობებს თავიანთ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობებისათვის" (ვენა 1989)	თავი 12
თანაწარუფლებიანობა სქესიდან გამომდინარე	"ეუთო-ს წევრი ქვეყნები შეცდებიან აღმოფხვრან დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმები ქალების წინააღმდეგ და აღკვეთონ ძალადობა ქალთა და ბავშვთა მიმართ; ასევე, სქესუალური ექსპლუატაცია და ადამიანთა ტრეფიკინგის ყველა ფორმა." (სტამბოლი 1999)	თავი 13
ადამიანის უფლებათა განათლება	"ადამიანის უფლებათა განათლება ძირითადია და ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ეუთო-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეების განათლება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სკოლებში" (მოსკოვი 1991)	თავი 19
თავისუფლება უსაფუძვლო დაპატიმრებისა და სასამართლო პროცესისაგან	"არავის არ ნაართმევენ საკუთარ თავისუფლებას, გარდა იმ შემთხვევებში და იმ პროცედურებთან შესაბამისად, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობის მიერ" (მოსკოვი, 1991)	თავი 21
სამართლის სასამართლოს უფლება	"წევრი ქვეყნები ... ეუფეტურად გამოიყენებენ ... სამართლიანი და საჯარო მოსმენის უფლებას შესაბამისი დროის პერიოდში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე." (ვენა 1989)	თავი 21
ეუფეტური შემამსუბუქებელი ქმედების უფლება	"(წევრი ქვეყნები) უზრუნველყოფენ, რომ ეუფეტური შემამსუბუქებელი ქმედებები ისევე, როგორც სრულყოფილი ინფორმაცია მათ შესახებ, ხელმისაწვდომი იყოს მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ ირღვევა მათი ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები" (ვენა, 1989) "წევრი ქვეყნები განიხილავენ რეგიონალურ ან გლობალურ საერთაშორისო ხელშეკრულებასზე ხელის მონერას, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას, როგორცაა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების არასავალდებულო ოქმი, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთაშორისო ორგანიზებისათვის ინდივიდუალური დანმარების პროცედურებს" (კოპენაგენი 1990)	თავები 5 და 7

"ეუთო-ს ადამიანის განზომილებათა ვალდებულებები (ვარშავა: ეუთო/ODIHR, 2005), მე-2 გამოცემა, ტომი 1, თემატური შედგენა. ეუთოს ვალდებულებების უფრო ვრცელი ნაკრები შეგიძლიათ იხილოთ დანართში 1.

ადამიანის უფლებებთან დაკვირვების ზოგად ვალდებულებებთან ერთად, არსებობს სამსპეციფიკუ-ური სფერო, როგორც უფრო-სწრაფი ან უფრო-სწრაფი ვალდებულებების შეიარაღებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიმართებაში. პირველ რიგში, წევრმა ქვეყნებმა აიკისრეს ვალდებულებების შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიმართებაში. პირველ რიგში, წევრმა ქვეყნებმა აღიარეს ერთ-მანეთს, რომ შემოიღებდნენ სამხედრო სამსახურის ალტერნატივებს (კოპენაგენი 1990 და ბუდაპეშტი 1994; მე-10 თავში მოცემულია ამჟამად პროცესები). გარდა ამისა, ქვეყნები შეთანხმდნენ შეიარაღებულ ძალებში ახალწვეულთა განხილვის მინიმალურ ასაკზე. 1990 წელს კოპენაგენში ქვეყნები შეთანხმდნენ განხილვით გაერო-ს ბავშვთა უფლებების კონვენციაზე ხელის მონერა, რაც მათ ჯერ არ გაუკეთებიათ. ქვეყნებმა ასევე აიღეს ვალდებულება გააძე-ხედათ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს სამხედრო, ნახ-ვერად სამხედრო და უსაფრთხოების ძალებში პერსონალის განხილვა (ბუდაპეშტი, 1994). ამას ემატება ისიც, რომ ქვეყნებმა აიღეს თავზე ის ვალდებულებაც, რომ იურიდიულად დაიცვით შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებები. ყველაფერი ზემოთ ტიპური საუკეთესო ასახავს პოულობს უფრო-სწრაფი ქვეყნის კოდექსში უსაფრთხოების პოლი-ტიკურ-სამხედრო ასპექტებზე (ბუდაპეშტი, 1994).

#### 4. უფრო-სწრაფი კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე: ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებანი

უფრო-სწრაფი კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე მიღებულ იქნა უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმის მიერ 1994 წლის 3 დეკემბერს.<sup>28</sup> იგი ძალაში შე-ვიდა, როგორც პოლიტიკური დოკუმენტი, 1995 წლის 1 იანვარს. ქვეყნის კოდექსი წარმოად-გენდა პირველ მრავალმხრივ ინსტრუმენტს, რომელიც აწესრიგებდა შეიარაღებულ ძალებს როგორც სამხედრო, ისე საგარეო დონეზე. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიარაღებუ-ლი ძალების დემოკრატიული კონტროლი "სტაბილურობისა და უსაფრთხოების განუყოფე-ლი ნაწილია და დემოკრატიის მნიშვნელოვანი გამოსატყულება" (მუხლი 20). იგი იზიარებს იმ აზლებზე მიდგომას, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების როგორც ადამიანურ, ისე სამხე-დრო მხარეებს. გარდა ამისა, კოდექსის გამოყენება შესაძლებელია სამხედრო და თავდაცვი-თი პოლიტიკის პირობებში, როგორც მშვიდობიანი, ისე კონფლიქტის პირობებში: ეს მნიშ-ვნელოვანი აღიარება ტრადუციულებისა უფრო-სწრაფი ქვეყნების მთავრობების მხრიდან იმ სფეროში, რომელსაც შეზღუდვად იხინი მკაცრად იცავდნენ.

ქვეყნის კოდექსი ოთხ ძირითად პრინციპს ემყარება: სამხედრო ძალაუფლებაზე კონსტიტუცი-ური სამოქალაქო ძალაუფლების უპირატესობა (მუხლი 21-26); შეიარაღებული ძალების საერ-თაშორისო კომუნიკაციის სამართალს დაქვემდებარება (მუხლები 29-31 და 34-35); შეიარა-ღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებათა პატივისცემა (მუხლები 23, 27-28 და 32-33); და ძალაუფლების ქვეყნის შიგნით გამოყენების შეზღუდვა, რაც მათ კანონით დადგენილ მისიას და ადამიანის უფლებათა მშვიდობიან და კანონიერ გამოყენებაში ჩაერეის შეზღუდვას შეესაბამება (მუხლები 36-37).

შესაბამისად, ქვეყნის კოდექსს ადამიანის უფლებათა მიმართ ორმაგი მიდგომა ახასიათებს. პირველ რიგში, უფრო-სწრაფი ქვეყნებს ვალდებთ უზრუნველყონ სამოქალაქო პირთა ადამი-ანის უფლებათა პატივისცემა მათი შეიარაღებული ძალების მიერ და დაიცვან საერთაშორისო კომუნიკაციის სამართალი. მეორეა, უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სამოქალაქო პირებს აარიდონ ზიანი, და ძალების გამოყენება უნდა იყოს პროპორციული. სამხედრო ძალებ-ის ინდივიდუალური წარმომადგენლები პასუხს უნდა აგებდნენ საერთაშორისო სამართლის დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაზე. ასევე, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამი-ანის უფლებები თვით სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს გამართული შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, რომლებიც იცავენ მათ უფლებებს სასამართლოებისა თუ სხვა დამოუკიდებელი საშუალებე-ბით, როგორცაა, მაგალითად, სამხედრო ომბუდსმენი.

ქვეყნის კოდექსის დებულებები, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებებს, შეჯამებულია სქე-მაში 4.2. როგორც 23-ე მუხლიდან, რომელიც პოლიტიკურ ნეიტრალობას ეხება, და 32-ე მუხ-ლიდან ჩანს, რომლის თანახმად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებმა უნდა ისარგ-ებლონ სტანდარტული ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, რომლებიც მოცემულია უფრო-სწრაფი დოკუმენტაციაში და საერთაშორისო სამართალში "შესაბამისი საკონ-სტიტუციო და იურიდიულ დებულებებთან და მომსახურების მოთხოვნებთან შეთანხმებით",

<sup>28</sup> არსული ტექსტი იხილეთ გვერდზე: [http://www.osce.org/documents/sec/1994/12/4270\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/sec/1994/12/4270_en.pdf); კონვენტარისათვის იხილეთ გეგალი და ლამბერტი, ოპ. ციტ., მენიონა 2.

კოდექსში მოცემულია "მოქალაქე სამხედრო ფორმაში" მიდგომა. ერთ-ერთი კომენტატორის სიტყვებით, "ქვეყნის კოდექსში მკაფიოდაა გამოყალიბებული ის აზრი, რომ ინდივიდუალური სამხედრო მოსამსახურეების უფლებები არ მთავრდება ყაზარმებთან."<sup>21</sup>

უთო-ს ნეერი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ყოველწლიურად ერთმანეთს გაუზიარებდნენ ინფორმაციას ქვეყნის კოდექსის განხორციელების შესახებ ყოველი წლის 15 აპრილისათვის, კითხვარის შევსების გზით.<sup>22</sup>

#### სქემა 4.2.

**უთო-ს ქვეყნის კოდექსი: ადამიანის უფლებათა ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებანი<sup>23</sup>**

##### **შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებები**

- სამხედრო სამსახურში განევა უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ვალდებულებებს (მუხლი 27);
- ადგილობრივი კანონმდებლობა უნდა ახასიაღებს შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებებს (მუხლი 28);
- ნეერი ქვეყნები უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიერ ადამიანის უფლებათა პატივისცემას მათი უფლებების დაცვის მიზნით, შესაბამისი იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურების ჩათვლით (მუხლები 32 და 33).

##### **შეიარაღებული ძალების მოვალეობები ადამიანის უფლებათა დასაცავად**

- შეიარაღებული ძალები უნდა იყვნენ პოლიტიკურად ნეიტრალური (მუხლი 23);
- სახელმწიფოებს მოეთხოვებათ განვრთნან და მიანოდონ ინფორმაცია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ომის საერთაშორისო პუმიანტარულ სამართალში (მუხლები 29 და 30);
- შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებ შესაძლოა ინდივიდუალურად აგოს პასუხი საერთაშორისო პუმიანტარული სამართლის დარღვევებზე (მუხლი 31);
- მშვიდობასა თუ ომში შეიარაღებული ძალები იმართება, კომპლექტდება, ინერტდება და აღიჭურვება საერთაშორისო სამართლის დებულებებთან შესაბამისად (მუხლი 34);
- ძალის გამოყენება უსაფრთხოების შიდა მისიების განხორციელებისას უნდა შეესაბამებოდეს განხორციელების საჭიროებებს. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებმა უნდა იმოქმედონ შესაბამისად, სამოქალაქო პირებისა და მათი ქონების ზიანის თავიდან ასაცილებლად (მუხლი 36);
- შეიარაღებული ძალების გამოყენება ვერ შეზღუდავს მოქალაქეთა ადამიანისა და სამოქალაქო უფლებათა მშვიდობიან და კანონიერ გამოყენებას და არ უგულებელყოფს მათ ეროვნულ, რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ პიროვნულობას (მუხლი 37).

<sup>21</sup> ეიტორ ივ გებალი, "უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე უთოს ქვეყნის კოდექსის ხელახლა გადახედვა (1994)", პუნიერ პანგსა და თუდორ უინკლერის ნაშრომი უსაფრთხოების სექტორის მართვის გამოწვევები (ბერლინი: DCIF და LIT Verlag, 2003)

<sup>22</sup> უთო-ს უსაფრთხოების თანამშრომლობის ფორუმი, გადაწყვეტილება No. FSC.DEC/4/98. 1998 წლის 8 ივლისი

<sup>23</sup> უთო-ს ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე, ნაწილები VI და VI

## ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შეიქმნა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საფუძველზე და წარმოადგენს მრავალი საერთაშორისო თუ რეგიონალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. მისი შემადგენელი ნაწილია მრავალი დეკლარაცია და სხვა სახის დოკუმენტი, როგორცაა, ერთ-ს ადამიანის განზომილებათა ვალდებულებები. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები (განსაკუთრებით საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია) შეადგენენ წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი და განხილული უფლებების ძირითად საფუძველს (იხ. სქემა 5.1. ძირითადი დებულებებისათვის).

წინამდებარე თავში განხილულია ძირითადი ხელშეკრულებები და მათი გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები შეიარაღებული ძალების წევრთა მიმართ. ადამიანის უფლებათა სამართლის თანახმად, აღიარებულია პრინციპი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიმართ მოპყრობა როგორც მოქალაქეებისა საშუალოდ ფორმადი. გარდა ამისა, ამ თავში მოცემულია ამ ხელშეკრულებებსა და ადგილობრივ კანონმდებლობას შორის ურთიერთკავშირი და ის პირობები, რომელთა თანახმადაც შესაძლებელია ამ უფლებათა შეზღუდვა საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. დაბოლოს, აქ მოცემულია დაცვის ის შექანიზმები, რომლებიც გამოიყენება ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევისას.

### 1. ძირითადი ხელშეკრულებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანამედროვე კანონმდებლობა ემყარება გაერო-ს ქარტიას (კონკრეტულად კი მის პრეამბულას და 1-ელ, მე-3, 55-ე და 56-ე მუხლებს). მის ასევე თან ახლავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. გარდა ამისა, არსებობს გაერო-ს ხელშეკრულებები, რომლებიც განიხილავენ დისკრიმინაციას რასობრივ და ქალთა საკითხებთან მიმართებაში; კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ; კონვენცია ნაშვებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამკრებელი მოპყრობის შესახებ<sup>24</sup>; და ის კონვენციები, რომლებიც ეხება ლტოლვილებსა და მოქალაქეობის საკითხებს (იხ. სქემა 5.1, სადაც თავმოყრილია ძირითადი დებულებები).

შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა სამართალთან ერთად გამოიყენება საერთაშორისო პუბლიცისტური სამართალი<sup>25</sup> ძირითადი ხელშეკრულებებისა ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის პროტოკოლები (ოქმები). მთელი რიგი სხვა ხელშეკრულებებისას ასევე ავალდებულებენ სახელმწიფოებს დაიცვან ადამიანის უფლებები, მათ შორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში. ეს მოიცავს 13 ზოგად ხელშეკრულებას, მათ შორის ხელშეკრულებებს ტერორიზმის, გენოციდისა და მონობის შესახებ და რომის წესდებებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ. რამდენიმე ეს დებულება პოტენციურად ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს. წინამდებარე სახელმძღვანელო უფრო მეტად ფოკუსირებულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებებზე, ვიდრე მათ ვალდებულებებზე პატივი სცენ სამოქალაქო პირების ან კომბადანტების ადამიანის უფლებებს. ამდენად, ჩვენ არ განვიხილავთ საერთაშორისო პუბლიცისტურ სამართალს ან პირად ვალდებულებებს საერთაშორისო სისხლის სამართლის მიხედვით, გარდა მეთაურის პასუხისმგებლობისა განსაკუთრებული პირობების დროს (იხ. თავი 20. "მეთაურთა პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური ვალდებულება").

გაეროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შემდგომში რეგულირდება სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა შესახებ. პრაქტიკაში, ერთ-ს წევრი ქვეყნებისათვის შესაფერისი მთავარი სისტემებია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია, რომლის რატიფიცირება მოხ-

<sup>24</sup> ასევე, იხილეთ ნაშვებისა და არადამიანური ან დამამკრებელი მოპყრობისა და დასჯის თაიდან აკრძალვის ევროპული კონვენცია.  
<sup>25</sup> იხ. დ. ფლეიო, შეიარაღებული კონფლიქტების პუბლიცისტური სამართლის სახელმძღვანელო (ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975); ი. დეტერი, ომის სამართალი (კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000), მე-2 გამოცემა.

და 46 ქვეყნის მიერ.<sup>26</sup> ევროპული კონვენცია მოქმედებს ყველა ქვეყანაში შემდეგი ცხრა ქვეყნის გარდა: ბელორუსია, კანადა, ვატიკანის სამეფო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და უზბეკეთი. კონვენციის 1-ელი მუხლი ავალდებულებს ნევრ ქვეყნებს<sup>27</sup> თვითონ იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის<sup>28</sup> უზრუნველყონ კონვენციით გასაზღვრული უფლებები და თავის უფლებები. ამდენად, იგი ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს.

## 2. ადამიანის უფლებათა შესაბამისობა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის

მრავალი ქვეყნის ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში უკვე ფართოდ არის გავრცელებული პრინციპი – მოქალაქე სამხედრო ფორმაში. ეს კი მოითხოვს შეიარაღებული ძალების პერსონალის სამხედრო ცხოვრებასთან შესაბამისობას სხვა მოქალაქეების ჩვეულებრივი სამოქალაქო და კონსტიტუციური უფლებების გათვალისწინებით. როგორც მოგვიანებით მე-მ თავში ავსენით, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მოაზრება როგორც მოქალაქეებისა სამხედრო ფორმაში, უფრო მეტად უწყობს ხელს სამხედრო პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებას, ვიდრე ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს სამხედროთა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრებისგან დისტანცირებას. მაგალითად, აშშ-ის სასამართლომ განაცხადა: "ჩვენს მოქალაქეებს სამხედრო ფორმაში არ უნდა ჩამოერთვათ ძირითადი უფლებები მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გაიხადეს სამოქალაქო სამოსი".<sup>29</sup> საერთაშორისო დონ-

### სქემა 5.1

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების მთავარი ვალდებულებები და მათი შესაბამისობა		
უფლება	სამართლებრივი წყარო	შესაბამისობის ნიშნუხები
სიცოცხლის უფლება	მუხლი 2. ECHR მუხლი 6. ICCPR მუხლი 6. CRC მუხლი 3. UDHR (სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოება)	ახალწვეულთა განსაკუთრებული შევიწროება; სამხედრო დანესტებულებებში ან სამხედრო სამსახურისას დეფიციტური სექტორ სიკვდილიანობის გამოძიება
თავისუფლების უფლება	მუხლი 5. ECHR (ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლებშიც ამ უფლების არე შესაძლოა შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) მუხლი 9. ICCPR მუხლი 5. ICERD მუხლი 10. ICCPR მუხლი 1. UDHR (თავისუფლება და თანასწორობა) მუხლი 3. UDHR (სიცოცხლე, თავისუფლება და უსაფრთხოება)	დაკავება სამხედრო სამართლის სისტემის ფარგლებში
თანასწორობის უფლება	მუხლი 14. ECHR მუხლი 3. ICCPR (არ არის მოცემული ის საფუძველი, რომელსაც ეფუძნება დისკრიმინაცია) მუხლი 14. ICCPR (თანასწორ ტრიბუნალისა და სასამართლოს ნინაშე) მუხლი 2. CEDAW მუხლი 15. CEDAW მუხლი 2. ICERD მუხლი 3. ICESCR მუხლი 2. CRC მუხლი 1. UDHR (თავისუფლება და თანასწორობა) მუხლი 2. UDHR მუხლი 6. UDHR (კანონის ნინაშე აღიარების უფლება) მუხლი 7. UDHR გაერო-ის ქარტიის პრეამბულა	განსხვავებები ქალების, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა, მომსახურე და ლესბოსელ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ მოპყრობაში (მაგალითად, ორსულობის შეწყვეტის ან სექსუალური ორიენტაციის, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში, ასევე შეზღუდვები ქალების საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისას)

<sup>26</sup> ცალკეული ქვეყნების მიერ რატიფიცირებისათვის, იხ. <http://www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Basic+Texts/Basic+Texts/Dates+of+ratification+of+the+European+Convention+on+Human+Rights+and+Additional+Protocols>  
<sup>27</sup> Chappel v. Wallace, United States Supreme Court, 13 June 1983, United States Reports, Tomi 462, 1983, gy. 29316, 304 (კარლს უორენის ციტირება. "უფლებათა ბილი და სამხედროები", ნიუ იორკის უნივერსიტეტის სამართლებრივი მიმოხილვა, ტომი 37, 1962, გვ. 181, 188).



სამართლიანი სასამართლო პროცესის, მოსმენისა თუ გამოსწორების უფლება	<p>მუხლი 6. ECHR (სამართლიანი და საჯარო მოსმენა გონივრულ ვადებში)</p> <p>მუხლი 7. ECHR (უკუქმედების გარეშე)</p> <p>მუხლი 13. ECHR (ეფექტური საშუალება)</p> <p>მუხლი 15. ICCPR (უკუქმედების გარეშე)</p> <p>მუხლი 5. ICERD</p> <p>მუხლი 6. ICERD</p> <p>მუხლი 12. CRC</p> <p>მუხლი 6. UDHR (კანონის წინაშე ალიარების უფლება)</p> <p>მუხლი 8. UDHR (ეფექტური საშუალება)</p> <p>მუხლი 10. UDHR (დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება საჯარო და სამართლიანი განხილვის უფლება)</p> <p>მუხლი 11. 1 UDHR (უდანაშაულობის პრეზუმფიცია)</p>	სასამართლოთა სამხედრო და იუსტიციის სისტემები
აზრის, სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება	<p>მუხლი 9. ECHR</p> <p>მუხლი 10. ECHR</p> <p>მუხლი 18. ICCPR</p> <p>მუხლი 5. ICERD</p> <p>მუხლი 12. CRC (ენიჭებათ შთა, ვისაც შეუძლია საკუთარი აზრის/შეხედულების გამოხატვა)</p> <p>მუხლი 13. CRC</p> <p>მუხლი 14. CRC</p> <p>მუხლი 18. UDHR</p> <p>მუხლი 19. UDHR</p> <p>მუხლი 5. ICERD</p>	სამართლიანი წინააღმდეგობის განვეის უფლება; შეზღუდვები რელიგიის ნიშან-თვისებების გამოვლენასთან დაკავშირებით (მაგ., როდესაც რელიგიური სამოსი ეწინააღმდეგება სამხედრო ფორმის მოთხოვნებს, მარხვის დაცვის მოთხოვნები, რელიგიური თავყვანისცემისა და დაკვირვების შესაძლებლობები, რელიგიური საზოგადოებების სხვა წევრებთან კავშირი, მოსამსახურე პერსონალის პროსელიტიზმი)
უფლება არ გახდეს სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი	<p>მუხლი 8. ECHR</p> <p>მუხლი 17. ICCPR (არანაირი სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება თანხმობის გარეშე)</p> <p>მუხლი 12. UDHR</p>	ახალწვეულებს "დედოქარინა" და ზიარების რიტუალები
აზრისა და გამოსატყვის, სიტყვის თავისუფლება	<p>მუხლი 19. ICCPR</p> <p>მუხლი 19. UDHR</p> <p>მუხლი 10. ECHR</p> <p>მუხლი 13. CRC</p>	შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ საჯარო გამოსვლების შეზღუდვები
მშვიდობიანი შეკრებისა თუ პროტესტის უფლება	<p>მუხლი 11. ECHR</p> <p>მუხლი 21. ICCPR</p> <p>მუხლი 5. ICERD</p> <p>მუხლი 8. ICESCR</p> <p>მუხლი 20. UDHR</p>	შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მონაწილეობა სავაჭრო კავშირებში ან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებში

ეუ ზუსტად იგივე მიდგომა გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, რომელიც უფრო დეტალურად ქვემოთ არის აღწერილი.

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებებს თანამედროვე კონტექსტში გააჩნია დამატებითი მნიშვნელობა ორი მიზეზის გამო. პირველ მიზეზს წარმოადგენს სამხედრო ოპერაციების ცვალებადი ბუნება. დღესდღეობით, როგორც ჩანს, შეიარაღებული ძალები უფრო სამშვიდობო ოპერაციებში გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივ, ტრადიციულ ომში. სამხედრო მოსამსახურეები სამშვიდობო ოპერაციებში უფრო მეტად არიან ჩართულნი იმიტაციის, რომ დაეხმარონ პოლიტიკურ ინსტიტუტებს საზოგადოებების შიგნით, რომლებიც კონფლიქტის შედეგად არიან დაზარალებული, ხელახლა დაამკვიდრონ ადამიანის უფლებათა პატივისცემის ინსტიტუტები მათი კონტროლის ტერიტორიაზე. ისინი ამას უკეთ შეძლებენ, თუ ეცოდინებათ და შეჩვეული იქნებიან ასეთ კულტურას საკუთარ შეიარაღებულ ძალებში. ასევე, იმ ადგილებში, სადაც შეიარაღებული ძალები არ არიან ჩართული ტრადიციულ საომარ მოქმედებებში და გააჩნიათ წესრიგის დამყარების მსგავსი მისია, მათი უფლებების შეზღუდვა საგრძნობლად შესუსტებულია სამხედრო დისციპლინის გამო.

გარდა ამისა, ძალზედ მნიშვნელოვანია სამუშაო პირობებსა და სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების შორის იმ განსხვავებების გათვალისწინება, რომლებიც ახასიათებთ სამხედრო მისიებს მრავალეროვან ფორმატში. შესაბამისად, არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ვიდრე ასეთი განსხვავებები თვალშისაცემი გახდება, შესაძლებელია ამან თავისი ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამხედრო ქვედანაყოფის მორალსა და ეფექტურობაზე, რომლებიც ნაკლები უფლებებით სარგებლობენ.

2006 წლის აპრილში, ვერო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განსაკუთრებით აღნიშნა ნვერი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების პატივისცემის მნიშვნელოვნება:

"იმ დროს, როდესაც ნვერი ქვეყნების შეიარაღებული ძალები ერთი და იმავე ამოცანების შესრულებით არიან დაკავებული, ასამბლეა მხარს უჭერს საზიარო პრინციპებს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს სამხედრო ხელმძღვანელობისათვის და იმ პირობების დასაცავად, რომლებშიც ისინი ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ვერ მოუთხოვთ დაიცვათ ლუბრატორიული სამართალი და ადამიანის უფლებები თავიანთი ოპერაციების წარმოებისას, თუ ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა არ იქნება დაცული თვით ჯარის იერარქიულ ჯაჭვში. ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ევრო საბჭომ მოამზადოს სახელმძღვანელო პრინციპები შეიარაღებული ძალების მართვისათვის, ასევე განსაზღვროს შესაბამისი პოლიტიკა ნვერი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეთა ადამიანის უფლებებში ცნობიერების ამაღლებისათვის".<sup>24</sup>

მიდგომა "მოქალაქე სამხედრო ფორმაში", რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, შეგვიძლია მოვიზიაროთ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებასთან მიმართებაში ECHR-ის ფარგლებში: გამოხატვის, სიტყვის თავისუფლება; აზრის, რწმენისა და აზროვნების თავისუფლება; ასოციაციის თავისუფლება. თვით კონვენციის სისტემა ცივკონფლიქტის დროსაც უფლებებს. ეს ის უფლებებია, რომელთა შეზღუდვა შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანას იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი პირობა უკვე შესრულდა. შეზღუდვები უნდა "შესაბამებოდეს კანონს" ან ისინი "კანონით უნდა იყვნენ განსაზღვრული" და "საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში" რამდენიმე კონკრეტული ინტერესიდან ერთ-ერთის გამო. შეიარაღებული ძალებისათვის გარკვეული შეზღუდვების დანერგვა ძირითადად ეფუძნება "ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს", თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მოყვანილია აგრეთვე "უენსიგობის თავიდან აცილება" და "სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების" დაცვა.

მიდგომა "მოქალაქე სამხედრო ფორმაში" შეესაბამება არა მხოლოდ იმ შეიარაღებულ ძალებს, რომელთაც ახალწვეულია დიდი კონტინგენტი გააჩნიათ, არამედ, იგი ასევე მოიცავს უფრო მნიშვნელოვან და ზოგად ძირითად ცნებას შეიარაღებული ძალების ადგილისა დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პირობებში. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შესაბამისი იდეოლოგიით აღჭურვა, რომ ისინი სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, ძლიერდება დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ პატივისცემა.

## საქმე 5.2

### მოქალაქე სამხედრო ფორმაში: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა

მთავარი მიდგომა შეგვიძლია ამოვიკითხოთ საქმეში *ენგელი ნიდერლანდების (1976)*<sup>25</sup>

"54. ... კონვენცია ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს და არა მხოლოდ სამოქალაქო პირებს. 1-ელ და მე-14-ე მუხლებში მოცემულია, რომ ხელშეკრულების ხელმოწერილი ქვეყნების "იურის-დისკრის ქვეშ არსებული ყველა პირი" დისკრიმინაციის გარეშე უნდა სარგებლობდეს "პირველ ნაწილში მოცემული უფლებებითა და თავისუფლებებით". ....

"მოუხდევად იმისა, რომ სასამართლო ამ კონკრეტულ მდგომარეობას უქვემდებარებს ნესებს, მან უნდა გაითვალისწინოს სამხედრო ცხოვრების განსაკუთრებული ნიუანსები და მისი გავლენა შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური მოსამსახურეების მდგომარეობაზე".

<sup>24</sup> ევრო საბჭო, საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1742 (2006). იხ. <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta06/REC1742.htm>.

<sup>25</sup> ენგელი ნიდერლანდების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1976 წლის 8 აგვისტო, ადამიანის უფლებათა ევროპული ინგარიშები, ტომი 1, 1979, გვ. 647.

### 3. ურთიერთობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ სამართალს შორის

შვიარალბული ძალების მოსამსახურეები შესაძლოა ნააწყნდნ სირთულეებს თაიანთი ადამიანის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, რაც ზოგჯერ გამოწვეულია ამ უფლებების სუსტი იურიდიული სტატუსით ადგილობრივ სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში.

მრავალ ქვეყანაში არსებობს საკონსტიტუციო დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ სახელმეკრულებო ვალდებულებები (როგორცაა, ზემოთ აღწერილი ადამიანის უფლებათა დებულებები) ავტომატურად ხდებიან ქვეყნის შიდაკანონმდებლობის ნაწილი. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მათ უპირატესობას ანიჭებენ.

სხვა სახელმწიფოებში (სადაც ე.წ. ორმაგი სისტემებია) აღმასრულებელი პირების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები ავტომატურად არ ხდება ქვეყნის კანონმდებლობის ნაწილი და, შესაბამისად, ის არ ცვლის სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს. თუ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს ავალდებულებს და თუ საჭიროა უფლება-მოვალეობების შეცვლა ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, ამისათვის უნდა არსებობდეს შიდა რეგულირების გარკვეული კანონიერი მექანიზმები.<sup>30</sup> ზოგიერთმა ქვეყანამ დამატებით შეიმუშავა შესაბამისი სამართლებრივი ნორმები, რათა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ვალდებულებებისათვის მიეცა კონკრეტული შიდა სამართლებრივი სტატუსი, მაგ., სასამართლოს დაევალებულია გააიზროს კანონმდებლობა ამ ვალდებულებების კუთხით შეძლებისდაგვარად, მაგრამ არაკონსტიტუციური კანონმდებლობის გადამეტების გარეშე.

მრავალ სახელმწიფოში, იმის მიუხედავად, გააჩნიათ თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულებებს პრივილეგირებული სტატუსი, ეროვნული დებულებები ემთხვევა ადამიანის უფლებათა ამ ვალდებულებების შინაარსს.

მიუხედავად განსხვავებულ მიდგომებისა, შედარებით დამახასიათებელია როგორც საპარლამენტო, ისე საკონსტიტუციო ორგანოებისათვის გამოიყენონ ვეტოს უფლება ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან მიმართებაში კანონპროექტების მომზადებისას.

კონკრეტული საკონსტიტუციო დებულებების ან სხვა სახის კანონმდებლობის არარსებობის დროსაც კი, ადგილობრივი სასამართლოები ხშირად ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით, მაგალითად:

- "(ა) როგორც კონსტიტუციის საფუძველი;
- "(ბ) როგორც ზოგადად სამართლის ძირითადი განმსაზღვრელი;
- "(გ) როგორც საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის პრაქტიკა, რომელიც თავის მხრივ ქვეყნის იურისდიქციის ნაწილია;
- "(დ) როგორც სახელმწიფო პოლიტიკის მტკიცებულება; და
- "(ე) როგორც შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია."<sup>31</sup>

<sup>30</sup> იხ. მაგალითად, "Parlement Belge"-ს საქმე, ინგლისის საჩივართა სასამართლო, 1880, *Probate Division Reports*, ტომი 5, 1880, გვ. 179

<sup>31</sup> ახალი ზელანდიის საერთაშორისო სამართლისა და მისი წყაროების სახელმძღვანელო, ანგარიში 34 (ველინგტონი: ახალი ზელანდიის საკანონმდებლო კომისია, 1996), გვ. 23. იხ: [http://www.lawcom.govt.nz/UploadFiles/Publications/Publication\\_38\\_101\\_R34.pdf](http://www.lawcom.govt.nz/UploadFiles/Publications/Publication_38_101_R34.pdf).

## სქემა 5.3

### ბოსნიისა და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია<sup>2</sup>

#### მუხლი II. ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

##### თავი 1. ადამიანის უფლებები

ბოსნია და ჰერცეგოვინაში უნდა უზრუნველყონ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უმაღლესი დონე. ამისათვის, შეიქმნება ადამიანის უფლებათა კომისია ბოსნიასა და ჰერცეგოვინასთვის...

##### თავი 2. საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და მის პროტოკოლებში მოცემული უფლებები და თავისუფლებები უნდა პირდაპირ იქნეს გამოყენებული ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში. ამას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უპირატესი ძალა სხვა კანონებთან მიმართებაში.

##### თავი 3. უფლებათა ჩამოთვლა

ყველა ადამიანი ბოსნიასა და ჰერცეგოვინას ტერიტორიის ფარგლებში უნდა სარგებლობდეს ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით, რომლებიც მოცემულია ზემოთ მე-2 თავში.

##### თავი 4. არა-დისკრიმინაცია

უფლებათა და თავისუფლებათა გამოყენება ... უნდა ერცელდებოდეს ყველა ადამიანზე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში გაზოგადებულად სექსისა, რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური წარმომობისა, ეროვნულ უმცირესობასთან, საკუთრებასთან, დაბადების ან სხვა სტატუსთან კავშირის გარეშე ...

##### თავი 6. განხორციელება

ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მისმა ყველა სასამართლომ, სახელმწიფო უწყებამ და ორგანომ და სხვა სახის დანებებულებამ, რომელთაც ხელმძღვანელობს ესა თუ ის სუბიექტი ან მის ფარგლებშია, უნდა აღიარონ და მოქმედებდნენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პრინციპებით ...

##### თავი 8. თანამშრომლობა

ყველა კომპეტენტური ორგანო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში უნდა თანამშრომლობდეს და უზრუნველყოფდეს შეზღუდვად მისაწვდომობას ნებისმიერი ადამიანის უფლების მონიტორინგის მექანიზმთან, რომელიც შეიქმნა ბოსნიისა და ჰერცეგოვინასთვის ...

## 4. უფლებების შეზღუდვებისა და შესუსტების ტიპები

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებების მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა სფეროს შეზღუდვას. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მთავარი როლი გააჩნიათ საგანგებო და კრიზისულ ვითარებაში, როდესაც ადამიანის უფლებები (მათი უფლებების ჩათვლით) შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. თუმცა რამდენადაც შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის პერიოდშიც კი განსაკუთრებული რეჟიმით მოქმედებენ, მისაღებია მათი უფლებების გარკვეული სახით შეზღუდვა. ასეთი მიდგომის პირობებში იზრდება იმის საშიშროება, რომ უფლებათა შეზღუდვის გამართლება მოხდეს ადეკვატად, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად დაზარალოს ძირითადი დემოკრატიული ღირებულებები. შესაბამისად, ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი უფლებები შეიზღუდება, რა პირობებში, რა პროცედურული დაცვით და რა მასშტაბით.

ადამიანის საერთაშორისო უფლებები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად:

- ისინი, რომელთა უგულვებელყოფა არ შეიძლება (არა-უგულვებელყოფადი უფლებები)
  - ისინი, რომელთა უგულვებელყოფა შესაძლებელია მაშინ, როდესაც უკიდურესი მდგომარეობა სახელმწიფოში (უგულვებელყოფადი უფლებები)
- ისინი, რომელთა შეზღუდვა შესაძლებელია კანონით, გარკვეული კონკრეტული საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით (საიდუმლო უფლებები)

მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო უფლებები და უგულვებელყოფადი უფლებები გარკვეულწილად ერთმანეთს ემთხვევა და ეს ცნებები საკმაოდ მკაფიოა, მათ განსხვავებული პრაქტიკული მიდგომა ახასიათებთ. მხოლოდ მაშინ, როდესაც დაშვებადი უფლებების თვისებები

<sup>2</sup> ბოსნია და ჰერცეგოვინას კონსტიტუცია, 1995 (არაოფიციალური თარგმანი).

არ შეეფერება საგანგებო მდგომარეობებს, სახელმწიფო თავად წყვეტს უარყოს თუ არა ესა თუ ის უფლება. სწორედ ამიტომ ამ უფლებათა უგულვებელყოფა იმპორტად თუ არის საჭირო, რამდენადაც შესაბამისი უგულვებელყოფა საჭიროებს გარკვეული ფორმალობების დაცვას.

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებების შეზღუდვა უმეტესწილად იმიტომ ხდება, რომ ამ უფლებების მხოლოდ შესუსტება ვერ ხერხდება.

ზოგიერთი ქვეყანა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს გარკვეული შეზღუდვებით უერთდება (რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი სამართლებრივი კუთხით არ არიან მზად იმისათვის, რომ ესა თუ ის უფლება აღიარონ). შეიარაღებული ძალებისათვის შესაფერისი ერთი ნიმუში გახლავთ ის, რომ ეუთო-ს წევრი მრავალი ქვეყანა შეუერთდა შეზღუდვებს ECHR-ის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართ მათი სამხედრო სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში. ეს ეხება ჩეხეთს, საფრანგეთს, ლიტვას, მოლდავეთს, პორტუგალიას, რუსეთის ფედერაციას, სლოვაკეთს, ესპანეთს, თურქეთს და უკრაინას. საფრანგეთმა, ირლანდიამ და დიდმა ბრიტანეთმა თავი შეიკავეს ICCPR-გან, თავიანთ შეიარაღებულ ძალებში არსებული დისციპლინური სისტემის გათვალისწინების საფუძველზე.<sup>32</sup>

### არა-უგულვებელყოფადი უფლებები

ICCPR-ის 4.2-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება ზოგიერთი უფლების შეზღუდვა კრიტიკულ სიტუაციებშიც კი. ისინი ჩამოთვლილია ქვემოთ:

#### სქემა 5.4

#### არა-უგულვებელყოფადი უფლებები<sup>34</sup>

ICCPR-ის 4.2-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია შემდეგი უფლებების უგულვებელყოფა:

- სიცოცხლის უფლება (მუხლი 6);
- უფლება არ გახდეს წამების ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და დასჯის მსხვერპლი (მუხლი 7);
- არ იმყოფებოდე მონობაში (მუხლი 8);
- არ დაგაპატიმრონ იმიტომ, რომ ვერ შეასრულე კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები (მუხლი 11);
- არ იქნეს გამოყენებული თქვენზე უკუტყვევითი ძალის მქონე სასჯელის ზომა (მუხლი 15);
- უფლება აღიარებული იყო კანონის წინაშე, როგორც ადამიანი (მუხლი 16);
- აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლება (მუხლი 18).

მსგავსი შეზღუდვები უფლებათა უგულვებელყოფის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 15.2-ე მუხლში. არ შეიძლება შემდეგი უფლებების უგულვებელყოფა: სიცოცხლის უფლება (მუხლი 2), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სიკვდილი გამოწვეულია ომის დროს ობიექტური მიზეზებით; უფლება არ ეწამოს ან არ გახდეს არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი (მუხლი 3); უფლება არ იმყოფებოდე მონობასა და ყმობაში (მუხლი 4.1.); უფლება არ დაისაჯო კანონის უკუტყვევითი ძალით, რაც ნიშნავს იმას, რომ ქმედებები არ იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაშინ, როდესაც მოხდა მათი განხორციელება (მუხლი 7).

### უგულვებელყოფადი უფლებები და უკიდურესი სიტუაციები

საგანგებო სიტუაციებში არსებობს შალაღი რისკი იმისა, რომ დაირღვეს ადამიანის უფლებები.<sup>35</sup> შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებები ანებსებენ გარკვეულ შეზღუდვებს იმაზე, თუ რომელი უფლებების უგულვებელყოფა შეიძლება არ რომლის არა და ავალდებულებენ სახელმწიფოებს გარკვეული პროცედურების დაცვას.

ICCPR-ის მე-4 მუხლის თანახმად:

1. ოფიციალურად აღიარებულ კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც საფრთხე ემუქრება ერის სიცოცხლეს, წინამდებარე შეთანხმების მონაწილე ქვეყნებმა შესაძლოა მიიღონ გარკვეუ-

<sup>32</sup> Rowe, op. cit., მენიშენა 4, გვ. 78.

<sup>33</sup> სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო შეთანხმება (რომელიც ძალში შევიდა 1976 წელს).

<sup>34</sup> საგანგებო სიტუაციების სამართალი პრინციპების გასაცნობად, იხ. [http://www.dca.fch/docs/background\\_02\\_states\\_emergency.pdf](http://www.dca.fch/docs/background_02_states_emergency.pdf).

- ლი ზომები, რომ უგულვებელყოფნა თავიანთი ვალდებულებები წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მდგომარეობის უკიდურესობის გათვალისწინებით, გამოიწვიოს დენარე იქიდან, რომ ასეთი ზომები არ შეესაბამება მათ სხვა ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და არ მოიცავს დისკრიმინაციას მხოლოდ რასობრივ, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა და სოციალური წარმოშობის წინადაგზე.
- ამ დებულების თანახმად, შეუძლებელია მე-6, მე-7 და მე-8 (თავი 1-ელი და მე-2-ე), მე-11, მე-15, მე-16 და მე-18 მუხლების უგულვებელყოფა.
  - წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც თავს არიდებს უგულვებელყოფის უფლების პრინციპების დაცვას, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფო მხარეს, გაერო-ს გენერალური მდიანის შუამავლის მეშვეობით, იმ დებულებათა შესახებ, რომლებიც მან უგულვებელყოფა და მისი გამოშვების მიზეზები. იმავე შუამავლის მეშვეობით უნდა დადგინდეს ის ვადა, რომელშიც იგი წყვეტს ასეთ უგულვებელყოფას.

უფრო დეტალური პროცედურული დებულებები საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებით დადგინდა გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა<sup>26</sup> და ექსპერტი იურისტების მიერ.<sup>27</sup>

### 5. ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები გვთავაზობს უფლებათა დაცვისა და მათ დარღვევების<sup>28</sup> გამოვლენების სხვადასხვა საშუალებას, რომლებიც მოიცავს:

- ნეერი ქვეყნებისათვის მოთხოვნების წაყენება (ICCPR-ის, ICESCR-ის, ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციისა და ბავშვთა უფლებების შესახებ გაერო-ს კონვენციის შემთხვევაში) ექსპერტთა საერთაშორისო მონიტორინგის კომიტეტები (ICCPR-ის, ICESCR-ის, ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციისა და ბავშვთა უფლებების შესახებ გაერო-ს კონვენციის შემთხვევაში) მითითება სხვა სახელმწიფოს მიერ (ICCPR-ის, ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის შემთხვევაში) ინდივიდუალური გასაჩივრების უფლება საერთაშორისო სასამართლოში იმ პირისთვის, რომელიც აცხადებს, რომ მისი უფლებები დაირღვა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, და ICCPR-სა და CEDAW-ს არჩევნიანი პროტოკოლები)

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე დახმარებისათვის საერთაშორისო ორგანოს მიმართავენ, იმ პირმა, რომელიც ჩივის ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, როგორც ნების, თავდაპირველად უნდა გამოიყენოს არსებული შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.<sup>29</sup> ეს პრინციპი ხაზს უსვამს ორ მნიშვნელოვან საკითხს: ადგილობრივი ინსტიტუტების როლი სიტუაციის განმუხტებასთან დაკავშირებით; და ის, რომ საერთაშორისო სასამართლო და სხვა ინსტიტუტები თავდაცვის მეორე ხაზს წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ. იმ კანონში, რომელიც ავალდებულებს ადგილობრივი საშუალებების გამოყენებას, ასევე ხაზგასმულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის ადამიანის უფლებების შიდა საკონსტიტუციო და საკანონმდებლო დაცვის მნიშვნელობა, როგორც ეს აღწერილია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-6 და მე-7 თავებში.

შემდეგ თავებში უფრო დეტალურადაა აღწერილი რამდენიმე ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო მექანიზმი. მავალითა და, ისინი, რომლებიც ეხება ქალთა როლს შეიარაღებულ ძალებში, ასევე, ეთნიკურ და ლინგვისტურ უმცირესობებს. წინამდებარე თავს ვასრულებთ იმით, რომ წარმოგიდგინთ გაერო-ს ორი მთავარი ხელშეკრულების მიმოხილვას — საერთაშორისო

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი, "ზოგადი კომენტარი 29: ქვეყნები საგანგებო მდგომარეობაში (მუხლი 4)", გაეროს დოკუმენტი. CCPR/C/21/rev.1/Add.11 (2001), [http://www.unhcr.ch/ibn/doc.nsf/9985861dc7b4043c1256a450044133171eba4be3974b4fc125ae200517381/\\$FILE/G0144470.pdf](http://www.unhcr.ch/ibn/doc.nsf/9985861dc7b4043c1256a450044133171eba4be3974b4fc125ae200517381/$FILE/G0144470.pdf).

<sup>27</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებები დებულებათა შეზღუდვებისა და უგულვებელყოფის პროცედურის პრინციპები, [www.server.law.wits.ac.za/humanrights/insrc/insrcprinciples.html](http://www.server.law.wits.ac.za/humanrights/insrc/insrcprinciples.html). ასევე იხილეთ საგანგებო ვითარებაში ადამიანის უფლებათა ნორმების პირის პირის მინიმალური სტანდარტები, საერთაშორისო სამართლის ასოციაცია, 1984, ხელმოწერა დაიბეჭდა American Journal of International Law-ში, ტომი. 79, 1985, გვ. 1072.

<sup>28</sup> იხ. დ. შულტონი, მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა საწარმოში (ოქსფორდი: უილერდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), მე-2 გამოცემა.

<sup>29</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლი 35.1.

ხელშეკრულებები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, და მთავარი რეგიონალური ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება, რომელსაც მიერთებულია ეუთო-ს ნეერი ქვეყნების უმეტესობა: 1950 წლის ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ.

### საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მე-2 მუხლი ავალდებულებს ქვეყნებს პატივი სცენ და თავიანთი ეროვნული და ამ შეთანხმებაში აღიარებული იურისდიქციის ფარგლებში ხელი შეუწყონ მათ უზრუნველყოფაში ყველაწარმოების განსხვავების გარეშე. ქვეყნები ასევე თანხმდებიან მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, მათ შორის საკანონმდებლო თუ სხვა ფორმით. გარდა ამისა, ქვეყნები გამოთქვამენ მზადყოფნას შესთავაზონ დახმარება ნებისმიერ ადამიანს, რომლის უფლებები და თავისუფლებები დაირღვეა, მიუხედავად იმისა დარწმუნება გამოწვეული იყო თუ არა სახელმწიფო ოფიციალური პირის მხრიდან. მათ ასევე უნდა უზრუნველყონ ის, რომ ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ითხოვს ასეთ დახმარებას, უნდა გააჩინდეს ასეთი დახმარების მიღების უფლება, განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენტური იურიდიული, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ან ნებისმიერი სხვა კომპეტენტური ხელისუფლების მიერ, რომელსაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა და რომლებიც აიღებენ ვალდებულებას განავითარონ სამართლებრივი დახმარების შესაძლებლობები. ბოლოს კი, ისინი იღებენ ვალდებულებას, რომ შესაბამისი ხელისუფლება ასეთ დახმარებას მიიღებისთანავე ძალაში გაატარებს.

ICCPR-ის ფარგლებში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა კომიტეტი მონიტორინგს უტარებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეკრულების ფარგლებში ეცხრებათ ნეერ სახელმწიფოებს (მუხლი 28. 1). ეს კომიტეტი ან საპრონოტორინგო როგანო შედგება 18 ექსპერტისგან, რომლებიც გამოირჩევიან "მაღალი მორალური თვისებებით და ადამიანის უფლებათა სფეროში აღიარებული კომპეტენციით", მათ ირჩევენ ნეერი სახელმწიფოები (მუხლები 29-39).

ნეერ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაერო-ს გენერალურ მდივანს წარუდგინონ ანგარიში სხვადასხვა ზომების შესახებ კომიტეტის განსახილველად. ნეერ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ეს ყველაფერი გააკეთონ ერთი წლის განმავლობაში ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და ერთი თვის შემდეგ ქვეყანაში და კომიტეტის მოთხოვნის შესაბამისად (მუხლი 40). ასევე შეიძლება აღებულია ერთმა ნეერმა ქვეყანამ მიმართოს კომიტეტს სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, თუ ის ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელი არ იცავს კონვენციის დებულებების მოთხოვნებს (მუხლი 41).<sup>40</sup>

ICCPR-ის პირველი არჩევითი ოქმის მიხედვით, შესაძლებელია კონკრეტულმა პირმა ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო მიმართოს კომიტეტს. თუ კომიტეტი დაადგინს, რომ სახელმწიფო დარღვევა ხელშეკრულება, იგი მის მოსაზრებებს ანდვის შესაბამისად სახელმწიფოს და ასევე აქვეყნებს მას. კომიტეტი ხშირად აკონკრეტებს გამოსავლის გზებს ან ქმედებას, რომელიც უნდა განახორციელოს შესაბამისმა ქვეყანამ კონკრეტულად, ან უფრო ზუსტად.<sup>41</sup>

### საერთაშორისო ხელშეკრულება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე

ხელშეკრულების მე-16 მუხლის თანახმად, მისი ძალაში გატარება მიიღწევა, პირველ რიგში, იმ ნეერი ქვეყნების მიერ, რომლებიც წარადგენენ ანგარიშს იმ ზომების გამოყენების შეს-

<sup>40</sup> კომიტეტს ასევე შეუძლია იმოქმედოს იმ შემთხვევაში, როდესაც მონაწილე ქვეყანამ განაცხადა, რომ კომიტეტის კომპეტენტურ ორგანოდ მიიჩნევს შესახებ მოსამართლის საჩივარი იმის შესახებ, რომ მან ვერ შეასრულა მასზე დაკრებულ ვალდებულებები (მუხლი 41. 1). 41-ე და 42-ე მუხლები მიმოხილვის ამ პროცესს, ქვემოთ მოკლე იხილეთ უკვე.

1. მოსარჩევე ქვეყნის მხრიდან წერილობითი შეტყობინება მიმღებ მხარის მხარით. სამი თვის განმავლობაში, მიმღებმა ქვეყანამ უნდა გასცეს პასუხი მომჩივარ ქვეყანას (მუხლი 41. 1).

2. თუ მხარეები ვერ მოიკავებიან, ნებისმიერ მხარეს შეუძლია საქმე გადასცეს კომიტეტს (მუხლი 41. 1. ა).

3. კომიტეტი საქმის განხილვას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი მხარეებისგან მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას.

4. კომიტეტმა ანგარიში უნდა მოაშალოს საქმის მიღებად 12 თვის განმავლობაში (მუხლი 41. 1. ბ).

5. ანგარიში უნდა შეუთავაზოს ყველა შესაბამის ფაქტს და წინადადებებს მდგომარეობის გამოსწორების შესახებ. (მუხლი 41. 1. ბ.ი).

თუ ამ პროცესის შემდეგ ვერ მოიკავებიან შესაბამისი დამაკმაყოფილებელი გამოსავალი, კომიტეტს უნდა დასწინოს ხელი ნეერისაგან შემდგომი ერთობლივი შეზღუდვებითი კომისია, რომელიც მისაღები იქნება ყველა მხარისათვის. ეს კომისია შემდგომ მოაშალებს საკუთარ ანგარიშს ზემოთ მოცემული პროცედურის დატოვით.

<sup>41</sup> მტდონი, ო.ატ.ტ.პენინენა 38, გვ. 183-187.

ახებ, რომლებიც მიღებულ იქნა ხელშეკრულების მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. მათ წარუდგენენ გენერალურ მდიანს, რომელიც შემდეგ გადასცემს მათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს (მუხლი 16.2).

ანგარიშები უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა "წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულების ხარისხზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები და სირთულეები" (მუხლი 17.2). ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ შესაძლოა გენერალურ ასამბლეას წარუდგინოს ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ყველა მონაწილე ქვეყნისათვის გამოსადეგ ზოგად რეკომენდაციებს ხელშეკრულების მიზნებისა და ამოცანების დასაცაყოფილად (მუხლი 21). 1985 წელს საბჭომ დაარსა ექსპერტთა ორგანო - ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, რომელიც მას ეხმარება ხელშეკრულების ფარგლებში სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ქვეყნები ყოველ ხუთ წელიწადში წარადგენენ შესაბამის ანგარიშებს.<sup>42</sup>

### ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

კონვენციის თანახმად, სტრასბურგში დაარსდა სასამართლო (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო), რომლისთვის მიმართვის უფლება აქვთ იმ ადამიანებს, კომპანიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აცხადებენ, რომ დაირღვა მათი კონვენციით მინიჭებული უფლებები. სასამართლოს შეუძლია მიანიჭოს კონვენციის მიერ განსაზღვრული ე.წ. "შხლოდ დაკმაყოფილება", ხშირად ფულადი კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რომელიც კონვენციის დარღვევის შედეგად წარმოიქმნა.<sup>43</sup> მინისტრთა საბჭო აკონსტრუქციას, თუ რამდენად პასუხობს სახელმწიფო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, კონვენციით მინიჭებული სხვადასხვა უფლებები გარკვეული ვალდებულებების ქვეშ აყენებენ ქვეყნებს ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებში შესაბამის რეაგირებასთან დაკავშირებით.

მე-13 მუხლის მიხედვით, კონვენციის მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ უზრუნველყონ ეფექტური შიდა ინსტრუმენტები იმ ადამიანებისათვის, რომლებიც აცხადებენ, რომ დაირღვა მათი კონვენციით მინიჭებული უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა კონვენციის გარკვეული უფლებები, რათა დაეკისრებინა დამატებითი ვალდებულებები, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ აიცილოს გარკვეული ქმედებები ოფიციალური ორგანოების მეშვეობით, არამედ გადაგვას შესაბამისი ნაბიჯები იმისათვის, რომ დაიცვას მათ შორის კერძო პირების შერიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შელახვა. ამდენად, როდესაც საუბარია იმ დარღვევის შესახებ, რომელიც ეკავშირდება სიცოცხლის უფლებას (მუხლი 2), სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გააჩნდეთ გარდაცვალების გარემოებების გამოძიების ეფექტური და დამოუკიდებელი გზები.<sup>44</sup> ეს განსაკუთრებით შესაბამისია სასტიკად მოპყრობის შემთხვევებს ან დედოფშინას შეიარაღებულ ძალებში. გარდა ამისა, უფლება - არ დაექვემდებარო ნაშეპას არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას (მუხლი 3), სახელმწიფოებს დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რათა თავიდან აიცილონ ასეთი ქმედებები და სამართლებრივი პროცედურის გამოყენებით დასაჯონ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ ქმედებისთვის.

### ფუნდამენტური უფლებები ევროპულ სამართალში

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს ევრო კავშირის სამართლის მიხედვით ძირითად უფლებათა დაცვის მნიშვნელობის შესახებ, რამდენადაც ეუთო-ს 27 წევრი ქვეყანა ევრო კავშირის წევრია. ევრო კავშირის ხელშეკრულება მე-6 მუხლში ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა მნიშვნელობას როგორც წევრ ქვეყნებში, ისე ევროპულ ინსტიტუტებში.

<sup>42</sup> ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის სამსახური, "დაქტების წიგნი N 16 (დეკ. 1), ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებათა კომიტეტი", <http://www.unhcr.ch/ref/1985/16.htm>.

<sup>43</sup> ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოსცეს კონკრეტული ზომები იმ მდგომარეობის გამოსწორებად, რომლის შესახებც შემოედა საჩივარი ფულადი კომპენსაციის მიჩიების მიღმა, თუმცა, ასეთი არა ძალიან იშვიათია. იხ. მაგალითად, საქმე შროვისსკო პოლონეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 22 ივნისი 2004, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 40, გვ.21.

<sup>44</sup> მაქ-კინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1995 წლის 17 სექტემბერი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 21, 1996, გვ. 97; კია თურქეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1998 წლის 19 თებერვალი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 28, 1999, გვ. 1; შოუ ჯარდანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2001 წლის 4 მაისი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 37, 2001, გვ. 52.



## ევრო კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი

1. ევროკავშირი დაარსდა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და ნეერი ქვეყნებისათვის საერთო პრინციპებზე.
2. ევროკავშირმა პატივი უნდა სცეს იმ ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს და რამდენადაც ისინი გამომდინარეობს იმ საკონსტიტუციო ტრადიციებიდან, რომლებიც საერთოა ნეერი ქვეყნებისათვის და ზოგადი პრინციპებია საზოგადოებრივი მორალისა.

ევროსაბჭომ, ევრო პარლამენტის თანხმობით, უნდა გადაწყვიტოს გამოიძიოს თუ არა ადამიანის უფლებათა სერიოზული და მუდმივი ხასიათის დარღვევები ამა თუ იმ ნეერ ქვეყანაში და დაანოს სანქციები სახელმწიფოს უფლებების შეზღუდვით.<sup>45</sup> გარდა ამისა, ევრო კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია მიიღეს ნიცაში 2000 წელს.<sup>46</sup> ევროსამართალი ასევე იცავს ადამიანის უფლებებს უფრო კონკრეტულად და ვინროდ ხელშეკრულების, დებულებების, ნესებისა და დირექტივების თელახარისით, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა, თანასწორობა (იხ. თავი 12-14). გარდა ამისა, იურიდიული დოქტრინა საჭიროებს ევრო კავშირის მოსახლეობის ძირითად უფლებათა ეფექტურ ძალაში გატარებას არა მხოლოდ ევროპულ დონეზე (მაგალითად ევრო სასამართლოს საშუალებით), არამედ თითოეული ნეერი ქვეყნის ეროვნული სამართლებრივი სისტემის ფარგლებშიც.

ამ პრინციპების გამოყენება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიმართ ევრო კავშირის ფარგლებში უფრო პრობლემური ჩანს, რადგანაც არსებობს სხვადასხვა ხასიათის არგუმენტი ევროპული ინსტიტუტების კომპეტენციის შესახებ - შექმნან კანონი, რომელიც ეხება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს. როგორც ხელშეკრულებები, ისე კონკრეტული მითითებები შეიცავენ გარკვეულ გამოწაკლისებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ სუვერენიტეტებს თავდაცვის საკითხებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ შემთხვევებში, როდესაც ეს პირდაპირ შესაბამისობაში შეიძლება არ ექცეოდეს, ევროპული სამართალი შესაძლოა წარმატებით გამოიყენონ იმისათვის, რომ დაიცვან შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების უფლებები (იხ. მაგალითად, კრულის საქმე, რომელიც განხილულია მე-13 თავში, სქემა-ში 13.4).

<sup>45</sup> ევრო კავშირის ხელშეკრულება, მუხლი 7.

<sup>46</sup> "ევრო კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია", ევროპულ საზოგადოებათა ოფიციალური ვერსია, 2000 წლის 18 დეკემბერი, 2000/C 364/01, [http://ec.europa.eu/external\\_relations/human\\_rights/doc/charter\\_384\\_013n.pdf](http://ec.europa.eu/external_relations/human_rights/doc/charter_384_013n.pdf).

წინამდებარე თავში განხილულია ურთიერთობების ასპექტები შეიარაღებულ ძალებში და სამხედროთა უფლებები კონსტიტუციის ფარგლებში. თავდაპირველად ახსნილია საკონსტიტუციო დებულებების შესაბამისობა ამ სფეროში, განსაკუთრებით, დემოკრატიული რეფორმის თვალსაზრისით. შემდეგ განხილულია ის გზები, რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციები შეესაბამება შეიარაღებული ძალების როლს, განსაკუთრებით, მისი მისიის განსაზღვრისას და საკონსტიტუციო დამტკიცებისათვის საომარი მდგომარეობისა თუ სამშვიდობო ოპერაციებისას სამხედრო ძალების გამოყენების გადაწყვეტილებების წარდგენისას. ბოლოს კი, მოცემულია ის საკონსტიტუციო უფლებები, რომლებითაც სარგებლობს სამხედრო პერსონალი და რა გავლენას ახდენენ ეს უფლებები სამხედრო სამართალზე.

1. პრობლემატური საკითხები

საკონსტიტუციო საფუძველი შეიარაღებული ძალებისათვის მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. თითქმის ყველა ქვეყანაში კონსტიტუცია უზრუნველყოფს საფუძველს სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმაციათვის. შეიარაღებული ძალები კი ის მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც იცავს მოქალაქეებს, ტერიტორიულ მთლიანობას, სამთავრობო სისტემას და სტრატეგიულ სამსახურებს<sup>47</sup>. მნიშვნელოვანია, რომ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანების აღიარება და დაქვემდებარება განისაზღვროს კონსტიტუციით, რათა სამხედრო პირებმა შეინარჩუნონ უმაღლესი კანონის დონე. შესაბამისად, სამხედროები ისარგებლებენ ლეგიტიმურობით და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს უსაფრთხოება შესაძლოა მოითხოვდეს ძალის გამოყენებას, იგი უნდა მიმართული იყოს კონსტიტუციური ნებისთვის დასამყარებლად.

როგორც წესი, კონსტიტუციებში მოცემულია შემდეგი საკითხები:

- **სამართლებრივი სტრუქტურა:** საკანონმდებლო მექანიზმები, ის პრინციპები, რომლებითაც იმართება ძალაუფლების არასამართლებრივი წყაროები (მაგ., სამეფო პეროგატივა), კანონმდებლობის გამოყენების პროცედურები საგანგებო სიტუაციების დროს, საკონსტიტუციო დებულებები ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის, ის პროცესები, რომლებიც ხელშეშლავნებოდა უსაფრთხოების შესახებ თანამშრომლობის საერთაშორისო შეთანხმებებს;
- **პასუხისმგებლობის მექანიზმები:** ეროვნული თავდაცვის, უსაფრთხოებისა და დაზვერვისათვის ძალაუფლების გადაწვევა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოს შორის; თავდაცვისა და უსაფრთხოების მაღალჩინოსნებისათვის პოლიტიკური ან სხვა თანამდებობების დაკავების აკრძალვა; საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილებანი; სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებანი (მაგ., საკონსტიტუციო განხილვა);
- **დამოუკიდებელი განხილვა:** მაღალჩინოსნებისათვის თანამდებობაზე ყოფნის გაართობა, საკონსტიტუციო გარანტიები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისათვის, სამხედრო სასამართლოების ადგილი და როლი;
- **ინდივიდუალური უფლებები:** შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, როგორც მოქალაქე სამხედრო ფორმაში, სარგებლობენ საკონსტიტუციო უფლებებითა და თავისი უფლებებით. ვარდა ამისა, რამდენიმე საკონსტიტუციო დებულება ეხება სამხედრო მოსამსახურის მიერ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გაწევის უფლებას (იხ. სქემა 6.2. ქვემოთ).

განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, კონსტიტუციებში მნიშვნელოვანი აქცენტი ეთმობა სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლისა და მათი პოლიტიკური ნეიტრალიზების უზრუნველყოფის საკითხებზე. ასეთი ქვეყნების კონსტიტუციები, როგორც წესი, შეიცავენ აშკარა გარანტიებს, რომლებიც განსაზღვრავენ და ზღუდავენ სამხედროთა როლს.

კონსტიტუციებით ასევე მყარად არის რეგულირებული შეიარაღებული ძალების გამოყენების საფუძვლები კრზისულ სიტუაციებში. კონსტიტუციებში შესაძლოა მოცემული იყოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვის წინაპირობა და საგანგებო ვითარებაში არსებული კონკრეტული დებულებები.

<sup>47</sup> ბულგარეთის (შეიარაღებული ძალების) კონსტიტუციის მუხლი 9: "შეიარაღებულმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და ქვეყნის დამოუკიდებლობა და დაცვან მისი ტერიტორიული მთლიანობა."

რეტული უფლება-მოვალეობები. მას ასევე შეუძლია უზრუნველყოს სამხედროთა დაცვა არაკონსტიტუციური ბრძანებებისაგან, მაგალითად, ინსტრუქციები პოლიტიკური პროტესტის გამომხატველების წინააღმდეგ ქედებისადმი, სამოქალაქო კანონმდებლობის აღსრულების საქმეში ჩართვა, ან ისეთი შენობების დაკავება, რომლებშიც დემოკრატიული ინსტიტუტებია განთავსებული.

გარდა ამისა, თანამედროვე საზოგადოებებში შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობა სტრატეგიული უსაფრთხოების კოალიციებასა თუ სამშვიდობო მისიებში. კონსტიტუციით, როგორც წესი, რეგულირებულია შიდა დონეზე იმ სამართლებრივი პროცესების უზრუნველყოფის საკითხები, რომლებიც ემსახურება საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. ზემოაღნიშნულს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერობოლივი მხარდაჭერის ოპერაციების სამართლებრივად დევეტურად განხორციელებისათვის (მაგ., ნატო-ს ხელშეკრულების მე-5 მუხლის შემთხვევაში).

დაბოლოს, ყველა კონსტიტუცია, როგორც წესი, აყალიბებს მოქალაქეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, ისწავრებადგენს შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური მოსამსახურეების უფლებების დაცვის გარანტიას, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კონსტიტუცია კონკრეტულად არ ეხება შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებებს.

ზოგადად, კონსტიტუცია ქმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია შეიარაღებული ძალების ფუნქციონირება ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. თუ კონსტიტუციის დეფიციტებში ნახსენებია შეიარაღებული ძალები, ისინი ჩვეულებრივ ორ საკითხს მოიცავს: შეიარაღებული ძალების როლის განსაზღვრა და მათი კონტროლისათვის შესაბამისი ზედამხედველობა.

ზოგიერთ ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში (მაგ., საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი) არ მიიჩნევენ საჭიროდ დეტალურად განსაზღვრონ სამხედროთა როლი. ისინი ეყარებიან ზოგად პრინციპებს, ანუტებენ რა იმ სახელმწიფოთა ორგანოების კომპეტენციებს, რომლებიც აღიარებულია კონსტიტუციის ფარგლებში (მაგ., საფრანგეთის შემთხვევაში, პრეზიდენტის პაროგატივა სამხედრო საკითხებში 1958 წლის კონსტიტუციის ფარგლებში). თუმცა, ეს არ არის ის საუკეთესო მოდელი, რომელიც შეგვიძლია ფართოდ გამოვიყენოთ, განსაკუთრებით, იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც გაიარეს შიდა თუ გარე ომები. ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი მივიჩნევთ იმ დასკენამდე, რომ შეიარაღებული ძალების სახელმწიფოში სრულფასოვნად არსებობისათვის საჭიროა უფრო ზუსტი და კონკრეტული გარანტიები. მაგალითად, ნიდერლანდების კონსტიტუცია (მუხლი 100) შეიარაღებული ძალებს ავალდებულებს, რომ პარლამენტს შეატყობინონ, იყენებენ თუ არა მათ 'საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად და მიზნებისათვის', დანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლი ავალდებულებს, რომ პარლამენტს შეატყობინონ სამხედრო ოპერაციების შესახებ.

წინამდებარე თავის მომდევნო ნაწილში განხილული იქნება შეიარაღებული ძალების როლი და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები.

## 2. შეიარაღებული ძალების როლი

კონსტიტუციის გარკვეული უფრო ყოვლისმომცველი დებულებები განაპირობებენ მის მიერ შეიარაღებული ძალების სხვადასხვა როლების განსაზღვრას. ერთი გახლავთ ის, თუ რამდენად ართმევენ თავს ჩვეულებრივი კანონმდებლობა (კონსტიტუციასთან შედარებით) იმ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებასთან; მეორე კი, საერთაშორისო ხელშეკრულებების სტატუსი, თუ რამდენად მოიაზრება საერთაშორისო ხელშეკრულებები ვალდებულებები კონსტიტუციის ნაწილად.

ზოგიერთი კონსტიტუცია მხოლოდ ზოგადად აკონკრეტებს შეიარაღებული ძალების როლს უსაფრთხოების შენარჩუნებაში ან ტერიტორიისა და საკონსტიტუციო წესრიგის დაცვაში. კონსტიტუციაში ასევე შესაძლებელია იყოს უფრო კონკრეტული ამოცანები. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციაში (სქემა ნ. 1. ქვემოთ) დეტალურადაა მითითებული შეიარაღებული ძალების ამოცანები და ფუნქციები, რაც გერმანიის ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ეს საკითხები დეტალურად განხილულია მე-7 თავში - "შიდა კანონმდებლობა". უფრო იშვიათად, როგორც ეს გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის შემთხვევაშია, შეიარაღებული ძალების ამოცანები დასახულია აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე.<sup>48</sup> შეიარაღებული ძალების ამოცანები განსაზღვრა ზეგავლენას ახდენს მათ როლის შეცვლაზე და თუ რამდენად შესაძლებელია სამხედროთა დისლოკაციის ადგილის შეცვლა კონსტიტუციის საფუძველზე. საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება შესაძლებელია ალმონდენ და აჰან გამოინვიოს დიდი კამათი ქვეყანაში მისი საერთაშორისო საზოგადოებაში შესაბამისი ადგილის შესახებ.

<sup>48</sup> Nolte, *op. cit.*, შენიშვნა ნ. 6. გვ. 34-39.

## სქემა 6.1

### გერმანიის კონსტიტუცია<sup>19</sup>

გერმანიის შეიარაღებული ძალების ამოცანები და ვალდებულებები განისაზღვრება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციით (ძირითადი კანონი): ტერიტორიული და ალიანსის დაცვა საზღვდრო საშუალებებით (მუხლი 87. ა, ძირითადი კანონი). მას შემდეგ, რაც ბუნდესთაგის მიერ დადგინდება – თავდაცვითი პოზიცია (მუხლი 115, ძირითადი კანონი) ან დამატულობის მდგომარეობა (მუხლი 80. ა, ძირითადი კანონი), შეიარაღებული ძალების ქვეყნის შიგნით შესასრულებელი ამოცანები კიდევ უფრო გაფართოვდება (მუხლი 87. ა (3), ძირითადი კანონი): ამ შემთხვევაში მათ ენიჭებათ დამატებითი უფლებამოსილება, საჭიროებისამებრ, დაიცვან საშუალოაქო ქონება ნებისმიერი თავდასხმისაგან და განახორციელონ კონტროლი სატრანსპორტო კომუნიკაციის საშუალებებზე, რათა უზრუნველყონ მათი თავდაცვითი როლი და ფუნქცია.

ძირითადი კანონში 1968 წელს შეტანილი ცვლილების თანახმად, "შიდა საგანგებო მდგომარეობის" შემთხვევაში შეიარაღებული ძალები შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნეს ფედერალური მთავრობის გადაწყვეტილებით იმისათვის, რომ მათ მხარი დაუჭირონ პოლიციას და ფედერალურ სასაზღვრო პოლიციას საშუალოაქო ქონების დაცვაში და ორგანიზებული თუ საზღვდრო შეიარაღებული თავდასხმების წინააღმდეგ ბრძოლაში (მუხლები 87. ა.4 და 91, ძირითადი კანონი)

დაბოლოს, 1994 წლის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (BVerfGE 90, გვ. 286), შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღება იმ პირობით, რომ ისინი განხორციელებდა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ფარგლებში და მათი მიზანდეო (გაერთიანებული ერები, ნატო) (მუხლი 24.2. ძირითადი კანონი). ძირითადი კანონი ავალდებულებს ფედერალურ მთავრობას მოიპოვოს ბუნდესთაგის თანხმობა ნებისმიერი ასეთი მონაწილეობისათვის.

ერთ-ერთი გერმანული ლანდის თხოვნით (მუხლი 35. 2. ძირითადი კანონი), შეიარაღებული ძალები შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნეს შიდა პუბლიკური ოპერაციებისთვის, სტიქიური უბედურების ან განსაკუთრებულად საშიში შემთხვევების დროს.

უნგრეთის კონსტიტუციის მსგავსად, შესაძლოა გაკეთდეს მინიმუმბა საერთაშორისო ვალდებულებებზე. ნეიტრალიტეტის პრინციპი შეიარაღებულ ძალების კონსტრუქციის შესაძლოა იყოს ამჟამად, როგორც ავსტრიის კონსტიტუციის შემთხვევაში. ზოგიერთი კონსტიტუცია (როგორცაა, დანიას ან ორლანდიის - იხ. ქვემოთ) არ ზღუდავს იმ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც შესაძლოა შესრულდეს. ასეთი ქვეყნების პარლამენტები არ მიმართავენ რაიმე სახის აკრძალვის ზომებს მანამ, სანამ შეიარაღებული ძალები არ ექნება გამოყენებული ნებისმიერი უცხო ქვეყნის მიმართ. კონსტიტუციები შესაძლოა ასევე შეიცავდეს აგრების აკრძალვას. ნიდერლანდების კონსტიტუციაში კი მოცემულია მინიმუმბა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებზე.

## სქემა 6.2

### საკონსტიტუციო დებულებათა მაგალითები

ესპანეთი: მუხლი 81.1 (შეიარაღებული ძალები)

1) სამხედრო ძალები, რომლებშიც შედის შეიარაღებული ძალები, საზღვაო ფლოტი და საჰაერო ძალები, თავიანთ მისიად მიიჩნევენ ესპანეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საკონსტიტუციო ნუსრიგის დაცვას.

რუმინეთი: მუხლი 117 (შეიარაღებული ძალები, პოლიცია)

1) სამხედრო ძალები უნდა დაექვემდებარონ ხალხის ნებას, რათა უზრუნველყონ სახელმწიფოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და კონსტიტუციური დემოკრატია.

უნგრეთი: მუხლი 40 ა (ვალდებულება)

1) სამხედრო ძალების (უნგრეთის შეიარაღებული ძალები, სასაზღვრო ძალები) ძირითადი ვალდებულებაა ქვეყნის სამხედრო დაცვა და კოლექტიურ თავდაცვაში მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში.

ავსტრია: მუხლი 9 ა (თავდაცვა, სამხედრო სამსახური)

1) ავსტრია ახორციელებს საყოველთაო ეროვნულ თავდაცვას. მისი ამოცანაა დაიცვას ფედერალური ტერიტორიის დამოუკიდებლობა ისევე, როგორც მისი დაურღვევლობა და ერთიანობა, განსაკუთრებით მუდმივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და დაცვა. შეიარაღებული ძალების ფუნქციაში შედის ასევე სახელმწიფო ინსტიტუციების დაცვა, ასევე იმის უზრუნველყოფა, რომ დაცული იყოს კონსტიტუციური ღირებულებები შეიარაღებული კონფლიქტისაგან.

<sup>19</sup> გერმანიის პასუხი 2004 წლის ეუთო-ს ქვეყის კოდექსის შესახებ ინფორმაციის გაცემის ღონისძიებაზე უსაფრთხოების პოლიტიკურ-საზღვრო ასპექტებთან მიმართებაში. 2004 წლის უსაფრთხოების პოლიტიკურ-საზღვრო ასპექტების შესახებ ეუთო-ს ქვეყის კოდექსის ახსნილობის ნ. მე-4 თავი.

დანია: მუხლი 19.2

2) მეფემ არ უნდა გამოიყენოს სამხედრო ძალა ნებისმიერი უცხო ქვეყნის წინააღმდეგ პარლამენტის თანხმობის გარეშე, გარდა დანიის ძალეზე შეიარაღებული შეტევისაგან თავდაცვის შემთხვევისა. ნებისმიერი ზომა, რომელსაც იღებს მეფე ამ დებულების თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს პარლამენტს. თუ არ არის პარლამენტის სესია, იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული.

ირლანდიის რესპუბლიკა: მუხლი 28.3

(3.1.) ომი არ უნდა გამოცხადდეს და სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საომარ მოქმედებაში წარმომადგენლობითი პალატის თანხმობის გარეშე.

(3.2.) რეალური თავდასხმის შემთხვევაში, მთავრობამ უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა სახელმწიფოს დასაცავად და თუ წარმომადგენლობითი პალატა ჯერ არ შეკრებილა, ეს უნდა მოხდეს უახლოეს შემთხვევაში.

### არააგრესიული დებულებების მაგალითები

აზერბაიჯანის კონსტიტუცია (1995)

მუხლი 9 (სამხედრო ძალები)

(2) აზერბაიჯანის რესპუბლიკა უარყოფს ომს, როგორც სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის შელახვისა და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების საშუალებას.

იტალიის კონსტიტუცია

მუხლი 11 (ომზე უარის თქმა)

იტალია უარს ამბობს ომზე, როგორც ინსტრუმენტზე, რომელიც არღვევს ხალხის თავისუფლებას, და როგორც საშუალებაზე მოგვარდეს საერთაშორისო დავები. იგი ეთანხმება სუვერენიტეტის შეზღუდვებს საჭიროებისამებრ, რათა დამყარდეს მშვიდობისა და სამართლიანობის სამართლებრივი სისტემა ერებს შორის, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნება ურთიერთმოქმედების პრინციპი; იგი მხარს უჭერს და მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს აღნიშნულის განხორციელებას.

გერმანიის კონსტიტუცია

მუხლი 26 (თავდასხმითი ომისათვის მზადების აკრძალვა)

1) ერებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დარღვევის მიზნით განხორციელებული ქმედებები, განსაკუთრებით კი, ომის ან აგრესიის მომზადება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ისინი ითვლება სისხლის სამართლის დარღვევად.

მუხლი 87 ა (შეიარაღებული ძალების შექმნა და ძალაუფლება)

1. ფედერაციის მუხლია შექმნას შეიარაღებული ძალები თავდაცვის მიზნით. მათი რაოდენობა და ზოგადი საორგანიზაციო სტრუქტურა უნდა იყოს ასახული ბიუჯეტში.

### 3. კონსტიტუციები და ჯარში ადამიანის უფლებები

არსებობს ორი მიზეზი იმისა, თუ რატომ იქნა შემოღებული საკონსტიტუციო დებულებები, რომლებიც ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებებს. პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ახალწვეულთა ჯარები, კონსტიტუციამ შესაძლოა უზრუნველყოს სამხედრო სავალდებულო სამსახურზე უარის თქმის უფლება. მრავალი ასეთი საკონსტიტუციო დებულება თავმოყრილია ქვემოთ სექციაში 6.3, ხოლო მე-10 თავში განიხილულია ასეთი წინააღმდეგობების ასაქექები უფრო სრულად.

გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს შეიარაღებული ძალების ნეიტრალური როლის უზრუნველყოფა ყველაზე მაღალ ნორმატიულ დონეზე - კონსტიტუციაში. მაგალითად, კონსტიტუციამ შესაძლოა სავალდებულო გახადოს სამხედრო და პოლიტიკური ზელმძღვანელობის გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებები გარკვეულწილად შეზღუდულია უფრო მაღალი საკონსტიტუციო მიზნის მისაღწევად. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებების შეზღუდვა უფრო ვრცლად განხილულია მე-8 თავში.

თუ არ გავითვალისწინებთ ამ ორ მომენტს, როგორც წესი, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა საკითხები არ არის ხშირად წარმოდგენილი კონსტიტუციაში. არსებობს ტენდენცია, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები მოიარაზებოდნენ, როგორც მოქალაქეები სამხედრო ფორმაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სარგებლობენ იმავე ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით, როგორებიცაა სხვები, რაც საჭიროებისამებრ მათი როლიდან გამომდინარე ექვემდებარება სამართლებრივ შეზღუდვებს.

<b>სქემა 6.3</b> <b>საკონსტიტუციო დებულებების მაგალითები სამხედრო სამსახურზე უარის თქმასთან მიმართებაში</b>		
<b>ესტონეთი</b>	ისინი, ვინც უარს ამბობენ თავდაცვის ძალებში სამსახურზე რელიგიური თუ ეთნიკური მიზეზების გამო, ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ ალტერნატიულ სამსახურში კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.	მუხლი 124.2
<b>გერმანია</b>	იმ ადამიანს, რომელიც შეგნებულად იტყვის უარს სამხედრო სამსახურზე, მოეთხოვება სამაგიერო სამსახურის განევა, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას. დეტალებს არეგულირებს კანონი, რომელიც განსაზღვრავს, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნეს შინაგანი რწმენით და რომ უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ისეთი ალტერნატიული სამსახურის გამოძებნა, რომელიც არ უკავშირდება შეიარაღებული ძალების ნაწილებს ან ფედერალური საზღვრის დაცვას.	მუხლი 12ა.2
<b>პორტუგალია</b>	უარის მთქმელებმა, რომლებიც კანონის თანახმად. ექვემდებარებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურში განევეს, უნდა გასწიონ სამოქალაქო სამსახური იმავე ხანგრძლივობით და ენერგიულობით, როგორთაც სამხედრო სამსახური.	მუხლი 276.4
<b>სლოვენია</b>	იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ამჟამად არ სურთ შეასრულონ სამხედრო მოვალეობები მათი რელიგიური, ფილოსოფიური თუ ჰუმანიტარული მრწამსის გამო, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის დაცვაში რაიმე სხვა ფორმით.	მუხლი 123.2
<b>ესპანეთი</b>	კანონი განსაზღვრავს ესპანელების სამხედრო ვალდებულებებს და უარის თქმის სამართლიანი საფუძვლის შემთხვევაში უშვებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას. მას ასევე შეუძლია საჭიროებისამებრ დაანთოს საზოგადოებრივი სამსახური სამხედრო სამსახურის ნაცვლად.	მუხლი 30.2

<b>სქემა 6.4</b> <b>კონსტიტუციები და შეიარაღებული ძალების ადამიანის უფლებები: შერჩეული მაგალითები</b>	
<b>პოლონეთის კონსტიტუცია</b> <b>მუხლი 26.2</b>	(2) სამხედრო ძალებმა უნდა უზრუნველყონ ნეიტრალობა პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში და უნდა ექვემდებარებოდნენ სამოქალაქო და დემოკრატიულ კონტროლს.
<b>იტალიის კონსტიტუციის მუხლი 52</b> უფრო ზოგადია	1. ყოველი მოქალაქის წმინდა ვალაა დაიცვას საშობლო. 2. სამხედრო სამსახური სავალდებულოა კანონის ფარგლებსა და პირობებში. სამხედრო ვალდებულებათა შესრულებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს. 3. შეიარაღებული ძალების შესახებ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის დემოკრატიულ სულისკვეთებას.

**4. საკონსტიტუციო დებულებები და სამხედრო სასამართლოები**

ზოგადად სამხედრო სასამართლოების სამი მოდელი არსებობს. ქვეყნებში, სადაც სამხედრო სასამართლო სისტემები არსებობს, კონსტიტუცია მათ საერთოდ არ მოიხსენიებს, მაგალითად, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლიტვა, და რუმინეთი. სხვა შემთხვევებში, საკონსტიტუციო დებულებები აღიარებენ არსებულ სამხედრო კანონებს (უპირატესობას ანიჭებენ სხვა საკონსტიტუციო დებულებებთან მიმართებაში): ლუქსემბურგი (1864 წლის კონსტიტუციის 94-ე მუხლი) და ალბანია (კონსტიტუციის 86-ე მუხლი) შედიან ამ კატეგორიაში. გარდა ამისა, არსებობს კონსტიტუციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად არეგულირებს სამხედრო კანონმდებლობასა და სამხედრო სასამართლოების იურისდიქციის გამოყენების საკითხებს (მაგ., ირლანდიის 1937 წლის კონსტიტუციის 38.4-ე მუხლი). განსხვავებები მესამე კატეგორიაში ძირითადად იმ დეტალებშია, რომელთა შემეფიქმნათაც დებულებები საზღვრევენ სამართალდარღვევის კატეგორიებს და სამხედრო პერსონალის მიერ ამ ტრიბუნალების ხელმისაწვდომობას.

სამხედრო სამართლისა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების საკითხი განხილულია 21-ე თავში.

# ეროვნული/შიდა კანონმდებლობა

წინამდებარე თავში განხილულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებები შიდა კანონმდებლობის ფარგლებში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებაში, როგორცაა, ხმის მიცემის უფლება და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა, პირადი ცხოვრების, აზრის გამოხატვის თავისუფლება და ა.შ. ასევე, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, როგორცაა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება და საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი უფლებები მხოლოდ ნაწილია ზოგადად სამხედრო კანონმდებლობისა, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულებების დაკისრებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზე, რათა ხაზი გაესვას დისციპლინურ გარემოს, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, მაგალითად, ისეთი საკითხების რეგულირება, როგორებიცაა: დეზერტირობა, სამხედრო სამსახურიდან თვითდათხოვნა, დაუმორჩილებლობა, აღჭურვილობით მომარაგება, მტრისათვის დახმარების განევა, ძლიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ განვიხილავთ ასეთი სახის დარღვევებს, თუმცა 21-ე თავში მოცემულია სამხედრო სამართლის პროცედურების ადამიანის უფლებათა ასაქმებელი.

გასათვალისწინებელია, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებები შესაძლოა კანონმდებლობაში კონკრეტულად აისახოს. აღნიშნულის უპირატესობა შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ სამხედროების უფლებების რეგულირება მოხდეს არა ყველა მოქალაქისათვის მისაღებ ზოგად საკონსტიტუციო თუ იურიდიულ დებულებებზე დაყრდნობით, არამედ ცალკე სახით, ისე, რომ მოცემული უფლებების სამართლებრივი პარამეტრები შემდგომ მორგებულ იქნეს სამხედრო გარემოს.

წინამდებარე თავში, თავდაპირველად, განხილულია თავდაცვის კანონმდებლობის მნიშვნელობა, შემდეგ კი მისი მოცულობა კანონმდებლობასა და საპარლამენტო ვალდებულებათა უფრო ფართო მეთოდებს შორის კავშირთან მიმართებაში. ჩვენ ვიხილავთ ამ საკითხებს, რამდენადაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა დაცვა მოქმედებს დემოკრატიულ სახელმწიფოში სამხედროების პოზიციის უფრო ფართო კონტექსტში. იგი ასევე მიმოიხილავს კანონმდებლობას და შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანის უფლებებს.

## 1. თავდაცვის საკითხების შესახებ კანონის გამოცემა

კანონის უზენაესობა დემოკრატიის განუყოფელი და ძირითადი ნაწილია. ქვეყნის უსაფრთხოების თავისებურებანი არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც კანონის უზენაესობის არაკიდრების საბაბი, რაც ახასიათებს დემოკრატიულ ქვეყნებს, ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი. კანონმდებლობისა და საპარლამენტო ვალდებულებების საჭიროება შეიარაღებული ძალების სამართლად ასევე აღიარებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც მოცემულია სქემაში 7.1.

კანონმდებლობა დემოკრატიის აღიარების სამართლებრივი გამოხატუებაა. მრავალ ქვეყანაში კანონმდებლობის დამკვიცება (ისევე, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობა) პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი როლია. ამდენად, დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც დაცულია კანონის უზენაესობის პრინციპები, შეიარაღებული ძალები, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება საერთო კანონმდებლობას ერთობლიობაში, ვიდრე ჩვეულებრივ ან ზოგად ერთობ კანონს, როგორცაა, პეროგატივის ზოგადი სამართლის დოქტრინა. კანონმდებლობის არსებობის მნიშვნელობა მდგომარეობის იმაში, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებამ განსაზღვროს ძირითადი პრინციპები ამ სფეროში, ვიდრე მოხდეს მათი ზუნებრივი ან ისტორიული ევოლუცია. ვარდა ამისა, იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტების უარიყოფილი გამოთქმის უპირატესობის დედგანა ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებების გათვალისწინებით, აუცილებელია შეიარაღებული ძალების ძალაუფლება ეყრდნობოდეს კანონმდებლობას.

კონსტიტუციაში, როგორც წესი, მოცემულია კანონის გამოცემის კომპეტენცია და ის პარლამენტს ენიჭება. საპარლამენტო ჩარევის პრიორიტეტი მდგომარეობს იმაში, რომ მისი მოქმედება ახდენს მდგომარეობის ლეგიტიმაციას, რაც ასევე პირდაპირი დემოკრატიული ვალდებულებაა. იგი გვეხმარება უზრუნველყოფილ იქნას ის, რომ სამხედრო ძალები ემსახურნ სახელმწიფოს და დაიცავს კონსტიტუციას, ვიდრე უფრო ცინიკური პოლიტიკური თუ უსაზღვრენ-

**სქემა 7.1.**

**შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის საჭიროება, როგორც ეს დადგინეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა**

ორგანიზაცია	ნორმა/სტანდარტი	წყარო
გაეროს განვითარების პროგრამა	სამხედროებზე, პოლიციასა და სხვა უსაფრთხოების ძალებზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლი (ანგარიშიში მოცემულია უშიშროების სექტორში დემოკრატიული მმართველობის პრინციპები).	ადამიანის განვითარების ანგარიში (2002)
ევთო	"სამხედროებზე, საპარლამენტო და შიდა უშიშროების ძალებსა და სადაზვერუო სამსახურებზე, ასევე პოლიციაზე დემოკრატიული პოლიტიკური კონტროლი" (რომელსაც აკონკრეტებს დებულებათა დეტალური ნაკრები).	ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასაქმების შესახებ (1994)
ევრო კავშირი (ევრო პარლამენტი)	აკონკრეტებს კოპენჰაგენის კრიტერიუმებს მასში განცხრავნიანების და მოიცავს "პოლიციაზე, სამხედრო სფეროსა და საიდუმლო სამსახურებზე კონტროლის იურიდიულ ვალდებულებებს."	დღის წესრიგი 2000, & 9
ლათინური ამერიკის ქვეყნების სამიტი	"შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ძალების საკონსტიტუციო სუბორდინაცია ჩვენი ქვეყნებისა სამართლებრივად შემდგარი ხელისუფლების მიმართ დემოკრატიის ძირითადი ნაწილია."	ქვეყნის მოქმედებათა გეგმა (2001)

ლობითი ინტერესები. შესაბამისი კონტროლი უზრუნველყოფს სტაბილურ, პოლიტიკურად ორპარტიულ მიდგომას თავდაცვისადმი, რომელიც მუშაობს ქვეყნისა და თვით შეიარაღებულ ძალების სასარგებლოდ. პარლამენტარების ჩართვა ასევე გვეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ, ერთი მხრივ, საბიუჯეტო სახსრების გამოყენება თავდაცვაზე იყოს შესაბამისად "ნებადართული" და, მეორე მხრივ, მათ განკარგავან განსაზღვრული იყოს კონკრეტული პასუხისმგებელი პირები.

შეიარაღებული ძალების შექმნის, მისი შიზნებისა და ამოცანების, ასევე ძალაუფლების განსაზღვრის საპარლამენტო ლეგიტიმაცია აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველსაყოფად. სამართლებრივი საფუძველი ზრდის ლეგიტიმობას როგორც შეიარაღებული ძალების არსებობის, ისე იმ ძალაუფლებისა, რომელიც მათ გააჩნიათ. ისევე, როგორც სხვა სფეროებში, კანონმდებლობის ერთი მთავარი ამოცანაა გადასცეს ძალაუფლება ადმინისტრაციას, მაგრამ, ასევე, ჩამოაყალიბოს და კანონით შეზღუდოს დისკრციული ძალაუფლება.

**2. კანონმდებლობა და საპარლამენტო ვალდებულება**

როგორც სქემა 7.2. გვიჩვენებს, კანონმდებლობითი საქმიანობა პარლამენტის ვალდებულებათა მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია. შეიარაღებული ძალების კონტროლის კუთხით, პარლამენტებმა შესაძლოა აღმასრულებელ პირებს პასუხი მოსთხოვონ და მოისმინონ შესაბამისი ანგარიშები, აკონტროლონ ბიუჯეტი, დაამტკიცონ სამხედრო მისიები, შეამოწმონ შესყიდვები თავდაცვის სფეროში, დაამტკიცონ თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო ძალების ფორმა და რიცხოვნობა.

**სქემა 7.2.**

**ის ინსტრუმენტები ან საშუალებები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია პარლამენტის მიერ შეიარაღებული ძალებისათვის კანონების გამოცემის დროს**

**1. ზოგადი ფუნქციები:**

- ა) კანონმდებლობითი საქმიანობა, კანონების მომზადება და გამოცემა
- ბ) კანონებში ცვლილებების შეტანა
- გ) აღმასრულებელ პირთა მოსმენა/დაკითხვა
- დ) აღმასრულებელი ხელისუფლების წევრთა მონევა საპარლამენტო მოსმენებზე
- ე) სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო მხედრთა მონევა საპარლამენტო შეხვედრებზე
- ვ) სამოქალაქო ექსპერტების ჩართვა საპარლამენტო განხილვებზე
- ზ) აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნა
- თ) საპარლამენტო მოთხოვნების შესრულება
- ი) მოსმენების ჩატარება



საპარლამენტო საქმიანობის ზემოაღნიშნული მიმართულებით თან ერთვის საკანონმდებლო პროცესს და ის მისი ზოგადი ნაწილია, თუმცა რიგ შემთხვევებში (მაგალითად, სამხედრო მისიების დამტკიცება და შესყიდვები) შესაძლოა საჭირო იყოს გარკვეული საკითხების კონკრეტული საკანონმდებლო რეგულირება. ზოგიერთი ზოგადი სახის უსაფუძვლად, რომელიც შესაძლოა პარლამენტმა გახორციელოს კანონმდებლობით საქმიანობის შესრულება დაკავშირებით მოცემულია ქვემოთ სქემაში, რომელიც მიმოიხილავს პოლონიეთის მაგალითს.

### სქემა 7.3.

#### პარლამენტის უფრო ფართე როლი: პოლონიეთ<sup>60</sup>

პარლამენტი, ანუ სეიმი და სენატი, წარმოადგენს რა უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს, დაკავებულია თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხებით, რომლებიც მოიცავს კანონმდებლობით საქმიანობას და სახელმწიფოს ძირითადი კურსისა და მისი პოლიტიკის პრინციპების განსაზღვრას. პარლამენტი ასევე მონაწილეობს სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების გვეგებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებაში. გარდა ამისა, პარლამენტი ამტკიცებს კანონებს, რომლებიც არეგულირებენ თავდაცვასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს და ამით პირდაპირ ზეგავლენას ახდენენ როგორც ეროვნული თავდაცვის მინისტრზე, ისე სამინისტროზე; ამტკიცებს სახელმწიფოს თავდაცვის ბიუჯეტს და აკონტროლებს მის განხორციელებას, როგორც თავდაცვის ბიუჯეტის შექმნის, ისე მისი განხორციელების გარანტიების გამტკიცებლობის გარანტიით; გააჩნია უფლება ეროვნული თავდაცვის მინისტრის აპარატში დანიშნოს სამოქალაქო პირი, რომელიც არის დემოკრატიულად არჩეული მთავრობის წევრი და მას ავადმჯობესებს თავის თავზე აიღოს სახელმწიფო თავდაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები.

როგორც პარლამენტი, ისე საპარლამენტო კომიტეტები ასრულებენ გარკვეულ ზედამხედველობით ფუნქციებს. სეიმი სახელმწიფო თავდაცვის საკითხებით დაკავებულია ეროვნული თავდაცვის კომიტეტი.

ზემოთ ნახსენები ფუნქციების შესრულება სეიმის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის, სეიმის სპეციალური მომსახურების კომიტეტის, სენატის ეროვნული თავდაცვის კომიტეტისა და სეიმის ინდივიდუალური დელეგატებისა და სენატორების პასუხისმგებლობაა, როდესაც ისინი შეკითხვებს უსვამენ მთავრობის წარმომადგენელს საპარლამენტო მოსმენების დროს. სეიმის ეროვნული თავდაცვის კომიტეტის კომპეტენციის სფერო და პასუხისმგებლობა მოიცავს ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაკუთრებით, მათ, რომლებიც შედიან შეიარაღებული ძალების კომპეტენციაში. იგი შემდგომ კონტროლებს ქვეყნის ტერიტორიული და სამოქალაქო თავდაცვის სისტემასა და ფუნქციონირებას და იმას, თუ რამდენად რეალურად ასრულებენ სახელმწიფო ორგანოები, კონტრაქტორი და სოციალური ორგანიზაციები, ინდივიდუალური მოქალაქეები და თავდაცვის სხვა უწყებები შესაბამის ვალდებულებებს განაზტკიცებს კვეციის თავდაცვითუნარიანობა.

პარლამენტი იღებს პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებებს იმისათვის, რომ შექმნან და უზრუნველყონ შიდა უსაფრთხოება. იგი განსაზღვრავს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების პრინციპებს, საჯარო ორგანოების ძალაუფლებას, და შესაბამისად დატყუთნული საბიუჯეტო სახსრების ოდენობას. პარლამენტი, მის კომისიებთან ერთად, ზედამხედველობას უწევს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების ორგანოებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ასრულებენ დამატებით ფუნქციას მოქალაქეთა ამა თუ იმ პრეტენზიის ოფიციალურად განხილვის კუთხით. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ფუნქცია რეგულირებულია ამომრჩეველთა წარმომადგენლობით ამა თუ იმ კონკრეტულ გეორგაფიულ სიერეკში ან საარჩევნო ოლქში. კანონმდებლებს უფრო ზოგადი საფიქრალა სახელმწიფო ორგანოების მიერ ცუდი ადმინისტრირება, რაც, მათ შორის, მოიცავს შეიარაღებულ ძალებს. არეფექტური ადმინისტრირების გამო, მრავალ ქვეყანაში შეიქმნა დამოუკიდებელი სამსახურები, როგორცაა, ომბუდსმენი, რომელიც იძიებს კონკრეტულ საქმეებს და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. ასეთი სამსახურების მნიშვნელობის შესახებ, განსაკუთრებით, სამხედრო ომბუდსმენისა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებათა დასაცავად განხილულია 22-ე თემაში.

### 3. თავდაცვის კანონმდებლობის კომპეტენცია

თავდაცვასა და შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებულმა კანონმდებლობამ, როგორც წესი, შესაძლოა მოიცავს საკითხების ფართო სპექტრი, მაგალითად, სამხედრო მისიებები და ამოცანები, სამხედრო იერარქია, პოლიტიკური ნეიტრალიობა, სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსი, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, სავანგებო მდგომარეობა, სამხედრო დისციპლი-

<sup>60</sup> პოლონიეთის პასუხი ინფორმაციის გაცელაზე ეუთოს ქვეყის კოდექსთან მიმართებაში, 2004.

ნა და დარღვევები, სამართლის სამართლის სისტემები, საკანონმდებლო გამოსწორებისა და გასაჩივრების მექანიზმები, ვალდებულა არაქანონიერი ბრძანებებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მიმართ, პრეტენზიის, ანაზღაურებისა და პეტციის უფლება, ხელფასები და პენსიები, ოჯახის წევრების და ზღვევის უფლება უფციარი გარდაცვალების ან სამსახურეობრივი ტრავმის შემთხვევაში.

## საქმე 7.4

### თავდაცვის კანონმდებლობის სფერო: აშშ<sup>51</sup>

აშშ-ის კოდექსის მე-10 კარმი მოცემულია მრავალი კონკრეტული დებულება, რომლებსაც იყენებს თავდაცვის დეპარტამენტი. მასში აღწერილია თავდაცვის დეპარტამენტის ფუნქციები, ვალდებულებები და წამყვან ოფიციალურ პირთა ფუნქციონალური მოვალეობები. იგი ნიშნავს გაერთიანებული შტატის უფროსებს, სამხედრო ხელმძღვანელობას, სარეზერვო კომპონენტს და არგენტურებს მათ შორის ურთიერთობებს. მე-10 კარმი მოცემულია განსაკუთრებული ნებისამოქალაქო საკანონმდებლო ხელისუფლებას ანიჭებს სამხედრო სისტემისათვის მხარდაჭერის უფლებას (თავი 18), უზრუნველყოფს უცხო ქვეყნებს პუბლიკარული და სხვა სახის დახმარებით (თავი 20), განიხილავს თავდაცვის დეპარტამენტის სადაზვერვო საკითხებს (თავი 21) და სამხედრო სამართლის კოდექსის საკითხებს (თავი 47). მე-10 კარი ასევე შეიცავს მომზადებასთან, ხელფასთან, შესყიდვებსა და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

არსებობს ნებისამოქალაქო განსაზღვრული თანამდებობებიც, როგორცაა, თავდაცვის მდიანის, ჯარების, საზღვაო ფლოტისა და საჰაერო ძალების საყოველთაო დამცველი და ჯარის, საზღვაო ფლოტისა და საჰაერო ძალების მოსამართლე ადოკატი, რომლებიც შესაბამის უწყებებსა და პირებს უწყვენ იურიდიულ კონსულტაციებს, ახდენენ პროგრამათა და სამუშაო საკითხების გადახედვას და დაუდევრობის აღმოფხვრას.

როდესაც პარლამენტები გამოცემენ კანონებს შეიარაღებული ძალებისათვის, მათ უნდა უზრუნველყონ კანონის უზენაესობის გამოყენება არა მარტო ზედაპირულად შეიარაღებულ ძალების შემთავის სამართლებრივი უფლებამოსილების უზრუნველსაყოფად, არამედ უფრო ღრმა თვალსაზრისით: პარლამენტის წევრებმა უნდა იზრუნონ იმაზე, რომ შეიარაღებული ძალების დამცავი კანონი იყოს ნათელი, ყოვლისმომცველი, თავისებადი და შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს.

თუმცა, სამხედრო კანონმდებლობის უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს კონკრეტული სამართლებრივი ვალდებულებების დაწესებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ის დისციპლინური გარემო, რომელშიც ისინი მოღვაწეობენ, მაგალითად, პასუხისმგებლობები დეზერტირობისათვის, ოფიციალური შეტყობინების გარეშე სამსახურის გაცდენისათვის, დაუბორჩილებლობისათვის, ამბოხებისათვის, მტრის დახმარებისათვის, ძილი მოვალეობების შესრულებისას და სხვა. წინამდებარე კვლევის ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს სამხედრო სამართლის ის ნაწილები, რომლებიც მოიცავს ჩვეულებრივ დანაშაულებსა და დისციპლინის დარღვევებს, სადაც არ ფიგურირებს ადამიანის უფლებათა საკითხები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო სამართლის სისტემის სხვა ასპექტები, რომლებიც ეხება სამართლიან სასამართლო პროცესს ან იმ საკითხს, თუ რა პირობებში უნდა იყოს დისციპლინირებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურე სამხედრო კანონმდებლობის ფარგლებში ისეთი ადამიანის უფლების გამოსაყენებლად, როგორცაა მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, განუყოფელია ადამიანის უფლებათა სფეროსი (21-ე თავში განხილულია საკითხი, თუ როგორ შეესაბამება სამხედრო სამართალი სამართლიანი სასამართლო განხილვის სტანდარტებს).

### 4. კანონმდებლობა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებები

კანონმდებლობის მეშვეობით შესაძლებელია დადებითი კუთხით დაეარგვლიროთ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ყოვლისმომცველი კანონმდებლობის მაგალითია რუსეთის ფედერაციის კანონი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ, რომელიც ეხება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებებს<sup>52</sup> (იხ. სექმა 7.5).

<sup>51</sup> აშშ-ის პასუხი ეუთო-ის ქვეყნის კოდექსის საინფორმაციო გაცელაზე.

<sup>52</sup> რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, "თავდაცვის", "სამხედრო ვალდებულების, სამსახურისა და ჯარის", "შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სტატუსის", "იმ პირებისათვის, რომლებმაც გაიარეს სამხედრო სამსახური და მათთვის, ვინც მიზანგან საქმეთა სამსახურის მუშაობები არიან და მათი ოჯახებისათვის" შესახებ კანონები და მრავალი სხვა სამართლებრივი აქტები წარმოადგენენ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სისტემის სამართლებრივ ბაზას.

## სქემა 7.5

### შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის კანონის გამოცემა: რუსეთის ფედერაცია<sup>53</sup>

- სამხედრო მოსამსახურის სტატუსი — ფედერალური კანონი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ. N 76. 1998 წლის 27 მაისი
- სამხედრო მოსამსახურეთა თავისუფლებათა, პატივისა და ღირსების დაცვა - მუხლი 5
- გადაადგილების თავისუფლებისა და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის უფლება — მუხლი 6
- სიტყვის, შეხვედრებში, გამოსვლებში, დემონსტრაციებში, პროცესიებსა და პიკეტირებაში მონაწილეობის მიღების თავისუფლება — მუხლი 7
- სინდისისა და რელიგიის თავისუფლება — მუხლი 8
- მთავრობისა და სახელმწიფო კაპიტრებში მონაწილეობის უფლება — მუხლი 9
- მუშაობის უფლება — მუხლი 10
- სამსახურეობრივი ვადები და დასვენების უფლება — მუხლი 11
- ფულადი ანაზღაურება — მუხლი 12
- დამატებითი გადასახადები — მუხლი 13
- მომარაგება ტანსაცმლით — მუხლი 14
- ბინით უზრუნველყოფის უფლება — მუხლი 15
- ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების უფლება — მუხლი 16
- საკუთრების უფლებები: საგადასახადო პრივილეგიები — მუხლი 17
- განათლების უფლება და უფლებები ხელოვნების სფეროში — მუხლი 19
- საჯარო ტრანსპორტით სარგებლობის საკითხები — მუხლი 20
- არაკანონიერი ბრძანების გასაჩივრების უფლება — მუხლი 21
- უფლებები სასამართლო წარმოებისას — მუხლი 22
- სოციალური დაცვის უფლებები — მუხლი 24
- საგანგებო მდგომარეობისას სამსახურის განეცისას არს. დამატებითი პრივილეგიები — მუხლი 25
- ზოგადი ვალდებულებები — მუხლი 26
- ოფიციალური და განსაკუთრებული ვალდებულებები — მუხლი 27

საკანონმდებლო რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ვითარებაში, როდესაც ადგილი აქვს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა შეზღუდვას ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. რამდენადაც ადამიანის უფლებების დაცვა ფუნდამენტურია სახელმწიფოს ყველა წევრისათვის, სამხედროთა ჩათვლით, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს შეიარაღებული ძალების ადამიანის უფლებათა შეზღუდვების გამყარება დამცავი შექანიზმებით, რათა თავიდან ავიცილოთ ძალადუფლები ბოროლად გამოყენება ან სხვა უსამართლო შეზღუდვები.

ეუთო-ს წევრმა ქვეყნებმა უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე ქვეყნის კოდების<sup>54</sup> ფარგლებში თავის თავზე აიღეს იმის ვალდებულება, რომ "თავიანთ კანონებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტებში ასახავდნენ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებებსა და მოვალეობებს" (მუხლი 28) და "უზრუნველყოფდნენ სამხედრო, ნახევრად სამხედრო და უსაფრთხოების ძალების პერსონალის მიერ თავიანთი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გამოყენებას, როგორც ეს მოცემულია ეუთო-ს დოკუმენტებსა და საერთაშორისო სამართალში, შესაბამის საკონსტიტუციო და სამართლებრივ დებულებებსა და სამსახურის მოთხოვნებთან შესაბამისად" (მუხლი 32).

თუ საჭირო გახდა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებების შეზღუდვა, იგი უნდა ემყარებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებსა და შეესაბამებოდეს შესაბამის სახელმწიფო დებულებებს.

ეუთო-ს წერი კვანების უმეტესობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გათვალისწინებით სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებთან

<sup>53</sup> ფედერალური კანონი N76. 1998 წლის 27 მაისი (ცვლილებებით) სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ. არაოფიციალური თარგმანი შეგიძლიათ მოიძიოთ შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ფუნქციის ცენტრის ვებ-გვერდზე [www.dcaf.ch/\\_docs/eng-book/24\\_StatustatusPersonn.pdf](http://www.dcaf.ch/_docs/eng-book/24_StatustatusPersonn.pdf).

<sup>54</sup> ეუთოს ქვეყნის კოდები უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე, 1994 წლის დეკემბერი.

მიმართებაში მინიმალურ სტანდარტებს განსაზღვრავს სამართლებრივი სახის შეზღუდვებ-  
ნისათვის, როგორცაა: პირადი ცხოვრების პატივისცემა, აზრისა და რწმენის თავისუფლება,  
გამოხატვის თავისუფლება, ასოციაციებში განევრიანების თავისუფლება (იხ. მუხლები მე-  
8-11-ე შესაბამისად), ასევე, იმისათვის, რომ დაექვემდებაროს და შესაბამისობაში მოვიდეს  
სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-  
8 მუხლის მიხედვით: სამხედრო სამართალი უნდა განხორციელდეს "დამოუკიდებელი და  
მიუკერძოებელი ტრიბუნალის მეშვეობით, რომელსაც ანებსებს კანონი".

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად,  
დემოკრატიულ საზოგადოებაში, განმარტოების უფლება (მუხლი 8); აზრის, ცნობიერებისა  
და რელიგიის ან რწმენის თავისუფლება (მუხლი 9); გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 11)  
შეგვიძლია შევზღუდოთ საჭიროებისამებრ საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით,  
თუ შეზღუდვები "გამომდინარეობს კანონმდებლობიდან" და გარკვეულ ინტერესებს ემსახ-  
ურება. თითოეულ შემთხვევაში მოქმედებს განსხვავებული შეზღუდვები, როგორც ეს მოცე-  
მულია ქვემოთმოცემულ სქემაში.

**სქემა 7.6.**

**ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8-11-ე მუხლების თანახმად არსებული შეზღუდვები\***

შეზღუდვების ნებადართულ საფუძვლები	კონვენციის მინიჭებული უფლებები			
	პირადი ცხოვრების პატივისცემა (მუხლი 8)	აზრის, ცნობიერებისა და რელიგიის ან რწმენის თავისუფლება (მუხლი 9)	გამოხატვის თავისუფლება (მუხლი 10)	შეკრებისა და ასოციაციებში განევრიანების თავისუფლება (მუხლი 11)
ეროვნული უსაფრთხოება	+	-	+	+
საჯარო უსაფრთხოება	+	+	+	+
ეკონომიკური კეთილდღეობა	+	-	+	-
არეულობის ან დანაშაულის თავიდან აცილება	+	+	+	+
ჯანმრთელობის ან მორალის დაცვა	+	+	+	+
სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა	+	+	+	+
ტერიტორიული მთლიანობის დაცვა	-	-	+	-
საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გაცემის პრევენცია	-	-	+	-
სხვათა რეპუტაციის დაცვა	-	-	+	-
მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის შენარჩუნება	-	-	+	-

ამასთანავე, მე-11 მუხლში აღნიშნულია, რომ "ამ მუხლმა არ უნდა შეუშალოს ხელი კანონ-  
იერი შეზღუდვების დანესებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა, პოლიციის ან  
სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ ამ უფლებების გამოყენებაზე" (იხ. თავი 9, "სამხედრო  
კავშირები და ასოციაციები").

დაუშვებელია ასევე შეზღუდვების ამორჩევით დანესება. მე-14 მუხლით იკრძალება კონვენ-  
ციის უფლებებით სარგებლობის შემთხვევაში ნებისმიერი დისკრიმინაცია "ისეთ  
საფუძველზე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა  
შეხედვლება, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნულ უმცირესობასთან კავშირი,  
ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი".

გარდა ამისა, მხედველობაში მისაღები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ  
დანესებული საერთაშორისო პრინციპები. აღნიშნული სასამართლო იყენებს ფრთხილ მიდგო-  
მას იმასთან მიმართებაში, თუ როგორ და როდის შეუძლიათ სახელმწიფოებს გამოიყენონ

\* ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. 1950.

ადამიანის უფლებებთან მიმართებაში არსებული შეზღუდვები ეროვნული უსაფრთხოების საბაზით. ეს საკითხი ასევე შეიძლება ეუთო-ს წევრმა იმ ქვეყნებმა გაიზიარონ, რომლებიც არ არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრები. სასამართლომ დაადგინა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც კანონმდებლობამ უნდა დააკმაყოფილოს. ისინი მოცემულია სქემაში 7.7, როგორც "კანონის ხარისხის ტესტი". ეს კრიტერიუმები მოიცავს კანონთა შორისმჭერტელობის საჭიროებას, იმას, რომ მათ უნდა შეზღუდონ იმ პირთა მოქმედების თავისუფლება, ვისაც ისინი აჩივებენ ძალაუფლებას და რომ უნდა შექმნას გარანტიები ასეთი ვალდებულებების დარღვევისაგან დასაცავად.

## სქემა 7.7

### ევროპის კონვენციის "კანონის ხარისხის ტესტი"<sup>56</sup>

კონვენციის თანახმად, უნდა დანესდეს შეზღუდვები "კანონთან შესაბამისად". ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ნათქვამია, რომ:

- კანონები შეიცავენ ზოგადი სამართლის ნესებს, ნესდებებსა და დაქვემდებარებულ კანონმდებლობას. ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ იმისთვის, რომ დაერქვას "კანონი", ნორმა უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი და ჩამოყალიბებული საკმარისი სიზუსტით, რაც მოქალაქებს მისცემს საშუალებას დაარეგულირონ თავიანთი ქცევა;<sup>57</sup>
- კანონს, რომელიც "კონკრეტულ შემთხვევებში შეუზღუდავი მოქმედების თავისუფლების საშუალებას იძლევა, არ გააჩნია ნინასნარ განჭვრეტის აუცილებელი თვისებები და, ამდენად, ნინამდებარე მიზნებისათვის ვერ ჩაითვლება კანონად. მოქმედების თავისუფლების არე უნდა იყოს მითითებული შესაბამისი გარანტიებით"<sup>58</sup> და უნდა არსებობდეს კანონის მიერ დანესებული მოქმედების თავისუფლების უგულვებელყოფისაგან დაცვის მექანიზმები;<sup>59</sup>
- თუკი ეს გარანტიები არ არის ვანერილი თვით კანონში, ის მაინც უნდა ითვალისწინებდეს ჩარევის პირობებსა და პროცედურებს.<sup>60</sup>

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებ-გვერდი: [www.echr.coe.int](http://www.echr.coe.int); იან კამერონი, ეროვნული უსაფრთხოება.

<sup>57</sup> Sunday Times დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1979 წლის 26 აპრილი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 2, 1979, გვ. 45, მუხლი 47.

<sup>58</sup> სილვერ და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1983 წლის 25 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 5, 1983, გვ. 347, მუხლი 85.

<sup>59</sup> იქვე, მუხლები 88-89.

<sup>60</sup> კლასი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1977 წლის 9 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 2, 1979, გვ. 214, მუხლი 63; კრუშინი საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1990 წლის 24 აპრილი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 12, 1990, გვ. 547, მუხლი 35; პუეგი საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1990 წლის 24 აპრილი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, 1990, ტომი 12, გვ. 528, მუხლი 34.



ნანილი III

ჯარისკაცები, როგორც მოქალაქენი სამხედრო ფორმაში, როგორც წესი, იმავე ძირითადი უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც ყოველი მოქალაქე. თუმცა მრავალ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მაინც, რომ პოლიტიკური საქმიანობა დისციპლინურ მოთხოვნებისა და სამხედრო პროცესისათან შეუსაბამოა. ამიტომ, ჯარისკაცთა პოლიტიკური ნეიტრალობა ყველა სამხედრო სისტემისათვის სადაო საკითხია. მაშინ, როცა შეიარაღებულ ძალებში კანონმდებლობა პოლიტიკური ნეიტრალობის შესახებ ასე თუ ისე ერთმანეთის შიგავსაა, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ვალდებულების სახეები, რომლებიც მოიცავს შეიარაღებულ ძალების ვართე პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობისგან განდგომას. მსგავსად, შეზღუდვები ხშირად წესდება სამხედროთა სიტყვის თავისუფლებაზე, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არსებობს საჭიროება მათი, როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური ძალის არსებობისა და ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავიდან იქნას აცილებული აზრთა სხვადასხვაობა და დაუ-მორჩილებლობა.

წინამდებარე თავში თავდაპირველად წარმოდგენილია ის არგუმენტები, რომლებიც ეხება პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებაში არსებულ შეზღუდვებს, ხოლო შემდეგ მათ, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ნეიტრალობასთან, რაც ზეგავლენას ახდენს ხმის მიცემის, თანამდებობის დაკავების, პოლიტიკურ დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღების უფლებებსა და აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ქვემოთ მოცემულია ეუთო-ს წევრი ქვეყნების სხვადასხვა მიდგომის მაგალითები პოლიტიკური ნეიტრალობისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, რომლებიც მოიცავს როგორც ნეიტრალობის ნაკლებად შემზღუდავ, ასევე მკაცრ სტანდარტებს.

## 1. რისკები

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიმართ ძირითადად დაწესებულია შემდეგი სახის შეზღუდვები:

- პოლიტიკურ პარტიებში მონაწილეობა;
- პოლიტიკურ თანამდებობაზე მოღვაწეობა;
- სამხედრო ფორმაში ყოფნისას საჯარო დემონსტრაციებში მონაწილეობა;
- აზრის გამოხატვის თავისუფლება.

წარმოდგენილი სახის შეზღუდვების ახსნისა და გამართლების რამდენიმე არგუმენტი არსებობს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ შეიარაღებული ძალები, როგორც ტერიტორიული შთლანობისა და საკონსტიტუციო წესრიგის დამცველნი, უნდა მოაზრებოდნენ დაუ-მოუკიდებლად და არ მონაწილეობდნენ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. ნეიტრალობა გვეხმარება იმის უზრუნველყოფაში, რომ თვით ამომრჩეველები წყვეტენ, თუ ეინ უნდა მართოს სახელმწიფო. მრავალ გარდამავალ დემოკრატიულ სახელმწიფოში, შეიარაღებულ ძალებს ქვეყანაში მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობის საცემოდ სამარცხეინო და რეპრესიული ისტორია გააჩნიათ. ნეიტრალობის მოთხოვნები კი წარსულთან დამორების ერთ-ერთი საშუალებაა.

გარდა ამისა, შეზღუდვების მიზანია შეიარაღებულ ძალებში არსებული პოლიტიკური დაპირისპირების თავიდან აცილება, რომელიც შესაძლოა შემცირდეს მათი ეფექტურობისა და მორალის ხარჯზე, განსაკუთრებით ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კრიტიკის ან არჩეული ლიდერების მიერ სამხედროთათვის დაკისრებული ამოცანების შესრულების შემთხვევაში.

ამას ისიც ემატება, რომ შეიარაღებული ძალების ეფექტური სამოქალაქო კონტროლი და პასუხისმგებლობა საჭიროებს პოლიტიკური და სამხედრო სფეროების გამოჯვანას. თუ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები პოლიტიკურ სფეროში მნიშვნელოვანი მოთამაშეები გახდებიან, ეს შეესაბამება დემოკრატიულ პასუხისმგებლობას და წარმოქმნის ინტერესთა კონფლიქტს. შესაბამისად, შეზღუდვები შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს, რათა მოხდეს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა პოლიტიკაში აქტიური ჩართვის თავიდან აცილება.

დემოკრატიული ქვეყნებში შესაძლოა არსებობდეს ასევე შეზღუდვები სამხედრო სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით. თუკი პირს, რომელსაც სურს გახდეს სამხედრო, აქვს უკიდუ-



რესი პოლიტიკური შეხედულებები (მაგალითად, ისინი, ვინც მხარს უჭერენ არაკონსტიტუციურ საქციელს) შესაძლოა აეკრძალოთ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებად მსახური. ასეთი შეზღუდვის დანესება გამომდინარეობს იმ საფუძვლებიდან, რომ ასეთი პოლიტიკურ გაერთიანებებს ახასიათებთ მასუხისმგებლობისგან თავის არიდება, რაც კრიზისულ ვითარებაში მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მიხედვით, საჯარო სამსახურში ექსტრემისტული შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ შეზღუდვების დანესება აღიარებულ იქნა როგორც სამქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის საფუძველი.<sup>41</sup>

ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, გერმანია) მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის საუკეთესო განათლება დემოკრატიულ პრაქტიკაში არის აქტიური მონაწილეობა. ამდენად, ისინი ანებებენ მინიმალურ შეზღუდვებს პოლიტიკურ საქმიანობაზე. როდესაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების პოლიტიკურ საქმიანობაზე დაწესებული ვარკვეული სახის შეზღუდვები, აუცილებელია, რომ ისინი იყვნენ საკონსტიტუციო ნუსრივის დამყარების მიზნებისა და სამხედრო დისციპლინის დაცვის პროპორციული. შეზღუდვების დანესება უნდა გააჩნდეს ისეთი სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც იქნება მექანიზმურად გამჭვირვალე და ასევე შესაძლებელი იქნება მისი შეცვლა. მაგალითად, ქვეყნის ეროვნულ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობის შეზღუდვა შესაძლოა გავაზიაროთ სამხედრო სფეროში და პოლიტიკის განიჯენის საჭიროებით, მაგრამ ადგილობრივი პოლიტიკის შემთხვევაში, სულ სხვა მდგომარეობაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სამხედრო საკითხებში არაპირი ჩართვა ან კონტროლი. ნეიტრალიზის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს იმ კონდექსტში, რომლებიც ზღუდავენ საჯარო იდენტიფიკაციას პოლიტიკურ პარტიებში (მაგალითად, პარტიის შეხედულებებზე სამხედრო ფორმის ტარების აკრძალვა), ვიდრე თვით მონაწილეობის მიღება. შეზღუდვები შესაძლოა უფრო შემსუბუქდეს ან სრულებით გაუქმდეს მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურე დატოვებს ჯარს, ეს ასევე, შეხებათ რეზერვისტებს.

## 2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები

საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სამართლის ძირითადი საკამათო საკითხია აზრის გამოხატვის თავისუფლება (მაგ., პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა და გავრცელება) და პოლიტიკური უფლებები (მაგ. პოლიტიკურ პარტიაში განწერინება). თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები უზრუნველყოფენ ხმის მიცემისა და არჩევის უფლებას.

ეთუთი გამუდმებით ადასტურებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისა და მათი სრული სახით გამოყენების მნიშვნელობას.<sup>42</sup> 1990 წელს, პარიზში, ეუთო-მ დაადასტურა პოლიტიკურ პარტიაში განწერინებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლება და იმავე წელს კოპენჰაგენის კონფერენციამ მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა პოლიტიკური პარტიების დაარსების უფლების მნიშვნელობას. კოპენჰაგენში ეუთო-მ ასევე აღნიშნა, რომ "ყველა ენებოდა აზრის გამოხატვის თავისუფლება კომუნიკაციის დამყარების უფლების ჩათვლით ... და აზრის ხელის, ინფორმაციისა და აზრების მიღებისა და მიუკერძოებლობის უფლება სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ჩარევის გარეშე."<sup>43</sup> ადამიანის უფლებათა ვალდებულებები ნათლად გვიჩვენებს, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელებისა და გამოქვეყნების უფლებებს.<sup>44</sup>

<sup>41</sup> ცივი ომის დროს, სასამართლო შედარებით არაკრიტიკულად იყო განწყობილი კომუნისტების წინააღმდეგ სახელმწიფო დასაკმების პოლიტიკურ შეზღუდვებთან მიმართებაში. იხ. ლანგნაპი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1966 წლის 28 აგვისტო, ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1966 წლის 28 აგვისტო, ევროპის ადამიანის უფლებათა აგნარში, ტომი 9, 1967 წელი, და 228, სადაც სასამართლო ვერ აღმოაჩინა მე-10 მუხლის ევრანადი დარღვევა, რადგანაც მან მიიჩნია, რომ საქმეა ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სამოქალაქო სამსახურის მიღწევადობა, რომელიც არ იყო დაცული კონვენციის მიერ (როგორც ეს მაშინ იქნა გაგებული). შეადგენს ეოგატიკ ევრანის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1995 წლის 26 სექტემბერი, ევროპის ადამიანის უფლებათა აგნარში, ტომი 21, 1995 წ. გვ. 205, სადაც ის მასწავლებელი, რომელიც დაიბოძა კომუნისტური პარტიის მხარდაჭერა კამპანიისათვის, მოუწოდებდა მე-10 მუხლის შესრულებას. ამდენად, ქვეყნისათვის უფრო უფრო იქნებოდა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შეზღუდვების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 თავებში მოცემული ეროვნული უსაფრთხოების შეზღუდვებზე გამომდინარე.

<sup>42</sup> ევროსინკ 1975 (ევროპული უსაფრთხოებისათვის დაკავშირებული შეკითხვები: I) მონიწილე ვერანებს შორის ურთიერთობების მარვედლორებელი პრინციპების დეკლარაცია — პრინციპი VI); მაგრიდი 1983 (ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეკითხვები: პრინციპები); ევრა 1989 (ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეკითხვები: პრინციპები).

<sup>43</sup> კოპენჰაგენი 1990, მუხლი 91.

<sup>44</sup> იქვე, მუხლი. 10.1.

**სქემა № 1.**

**აზრის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება**

<p>მუხლი 19 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია</p>	<p>ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დაუბრკოლებლად.</p>
<p>მუხლი 19. საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ</p>	<p>1. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ქონდეს საკუთარი აზრი. 2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, ნერილობით თუ პრესისა და გამოსატყვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით. 3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ მოვალეობას და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. მაშასადამე, იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ შეზღუდვასთან, რომლებიც უნდა იყოს კანონი დადგენილი და აუცილებელი: ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის; ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ადამრთელობისა თუ ზნეობის დაცვად.</p>
<p>მუხლი 21. საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ</p>	<p>1. აღარმართავია მშვიდობიანი კრებების უფლება. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუნსდეს მხოლოდ ისეთი შეზღუდვებით, რომლებიც შესაბამეა კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის უანმრთელობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.</p>
<p>მუხლი 10. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია</p>	<p>1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მსახურები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განაზოცილონ რადიომანუშელობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. 2. ამ თავისუფლებათა განზოცილება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ნებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, უანმრთელობის ან მორალს დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.</p>
<p>მუხლი 20. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია</p>	<p>1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა. 2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.</p>
<p>მუხლი 11. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია</p>	<p>1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვებთან გაერთიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესები დაცვად.</p>

**აზრის გამოხატვის უფლების შეზღუდვები ECHR-ის მიდგომა**

აზრის გამოხატვის თავისუფლება სამხედრო სამსახურისთვის შესაძლოა პრობლემური აღმჩნდეს სხვადასხვა ფორმით; საკომუნიკაციო მომსახურებით დაწვეული, ყალბი გაზეთების გამოშვებით დამთარებელი, ან მედიამი კრიტიკის გატარებით. სამხედრო დისციპლინა გარკვეულწილად მოითხოვს გარკვეულ შეზღუდვებს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე. შესაბამისად გასაკვირი არ არის ის, რომ თუკი სამოქალაქოთა შემთხვევაში ეს საკითხები არ არის დარეგულირებული, სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდვების დანესაზღვრისათვის გარკვეული ფორმის მოძებნა აუცილებლობას წარმოადგენს. მათ შორის, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეროვნული უსაფრთხოება ამართლებს შეზღუდვებს სამხედრო საიდუმლოებათა გაცემის თავისუფლებაზე.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და მათ არსებული შეზღუდვების ლეგიტიმურ მიზეზებად მიიჩნევენ. ენჯელის შემთხვევაში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო აცხადებს:

მე-10 მუხლით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლება ხევა როგორც მომსახურე პერსონალს, ისე სხვა პირებს ხელშეკრულების ნეგირ ქვეყნების ნორმინდიციის ფარგლებში. თუმცა, ჯარის მართებელი უზრუნველყოფის თითქმის არარსებობისა სამართლებრივი რეგულაციების გარეშე, კერძოდ, მომსახურე პერსონალმა დაცვისა სამხედრო დისციპლინა შესაბამისი ოფიციალური ნორმატივების არსებობის პირობებში.<sup>65</sup>

შესაბამისად, შემდგომ შემთხვევებში, სასამართლოს არ აღმოურჩენია მე-10 მუხლის რაიმე სახის დარღვევა, კერძოდ, როდესაც ორი ახალწვეული დააპატიმრეს ერთი წლით ისეთი მასალების გაერეცვლებისთვის, რომლებიც მოუწოდებდა საფრანგეთის საჯაროო შენაერთებს გამოსულიყვენიერ გერმანიიდან<sup>66</sup> ან როდესაც გერმანელი სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან ტელევიზიით მთავრობის პოლიტიკის გაკრიტიკებისათვის.<sup>67</sup>

საერთო ჯამში, ევრო სასამართლომ სახელმწიფოს მისცა მალალი შეფასება იმ შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს სამხედრო მოსამსახურის უფლებათა შეზღუდვებს. ნაინორტივ, ეს იმის მიზეზია, რომ ევროპული უსაფრთხოების მიმართ, ზოგადად, არსებობს მოკრძალებული მიდგომა. მიზეზდავად ამისა, თუ სახელმწიფოს არ შეუძლია უჩვენოს, რომ ამა თუ იმ შეზღუდვას გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, იგი ამ შეზღუდვებს ეერ გაამართლებს. კონვენციის სისტემით გათვალისწინებული პროპორციულობის ტენცი მითითოეს გათვალისწინებულ იქნას, თუ რატომ დაწესდა შეზღუდვა შესაბამის უფლებაზე. ამ საკითხს დანერილებით დაეუბრუნდებით ქვემოთ.

#### პოლიტიკური ნეიტრალიზა

როგორც ზემოთ აღინიშნა, უფლებათა შეზღუდვებით გამართლებული შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიტიკის უზრუნველყოფისათვის. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და პრაქტიკა იზიარებს ამ მიზანს. უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე უეთოს-ქვეყის კოდექსის 23-ე მუხლში ნათქვამია, რომ "თითოეულმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მისი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური ნეიტრალიზა, როდესაც იცავს თითოეული ჯარისკაცის სამოქალაქო უფლებებს." აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეეროპული კონვენციაც ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლებების შეზღუდვებს, რაც ქვემოთ სქემაში 8.2. არის მოცემული.

### სქემა 8.2.

#### პოლიტიკური ნეიტრალიტიკი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეეროპული კონვენცია და უნგრეთი<sup>68</sup>

უნგრეთში დაწესებული შეზღუდვების საქმესთან დაკავშირებით, როდესაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს, პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურის მუშაკებს ხელი შეუშალეს გაერთიანებული-ყენენ პოლიტიკურ პარტიამ და მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ ღონისძიებებში, ადამიანის უფლებათა ეეროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა ადამიანის უფლებათა ეეროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევას, რადგანაც ეს შეზღუდვები ლეგიტიმური ხასიათის იყო, სახელდობრ, ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისა და არეულობის თავიდან აცილების მიზნებიდან გამომდინარე. შეზღუდვების მიზანი იყო პოლიციის დემოლიტიზირება და ამით პლურალისტური დემოკრატიის შენარჩუნება. საზოგადოებაში პოლიციის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს შეზღუდვები შეესაბამებოდა დემოკრატიულ პრინციპებს და განაცხადა, რომ

41. ... პოლიციის ოფიცრებს გააჩნიათ იძულებითი ძალაუფლება დაარეგულირონ მოქალაქეთა ქცევა. ზოგიერთ ქვეყანაში მათ აქვთ უფლება ატარონ იარაღი საკუთარი მოვალეობების შესრულებისას. საერთო ჯამში, პოლიციის ძალები სახელმწიფოს ემსახურებან. ამდენად, საზოგადოებას უფლება აქვს პოლიციასთან ურთიერთობისას მოიაზროს ისინი როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური მუშაკები, რომლებიც არ ერევიან პოლიტიკურ გარეგნებში.

იგივე პრინციპები შეესაბამება შეიარაღებულ ძალებს. თუმცა, მათ შემთხვევაში, ეროვნულ პოლიტიკაში მონაწილეობის შეზღუდვები უფრო ძნელია ასახსნელად, რადგან ნეიტრალიზების აუცილებლობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად თავდაპირველად მოქმედებს ეროვნულ დონეზე.

<sup>65</sup> ენგელი ნიდერლანდების წიააღმდეგ, op. cit., შენიშვნა 29, მუხლი 100.

<sup>66</sup> Le Cour Grandmison de Fritz საფრანგეთის წიააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ეეროპული კომისია, 6 ივლისი 1987 წელი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 53, 1987, გვ. 150.

<sup>67</sup> E. S. ვერმანის წიააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ეეროპული კომისია, 1995 წლის 29 ნოემბერი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 84, 1995, გვ. 58.

<sup>68</sup> რაკევი უნგრეთის წიააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ეეროპული სასამართლო, 1999 წლის 20 მაისი, ადამიანის უფლებათა ეეროპული ანგარიშები, ტომი. 30, 2000, გვ.519.

## ხმის მიცემის უფლება და თანამდებობის დაკავება

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 25-ე მუხლში ნათქვამია:

ყოველ მოქალაქეს მე-2 მუხლში მოცემული განსხვავებების მიუხედავად უნდა გააჩნდეს უფლება და შესაძლებლობა;

ა) შილოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეების განხილვაში, პირდაპირ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით;

ბ) ხმა მისცეს და არჩევნი იქნეს პერიოდულ არჩევნებში, რომელიც უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრითა და იყოს უნივერსალური და თანაბარი ხმის უფლებით, რაც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სურვილის თავისუფალ გამოხატვას;

გ) თანასწორუფლებიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ხელი მოუწეებოდეს სახელმწიფო სამსახურზე მის ქვეყანაში.<sup>66</sup>

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ, თუ იარსებებს საფუძველი იმისა, რომ ვარკვეული არსებული თანამდებობები არ შეესაბამება კონკრეტულ პოზიციებს (მაგალითად, სასამართლო სისტემა, უმაღლესი სამხედრო თანამდებობა, საჯარო სამსახური), იმ ზომებმა, რომლებიც მიიღება ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, არ უნდა შეზღუდოს მ მუხლის მიერ გათვალისწინებული უფლებები.<sup>67</sup> ერთ-ერთ შემთხვევაში, ნიდერლანდებში დაწესებული შეზღუდვები, რომლებიც ხელს უშლიდა კომიტეტის დავაკავებინა მისი არსებული ადგილი ადგილობრივ საბჭოში, შეიცვალა: კომიტეტის აზრით, არ არსებობდა 25-ე მუხლის რამე ფორმით დარღვევის ფაქტი, რადგანაც შეზღუდვების მიზანი განხილვა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება.<sup>68</sup> მსგავსი პრინციპები შეესაბამება შეიარაღებულ ძალებში არსებულ შეზღუდვებსაც.

## დემონსტრაციაში მონაწილეობის უფლება

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო ხელშეკრულების 21-ე და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 11-ე მუხლის მიერ. ნათელია, რომ სადამსჯელო ღონისძიების გატარება (პროფესიული დისციპლინური სასჯელის ჩათვლით) დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის ჩაითვლება მე-11 მუხლის დარღვევად და ნებისმიერმა საკანონმდებლო აკრძალვამ უნდა დააქაფოფილოს პროპორციულობის კრატერიები.<sup>69</sup> თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11.2 მუხლში ნათქვამია, რომ:

"ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, დაანესოს კანონიერი შეზღუდვები ამ უფლებათა განხორციელებაზე შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ."

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო ხელშეკრულების 21-ე მუხლის მიხედვით (იხ. სტემა მ.3.), არ არსებობს ტექსტის მსგავსი რედაქცია. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიზნიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიკამათოთ, რომ სახელმწიფოს შესაძლოა დართონ ნება დაანესოს შეზღუდვები შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ ორგანიზებულ დემონსტრაციებზე, ვარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც ნებადართულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო ხელშეკრულებით ან რომლებიც არ აკმაყოფილებენ პროპორციულობის ტესტს. თუმცა, ეს ვარკვეულ ნილად არარეალური პერსპექტივაა, რადგან ასეთი საქციელი არასოდეს არ მოიხზრება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევად (რომელიც ეტება შეზღუდვათა კონკრეტულ მიზნებს "თუ საჭირო გახდება დემოკრატიულ საზოგადოებაში"). ვარდა ამისა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შეზღუდვების უმეტესობა უკავშირდება ეროვნულ უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ნებისმიერ შემთხვევაში.

## 3. განსხვავებული მიდგომა

უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკურ ასპექტებზე ეუთო-ს ქვეყნის კოდექსის 23-ე მუხლში ნათქვამია, რომ "თითოეულმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მისი შეიარაღებული ძალების

<sup>66</sup> ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი პროტოკოლის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ "ხელშეკრულების მალევე მოსწილე მხარეები უზრუნველყოფენ თავისუფალ არჩევნების ჩატარებას შესაბამისი ინტერვალებით ფარული კენჭისყრით იმ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანებს აზრის თავისუფალ გამოხატვას კანონმდებლობის არჩევნებში".

<sup>67</sup> გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 25 (57), გაერო-ს დოკუმენტაცია. C/PR/C/21/Rev.1/Add.7 (1996) მუხლი 25.

<sup>68</sup> დემონსტრაციის ნიდერლანდების წინააღმდეგ, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 1995 წლის 3 აპრილი, კომუნიკაცია N 500/92, გაერო-ს დოკუმენტაცია. C/PR/C/53/D/500/1992.

<sup>69</sup> უტლინი საერთაშორისო წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1991 წლის 26 აპრილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ტომი 14, 1992, გვ. 362.

პოლიტიკური ნეიტრალობა ყოველი სამხედრო პირის სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფისას". შეიარაღებული ძალების პოლიტიკურ ნეიტრალობაში საზოგადოებრივ ინტერესსა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ცალკეულ პირთა პოლიტიკურ უფლებებს შორის ბალანსი შესაძლოა დაცულ იქნეს სხვადასხვანაირად. როგორც სქემა მ.3.-დან ჩანს,

სქემა მ.3. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარება <sup>33</sup>				
პარტიკული	პოლიტიკურ გარემოში განხორციელების უფლება	არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება	ასოციაციაში განხორციელების უფლება	აზრის გამოხატვის თავისუფლება
აღიარებულია კანონმდებლობით	ავსტრია; ბელგია; კანადა; დანია; გერმანია; ლუქსემბურგი; ნორვეგია; პორტუგალია; შვედეთი; შვეიცარია; დიდი ბრიტანეთი; აშშ.	ავსტრია; აზერბაიჯანი; ბელორუსია; ბელგია; ჩეხეთი; დანია; ესტონეთი; ფინეთი; საფრანგეთი; საქართველო; გერმანია; ლატვია; ლუქსემბურგი; ნორვეგია; პოლონეთი; რუსეთის ფედერაცია; სლოვენია; შვედეთი; შვეიცარია; უკრაინა.	ავსტრია; ბელგია; კანადა; ჩეხეთი; ქორვატია; დანია; ესტონეთი; ფინეთი; საფრანგეთი; საქართველო; გერმანია; ირლანდია; ლიტვა; ლუქსემბურგი; ნორვეგია; პოლონეთი; რუსეთის ფედერაცია; სერბია და მონტენეგრო; სლოვენია; შვედეთი; შვეიცარია; უკრაინა; აშშ.	ავსტრია; აზერბაიჯანი; ბელორუსია; ბელგია; კანადა; ხორვატია; ჩეხეთი; დანია; ესტონეთი; ფინეთი; საფრანგეთი; საქართველო; გერმანია; ირლანდია; ლატვია; ლუქსემბურგი; პორტუგალია; რუსეთის ფედერაცია; სერბია და მონტენეგრო; სლოვაკეთი; სლოვენია; შვედეთი; უკრაინა; დიდი ბრიტანეთი; აშშ.
აკრძალულია ან არ არის აღიარებული	აზერბაიჯანი; ბელორუსია; ბოსნია და ჰერცეგოვინა; ხორვატია; ჩეხეთი; ესტონეთი; ფინეთი; საფრანგეთი; საქართველო; ირლანდია; ლატვია; ლიტვა; პოლონეთი; რუსეთის ფედერაცია; სერბეთი და მონტენეგრო; სლოვაკეთი; სლოვენია; ესპანეთი; უკრაინა.	ბოსნია და ჰერცეგოვინა; ბელორუსია; ხორვატია; ირლანდია; ლიტვა; პორტუგალია; სერბეთი და მონტენეგრო; სლოვაკეთი; ესპანეთი; დიდი ბრიტანეთი; აშშ.	აზერბაიჯანი; ბელორუსია; ბოსნია და ჰერცეგოვინა; ლატვია; სლოვაკეთი; ესპანეთი; დიდი ბრიტანეთი.	ესპანეთი
ასოციაციაში განხორციელების უფლება აღიარებულია ესპანეთის კონსტიტუციით, მაგრამ არა სამხედრო კანონმდებლობით სიტყვის თავისუფლება აღიარებულია ესპანეთის კონსტიტუციით, მაგრამ არა სამხედრო კანონმდებლობით				

ეთუ-ს ბევრ ქვეყანაში არსებობს შეზღუდვები უფლებაზე იყო ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიის წევრი ან ემხრობოდა კონკრეტულ პოლიტიკოსს, რაც ვრცელდება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზე. გეორგ ნოლტე და ჰეიკე კრიგერი მიიჩნევენ, რომ არსებობს სამი პრინციპი, რომლებიც მოქმედებს ევროპის ქვეყნებში იმასთან მიმართებაში, თუ რა სახის მონაწილეობაა ნებადართული პოლიტიკურ პროცესში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის. ესენია:

1. პოლიტიკური ნეიტრალობის ძლიერ შემზღუდავი პრინციპები
2. პოლიტიკური ნეიტრალობის შედარებით ნაკლებად შემზღუდავი პრინციპები
3. პოლიტიკური ნეიტრალობის ნაკლებად შემზღუდავი პრინციპები<sup>34</sup>

ძლიერ შემზღუდავი პრინციპები ეფექტური გარანტიაა შეიარაღებული ჯარების დახურულობის უზრუნველყოფის ნაყოფად, საჯარო დებატებისგან თავის არიდების მიზნით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ნეიტრალობას იმით, რომ გამოჰყოფს და იზოლირებს უკეთეს შეიარაღებულ ძალებს აქტიური პოლიტიკური მოძრაობისაგან. ამის საფუძველი (მაგალითად ესპანეთში) შესაძლოა იყოს სურვილი პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედრო ინტერვენციის თავიდან აცილებისა.

შეზღუდვები პოლონეთში მონაწილეს ზემოაღნიშნულ მიდგომას. პოლონეთი ავადდებულებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს სრულიად დამორღწეულ პოლიტიკურ სფეროს. კონსტიტუციის 26.2. მუხლში ნათქვამია, რომ "შეიარაღებულმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ ნეიტრალობა პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში და ისინი უნდა ექვემდებარებოდნენ სამოქალაქო და დემოკრატიულ კონტროლს." 2002 წელს პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების პოლიტიკური ას-

<sup>33</sup> ODIHR-DCAF პროექტის კითხვარი, კითხვა 54; მიმონრა EUROMIL-თან  
<sup>34</sup> გ.ნოლტე და პ.კრიგერი, "ევროპული სამხედრო სამართლის სისტემების შედარება", ნოლტე, *op.cit.*, note 6, pp.77ff.

ტავოების მკაცრი შეზღუდვები არ იყო არაკონსტიტუციური.<sup>73</sup> სასამართლო დაადგინა, რომ განიხილებული დებულებები, რომლებიც კრძალავდნენ პოლიტიკური პარტიის წევრობას, შეესაბამებოდა პოლიტიკური პარტიების შექმნისა და ფუნქციონირების თავისუფლების, პროპორციულობის, თანასწორობის, ასოციაციის თავისუფლებისა და საჯარო მომსახურების თანაბარი მიღწევადობის საკონსტიტუციო პრინციპებს ისევე, როგორც სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების 22-ე მუხლს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 და მე-17 მუხლებს. სასამართლომ დაადგინა:

შეიარაღებული ძალების პოლიტიკურ ნეიტრალობას (კონსტიტუციის მუხლი 26.2) გააჩნია ორი ასპექტი. პირველ რიგში, იგი ნიშნავს, რომ შეიარაღებული ძალები ვერ იქნებიან ავტონომიური ერთეული სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურაში, რომელსაც შეეძლება სახელმწიფო საკონსტიტუციო ორგანოების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა. პოლიტიკური ნეიტრალობა კონკრეტულად უზრუნველყოფილია სამოქალაქო კონტროლის მეშვეობით, დაქვემდებარებულია რა სამხედრო სფერო რესპუბლიკის საკონსტიტუციო ორგანოებს. მეორე ასპექტი კი გახლავთ ის, რომ შეიარაღებული ძალები ამოღებულ უნდა იქნას პოლიტიკური პარტიების პირდაპირი ზეგავლენის არედა.<sup>74</sup>

შედარებით ნაკლებად შემზღუდავი პრინციპები გამიზნულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმის შესაზღუდად, რათა მოხდეს იმ სიტუაციის თავიდან აცილება, როდესაც სამხედროები ან სამხედრო პირებმა აღიარებულნი საჯაროდ დადანაშაულებიან პოლიტიკური საქმიანობის გამო. მაგალითად, იტალიაში, ბელგიაში და დიდ ბრიტანეთში სამხედრო ფორმაში მყოფთათვის არსებობს გარკვეული შეზღუდვები პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით.<sup>75</sup> შეზღუდვები შესაძლოა დანესდეს (როგორც დიდ ბრიტანეთში) იმ ჯარისკაცებზე, რომლებიც მუშაობენ პოლიტიკურ პარტიებში, მაგრამ არა მათ ნევრობაზე.

პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვამდე შესაძლოა დაწესებულ იქნეს გარკვეული ვალდებულება იმისა, რომ სამხედრო მოსამსახურეებმა ამის შესახებ აცნობო ხელისუფლებას. მაგალითად, ხორვატიაში არჩევნებში მონაწილეობის მიღების, პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანების, სამხედრო საკითხებთან დაკავშირებული აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლება საჭიროებს სამინისტროსგან ნებართვას.<sup>76</sup> ლუქსემბურგში, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მაგრამ არჩევის შემთხვევაში, უნდა დატოვონ სამხედრო ძალები.

პოლიტიკური ნეიტრალობის ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი პრინციპის მიზანია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისთვის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის ხელშეწყობა შეზღუდვების შეზღუდვების საშუალებით, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური უფლებების გამოყენება არ შეუძლის ხელს სამხედრო თვალისთვის შესრულებას. ამ მიდგომის იზიარებს ნიდერლანდები, სადაც გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით ნებადართულია სამხედროების მონაწილეობა დემონსტრაციებში ან საჯარო შეხვედრებში, მათ შორის სამხედრო ფორმაში ჩაცმული ჯარისკაცებისთვის. მინიმალური შეზღუდვების დაწესების ძირითადი საფუძველია დემოკრატიული ღირებულებების პროორიტეტულობის აღიარება და ადევნა სხვადასხვა საშუალებებით. მაგალითად, გერმანიისთვის "მოქალაქე სამხედრო ფორმაში მიდგომა", პირველ რიგში, სწორედ რომ დემოკრატიის მნიშვნელობის ნინა პლანზე ნაწინევაა უსვამს ხაზს, რაც ამ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის მიღების ნების დართული შეიძლება იყოს გამოხატულები.

ყველა ეს მიდგომა საჭიროებს ბალანსის გათვალისწინებას დემოკრატიული პრინციპების უზრუნველყოფისა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ინფორმაციულ უფლებებს შორის. საჭიროა მოქნილობა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის შემოაქვს პოლიტიკურ აქტივობას ნეიტრალიტეტი და როდის ხდება უფლებების შეზღუდვის გადაწყვეტა. მოსამსახურე პერსონალისთვის უფლებათა შეზღუდვების დაწესება, რომლებიც უკავშირდება მათ პოლიტიკურ აქტივობას, სხვადასხვა პოლიტიკურ დონეებზე ჩართულობას, ასევე, თავის შიგრი, სამხედრო სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ უფროსობებებს, უფრო ადვილად გასამართლებელია. ამ მხრივ, უპირატესობა ენიჭება მშობი უფრო ნაკლებად შემზღუდავი პრინციპებს, თუმცა, კონკრეტულმა ფაქტმა ან სიტუაციამ ქვეყანაში შესაძლოა ხელი შეუწყოს ნეიტრალ-

<sup>73</sup> მოქალაქეთა უფლებების კომისიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალი, 2002 წლის 10 აპრილი, საქმე N K26/00

<sup>74</sup> არაოფიციალური თარგმანი პოლონეთის საკონსტიტუციო ტრიბუნალის ვებ-გვერდიდან <http://www.trybunal.gov.pl/img/index.htm>

<sup>75</sup> ნოლტ და კოლეჯი, *op. cit.*, not 74, pp. 79-80.

<sup>76</sup> ODIHR-DCAF პროექტის კითხვარი, კითხვა 54.ბ. 2006.

იტეტის უფრო შემზღუდავ მიდგომას. ასევე, მიზანშეწონილია პოლიტიკურ შეხედულებაზე დამყარებული აკრძალვების გამართლება; დემოკრატიული ინსტიტუტის მონინალმდევ პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში ასეთი შეზღუდვები გამართლებულიც კი არის. სექციაში 8.4. მოცემულია ერთი მაგალითი აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტიდან.

#### საქმაშ 8.4.

#### პოლიტიკური ჩართვა: აშშ-ის დეტალური ინსტრუქციები<sup>79</sup>

თავდაცვის დეპარტამენტის პოლიტიკაა შეიარაღებული ძალების მოსამსახურებმა (შემდგომში "მოსამსახურებში") დაიცვან სამოქალაქო ვალდებულებები. სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის შესრულებისას ეკრძალებათ გარკვეული სახის პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვა.

##### 4.1. ზოგადი

##### 4.1.1. სამხედრო მოსამსახურემ მოვალეობის შესრულების დროს შესაძლოა:

4.1.1.1. რეგისტრაცია გაიაროს, ხმა მისცეს ან გამოხატოს მისი პირადი აზრი პოლიტიკური კანდიდატების შესახებ ან სხვა საკითხებზე, მაგრამ არა როგორც შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა;

4.1.1.2. განახორციელოს ფულადი შენატანები პოლიტიკურ ორგანიზაციაში;

4.1.1.3. დაესწროს ღია ან დახურულ პოლიტიკურ შეხვედრებს, გამოსვლებს, კრებებს როგორც მაყურებელი, როდესაც არ იმყოფება სამხედრო ფორმაში.

##### 4.1.2. მოსამსახურე მოვალეობის აქტიურად შესრულებისას არ უნდა:

4.1.2.1 იყენებდეს მის ოფიციალურ ძალაუფლებას ან გაელენას არჩევნებში ჩასარედავ; არჩევნების მსვლელობაზე ან შედეგებზე ზეგავლენა მოახდინდეს; კონკრეტული კანდიდატის ან საკითხის გარშემო ხმების მოსაგროვებლად; სხვებისგან პოლიტიკური შენატანების მოსათხოვნად;

4.1.2.2 იყოს კანდიდატი, სარეგლმობდეს სამოქალაქო სამსახურის მოსახურებით, ვერა და 4.2 და 4.3. მუხლებში გათვალისწინებული შემთხვევებისა

4.1.2.3 მონაწილეობდეს დახურულ პოლიტიკურ მართვაში, კამპანიაში ან კრებებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ესწრება კრებას როგორც მაყურებელი და არა სამხედრო ფორმაში)

4.1.2.4 მთავრობის საარჩევნო კამპანიაში წვლილის შეტანა შეიარაღებული ძალების სხვა მოსამსახურის ან ფედერალური მთავრობის მუშაკისათვის.

#### აზრის გამოხატვის თავისუფლება

ეთუ-ს თითქმის ყველა წევრი ქვეყანა აღიარებს აზრის გამოხატვის თავისუფლების უფლებას შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეთათვის. თუმცა, უფრო არსებითი საკითხია დანუსეხული შეზღუდვების ფორმა და დონე. ქვემოთ მოცემულია გარკვეული მაგალითები.

სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ რუსეთის ფედერალური კანონის მე-7 მუხლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მოსამსახურეს გააჩნია სიტყვის თავისუფლება, მან არ უნდა ვასცეს სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებანი ან გააკრიტიკოს მეთაურის ბრძანებები. ლიტვაში სიტყვის თავისუფლება გამორიცხავს საჯარო პოლიტიკურ გამოსვლებს, რომლებიც აკრიტიკებს სახელმწიფო ინსტიტუტებში დემოკრატიულ გზით არჩეულ ადამიანებს. თავისუფლების არსებული შეზღუდვები დაწესებულია შექმლებისდაგვარად სამხედრო მოვალეობების შესრულებისა და სამხედრო დისციპლინის დამყარების გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, თუ როგორ შეესაბამება ეს სამსახურის მიზნებს. შევიცარიამი შეზღუდვები მოქმედებს აზრის გამოხატვის ფორმის გათვალისწინებით, მაგალითად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ეკრძალებათ პოლიტიკური განაცხადების გაკეთება სამხედრო ფორმაში ყოფნისას.

პოლიტიკური აქტივობის შეზღუდვების მსგავსად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უკავშირდება ლეგიტიმურ სამხედრო ინტერესებს, როგორიცაა, ეროვნული უსაფრთხოება, სამხედრო დისციპლინა ან საიდუმლოება. თუმცა ეს უნდა იყოს პროპორციული და არ უნდა იქნეს ისეთი ზომები მიღებული, რომლებიც სიტყვის თავისუფლების შემცირების ტენდენციას გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გვიჩვენა უფრო სექსპირდები მიდგომა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის ორ შემთხვევაში, რომლებიც შეეხებოდა შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს. პირველ შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ ჯარისკაცების მიერ დარიცხვული ყურნალი არ წარმოადგენდა საშიშროებას დისციპლინის პრინციპებისთვის, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ხშირად კრიტიკული იყო, იგი შეიცავდა ინფორმაციას პრეტენზიებისა და გასაჩივრების

<sup>79</sup> თავდაცვის დეპარტამენტის მითითება No. 1344.10, "შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების პოლიტიკური აქტივობები მოვალეობის შესრულებისას."

პროცედურების შესახებ და არ ურჩევდა კანონის დაუმორჩილებლობას.<sup>80</sup> მეორე შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა მე-10 მუხლი, როდესაც ახალგაზრდა ოფიცერმა სარჩეარი გააგზავნა მის ზემდგომთან (რომელიც არ გამოქვეყნებულა) და მიუსაჯეს მათიანი პატიმრობა შეიარაღებული ძალების შეურაცხყოფისათვის.<sup>81</sup> შესაბამისად, სამართლებრივი დევნა "არ იყო საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში", როგორც ამას მუხლი 10.2 ადგენს.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, სწორედ სასამართლოა ის ორგანო, რომელიც ახდენს იმის დამოუკიდებელ შეფასებას, არსებობს თუ არა უფლებათა შეზღუდვა. ნათელია, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა შეზღუდვებიც კი, რომელთაც ლეგიტიმური მიზანი გააჩნიათ, უნდა იყვნენ ამკარად პროპორციული იმისათვის, რომ მოხდეს მათი აღიარება.

#### 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

ნებისმიერი დამატებითი შეზღუდვა არ უნდა იქნეს დანებსებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებით;

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს და სამხედრო პერსონალს უნდა ჰქონდეთ უფლება გაერთიანდნენ კანონიერ პოლიტიკურ პარტიებში;

თუ დანებსებულია შეზღუდვები პოლიტიკურ პარტიაში საქმიანობაზე, პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობაზე, ეს განერილი უნდა იყოს მკაცრად პროპორციულად და ასახული უნდა იყოს ნათლად შესაბამის კანონმდებლობაში. მათი გამოყენება უნდა მოხდეს მიუკერძოებლად;

შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ მშვიდობიანი პროტესტისა და სიტყვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს განერილი კანონმდებლობით, მკაცრად პროპორციულად და დისკრიმინაციის გარეშე.

<sup>80</sup> Vereinigung Demokratischer Soldaten Österreichs und Gubi v. Austria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 18 დეკემბერი 1994, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 20, 1995, გვ 56.

<sup>81</sup> Grigoriades v. Greece, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1997 წლის 26 ნოემბერი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 27, 1997, გვ 464.



## სამხედრო კავშირები და ასოციაციები

ზოგიერთ ქვეყანას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს სამხედრო ასოციაციებთან თანამშრომლობის, რომლებიც იცავენ სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესებს. რამდენიმე სხვა ქვეყანაში სამხედრო მოსამსახურეებს საკუთარი კავშირებისა და ასოციაციების შექმნის უფლება მხოლოდ ბოლო წლებში მიანიჭა. რამდენიმე ქვეყანაში კი სამხედრო პერსონალის კავშირებში შოიარზება ისეთი გაერთიანება, რომლის არსი შესაძლოა წინააღმდეგობაში იყო სამხედროთა უნიკალურ ბუნებასთან, ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ნებისთვის დამავალი მიზნებთან. გარდა ამისა, უნდა განვიხილოთ ასოციაციათა სხვადასხვა მოდელი. მაგალითად, პროფესიული კავშირები და სხვა არასამთავრობო საკონსულტაციო ორგანიზაციები. ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

როგორც ირკვევა, არ არსებობს პროფესიული კავშირების საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია. 1948 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში განვერიანების თავისუფლებისა და ორგანიზაციების შექმნის უფლების დამცავ კონვენციაში მოცემულია ტერმინი "შუშაკთა ორგანიზაციები", ანუ "შუშაკთა ნებისმიერი ორგანიზაცია ... რომელიც აღრმავებს და იცავს შუშაკთა ინტერესებს." სამხედრო ასოციაციებისა და კავშირების შესახებ დატების მთავარი საკითხი არის არა ის, თუ რა კეია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ინტერესების დამცველ ორგანოს, არამედ ის, თუ როგორ უნდა ვცუთ პატივი სამხედრო პერსონალის ასოციაციას განვერიანების უფლებას და, ამავე დროს, დეაკემაყოფილოთ სამხედროთა ლეგიტიმური მოთხოვნები და ინტერესები მისი უნიკალური ფუნქციის გათვალისწინებით.

### 1. პრობლემატური საკითხები

ასოციაციაში განვერიანების თავისუფლება ძირითადი უფლებაა, რომელსაც ადამიანი უფლებათა დაცვის ხელშეკრულებებში ცენტრალური ადგილი უკავია. იგი ვრცელდება პროფესიულ ორგანიზაციებსა და პროფკავშირებში განვერიანების თავისუფლებასზეც. ერთობლივი ქმედება შესაძლოა მოიცავდეს საჯარო დემონსტრაციებს ან გამოხატვებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ამა თუ იმ ინტერესების დაცვის მიზნით. ეს საკითხები განხილულია მე-8 თავში. მე-16 თავში მოცემულია სამუშაო პირობებთან დეაკეშირებული კონკრეტული საკითხები. თუმცა, წინამდებარე თავის ამოცანაა იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ეხება სამხედრო ასოციაციებისა და კავშირების აღიარებას.

პროფესიულ გაერთიანებებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ საკუთარი წევრების ინტერესების წარმოდგენის თვალსაზრისით, მათი თანხმების უფლებათა დაცვის ჩათვლით. სამხედრო ასოციაციებსა და კავშირებს შეუძლიათ ინდივიდუალური წევრების კეთილდღეობის უზრუნველყოფა მათი პრობლემების განიარებით, სხვადასხვა დონეზე მათი ინტერესების დაცვით და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებთან საერთო პირობებზე შეთანხმების გზით. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ როგორც შუამავლები თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალს შორის მაშინ, როდესაც განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა, სამხედრო სამსახურში რეკრუტირება.

ასეთი ასოციაციები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია.<sup>22</sup> ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად ავტონომიური არიან ისინი, რა კავშირები გააჩნიათ გარე პროფესიულ ან საკავშირო ფედერაციებთან და რამდენად აქვთ სამართლებრივი უფლება მონაწილეობა მიიღონ სანარმოო საქმიანობაში. შედეგისა და გერმანიაში არსებობს დამოუკიდებელი სამხედრო ასოციაციები, რომლებიც ფინანსდებიან სანვერებით და გააჩნიათ საკუთარი მმართველი გუნდი. სხვა ქვეყნებში კი, მაგალითად, ბულგარეთში დაფინანსებას უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო. საკმაოდ ვახშირებულია შემთხვევები, როდესაც ასოციაციები საკუთარ თავს პროფკავშირის წევრებად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე სამხედრო კავშირებად, თუმცა, ეს ნაწილობრივ გარკვეული ქვეყნების სამართლებრივი კულტურის შედეგია. რაც შეეხება პროფესიულ ასოციაციებს, მათი კავშირები გარე კონფედერაციებთან უკვეულოა, თუმცა, ისინი არსებობენ, მაგალითად, შედეგისა და ნიდერლანდებში. სხვა შემთხვევებში, სამხედრო კავშირები განვერიანებული არიან ე.წ. კოლდა ასოციაციებში, რომლებიც წარმოადგენენ პროფესიონალებს ან საჯარო მოხელეებს. ამასთანავე, მრავალი სამხედრო ასოციაცია თუ კავშირი საერთაშორისო ასოციაციის წევრია, რომლებიც იცავენ სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესებს. ყველაზე დიდია სამხედრო ასოციაციათა ევროპული ორგანიზაცია

<sup>22</sup> არული ინფორმაციისთვის იხილეთ ე.წ. ნესტროვი და ა. დ. პროფერტი, სამხედრო კავშირები: სამხედროთა პროფესიული ორგანიზაციების/პროფკავშირების დარსება და მათი ანგაზიდელო მდგომარეობა (მოსკოვი: ვეს მოსკო, 2006).

(EUROMIL), რომელშიც შედის 30-ზე მეტი ასოციაცია 20-ზე მეტი ქვეყნიდან (როგორც პროფესიული ასოციაცია, ისე პროფკავშირი), მაგრამ ასევე 20-ზე მეტი რეგიონალური დონეზე არსებობს რამდენიმე სხვა ასოციაცია. უთუო-ს წევრი ქვეყნების უმეტესობა კრძალავს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების პროფკავშირის საქმიანობაში ჩართვას.

მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო მოხელეებისათვის დაწესებულია შეზღუდული ასოციაციაში გაწევრიანების თვალსაზრისით, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ჩათვლით. სხვა კარგეებისგან განსხვავებული ამგვარი მიდგომა შეიძლება გაეაზარებოდა, რამდენადაც არსებობს საზოგადოების ინტერესი, რომ არ მოხდეს განსაკუთრებული სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის შეფერხება. საკამათოა ის საკითხი, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები არ წარმოადგენენ მუშაკებს ტრადიციული თვალსაზრისით, რადგან, როდესაც ისინი სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით მიდიან, ისინი უნდა დაექვემდებარონ შეზღუდვათა გარკვეულ სისტემას სამხედრო დისციპლინის ფარგლებში, რაც გაცილებით უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე დამსაქმებლის მიერ ჩვეულებრივი მუშაკის კონტრაქტი. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი სამართლებრივი ორგანო შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მიიჩნევს "მუშაკებად".<sup>14</sup>

სამხედრო მოსამსახურეთა გაწევრიანება პროფკავშირებში ან სხვა კოლექტიურ წარმომადგენლობით ორგანოებში არ აქარა პრობლემას ქმნის. პირველი პრობლემაა სამხედრო დისციპლინა და შესაძლო ჩარევა კორპორატიულ სულისკვეთებაში. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების შხრიდან საჩივარი ტრადიციულად მოიაზრება როგორც დამუშორებლობის გამოხატულება ან სამხედრო კულტურისგან გადახვევა ან აჯანყება. შეიარაღებული ძალების დისციპლინა მოითხოვს ბრძანებების შესრულებას კითხვების დასმის გარეშე. გარდა ამისა, ინდივიდუალური ხასიათის საქმიანობას შეუძლია ხელი შეუშალოს მნიშვნელოვანი ოპერაციების ჩატარებას, რაც საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას. თუმცა აღნიშნული უფრო მეტად საკამათოა, თუ რამდენად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ასეთი საქმიანობა სამხედრო მოსამსახურეების სამუშაო პირობებზე. არსებობს ასევე სკეპტიციზმის მიზეზი ზოგადი არგუმენტის ფარგლებში, იმ ქვეყანათა მიერ განხორციელებული კვლევების საფუძველზე, რომლებსაც გააჩნიათ სამხედრო ასოციაციები (იხ. საფრანგეთის სენატის კვლევები და გაერთიანებული სამსახურისა და დიდი ბრიტანეთის შტაბის კოლეჯისათვის მიმზადებული კვლევები).<sup>15</sup>

მეორე საკითხი უკავშირდება ლოიალობასა და გარე ზეგავლენას. პროფკავშირების წევრობა აქვთ თუ ისე სახარბიელოა, რადგან კავშირის წევრებს შეუძლიათ კოლექტიურად იმოქმედონ კავშირის ოფიციალური პირობის მითითებით (მაგალითად, სამუშაო პირობების საკითხებზე გადამწყვეტილებების მიღებისას). ეს შესაძლოა მოვიხილოთ როგორც ძალაუფლების მონინალდმდეგ წყარო და შეიარაღებული ძალების შიგნით დაქვემდებარებათა უკუჭვინადმი ლოიალობა. თუ კავშირი სამოქალაქოა, ნინააღმდეგობა კიდევ უფრო დიდია. ამ პრობლემების გადასაჭრელად, კოლექტიური წარმომადგენლობითი ორგანოები - იმ ქვეყნებში, სადაც მათ შეუძლიათ ფუნქციონირება — როგორც ნების, ორი ძირითადი შეზღუდვის პირობებში მუშაობენ. პირველი — წარმომადგენლობითი ორგანო შესაძლოა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებით შემოიფარგლებოდეს (და ამით ნინააღმდეგობას უწევდეს გარე ზეგავლენას); მეორე — შესაძლოა დაწესდეს სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც კრძალავენ გაფიცვებსა და სხვა სახის სამსახურეობრივ ხასიათის ქმედებას, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სამხედრო ოპერატიულობას და საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას.

ის ცვალებადი გარემო, რომელშიც სამხედროები დღესდღეობით მოქმედებენ, გეკარნახობს ასოციაციისათვის შეზღუდვების ხელახლა გადაფასებას ორი აშკარა მიზეზის გამო. პირველი ეხება უფრო მეტად მრავალეროვნული ძალების ნაწილი არიან ან მონაწილეობენ სამხედრობო ოპერაციებში, ვიდრე, ჩვეულებრივ, ჩართული არიან ტრადიციულ სამხედრო ხასიათის კონფლიქტებში. ასეთი სახის მისიებს ბუნებრივად მიყვარათ იტიკენ, რომ მოვადხინოთ სხვადასხვა ეროვნული ძალების სამუშაო პირობების შეფარება, რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ მსახურობენ. სამხედროებს, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყანას, სადაც

<sup>14</sup> 1999 წელს, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამხრეთ აფრიკის თავდაცვის ძალების მოსამსახურეები სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 23.2. წინაწილში მოცემული უფლების ფარგლებში შექვეყნა, რაც გულისხმობს იმის, რომ "მუშაკებს" აქვთ უფლება განეკუთვნებოდნენ პროფკავშირებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მსახურობენ და გაიფიცნენ.  
<sup>15</sup> იხ. ე. კაროფიო, "სამხედროება გართიანება: სამხედრო პერსონალის ინტერესების წარმოდგენა", ე. კაროფიო "სამხედროთა სოციოლოგიის სახელმძღვანელო (ნოო ორი): Kluwer Academic/Plenum გამომცემლობა, 2003), გვ. 311-322, რომელიც არ გვიყავს ხელის [ესტრუქტურის გამოცდვლების საფუძველზე] არანაირ აშკარა შედეგს ოპერატიული საქმიანობაზე. ასევე, იხილეთ ე. კაროფიოს გაფუძველებული კვლევა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამსახურისა და შტაბის კოლეჯისათვის, "რამდენად დაყენების ეჭვის ქვეშ შეიარაღებული ძალების ფედერაცია დაქვემდებარებათა უკუჭვინა".

პროფესიონალიზმში განვერიანების უფლებები შეზღუდული არ არის, შეუძლიათ თავისუფლად დაეყონ მისიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საკითხი მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოს სამხედრო პერსონალს, რომლებიც ზემოაღნიშნული მოსამსახურეების გვერდ-გვერდ მსახურობენ, ამის გაკეთების უფლება არ აქვთ. მოსამსახურეების პრობლემის არასახარბილო შედეგებამ შესაძლოა უქმყოფილება და მორალური ღირებულებების დაკარგვა გამოიწვიოს (შესაბამისად, ოპერატიული ეფექტურობაც).

შეფასების მეორე მიზეზი გახლავთ შეიარაღებული ძალების მზარდი პროფესიული დონის განვითარება, რაც ნიშნავს იმას, რომ სამხედროებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კონკურენცია სამუშაო ბაზარზე, რათა მოზიდულ იქნენ უკეთესი მალარი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები. სამხედრო სამსახურის ნებისმიერი სხვა პირობა, რაც შეიარაღებულ ძალებს ნაკლებად სახარბილოს ხდის, კრიტიკულად განიხილება პოტენციური მოსამსახურეების მიერ. ამდენად, მიზანშეწონილია თვით შეიარაღებულმა ძალებმა ხელახლა შეაფასონ, თუ რამდენად საჭიროა ასოციაციაში განვერიანების თავისუფლების შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები  
 გაერთიანების თავისუფლება ძირითადი უფლებაა, რომელსაც აღიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებები სამოქალაქო და პოლიტიკურ, ასევე, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ევროპული სოციალური ქარტია (იხ. სტემა 9.1), რაც ვრცელდება ასევე პროფესიონალებში განვერიანების თავისუფლებაზეც.

**სქემა 9.1.**

**ასოციაციაში განვერიანების უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით<sup>18</sup>**

<p>მუხლი 20.                  ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია</p>	<p>1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მშვიდობიანი კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებისა.                  2. არავის იძულება არ შეიძლება რაიმე ასოციაციაში შესასვლელად.</p>
<p>მუხლი 21.                  საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ</p>	<p>აღიარებულია მშვიდობიანი კრებების უფლება. ამ უფლებით სარგებლობას შეიძლება დაუზღვედნ მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც შეესაბამება კანონს და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის უანბრობისა და ზნეობის დაცვისა თუ სხვა პირობა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებისათვის.</p>
<p>მუხლი 11.                  ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია</p>	<p>ყველა აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა, აგრეთვე სხვათაზე განვერიანების თავისუფლებისა, მათ შორის, უფლება პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანებისა საკუთარი ინტერესების დასაცავად.</p>
<p>მუხლი 8.                  საერთაშორისო შეთანხმება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ</p>	<p>1. ამაჰქტის მონაწილე სახელმწიფოები ისრულბონ ვალდებულბან უზრუნველყონ:                  ა) თითოეული ადამიანის უფლება თავისი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის შექმნას პროფესიული კავშირები და შეიკვას ასეთ კავშირებში თავისი არუქვანით და ერაადერთი პირობით, რომ შეასრულებს შესაბამისი ორგანიზაციის წესებს. აღნიშნული უფლების გამოყენება არ ექვემდებარება არავითარ შეზღუდვებს იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროა სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად;                  ბ) პროფესიული კავშირების უფლება შექმნან ეროვნული ფედერაციები ან ორფერენციები და ამ უქანასესელთა უფლებმა შექმნან საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციები ან შეუერთდნენ მათ;                  გ) პროფესიული კავშირების უფლება იმუშაონ შეუფერხებლად რაიმე შეზღუდვების გარეშე იმ შეზღუდვების გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროებისა თუ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად;</p>
	<p>დ) გაფიცების უფლება იმ პირობით, რომ ეს უფლება ხორციელდებოდეს თითოეული ქვეყნის კანონის შესაბამისად.                  2. ეს მუხლი არ ენიხაბდმეგება იმას, რომ კანონიერი შეზღუდვები შემოიღონ ამ უფლებების გამოყენებაზე იმ პირობა მიერ, რომლებიც შედიან სახელმწიფო შეიარაღებული ძალების, პოლიციის თუ ადმინისტრაციის შემადგენლობაში.                  3. ამ მუხლში არაფერი არ აღიქვს უფლებას იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1948 წლის კონვენციაში ასოციაციათა თავისუფლებისა და ორგანიზაციის უფლების დაცვის შესახებ, მიიღონ საკანონმდებლო აქტები აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ვარაზტების საზიანოდ ან გამოიყენონ კანონი ისე, რომ ზიანი მიაყენონ ამ ვარაზტების.</p>

<sup>18</sup> სახელმწიფოს ავტორიტეტმა სტემა 9.1.-ში მოცემულ ინფორმაციას თავიანთი ზეგავლენა მიანიჭეს.

<p>მუხლი 5. ევროპის სოციალური ქარტია</p>	<p>თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დასაცავად მუშაობა და დამსაქმებელთა მიერ ადგილობრივი, ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის და ამ ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულიან იღებენ, რომ ისინი თავიანთ ქვეყნებში მოქმედ შეესაბამის კანონმდებლობაში არ შეიტანონ ისეთ ნორმებს, და ასევე არ გამოიყენებენ საკანონმდებლო წინააღმდეგობის ისეთი ფორმით, რომელიც შეზღუდავს შემოაღებულ თავისუფლებით სარგებლობას. საპოლიციო სტრუქტურების მიმართ ნინამდებელი მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენების ფარგლებში განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით ან კანონქვემდებარე აქტებით. შეიარაღებული ძალების წერეთა მიმართ ან გარანტიების გამოყენების წესი და ფარგლები ასევე განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით ან კანონქვემდებარე აქტებით.</p>
<p>მუხლი 6. ევროპის სოციალური ქარტია</p>	<p>კოლექტური მოლაპარაკებების წარმოების უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიან იღებენ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ხელ შეუწყონ მუშაქებსა და დამსაქმებლებს შორის ერთობლივი კონსულტაციების ჩატარებას;</li> <li>2. აუცილებლობის და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ხელი შეუწყონ დამსაქმებელთა ან მუშაობა ორგანიზაციების შორის ნებაყოფლობით კონსულტაციების ჩატარების მექანიზმის ამოქმედებას, კოლექტური ხელშეკრულების დადების გზით, დასაქმების ვადებისა და პრობების განსაზღვრის მიზნით;</li> <li>3. ხელი შეუწყონ შორიგებისა და ნებაყოფლობითი საარბიტრაჟო მექანიზმის გამოყენებას შრომითი დავების გადაწყვეტის მიზნით; და აღიარებენ:</li> <li>4. მუშაობა და დამსაქმებელთა უფლებას მიღონ კოლექტური ზომები ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გადაცივის უფლების ჩათვლით, იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლებელია გამოიძინარებოდეს ადრე დადებული კოლექტური ხელშეკრულებებიდან.</li> </ol>

ამასთან, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის მე-12 მუხლის თანახმად, ყველას გააჩნია ასოციაციებში გაერთიანების უფლება ყველა დონეზე, განსაკუთრებით, პოლიტიკურ, საეკონომიკურ და სამოქალაქო ხასიათის საკითხებთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს, რომ ყველას გააჩნია უფლება შექმნას და განევიანდეს პროფკავშირებში საკუთარი ინტერესების დაცვისათვის. ამ შემთხვევაში ქარტია პირდაპირ არ ითვალისწინებს სამხედროთა უფლებას ასოციაციებში განევიანების თვალსაზრისით, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქარტიას არ აქვს პირდაპირი იურიდიული ძალის სტატუსი.

1983 წლის მადრიდის კონფერენციის შემდეგ, ეუთო-მ აღიარა მუშაობა უფლება "დაფუძნონ და განევიანდეს პროფკავშირებში" შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის ფარგლებში.<sup>18</sup> 1990 წელს კომენაგენის კონფერენციაზე ეუთო-მ შესაბამის დოკუმენტში გაითვალისწინა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების შექმნის უფლება,<sup>19</sup> რომელსაც შედეგად მოჰყვა მშვიდობიანი შექრებისა და დემონსტრაციის უფლების დამატება.<sup>20</sup> კომენაგენის კონფერენციაზე პირდაპირ გაკეთდა მინიშნება, რომ ამ უფლებებთან მიმართებაში არსებული ნებისმიერი შეზღუდვა სახელმწიფოებმა კანონმდებლობით უნდა დაეანონსა,<sup>21</sup> ასევე აღიარებულ იქნა პროფკავშირების უფლება საკუთარი წევრების განსაზღვრის თვალსაზრისით.<sup>22</sup> აღნიშნულ უფლებებთან ერთად, არსებობს უფრო ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც უკავშირდება გამოხატვის თავისუფლებას, სხვების მიმართ პატივისცემას და უზიარებლობა-თა კულტურულ განსხვავებებს.<sup>23</sup> ეუთო-ს არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე კონკრეტულ ვალდებულებას შეიარაღებულ ძალებში არსებულ კავშირებთან მიმართებაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია პროფკავშირების უფლებებს აღიარებს რამდენიმე საერთაშორისო კონვენციის, ასოციაციებში განევიანების თავისუფლებისა და კრების მართკონის უფლების დაცვის შესახებ, 1948; ორგანიზების უფლებისა და კოლექტიური გარიგების კონვენცია, 1949; და კოლექტიური გარიგების კონვენცია, 1981. ეს კონვენციები ითვალისწინებენ მნიშვნელოვან უფლებებს მუშაკებისათვის, მათ შორის: დაარსება და იმოქმედონ ორგანიზაციების წესდების მიხედვით, გაერთიანდნენ ორგანიზაციებში ნინასწარი ნებაყოფიერების გარეშე (1948 წლის კონვენცია, მუხლი 2); ისარგებლონ პროფკავშირის ავტონომიით, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება არ ერევა (1948 წლის კონვენცია, მუხლი 3); და დაარსონ პროფკავშირების ფედერაციები და მათში განევიანდეს (1948 წლის კონვენცია, მუხლი 5). 1981 წლის კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ ნებაყოფიერების

<sup>18</sup> მადრიდი. 1983 [ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები].  
<sup>19</sup> კომენაგენი 1990. მუხლი 7.6.  
<sup>20</sup> იგი ასევე აღიარებს 1990 წლის პარიზის კონფერენციაზე (დემოკრატიის, მშვიდობისა და ერთიანობის ახალი ერა).  
<sup>21</sup> კომენაგენი 1990, მუხლი 7.6.  
<sup>22</sup> იქვე, მუხლი 9.3.  
<sup>23</sup> იქვე, მუხლი 9.

ოფლობითი მოლაპარაკებების პრაქტიკას დამსაქმებლებს ან დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და მუშაკთა ორგანიზაციებს შორის, დასაქმების პირობების დარეგულირების თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კონვენციები ისეა შედგენილი, რომ ვრცელდება ყველა მუშაკსა და სექტორზე,<sup>92</sup> ისინი შეიცავენ გარკვეულ პირობებსაც. 1948 წლის კონვენციის მე-9 მუხლში აღნიშნულია:

ქვეყნის კანონმდებლობა და ნების განაპირობებს, თუ რამდენად მიესადაგება წინამდებარე კონვენციამო მოცემული გარანტიები.

მსგავს დებულებას შევხვდებით სხვა კონვენციებშიც (1949 წლის კონვენციის მე-5 მუხლი და 1981 წლის კონვენციის მუხლი 1.2). ამ შეზღუდვათა მართებულობის შესახებ საერთაშორისო ლიბორისტული ორგანიზაციის მიერ კავშირების თავისუფლების კომიტეტის მიმართ პრეტენზიების წაყენებისას, კომიტეტმა დაადგინა, რომ ის დებულებები, რომლებიც ეხება გამონაკლისებს, მკაცრად უნდა განისაზღვროს (და არ უნდა ეხებოდეს, მაგალითად, სამოქალაქო პირებს, რომლებიც მოვალეობენ შეიარაღებულ ძალებში სანარმო დაწესებულებებში ან ქვეყნის ჯარის ბანკში<sup>93</sup>). კომიტეტმა განაცხადა, რომ ეჭვის შემთხვევაში, მუშაკები უნდა მოეიზაროთ სამოქალაქო პირებად.<sup>94</sup>

აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლი 11.2-ს მსგავს მიდგომას გეთავაზობს. მასში ნათქვამია:

წინამდებარე მუხლმა არ უნდა შეუშალოს ხელი კანონიერი ამ უფლებათა გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების, პოლიციისა და ქვეყნის ადმინისტრაციისათვის.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო შეთანხმების 22-ე მუხლში იხილავთ მსგავს შეზღუდვებს.

აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შეზღუდვა გამოიყენა აღამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, რათა უარეყო მე-11 მუხლის დარღვევის ბრალდება დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის მუშაკების მიერ, რომლებზეც გაეყენა იქონია ცვლილებამ მათი სამსახურის პირობებში და უარი განაცხადეს პროფკავშირებში გაწევრიანებაზე.<sup>95</sup> მსგავსად, უსტრეთის შედარებით უფრო ახალ საქმეში (რეკეინი უნგრეთის წინააღმდეგ<sup>96</sup>), აღმოჩნდა, რომ მე-11 მუხლი არ დარღვეულა, როდესაც შეიარაღებულ ძალებს, პოლიციისა და უშიშროების სამსახურებს უკმაყოფილო პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანებას ან საჯარო პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვას.

ამდენად, ნათელია, რომ ცნება – „კანონიერი შეზღუდვა“ მე-11.2-ის თანახმად არ ნიშნავს, რომ ყველა შიდა კანონი, რომელიც ზღუდავს უფლებებს, კონვენციასთან შესაბამისობაში იქნება. კონვენციის ორგანოები იყენებენ პროპორციულობის ტესტს: სამართლებრივი შეზღუდვა უნდა იყოს განჭყეტადი და არ უნდა არსებობდეს დაუსაბუთებლობა.<sup>97</sup>

ზოგიერთმა კანონის განმმარტებელმა კითხვის ქვეშ დააყენა, თუ რამდენად შეუძლია მე-11.2 მუხლში მოცემულ შეზღუდვას ასოციაციაში გაწევრიანების უფლების საერთოდ ჩამორთმევა. რეკეინის საქმეში, სასამართლომ გადაწყვიტა ღიად დეტოლევინა ის საკითხი, თუ რამდენად ექვემდებარება მუხლი 11.2 პროპორციულობის ტესტს, როდესაც საქმე ეხებოდა პოლიციას, ქვეყნის ადმინისტრაციის მუშაკებსა და შეიარაღებულ ძალებს.<sup>98</sup> საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება. შეგვიძლია ვიკამოთო, რომ სახელმწიფო ინტერესების დაცვა შესაძლოა მოხდეს ინდუსტრიული გადაწყვეტილების მიღებით, ვიდრე კავშირების წევრობით.

<sup>92</sup> მაგალითად, ერთობლივი გარიგების კონვენციის (1981) მუხლი 1-ელ: "1. წინამდებარე კონვენცია ვრცელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე."

<sup>93</sup> საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ასოციაციის თავისუფლების კომიტეტი, 238-ე ანგარიში, საქმე N1279, მუხლი 140.ა და 284-ე ანგარიში, საქმე N1588 და 1595, მუხლი 737.ა.

<sup>94</sup> საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ასოციაციის თავისუფლების კომიტეტი, 295-ე ანგარიში, საქმე N1771, მუხლი 499.

<sup>95</sup> სამოქალაქო სამსახურის კავშირების საბჭო და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, აღამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1987 წლის 20 იანვარი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 50, 1987. გვ. 228.

<sup>96</sup> რეკეინი უნგრეთის წინააღმდეგ, მენიშეა 68, გვ. 519.

<sup>97</sup> იმეა, მუხლი 59.  
<sup>98</sup> იმეა, მუხლი 61. თუმცა, სამოქალაქო სამსახურის კავშირების საქმის ადრეული გადაწყვეტილება, კომისიამ დაადგინა, რომ ტერმინი „კანონიერი აკრძალვა“ მე-11 მუხლის მე-2 აბზაცის მე-2 ნინადადგება, შესაძლოა შეიცავდეს დაუსაბუთებლობას აკრძალვას, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული მტკიცე პოზიცია.

ამ დასკვნას, რომელიც პროპორციული რეაგირების პრინციპს ემხრობა, მხარი დაუჭირა პოლონეთისა და ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოებმა ადგილობრივი გამოწვევების გათვალისწინებით. პოლონეთში 2000 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო სფეროში პროფკავშირების წევრობის აკრძალვა კონსტიტუციით იყო დამკვიდრებული იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ასოციაციაში განეწიარების თავისუფლების უფლების პლურალისტული საშუალება.<sup>107</sup> 2000 წელს ესპანეთში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს გააჩნდათ კონსტიტუციური უფლება იმ ორგანოებთან თანამშრომლობის, რომლებიც წარმოადგენდნენ მათ სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს იმის გათვალისწინებით, რომ ეს ორგანოები არ ისახავდნენ სანარმოო ქმედებას.<sup>108</sup>

### განსხვავებული მიდგომები

უეთო-ს ნვერი ზოგიერთი ქვეყნის ასოციაციაში განეწიარების თავისუფლების აღიარების-სადმი მიდგომები განსხვავდება იმ ქვეყნების მიდგომებისაგან, რომლებიც ასეთ ორგანოებს საერთოდ კრძალავენ და ისინი, რომელთაც გააჩნიათ ოფიციალურად სახელმწიფო ხარჯზე მყოფი ასოციაციები (არა-ავტონომიური); ასევე, ისინი, რომლებიც საშუალებას აძლევენ სამხედრო ასოციაციებს ან კავშირებს, გარკვეული გამოწვევების გარდა, მონაწილეობა მიიღონ გაფიცვებში.

პირველი მიდგომა ემყარება დაქვემდებარებათა ჯაჭვს. ტრადიციულად, სამხედრო მეთაურის მის ამოცანად თვლის შეიარაღებულ ძალებში მომსახურეთა უზრუნველყოფას, მავალითად, საკვებით, საცხოვრებელი პირობებით, ჯანმრთელობის დაცვით. ამდენად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ასოციაციაში განეწიარების უფლებები შეზღუდულია და სამხედრო ასოციაციები ან სამხრნველო ხასიათის ქმედება აკრძალულია. ამ მიდგომის მიხედვით, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ეთილდღეობა ზეგავლენას ახდენს ოპერატიული ეფექტურობაზე. შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური მოსამსახურეების შეურაცხყოფა განიხილება დაქვემდებარებათა ჯაჭვის ფარგლებში. არ არსებობს კოლექტიურ შეურაცხყოფათა არაპირი შექანისზმი. შეზღუდვების დაბალანსება ასევე შესაძლებელია ამინის მსგავსად) მოსამსახურეთა ძლიერი სამართლებრივი უფლებების უზრუნველყოფით, რათა სამხედრო ომბუდსმენთან ან ადამიანის უფლებათა დაცვის გარე ორგანოებთან მოხდეს ცალკეული პრეტენზიების ნამოყენება (იხ. თავი 22, ომბუდსმენი). თუმცა, სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით, გერმანიაში, ასეთი სისტემები არსებობს სამხედრო ასოციაციებთან ერთად.

დაქვემდებარებათა ჯაჭვის მიდგომას თავისი უარყოფითი მხარეც გააჩნია, კერძოდ ის, რომ ამ შემთხვევაში სამხედროთა საერთო ინტერესები ერთიანდება ინდივიდუალურ მოსამსახურეთა ინტერესებთან. ამ მოსაზრებათა ცალკეულ განხილვას და წარმოდგენას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს უფრო ნათელი და ჩამოყალიბებული გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ინტერესების პირდაპირი წარმოდგენის არარსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი არაპირდაპირი გამოხატვა, მავალითად, იმ უკმაყოფილების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ვეტერანებს, ვადამდგარ სამხედროებს ან მოქმედ სახმედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს. ზოგიერთ ქვეყანაში, ეს გჯუფით უფრო მეტია, ვიდრე არაოფიციალური მეთოდით შეიარაღებული ძალების ინტერესების დასაცავად. მეორე მხრივ, ის უკმაყოფილება, რომლებშიც განეწიარება სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ, შესაძლებელია დაკავებული იყვნენ ისეთი საქმიანობით, რომელიც აკრძალულია სამხედრო ასოციაციებისთვის. ასეთი სახის შემცველი ან არაპირდაპირი წარმომადგენლობა გარკვეულწინადად ახსნის პირდაპირი წარმომადგენლობის ვაკუუმს, მაგრამ მხოლოდ მეორე კანონზე.

ზემოაღნიშნულის საუკეთესო მაგალითია საფრანგეთი, სადაც 2005 წლის 24 მარტის სამხედროთა გენერალური წესდება კრძალავს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების გაერთიანებას პროფესიულ ასოციაციებში, მაგრამ უმაღლესი სამხედრო საბჭო უშვებს მოსამსახურეთა პირობების გარშემო გამართულ დისკუსიებში მონაწილეობას.<sup>109</sup> უმაღლესი სამხედრო საბჭო დაარსდა 1990 წელს. იგი დაკავებულია რეკომენდაციების შემუშავებით მოსამსახურეთა საშუალო პირობებთან დაკავშირებით. სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლია მიმართოს ამ საბჭოს იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია გარკვეული პრეტენზიები ან წინადადებები საშუალო პირობებთან დაკავშირებით. იგი შედგება შეიარაღებული ძალების საბჭოების მიერ არჩეული წევრებისაგან. უმაღლესმა სამხედრო საბჭომ შესაძლოა მრავალი საკითხი შეითავსოს, მავალითად, კარიერის პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაცია, ეთილდღეობა შეიარაღებულ ძალებში, საენსიო რეფორმა, განსახლება და საერთაშორისო ოპერაციების პირობები. სულ არსებობს შეიდი საბჭო შესაბამისი ფარების სახეობების მიხედვით,

<sup>107</sup> პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება № 26/28, 2000 წლის მარტი.

<sup>108</sup> ნოლტე, *op. cit.*, შვნიშენა 6, გვ. 84.

რომლებიც მოიცავენ: სახმელეთო ჯარებს, საჰაერო ძალებს, საზღვაო ფლტებს, სამხედრო პოლიციას, სამედიცინო კორპუსს, შესყიდვების სააგენტოს და ენერგეტიკის სააგენტოს. საბჭოების ნეურები შეირჩებიან იმ შესაბამისი ძალების მოსამსახურეებისაგან, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. საბჭოებს ორი ფუნქცია გააჩნიათ: შეისწავლონ სამხედრო ძალებში მოსამსახურეების პირობებთან ან სამუშაოს ორგანიზებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და წარმოადგინონ შეიარაღებული ძალების პერსონალის შეხედულებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარედგინება უმაღლეს სამხედრო საბჭოს. იგივე მიდგომას იზიარებს იტალიაც.<sup>102</sup>

როგორც სახელიდან ჩანს, არა-ავტონომიური ხასიათის გაერთიანებებს შესაძლოა ერთი ნაკლი გააჩნდეთ. მათ უფრო ნაკლები ხანდობა და ლეგიტიმურობა გააჩნიათ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ინტერესთა წარმოდგენისას, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ თეთი მოსამსახურეები ექნინან. ისინი იქნება ზემოდაწ, შთაერობის მიერ. ამან შესაძლოა, ერთი მხრივ, გაუადვილოს შეიარაღებულ ძალებს არსებული პრობლემების დანახვა და შესაბამისი რეკომენდაციების გაზიარება, თუმცა, მეორე მხრივ, დემოკრატიული პასუხისმგებლობის არარსებობა აუცილებლად შეარყევს მათ ძალაუფლებას ისაუბრონ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სახელით.

## სქემა 9.2

### სამხედრო ასოციაციები შერჩეულ ქვეყნებში

შედეგის სამხედრო ოფიცერთა ასოციაცია

- დაარსდა 1995 წელს ორი ძველი კავშირის — შვედ ოფიცერთა ასოციაციისა და ოფიცერთა ეროვნული ასოციაციის გაერთიანების შედეგად;
- მასში გაერთიანებულია 9500 ყველა რანგის ოფიცერი ლეიტენანტიდან გენერალმედ/ადმირალამდე;
- იგი წევრია შვედეთის პროფესიული ასოციაციების კონფედერაციისა;
- იგი მოქმედებს სახელმწიფო მუშაკების მოლაპარაკების საბჭოს მეშვეობით;
- ასოციაციამ ხელი მოაწერა მრავალ შეთანხმებას შეიარაღებულ ძალებთან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სამუშაო დრო, სამოგზაურო და საცხოვრებელი წესდებები, რეზერვისტ ოფიცერთა ანაზღაურება, სხვა კატეგორიის სამხედრო პერსონალის დასაქმება და სამხედრო სამსახური საერთაშორისო მისიების დროს;
- მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად ასოციაციას არ ეკრძალება გაფიცვების მოწყობა, მან ხელი მოაწერა იმას, რომ გარკვეული დროის მანძილზე იგი ამას არ იზამს.

### პოლონეთი

თავდაცვის სამინისტროს 1994 წლის გადაწყვეტილებებით, ყველა დონის ოფიცერს აქვს შეკრების მოწყობის უფლება და იმ კომისიების არჩევის უფლება, რომლებიც იცავენ სამხედრო მოსამსახურეთა ინტერესებს (გადანაწევტილება 81 და 82, 1994 წლის 22 აგვისტო).

2000 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედროებისათვის პროფკავშირების წევრობის აკრძალვა კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული იქიდან გამომდინარე, რომ არსებობდა ასოციაციებში გაწევრიანების თავისუფლების უფლების ალტერნატიული საშუალება (2000 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება).

სამხედრო სამსახურის შესახებ აქტის (2003 წლის 11 სექტემბერი) მე-10 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების თანახმად, პროფესიონალ ჯარისკაცებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ წარმომადგენლობით ორგანიზები თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების მიხედვით და დააფუძნონ საკონსულტაციო საბჭო (პროფესიონალ კარისკაცთა კორპუსის უფროს ოფიცერთა საბჭო).

### უნგრეთი

კონსტიტუციის 1989-ე ცვლილების თანახმად, ნებადართულია სამხედრო მოსამსახურეთა ასოციაციებში გაწევრიანება. 1991 წელს დაარსდა სამხედრო პერსონალის ინტერესების დაცვის ასოციაცია 56 ინდივიდუალური წევრისა და შვიდი ადგილობრივი ასოციაციის ინიციატივის საფუძველზე.

სამხედრო მოსამსახურეთა პროფკავშირი შეიქმნა 1995 წელს, როგორც ორგანიზაცია ინდივიდუალური წევრებით. მასში ამაჟამად ირიცხება 10000 წევრზე მეტი.

კანონი უკრძალავს შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებს გაფიცვების მოწყობას, მაგრამ არა დემონსტრაციებსა და შეხვედრებში მონაწილეობას. თავდაცვის სამინისტროს დონეზე შეიარაღებულ ძალებში ფუნქციონირებს ინტერესთა შერიგების ფორუმი (სამხედრო ინტერესთა შერიგების ფორუმი). აღნიშნული საკითხები დარეგულირებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობებით 1996 და 2003 წლებში.

<sup>101</sup> იხ. <http://www.defense.gov/ltrcas/>.

<sup>102</sup> იხ. მოსახურე პერსონალის უფლებებისა და ინტერესების დაცვის აქტი, 1980 წლის იანვარი. ასევე, იხილეთ ნესტორ-ოჯი და პროფერტი, მენიშენა 82, გვ. 119-121.

ბულგარეთი<sup>100</sup>

რაკოვსკის ბულგარელი ოფიცრების ლიგა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს აქტიურ სამხედრო მოსამსახურეებს, რეზერვისტებს და მათ ოჯახებს. იგი დაარსდა 1991 წელს და ამჟამად ითვლის 10 000 მოსამსახურეს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში.

მისი მთავარი მიზნებია წევრების პროფესიული და სოციალური ინტერესების დაცვა და შეიარაღებული ძალების პროფესიული ღირსის დასაცემა. ლიგა განსაკუთრებით აქტიურობდა სამართლებრივი რეფორმების ინიციატივებში, რის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნა სამხედრო მოსამსახურეთა რიგი სამოქალაქო უფლებებისა. მან აქტიურად დაუჭირა მხარი ბულგარეთის ნატო-ში და ევროკავშირში განწევრიანებას.

ის აქტიურად თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროსთან. 2002 წელს მათ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ოფიციალურ ხელშეკრულებას.

მესამე მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ უნდა არსებობდეს სანქცირებული და ამასთანავე ავტონომიური სამხედრო ასოციაცია. ასეთი ტიპის ზოგიერთი ასოციაცია საქმოდ დიდი ხნისაა, როგორცაა, მაგალითად ნიდერლანდებში, ბელგიასა და შვედეთში (პირველი ასოციაცია დაარსდა ნიდერლანდებში მე-19 საუკუნის ბოლოს), ზოგი კი, მაგალითად, პოლონეთში, უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში, – ბოლოდროინდელი სამართლებრივი ან საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად. იმ ქვეყნებში, სადაც ამ მესამე მიდგომას მისდევენ, შეიარაღებულ ძალებს კანონით არ ექრძალებათ სამხედრო ასოციაციებში განწევრიანება.

ასეთი სამხედრო ასოციაციები ამაყობენ თავიანთი დამოუკიდებლობითა და წევრების მიმართ პატივისცემით. შესაბამისად, შეუძლიათ სხვადასხვა შეხედრებასა და ღონისძიებებზე სიტყვიერ გამოვიდნენ მათი სახელით. ისინი შეხატოლა აღიარონ ქვეყნის თავდაცვის სამინისტროებმა და მისცენ ამა თუ იმ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ზოგიერთ ასოციაციას კი (მაგალითად, გერმანიაში) შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა კავშირის წევრობისათვის შესაბამისი პირობები აქვს დაწესებული.

ასოციაციამი განწევრიანების თავისუფლების მიუხედავად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს შესაძლოა სპარტლებრივად აეკრძალოთ გარკვეულ ქმედებებში ჩართვა, განსაკუთრებით, გაფიცვებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი, როდესაც სამხედრო ასოციაციას არ აქვს უფლება ან იგი თვითონ უარს ამბობს ჩაერიოს პროფესიულ საქმიანობაში, მას არ შეუძლია აკრძალვა დაუნესოს სხვა კავშირებს.

დაბოლოს, საქმოდ იმეფათად, ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ნიდერლანდები) შესაძლოა არსებობდეს შეიარაღებული ძალების პროფკავშირები, რომელიც კავშირშია სხვა პროფკავშირებთან ფედერაციის მშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს გარე ზეგავლენის რისკები ასეთ შემთხვევებში, აღნიშვნის ღირსია ის, რომ ნიდერლანდების გამოცდილება თვით-შეზღუდული გახლდათ: გაფიცვის უფლება, მაგალითად, არასდროს ყოფილა გამოყენებული.

**2. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 1572-ე რეკომენდაციამი (2002 წელი) დააფიქსირა, რომ მინისტრთა კომიტეტმა უნდა მოუწოდოს წევრის სახელმწიფოების მთავრობებს ნება დართონ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებსა და სამხედრო პერსონალს განწევრიანდნენ წარმომადგენლობით ასოციაციებში (იმ უფლებით, რომ შეთანხმდნენ ხელფასებსა და დასაქმების პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე), გააუქმონ შეზღუდვები ასოციაციამი განწევრიანების უფლებაზე, ნება დართონ განწევრიანდნენ სამართლებრივ პოლიტიკურ პარტიებში და ასახონ ყველა შესაბამისი უფლება სამხედრო კანონმდებლობაში.

ასამბლეის 1572-ე რეკომენდაციის მიხედვით (2002 წელი) ასოციაციამი განწევრიანების თავისუფლება მოიცავს შემდეგ უფლებებს: ასოციაციამი განწევრიანების უფლება, დასაქმების პირობებისა და ხელფასების ოდენობის მოლაპარაკებისა და პოლიტიკურ პარტიებში განწევრიანების უფლების ჩათვლით. რა თქმა უნდა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები სრულად უნდა სარგებლობდნენ იმ უფლებით, რომლის ფარგლებშიც ვერაირ არ მონაწილეობს იმ

<sup>100</sup> რაკოვსკის ბულგარელი ოფიცრების ლიგის პრეზენტაცია, ODIHR - EUROMIL-ის მრავალი მაგად სამხედრო კავშირების შესახებ, ბუქარესტი, 2006 წლის ოქტომბერი (გამოუქვეყნებელი).



კონკრეტული ასოციაციების დაარსებაში, რომელთა მიზანია მათი პროფესიული ინტერესების დაცვა დემოკრატიული ინსტიტუტების ფარგლებში, არც მათში განვერიანებასა და აქტიური როლის შესრულებაში ჩვეულებრივი მოვალეობების შესრულებისას.<sup>104</sup> ასამბლეამ გაიმეორა ეს შეხედულება რეკომენდაციაში 1742 (2006 წელი), რომელიც დამატებით მოუწოდებდა წევრ ქვეყნებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის საშუალება მიეცათ განვერიანებულიყვნენ იმ პროფესიულ წარმომადგენლობით ასოციაციებში ან პროფკავშირებში, რომელთაც შეეძლოთ სახელმწიფო ორგანოებთან მოლაპარაკების წარმოება და საკონსულტაციო ორგანოების დაარსება.

#### რეკომენდაციები

- ქვეყნებმა შეიარაღებული ძალების ყველა მოსამსახურეს უნდა მისცენ საშუალება განვერიანდნენ იმ პროფესიულ ასოციაციაში ან პროფკავშირებში, რომლებიც მათ ინტერესებს წარმოადგენენ;  
ასოციაციები და კავშირები უნდა სარგებლობდნენ კონსულტაციის უფლებით შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით;  
უნდა აიკმალოს ნებისმიერი სახის დისციპლინური სანქციის ან სხვა დამსჯელი ღონისძიების გამოყენება სამხედრო მოსამსახურის მიმართ იმის გამო, რომ ის არის სამხედრო ასოციაციის ან კავშირის წევრი;  
ასოციაციაში განვერიანების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა (მაგალითად, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით) უნდა იყოს კანონით განსაზღვრული და ლეგიტიმური, ასევე, სახელმწიფო ინტერესების პროპორციული, რაც განმარტებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, და, ასევე, არ უნდა იყოს დისკრიმინაციული.

<sup>104</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე 46 ქვეყნიდან მხოლოდ ესპანეთმა შეთავაზა თავი მე-11 მუხლთან მიმართებაში.

# კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამხედრო სამსახურში განვევასა და სამსახურზე

წინამდებარე თავში განხილულია კანონმდებლობა, მეთოდები და საუკეთესო პრაქტიკა, რომლისაც იყენებენ სხვადასხვა ქვეყნები სამხედრო სამსახურში განვევისა და განვევაზე უარის თქმის დროს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანა მიმართავს განსხვავებულ მიდგომებს: ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის მყარი სამართლებრივი უფლება ვაიშიმის დაკისრების გარეშე, სხვებში კი, წვევამდებლობა, რომელიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურში განვევაზე, ვერ კიდევ მკაცრად ექვემდებარება შეუხება ქვეყნებს, სადაც განვევაზე უარის თქმის უფლება საერთოდ არ არის აღიარებული, მათი რიცხვი საკმაოდ მცირეა.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის (რწმენის, აღმსარებლობისა და რელიგიური შეხედულებების გამო სამხედრო სამსახურში განვევაზე უარის თქმა) საკითხი ძირითადად წარმოიშობა იმ ქვეყნებთან მიმართებაში, სადაც შეიარაღებულ ძალებში განვევა სავალდებულო ხასიათს ატარებს. წინამდებარე თავში, თავდაპირველად, წარმოდგენილია ის საკითხები და შედეგები, რომლებიც მოჰყვება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ხოლო შემდეგ განხილულია, თუ რამდენად არის აღიარებული ეს უფლება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, განსაკუთრებით გაერო-სა და ევრო საბჭოს მხრიდან, დაბოლოს, მოცემულია შესაბამისი საკონსტიტუციო დებულებები, რომელთა მიხედვითაც რეგულირდება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის ფორმები. მომდევნო ქვეთავები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სხვადასხვა სამხედრო სამსახურში განვევაზე უარის თქმის მიზეზები, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმები და შერჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის ასპექტები.

## 1. პრობლემატური საკითხები

მრავალი ადამიანი რელიგიურ, ფილოსოფიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე ეწინააღმდეგება ძალადობას ან სიცოცხლის განზრახ ნართმეფას პირადი მიზეზით ან მათი სახელთი მოქმედი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. ისტორიულად ცნობილია, რომ მსგავსი მოსაზრებები უკავშირდება ისეთ ფაქტებს, როგორებიცაა, ქვაკერები (მეგობართა საზოგადოება) ან იელ-ლის მონღები, და არა მხოლოდ მათ. დემოკრატიულ ქვეყანაში ადამიანს, პაციფისტიური ან არაძალადობრივი მრწამსის საფუძველზე, უფლება აქვს პქონდეს და გაავრცელოს საკუთარი მოსაზრებები და იკამათოს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უნდა დაექვემდებაროს აღნიშნულ პრინციპებს, მაგალითად, სახელმწიფომ თავისი პოლიტიკა უნდა გააჭაროს მშვიდობიანი დიპლომატიის გზით და არა შეიარაღებული ინტერვენციით. მსგავსი უფლებებისათვის თავისუფლება აღიარებულია აზრის, რწმენისა და გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებში (უფრო დანართლებით განხიარებულია მე-11 თავში, "რელიგია შეიარაღებულ ძალებში").

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საკითხი უფრო პირადული ცნებაა: იგი მოიცავს ადამიანის თავისუფლებას იმოქმედოს საკუთარი მრწამსით და უარი განაცხადოს შეიარაღებულ ძალებში განვევრიანებაზე ან სამხედრო აქციაში მონაწილეობის მიღებაზე. ბუნებრივია, რომ, როდესაც სახელმწიფომ შეიარაღებული ძალები დაეკომპლექტებულია მთლიანად მოხალისეებით, დღის წესრიგიდან მოხსნილია, ზოგადად, კეთილსინდისიერი უარი სამხედრო სამსახურში მსახურზე; ამასთან, არ არსებობენ ისეთი მოქალაქეები, რომლებიც ამ მხრივ გარკვეულ კმაყოფილებას გამოთქვამენ. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ევროპაში შეინიშნება აშკარა ტენდენცია, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან სამხედრო სავალდებულო სამსახურზე და მოახდინონ შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზაცია, ან სამხედრო სამსახურის პერიოდის შემცირება. 2005 წელს, ევროპის საქვეყნების ქვაკერის საბჭომ დაადგინა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროპაში 10 სახელმწიფომ უარი თქვა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე, თუმცა ვერ კიდევ დარჩენილია 29 ქვეყანა, რომლებიც ინარჩუნებენ ასეთი ტიპის სამსახურს.<sup>104</sup> სამხედრო სავალდებულო სამსახურზე კეთილსინდისიერი უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ პირები წინააღმდეგობაში მოდიან საკუთარ ვალდებულებასა და ცნობიერებას შორის, რომლის მიხედვით, მათ არ სურთ შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მიღება.

<sup>104</sup> კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება ევროპაში: მიმდინარე სიტუაციის მიმოხილვა (ბრუსელი: ევროპულ საკმეთა ქვაკერთა საბჭო, 2005), გვ. 4.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საკითხი შეიძლება წარმოიქმნას მას შემდეგაც, როდესაც მოხლოების განმეგავს სამხედრო სამსახურში, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მას შეეცვლება შეხედულებები სამხედრო სამსახურის მიმართ. გარდა ამისა, შესაძლებელია ადამიანს არ უკონდეს ზოგადე პოლიტიკის გრძობა ძალადობის გამოყენებისა ან სიცოცხლის წართმევის წინააღმდეგ, მაგრამ გააჩნდეს სამართლიანი წინააღმდეგობა კონკრეტული სამხედრო კამპანიის მიმართ, რომელსაც ისინი მიიჩნევენ ამორალურ ან საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო ქმედებად. ამას ზოგჯერ უწოდებენ "შერჩევით სამართლიან წინააღმდეგობას", ეს საკითხი მოგვიანებით არის განხილული აღნიშნულ თავში.

აღამიანმა, ერთი მხრივ, არ უნდა იმოქმედოს საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგოდ, მეორე მხრივ კი, ხელისუფლება კმაყოფილი იქნება, რომ ამ წინააღმდეგობის საფუძვლები სამართლიანია და ის არ არის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისგან თავიდან არიდების ქმედლობა. ამ კონტექსტში შეიძლება წარმოიქმნას მრწამსის რეალობის შეფასების საკითხი.<sup>106</sup> ქვეყანამ შეუძლია აღიაროს სამართლიანი წინააღმდეგობის უფლება (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არაგულწრფელი წინააღმდეგობის არანაირი საფუძველი არ არსებობს) ან, როგორც მრავალ ქვეყანაში ხდება, მას შეუძლია გამართოს ოფიციალური პროცესი სპეციალური კომისიის მეშვეობით პიროვნების მრწამსის შესაფასებლად.

როდესაც ქვეყნები აღიარებენ სამხედრო სამსახურში განუწყობის სამართლიან წინააღმდეგობას, ისინი ქმნიან შენაცვლებით, ალტერნატიულ სამსახურებს არასამხედრო სფეროში, მაგალითად: ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება ან განათლება. ამ შემთხვევაში შესაძლოა ნაპოვნობა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება ალტერნატიული სამსახური სამხედრო სამსახურს. თუ ალტერნატიული სამსახური მოიაზრება უფრო ნაკლებად მძიმედ, მაშინ წინააღმდეგობა არაგულწრფელი იქნება. მეორე მხრივ, თუ ალტერნატიული სამსახური მნიშვნელოვნად უფრო მძიმეა, იგი მოიაზრება როგორც დასჯის ფორმა ან კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის შემფრთხილებელი. გარდა ამისა, მკაცრი შედარება სამხედრო და ალტერნატიულ სამსახურს შორის რთულია, რამდენადაც სამხედრო ცხოვრება, როგორცაა, მაგალითად, ყაზარმებში ცხოვრება, სამხედრო წვრთნებში ან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, თავისი განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება მაშინ, როდესაც ალტერნატიული სამსახური, როგორც წესი, სამოქალაქო სამსახურის, ფაქტობრივად, აბსოლუტური იდენტურია.

გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ანგარიშში აღნიშნულია სამართლიანი წინააღმდეგობის პრაქტიკული აღიარების მრავალი საკითხი, რომლებიც განხილვას საჭიროებს:

საფუძველი, რითაც შესაძლოა მოხდეს სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება და ასეთი შედეგის დადგობა; ალტერნატიული სამსახურის უზრუნველყოფა, პირობების და უფლებების, რომლებიც ეწინააღმდეგება ალტერნატიულ სამსახურს; უზრუნველყოფს თუ არა ალტერნატიული სამსახური იმავე უფლებებსა და სოციალურ შედეგებს, რომლებსაც სამხედრო სამსახური; ალტერნატიული სამსახურის ხანგრძლივობა და პირობები; სახის სასჯელი უნდა დაეკისროს პირს, რომელიც თავს ვერ გაართმევს სამხედრო სამსახურს ... დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილებია, არაპროპორციულად ხანგრძლივი ალტერნატიული სამსახური და ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ წინააღმდეგობის უფლებას დისკრიმინაციული გზით, მაგალითად, მხოლოდ იმ პირების გათავისუფლება სამხედრო სამსახურისგან, რომლებიც მიუეუთვნებიან რელიგიურ ჯგუფსა, და არა სხვა თვალსაზრისით.<sup>107</sup>

## 2. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებები

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ადამიანის უფლებათა დაცვის მაგალითია, რომელიც აღიარებული იქნა ბოლო 50 წლის მანძილზე, არსებული სახელმწიფოებზე ვალდებულებების ინტერპრეტაციით, რომლებიც იცავენ აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ძირითად კომენტარში №22 განაცხადა:

<sup>106</sup> ი. ადარი და ი. ლეიკი, რელიგიური თავისუფლება ლიბერალურ სახელმწიფოში (ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005), თავი 6.

<sup>107</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამხედრო სამსახურის შესრულების წინააღმდეგობის ჩათვლით: ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სამსახურის ანალიტიკური ანგარიში", გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, E/CN.4/2006/S1, ადამიანის უფლებათა კომისია, 62-ე სესია, 2006 წლის 27 თებერვალი, შეგიძლიათ იხილოთ ებ-გაეროზე: <http://www.ohchr.org/English/bodies/c/hr/sessions/62/s12docs.htm>, (p.uncl11).

"ხელშეკრულება პირდაპირ არ მიაჩნებოდა კეთილხინდისიერი წინააღმდეგობის უფლებას, მაგრამ კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთი უფლება შესაძლოა არსებობდეს მე-18 მუხლში, რამდენადაც მომპკედინებული ძალის გამოყენების ვალდებულება სერიოზულ წინააღმდეგობაშია აზრის, რწმენის თავისუფლებისა თუ რელიგიური შეხედულების გამოხატვასთან."<sup>198</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულება არ აღიარებენ კეთილხინდისიერი წინააღმდეგობის უფლებას, ევრო კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, პირიქით, პირდაპირ მიუთითებს ამ უფლებას.<sup>199</sup> მუხლში 10.2 ნათქვამია:

კეთილხინდისიერი წინააღმდეგობის უფლება აღიარებულია ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც აკონტროლებს ამ უფლების გამოყენებას.

2006 წელს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაადასტურა კეთილხინდისიერი წინააღმდეგობის უფლების მნიშვნელობა, როგორც "აუცილებელი კომპონენტი აზრის, სინდისის და რელიგიური თავისუფლებისა, როგორც ამას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გვიჩვენებს". საპარლამენტო ასამბლეამ მოსთხოვა მინისტრთა საბჭოს გადაეხედა მისი პოზიციისთვის, რათა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მიზნით სამხედრო სამსახურში შემოეღო კეთილხინდისიერი წინააღმდეგობის უფლება დამატებითი ოქმის საშუალებით, შესაბამისი ცვლილებებით მე-4.3. ბ და მე-9 მუხლებში.

**სქემა 10.1.**

**სამართლიანი წინააღმდეგობა: ძირითადი მოვლენები გაერო-ში<sup>199</sup>**

1984	ორი სპეც. მომსახურების ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობა ქვე-კომისიის მიმართ, რომელიც სახელმწიფოს სთავაზობს უფლებათა სამართლებრივ აღიარებას. <sup>198</sup>
1987	ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო რეზოლუცია 1987/46, რომელიც იგი მოუწოდებს ქვეყნებს აღიარონ სამხედრო სამსახურის გაცემაზე საერთაშორისო წინააღმდეგობა აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლების ლეგიტიმური გამოყენებით.
1989	კომისიის რეზოლუცია 1989/59 მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ კანონმდებლობა, რომლის მიზანია იქნება სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების დაშვება ამ კარა წინააღმდეგობის გამო.
1993	რეზოლუცია 1993/84 სამხედრო საავადმუშოო სამსახურის სისტემის მქონე ქვეყნებს ურჩევს შემოიღონ ალტერნატიული სამსახური მათთვის, ვინც წინააღმდეგობას უწევს და აღნიშნონ ის ფაქტი, რომ "სეთი სახის ალტერნატიული სამსახური უნდა ატარებდეს არა კომბაჟანტურ ან სამოქალაქო ხასიათს, და უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს და არ უნდა იყოს სადამსჯელო ხასიათის." <sup>199</sup>
1998	რეზოლუციაში 1998/77 კომისია მოუწოდებს ქვეყნებს შექმნან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განწყობილების მიმღები ორგანოები, რათა დაადგინონ, აქვს თუ არა ადგილი ამ წინააღმდეგობას და შედეგებში მიიღონ არადისკრიმინაციის მოთხოვნა.

<sup>198</sup> "ევრო კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია", op.cit., გენიშენა 46.

<sup>199</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები", op.cit., გენიშენა 107.

<sup>200</sup> შემდეგ შემთხვევებში:

"ა" იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც ღრმა რელიგიური, ეთიკური, მორალური, პუნაური ან მსგავსი მრწამსის გამო უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე და წინააღმდეგობის განევის უფლებას აერცელებენ იმ ადამიანებზე, რომლებსაც კერძოებთან სამხედრო სამსახურში მონაწილეობა და

"ბ" შეიარაღებული ძალების სამსახურიდან გათავისუფლების უფლება, რომელსაც წინააღმდეგობის განწევი მიჩნევენ, რომ უნდა იქნას გამოყენებული აპარტიდის ძალაში გატარებისათვის, მშედეგში; რომელსაც მიყვარათ გენოციდამდე და უცხო ტერიტორიის არაკანონიერი ოკუპაციისაკენ; (ან) ... რომელსაც წინააღმდეგობის განწევი ადამიანი უფლებათა სასტიკ დარღვევად მიიჩნევენ ... (ან) შესაძლებელია მასობრივი განადურების ან სხვა სახის იარაღის გამოყენება, რომელსაც კრძალავს საერთაშორისო სამართალი ან რომელიც იწვევს არასატირო ტანჯვას."

ა. ეფედ და ს.ლ. მუხანგა-ჩაილია, სამხედრო სამსახურის სამართლიანი წინააღმდეგობა, გაერო-ს 36-ე სესიის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ქვე-კომიტეტის კვლევა (ნიურ იორკი, გაერო, 1983), თავი II, ნაწილი ბ, მუხლი 153.

სქემა 10.2

ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 1998/77<sup>111</sup>

2. მიესალმება იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი ქვეყანა აღიარებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მოთხოვნების გამოძიების/გამოკითხვის გარეშე;

3. მოუწოდებს იმ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ამგვარი სისტემა, შექმნან დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი გადამწყვეტილების მიმღები ორგანოები, რომელთა ამოცანა იქნება დაადგინონ, თუ რამდენად დაფიქსირდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ არ მიხდეს წინააღმდეგობის გამწვანება განსხვავება მით მრავალს საფუძველზე;

4. შეახსენებს ქვეყნებს, რომელთაც გააჩნიათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემა ... რეკომენდაციას იმის შესახებ, რომ წინააღმდეგობების გამწვანებს წარმოუდგინონ ალტერნატიული სამსახურის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც შეესაბამება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განევის მიზეზებს, არაკომპადატი ან სამოქალაქო ხასიათის, შეესაბამება ხალხის ინტერესებს და არ არის სადამსჯელო ხასიათის; ...

6. ხელახლა აცხადებს, რომ ქვეყნებსა, თავიანთი კანონმდებლობისა და პრაქტიკიდან გამომდინარე, არ უნდა გაუწიონ დისკრიმინაცია სსამართლიანი წინააღმდეგობის გამწვან მოქალაქეებს სამსახურის პირობების მხრივ ან ნებისმიერი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური უფლებების გათვალისწინებით.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განევის აღიარების ტენდენცია შეეცდოდა დაინახოთ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა კომისიის დამოუკიდებულებაში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად, სამხედრო სამსახური აღარ მოიაზრება ძალდატანებით სამუშაოდ მე-4 მუხლის მიხედვით<sup>112</sup> და ამ შემთხვევაში ადგილი აღარ ექნება სამართლიანი წინააღმდეგობის განევის. 1966 წლის გერმანიის საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართლიანი წინააღმდეგობის გამწვან მოქალაქეებს არა აქვთ უფლება გათავისუფლდნენ სამხედრო სამსახურიდან, მაგრამ აქვე აღინიშნა, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწმერ თითოეულ ქვეყანას შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, ხილისთვის თუ არა ასეთი უფლება კონკრეტულ პირობებში.<sup>113</sup> 1966 წლის გერმანიის საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლიანი წინააღმდეგობის გამწვან არ აქვთ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების უფლება, მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწმერი ყოველი ქვეყანა თავად წყვეტს ამ უფლების მიკუთვნებისა და გამოყენების საკითხს.<sup>114</sup> კეთილსინდისიერ მონააღმდეგეებს შესაძლოა მოსთხოვონ სამოქალაქო სამსახურის ვალა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად და მათ არ აქვთ მისგან გათავისუფლების უფლება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მოხდა ამ პოზიციის კიდევ უფრო დახეხვა. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-9 მუხლი (აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება) არ მიეკუთვნება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის განევის უფლებას, იგი მაინც მის საზღვრებში ექცევა. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნებში, რომლებიც აღიარებენ კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას, ამ უფლების გამოყენებისას ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციის ფაქტებს. კონვენციის მე-14 მუხლი თავიდან იცავდა დისკრიმინაციას იმით, რომ მიუთითებს კონვენციის უფლებების რეგორიცაა, სქესი, რელიგია, კანის ფერი, ენა, რასა, პოლიტიკური ან სხვა აზრი, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, ეროვნულ უმცირესობასთან კავშირი, ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი. ალტერნატიული სამსახურისა და სავალდებულო სამსახურის ნაწარმოების შორის განსხვავება შესაძლოა არღვევდეს მე-14 მუხლს.<sup>114</sup> ამავე დროს, ახალწვეულის დასჯა, რომელიც უარს ამბობს სამხედრო ფორმის ტარებაზე რელიგიური საფუძვლის გამო, მოიაზრება დამამციკრებელ მოპყრობად კონვენციის მე-3 მუხლის საპირისპიროდ.<sup>115</sup>

<sup>111</sup> იგი მიიღეს ადამიანის უფლებათა კომისიის 59-ე შეხვედრაზე, 1998 წლის 22 აპრილს.  
<sup>112</sup> ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია. მუხლი 4:  
"2. ევროპის მოციხივთ ძალდატანებით ან სავალდებულო სამუშაოს შესრულებას;  
3. წინააღმდეგარ მუხლის მიზნებისათვის, ტრმინი "ძალდატანებით ან სავალდებულო სამუშაო" არ უნდა შეიცავდეს:  
...  
ბ) ნებისმიერი სამხედრო ხასიათის მომსახურებას, რომლებზეც უარი იქცეა სინდისის საფუძველზე წინააღმდეგობის გამწვანი პირის მხრიდან;  
დ) ნებისმიერი სამსახურის ან მომსახურების, რომელიც არის სამოქალაქო ვალდებულების ნაწილი.  
<sup>113</sup> გრანდმარტა გრანდმარტის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია, 1965 წლის 23 აპრილი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წლის წიგნი, ტომი 10, 1967, გვ. 626.  
<sup>114</sup> აუტორი ფინეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1991 წლის 8 დეკემბერი, ტომი 72, 1991, გვ.245; უელინი ფინეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1991 წლის 8 დეკემბერი (გამოუქვეყნებელი); რანინერი ფინეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1996 წლის 3 მარტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა და გადაწყვეტილებათა ანგარიშები, ტომი 8, 1997, 6, გვ. 2821-2922, მუხლი 55.  
<sup>115</sup> ულტი მორქეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2006 წლის 24 იანვარი. გამოუქვეყნებელი.

ვერო საბჭოს ინსტიტუტებმა არა ერთი ზომა მიიღეს, რათა აღიარებული ყოფილიყო სამართლიანი წინააღმდეგობის განვითარების უფლება.<sup>114</sup> 1967 წლიდან 2006 წლამდე ამ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო ასამბლეამ მრავალი რეზოლუცია მიიღო.<sup>115</sup> ასევე, 1987 წელს ვერო საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მომზადდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, სადაც იგი მზარს უჭერს საქართველოს წინააღმდეგობის გამწვანებას და მისი უფლებების სამხედრო სამსახურიდან და ამართლებს ალტერნატიული სამსახურის უზრუნველყოფას. მან მოუწოდა ნეერ ქვეყნებს, რომ ამ უფლებასთან შესაბამისობაში მოეყვანათ საკუთარი კანონმდებლობა და პრაქტიკა.<sup>116</sup> რეკომენდაციის თანახმად, არსებობს ძირითადი პრინციპები აღნიშნული უფლების განხორციელებლად.<sup>117</sup> მინისტრთა კომიტეტმა ასევე მიანიშნა, რომ "საჭიროა ერთობლივი მცდელობა იმისათვის, რომ განხორციელდეს რეკომენდაცია."<sup>120</sup>

### სქემა 10.3

#### ვერო საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, 1987

- უფლებადაცვითი პროცედურების გათვალისწინებით, განმცხადებლებს უნდა მიანოდოს შესაბამისი ინფორმაცია ამ უფლების შესახებ.
- აღნიშნული უფლების გამოყენების მიზნით მიმართვა შესაძლებელია სამხედრო სამსახურის გავლის ან სამხედრო წვრთნების დროს.
- ალტერნატიული სამსახური არ უნდა ატარებდეს სადამსჯელო ხასიათს.
- ალტერნატიული სამსახური ხანგრძლივობით უნდა შეესაბამებოდეს სამხედრო სამსახურს.<sup>121</sup>

ვერო კავშირის ფარგლებში, 1983 წლის რეზოლუციაში ვერო პარლამენტმა აღნიშნა, რომ "სინდისის თავისუფლების დაცვა გულისხმობს უფლებას უარი განაცხადო სამხედრო სამსახურის განხორციელებაზე" (პარაგრაფი 2) და მიუთითა, რომ "არც ერთ სასამართლოსა და კომისიას არ შეუძლია ჩანადევს ადამიანის ცნობიერებას და რომ ინდივიდუალური პირის მოტივების მარჯვენაგანი დეკლარაცია უმეტეს შემთხვევებში უნდა ინარჩუნებდეს სამართლიანი წინააღმდეგობის ტაქტუს" (პარაგრაფი 3).<sup>122</sup>

უთო-ს გავრო-სგან მიიღო მითითება ეხელმძღვანელა ამ პროცესისათვის და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნეერ ქვეყნებიდან ყველას აქვს სამართლიანი წინააღმდეგობის უფლება.<sup>123</sup> კომუნაგენის კონფერენციაზე ასევე გადამწყდა, რომ ნეერმა ქვეყნებმა, რომლებსაც გააჩნიათ სავალდებულო სამხედრო სამსახური, უნდა იფიქროს ალტერნატიული სამსახურის სხვადასხვა ფორმების შემოღებაზე მათთვის, ვისაც გააჩნია სამართლიანი წინააღმდეგობა.<sup>124</sup> უთო-ს ქვეყნის კოდექსი (იხ. თავი 4, "უთო-ს ვალდებულებები") ასახავს ამ ვალდებულებებს 27-ე და 28-ე პარაგრაფებში:

27. თითოეულმა ნეერმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ სამხედრო, ნახევრად სამხედრო და უსაფრთხოების ძალებში პერსონალის განეცემა შეესაბამებოდეს მის ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

28. ნეერი ქვეყნები თავიანთ კანონებსა და სხვა შესაბამის დოკუმენტაციაში ასახავენ შეიარაღებული ძალების პერსონალის უფლებებსა და მოვალეობებს. ისინი იმსჯელებენ სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამსახურის ან მისგან გათავისუფლების შესაძლებლობის შემოღებაზე.

<sup>114</sup> ამ აბზაცში მოცემული ინფორმაცია მოგვიანდა გავრო-ს უმაღლესი კომისიის ადამიანის უფლებათა სამსახურმა, "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამხედრო სამსახურისაში პატიოსანი წინააღმდეგობის განვითარებაზე", გავროს დოკუმენტაცია. E/CN.4/2004/55, 2004 წლის 26 თებერვალი.

<sup>115</sup> 1967 წელს ვერო კავშირის საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო თავისი პირველი რეზოლუცია (№337 და 478), რომელიც შეეხებოდა ახლავურლასა სკობებს. ამას მოჰყვა 1977 წლის რეკომენდაცია №81ს და უფრო მოვიანდა - №1518.

<sup>116</sup> ვერო საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, "რეკომენდაცია No. R (87) მ ნეერი სახელმწიფოებისაში სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი კეთილდღიობითი წინააღმდეგობის შესახებ", 1987 წლის 9 I აპრილი.

<sup>117</sup> იქვე, მუხლი 10.

<sup>118</sup> მინისტრთა კომიტეტის პასუხის შესახებ გადამყვეტილება, რომელიც მიიღეს მინისტრის მოადგილეების 785-ე შეხვედრაზე (2002 წლის 26-27 თებერვალი), დოკუმენტი 9379, 2002 წლის 1 მარტი.

<sup>119</sup> რეკომენდაცია No. R (87)8, მუხლი 118, მუხლი B 8.

<sup>120</sup> ვერო პარლამენტი, "სამართლიანი წინააღმდეგობის რეზოლუცია", ვერო საზოგადოებების ოფიციალური ვებ-საიტი, C 068, 1983 წლის 14 მარტი, გვ. 14; ასევე, იხილეთ, ვერო პარლამენტი, "სამართლიანი წინააღმდეგობის და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის რეზოლუცია", ვერო საზოგადოებების ოფიციალური ვებ-საიტი, # 291, 1989 წლის 20 ნოემბერი, გვ. 122.

<sup>121</sup> კომენდაცია 1990, პარა 18.1.

<sup>122</sup> იქვე. იგივე გაიმეორეს ბუდაპეშტის კონფერენციაზე 1994 წელს (გადამყვეტილებები: IV. ქვეყნის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო პასუხებზე).

საკონსტიტუციო და სამართლებრივი აღიარება როგორც მე-8 თავში აღინიშნა, ეუთო-ს რამდენიმე ქვეყანა კონსტიტუციით აღიარებს სამართლიანი წინააღმდეგობის უფლებას. თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამ პროცედურების განხორციელება ასახული უნდა იქნეს კანონმდებლობაშიც. როგორც გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სამსახური იუწყება:

სამართლიანი წინააღმდეგობისა და ალტერნატიული სამსახურის სამართლებრივი აღიარების არსებობას ნორმატიული რეგულირების გარეშე შეიძლება სამართლებრივი ხასიათის გაუგებრობამდე და ამ უფლებათა გამოყენების შეუფერებამდე, რაც საქმეს კიდევ უფრო აართულებს, თუმცა მათ პრაქტიკაში გამოყენებას შეუძლებელს მინც არ ხდის.<sup>129</sup>

**სქემა 10.4**

**კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო დებულებები**

<b>ხორვატია</b>	სამართლიანი წინააღმდეგობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც რელიგიური თუ სინდისის საბაზით არ გააჩნია სურვილი მონაწილეობა მიიღოს სამხედრო მოქმედებებში ან სამხედრო სამსახურში. ასეთი ადამიანებს ევალებათ კანონით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულება.	მუხლი 47.2
<b>ესტონეთი</b>	ისინი, ვინც უარს აცხადებენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურზე რელიგიური თუ მორალური მიზეზების გამო, ვალდებული არიან გაიარონ ალტერნატიული სამსახური კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.	მუხლი 124.2
<b>ფინეთი</b>	შესაბამისი კანონი განსაზღვრავს ქვეყნის სამხედრო თავდაცვაში მონაწილეობისგან გათავისუფლების უფლებას სინდისის საფუძველზე	მუხლი 127.2
<b>გერმანია</b>	იმ პირს, რომელიც სინდისის საფუძველზე უარს ამბობს გაიაროს სამხედრო სამსახური იარაღის გამოყენებით, შესაძლოა მოსთხოვონ სამაგიერო სამსახური, რომლის ხანგრძლივობაზეც არ უნდა გადააჭარბოს სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას. აღნიშნული კანონი არეგულირებს ისეთ საკითხებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ალტერნატიული სამსახურის უზრუნველყოფა, რომელიც არ უნდა უკავშირდებოდეს ფედერალური საზღვრის დაცვის ან შეიარაღებული ძალების ნაწილებს.	მუხლი 12. ა.2
<b>ნიდერლანდები</b>	სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლება სერიოზული სამართლიანი წინააღმდეგობის გამო უნდა განისაზღვრებოდეს პარლამენტის შესაბამისი აქტით.	მუხლი 99
<b>ნორვეგია</b>	როგორც წესი, ქვეყნის ყველა მოქალაქეს თანაბრად ევალება ემსახუროს ქვეყნის თავდაცვას გარკვეული ვადით, მიუხედავად დაბადების ადგილის ან თანადებობისა. ამ პრინციპის გამოყენება და შესაბამისი შეზღუდვები განისაზღვრება კანონმდებლობით.	მუხლი 109.2
<b>პოლონეთი</b>	ნებისმიერი მოქალაქე, რომლის რელიგიური რწმენა ან მორალური პრინციპები მას ნებას არ რთავს გაიაროს სამხედრო სამსახური, შესაძლოა ვალდებული გახდეს გაიაროს სანაცლო სამსახური კანონმდებლობაში მოცემული პრინციპების შესაბამისად	მუხლი 85. 3
<b>პორტუგალია</b>	სამართლიანი წინააღმდეგობის გამწვევი მოქალაქეები, რომლებსაც კანონით ევალებათ სამხედრო სამსახურის გაელა, ვალდებული არიან სამოქალაქო სამსახურშიც ისეთივე ენერგიულობითა და შემართებით იმუშაონ, როგორც სამხედრო სამსახურში.	მუხლი 276.4
<b>რუსეთის ფედერაცია</b>	რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს, რომლის რწმენა და რელიგია არ შეესაბამება სამხედრო სამსახურს და, გარდა ამისა, სხვა შემთხვევებში განსაზღვრულია ფედერალური კანონით, უნდა გააჩნდეს სამხედრო სამსახურის ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური შეცვლის უფლება.	მუხლი 59.3
<b>სლოვაკეთი</b>	არავის უნდა დააძალონ სამხედრო სამსახური, თუ ეს ეწინააღმდეგება მის სინდისს ან რელიგიურ რწმენას. დეტალები მოცემულია კანონში.	მუხლი 25.2
<b>სლოვენია</b>	იმ მოქალაქეებს, რომლებსაც თავიანთი რელიგიური, ფილოსოფიური თუ ჰუმანური შეხედულებების გამო არ სურთ შესრულონ სამხედრო ვალდებულებები უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ თავდაცვაში სხვაგვარად.	მუხლი 123.2
<b>ესპანეთი</b>	კანონი განსაზღვრავს ესპანელთა სამხედრო ვალდებულებებს და შესაბამის გარანტიების საფუძველზე არეგულირებს სამართლიანი წინააღმდეგობის ისევე, როგორც სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების სხვა საფუძველს. მას, ასევე, საჭიროებისამებრ, შეუძლია სამხედრო სამსახური შეცვალოს საზოგადოებრივი სამსახურით.	მუხლი 30. 2

<sup>129</sup> "სამართლებრივი და პოლიტიკური უფლებები", შენიშვნა 107, პარაგრაფი 22.

### 3. მიდგომები

წინამდებარე ქვეთავში მოცემულია უფრო-ს ნეერი ქვეყნების სხვადასხვა მიდგომები და შე-საბამისი საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს: სა-მართლანი წინააღმდეგობის მიზეზები; ალტერნატიული სამსახურის ხელმისაწვდომობა; რეკლამური შიარალბული ძალების პროფესიონალ მოსამსახურეთა პოზიცია; შერჩევით-თი სამართლანი წინააღმდეგობის საკითხი; და სამართლანი წინააღმდეგობის მოთხოვნის განსაზღვრის საპროცედურო ასპექტები.

#### სამართლანი წინააღმდეგობის მიზეზები

ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი (მაგალითად, იელოვას მონმეები და ქვაკერები) სამხედრო სამსახურის წინააღმდეგია რელიგიური მიზეზის გამო. თუმცა, სამართლანი წინააღმდეგობა მხოლოდ რელიგიური მიზეზებით არ შემოიფარგლება. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიის 1998/77-ე რეზოლუციის ნათქვამია, რომ "სამხედრო სამსახურისადმი სამართლანი წინააღმდეგობა გამოდინარეობს ცნობიერების პრინციპებისა და მიზეზებისაგან, ღრმა რწმენის ჩათვლით რელიგიური, მორალური, პუშნური თუ მსგავსი მოტივით" და მოუწოდებს ქვეყნებს "არ მოახდინონ სამართლანი მონინალმდეგეთა დისკრინინაცია მათი კონკრეტული რწმენის გამო."

ადამიანის უფლებათა კომისიის 2001 წლის ანგარიშში, გაერო-ს საექციალურმა მომხსენებელმა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში განაცხადა:

პირველ რიგში, საქმე ეხება მადისკრინინირებულ და არატოლერანტულ მიდგომებს, კანონმდებლობის ან სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ინდეფერენტულობასაც კი, რომელიც საზიონაო უმცირესობებისათვის, მიუხედავად იმისა, ისინი განეკუთვნებიან "ძირითად რელიგიებს" თუ სხვა რწმენაზე დამყარებულ საზოგადოებებს. ასეთ უმცირესობებზე ზეგავლენას ახდენს სამართლანი წინააღმდეგობის არალიარება, ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის არუზრუნველყოფა და ამ სამოქალაქო სამსახურის სადამსჯელო ბუნება მისი ხანგრძლივობის გამო, რაც განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს იელოვას მონმეებსა და სხვა რელიგიურ თუ რწმენაზე დაფუძნებულ საზოგადოებებზე ...<sup>126</sup>

#### სქემა 10.5

#### სამართლანი წინააღმდეგობის მიზეზების აღიარება

საფუძველი	რელიგიური მრწამსი	მორალური/ფილოსოფიური შეხედულება	ემოციური დამოკიდებულება	სხვა
ქვეყნები	ავსტრია, ბელორუსია, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი, საქართველო, გერმანია, ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი და მონტენეგრო, შვეიცარია, უკრაინა, აშშ	ავსტრია, ბელგია, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, საქართველო, გერმანია, ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი და მონტენეგრო, შვედეთი, შვეიცარია, აშშ	ავსტრია, დანია, საქართველო, გერმანია, ნორვეგია, პორტუგალია, რუსეთი, სერბეთი და მონტენეგრო, შვედეთი	კანადა, ესტონეთი, გერმანია, რუსეთი, აშშ

#### შენიშვნები:

ნეერი ქვეყნები, რომლებსაც ქასუხი არ გაუციით: ბოსნია და ჰერცეგოვინა, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო.

ბელგიაში შესაბამისი დებულებები შეჩერებულ იქნა სამართლებრივ ნორმებთან ერთად სამხედრო სამსახურში განევაასთან დაკავშირებით, რადგან თვით სამხედრო სამსახურში განევაა შეჩერდა 1992 წლის შემდეგ.

<sup>126</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რელიგიური შეწინარეობის ჩათვლით", საექ. მომხსენებლის, ზატონ ახდელბაბა ამირის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, ადამიანის უფლებათა კომისიის 2000/33 რეზოლუციის შესაბამისად", გაერო-ს ეკონომიკური და პოლიტიკური საბჭო, ადამიანის უფლებათა კომისია, 53-ე სესია, 2001 წლის 13 თებერვალი, E/CN.4/2001/63, პარაგრაფი 182.



როგორც ჩანს, მრავალმა ევროპულმა ქვეყანამ აღიარა სამართლიანი წინააღმდეგობის როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური საფუძველი. აშშ-ში სამართლიანი წინააღმდეგობა იურიდიული ინტერპრეტაციით გასცდა რელიგიური წინააღმდეგობის შეზღუდულ აღიარებას და მოიცვა სხვა მორალური და ფილოსოფიური წინააღმდეგობები (იხ. სექმა 10.6 ქვემოთ).

**სექმა 10.6**

**აშშ-ის უზენაესი სასამართლო და სამართლიანი წინააღმდეგობა**

- აშშ სიგერის წინააღმდეგ, აშშ-ის უზენაესი სასამართლო, 1965 წლის 8 მარტი, აშშ-ის ანგარიშები, ტომი 380, 1965, გვ. 163, (სამართლიანი წინააღმდეგობის კანონი მოქმედებას აერცილებს რელიგიური რწმუნებდან მათზე, ვისაც გააჩნიათ საერო რწმენა, არიან "გულწრფელი და მათ ცხოვრებაში თავის ადგილი უკავია ღმერთს, მართლმადიდებლური რწმენის პარალელურად");
- უელში აშშ-ს წინააღმდეგ, აშშ-ს უზენაესი სასამართლო, 1970 წლის 15 ივნისი, აშშ-ს ანგარიშები, ტომი 398, 1970, გვ. 333 (ხმათა უმრავლესობის აზრი) (სამართლიანი წინააღმდეგობის სტატუსი ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც გააჩნია სინდისი, რომელიც გაჯერებულია ღრმა მორალური, ეთიკური თუ რელიგიური მრწამსით, "ვერ მოასვენებს, თუ თავს უფლებას მისცემს გახდეს ომის ინსტიტუტები").

**ალტერნატიული სამსახური (სანაცვლო სამსახური)**

როგორც უკვე აღინიშნა, ალტერნატიული სამსახურის უფლებას იცავს მრავალი საერთაშორისო ორგანო, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიისა და ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ჩათვლით. სექმაში 10.7 მოცემულია ეუთო-ს ნეერ ქვეყნებში არსებულ რომელ ინსტიტუტებშია შესაძლებელი ალტერნატიული სამსახურის გაკლა.

**სექმა 10.7.**

**ორგანიზაციები, სადაც შესაძლებელია ალტერნატიული სამსახურის გაკლა<sup>127</sup>**

ქვეყანა	ინსტიტუტი/დანესებულება
ავსტრია	საავადმყოფოები, მაშველთა სამსახურები, სოციალური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა დაწესებულებები, ხნიერთა მომსახურება, საუკრობილები, ნარკომათა ზრუნვის სამსახურები, ლტოლვილთა და თავმჯდომარის მამებართა სამსახური, კატასტროფათა თავიდან აცილების და სამოქალაქო თავდაცვის სამსახურები, მომსახურება მემორიალურ ადგილებში, განსაკუთრებით, ეროვნული სოციალიზმის მსხვერპლთათვის, საჯარო და ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვისა და ახალგაზრდების მოძრაობის სფეროს მომსახურება.
ხორვატია	სკოლები, უნივერსიტეტები, საავადმყოფოები, ბავშვთა ზრუნვის სამსახურები და ა.შ. ნებისმიერი სახის არამომგებიან დაწესებულებაში.
ესტონეთი	მთავრობის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც არსებობენ სფეროებში, რომლებიც შედის შინაგან საქმეთა ან სოციალურ საქმეთა სამინისტროების კომპეტენციაში და მოიცავს გადაარჩენის/ხსნის, სოციალური უზრუნველყოფის ან გადაადგილდელ სამუშაოს (თავდაცვის ძალების მომსახურების აქტი).
ფინეთი	თავდაპირველად, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილები და ალტერნატიული არასამხედრო სამსახურის სამოქალაქო სამსახურის ეროვნული ცენტრი, შემდეგ კი სამოქალაქო სამსახურები.
გერმანია	სოციალური ან საქველმოქმედო ინსტიტუტები/დანესებულებები (მაგ., საავადმყოფოები, ხანდაზმულთა სახლები, გერმანიის ნიითელი ჯვარი და მსგავსი დანესებულებები და ორგანოები).
ლატვია	სახელმწიფო თუ მუნიციპალური ინსტიტუტები, კომპანიები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან ხანძარსაწინააღმდეგო საქმიანობაში, ძებნისა და გადარჩენის ოპერაციებში, სოციალურ უზრუნველყოფაში, სამედიცინო დახმარების გაწევაში, სახელმწიფო ტრანსპორტისა და საზოგადოებრივი დანესებულებათა სარგებლობის მომსახურებაში, სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების გაუმჯობესებაში, საბაჟო კონტროლში (კონკრეტული ინსტიტუტები დამტკიცებულია კაბინეტის მიერ თავდაცვის მინისტრის წინადადების საფუძველზე).
რუსეთის ფედერაცია	ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის ფედერალური კანონის მე-4 მუხლი: ა) ფედერალური იურისდიქციის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები; ბ) რუსეთის ფედერაციის სუბიექტების აღმასრულებელი ორგანოების იურისდიქციის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები; გ) ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან, სხვა ძალები, სამხედრო ნაწილები და სამხედრო სტრუქტურები, სამოქალაქო პერსონალის რანგში.
შვეიცარია	ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, კულტურული ქონების დაცვა, გარემოს დაცვა, სატყეო მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, თანამშრომლობა და პუშინიტარული დახმარების განვითარების სფეროში, ჰუმანიტარული დახმარების სამსახურში, კატასტროფებისა და საგანგებო ვითარების დროს.
უკრაინა	სანარმოები, ინსტიტუტები ან ორგანიზაციები, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფოს და რომელთა მოღვაწეობაც მიმართულია მოსახლეობის სოციალურ, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვაზე.

<sup>127</sup> ODHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 43.

ალტერნატიული სამსახურისათვის დამახასიათებელია სამხედრო სამსახურზე უფრო ხანგრძლივი ვადა, სხვადასხვა საშუალო პირობებისა და საათების გათვალისწინებით. ალტერნატიული სამსახურის ევროპის წინააღმდეგობა დაახლოებით 1 ან 1/2-ჯერ მეტია სამხედრო სამსახურზე. აღსანიშნავია, რომ ძალიან ცოტა ქვეყანაში (მაგალითად, გერმანია) სამსახურის პერიოდი თანაბარია, ზოგან კი ალტერნატიული სამსახურის სამხედროს ორჯერაც კი აჭარბებს. ევრო საბჭოს სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ სამხედრო სამსახურზე ორჯერ მეტი ხანგრძლივობის ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური "ზომიზე მეტია", ანუ ადგილი აქვს მუშაკის უფლების, გამოუმუშავებინა ხელფასი ასეთ სამსახურში მუშაობით, არაპროპორციულ შეზღუდვას.<sup>128</sup> ეს კი ეწინააღმდეგებოდა ევროპის სოციალური ქარტიის 1-ელი მუხლის მე-2 პარაგრაფს.<sup>129</sup>

სამხედრო და ალტერნატიული სამსახურის ხანგრძლივობას შორის განსხვავება შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ მოქალაქემ თავი შეაკავოს ალტერნატიული სამსახურის მოთხოვნისგან. თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საკონსტიტუციო<sup>130</sup> ან ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები იგი იყოს განსხვავებული. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგად 22-ე კომენტარში ნათქვამია: "არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის დისკრიმინაცია სამართლიანი წინააღმდეგობის გამწევი პირის მიმართ იმ მიზეზით, რომ მათ სათანადოდ ვერ შეასრულეს სამხედრო სამსახურის შემცველი სამუშაო."<sup>131</sup> კომისიამ წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოებმა აღიარონ სამართლიანი წინააღმდეგობის უფლება დისკრიმინაციის გარეშე.<sup>132</sup> "სამართლიანი წინააღმდეგობის გამწევეთ შეუძლიათ აირჩიონ სამოქალაქო სამსახურის იმ ხანგრძლივობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება სამხედრო სამსახურს, შეთანხმების მე-18 და 26-ე მუხლების შესაბამისად."<sup>133</sup> გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ასევე მოითხოვს ნებისმიერი განსხვავების საჭიროებაზე, რომელიც ეწყარება "კეთილგონიერულ და ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორცაა, კონკრეტული მომსახურების ბუნება ან სპეციალური ტრენინგის საჭიროება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ეს მომსახურება."<sup>134</sup>

ალტერნატიული სამსახურის უფლების გამოყენებისას შესაძლოა არსებობდეს სხვა დამრკობლებიც. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ალტერნატიული სამსახური სამხედრო სამსახურის არსებობის საფუძველზე არის დაკნინებული ან შეუფერხებელი; მათ, ვინც ირჩევს ალტერნატიულ სამსახურს, პაციფისტური მრწამსის მიუხედავად, შესაძლოა უარი ითქვას შესაბამის ეკონომიკურ ან სოციალურ უფლებებზე მათთან შედარებით, ვინც გაიყვანის სამხედრო სამსახურს. შესაბამისად, შეეცილია ადვანსკენათ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ალტერნატიული სამსახურის უფლების გამოყენებისათვის ერთგვარ წინააღმდეგობას.

<sup>128</sup> ფრაილ სკუთონ ქვა კრთა საბჭო საბჭოების წინააღმდეგ, სოციალურ უფლებათა ევრო კომიტეტი, 2001 წლის 27 აპრილი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ანგარიშები, ტომი 8, 2001, გვ. 1158.

<sup>129</sup> იხ. იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება N470, 1985 წლის 31 ივლისი), რომლის თანახმად 20-თვიანი ალტერნატიული სამსახურის განევა 12-თვიან სამხედრო სამსახურის განევადას შედარებით, წარმოადგენდა თანასწორობის საკონსტიტუციო პრინციპის დარღვევას. იხ. ხოსე დე სუსა და ბრიტო "კეთილგონიერი წინააღმდეგობა", ტ. ლინდალმი, უ. კოლ დარჰამი და ბ. ტაპზობა "რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შეზღუდვება: საბავლი წიგნი (ლექციები: ნარტინუს ნუგაოფი გამოცემლობა/ბრილის აცადემია, 2004)."

<sup>130</sup> ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სამსახური. "ზოგადი კომენტარი 22: აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება", 1993 წლის 30 ივლისი, მუხლი 18, CCPR/A/21/ლევ.4/ად.4

<sup>131</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, სამხედრო სამსახურისადმი სამართლიანი წინააღმდეგობის განევის საკითხის ჩაღვლი: ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის სამსახურის ანგარიში", E/CN.4/2004/55, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მე-6 სესია, 1004 წლის 16 თებერვალი, პარაგრაფი 14.

<sup>132</sup> იქვე. პარაგრაფი 11.

<sup>133</sup> ფრაილ საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 1999 წლის 9 ნოემბერი, კომინუკაცია N666/1995, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ანგარიშები, ტომი 7, 2000, გვ. 354. ასევე იხილეთ მალე საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 2000 წლის 31 ივლისი, კომინუკაცია N689/1996, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ანგარიშები, ტომი 7, 2000, გვ. 947. ვარსკლავის საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 2000 წლის 10 ივლისი, კომინუკაცია N 690 და ნიკოლას საფრანგეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 2000 წლის 10 ივლისი, კომინუკაცია N 691/1996, ორვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ანგარიშები, ტომი 8, 2001, გვ. 26. შედარეთ აფრიკული გადაწყვეტილება ვარსკლავის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 1989 წლის 23 მარტი, კომინუკაცია N2915/1988, ადამიანის უფლებათა ნულიერი ანგარიში 1990, დანართი II., გვ.367.

**სქემა 10.8**

**პროცედურები ზოგიერთ ქვეყანაში, რომლებიც აღიარებენ ალტერნატიულ სამსახურს**

<b>წერილ ქვეყანა</b>	<b>პროცედურები ალტერნატიულ სამსახურში მიღებისათვის</b>
<b>ავსტრია</b>	ავსტრიის კონსტიტუციით, სამოქალაქო სამსახური არ არის ალტერნატიული, ის მხოლოდ სამხედრო სამსახურს ცვლის. თუმცა, თუ ადამიანს არ სურს გაიაროს სამხედრო სამსახური, მან უნარაოდ უნდა შეაყვას დეკლარაცია იმის შესახებ, რომ სურს იმსახუროს სამოქალაქო სამსახურში. დეკლარაციის შევსებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეფასების ნოტიო გადაწყვეტს, ვაიცილის თუ არა ეს ადამიანი სამოქალაქო სამსახურს.
<b>ხორვატია</b>	თუ სამართლებრივად დაფუძნებული კომისიის მოთხოვნა შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ჯარისკაცს შეუძლია გაიაროს ალტერნატიული სამსახური ოფიციალურად აღიარებულ სასწავლებელში (ადმინისტრაციული აქტი განსაზღვრავს ასეთი სასწავლებლების სიას).
<b>ესტონეთი</b>	პირმა უნდა წარუდგინოს განცხადება თავდაცვის ძალების სააგენტოს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მას სურს გაიაროს სავალდებულო სამხედრო სამსახური ალტერნატიულით. შემდეგ თავდაცვის ძალები კანდიდატისაგან და მისი მეგობრებისა და ნათესავებისაგან იღებენ ინფორმაციას. ინფორმაციის მიგრირება ხდება კანდიდატის სამუშაო ან სასწავლო ადგილზე ან ნებისმიერ რელიგიურ ორგანიზაციაში, რომელიც მან მიუთითა. თავდაცვის ძალებმა შესაძლოა გამოიხიზონ კანდიდატი ან მოსთხოვონ დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან, ზემოთ მოცემული პროცედურის გარეშე, გადაწყვიტონ, დააკმაყოფილონ თუ არა მისი მოთხოვნა.
<b>ფინეთი</b>	ალტერნატიული ვარიანტები მოიცავს სამოქალაქო არასამხედრო და შეუიარაღებელ სამხედრო სამსახურს. შრომის სამინისტროს ევალება სამოქალაქო არასამხედრო, ხოლო თავდაცვის სამინისტროს შეუიარაღებელი სამხედრო სამსახურის საქმეებს მივგვარება. სამოქალაქო არასამხედრო სამსახურის შემთხვევაში, ანკეტები იგზავნება შესაბამის სამხედრო უწყებაში, რომელიც მათ უზავეის შრომის სამინისტროს. შრომის სამინისტრო კი, თავის მხრივ, უზრუნველს კანდიდატებს დაიწყონ სამოქალაქო არასამხედრო სამსახური.
<b>საქართველო</b>	პროცედურები არასამხედრო ალტერნატიული, შრომითი სამსახურის კანონთან შესაბამისად.
<b>გერმანია</b>	იმ პირებმა, რომლებიც ექვემდებარებიან სამხედრო სამსახურს, უნდა მიმართონ შერჩევას და სამხედრო სამსახურში მიღების უწყებას, რომ მოხდეს მათი, როგორც სამხედრო სამსახურზე კეთილსინდისიერი უარის მოქმედების აღიარება. მოითხოვება ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია და სამოტივაციო წერილი. თუ მათი კანდიდატურები დაინუწეს, ვინც ექვემდებარება სამხედრო სამსახურს, შეუძლიათ გააპროტესტონ სამოქალაქო სამსახურის ალტერნატიური ორგანიზაციის დადარწმუნებულად ადვინისტრაციულ სასამართლოში.
<b>ლატვია</b>	როდესაც კანდიდატი მიიღებს შეტყობინების პროექტს, მან უნდა წარუდგინოს ანკეტა/დოკუმენტაცია სამხედრო სამსახურის დასაქმების ცენტრს.
<b>ლიტვა</b>	კანდიდატმა უნდა წარმოუდგინოს ანკეტა კომისიას, რომელიც შედგება არასამთავრობო, რელიგიური ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან.
<b>რუსეთის ფედერაცია</b>	ალტერნატიული სამხედრო სამსახურის გავლის ანკეტის შევსების პროცედურა რეგულირდება ალტერნატიულ სამხედრო სამსახურის შესახებ ფედერალური კანონის მე-11 მუხლით. ამ მუხლის შესაბამისად, მოქალაქებს აქვთ უფლება წარადგინონ განცხადება სამხედრო სამსახურის სამოქალაქოთი შეცვლის მიზნით სამხედრო კომისარიატში, სადაც ისინი არიან აღრიცხული სამხედრო სამსახურისათვის იმ წლის ოქტომბერ-დეკემბრამდე. 1 ოქტომბერამდე კი იმ მოქალაქებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს იმავე წლის ოქტომბერ-დეკემბერში; 1 ოქტომბრამდე იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც აქვთ უფლება იყვნენ განვლული სამხედრო სამსახურში მომავალი წლის აპრილ-ივნისში.
<b>სერბეთი და მონტენეგრო</b>	მოთხოვნა წარედგინება კომპეტენტურ რეგიონალურ სამხედრო განყოფილებას.
<b>შვედეთი</b>	ალტერნატიული სამსახურის მიმართ გამოიყენება სავალდებულო სამსახურის მსგავსი პროცედურები.
<b>შვეიცარია</b>	კანდიდატებმა უნდა გაიარონ კეთილსინდისიერების ტესტი, რომელსაც ატარებს სპეციალური კომისია.
<b>უკრაინა</b>	განაცხადი/ანკეტა უნდა წარუდგინოს შესაბამის სპეციალურ კომისიას იმ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ადასტურებს მის რელიგიურ რწმენას.

კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა რეგულარული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის  
 ეუთო-ს წერილ ქვეყნების უმეტესობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა ეხება ნევეამდებებს, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი ცნობს იმავს სპორციული სამხედრო მოსამსახურე პერსონალთან მიმართებაში. ODIHR-DCAF-ის კითხვარზე პასუხის

გაცემისას შემდეგმა ქვეყნებმა დააფიქსირეს ის აზრი, რომ მათი კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის სამართლებრივ უფლებას პროფესიონალი ჯარისკაცებისათვის: ბელორუსია, გერმანია, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვეიცარია და აშშ.<sup>124</sup>

ამ საკითხით დაკავშირებით, გავრო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარია აღნიშნავს: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლების გამოყენება იმ პირობებშია მიმართ, ვინც ნებაყოფლობით მსახურობს შეიარაღებულ ძალებში, ემყარება მსხვერპლურებას, რომ იმ პირებმა, რომლებიც მოხალისედ მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში, დროთა განმავლობაში შესაძლოა განაღებონ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა იარაღის ტარების მიმართ.<sup>125</sup>

2006 წლის აპრილში ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა ნეერ სახელმწიფოებს: თავიანთ კანონმდებლობაში შემოიღონ ნებისმიერ დროს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონედ დარეგისტრირების უფლება, ექროდ, სახმედრო სამსახურის გავლამდე, მისი გაელის დროსა და შემდეგ.<sup>126</sup>

**არჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა**  
შემდეგი საკითხია ე.წ. არჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახმედრო კამპანიაში და არა ზოგადად სახმედრო სამსახურში მონაწილეობის კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას. ასეთი სახის წინააღმდეგობას დიდი ხნის ისტორია აქვს (პენრი დევიდ ტორუსს გადასახადების გადახდაზე უარის თქვიდან დანყებული, 1846 წელს აშშ-შექისის ომის დროს)<sup>127</sup> დამთავრებული იმ სახმედრო მოსამსახურეებით, რომლებმაც უარი განაცხადეს სპარსეთის ყურის მეორე ომში ბრძოლაზე<sup>128</sup> და ხშირად უკავშირდება მხილოდ ომის თეორიას. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია პროფესიონალი მოსამსახურე პერსონალისა და რეზერვისტებისთვის.

შერჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა პრობლემატურია ორი მიზეზის გამო. თავდაპირველად, ვინაიდან წინააღმდეგობის გამწევი მომზადებულია იბრძოლოს სხვა კონფლიქტებში, მისი კეთილსინდისიერების საკითხი შესაძლოა კითხვის ქვეშ დადგეს. გარდა ამისა, მოტივაცია შესაძლოა პოლიტიკურ აღმოჩნდეს, ვიდრე სინდისით ნაკარნახები. თუმცა, თორიულად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურე შერჩევითი წინააღმდეგობით შესაძლოა მაინც აიყვანოს სამსახურში სხვა მოვალეობების შესრულებლად. პრაქტიკაში ასეთი მოთხოვნის შედეგი, როგორც ჩანს, გამომდინარეობს შეიარაღებული ძალების სპეციფიკიდან და კარიერის დაკარგვიდან, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი ჯარისკაცის შემთხვევაში, რომელიც სამსახურის დაწყებისთანავე ავითარებს კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას.

მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო თუ ახორციელებს სამსახურთან გათავისუფლებას შერჩევითი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობისათვის. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს რაიმე საკონსტიტუციო მოთხოვნა რელიგიის თავისუფლების დაცვის მხრივ, რომელიც იმ ანუ შეტყობის ნიშნავს, ვიდრე უზრუნველყოს ზოგადი უფლება.<sup>129</sup> მეორე მხრივ, გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ 2005 წელს დაადგინა, რომ სინდისის თავისუფლება იცავს ჯარის ინფინტერი-კომპიუტერის სპეციალისტს, რომელმაც უარი განაცხადა ემსახურა კომპიუტერულ პროგრამაზე ციფობერების მიხსნების გამო, რადგან გაარკვია, რომ ერწყის ომი მისთვის უსამართლო და არალეგალური იყო.<sup>130</sup>

**საქმე 10.9**

**შერჩევითი სამართლიანი წინააღმდეგობა<sup>141</sup>**

ქვეყნები, რომლებიც აღიარებენ შერჩევით სამართლიან წინააღმდეგობას	ქვეყნები, რომლებიც არ აღიარებენ შერჩევით სამართლიან წინააღმდეგობას
ავსტრია, ბელორუსია, ბელგია, კანადა, დანია, საქართველო, გერმანია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი და მონტენეგრო, შვედეთი, შვეიცარია	ხორვატია, ჩეხეთი, ფინეთი, ირლანდია, ლიტვა, აშშ

<sup>124</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 37.  
<sup>125</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, შენიშვნა 107, პარაგრაფი 26.  
<sup>126</sup> ევრო საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1742 (2006), "შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებები", 2006 წლის 11 აპრილის ასამბლეის მიერ ადამტრებულ რეკომენდაცია (მე-11 მოსმენა).  
<sup>127</sup> ა.დ. თორე, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ (ჩიკაგო: ჩარლზ ჰ.კერი, 1989).  
<sup>128</sup> "ციხე ტრავის უარის თქმაზე RAF-ის გენიოსათვის", BBC-ის ახალი ამბები, 2006 წლის 1 აპრილი, იხ. <http://news.bbc.co.uk/1/hi/uss/4905672.stm>.  
<sup>129</sup> ყელბტი vs აშშ, აშშ-ს უზენაესი სასამართლო, 1971 წლის 8 მარტი, აშშ-ს ანგარიშები, ტ. 401, 1974, გვ. 437.  
<sup>130</sup> გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, ჟეპრდენგსტენგლ (საზღვრო მოსამსახურების განყოფილება), 2005 წლის 21 ივნისი, გადაწყვეტილება No 12, 2004 წელი, საქმე No.WD 12.04 (იხ. მოხალაფერი, "შემაღლები პრდასებები, უსამართლო ომი და ჯარისკაცის სინდისი", ტომი 4, 2005, გვ. 17-19).  
<sup>141</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, მკითხვეა 35; ის მონაწილე ქვეყნები, რომლებსაც არ გაუციათ პასუხი: ბოსნია და ჰერცეგოვინა, ცენტრონი, ლატვია, სლოვენია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი.

**პროცედურები, რომლებიც გეხმარება სამართლიანი წინააღმდეგობის მოთხოვნების დადგენაში**

პრაქტიკულად არჩევანი მერყეობს იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც ან მეტწილად სამოქალაქო საბჭო გააჩნიათ, ან მხოლოდ სამხედრო; ზოგ ქვეყანაში კი შუალედური სისტემა მოქმედებს. ხორვატია ისეთი ქვეყნის მაგალითია, სადაც მოქმედებს სამოქალაქო საბჭო და სამოქალაქო სამსახურის კომისია, რომელიც შედგება თავდაცვის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროთა წარმომადგენლებისგან. ბერძნული სისტემა გარდამავალია. შერეული სამხედრო-სამოქალაქო საბჭო აძლევს რეკომენდაციას თავდაცვის მინისტრს (თუ მინისტრი უარს იტყვის მიღებაზე, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს). აშშ-ში, მეორე მხრივ, ანგარიშს ამაღებს სამხედრო საგამოძიებო მოსამსახურე და იგი გადაწყვეტილების გამოტანისას ექვემდებარება განაცხადის შემომტანისათვის საპროცედურო გარანტიებს, როგორებიცაა, სამართლებრივი საფუძვლები და უარის თქმის წარმოდგენა.<sup>142</sup>

**სქემა 10.1.**

**ორგანოები, რომლებიც განსაზღვრავენ ეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მოთხოვნებს<sup>143</sup>**

შესაბამისი ორგანო	შეიარაღებული ძალები	სასამართლო	კომისია
ქვეყნები	ჩეხეთი, დანია, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი და მონტენეგრო, აშშ	ბელორუსია, ფინეთი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია	ბელორუსია, ბელგია, ხორვატია, ჩეხეთი, საქართველო, ლატვია, ლიტვა, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, შვეიცარია, უკრაინა, აშშ

გაერთიანდა ადამიანის უფლებათა კომისიის 1998/77-ე რეზოლუცია მოუწოდებს იმ ქვეყნებს, რომლებიც არ აღიარებენ სამართლიანი წინააღმდეგობის მოთხოვნებს, დაასრონ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიმღებო ორგანოები, რომელთა მოვალეობა იქნება განსაზღვრონ, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი სამართლიან წინააღმდეგობას კონკრეტულ შემთხვევაში. ევრო საბჭოს 1518/2001 რეკომენდაციამ ნათქვამია, რომ "განაცხადების შემომწება უნდა მოიცავდეს სამართლიანი შეფასებისთვის ყველა საჭირო პროცედურას. მოსამსახურე ასევე უნდა სარგებლობდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით. სააქტიურო ორგანო უნდა განსხვავებუდეს სამხედრო ადმინისტრაციისაგან და უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი დამოუკიდებლობა."<sup>144</sup>

**4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები<sup>145</sup>**

- სამართლიანი წინააღმდეგობის უფლების, ასევე შესაბამისი სტატუსის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეთ სამხედრო მოსახურთან;
  - ეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ როგორც წევრადელებს, ისე პროფესიონალ ჯარისკაცებს სამხედრო მოსახურთან;
    - თუ ქვეყანა არ აღიარებს წინააღმდეგობის უფლებას, უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი კომისია (დამოუკიდებელი თუ არა, შესაბამისი საპროცედურო ორგანოები მინც);
      - ეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირი არ უნდა ექვემდებარებოდეს გაუმდებულ სადამსჯელო ზომებს სამხედრო მოსახურის სათანადოდ ვერ შესრულებისათვის;
        - არ უნდა არსებობდეს რაიმე განსხვავებული მიდგომა ეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამწვანეთა მიმართ მათი მოსახურის პირობებისა თუ ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო ან პოლიტიკური უფლებების თვალსაზრისით;
        - ალტერნატიული სამსახური უნდა შეესაბამებოდეს ეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამომწვევ მიზეზებს, რომლებიც არაკომბადანტი ან სამოქალაქო ხასიათისაა, ემსახურება ხალხის ინტერესებს და არ არის სადამსჯელო ხასიათის;

<sup>142</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები". შენიშვნა 107. პარაგრაფი 38-41.  
<sup>143</sup> ODIHR-OCDF-ის კითხვაზე, საკითხი 34 ა; ის მონაწილე ქვეყნები, რომლებმაც არ კითხვას პასუხი არ გასცეს: ბოსნია და ჰერცეგოვინა; კანადა; დანია; ესტონეთი; სლოვენია; შვედეთი; დიდი ბრიტანეთი.  
<sup>144</sup> "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები". შენიშვნა 107. პარაგრაფი 37.  
<sup>145</sup> რამდენიმე მათგანი ადაპტირებულია "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები"-იდან, შენიშვნა 107.

ალტერნატიული სამსახური უნდა განხორციელდეს მთლიანად სამოქალაქო ადმინისტრირებით, სამხედრო ხელისუფლების ჩარევის გარეშე;  
ისინი, ვინც გადაიან ალტერნატიულ სამსახურს, უნდა სარგებლობდნენ იმავე ეკონომიკური და სოციალური უფლებებით, როგორც სამხედრო სამსახურში ჩართული პირები; ალტერნატიული სამსახურის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 1/2-ჯერ მეტ სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობას.

## რელიგია შეიარაღებულ ძალებში

წინამდებარე თავში განხილულია ის პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ეუთო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში რელიგიის ან რწმენის თავისუფლების აღიარებასთანა და დაკავშირებული. მასში ასევე მოცემულია შეიარაღებულ ძალებში, ზოგადად, რელიგიური თავისუფლებისა და, უფრო კონკრეტულად, მისი პრაქტიკული საკითხები; ასევე, განსაზღვრულია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული მთავარი ვალდებულებები, რომლებიც აღიარებენ რელიგიურ თავისუფლებას და კრძალავენ დისკრიმინაციას რელიგიური მოტივით.

შეიარაღებულ ძალებში რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ჯარში უნდა არსებობდეს სპეციალურად გამოყოფილი სალოცავი ადგილები, სხვადასხვა რელიგიის მიმდევარ მოსამსახურეებს უნდა შეეძლოს სულიერ მამებსა და მღვდლებთან ურთიერთობა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასაფლავებასთან დაკავშირებული რიტუალები სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების მიხედვით, მათ უნდა მიეცეთ დასვენების დღეები წმინდა დღეებისა და დღესასწაულების დროს, უნდა არსებობდეს გართობის სხვადასხვა სახეები და მარხვის ხელშეწყობის მექანიზმები. რელიგიური საკითხების გათვალისწინება ზოგიერთ შემთხვევაში კანონითაც კი არის სავალდებულო. იმ შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთაც სურთ დაამკვიდრონ საზოგადოებათა შრეაღმდეგობების აღიარების პრინციპები, მაქსიმალურად უნდა მოხსნან ბარიერები, რომლებიც არსებობს სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მქონე სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებაში. ამდენად, მნიშვნელოვანია შეიარაღებულ ძალებში ისეთი პრაქტიკის დამკვიდრება, რომლის ფარგლებშიც მოხდება რელიგიის დაცვა სამხედრო სამსახურის ეფექტურობისათვის ზიანის მიყენების გარეშე. რელიგიური რწმენის გათვალისწინება ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ორგანიზაციებმა მოქალაქეები სამსახურში უნდა მიიღონ, მიუხედავად მათი რელიგიის ან რწმენისა. შესაბამისად, წინამდებარე თავში განხილულია მე-10 თავში, წინამდებარე თავი კი მომოხილავს ჯარში რელიგიასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

### 1. პრობლემატური საკითხები

ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში რელიგიის თავისუფლება მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. რელიგიის შიდა თავისუფლება ეხება რწმენის ქონის თავისუფლებას, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ დაარქვა შიდა ფორუმი (forum internum).<sup>144</sup> ეს საკითხი პრაქტიკულად კამათს არ იწვევს, რადგან იგი ადამიანის შიდა რწმენას ეხება. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, ისინი გაცილებით უფრო პრობლემატურია და ეხება რელიგიურ რწმენასა და შეგნებაზე დამყარებულ მოქმედებას ან მისგან განდევნას. სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საკითხი (რელიგიური თუ სხვა მოტივით) განხილულია მე-10 თავში, წინამდებარე თავი კი მომოხილავს ჯარში რელიგიასთან დაკავშირებულ ასპექტებს.

### სქემა 11.1

#### რელიგიის თავისუფლება: კანადის უზენაესი სასამართლოს მიდგომა<sup>147</sup>

რელიგიის თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობა არის უფლება, რომელიც ითვალისწინებს იმ რელიგიურ რწმენას, რომელსაც ირრეეს ადამიანი, ასევე, – უფლება ღია და შიშის გარეშე განაცხადო საკუთარი რელიგიური რწმენის შესახებ და გამოხატო იგი თავყენისციემით, მისი სწავლებითა და გავრცელებით. თუმცა, შესაბამის ცნებაში უფრო მეტი რამ იგულისხმება; თავისუფლებას ახასიათებს იძულებისა და ზემოქმედების არარსებობა. თუ ადამიანზე სახელმწიფო ახდენს ზეგავლენას, იგი არ მოქმედებს საკუთარი სურვილით და, ამდენად, ვერ იქნება ქვეშაობრივად თავისუფალი.

<sup>144</sup> C გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა კომისია, 1983 წლის 15 დეკემბერი, გადმაცხადებული და ანგარიშები, ტომი 37, 1983, გვ. 142, 147.

<sup>147</sup> R v. Big M Drug Mart Ltd-ს წინააღმდეგ, კანადის უზენაესი სასამართლო, 1985 წლის 24 აპრილი, დომინიონი ლო-ს ანგარიშები, მე-4 სერიის ტომი 18, 1985, გვ. 321, 353-354, ვასთის დეკლარაციის თანახმად.

გარე განზომილება იყოფა დადებით და უარყოფით რელიგიურ თავისუფლებად. დადებით თავისუფლება ის ცნებაა, რომლის დროსაც ადამიანი აქტიურად ავლენს საკუთარ რელიგიასა თუ რწმენას. რელიგიის გამოყენების თავისუფლებაში შედის თავყენისცემის აქტებში მონაწილეობა, წმინდა ტექსტების კითხვა, ლოცვა, საკუთარი რელიგიური რწმენის სხვებისათვის განდობა, ჩაცმულობისა და კვების მოთხოვნები, წმინდა დღეების დაცვა. თუმცა, როგორც სოციალური თავისუფლება, იგი ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, რათა მოხდეს სოციალური წყობის შენარჩუნება და სხვათა უფლებების დაცვა.

უარყოფითი რელიგიური თავისუფლება არის თავისუფლება რელიგიური (ან არარელიგიური) რწმენის საფუძველზე იძულებით ან დისკრიმინაციისაგან. მაგალითად, გაეროს რელიგიისა და რწმენაზე დამყარებული ყველა სახის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის 1981 წლის დეკლარაციის 1.2 მუხლში ნათქვამია: "არაიან არ უნდა განიცადოს იძულების ქვეშ ყოფნის გრძნობა, რაც ზიანს მიაყენებს მისი რელიგიისა და ნებისმიერი რწმენის ქონის თავისუფლებას."<sup>148</sup> იმუნიტეტი იძულებისაგან თუ ძალადატანებისაგან გულისხმობს, რომ ადამიანების მიმართ არ უნდა იყოს გამოყენებული სადამსჯელო სანქციები ან არახელსაყრელი დამოკიდებულება მათი რელიგიური მრწამსის გამო. ICPCR შეიტაცა ადამიანის უფლებას "ჰქონდეს ან მიიღოს ნებისმიერი რელიგიური რწმენა მისი არჩევანის საფუძველზე" (მუხლი 18.2). რელიგიურ უმცირესობათა უფლებებიც ასევე გარკვეული აღიარების საგანია.<sup>149</sup>

თუ სახელმწიფო გადანეიტს აუკრძალოს გარკვეულ რელიგიურ ჯგუფს მის შეიარაღებულ ძალებში მსახური ან შეზღუდოს მათი წინსვლისა და დანიანურების შესაძლებლობები, ეს აშკარა რელიგიური დისკრიმინაციის მაგალითი იქნება. თუმცა, იმის დაჟინებით მოთხოვნა, რომ სამხედრო მოსამსახურეებმა სახელმწიფოს მეთაურის ან კონსტიტუციის წინაშე დადონ ფიცი, რომელიც შეიცავს რელიგიურ კომპონენტს, ძალდატანების ტოლფასია რელიგიური თვალსაზრისით. აქ შეგვიძლია გამოვიჩინოთ რწმენის არმქონე ადამიანები ან ისინი, ვინც უარს ამბობენ ფიცის დადებაზე რელიგიური მოტივით.

გარე რელიგიური თავისუფლების საკითხები შესაძლოა შეუსაბამო იყოს შეიარაღებული ძალების დისციპლინურ ბუნებასთან. ეს ძირითადად ეხება რელიგიური თავისუფლების ურადებით მხარეებს. თუმცა, თავისუფლების უარყოფით მხარეებსაც საკმაოდ დიდი ყურადღება სჭირდება გარკვეულ სიტუაციებში, მაგალითად, როდესაც შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ცერემონიებში მონაწილეობის ვალდებულება მათ სთხოვს რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეობის მიღებას.<sup>150</sup> ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი სახის ბრძანებები არღვევს რელიგიურ თავისუფლებას.<sup>151</sup> დანიამი ამას რელიგიური თავისუფლების საკონსტიტუციო გარანტიებიც კრძალავს.<sup>152</sup>

რელიგიური თავისუფლების დადებითმა მხარეებმა შესაძლოა შეიარაღებული ძალები, როგორც დამსაქმებელი, ისეთი მოთხოვნების წინაშე დააყენოს, როგორცაა, მონაწილენათათვის ლოცვისათვის სპეციალური ადგილებისა და დროის გამოყოფა; სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელ მოსამსახურეებს ხელი უნდა მიუწოდებოდეთ სულიერ მამებსა და მღვდლებზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკრძალვის რიტუალები სხვადასხვა რელიგიის ტრადიციების მიხედვით, მათ უნდა მიეცეთ დასვენების დღეები წმინდა დღესასწაულების დროს, უნდა არსებობდეს გართობის სხვადასხვა სახეები და მარცხის ხელშეწყობის მექანიზმები. ასეთ მოთხოვნებში, დგება პროპორციულობის საკითხი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი ამის წინადა საშუალოდ მოტივი არსებობს და, ამასთან ერთად, უნდა გაითვალისწინოთ, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება რელიგიური მოტივის ჩართვა.

ეს საკითხი კარგად ჩანს აშშ-ის უზენაესი სასამართლოდან აღებული მაგალითიდან, სადაც სააპრო ძალების ექიმი იყო მართლმადიდებელი ებრაელი და სასულიერო პირად კურთხეული მღვდელი.

<sup>148</sup> დეკლარაცია მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 36/55, 36 UN GAOR, Supp (No. 51), 171, 1981 წლის 25 ნოემბერი.

<sup>149</sup> იხ. მუხლი 27.

<sup>150</sup> ნოლტე, შენიშვნა 6. გვ. 88-89, სადაც მოყვანილია დისკოლიონის საკითხები დიდ ბრტანეთისა და იტალიაში.  
<sup>151</sup> ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტლება/განაჩენი No. 177/1996, Boletín Oficial do Estado, No. 303, 1996 წლის 17 დეკემბერი, რომელიც ასევე შეფიქვალა მოითით ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებ-გვერდზე: [www.boe.es/bor/embases\\_datos/cf/c.php](http://www.boe.es/bor/embases_datos/cf/c.php) (მედიი უზენაესი განაჩენის ნომერზე "რუფერენცია-ნუშერო" და გამოცემის "Busec").

<sup>152</sup> ნოლტე, შენიშვნა 6. გვ. 250, რომელსაც მოჰყავს ამონარიდები დანიის კონსტიტუციიდან.



## რელიგიური თავსაბურავისა და ფორმის ტარების მოთხოვნები აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიხედვით<sup>153</sup>

მართლმადიდებელ ებრაელს და სასულიერო პირად უერთხელ ებრაელ მღვდელს უბრძანეს არ ეტარებინა ეროვნული ტანსაცმელი მოვალეობების შესრულებისას მარჩის საპაირო ბაზაზე. ეს ბრძანება შეესაბამებოდა საპაირო ძალების კანონმდებლობას, რომლის მიხედვით, რელიგიური თავსაბურავი შესაძლებელია ატარო მხოლოდ გარეთ, ხოლო შიგნით "მისი ტარება აკრძალულია ... გარდა უსაფრთხოების პოლიციისთვის მოვალეობების შესრულებისას." მისარჩვეულ განცხადებას, რომ ეს ყველაფერი არღვევს მისი რელიგიის თავისუფლების უფლებას აშშ-ის კონსტიტუციის პირველი ცვლილების ფარგლებში.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ უმრავლესობით 5:4 დაადგინა, რომ პირველი ცვლილების არანაირ დარღვევას ადგილი არ უქონია, რამდენადაც დადგენილების საფუძველი იყო ლეგიტიმური – სახმედრო მიზეზი.<sup>154</sup> მთავარი მოსამართლე რენდჰეიმის მიხედვით, ისინი მხარს უჭერენ "პირადი უპირატესობების დაქვემდებარებას ჯგუფის საერთო დანიშნულების სასარგებლოდ" და "იერარქიული ერთობის გარნობის განვითარებას იმით, რომ ამცირებენ ვარე ინდივიდუალურ განსხვავებებს, გარდა იმ განსხვავებებისა, რომლებიც უნდა სახმედრო წოდებებს." შიშვენლოვანი იყო მშვიდობიანობის დროს განვითარებულიყო "დისკრიმინაცია და ერთიანობის აუცილებელი თვისებები", სანამ რაიმე პრობლემა დადგებოდა.

ის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ეერ უზრუნველყოფენ რელიგიის პატივისცემას, ზღუდავთ რელიგიურ უმცირესობებს რეგულარულ ძალებში განვერიანებისაგან, ამით კარგავენ სამოქალაქო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, რისაც შედეგად მოჰყვება არსებული უნარ-ჩვევებისა და პერსონალის დაკარგვა. ასეთი ნარუმატიბლობა ასევე შეასუსტებს საზოგადოების იმ რელიგიური ჯგუფების ლოიალურობასაც, რომლებსაც წარმოადგენენ შეიარაღებული ძალები. მაშინაც კი, როდესაც წარმოდგენილი მოთხოვნები "ნეიტრალურია" (რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი რელიგიისთან საერთოდ არ არიან კავშირში), ისინი მაინც წარმოადგენენ არაპირდაპირი რელიგიური დისკრიმინაციის ფორმას.

თუ რელიგიურ თავისუფლებას მოვიაზრებთ დადებით უფლებად, მას უნდა დაეკისროთ ვალდებულება დაიცვას მოსახლსურე პერსონალი დისკრიმინაცია, დეფორმირების ან რელიგიის გამო შეურაცხყოფისგან.

რელიგიური თავისუფლების ყოველმხრივ აღიარება ქმნის გარკვეულ სირთულეებს, რომლებიც არ ვრცელდება სხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებებზე. პირველი გახლავთ რელიგიური თავისუფლების მოთხოვნების უტყუარობის შეფასება ცნობიერებაზე დაყრდნობით.

აშკარაა, რომ ეს აღიარება და შეთავსება არ უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მთავარი რელიგიები, მაგალითად, ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, სიქიზმი და ბუდიზმი (რომელთა პრინციპები საზოგადოდ ცნობილია), რადგანაც ეს გამოიწვევს უმცირესობათა და ახალი რელიგიების წარმომადგენელთა დისკრიმინაციას. აღმაშენის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, მათ თანაბრად უნდა ეცეთ პატივი. მაგრამ, ნაკლებად შესაძლებელია, რომ შეიარაღებული ძალები იცნობდნენ აღნიშნული რელიგიებისა თუ რწმენის ყველა პრინციპს.

გარდა ამისა, ზოგიერთ ქვეყანას, მაგალითად, საფრანგეთსა და თურქეთს გააჩნიათ რელიგიის კონსტიტუციური გარანტიები, დანარჩენებში კი, როგორცაც, აშშ, ეკლესია და სახელმწიფო ცალ-ცალკეა. ამდენად, შესაძლოა დადგეს იმის პრობლემაც, რომ სახელმწიფო უზომები, რომლებიც არეგულირებენ რელიგიურ საკითხებს, აღმოჩნდნენ არაკონსტიტუციური.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული ხასიათის სირთულეები შესაძლოა წარმოიქმნას გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში მრავალფეროვან და ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო რელიგიური პრაქტიკიდან გამომდინარე. წმინდა დაღების აღნიშვნა სწორედ ის სფეროა, სადაც ეს ყველაზე აშკარად ჩანს: თუ ვარისკაცებს მისცემენ ყველა რელიგიურ დღესასწაულებზე დასვენების უფლებას, ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს სახმედრო სამსახურის ფექტიურობაზე.

<sup>153</sup> გოლდმანი უინბერგერის წინააღმდეგ, აშშ-ის უზენაესი სასამართლო, 1985 წლის 25 მარტი, აშშ-ს ანგარიშები, ტომი 475, 1985, გვ. 503.

<sup>154</sup> მოსამართლეები არ თანახმობდნენ ერთმანეთს და კამათობდნენ იმის შესახებ, რომ საპაირო ძალებმა საკმარისად ვერ გიცხვეს, თუ რატომ დაყენებდა სახმედრო მიზნებს საფრთხის ქვეშ ნესების გამოწვევის დაუბა.

## 2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები

სქემა 11.3

ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებები, რომლებიც აღიარებენ რელიგიის თავისუფლებას

<p><b>UDHR</b> მუხლი 18</p>	<p>ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ერთპირივლად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო თუ კერძო ნების.</p>
<p><b>ICCPR</b> მუხლი 18</p>	<p>1. თითოეულ ადამიანს აქვს აზროვნების, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას შეინდეს ან იღებდეს რელიგიასა და მონაწილეს საკუთარი არჩევნით და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიასა და მონაწილეს როგორც ერთპირივლად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძო ნების ასრულებდეს კულტს, რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებებსა და მოძღვრებას.</p>
<p><b>ECHR</b> მუხლი 9</p>	<p>1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საცეკნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალის აღსრულებით.</p> <p>2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვადად.</p>

გაერო-ს 1981 წლის რელიგიაზე ან რწმენაზე დამყარებული დისკრიმინაციისა და შეზღუდვების აღმსარებლობის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის დეკლარაციის მე-6 მუხლი<sup>155</sup> წარმოგვიჩვენებს რელიგიის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტების ყველაზე მეტწილად (თუმცა არაყოველთაოდ) ჩამონათვალს. ზოგიერთი ნაწილები, რომელიც შეეხება შეიარაღებული ძალების მისამახსურებებს, მოცემულია სქემაში 11.4.

პელსინკის საბოლოო აქტის შემდეგ (1975), ეუთო-ს ვალდებულებები ამ სფეროში კიდევ უფრო დაკონკრეტდა.<sup>156</sup> 1989 წლის ვენის საბოლოო დოკუმენტში მოცემული ვალდებულებები, რომლებიც საკმაოდ კონკრეტული და ყოვლისმომცველია,<sup>157</sup> ეხება მთელ საკითხებს, როგორც: დისკრიმინაცია რელიგიის საფუძველზე,<sup>158</sup> მორწმუნეთა და ურწმუნეთა დაცვა,<sup>159</sup> კოლექტიური თავყანისცემის უფლების დაცვა<sup>160</sup> და ბავშვების რელიგიური და მორალური აღზრდა.<sup>161</sup> კოპენაგენის კონფერენციამ (1990) დაავალდებულა წევრი ქვეყნები ელიარეზინათ ადამიანის მიერ რელიგიის შეცვლის უფლება.<sup>162</sup> მოგვიანებით, ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ დადასტურდა მასატრინტის კონფერენციაზე (2003).<sup>163</sup>

ECHR -ის<sup>164</sup> მე-9 მუხლი მოიცავს "აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლებას" და იცავს "ადამიანის მიერ რელიგიისა თუ რწმენის გამოხატვის თავისუფლებას." მაშინ, როდესაც ამ მუხლით დაცულია რწმენა და რელიგია, ის არ იძლევა გამოხატვისა და სინდისის დაცვის საშუალებას.

<sup>155</sup> იქვე. შენიშვნა 18.

<sup>156</sup> უელსონი 1975 (გერო)ში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: 1. ა. ნეერ ქვეყნებს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი პრინციპების დეკლარაცია — პრინციპი VI; ნეერმა ქვეყნებსა პატივს უნდა სცენ "ადამიანის უფლებებს და ძირითად თავისუფლებებს, აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის ჩათვლით."

<sup>157</sup> ენა 1989 (გერო)ში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები.

<sup>158</sup> იქვე. პარაგრაფი 16.1.

<sup>159</sup> იქვე. პარაგრაფი 16.2.

<sup>160</sup> იქვე. პარაგრაფი 16.4.

<sup>161</sup> იქვე. პარაგრაფი 16.6.

<sup>162</sup> კოპენაგენი 1990, პარაგრაფი 9.4.

<sup>163</sup> მასატრინტი 2003 (გადანცეკვრულებები: გადაწყვეტილება 4/03 შემწინარეობისა და არადისკრიმინაციის შესახებ).

<sup>164</sup> მე-9 მუხლისათვის იხილეთ ე. ვანსი, რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მიხედვით (ოქტომბერი, ოქტომბერი) უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001).

რელიგიის თავისუფლება: გაერო-ს დეკლარაცია (ამონარიდები)<sup>145</sup>

აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლება უნდა შეიცავდეს:

- ა) რელიგიურობიდან ან რწმენიდან გამომდინარე ლოცვას ან თავშესაფრისა და ასეთი ადგილების დაარსების თავისუფლებას;
- ბ) ამ ადგილებში შესაბამისი პუბლიკაციების მოშვადების, გამოცემისა და გავრცელების თავისუფლებას;
- გ) ასეთი მიზნებისათვის გამოსადეგ ადგილებში რელიგიის ან რწმენის სწავლების თავისუფლებას;
- დ) რელიგიის ან რწმენის წესის მიხედვით დასვენების დღეების გამოცხადებისა და ცერემონიების მოწყობის თავისუფლებას;
- ე) ინდივიდუალურ პირებთან და საზოგადოებებთან კომუნიკაციის დამყარებისა და შენარჩუნების თავისუფლებას რელიგიისა და რწმენის საკითხებში ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე.

მხოლოდ მთავარი ან ტრადიციული რელიგიები როდი სარგებლობენ მე-9 მუხლით გათვალისწინებული დებულებებით. სასამართლოს მიერ პრეტენზიები მიღებულ იქნა უფრო მცირე ან/და ახალი რელიგიის წარმომადგენლებისაგან, მაგალითად, დრუიდები,<sup>146</sup> საინტელექტუალისტები,<sup>147</sup> და Divine Light Zentrum.<sup>148</sup> ამის გამო, 2004 წელს სამეფო საზღვაო ფლოტმა ნება დართო სატანისტს დარჩენილიყო გემზე და კვლავ თავისი რელიგიური რიტუალის მიმდევარი ყოფილიყო.<sup>149</sup>

აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

“როგორც მე-9 მუხლშია მოცემული, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება “დემოკრატიული საზოგადოების” ერთ-ერთი საფუძველია. იგი, რელიგიური თეოლოგიისთვის, მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც შეიცავს მორწმუნეთა ცხოვრებასა და ვინაობას, მაგრამ ასევე ღირებულია ათეისტებისთვის, აგნოსტიკოსებისათვის, სექულარიზმისა და მათთვის, ვისაც არაფერი ალღელებს. პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და რომელიც საუკუნეთა მანძილზე საქმეად რთულად იქნა მოპოვებული, ცნობიერებისა და რელიგიურ თავისუფლების პრინციპზეა დამოკიდებული.”<sup>150</sup>

რელიგიური დისკრიმინაცია

რელიგიური მოტივით აღამიანის უფლებათა დისკრიმინაცია აკრძალულია აღამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებებით, როგორც ამას ქვემოთ იხილავთ. ევროპის კონვენციის მე-14 მუხლი განსაზღვრავს უფლებას, რომლის თანახმადაც, არ შეიძლება რაიმე სახის დისკრიმინაცია ისეთი მოტივით, როგორცაა, “სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმომადგენლობა, ეროვნულ უმცირესობებთან ასოცირება, ქონება, დაბადების ადგილი თუ სხვა სახის სტატუსი.”

მე-14 მუხლის გამოყენება შესაძლებელია იმ პიროვნების მიერ, რომელიც აცხადებს, რომ სახელმწიფოში მოხდა დისკრიმინაცია მისი რელიგიური შეხედულების საფუძველზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ევროპის რელიგიის საკითხების ასახვა ნეიტრალურ კანონებში. მე-14 მუხლს თან დაურთეს მე-12 ოქმი — დისკრიმინაციის დებულება, რომელიც შეიცავს რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს და ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების, მათ შორის შეიარაღებული ძალების შესაბამის ქმედებაზე.<sup>151</sup>

<sup>145</sup> დეკლარაცია რელიგიაზე ან რწმენაზე დამყარებული არამემწყარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1981.

<sup>146</sup> ნაჟლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, აღამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1987 წლის 14 ივლისი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 53, 1987, გვ. 241.

<sup>147</sup> X და საინტელექტუალისტთა კლესია ჰელდელის წინააღმდეგ, აღამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1979 წლის 5 მაისი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 16 1978, გვ. 68.

<sup>148</sup> ამ კარანადა და დივიან ლათი ცენტრზე შეიქმნა წინააღმდეგ, აღამიანის უფლებათა ევროპული კომისია, 1981 წლის 19 მარტი, გადაწყვეტილებები და ანგარიშები, ტომი 25, 1981, გვ. 105.

<sup>149</sup> “საზღვაო ფლოტი პირველად თავის ისტორიაში უფლებას აძლევს სატანისტს იყოს მისი ნევი”. ბი-ბი-სი-ს ახალი ამბები, 2004 წლის 24 ოქტომბერი.

<sup>150</sup> კოკინას საბერძნეთის წინააღმდეგ, აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1993 წლის 25 მაისი. აღამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 17, 1993, გვ. 297, პარა 31.

<sup>151</sup> აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 ოქმი. მუხლი 1 — დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა: 1. კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების გამოყენება უნდა იყოს დადებითი სრულყოფილად ნებისმიერი საბაბით, როგორცაა, სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმომადგენლობა, ეროვნულ უმცირესობებთან კავშირი, ქონება, დაბადება ან სხვა სტატუსი; 2. არავინ უნდა იქნას დისკრიმინირებული სახელმწიფო ორგანოს მიერ ან 1-ელდ პარაგრაფში მოცემულ საფუძველზე.

ICCP-ის მოცემულია უფრო ზოგადი სახის დებულებები, რომლებიც კრძალავენ დისკრიმინაციის რელიგიურ საფუძვლზე.<sup>172</sup> რასაც თან ერთვის 1981 წლის დეკლარაცია რელიგიური მოტივით არსებული ვეგლა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ.<sup>173</sup> მუხლი 2.1 ადგენს, რომ "არც ერთ სახელმწიფოს, ინსტიტუტს, ადამიანთა ჯგუფს ან ცალკეულ პირს არ გააჩნია დისკრიმინაციის უფლება რელიგიური რწმენის ან სხვა რელიგიური მოტივით." მუხ-4 მუხლის თანახმად, ქვეყნებმა უნდა მიიღონ "ეფექტური ზომები", რათა ააშოქმედონ რელიგიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული დამცავი მექანიზმები და გააუქმონ მადისკრიმინირებელი კანონები.

ევროკავშირის ქვეყნებში 2000 წლის 27 ნოემბრის მითითება 2000/78/EC, რომელიც სამსახურში თანაბარი უფლებების ზოგად საზღვრებს განსაზღვრავს, მოითხოვს, რომ ნებრმა ქვეყნებმა სამართლებრივი საშუალებებით გამოასწორონ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრობლემები (პირდაპირი თუ არაპირდაპირი ხასიათის ან, რომელიც მოიცავს შეურაცხყოფას). დისკრიმინაციის აკრძალვა არ ნიშნავს იმას, რომ რელიგიურ საფუძველზე არსებული განსხვავება დაუშვებელია. ზემოაღნიშნული მითითება აღიარებს, რომ ძალიან იშვიათ შემთხვევებში განსხვავება მოყვრებაში შესაძლოა გავამართლოთ იქ, სადაც რელიგიასთან დაკავშირებული თავისებურება წარმოადგენს ადამიანურ ფაქტორს, როდესაც მიზანი ლეგიტიმურია და მოთხოვნა პროპორციული.<sup>174</sup> შეიარაღებული ძალებში ეს ვრცელდება მხოლოდ რელიგიური წარმომადგენლობის თანამდებობებზე, როგორცაა, მაგალითად, კაპლანი/მღვდელი. ასეთ შემთხვევებში სამართლებრივად შევკვილია დავიცივა მოთხოვნა, რომ ადამიანი, რომელიც ინიშნება პოსტზე, უნდა იყოს შესაბამისი რელიგიის მიმდევარი.

### სქემა 11.5

#### ნიდერლანდები: სასამართლოები და რელიგიური დღესასწაულები

სასამართლო სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის საქმეში. მას უფლება აქვს დაავალდებულოს შეიარაღებული ძალები პატივი სცენ რელიგიის თავისუფლებას, როგორც ამას გვიჩვენებს ნიდერლანდების მაგალითი.<sup>175</sup>

1990 წელს უმაღლესმა სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ [რელიგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით] პირს უნდა მიეცეს შესაფერისი პირობები სამუშაო საათებისა და მოვალეობებისგან დროდადრო გათავისუფლების თვალსაზრისით.<sup>176</sup> მეორე გადაწყვეტილებაში, 1991 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა საზღვაო კაპრალის დისკრიმინაციას, რადგან მას ვერ აუნაზღაურეს დამატებითი ხარჯები კომპიუსის საკვების მოზადებისათვის მისი რელიგიური მარხვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<sup>177</sup>

#### რელიგიური თავისუფლების შეზღუდვები

რელიგიის თავისუფლება შეზღუდულ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება (იხ. თავი 5, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი"). მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს რელიგიური რწმენის გამოხატვის თავისუფლება კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, თუ ეს შეზღუდვები გათვალისწინებულია კანონით "დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, უანაზღვრობისა და მორალის დასაცავად ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის." აღსანიშნავია, რომ შეზღუდვათა შესაძლო საფუძველი არ შეიცავს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს (განსხვავებით, მაგალითად, მე-8, მე-10 ან მე-11 მუხლები-სა; იხ. სქემა 11.6). არაქტიუმი, როგორც ამას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გვიჩვენებს, შეიარაღებულმა ძალებმა შესაძლოა სამხედრო დისციპლინის საშუალებით ლეგიტიმურად შეზღუდონ აღნიშნული უფლება საზოგადოებრივი წესრიგის დამცავის ან სხვათა თავისუფლების მიზნით. ნებისმიერი ასეთი შეზღუდვა უნდა "განისაზღვრებოდეს კანონით" და უნდა იყოს "საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში" (იხ. თავი 5, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი").

<sup>172</sup> მუხლი 26.

<sup>173</sup> თუმცა, მას არ გააჩნია საერთაშორისო დოკუმენტის სტატუსი.

<sup>174</sup> 2000 წლის 27 ნოემბრის მითითება 2000/78/EC, რომელიც ადგენს სასახურში თანაბარ უფლებების მოპოვების ზოგად პარამეტრებს, ევრო საზოგადოებების ოფიციალური ტერმინი, LL 303, 2000 წლის 2 დეკემბერი, გვ. 16, მუხლი 4, პარა-აგრაფი 1.

<sup>175</sup> ლ. ბელვილი, "სამხედრო სამართალი ნიდერლანდებში", ნოტე, უნიშვნა, კ. გვ. 594-595.

<sup>176</sup> ცენტრალური სააპელაციო სასამართლო, 1990 წლის 25 ოქტომბერი, გვ. 245.

<sup>177</sup> ცენტრალური სააპელაციო სასამართლო, 1991 წლის 14 მარტი, გვ. 105.

ნაწილობრივ (თუმცა ეს მხოლოდ ეხება ჩვეულებრივ მოსამსახურეებს და არა ახალშეუღლებს), შეზღუდვები შესაძლოა ემყარებოდეს იმას, რასაც სასამართლო განმარტავს როგორც უფლების ნებაყოფლობით ჩაბარებას იმის მიხედვით, თუ როგორ უთავსდება იგი სამხედრო ცხოვრებას.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კალაჩი თურქეთის წინააღმდეგ საქმეში დაადგინა, რომ თურქეთის საპაერო ძალების უფროსი იურიდიული მრჩეველის სამსახურიდან დათხოვნით არ დაურღვევია მე-9 მუხლი, რომელიც იცავს აზრის, რწმენისა და სინდისის თავისუფლებას. სასამართლომ განმარტა, რომ იგი გაათავისუფლეს, რადგან "გაითავისა არაკანონიერი ფუნდამენტალისტური აზრები." თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მოსარჩელემ ვერ აჩვენა თურქეთის სახელმწიფოს საერისკაცო მრწამსისადმი ერთგულება. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ ნებაყოფლობით აღიარა მისი რწმენის გამოხატვის შეზღუდვები სამხედრო დისციპლინის სისტემიდან გამომდინარე. ამ შეზღუდვების ფარგლებში, მას უფლება მისცეს ელოცა დღეში ხუთჯერ, ეხვიმა რამადანი და დასწრებოდა პარასკევის ლოცვებს. შესაბამისი უარის თქმა განაპირობა მისმა საქციელმა და დამოკიდებულებამ და არა იმან, თუ რა ფორმით გამოხატავდა იგი რელიგიურ მრწამსს. სასამართლოს სიტყვებით, "ადამიანმა შესაძლოა გაითავისინოს კონკრეტული სიტუაცია, როდესაც იყენებს რელიგიის გამოხატვის თავისუფლებას."<sup>177</sup> სასამართლოს აზრით, ეს შეზღუდვები გამომდინარეობდა მისი არჩევანიდან.<sup>180</sup>

უმცროსი სამხედრო პერსონალის არასახარბილო მდგომარეობა ასევე იწვევს დამატებით შეზღუდვებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა რელიგიურ თავისუფლებაზე. საბერძნეთის შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამების რწმენის სამხედრო მოსამსახურეთა რელიგიური შეზღუდვები სხვათა პროსელიტიზმისათვის არ ეწინააღმდეგებოდა მე-9 მუხლს.<sup>181</sup> საბერძნეთის ხელისუფლებას დართეს ნება, რომ ამგვარად დაეცვა მისი ქვეყნეურობები ზემდგომთა მხრიდან არც თუ ისე საჭირო რელიგიური ხასიათის ყურადღებისაგან. შესაბამისად კი აღმოჩნდა ის, რომ ზომები არ იყო პროპორციული, რადგანაც ისინი "არ იყო განსაკუთრებით მკაცრი და უფრო პრევენციულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე სადამსჯელოს."<sup>182</sup>

### 3. განსხვავებული მიდგომები

როგორ მიდგომასაც მიმართავს სახელმწიფო მისი მუშაკების რელიგიური თავისუფლების მიმართ, იგი, ზოგადად, იმავე მდგომარეობა იყენებს რელიგიისადმი. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ ქვეყნებში, სადაც ათეიზმისადმი საკონსტიტუციო ვალდებულებები არსებობს, უფრო ვინაო ყრილიმ ხედავენ რელიგიური რწმენის თავისუფლების გამოხატვას. საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში, მაგალითად, პროსელიტიზმი არ არის ნებადართული ნეიტრალიზმის ინტერეტიდან გამომდინარე.<sup>183</sup> თურქეთში შეიარაღებული ძალების პერსონალის რელიგიური თავისუფლება შეზღუდულია რესპუბლიკის ათეისტური ბუნებიდან გამომდინარე. პერსონალს არ შეუძლია საკუთარი რწმენის გამოვლენა ან სხვებზე გაყრდნობა, როდესაც ოფიციალურად ასრულებს მოვალეობებს.<sup>184</sup>

ODIHR-DCAF-ის კითხვარზე პასუხების გაცემისას შედარებით ნაკლებმა ქვეყანამ მიუთითა იმაზე, რომ კანონმდებლობა შეიარაღებული ძალების პერსონალს ჩვეულებრივი საკონსტიტუციო მოთხოვნების შესრულების უფლებას ანიჭებს. ეს გააკეთა მხოლოდ სლოვაკეთმა და რუსეთის ფედერაციამ.<sup>185</sup>

<sup>177</sup> იქვე, პარა. 27.

<sup>178</sup> იქვე, პარა. 28.

<sup>179</sup> ლარსისი საბერძნეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1998 წლის 24 თებერვალი, ადამიანის უფლებათა ევროპული ანგარიშები, ტომი 27, 1999, გვ. 239.

<sup>180</sup> სამხელაქო პირების პოსელიტიზმი სხვაანაოდ განიხილეს. ხელისუფლებას არ შეუძლია ჩაეცა, რადგან არ შეიძლება ძალადუფლების ბოროტად გამოყენების რაიმე პონტციური ელემენტი. იქვე. პარაგრაფი 58-61.

<sup>181</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი.

<sup>182</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი.

<sup>183</sup> ასევე, იხილეთ ჩებეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანება. No. 19/1998.

შეიარაღებულ ძალებში რელიგიის თავისუფლების სამართლებრივი აღიარების მაგალითები<sup>186</sup>

სლოვაკეთი	სლოვაკეთის რესპუბლიკის კანონთა კრებულის 346/2005 აქტის 118.1-ე მუხლის მიხედვით, პროფესიონალ ფარისკაცს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ რიტუალებში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს ან ხელს არ უშლის სამსახურის შესრულებას.
რუსეთის ფედერაცია	სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ რუსეთის ფედერალური კანონის მე-9 მუხლის თანახმად, შეიარაღებული ძალების პერსონალს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ღონისძიებებში და რელიგიურ ცერემონიებში მშობნად, როდესაც არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს და არ აქვს უფლება უარი განაცხადოს სამხედრო სამსახურზე რელიგიური საბაბით. სახელმწიფო არ კისრულობს რაიმე პასუხისმგებლობას სამხედრო მოსამსახურეთა განსაკუთრებული რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილების მხრივ. სამხედრო ნაწილებში აქრძალულია რელიგიური ასოციაციების დაარსება. რელიგიური ცერემონიები შესაძლოა ჩატარდეს სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სამხედრო მოსამსახურეთა მოთხოვნის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნებაბრუნებს მიიღებენ მეთაურისაგან და ამა სველაფერს საკუთარი ხარჯებით გააკეთებენ.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან<sup>187</sup> დაკავშირებულ შეზღუდვებთან მიმართებაში დანსულ შეკითხვებს მრავალმა ქვეყანამ გაცადა პასუხი და აღნიშნა, რომ შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დანსებული, როდესაც რელიგია ეწეოდა სამხედრო ვალდებულებების შესრულებას. მსგავსი მიდგომა აზერბაიჯანში, ბელგიაში, ჩეხეთში, დანიაში, ესტონეთში, საქართველოში, ლიტვასა და შვეიცარიაში.

რელიგიის თავისუფლების მთავარი ელემენტია სამხედრო მოსამსახურის მიერ მისივე რელიგიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. ODIHR-DCAF-ის კითხვარის შედეგებმა გვიჩვენა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა. 14 ქვეყანაში ამის საშუალება აქვთ მხოლოდ ქრისტიან მოსამსახურეებს, ხოლო 6 ქვეყანაში – სხვა რელიგიის მიმდევრებსაც: ბელგია (ქრისტიანობა, იუდაიზმი და სხვა), კანადა (ისლამი, ქრისტიანობა და სხვა), საფრანგეთი (ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი), ჩეხეთი (ქრისტიანობა და იუდაიზმი), ესპანეთი (ისლამი, ქრისტიანობა, იუდაიზმი), რუსეთის ფედერაცია (ისლამი, ქრისტიანობა, იუდეიზმი და ბუდიზმი), აშშ (ისლამი, ქრისტიანობა, იუდეიზმი, ბუდიზმი და სხვა). ნიდერლანდებში არსებობენ ასევე ჰუმანისტი მრჩეველები. თუმცა რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ საკუთარი რელიგიური მოთხოვნების აღიარება აშკარად დამოკიდებულია ამ ჯგუფის მოსახურე პერსონალის რაოდენობაზე. განსაკუთრებული რელიგიური მოთხოვნების მქონე სამხედრო მოსამსახურეების ასოციაციების დაარსება მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალება (გერმანიაში, მაგალითად, ახლახან შეიქმნა უბრალო ფარისკაცების ასოციაცია). მრავალეროვნულ სამხედრო ძალებში მონაწილე ქვეყნებთან სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთაგან შესაბამისი რაოდენობის არჩევა ხელს შეუწყობს რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხის გადაჭრას. რელიგიის წარმომადგენელთა აღიარება ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა ჩაატარონ რელიგიური რიტუალები და უზრუნველყონ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები ინფორმაციით რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუ სხვა პროცედურები არ არის დადგენილი, სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ასევე შეუძლიათ არაოფიციალურად მოვარდნენ და დაკავდნენ საჩივრებისა თუ სკივალურ საკითხებით. თითქმის ყველა ქვეყანაში, ისინი ასევე მონაწილეობას იღებენ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში და ეხმარებიან შეიარაღებული ძალების ლიდერებს გვეგების, პოლიტიკისა და დოქტრინის შემუშავებაში, რაც უკავშირდება შეიარაღებული ძალების პერსონალის რელიგიურ, ეთიკურ და მორალურ მდგომარეობას. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომა (სხვადასხვა სამხედრო სამსახურთა და დაკავშირებული) იმასთან მიმართებაში, აქვთ თუ არა რელიგიურ წარმომადგენლებს, რეკომენდაციები, მიუხედავად იმ კაბლანი, სამხედრო წოდება.

ქვეყნების უმეტესობაში, რომლებმაც ODIHR-DCAF კითხვარი შეავსეს, გარკვეული ყურადღება ექცევა იმ განსაკუთრებულ საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიასთან (საკვების მოთხოვნები, ჩაცმულობა, რელიგიური დღესასწაულები, რელიგიური რწმენის გარე ნიშნები და სხვა).<sup>188</sup> შედარებით ნაკლებ შემთხვევებში, ქვეყნები აღწერენ იმ ზომებს, რომლებიც მიიღება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთათვის სასურველი პირობების შესაქმნელად; მაგალითად, სამხედრო ნაწილებში სალოცა-

<sup>186</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი.  
<sup>187</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი.  
<sup>188</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, კითხვა 71 c.

ვად სპეციალური ოთახების გამოყოფა (აზერბაიჯანი და საფრანგეთი); სასმელო ნაწილებში მღვდლებისა და სულიერი მამების დანიშვნა (ბელგია, ირლანდია და ესპანეთი) და ამისთვის შესაბამისი ადგილების გამოყოფა რელიგიური ორგანიზაციებისათვის, რათა მათ ეს დამოუკიდებლად ანარმოონ (სლოვაკეთი); რელიგიური მარხვის დაცვისათვის საჭირო საცემის ხელშისაწვდომობა (საფრანგეთი და ნორვეგია); რელიგიური დღესასწაულების დაცვის შესაძლებლობა (ბელგია, დანია და საფრანგეთი); და განსაკუთრებული ტრადიციების დაცვის საჭიროების გათვალისწინება გარე ნიშნებთან მიმართებაში (როგორცია, ჩაღმა სიკვებისათვის) (ნორვეგია).

## სქემა 11.7

### რელიგიური ტანსაცმელი შეიარაღებულ ძალებში: გაერთიანებული სამეფოს მიდგომა<sup>197</sup>

“ყველა სამხედრო მოსამსახურეს მოთხოვნება სტანდარტული სამხედრო ფორმის ტარება და ჩაცმულობის დადგენილი წესისა და ინსტრუქციების დაცვა. თუმცა შეიარაღებული ძალები საჭიროდ მიიჩნევენ ამა თუ იმ რელიგიის წარმომადგენელთა მიერ შესაბამისი ტანსაცმლის ტარების აუცილებლობას. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები გარკვეულ შემთხვევებში, ოპერატიული, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით, მოწინილი უნდა იყვნენ.”

სიკვებებს აქვთ უფლება ატარონ 5 კარა (ფოლადის სამაჯური), კეში (შეუჭრელი თმა), კანჯა (პატარა სავარცხელი), კარა (სპეციალურად შეკერილი მუხლამდე შიდა საცვალი) და კიპრანი (პატარა ხმალი); მამაკაც სიკვებებსაც შეუძლიათ ჩაღმის ტარება.

თუმცა, არსებობს ჩაღმის ტარების გარკვეული შეზღუდვებიც: განსაკუთრებით სამხედრო სიტუაციებში (მაგალითად, მეთაურის ჩაფხუტები დაჯავშნულ მანქანაში, საბრძოლო ჩაფხუტები, სასუნთქი აპარატი (მთლიანი ქუდი) მუხანგრებისა და საფრენი ჩაფხუტები თვითმფრინავის ეკიპაჟისათვის ზოგიერთ ტიპის მოთმფრინავში).

### მუსულმანი და სიხი მამაკაცები

მუსულმან და სიხ მამაკაცებს არ ეკრძალებათ მოკლე, შეჭრილი წვერის ტარება. თუმცა, სამსახურებრივი მოთხოვნების გამო, თუ არსებობს რაიმე საფრთხე, ასეთი თანამშრომლები მზად უნდა იყვნენ გაიპარონ ან შეეცვალონ წვერის ფორმა ისე, რომ შეძლონ რესპირატორის ან სასუნთქი აპარატების გამოყენება.

### მუსულმანი ქალები

მუსულმან ქალებს უფლება აქვთ ატარონ სამხედრო შარვალი და არა კაბა. მათ ასევე შეუძლიათ ეცვათ პიჯამი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების თვალსაზრისით დაწესებულია განსხვავებული მოთხოვნები.

### ებრაელი მამაკაცები

ებრაელი რელიგიის მამაკაც წარმომადგენელს შეუძლია ეცვას მუქი ფერის სადა ან უზორებიანი იარაღულე მაშინ, როდესაც მოხდის სხვა თავსაბურავს.

თავდაცვის სამინისტროს ასევე შეუძლიათ დადებითი წვლილი შეიტანონ შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა რელიგიისადმი პატივისცემისა და რელიგიური დისკრიმინაციის თავიდან აცილების კუთხით. სამხედრო პერსონალისათვის შეიქმნა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით, ზემდგომი ოფიცრებისათვის, რომელთაც რელიგიური მოტივით თხოვნი მიმართავენ კანადის,<sup>198</sup> დანიისა და გაერთიანებული სამეფოს<sup>199</sup> შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები. აღნიშნული სახელმძღვანელოები ასევე სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ფასდება, თუ რამდენად გულწრფელად აღიარებენ რელიგიურ მრავალფეროვნებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები უმცირესობათა რელიგიების შემთხვევაში.

<sup>197</sup> სახელმძღვანელო რელიგიისა და რწმენის შესახებ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, გაერო-თიანგბული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო, 2006.

<sup>198</sup> კანადის ძალების ადმინისტრაციული ბრძანება 16-1, “რელიგიური უთანამება.”

<sup>199</sup> თავდაცვის სამინისტრომ გამოცა შესაბამისი სახელმძღვანელო 2005 წელს სამაჟო ადგლზე რელიგიური დისკრიმინაციის აკრძალვის წესების მიღების შემდეგ. მასში მოცემულია ოპორტუნიტეტის სახისა და 10 მიჯარ რელიგიისადმი მიმართულებით ზოგადი ინფორმაცია და პრეტენზიებისათვის რაის გარემოება, იხე, შემდეგი საკითხები შეუბუღება და სალოკაცი მონაცემები, ინსტრუქციები რელიგიური დღესასწაულებს შესაბამისად გააიანის შეუბუღების შესახებ, ჩაცმულობა, ვიჯის მოთხოვნები, მარხვა, სამხედრო პერსონალის რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება, სამართლიანი წინააღმდეგობა, სიკვდილი სასწაურობრივი მოვალეობის შესრულების დროს, საწმრადო დასაფლავება, და ინფორმაცია რელიგიისა და რწმენის შესახებ. იხ.: [www.army.mod.uk/linked\\_files/ag/soldierwelfare/sol\\_support/Guide\\_on\\_Religion.pdf](http://www.army.mod.uk/linked_files/ag/soldierwelfare/sol_support/Guide_on_Religion.pdf).

## მითითებები რელიგიური თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ (დანია)<sup>192</sup>

დანის თავდაცვის სარდლობამ გამოაქვეყნა მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს რელიგიურად განპირობებული პრაქტიკული მოთხოვნებისა და სურვილებისათვის თავის გარემოება, რაც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

### დასვენებები

დანიაში დასვენებად განსაზღვრულია ის დღეები, რომლებიც შესაბამისად დადგენილია ევანგელისტური ლუთერანული ეკლესიით. თუმცა იმ მუშაკებს, რომლებიც მუშაობენ ამ დღეებში, უნაზღაურებლად ნაშრომზე დასვენება და სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ აიღონ სხვა დასვენების დღეები როგორც უხელფასო დასვენება, რომლებიც სხვა რელიგიური საზოგადოების კალენდრითაა გათვალისწინებული, რაც, რა თქმა უნდა, მათ ხელს არ შეუძლის მოვალეობების შესრულებაში. ყოველ წელიწადს თავდაცვის სარდლობა აქვეყნებს ისლამური და ებრაული დასვენებების კალენდარს მოცემულ წელიწადში.

### საკვები

დანის თავდაცვის სარდლობის ყველა სამსახურში სასადილოები ამზადებენ სხვადასხვა სახის საკვებს და ამით შესაძლებლობას აძლევენ ყველა მუშაკს მათი მოთხოვნების მიხედვით აირჩიონ იგი. გარდა ამისა, დანის თავდაცვის სარდლობა ანარმობებს ისეთ საველე საკვებს, რომელიც არ შეიცავს ღორის ხორცს, რათა დაკმაყოფილოს ებრაელთა და მუსულმანთა მოთხოვნები, რომლებიც მას მიიჩნევენ უსუფთაო საკვებად.

### ლოცვა

დანის თავდაცვის სარდლობა მხედველობაში იღებს ლოცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს (დღის პერიოდისა და ადგილის ჩათვლით) ისე, რომ სამხედრო სამსახურის შესრულების მოთხოვნებიც იქნას დაკმაყოფილებული. გარდა ამისა, თუ არის ამის შესაძლებლობა, ლოცვისათვის უნდა გამოიყოს ცალკე ოთახიც კი.

### ავადმყოფობა, სიკვდილი და დასაფლავება

თუ განსაკუთრებული რელიგიური მოთხოვნების შექნე მუშაკები ავად გახდებიან ან გარდაიცვლებიან, უნდა მოხდეს ამ მოთხოვნების დაფიქსირება და თავდაცვის სარდლობა შეეცდება მათ გათვალისწინებას. არსებობს პრაქტიკული მითითებების დოკუმენტი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებით.

## 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

შეიარაღებულ ძალებში სამსახური ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის რელიგიის მიუხედავად. ნებისმიერი დაბრკოლება, როგორცაა, ერთგულების რელიგიური ფიცი, უნდა შემსუბუქდეს დამტკიცების შესაძლებლობის დაშვებით მაინც;

ქვეყნებმა უნდა ანარმონ მონაცემთა ბაზა შეიარაღებული ძალების რელიგიური შემაჯგუფლების შესახებ, რათა გააჩნდეთ ამკარა საფუძველი აღმოაჩინონ და შეებრძოლონ ნებისმიერი სახის დაფარულ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას;

შეიარაღებულმა ძალებმა ყველა ზომა უნდა იხმარონ იმისათვის, რომ მოახდინონ ყველა მოსამსახურის რელიგიის გათავისება, ლოცვის, თაყვანისცემის, მათი რელიგიის ან სარწმუნოების წარმომადგენლებთან შეხების, წმინდა დღეებისა და მარხვის დაცვის, ჩაცმულობისა და საკვების მოთხოვნების ჩათვლით. თუ ეს სამხედრო სპეციფიკის გათვალისწინებით ვერ ხერხდება (ან წმინდა სამსახურებრივი მიზეზებით), შეზღუდვები უნდა ემყარებოდეს ამკარა საპართლებრივ ბაზას და უნდა იყოს პროპორციული. შეიარაღებული ძალების ხელშეწყობის შემთხვევების დაწესების შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს, თუ რა სახის ზიანის მოტანა შეუძლია ამა თუ იმ რელიგიური მოთხოვნების უზრუნველყოფამ;

<sup>192</sup> დოკუმენტის "Forvaltning af religiøst begrundede praktiske ønsker og behov" (რელიგიურად განპირობებული პრაქტიკული სურვილებისა და მოთხოვნების აღმზისტაცია) არაოფიციალური ინგლისური თარგმანი, დანის თავდაცვის სარდლობა, 2004.



თავდაცვის სამინისტროებმა უნდა გაავრცელონ მითითებები სხვადასხვა რელიგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი შეიარაღებულ ძალებში გამოყენება;

ქვეყნებმა შეიარაღებულ ძალებში უნდა უზრუნველყონ ისეთი სამუშაო გარემო, სადაც ადგილი არ ექნება შეურაცხყოფას ან დისკრიმინაციას სხვა ფორმის გამოვლინებას რელიგიურ საფუძველზე.



# ნანილი IV

# ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობა შეიარაღებულ ძალებში

წინამდებარე თავი განიხილავს შეიარაღებულ ძალებში ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობასთან დაკავშირებულ საკითხებს (ის პირები, რომლებიც წარმოადგენენ უმცირესობას ქვეყნის მოსახლეობაში), აგრეთვე ჯარში უცხო ეროვნების მქონე პირების მდგომარეობას.

რამდენადაც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანებული არიან საზოგადოების ყველა წარმომადგენელი, ეთნიკური და სხვა უმცირესობის ჩათვლით, ის შეიძლება გადგეს ეროვნული ერთიანობისა და კავშირის ეფექტური პლაცდარმი. შესაბამისად, არსებული ნებისმიერი ხანის ბარიერი, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს შეიარაღებულ ძალებში ეთნიკური ან სხვა უმცირესობის ახალწევლთა განვლას, უნდა მოიხსნას. აღნიშნული მიდგომა მიმართულია არა მხოლოდ სამართლიანობის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, არამედ, ეს, პირველ რიგში, გაზრდის თავად შეიარაღებული ძალების ეფექტურობას. საერთო ეროვნული ინტერესებშია, რომ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობა იყოს ფართო და არა დომინირებული კონკრეტული ეთნიკური ელიტით.

შესაბამისად, ეს თავი განიხილავს ასეთი ჯგუფების ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, საუკეთესო პრაქტიკულ ჩვენებს, პროცედურებსა და საკანონმდებლო სფეროს, ასევე, ამ მხრივ წყვეამდელთა ხელშეწყობისა და წვრთნის პროცესებს შეიარაღებულ ძალებში.

## 1. პრობლემატური საკითხები

არსებობს ორი მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც იმ ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს, რომელსაც ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობა ჰყავს. პირველი, ეს არის ასიმილაციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული თვალშისაცემი განსხვავებების უმცირესებას ან მათ მინიმუმამდე დაყვანას მათი საერთო ეროვნული იდენტობის ცნების ქვეშ მოქცევით. ზემონახსენების წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მსგავსი პოლიტიკა შეამცირებს კონფლიქტს და დაპირისპირებას ეთნიკურ ჯგუფებს შორის. იგივე მოხდება, თუ შევამცირებთ იდეოლოგიურ კავშირს ეთნიკური ჯგუფების წევრებსა და მათ საერთო ისტორიასა და ფასეულობებთან, თუმცა ამ უკანასკნელმა შეიძლება თაობებს შორის კონფლიქტი წარმოშვას. ასიმილაციური სტრატეგიის მთავარი ინსტრუმენტია განათლება და ოფიციალური პროცედურები, მაგალითად, სკოლებში სახელმწიფო ენის ერთობლივი ოფიციალურად ნებადართული ენად გამოცხადება.

მეორე სტრატეგიას ეწოდება მულტი-კულტურული მიდგომა, რომელიც აღიარებს და მხარს უჭერს ეთნიკური განსხვავებების არსებობას ქვეყანაში. ასეთმა პოლიტიკამ უმცირესობასთან მიმართებაში შეიძლება ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანხმოება და კონფლიქტიც კი გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ ჯგუფებს ცალკე სოციალურ საზოგადოებებზე ცხოვრების საშუალება აქვთ და ერთმანეთთან ნაკლები ურთიერთობები და კავშირები გააჩნიათ.

შეიარაღებულ ძალებში არსებული პოლიტიკა სხვა ეთნიკური წარმომომის პირებთან მიმართებაში ასახავს მსგავს დიქტომიას, არსებულ ასიმილაციონიზმსა და მულტი-კულტურული პოლიტიკის შორის.

ზოგიერთ შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ რასობრივი ინტეგრაციის წარმატებული გამოცდილება. სხვა შემთხვევებში, მულტი-კულტურულმა მიდგომამ შეიარაღებულ ძალებში ისეთი ქვედანაყოფების შექმნა გამოიწვია, რომელიც ექსკლუზიურად ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა. თითოეულ შემთხვევაში ნაშობიერება სხვადასხვა პრობლემა, განსაკუთრებით თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის თავიდან არიდების თვალსაზრისით.

მრავალეთნიკური ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ადეკვატურად უნდა აისახებოდეს საზოგადოების შემადგენლობა და შენარჩუნებული უნდა იყოს ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც მისი წევრების ნაციონალურ იდენტობასთან დაკავშირებულია. უნდა იქნას დადგინებული ისახავს ერთიანობის და ამ სფეროში ეფექტურობის მიზნებს. შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ განსაკუთრებული პოლიტიკური როლი ითამაშონ ინტეგრაციის საქმეში, რამდენადაც დიდია მისი მნიშვნელობა, როგორც ეროვნული ერთიანობის სიმბოლოსი. წარმომადგენელი ინტეგრაციის მაგალითებმა შეიძლება ღირებული ზეგავლენა მოახდინონ მთლიანად საზოგადოებაზე.

დოებაზე და ხელი შეუწყონ ინიციატივა ინტეგრაციის ქვეყანაში, ასევე, მიზნები საზოგადოების მიერ მათ მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

ქვეყნის შეიარაღებული ძალების ამოცანაა თავისი წევრებს ჩაუნერგოს ერთიანობის სულისკვეთება საერთო მიზნის მისაღწევად. ამასთან, შესაძლებელია საერთოების ქვეშ დადგენილი უმცირესობების უფლებები, რამდენადაც შეიარაღებული ძალები ცდილობენ მოახდინონ უმცირესობების ასიმილაცია და არა მათი ფასეულობების კულტურული ასპექტების სრული დაცვა სამხედრო ძალებში.

წარსულში ზოგიერთი ქვეყანა შეიარაღებულ ძალებში აყენილი ახალწვეულების ერთგულების უზრუნველსაყოფად აწესებდა შეზღუდვებს ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ასეთი შეზღუდვები აისახებოდა არა მარტო ეთნიკურ ჯგუფებზე, არამედ საზოგადოებაში არსებულ ახლად

## სქემა 12.1

### ბოსნია ჰერცეგოვინა მაგალითი<sup>13</sup>

ბოსნია და ჰერცეგოვინა არის უნიკალური მაგალითი იმისა, თუ როგორ გაართვა თავი ერთი ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურებმა ტრაგიკული კონფლიქტის შემკვიდრებას.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი დასრულდა დეიტონის შევიდომის ხელშეკრულებით 1995 წელს, ბოსნია ჰერცეგოვინამ საკუთარი სახელმწიფო დონის თავდაცვის დაარსება მხოლოდ და მხოლოდ 2006 წელს მოახერგა. მან ჩაანაცვლა ქვე-სახელმწიფოებრივი (ორგანიზაცია) თავდაცვის სტრუქტურები, რომლებიც კონფლიქტის დასრულებიდან მოყოლებული პირვანდელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მასში შედიოდა ნატო-სთან შეთანხმებული სამხედრო ძალა (ბოსნიამ და პერცეგოვინამ გახსნა სამხედრო ძალები), რომელიც ჯერ ჩამოყალიბების პროცესშია, და ჩაანაცვლებს მანამდე არსებულ სამ დომინანტურ მონოეთნიკური ელემენტებისაგან შემდგარ ბრიგადას, და რომელშიც ეფექტურად არიან ჩართული ყოფილი მეომარი მხარეები.

ამ რაიდკალური რეფორმებისათვის პოლიტიკური და საკანონმდებლო გადაწყვეტილებების შემუშავება მოხდა ნატოს მრავალეროვნული შტაბის დახმარებით, რომელიც აჯერ კიდევ ამ ქვეყანაში იმყოფება.

ახალი თავდაცვის კანონმდებლობა (ბოსნიისა და ჰერცეგოვინის კანონი თავდაცვის შესახებ და კანონი სამხედრო სამსახურის შესახებ) ითვალისწინებს ბალანსის შენარჩუნებას ბოსნიისა და ჰერცეგოვინაში არსებული სამი ეთნიკური ჯგუფის უფლებებს შორის (და სხვებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ჯგუფებს და ხელს უწყობენ სამხედრო პერსონალის ინდივიდუალური ადამიანის უფლებების დაცვას).

მაგალითად, კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომ მაღალი თანამდებობები თავდაცვის სამინისტროში და შეიარაღებულ ძალებში სამართლიანად გადაინაწილდეს ეთნიკურ ჯგუფებს შორის (ან მოსახლეობის შემადგენლობას შორის, სახელმძღვანელო სერბებს, ხორვატებს, ბოსნიელებს და სხვა). აღნიშნული კიდევ ერთი დამატებითი საშუალებაა იმისათვის, რომ მათ შორის ნდობა გამყარდეს. კანონმდებლობა აგრეთვე განსაზღვრავს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებას დააკომპლექტოს შეიარაღებული ძალები შესაბამისი ეთნიკური ბალანსის საფუძველზე, კერძოდ, მოსახლეობის არჩევნების შედეგად მიღებული მონაცემებისა და ოპერატიული ანალიზის გათვალისწინებით.

ინდივიდუალური უფლებების თვალსაზრისით, პირველად სახელმწიფო დონეზე თავდაცვის კანონმდებლობით განისაზღვრა თანასწორუფლებიანი სამხედრო სამსახურის თანაბრად ყველასათვის, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, ეროვნული ცნობიერებისა ან საცხოვრებელი ადგილისა. ეს დეტალურად არის განსაზღვრული კანონში სამხედრო სამსახურის შესახებ და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ენასთან დაკავშირებული უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები, გადარჩევნების და სამხედრო დისციპლინურ პროცედურებთან დაკავშირებული პროცესები.

ერთი გამომხატული დამახასიათებელი ნიშანი ახალი სისტემის არის სამი ქვეითა პოლიის შექმნა, სადაც თითოეული პასუხისმგებელია შეინარჩუნოს იმ შენარჩუნების სამხედრო შემკვიდრება და ცნობიერება, რომელ ეთნიკურ ჯგუფსაც ისინი წარმოადგენენ: ბოსნია ჰერცეგოვინის რესპუბლიკის არმია (სადაც დომინირებენ ბოსნიელები), ხორვატების თავდაცვის საბჭო (ძირითადად ხორვატები) და სრპს-ის რესპუბლიკის არმია (სერბები). კანონმდებლობის მიხედვით, ამ პოლიებს არა აქვთ რაიმე სახის ოპერატიული ან ადმინისტრაციული ძალაუფლება. ამ პოლიის არსებობა შენარჩუნების და კომპლექტებულთა ძირითადად სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან შემდგარი ბრიგადებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ძალები ინარჩუნებენ ეთნიკურ ტრადიციებს, ის მინიმ რჩება ქვემართად მრავალეროვნად ორგანიზაციად ოპერატიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა შეეცადა უზრუნველყო მისი წევრების თანასწორუფლებიანობა კარგად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ჩარჩოების საშუალებით, რითიც შეძლო მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებების დაცვა. თუმცა მნიშვნელოვან ამოცანად რჩება ზემოთ ნახსენები სისტემის ეფექტურობისათვის საჭირო პოლიტიკისა და ინსტრუქციების გატარება.

<sup>13</sup> გარდამქმნის მენეჯმენტის ჯგუფი, ნატოს მთავარი ოფისი სარაევოში.

დაარსებულ იმიგრანტ ერთობებზეც. ლინგვისტური უმცირესობებისათვის შეიარაღებული ძალებში არსებობის მშობლიურ ენაზე მეტყველების პრობლემა, ოფიციალური კომუნიკაცია შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ ქვეყანაში აღიარებულ ოფიციალურ ენებზე უნდა ხდებოდეს თუ მხოლოდ ერთ უმრავლესობის ენაზე, ან აქეთ თუ არა მათ საკუთარ ენაზე კომუნიკაციის უფლება მოვალეობის შესრულების დროს.

ეთნიკური თანამშრომლობის განახლება გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც გადაიტანეს ეთნიკური კონფლიქტები. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა, რამდენადაც ეს პროცესი გულისხმობს ყოფილი მტრების რეინტეგრაციას. მიუხედავად ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მიზანშეწონილი ცალკეული სტრუქტურების შენარჩუნება, რეკომენდირებულია ყველა შესაბამისი ზომის მიღება სხვადასხვა საზოგადოებების სამხედრო ლიდერებს შორის დიალოგის შენარჩუნების მიზნით. და ქვეყნის სამხედრო სტრუქტურის სწრაფი ხელახლა ფორმირებისთვის. მომდევნო პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კონფლიქტის შემდგომ ეტაპზე მაღალი სამხედრო თანამდებობის პირების მიერ შესაბამისი პროცედურების უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობის მიმართ ბაზანის დაცვის თვალსაზრისით, მაგალითად, როდესაც განიხილება გადნეულობები ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების სამხედრო სამსახურში აყვანის, ჯარის შემცირების, დემობილიზაციის, განიარაღებისა და სამოქალაქო ცხოვრებაში რეინტეგრაციის შესახებ. საერთაშორისო სამშვიდობო ძალების დროებითი განლაგება შესაძლოა კიდევ ერთი შესაძლებლობა აღმოჩნდეს სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გასარქმავებლად. გარდა ამისა, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო კონტინგენტს, მათი ეფექტურობა სამშვიდობო ოპერაციებში შესაძლოა კიდევ უფრო გაძლიერდეს, თუ ისინი შედგებიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

## 2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები

საერთაშორისო კანონმდებლობაში ადამიანის უფლებების შესახებ აღიარებულია ადამიანის თანასწორუფლებიანობა, რაც ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ 12.2. სექციაში. ის აღიარებულია ადამიანის უფლებების უფლებულთა დეკლარაციით, საერთაშორისო შთანხმებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციით. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გან-

სქმა 12.2	
ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის დისკრიმინაციის წინააღმდეგ და თანასწორუფლებიანობის შესახებ	
მუხლი 2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია	ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიმალური უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელმძღვანელო, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.
მუხლი 26 საერთაშორისო შთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონის თანასწორი დაცვის უფლება. ამ მხრივ ყოველგვარი დისკრიმინაცია უნდა აიკრძალოს კანონით და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტიან დაცვას რაიმე ნიშნის, როგორცაა რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა წარმართის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
მუხლი. 27 საერთაშორისო შთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ	იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ეკუთვნიან, არ შეიძლება თუ არა ერთი უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ უაიხითი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი ნესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედანაზე
მუხლი. 14 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია	ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მეხედვლეების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისა და კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.
მუხლი 1-ელი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი	1. კანონით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა დაცული უნდა იქნეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კერძოდ: სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედვლებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისა და კუთვნილების, ქონების, წარმოშობის თუ სხვა სტატუსის მიხედვად. 2. არცინ არ იქნება დისკრიმინირებული საჯარო ხელისუფლების მიერ იმ საფუძველზე, რომელიც მითითებულია ამ ოქმის პირველ მუხლში.

სხვაელები ნახსენებ დოკუმენტაციაშიც. ყველა ეს ინსტრუმენტი კრძალავს დისკრიმინაციას რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლების და რელიგიის ნიადაგზე. ICCPR-ის 27-ე მუხ-  
ლი განსაკუთრებულად მინიშნებულია შესაბამისი იმ პრინციპების დაცვის ვალდებულებაზე,  
რომელიც მოიცავს დისკრიმინაციას ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური წინაშით.

თუმცა, არსებობს გარკვეული სირთულეები, როდესაც ამ დებულებებს განვიხილავთ  
როგორც პირდაპირ აკრძალავს მოცემული დისკრიმინაციის ფორმებისა და სხვა დებულებული ძალე-  
ებისთვის. პირველ რიგში, არ არსებობს განუყოფელი უფლება გახდეს შეიარაღებული ძალები-  
ის წევრი. ეს არ ქმნის პრობლემას კანონმდებლობაში მოცემულ დისკრიმინაციასთან დაკავ-  
შირებულ დებულებებთან მიმართებაში, ყოველ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა და ძირით-  
ად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიმართებაში. თუმცა, უფრო პრობლემატუ-  
ლია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 თავით მოყვანილი კოხიციკა, რომელ-  
იც განიხილულია ქვემოთ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არ არის გამოკეცილი, თუ რამ-  
დენად ავალდებულებას სახელმწიფოებს ამ ხელშეკრულებით დეკლარირებული ვალდებულე-  
ბები გაატარონ ქმედითი ღონისძიებები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, მაგალითად,  
როგორცაა, ანტი-დისკრიმინაციული კანონის ამოქმედება, რასიზმის გამოკლებების თავი-  
ბის დაუშვებლობა ან რასობრივი და/ან ეთნიკური შევიწროება შესაძლებელია პირებისგან (მაგალი-  
თად, თანამშრომელი პერსონალისგან).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა არსებობდეს უფრო სპეციფიური საერთაშორი-  
სო კონვენცია, რომელიც მოიცავს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმას და გან-  
სახლავს ზემოთ ნახსენებ ნაბიჯებს (იხ. სექცა 12.3). რასობრივი დისკრიმინაციის ყველა  
ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მუხლი 1.1. აცხადებს: "წინამდე-  
ბარე კონვენციაში ფრაზა „რასობრივი დისკრიმინაცია“ აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას,  
გამორიცხავს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რასის, კანის ფერის, საგვარეულო,  
ეთნიკური თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს  
პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა  
სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე  
ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას."

### სქემა 12.3

#### საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ<sup>194</sup>

ეს კონვენცია კრძალავს რასობრივ, კანის ფერის ან ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციას პოლიტიკური  
ან სამოქალაქო უფლებებებით სარგებლობისას და ასევე, რომ ყველა ადამიანი აქვს ერთნაირი  
უფლება ისარგებლოს საზოგადოებრივი მომსახურებით (მუხლი 6).

ყველა ადამიანი უფლებამოსილია ევექტურად იყოს დაცული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან  
თავისი ფუნდამენტური უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობისას საერთაშორისო და  
ეროვნული მართლმსაჯულების მეშვეობით (მუხლი 7.2).

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (რომელიც შედგება 18 "მაღალი მორალის მქონე  
და მიუკერძოებელი პირისგან") ზედამხედველობას უწევს ამ კუთხით სახელმწიფოებში არსებულ  
მდგომარეობას (მუხლი 8).

სახელმწიფოებრივი ორგანოები კომიტეტული არიან ორ წელიწადში ერთხელ მოხსენება წარუდგინონ  
გაეროს გენერალურ მდიანს ან კომიტეტის მოთხოვნისამებრ წარადგინონ მოხსენება საერთაშორისო  
ზომების შესახებ, რომლებიც გატარებული იქნა ქვეყანაში კონვენციის მიზნების უზრუნველსაყოფად  
(მუხლი 9.1 ა და ბ). კომიტეტი, თავის მხრივ, აქეთებს წლიურ მოხსენებას გაეროს გენერალურ  
ასამბლეაზე (მუხლი 9.2).

სახელმწიფო ორგანოს შეუძლია მოხსენება წარუდგინოს კომიტეტს სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ  
კონვენციის დებულებების დარღვევის შესახებ (მუხლი 11). კომიტეტი შეისწავლის სიტუაციას კომისიის  
ასშუალებით და შეიმუშავებს რეკომენდაციებს "დაეების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ"  
(მუხლი 13.1).

ინდივიდებს უფლება აქვთ კომიტეტს წარუდგინონ პეტიცია, თუ მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო  
ორგანოს მხრიდან აღვიდა აქვს კონვენციის დებულებების დარღვევას მათთან მიმართებაში (მუხლი  
14), როდესაც სახელმწიფოს აღიარებული აქვს ინდივიდუალური კომუნიკაციის უფლება. ასეთ  
შემთხვევაში, სახელმწიფო ქმნის კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც შეისწავლის ინდივიდების მიერ  
წარდგენულ პეტციებს და პირდაპირი კაეშირე ექნება კომიტეტთან. კომიტეტი პასუხისმგებელია  
შეისწავლოს ინდივიდების მიერ მოყვანილი ჩვენებები და მიიღოს რეკომენდაციები.

<sup>194</sup> 2000 წლის 29 ივნისის 2000/43/EC დირექტია, რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად თანაბარი მოქ-  
რობის შესახებ, ევროპული საზოგადოების ოფიციალური ფურნალი, L 180, 19 ივლისი 2000, გვერდები- 0022-0026.

2000/43<sup>186</sup> დირექტივის მიხედვით, ევრო კავშირის ქვეყნები ვალდებული არიან კანონმდებლობაში ასახონ ის პროცედურები, რომლებიც მიმართულია ევრომ ან საზოგადოებრივ სამსახურებში რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის, გაუმართლებელი არაპირდაპირი დისკრიმინაციის<sup>187</sup> და რასობრივი შეწინააღმდეგების თავიდან ასაცილებლად. სხვა სფეროებთან ერთად ეს დირექტივა ეხება: "ა) დასაქმების საშუალებას, თითო დასაქმებას და საქმიანობას, არჩევითობის კრიტერიუმების, სამსახურში აყვანის პირობების ჩათვლით, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის საქმიანობაზეა ლაბარაკი, პროფესიული იერარქიის ყველა დონეზე, დაწინაურების ჩათვლით."<sup>188</sup> გარდა სხვა პერსონალის დისკრიმინაციული ქმედებისა, დამქირავებლები პასუხს აგებენ საკუთარი თანამშრომლების ისეთ ქმედებაზე, რომელიც სამუშაო ადგილის ჩაგვრისა და შევიწროების პრევენციას უწყობს. სახელმწიფოებს გააჩნიათ ვალდებულება უზრუნველყონ სასამართლო და/ან ადმინისტრაციული პროცედურების გატარება, ან სადაც ეს მისაღებია, მაილნონ შეთანხმებას ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამ დირექტივიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება ნებისმიერ ისეთ ადამიანთან მიმართებაში, რომელიც თვლის, რომ ცუდად მოქმედნენ/ქმედებენ (მუხლი 7). შესაძლოა ვივარაუთოთ, რომ ზემოაღნიშნული დირექტივები ევრო კავშირის ქვეყნების მხრიდან მოითხოვს შეიარაღებულ ძალების წევრებს მიესწავება და ცული იყენებს სამოქალაქო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ანტი-დისკრიმინაციული დებულებების ამოქმედება და არა მხოლოდ შიდა პროცედურები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში ადამიანის ხელშეუხებლობის უფლება არ ნიშნავს, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა დისკრიმინაციისთვის. აღნიშნული ეხება მხოლოდ სხვა კონვენციის უფლებებით სარგებლობას ან კონვენციის უფლების ფარგლებში (მაგ., არ არის საძირო ამ დარღვევის დაკონკრეტება, საქმიანობა მასზე პრაქტიკული მინიშნება). ამასთან, კონვენცია არ ითვალისწინებს იმპერატიული ძალის უფლებას დასაქმებასთან ან საზოგადოებრივ მომსახურებებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. იქაც კი, სადაც დადგენილია ამ სახის დარღვევა ან მასთან დაკავშირებული ისეთი ქმედება, რომელიც მე-14 მუხლშია მოცემული, შესაძლებელია მისი გამართლება დიფერენციული მიდგომებით. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დადგენილებით, დიფერენცირებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ "ეს არა-მიზნობრივია და არ აქვს ლოგიკური გამართლება", ანუ ეს არ არის დადგენილი "კანონიერი მიზნით" და არ არსებობს პროპორციულობის ლოგიკური კავშირი გამომწვევით საშუალებებსა და განსახორციელებელ მიზანს შორის".<sup>189</sup> აქედან გამომდინარე, მე-14 მუხლის მიხედვით დისკრიმინაციის გამართლება შესაძლებელია, თუ ზემოთ მოყვანილი პირობები დაკმაყოფილებულია. თუმცა, არსებობს ორი კატეგორიის რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაცია, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით "ძალიან სერიოზულ მიზეზს" ან "განსაკუთრებულად სერიოზულ საფუძველს" მოითხოვს.<sup>190</sup>

დამატებით უნდა ითქვას, რომ დისკრიმინაციის დროს რასობრივი მოტივაციის დასაბუთებასთან დაკავშირებული სინდელის გამო, ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გამოარჩია, რომ სახელმწიფოების უუნარობამ – გამოიკლიონ სახელმწიფო ორგანოების მიერ ჩატარებული აშკარა დარღვევებით ნაწარმოები გამოძიებები ან მთავრობის პირების მიერ დისკრიმინაციის აშკარა საშხილის უგულვებელყოფის ფაქტები, შეიძლება შეედგინდეს უარყოფითი დასკვნების გამოტანამდე მივიყვანოს. შესაბამისად, ამ მტკიცებულებების სიმძიმე გადაადის სახელმწიფოზე, რომელიც აცხადებს, რომ ადგილი არ ჰქონია დისკრიმინაციის მებაღეობად, შემთხვევებით, როდესაც შეიარაღებულ ძალებში შევიწროება აშკარად რასობრივი მოტივაციით არის ნაკარნახევი (იხ. თავი 17, "სამუშაო პირობები").

<sup>186</sup> ნგარო: საერთაშორისო კონვენცია ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ [www.unhcr.ch/html/menu3/3/1\\_cerid.html](http://www.unhcr.ch/html/menu3/3/1_cerid.html).

<sup>187</sup> მუხლი 2.2. ბ: არაპირდაპირი დისკრიმინაციის ქმედების განხორციელება მოხდა, როდესაც გამოხატული ნეიტრალური პოლიტიკა არ ქმედებდა ან კრიტერიუმს ან ქმედებები კონკრეტული რასობრივი ან ეთნიკური წარმომადგენლის ადამიანს ჩააყენებდა განსაკუთრებით არაპასუხისმგებელი პირობებში სხვა ადამიანებთან შედარებით, თუ ასეთი დებულება, კრიტერიუმს, ან ქმედება იმიტაცურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და ამ მიზნის განხორციელების საშუალებები შეადგენს და აუცილებელია."<sup>187</sup>

<sup>188</sup> მუხლი 3.  
<sup>189</sup> Abdulaziz, Cabezas and Balkandil v. გაერთიანებული სამეფო, ადამიანის უფლებების ევრო სასამართლო, 1985 წლის 28 მარტი, ევროპის ადამიანის უფლებების შესახებ მოხსენებები, ტომი 7, 1995, გვერდი 741, პარაგრაფი 72 (აგრეთვე იხ. კანონის კონკრეტული ასლი ევროპის კავშირის სასამართლოში).  
<sup>190</sup> Tellez v. თურქეთი, ადამიანის უფლებების ევრო სასამართლო, 1968 წ. 23 ივლისი, ევროპის ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშები, 1979-80, ტ. 1, გვ. 241).

<sup>191</sup> Tellez v. თურქეთი, ადამიანის უფლებების ევრო სასამართლო, 16 ნოემბერი 2004, ადამიანის უფლებათა ევრო სასამართლო, ევროპის ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშები, ტ. 42, 2006, გვ. 53, "ძალებით მიზეზებთან" დაკავშირებით.

<sup>192</sup> Nachova v. ბულგარეთი, ადამიანის უფლებების ევრო სასამართლო, 2004 წლის 26 თებერვალი, ევროპის ადამიანის უფლებების შესახებ ანგარიშები, ტ. 39, 2004, გვ. 793, მუხლი 169.



განსხვავებით მე-14 მუხლისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი, არის დამოუკიდებელი დებულება ინდივიდების დისკრიმინაციისაგან დაცვის თვალსაზრისით, როდესაც:

- სახელმწიფოები იყენებენ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს;
  - საჯარო მოხელეები, რომლებიც ახორციელებენ თავის კანონიერ ვალდებულებებს, ამასთან იყენებენ დისკრიციულ უფლებამოსილებას მაგალითად, გასცემენ სარგოებს;
- საჯარო მოხელე განაზოცრის რაიმე სხვა არასწორ ქმედებას. რამდენადაც შეიარაღებული ძალები არის საჯარო ხელისუფლების განუყოფელი ნაწილი, მე-12 დამატებითი ოქმი დისკრიმინაციის აღმოფხვრის თვალსაზრისით პირდაპირ უნდა მოქმედებდეს ყველა იმ ქვეყანაში, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება. აღნიშნულ ოქმს ხელი მოაწერა ევრო კავშირის 35-მა ქვეყანამ და ძალაში შევიდა<sup>201</sup> 14 მთავანის შემთხვევაში 2005 წლის 1 აპრილიდან.

ეთუ-მ შემოშუაა ფართო ვალდებულებები ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ 1975 წელს, ეთო-ს პელსინის კონფერენციაზე ნევრმა ქვეყნებმა აღიარება იმ განუხრელი წვლილის შესახებ, რომელიც ეროვნულმა უმცირესობამ და რეგიონალურმა კულტურებმა შეიტანეს ამ ქვეყნების ისტორიაში.<sup>202</sup> მოგვიანებით, 1989 წლის ენის კონფერენციაზე ნევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ "დაეცვათ და ხელი შეეწყობთ ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური, და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი პირების ინტერესები მათ ტერიტორიაზე."<sup>203</sup> 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციაზე დადგა იმ პირების მიერ საკუთარი ეთნიკური სარგებლობის უფლების საკითხი, რომლებიც ეკუთვნოდნენ ასეთ უმცირესობას ან კულტურას, აგრეთვე, მათი უფლება დაეარსებინათ საკუთარი საგანმანათლებლო, კულტურული და რელიგიური ინსტიტუციები.<sup>204</sup> შემდგომ კონფერენციებმა კიდევ უფრო გაამყარეს ის პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია კულტურულ ცნობიერებასთან. ეთუ-მ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე ემიგრანტი მუშების საკითხზე და ამ კუთხით მრავალი რეზოლუცია შემოშუადა.<sup>205</sup>

### 3. მიდგომები

ამ ქვეთავში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნების მიდგომა რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, რომელიც ახორციელებს კანონიერი ან საჩივრის პროცედურების საშუალებით, და დასაქმების პოლიტიკასთან მიმართებაში, რომლის მიზანია საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა. შესაბამისი განხილვა განხორციელდება შეიარაღებულ ძალებში სხვა ეროვნებისა და ლინგვისტური უმცირესობების პოზიციასთან დაკავშირებით.

#### საჩივრების უზრუნველყოფა რასობრივი დისკრიმინაციის და შევიწროების შემთხვევებში

იმისათვის, რომ წინა თავში მოყვანილი ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების უზრუნველყოფა მოხდეს, მნიშვნელოვანია რასობრივი დისკრიმინაციის საჩივრების განხილვისას ეფექტური საშუალებები იქნას გამოყენებული. შეიძლება არსებობდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის რამოდენიმე ფორმა და საშუალება. ერთი გზა შეიძლება იყოს ის, რომ დისკრიმინაციის შესახებ საშუალო საჩივრები განიხილონ საშუალო საქმეთა სასამართლებებმა (გაერთიანებულ სამეფოში ეს ნებადართულია წინასწარი შიდა განხილვის შემდეგ, იხ. სექცა 12.4.) ან ამის უფლება მიეანიჭოთ ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიებს (როგორც ეს კანადაშია).

<sup>201</sup> 2007 წლის 31 იანვრიდან მე-12 დამატებითი ოქმის რატიფიცირება მოხდა ალბანიის, სასომხეთის, ბოსნია ჰერცეგოვინის, ხორვატიის, ცეპაროსის, ფინლანდიის, საქართველოს, ლუქსემბურგის, ნედერლანდების, რუმინეთის, სან მარინოს, სერბიის და შვეიცარიის ყოფილ ოკუპაციის რესპუბლიკის მადეგონის, უკრაინის მიერ. იხ. <http://conventions.coe.int/Treaty/Com+ChercheSig.asp?NT=177&CM=7&DF=1/31/2007&CL=ENG>.

<sup>202</sup> პელსინ, კ (თანამართლებმა პუნატიკარულ და სხვა სფეროებში).

<sup>203</sup> ეენა 1989, მუხლი 19.

<sup>204</sup> კოპენჰაგენი 1990, მუხლი. 32-34.

<sup>205</sup> საეტიკურად, 1989 წლის ენის კონფერენციაზე, ეთუ-მ მიიწვია მასპინძელი ქვეყნები და იმიგრანტი ერების წარმომადგენლები, რათა გამოეჩინათ ძალისხმევა და გაეფორმებინათ ეთნიკური, კულტურული და სხვა პირობების მასპინძელ ქვეყანაში ლეგალურად მცხოვრები ემიგრანტი მუშებისათვის, მაგალითად, უზრუნველყოთ განათლება და ტრენინგები მათთვის. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეთუ-მ დადგინა: მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ დისკრიმინაციის საკითხზე განაწილთ თავიანთი დახმავებით ასპექტები.

## სქემა 12.4

### გავრთიანებული სამეფოს მიდგომა: რასობრივი დისკრიმინაციის საჩივრების წინასწარი განხილვა<sup>206</sup>

1996 წლიდან ზოგადი კანონმდებლობა რასობრივი დისკრიმინაციის პრევენციასთან დაკავშირებით გავრცელებულ შეიარაღებულ ძალზე. შეიარაღებული ძალების პერსონალს უფლება მიეცა რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ საჩივარი შეიტანონ სამოქალაქო სასამართლოში.

თუმცა, სანამ მომჩივანი ამ უფლებას გამოიყენებს, ის ვალდებულია მიმართოს შიდა უწყებრივ პროცედურებს (რომელიც ცნობილია, როგორც საჩივარი მდგომარეობის გამოსასწორებლად). შეიარაღებულ ძალებს უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის შეჩერება, სანამ შიდა პროცედურის მიხედვით არ იქნება გამოტანილი დასკვნა.

ამ მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს სტიმულს აძლევს ასეთი საკითხების შიდა გადაწყვეტებს, ამასთან, იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს სამხედრო დისციპლინისთვის დამახასიათებელი პროცედურების დაცვა, რაც მდგომარეობს განცხადებების წარდგენაში.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები მდგომარეობის გამოსასწორებელ საჩივრებს (რომელიც დისციპლინური საკითხის მნიშვნელობისა მტკიცებულების დანაშაულებრივი სტანდარტის მიხედვით) და სასამართლოს (როგორცავე მტკიცებულება ყველაზე ქვედა სამოქალაქო სტანდარტს შეესაბამება) შორის. საქმის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების წარმომადგენს მხარეს, რამდენადაც დამკირავებელი პასუხს აგებს მისი თანამშრომლების დისკრიმინაციულ ქმედებებზე, შიდა პროცედურების შესაბამისად საჩივრის განხილვის დროს კი ადგილი აქვს დისციპლინურ პასუხისმგებლობას სხვა მომსახურე პერსონალის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებისთვის, სადაც შეიარაღებული ძალების შესაბამისი ადმინისტრაცია არის მსჯეული.

აღნიშნული მიდგომის უარყოფითი მხარე არის ის, რომ ამან შეიძლება მნიშვნელოვნად დააყოვნოს საქმე, სანამ შიდა პროცედურები დასრულდება, ასევე სუბორდინაციის დაცვის მოთხოვნამ შეიძლება დაზარალებულს საერთოდ გადააფიქრებინოს საჩივრის წარდგენის სურვილი.

ზოგიერთ შემთხვევაში რასობრივი შევიწროება გულისხმობს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე სხვა ნევრების მხრიდან დაჩაგრვას და დაშინებას. რა თქმა უნდა, შეიარაღებული ძალები პასუხისმგებელია შეინარჩუნოს ანტი-დისკრიმინაციული, რასობრივად ტოლერანტული და უსაფრთხო სამუშაო გარემო. შესაბამისად, ეს ეხება ასევე რასობრივი შევიწროებას. გარდა ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობისა, შესაძლებელია შეიარაღებულმა ძალებმა შემომსხვერპლ დასაცემი და მატებითი ღონისძიებები შიდა პროცედურებისა და დისციპლინური სისტემის ფარგლებში. მაგალითად, გავრთიანებულ სამეფოში სამხედრო სასამართლოს ან ზემო-დგომი თანამდებობის პირი დანაშაულს რასობრივი ან რელიგიური დისკრიმინაციის ფორმით მიიჩნევს როგორც სამხედრო კანონის დარღვევას დამამძიმებელი გარემოებით. შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის გამოიყენება უფრო მაკარი სასჯელი.<sup>207</sup>

## სქემა 12.5

### რასობრივი შევიწროების დადგენა<sup>208</sup>

შევიწროება შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად ..., როდესაც კონკრეტული რელიგიური ან ეთნიკური წარმომადგენლის მისამართით ადგილი აქვს ისეთ ქმედებას, რომლის მიზანია პირის ღირსების შელახვა, მისი დაშინება, მისთვის მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნა.

ამასთან, იმ ინსტიტუტების, რომლებიც დაკავებული არიან უსამართლო მოპყრობის საჩივრების განხილვით (მაგალითად, სამხედრო ომბუდსმენი და გენერალური ინსპექტორი), შეიძლება განჩინდეთ იურიდიტული ეთნიკურ საკითხებთან მიმართებაში. ამ მხრივ საინტერესო მოდელი გაჩნდა გერმანიაში, ბუნდესთაგის სამხედრო რწმუნებულის სახით (იხ. თავი 22, "ომბუდსმენი"), რომელსაც გააჩნია ძალაუფლება მიიღოს და შეინახოს გარისკაცთა საჩივრები, მათ შორის დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით.

<sup>206</sup> საშლის ოქმის დანართი 11, " შეიარაღებული ძალების არჩეული ომბუდსმენის სპეციალური ანგარიში 2001", 2001 თებია პაუკაჲ 154, ტ. 1; რასების ურთიერთობების აქტი 1976, ნაწილი 75; რასების ურთიერთობები (საჩივარი სამხედრო სასამართლოს) (შეიარაღებული ძალები) დებულებები, შეიარაღებული ძალების აქტივი 2006, თავი 334-339.

<sup>207</sup> 2006 წლის შეიარაღებული ძალების აქტის თავი 240.

<sup>208</sup> ევრო კომისიის დირექტივა 2000/43, მუხლი. 2.3.

თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა შეიარაღებულ ძალებში რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პროცედურების უზრუნველყოფა არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობით. შეერთებული შტატებისა და გაერო-თანაბრებული სამეფოს გამოცდილება ხაზს უსვამს შესაბამისი პოლიტიკისა და მენეჯმენტის მნიშვნელობაზე.

შეერთებული შტატებში, 1948 წელს გამოიცა აღმასრულებელი ბრძანება №9981, რომელიც უზრუნველყოფდა სამხედრო სამსახურში მყოფი პირების თანასწორობას მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომადგომლობისა. 1971 წელს შეიქმნა რასების ურთიერთობების დაცვის ინსტიტუტი, რომელიც მოგვიანებით გადაკეთდა თანაბარი შესაძლებლობების დაცვის მართვის ინსტიტუტად, როგორც სახელმწიფოს მრჩეველი ინსტიტუტი, და გარკვეული ტრენინგების ჩატარების უზრუნველსაყოფად. როგორც სქემა 12.6 გვიჩვენებს, ამერიკის გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და უზრუნველყოფა წარმომადგენლობა შეიარაღებულ ძალებში საზოგადოებრივი პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს, ამ უთხითი შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

### სქემა 12.6

#### თანაბარი შესაძლებლობებისთვის ხელშეწყობა აშშ-ის სამხედრო ძალებში<sup>299</sup>

თავდაცვის დეპარტამენტის ფარგლებში, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის საკითხებში პასუხისმგებლობა აკისრია თავდაცვის მდივნის მოადგილეს.

თავდაცვის დეპარტამენტი მართავს თანაბარი შესაძლებლობის დაცვის მენეჯმენტის ინსტიტუტს, რომელიც ტრენინგებს უტარებს თანაბარი შესაძლებლობების პერსონალს, აწვდის რჩევას დეპარტამენტს თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის დანერგვის საკითხებზე და ატარებს შესაბამის კვლევებს.

დეპარტამენტი ავალდებულებს შესაბამის სამსახურებს მოამზადონ ამ მხრივ სამოქმედო გეგმები და წარმოადგინონ ყოველწლიური "სამხედრო თანაბარი შესაძლებლობების შეფასება". ეს შეფასება, ერთი მხრივ, გადმოცეცებს, თუ რამდენად იქნა მიღწეული თანაბარი შესაძლებლობების მიზნები, მეორე მხრივ კი, ახდენს იმ პრობლემების იდენტიფიკაციას, რომლებიც იწვევენ შევიწროებას და დისკრიმინაციას შეიარაღებულ ძალებში.

შეფასება მოიცავს ორ მიმართულებას, პროგრესის მონაცემებს და თხრობით შეფასებებს 10 სფეროში. ერთ-ერთი ასეთი საკითხია სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურში აყვანა და თანამდებობებზე დანიშვნა (ოფიცრის თანამდებობაზე). შეფასებებში ასევე მოცემულია მონაცემები, რომლებიც შეეხება ოფიცრისა და ნებაყოფლობითი სამხედრო მოსამსახურის დაწინაურებას, ოფიცრისა და ნებაყოფლობითი სამხედრო პროფესიული განათლების საკითხებს (მაგ, სამხედრო კოლეჯები და ოფიცერთა აკადემიები), ოფიცრების შეესება რეგულარ კომპონენტებში, ჯარის დაბინავება, სადაც განსაზღვრულია მსახურების ტიპი, რომელიც კარიერულ წინსვლას უწყობს ხელს და სამხედრო ხელმძღვანელი პირების, მათი მოადგილეების, აგრეთვე უმცირესობის გადაჭარბებული ან ნაკლები ოდენობით წარდგენა სამხედრო საქმიანობის კატეგორიაში.

ისტორიულად დისკრიმინირებული ჯგუფებისათვის აღნიშნული სამსახურის ფარგლებში შექმნილია შესაბამისი პროგრამები, ერობად:

- ადგილობრივი ამერიკელი ინდიელების/ალაისკელების დასაქმების პროგრამა;
- აზიური ამერიკელი/წყნარი ოკეანის კუნძულის მკვიდრების დასაქმების პროგრამა;
- შვედური ინდიანების დასაქმების პროგრამა;
- ლათინო ამერიკელების დასაქმების პროგრამა.

ზემოაღნიშნულის მსგავსად, შეიარაღებულ ძალებში რასობრივმა დისკრიმინაციამ და დანიშნებამ, ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების შეიარაღებულ ძალებში ნაკლებად წარმოდგენასთან დაკავშირებით არსებულმა პრობლემებმა და ამ მხრივ სხვა ნაკლებობებმა გაერო-თანაბრებული სამეფოს უკანანაბა მთელი რიგი პროაქტიური პოლიტიკის შექმნა და გატარება. 1998 წელს დადებული იქნა პარტნიორობის ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროსა და დაფუძნებული ანტი-დისკრიმინაციული ორგანოს შორის, რომელსაც ეწოდება რასობრივი თანასწორობის კომისია. რასობრივი თანასწორობის მისაღწევად გათვალისწინებულ იქნა ქმედითი ზომების უზრუნველყოფა შემდეგი მიმართულებებით: ეთნიკური უმცირესობის სამსახურში აყვანა და დაწინაურების საკითხებში ბარიერების გარეშე, ეთნიკური უმცირესობის

<sup>299</sup> თავდაცვის დეპარტამენტი, <http://www.dod.mil/prhome/eotenet.html>; თავდაცვის დეპარტამენტის დირექტივა-1350.2, 18 აგვისტო 1995, <http://www.dtic.mil/whs/directives/corres/rftd/13502r.txt>; თანაბარი უფლებების დაცვის მენეჯმენტის ინსტიტუტი, <http://www.deoml.org/deomi.htm>.

წარმომადგენელთა რიცხვის გაზრდა მაღალი რანგის პოზიციებზე, რასობრივი ჩაგების პერიუდში, თანაბარი შესაძლებლობების ყოველწლიური შეფასების მომზადება და სხვა. 2001 წელს რასობრივი თანასწორობის კომისიამ თემთა პალატის შეიარაღებული ძალების არჩეულ კომიტეტს წარუდგინა ანგარიში იმასთან დაკავშირებით, რომ ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული 2000 წელს.

არსებული პრობლემების გათვალისწინებით, კერძოდ, შეიარაღებულ ძალებში ეროვნული უმცირესობების მცირე რაოდენობის გამო, გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავა პოლიტიკა სახელწოდებით "თანაბარი წარმოდგენილობა".<sup>210</sup>

### სპეციალური პოლიტიკა პერსონალთან დაკავშირებით

პოზიტიური ქმედებების პოლიტიკა ხშირად საკამათოა და შეიძლება არაკონსტიტუციური ან არაკანონიერიც კი იყოს, განსაკუთრებით, თუ ეს ინვესტს საპირისპირო დისკრიმინაციას. ამან შეიძლება ზემოთ აღწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების პოტენციური დარღვევა გამოიწვიოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადგილი აქვს საპირისპირო დისკრიმინაციას. მაგალითად, ევროპის დარექტივების საპასუხოდ მოხდეს სამსახურებრივი დამსახურების სპეციფიური და დროში შეზღუდული დანიშნება, რომელიც წინანდელი დისკრიმინაციის გამოსწორების მიზნით ხორციელდება. თუმცა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მიზნებისა და ეკოტას განსაზღვრა, რომლის მიზანია აჩვენოს არმიის კონკრეტულ თანამდებობებზე და სტრუქტურებში უმცირესობის მონაწილეობის სასურველი დონე და გარკვეული პოლიტიკა შემუშავებული ამ ეკოტების რეალიზაციისათვის შეიძლება ეფექტური გამოდგეს.

1960 წელს კანადაში, ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ანგლოფონურ უმრავლესობას და ფრანკოფონურ უმცირესობას შორის განხეთქილების მიზეზი (უხეშად 3/4 და 1/4 მოსახლეობის) გახდა, იყო ამ უკანასკნელის მცირე რაოდენობით წარმომადგენლობა შეიარაღებულ ძალებში, განსაკუთრებით კი ოფიცერთა კორპუსში. წარმოდგენილი იქნა პოზიტიური ქმედებების კოტები ოფიცრებისათვის, სპეციალური ტრენინგების პროგრამები, ცვლილებები ენის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, რომელიც საეარაუდოდ გაზრდიდა ფრანკოფონური მოსახლეობის წარმომადგენლობას. ყოველივე ამან - ფრანგულად მოლაპარაკებულანაყოფების შემქმნა სამივე სამხედრო სამსახურში და ყველა სამხედრო პოლკში - მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ფრანგულად მოლაპარაკე მოსახლეობის რიცხვის გაზრდაზე კანადის არმიისში.<sup>211</sup>

ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების სამხედრო სამსახურში აყვანის ხელის შეწყობის ერთ-ერთი საშუალებაა სამხედრო სასწავლებლებში უმცირესობების მოსაღებად არსებული მოთხოვნების შემსუბუქება და შემცირება (ასეთი სახის პოლიტიკა შემუშავებულ იქნა ბულგარეთში 2003 წელს, ნატოს საინტეგრაციო ცენტრისა და ევროპის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით).

### ტრენინგების მნიშვნელობა

თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკა გულისხმობს ასევე სპეციალური ტრენინგების კურსებს, რომლებიც ტარდება ეთნიკური უმცირესობისთვის მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. მაგალითად, 1990-იანი წლების შუა ხანებში ახლად ჩამოყალიბებულ სამხრეთ აფრიკული ნაციონალური დაცვის ძალების ნევრებმა, რომლებსაც სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი წარმომადგენლობის ადამიანებისაგან დაკომპლექტებული შეიძინებოდა სხვადასხვა შეიარაღებული ძალების გაერთიანება მოუწიათ, გაიარეს მთელი რიგი ტრენინგებისა, რომლის მიზანიც მათი ტოლერანტობის გაზრდა და სხვა ეთნიკური წარმომადგენლობის პირთა მიმართ პატივისცემის დანერგვა იყო.

თუმცა აღსანიშნავია, რომ თანაბარი შესაძლებლობების ტრენინგების გავლა შეიძლება როგორც დანინარების, ასევე კარიერის განვითარების ხელისშემშლელი წინაპირობა გახდეს, რაც წინააღმდეგობაში იქნება შესაბამისი პოლიტიკის არსთან..

### მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები

შეზღუდვები, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს არ აძლევს უფლებას შევიდნენ უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, ჩვეულებრივი მოკლენაა ეუთო-ს ნევრ სახელმწიფოებში, თუმცა ეს უნიკერსალური არ არის. შეიძლება ვიკულისხმობთ, რომ ასეთი შეზღუდვები წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას (ხანდახან არაპირდაპირ რასობრივ დისკრიმინაციას), თუმცა ამის გამართლება ადვილად შესაძლებელია.

<sup>210</sup>ოკეიდის სამინისტრო. "გენერალური შტაბის უფროსის თანასწორობისა და მრავალფეროვნების მითითება ჯარისათვის" [www.army.mod.uk/linkedfiles/savingsoldier/usefulinfo/equality/eq\\_hrps\\_eq\\_w/cgcs\\_equality\\_and\\_diversity\\_directive.pdf](http://www.army.mod.uk/linkedfiles/savingsoldier/usefulinfo/equality/eq_hrps_eq_w/cgcs_equality_and_diversity_directive.pdf).

<sup>211</sup> "მრავალენოვანი შეიარაღებული ძალები", შეიარაღებულ ძალების დემოკრატიული კონტროლის ენციკლოპედია 2005, [http://www.dcaf.ch/publications/bg\\_multiethnic\\_armed\\_forces.cfm?nav=1](http://www.dcaf.ch/publications/bg_multiethnic_armed_forces.cfm?nav=1).

მაგალითად, გაერო-ს კონვენცია ყველა სახის არასობრივ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ ამართლებს "სახელმწიფო ორგანოს მხრიდან განსხვავებებს, გამოიციხვას, შეზღუდვებს ან უპირატესობების მინიჭებას მოქალაქეებსა და არა-მოქალაქეებს შორის".<sup>212</sup> როგორც ცნობილია, ევროპის სახელმწიფოების მოქალაქეებს ძირითადად უფლება აქვთ იმუშაონ ევრო კავშირში შემავალ ნებისმიერ სახელმწიფოში, ადამიანების თავისუფალი გადაადგილების უფლებებიდან გამომდინარე. თუმცა, ამ მხრივ ასეთი დისკრიმინაცია შეიძლება ჩაითვაოს როგორც გამოხატვის, რაც სწორედ რომ ამ შემთხვევაში შეიარაღებულ ძალებთან მიმართებაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ეს ევროკომისიის იუსტიციის სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა და შესაბამისმა დადგენილებამ აღნიშნა.<sup>213</sup>

მიუხედავად ამისა, ზოგი ქვეყანა მაინც იყვანს შეიარაღებული ძალების სამსახურში ან სპეციალურ ქვედანაყოფებში სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, მაგალითად, საფრანგეთის უცხოელი მოქალაქეებით დაკომპლექტებული ლეგიონი<sup>214</sup> და გურხას (Gurkha) ლეგიონ ბრიტანეთის არმიამში, რომელიც ნეპალის მოქალაქეებითა დაკომპლექტებული.

## სქემა 12.7

### გურხას ბრიგადა<sup>215</sup>

თითქმის 2 საუკუნის განმავლობაში, 1815 წლის ზაივის ხელშეკრულებიდან მოყოლებული, რითიც დამთავრდა ინგლის-ნეპალის 1814-1815 წლების ომი, გურხები ენსახურებოდნენ მუფეს, თავდაპირველად როგორც ჯარისკაცები ინდოეთის (ბრიტანეთის) არმიამში, ინდოეთის დამოუკიდებლობის შემდეგ კი 1947 წლიდან - ბრიტანეთის არმიამში.

ყოველი წლის განმავლობაში დაახლოებით 28000 პოტენციური სამხედრო პირი ცდილობს ჩაირიცხოს 230 ვაკანსიაზე 3,500 კაციან გურხების ძლიერ ბრიგადაში. თავად ბრიგადა უწყევლია, ეს არ არის ოპერატიული ბრიგადა და ტრადიციული გაგებით, არამედ ის უფრო ადმინისტრაციული ერთეულია. ეს არის ქოლგისებური სტრუქტურის ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს, რომ შექმნილი გურხების ქვედანაყოფები, სადაც ყველა გურხი ჯარისკაცი მსახურობს, ძირითადად, როგორც ქვეითი ჯარი, მდგრად ასევე როგორც ინჟინრები სასიგნალო და ლოჯისტიკის ქვედანაყოფებში, გახდნენ ბრიტანეთის არმიის სხვა ოპერატიული ბრიგადების ნაწილი და მოახდინონ მათი ინტეგრირება.

გურხების სამხედრო სამსახურში რეკრუტირება ხდება ნეპალში. ისინი ნეპალის მოქალაქეები არიან, თუმცა ხდებიან სამეფო ტახტის სამხედრო მოსამსახურეები. პენსიაში გასვლის შემდეგ ისინი ბრუნდებიან ნეპალში და იკავებენ თავიანთ ადგილს ნეპალის საზოგადოებაში. ამ სპეციალური ლონისძიებების გატარება საჭიროა იმისათვის, რომ ნეპალელმა მოქალაქემ შეძლოს ბრიტანეთის არმიამში მსახურობა, ამავე დროს, შეინარჩუნოს ნეპალური ცნობიერება, საკუთარი კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მემკვიდრეობა.

სამხედრო სამსახურის პირობები განსაზღვრულია სამშხრები ხელშეკრულებით (თავდაპირველად სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულების მემორანდუმს ხელი მოეწერა 1947 წლის გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ნეპალი დათანხმდა გურხას ჯარების ყოფნას გაერთიანებულ სამეფოში და ინდოეთში).

როგორც ზემოთ აღინიშნა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის შეზღუდვების დანესება ხშირად გამართლებადია. თუმცა იქ, სადაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ნებათავე აქვთ იმსახურონ, მიუღებელია სამსახურობრივ პირობებში არსებული განსხვავებები.<sup>216</sup> გაერთიანებულ სამეფოს ისტორიაში არსებობს ორი სასამართლო საქმე გურხების წინააღმდეგ დისკრიმინაციის შესახებ გაკეთებულ საჩივართან დაკავშირებით, რომელმაც დაგვანახა ამ პრინციპების ასპექტები რეალურ სიტუაციაში. პირველ რიგში, დადგა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამებოდა გურხას ბრიგადის ნევრების სამხედრო სამსახურის პირობები და მდგომარეობა ევროპის ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ კონვენციის მე-14 მუხლს.<sup>217</sup> გურხები, ბრიტანელი ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, უფრო ნაკლებ პენსიას იღებდნენ, თუმცა უფრო უკეთესი პირობები ჰქონდათ განესით ასაკთან დაკავშირებით (ისინი იღებდნენ პენსიას მშპინე, როდესაც 15 წელი იმსახურებდნენ ჯარში მაშინ, როდესაც ბრიტანელი ჯარისკაცი პენსიას მხოლოდ 60 წლის ასაკში იღებდა). სასამართლომ ასევე გაითვალისწინა

<sup>212</sup> მუხლი 2.

<sup>213</sup> იხ. ევრო პარლამენტის საინფორმაციო ბუკლეტი, [http://www.europarl.europa.eu/facts/2\\_2\\_en.htm](http://www.europarl.europa.eu/facts/2_2_en.htm).

<sup>214</sup> იხ. <http://www.legion-recrute.com/en/>.

<sup>215</sup> სასამართლო გარკვევით J. Sullivan (გემინისტრაციული სასამართლო) vs R (Purje) v. თავდაცვის სამინისტრო, ინგლისი და უელსის უმაღლესი სასამართლო, 2003, გვ. 445, [http://www.army.mod.uk/sir/index\\_of\\_guris/index.htm](http://www.army.mod.uk/sir/index_of_guris/index.htm).

<sup>216</sup> შეზღუდვები არა ნევრის სახელმწიფოების მოქალაქეების წინააღმდეგ არ არის მსუბუქი ევრო კავშირის დირექტივა 2000/43. See Art. 3.2.

<sup>217</sup> R (Purje) და სხვები) თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, სააკლავო სასამართლო, 2003 წლის 9 ოქტომბერი, ყოველკვირული საპრონუნციალური ანგარიშები, ტ. 1, 2004, გვ. 289.

თავლანსაცემი განსხვავებული საცხოვრებელი პირობები იმ საზოგადოებაში, სადაც გურგენი და ბრიტანელი იცხოვრებდნენ პენსიაში გასვლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩნდა, რომ ადგილი არ ჰქონდა მე-14 მუხლის დარღვევას, ამ სასამართლო პროცესში ისინი აიძულა ფუნდამენტალურად გადაეხედათ გურგენისთვის სასახლურის პირობებისათვის.<sup>218</sup> მეორე საკითხი ეხებოდა განსხვავებულ საკომპენსაციო თანხას იმ გურგენისთვის და ბრიტანელი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ იყვნენ აყვანილი იაპონელების მიერ. სასამართლომ გურგენისთვის დაბალი ანაზღაურების გადახდა არარატივოდ აღიარა და ბრიტანია. ამ განჩინების შედეგად ყველა დაზარალებულმა გურგენმა, როგორც კომპენსაცია, 10 000 ფუნტი სტერლინგი მიიღო.

ლინგვისტურ უმცირესობასთან დაკავშირებული მიდგომები  
 ენა შეიძლება გახდეს ბარიერი შეიარაღებულ ძალეში მონაწილეობის მისაღებად უმცირესობის იმ წევრებისთვის, რომლებიც არ საუბრობენ ოფიციალურად აღიარებულ ენაზე. ქვემოთ მოცემული სქემა 12.8 აჩვენებს სხვადასხვა მიდგომებს ამ საკითხზე დაკავშირებით.

სქემა 12.8 უმცირესობების ენებთან დაკავშირებული მიდგომები საკვლევი ქვეყნებში <sup>219</sup>	
ავსტრია	სამხედრო მისამართებებს თავისუფლად შეუძლიათ საკუთარ ენაზე კომუნიკაცია. სამხედრო სასახურში აყვანილი და შესაბამისად მათი ვარჯისობის შემორჩენისას ლინგვისტურ უმცირესობებს უფლება აქვთ ილაპარაკონ საკუთარ ენაზე (აღიარებული უმცირესობა). ყველა სხვა კომუნიკაცია სამხედრო სასახურში ხორციელდება ოფიციალურ ენაზე, რომელიც ავსტრიის კონსტიტუციის მიხედვით გერმანულია.
კანადა	კომუნიკაცია თანამოსამხარევებს შორის ხორციელდება მათ მიერ არჩეულ ენაზე. თუმცა სამხედრო ქვედანაყოფში, რომელიც მიჩნეულია ერთიწონად და რომელიც განლაგებულია ერთიწონი რეგიონებში, როგორც განსაზღვრულია სახანონო საბჭოს სამდივნოს მიერ (ორივე ფუნდამენტალური ენოვანი ქვედანაყოფები შესაბამისად არის დაყოფილი) სამსახურის ენა სახელდასმულია. ისეთ ქვედანაყოფში, რომელიც ორიწონად ითვლება (ძირითადად ორ ენოვან რეგიონებში), ნებადართულია ამ ორი ენიდან ნებისმიერ ენაზე საუბარი.
ჩეხეთი	ადმინისტრაციული თანამდებობის პირებთან ურთიერთობისას, ჩინილი უფრო მაღალ რანგზე მდგომ პირებთან ურთიერთობისას ჩეხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ენა ჩეხურია. სლოვაკური ენა არ ითვლება თანაბარულეობიანად. ჩეხეთის შეიარაღებულ ძალებში სხვა ენაზე საუბარი ნებადართული არ არის.
ფინეთი	ფინური არის სამეტყველო ენა სამხედრო სასახურში (ერთი ქვედანაყოფი შეედრ ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცებისაგან შედგება). საშუალოდ ცხოვრებაში კომუნიკაციისთვის ადამიანებს უფრო აირჩიონ ნებისმიერი ენა.
ლატვია	ოფიციალური ენის შესახებ კანონის მიხედვით, მხოლოდ ლატვიის ოფიციალური ენის — ლატვიურის, გამოყენება ნებადართული ერთეული შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში. თუმცა, შეზღუდვები დანერგულია მხოლოდ ოფიციალური მოვალეობების შესრულების პროცესში.
ლიტვა	ოფიციალურ ენაზე საუბარი საკვლეველმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.
სლოვაკეთი	კონსტიტუციის მუხლი 6, 1-ელი პარაგრაფის მიხედვით, სლოვაკური სლოვაკეთის ოფიციალური ენაა, სლოვაკეთის რესპუბლიკის კანონების კრებულის აქტი № 270/1995-ის 3.2 მუხლის მიხედვით, შეიარაღებული ძალებში გამოიყენება ოფიციალური ენა ოფიციალური კომუნიკაციის წარმოებისას.
უკრაინა	მხოლოდ სახელმწიფო ენა გამოიყენება ოფიციალური საკვლევის წარმოებისას.

იქ, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი ენობრივი განსხვავებულება სახელმწიფოს შიგნით, თუმცა აღიარებული უმცირესობის კულტურა და ლირებულებები, ენობრივი უმცირესობების პრობლემის გადასაწყვეტად ეფექტურ საშუალებად ითვლება გარკვეული ქვედანაყოფების შექმნა. მაგალითად, შეიარაღებულ ძალებს შეეცადიან მრავალსახეობის სტრუქტურა აქვს თავისი ქვედანაყოფებით, რომლებიც ორგანიზებულია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რეგიონალურ (კანტონურ) და ენობრივ ჯგუფებად. სპეციალიზირებულმა ჯარებმა, ამასთან, შეიძლება შექმნან მრავალენოვანი დანაყოფები. მრავალენოვანობა საკვლეველობა თავდაცვის სამინისტროს პერსონალისთვის და ოფიცერთა კორპუსისთვის (იხ. სქემა 12.9).

ბელგიამ და კანადამ დაამყარეს ორმაგი სამხედრო სტრუქტურა ბელგიელი ფლამანდიელები და კანადელი ფრანკოფონების ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ითხოვენ ნენ ჯარში საკუთარ ენაზე მტყვევლების უფლებას. კანადაში ასეთი დანაყოფების შექმნამ რამდენიმე შედეგი გამოიღო:

- ფრანკოფონული ოფიცრები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან ასეთ დანაყოფებში, რამდენადაც მათ საკუთარ ენაზე კომუნიკაციის უკეთესი საშუალება აქვთ;

<sup>218</sup> ლორდია პალატა, დებუტი, გამოცემებისმანანერების თავები, ბრიტანეთის პარლამენტის ებგვერდ, 2005 წლის 11 იანვარი, <http://www.publications.parliament.uk/pa/ld200405/ldhansrd/v050111/11st50111-47.htm>.  
<sup>219</sup> ODIHR-DCAF კოთხეობა, კოთხე 78 და 79. 220 "ბელტიინიკური შეიარაღებული ძალები", *op. cit.*, მენიშენა.

ფრანკოფონელი ოფიცრები ფრანგულენოვან დანაყოფებში უფრო ერგებიან საკუთარი ფრანკოფონელი ჯარისკაცების კულტურულ თავისებურებებს და, შესაბამისად, უფრო წარმატებული ლიდერები არიან; მათი კარიერის განვითარება უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე თავიანთი ანგლოფონელი კოლეგები ინგლისურად მოლაპარაკე ერთეულებში;

შეიარაღებულ ძალებში ფრანგულად მოლაპარაკე ქვედანაყოფების შექმნამ წარმოქმნა მოთხოვნილება ორ ენაზე მოლაპარაკე პოლკოვნიკებზე, გენერლებზე, ოფიცრებზე, მიუხედავად დანიხურების კვლევისა.<sup>200</sup>

## სქემა 12.9

### მრავალენოვანობა და შვეიცარიის შეიარაღებული ძალები<sup>21</sup>

შვეიცარია არის სახელმწიფო, სადაც ოთხი სახელმწიფო ენაა: ფრანგული, გერმანული, იტალიური, რეტრო-რომანული. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შვეიცარიის შეიარაღებულ ძალებს არასდროს შეუშუშავებია მრავალენოვანობის პოლიტიკა, მათ გააჩნიათ სამი მიდგომა შვეიცარიის სახელმწიფოს მრავალენოვან ასპექტთან მიმართებაში.

#### 1. ენის კონკრეტულ არეალზე გავრცელების პრინციპი

ლინგვისტური ჯგუფების სამართლიანი წარმომადგენლობა შეიარაღებულ ძალებში გარანტირებულია შეიარაღებულ ძალებში არსებული ტერიტორიული სტრუქტურის მეშვეობით, რომელიც წარმოიქმნა ისტორიული კანტონური საზღვრო ორგანიზაციისგან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ უმეტესი დანაყოფები დაკომპლექტებული ერთი და იმავე კანტონის მოქალაქეებით, და რამდენადაც 26-დან 22 მონოლინგვისტური შვეიცარული კანტონისგან შედგება, უმეტესი დანაყოფები შვეიცარიის შეიარაღებულ ძალებში მეტყველებენ ერთ ენაზე შიდა კომუნიკაციური მიზნებისათვის.

#### 2. პროპორციულობის პრინციპი

ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით, მრავალენოვანობის პრობლემა გადაჭრილია ლინგვისტური საზოგადოებების პროპორციული წარმომადგენლობით შვეიცარულ ჯარში. შეიარაღებულ ძალებში არსებული პერსონალის შემადგენლობა საეარუდოდ უნდა ასახავდეს ფაქტობრივ პროპორციას ენობრივი საზოგადოებისას შვეიცარიაში. ეს წარმომადგენლობითობის პოლიტიკა ძირითადად ეყრდნობა არაფორმალურ და ადითობრივ წესებს და იშვიათად კანონმდებლობით გათვალისწინებულ ინსტრუქციებს.

#### 3. ენობრივი კომპეტენციები ოფიცერთა კორპუსში

ოფიცრებს მოეთხოვებათ საუკეთესო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. ამასთან დაკავშირებით, შვეიცარიის შეიარაღებულ ძალებში უპირატესობას ანიჭებენ ოფიცრების კარგ ენობრივ კომპეტენციას, რომელსაც ისინი იძენენ წინა საზღვრო და საბოქალაქო განაღების პერიოდში. ამ ბოლო დროს ოფიცრების მომზადებისას ყურადღება ექცევა ენის შესწავლას, ოღონდ არა ერთ-ერთი ამ 4 ენათაგანისა, არამედ ინგლისური ენისა.

## 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

შეიარაღებული ძალების მოსამხაზურეებს უნდა გააჩნდეთ ეფექტური საშუალებები განაცხადონ რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ (რასობრივ ნიადაგზე არამირიდაპირი დისკრიმინაციის და შევიწროების ჩათვლით);

შეიარაღებულ ძალებს ხელი უნდა მიუწეებოდეთ სამოქალაქო სასამართლოზე ან ტრიბუნალზე იმისათვის, რათა საკუთარი განცხადებები რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ უპასუხოდ არ დარჩეს (არამირიდაპირი რასობრივი დისკრიმინაციისა და რასობრივ ნიადაგზე შევიწროების ჩათვლით). სადაც სავალდებულო წინაპრობაა თავდაპირველად გასაჩივრების შიდა საშუალებების გამოყენება, მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი საქმეები განიხილოს სამოქალაქო თანამდებობის პირები, მიუხედავად ხანგრძლივი შეყოვნებისა და/ან არაადეკვატურად წარმოებული შიდა გამოძიებისა;

სამხედრო სამსახურში რეკრუტირების პროცედურა, რაც მოიცავს სამხედრო სამსახურში აყენისა და განეყენის წესებს, უნდა იყოს ადეკვატური და გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს ისეთ პრინციპებს, რომელიც ყველა ეთნიკური ჯგუფის სამართლიან და ობიექტურ წარმომადგენლობას გულისხმობს;

<sup>200</sup> "მულტიეთნიკური შეიარაღებული ძალები", op.cit., გვ. 211.

<sup>21</sup> გერმანულ ალტერნატივად, "Der Umgang der Schweizer Armee mit der Mehrsprachigkeit: Proportionalität und Territorialität: Ein historischer Ueberblick mit Standortbestimmung", ფედერალური საზღვრო ბიბლიოთეკა და ისტორიული სერვისი, ანგარიში N15, ბერნი, 2004, გვ. 71-73.

იქ, სადაც ეთნიკური ან ლინგვისტური უმცირესობა შეიარაღებულ ძალებში მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი, მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, ქმედითი ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული ამ ჯგუფების ინტერესების უზრუნველსაყოფად და მათი მხარდაჭერის მიზნით;

თავდაცვის სამინისტროებმა უნდა ითანამშრომლონ დამოუკიდებელ ანტი-დისკრიმინაციულ ორგანიზებთან ამ პოლიტიკის დანერგვისა და კონტროლის მიზნით.

ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობის ტოლერანტობის საკითხებზე შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა გადამზადების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეთმოს, რომელსაც ზურგს უნდა უმაგრებდეს შესაბამისი დისციპლინური სანქციები, სადაც ინდივიდები პასუხისმგებლები არიან დისკრიმინაციულ ქმედებაზე ან შევიწროებაზე; მაღალი თანამდებობისა და ნოდების მქონე პირებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ და ვალდებულები არიან დეტალურად იყვნენ გათვითცნობიერებული ამ საკითხებში, რაც აუცილებელი პირობაა მათი დანინაურებისათვის. შესაბამისად, მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ხელს შეუშლის მათ დანინაურებას ან/და გამოიწვევს მათი ნოდების დაქვეითებას;

შეიარაღებულ ძალებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის დანესებული შეზღუდვები შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ შესაბამისი აუცილებლობით და ის უნდა იყოს პროპორციული. იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სამხედრო სამსახურში მსახური, დაუშვებელია რამიმე სახის განსხვავებები მათ სამუშაო პირობებთან მიმართებაში;

იქ, სადაც ლინგვისტურ უმცირესობებს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ, მიზანშეწონილია მათი სამსახურის შემსუბუქებისათვის სპეციალური გარემოს შექმნა, მაგალითად ორმაგი სამხედრო სტრუქტურების შემოღება;

სასურველია, რომ სამხედრო მოსამზადებელი კურსები შეძლებისდაგვარად უმცირესობათა ენაზე ტარდებოდეს.



# ქალები შეიარაღებულ ძალებში

წინამდებარე თავი ეძღვნება შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობის სხვადასხვა მოდელსა და წარმტებულ პრაქტიკას, ასევე, ქალების ტრადიციულად მამაკაცურ სფეროებში მზარდი ინტეგრაციის საკითხს. იგი ხაზს უსვამს იმ მთავარ ბარიერებს, რომლებიც საშხედრო მოსამსახურე ქალებს ჯერ კიდევ ხვდებოთ საშხედრო კარიერის ყველა საფეხურზე. აქვე გამოიკეთება ქალთა ადამიანის უფლებების დამკვიდრებისა და დაცვის მექანიზმები. იგი ასევე ეხება ძალადობასა და დევნა-შეეწრობას და, ამასთან ერთად, მთლიანად საშხედრო პერსონალის თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკასა და მექანიზმებს.

წინამდებარე თავი განიხილავს შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობის, როგორც განსხვავებული მართვის ერთ-ერთ საკითხს, ანუ სხვადასხვა დემოგრაფიული წარმომობის მქონე თანამშრომლების განუებისა და გადაშხადების, განსაკუთრებით კი, მათი მონაცემების ოპტიმალურად გამოყენების საკითხს.<sup>222</sup> განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოების სფეროში ქალების მიერ შეტანილ დაღებით ნულილს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ თანამშრომელი შეიარაღებულ ძალებში წარმოქმნილ მრავალ ახალ როლს, რომელთა მორგება ქალებს უეთ შეუძლიათ, მაგალითად, დამკვირვებელთა მისიის განხორციელება, პუშნიტარული დახმარების დარიგება, სამშეიღობო მისიების განხორციელება (რამდენადაც ბავშვის მოვლა მშობლის პასუხისმგებლობაა, ეს საკითხი განხილულია მე-17 თავში, "სამუშაო პირობები")

## 1. მნიშვნელოვანი

შეიარაღებულ ძალებში ქალის როლი დემოკრატიული ქვეყნების უმეტესობაში კელავაც დებატების საგანია. თუმცა საშხედრო შესაძლებლობები, რომლებიც ქალებისთვის არის ხელმისაწვდომი, უთო-ს რეგიონში ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. იმ შეიარაღებულ ძალებში, სადაც ქალ საშხედრო ჩინოსანთა ყველაზე დიდი რაოდენობაა, როგორცაა, მაგალითად, შეერთებული შტატების არმია, ქალთა რაოდენობა საშხედრო პერსონალის მხოლოდ 15%-ს შეადგენს.<sup>223</sup> ბოლო წლებამდე ქალების საშოქმედო არალი შეზღუდული იყო ისეთი სფეროებით, როგორცაა, მატერიალური მომარგება, ლოჯისტიკა, ადმინისტრაცია, საექთნო და მსგავსი სამედიცინო სამსახურები. დღესდღეობით უთო-ს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ ძალებში და, როგორც ირკვევა, ქალების არსებობა საშხედრო საქმიანობათა სულ უფრო ფართო სექტორში უკვე საერთო აღიარების საგანია. ამის მიუხედავად, ხშირად მაინც ადგილი აქვს საშხედრო მოსამსახურე ქალების მიმართ დისკრიმინაციულ პოლიტიკასა და ქმედებებს. მაგალითად, ბევრ ქვეყანაში ქალებს ეკრძალებათ საბრძოლო თანამდებობების დაკავება. გარდა ამისა, ქალები ხშირად აწყდებიან დისკრიმინაციის კარიერაში, რამდენადაც ფაქტია, რომ მათი დანიწარება ხელმძღვანელ პოზიციებზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. შეიარაღებულ ძალებში ქალებისადმი დამოკიდებულების კუთხით დიდი განსხვავება არა მარტო სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, არამედ თითო ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არსებულ არმიებში, საზღვაო და საჰაერო ძალებში.<sup>224</sup>

## 2. პრობლემატური საკითხები

ქალების, როგორც მოქალაქეთა, სრულუფლებიანი მონაწილეობა შეიარაღებულ ძალებში

ქალების მონაწილეობა შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, რომელიც ქალების მიერ საშხედრო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობის უფლებასაც მოიცავს. ქვეყნის დაცვაში და ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობა პიროვნების მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობების განუყოფელი ნაწილია. თუ ქალები მოკლებული იქნებიან ისეთ მნიშვნელოვან ეროვნულ ინსტიტუტებში

<sup>222</sup> Jan van der Meulen and Joseph Soeters, "შესავალი: განსხვავებულობის განსხვავებულობა", Joseph Soeters and Jan van der Meulen (eds.), *განსხვავებულობის მართვა შეიარაღებულ ძალებში: ცხრა ქვეყნის გამოცდები* (Tilburg: Tilburg University Press, 1999).  
<sup>223</sup> ODIHR-DCAF, ითხიარ, საკითხი 75.  
<sup>224</sup> Gerhard Kimmel, "როდესაც ბიჭი ხდება გოგოს: საშხედროთა "დემინიზაცია", *Current Sociology*, ტომი 50, No. 5, 2002, გვ. 615-639; Donna Winslow and Jason Dunn, "ქალები კანადის არმიაში: კანონიერ და სოციალურ ინტეგრაციის შორის", *Current Sociology*, ტომი 50, No. 5, 2002, გვ. 641-667.

მონანილოების უფლებას, როგორცაა, შეიარაღებული ძალები, ეს ნიშნავს, რომ ისინი მამაკაც თანამოქალაქეებისგან განსხვავებულ, არათანაბარ პირობებში მოექცევიან. ამის გასამართლებელ არგუმენტად შეიძლება გამოყენებულ იქნას ის ფაქტი, რომ შეიარაღებულ ძალებში მონანილობაზე უაზრო თქმა შეიძლება ქალებისათვის გარკვეულ უპირატესობასაც წარმოადგენდეს, და რომ შეიძლება ზოგადად საზოგადოებისათვის სასურველი იყოს, რომ ქალი საზოგადოების "მშვიდობიან" სექტორში იყოს ჩართული. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არგუმენტები ენიშნაღმდეგება მამაკაცებისა და ქალების თანაბარუფლებიანობის პრინციპს. შეიარაღებულ ძალებში მონანილობის გამოყოფილების გარეშე ქალებს ნაკლებ შესაძლებლობა ექნებათ თავისი აზრი გამოთქვან უსაფრთხოების საკითხის თეორიული განხილვისას.<sup>226</sup>

მეზეგმენტი და კონფლიქტების მოგვარება ქალების შეიარაღებულ ძალებში მონანილობის გადამწყვეტი ნაწილია. "უშიშროების საბჭოს დადგენილება № 1325 ქალების, მშვიდობისა და უშიშროების შესახებ" (2000) კიდევ ერთხელ ამტკიცებს:

ქალების მნიშვნელოვან როლს კონფლიქტების მოგვარებასა და თავიდან აცილებების, აგრეთვე, მშვიდობის დამყარებაში. იგი მოუწოდებს სახელმწიფოს კონფლიქტების მოგვარების სფეროში უზრუნველყონ ქალების წარმომადგენლობითი წილის გაზრდა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ინსტიტუციებსა და მექანიზმებში გადანაცვლებათა მიღების პროცესში.

**თანაბარი წარმომადგენლობითი წილი**

ქალებისათვის შეიარაღებულ ძალებში მონანილობის უფლების მინიჭება შეიარაღებულ ძალების დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია საზოგადოების შემადგენელი ყველა ჯგუფის ადეკვატური წარმომადგენლობის წილის თვალსაზრისით. ეს წარმოადგენდა ცენტრალურ ნაწილს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აფროამერიკელების, ხოლო გერმანიაში – კათოლიკეების ინტეგრაციის საკითხში. გერმანიაში 1970 წელს ფედერალურმა შეიარაღებულმა ძალებმა სცადეს კათოლიკე ოფიცერთა რიცხოვნობის გაზრდა არმიამში უფრო დემოკრატიული ხელმძღვანელობის შექმნისა და სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვან ჯგუფების ჩართვის მიზნით. როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებს, შეიარაღებული ძალები არა მარტო საზოგადოების აშხაზელია, არამედ შეიძლება პროგრესულ ძალებსა და წარმომადგენდეს თანაბარ უფლებებს მოკლებული ჯგუფების ბრძოლაში (როგორცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აფროამერიკელების შემთხვევა) ან შეძლოს შეაინტეგრონ ის პროცესები (როგორც უკრ კიდევ ხშირად გვხვდება ქალთაგან მიმართებაში).

დემოკრატიზაციის შემდგომი ასპექტი ეხება ე.წ. არმიის "შინაგან ცხოვრებას". საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ, გავრცელებული რწმენის საწინააღმდეგოდ, სამხედრო საქმიანობაში მამაკაცთა მონანილობის მის წარმატებულობასთან დრიადა ნაკლები კავშირი აქვს. სამხედრო ჯგუფებს შეიძლება განსხვავებული, უფრო მეტის მომცევილი ამხანაგობისა და კავშირის განვითარების გზები გააჩნდეს. არმია, რომელიც უფრო მეტ ელემენტს, მათ შორის, სხვადასხვა სქესებსაც მოიცავს, უფრო დემოკრატიულია და უფრო დემოკრატიულ საზოგადოებასაც წარმოქმნის.

**არა-დისკრიმინაციის საკითხები**

ქალების მონანილობა შეიარაღებულ ძალებში დისკრიმინაციის არარსებობის საკითხია, რაც ნიშნავს მამაკაცებისა და ქალებისათვის კარიერის შექმნა-წინსვლის თანაბარი შანსების, სხვადასხვა ფუნქციების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობების, თანაბარი ანაზღაურების არსებობასა და მოსახურე ქალთა პერსონალის მიმართ არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრას. ეს გახლავთ აგრეთვე ქალთა სამხედრო გარემოსა და ტრადიციებში ინტეგრაციისა და ამ მოვლენის დადებითად შეფასების საკითხიც.

**სქესი და მოქმედებათა შედეგიანობა**

არ უნდა დავივინყოთ და შეადგელობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შეიარაღებულ ძალებში ქალების მონანილობის უპირატესობა, განსაკუთრებით, მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეში მათ მიერ შეტანილი წვლილი. შეიარაღებულ ძალებში ქალების მონანილობას ღირებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რაც დღესდღეობით შეიარაღებული ძალების უმეტესობათა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. მშვიდობის-მყოფელობა ტრადიციულ სამხედრო საქმიანობისგან იმით განსხვავდება, რომ ის ხაზს უსვამს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის როლს და მოიცავს კონფლიქტების მოგვარებისა და რეკონსტრუქციისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მშვიდობისმყოფელთა როგვარი ქალების არსებობა ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას.<sup>227</sup>

<sup>226</sup> Uta Klein, "სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობის გენდერული პერსპექტივა ისრაელის საზოგადოებაში", *Current Sociology*, ტომი 50, № 5, 2002, გვ. 669-686.  
<sup>227</sup> იხ. გავრცელებული უშიშროების საბჭოს რეზოლუცია № 1325 (2000) ქალების, მშვიდობისა და უშიშროების შესახებ, ვებ-გვერდი: <http://daccessdds.un.org/doc/UNDOC/GEN/NOU72018/PDF/NOU72018.pdf?OpenElement>.

### 3. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

ბერი საერთაშორისო დოკუმენტი კმალავს დისკრიმინაციას სქესობრივ წიაღაგზე და მხარს უჭერს დე იურე ინტეგრაციას.

1979 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის" (CEDAW) მუხლი 15.1. გვამცნობს, რომ სახელმწიფო ორგანოს ყველა წარმომადგენელი "უნდა დაეთანხმოს კანონის წინაშე ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას."<sup>27</sup> CEDAW-ის მოთხოვნით, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები როგორც ნორმატიული დონეზე, რაც ნიშნავს თანასწორუფლებიანობის პრინციპის შეტანას გროუნულ კანონმდებლობაში და დისკრიმინაციის დამკანონებელი ყველა ნეს-ჩეულების გაუქმებას, ასევე პროცედურულ დონეზე, რაც ნიშნავს ყველა ფორმის დისკრიმინაციისაგან ქალთა დაცვის უზრუნველსაყოფად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას. კონვენცია მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომელიც მოითხოვს ქალთა სამსახურებრივი დისკრიმინაციისაგან დაცვასა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისაგან ამ სფეროში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. კონვენციის მე-7 თავის დებულებების მიხედვით, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელმა "უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ არსებული ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად". კონვენციის მე-8 თავი გვამცნობს, რომ:

სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელმა უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა უზრუნველყოს ქალები მამაკაცთა თანაბარ უფლებებით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, საშუალოდა მისცეს მათ წარმოადგინონ თავიანთი ქვეყანა საერთაშორისო დონეზე და მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობებში.

CEDAW-ის კომიტეტმა მიიღო კონვენციის მე-7 და მე-8 თავების კომენტარი, რომელიც კონკრეტულად შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობას ეხება (იხ. სქემა 13.1.).<sup>28</sup>

#### სქემა 13.1.

ქალები შეიარაღებულ ძალებში: CEDAW-ის კომიტეტის კომენტარი შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობის თაობაზე<sup>29</sup>

28. ქალებისათვის სამხედრო სამსახურის ხელშისაწვდომობის შესახებ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების მიერ კონვენციისადმი გაკეთებული ანგარიში ძალზე იმითია და თუ დელიკატურებია. თუცა ზოგიერთმა ქვეყანამ შეინარჩუნა კონვენციის მრავალი დებულება, მათ შორის მე-7 და მე-8 თავები, რომლებიც ეხება ქალების სამხედრო სამსახურში მონაწილეობას...

29. სამხედრო სამსახური მნიშვნელოვანია ქალებისათვის მათი მოქალაქეობრივი როლის განსაზღვრისთვის, თუმცა ბერი როგორც მამაკაცი, ასევე ქალი თვლის, რომ ეს "მამაკაცის საქმეა". ისტორიულად სამხედრო სამსახურის როლის მამაკაცისთვის მიკუთვნება უმეტესწილად საზოგადოების სოციალური აღნაგობის შედეგია. ამტიკებენ, რომ სამხედრო სამსახური ჩაქსოვილია თვით მამაკაცურ სამხედრო ფორმაში და ქალთა და მამაკაც შორის როლების განსხვავებას უსეავს ხაზს ისევე, როგორც მათ "დამცველისა" და "დაცულის" სტერეოტიპი.

30. რამდენადაც შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახური სახელმწიფო წყობის, გადანაცვლებების მიღებისა და მმართველობის მნიშვნელოვანი ელემენტია, ყველა მოქალაქე დაინტერესებული უნდა იყოს იმით, თუ რა სახის შეიარაღებულ ძალები გააჩნია მის ქვეყანას. ქალები შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის გარეშე ვერ იქნებიან ჩართულნი მათ გამოყენებასთან დაკავშირებული გადანაცვლებების მიღებაში, სამხედრო ინსტიტუციებში ცვლილებებსა და მისი მოქმედების საერთო კონტროლი...

<sup>27</sup> შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw>. 1-ელ თავში კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის განსაზღვრავს როგორც "წინამორბიდი სახით გამორჩევა, გამოხიზება ან აკრძალვა გენდრულ წიაღაგზე, რომელიც იწვევს ან მიზნად ისახავს დააქნობს ან გააბათილოს ქალების ცნობა-აღიარება, მათ მიერ სქესობრივის განსორიცილებად მიზანს სიამოვნების მიღება, მიუხედავად იჯახური მდგომარეობისა, ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობის, ადამიანთა უფლებებისა და ძირეული თავისუფლების წიაღაგზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საზოქალაქო და მხარსმომცხევა სფეროში."

<sup>28</sup> "კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: კონვენციის მე-7 და მე-8 თავების ანალიზი, 21-ე თავის გაბმორცილება", CEDAW/C/1994/1, <http://www.un.org/documents/ga/cedaw/13/cedawc1994-4.html>.

33. შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რომლის მთავარი მიზანია კონფლიქტების თავიდან აცილება ან მისი განმუხტვა მშვიდობიანი ვადანყვეტილების მიღების გზით. გაერო-ს მშვიდობისმყოფელთა შეიარაღებულ ძალებში ქალების არყოფნა ასახავს იმ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ქალების არყოფნას, რომლებიც სამშვიდობო მოქმედებებისათვის ჯარებს გამოყოფს. ამის მიუხედავად, ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ მოქმედებებში სამოქალაქო დონეზე. 1992 წლის დეკემბერში გაერო-ს სამშვიდობო მოქმედებათაგან ორ ოპერაციას (ანგოლასა და სამხრეთ აფრიკაში) ხელმძღვანელობდნენ გაერო-ს სამდივნოს ქალები და სამოქალაქო დაშკირვების, ადმინისტრატორებისა და სხვა პროფესიული კატეგორიებიდან ხელმძღვანელობის მიერ გადაგზავნილი პერსონალის შედარებით მაღალი პროცენტული რიცხვი სწორედ ქალებზე მოდიოდა.

34. რამდენადაც მშვიდობის შენარჩუნება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, დღის წესრიგში უნდა ადგდეს საკითხი, თუ რამდენად მისაღებაა ქალების გამორიცხვად სამშვიდობო საქმიანობიდან. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამშვიდობო საქმიანობა ტრადიციულ სამხედრო საქმიანობებისაგან ბევრი რამით განსხვავდება და კონფლიქტის მოგვარების მახასიათებელი ნიშნებს მოიცავს, ქალების უფრო მეტი რაოდენობით ჩართვა ამ საქმიანობებში შესაძლოა მათში გარკვეული პოზიტიური ცვლილებებიც გამოიწვიოს.

ქალთა სამსახურეობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის პრინციპი მრავალი სხვა საერთაშორისო დოკუმენტით იქნა დამტკიცებული, მათ შორისაა, "ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია №1700 (2005) სამსახურეობრივ ადგილებზე და სამუშაო კოლექტივში ქალთა დისკრიმინაციის შესახებ"<sup>220</sup> და "ევროპის საბჭოს დირექტივა ქალთა და მამაკაცთა ღირსებაზე სამსახურეობრივი, პროფესიული მომზადების, დანერგებისა და სამუშაო პირობების შესაძლებლობების თანაბარი განაწილების პრინციპის შესახებ".<sup>221</sup> ზოგიერთი დოკუმენტი განსაკუთრებით გამოყოფს სამხედრო სექტორს: ამისი მაგალითებია 2005 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოდგენილი ქალების შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის შესახებ ვადანყვეტილებისათვის წარმოებული მოძრაობა<sup>222</sup> და ევროპის საბჭოს რეკომენდაცია №1742 (2006) შეიარაღებულ ძალებში მომსახურეთა ადამიანის უფლებათა შესახებ.<sup>223</sup> ამ უკანასკნელში ასაშლავ იძლევა რეკომენდაციას, რომ ევროპის საბჭომ:

უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს შეიარაღებულ ძალებში ქალთა მდგომარეობას. ქალ სამხედრო მოსამსახურეთა ძალზე დიდი ნაწილი განიცდის სქესობრივ დევნა-შევიწროებას. შეიარაღებულ ძალებში გარკვეული თანამდებობების მიღწევისა და სამხედრო ვადანყვეტილების მიხედვის ხელმისაწვდომობის საკითხი, კარიერული სტრუქტურა და თანაბარი უფლებები — ყოველივე ეს ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხებია, რომლებიც არსებულ განხილვას მოითხოვს.

უთო-მ მრავალ შემთხვევაში დაამტკიცა, რომ მისი დიდი სურვილი და მონდომებაა, ბოლო მოუღოს სქესობრივ ნიადაგზე წარმოქმნილ ყველაზე დიდ დისკრიმინაციას და უთო-ს ნევრ სახელმწიფოებში თანასწორობის დანერგვის ინიციატორადაც გამოვიდა, რისი მაგალითებია "უთო-ს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა". ODIHR განსაკუთრებულ დახმარებას უწევს უთო-ს მონაწილე ხელმძღვანელს საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნას და კამპაინიულებში გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის საქმეში, ასევე კანონმდებლობის ვადანყვეტაში, რათა უზრუნველყოს სათანადო კანონიერი გარანტიები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე უთო-სა და სხვა ვადანყვეტილებათა თანახმად (იხ. სქემა 13.2.). ბოლო დროს ODIHR-მა ჩამოაყალიბა ახალი პროგრამა ქალებისა და უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ქალთა ადამიანის უფლებების თემატურ არეალს უთო-ს უშიშროებისადმი დამოკიდებულების აუცილებელ კონტექსტში ათავსებს.

მისი მიზნებია ხელი შეუწყოს ქალთა უფლებებისა და გენდერულ პერსპექტივაში უშიშროების თვალსაზრისით ისეთი სფეროების გათვალისწინებას, რომლებიც განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, მაგალითად, კონფლიქტის თავიდან აცილება/ადრეული გაფრთხილება, კონ-

<sup>220</sup> შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/adoptedtext/ta05/erac1700.htm>.

<sup>221</sup> საბჭოს დირექტივა №76/207/EEC 9 თებერვალი, 1976 სამსახურეობრივ რეკრუტირების, პროფესიული კვალიფიკაციის ასაშლავებელი ვადანყვეტილების, დანერგების, ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების თანაბარი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის განხორციელების შესახებ, შეიქმნილია იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://eur-lex.europa.eu/LEXU-riServ/LEXUriServ.do?uri=CELEX:31976L0207:EN:HTML>.

<sup>222</sup> "ქალები შეიარაღებულ ძალებში", ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, დოკ. 10609, 21 ივნისი, 2005, სტრასბურგი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://assembly.coe.int/main.asp?Link=/documents/workingdocs/doc05/edoc10609.htm>.

<sup>223</sup> შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta06/EREC1742.htm>.

### სქემა 13.2.

#### უეთო-ს ვალდებულებები ქალებთან და სქესობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით: შერჩეული მაგალითები<sup>225</sup>

41. ნევრმა სახელმწიფოებმა ... ვალდებულებები იკისრეს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა თავიანთი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად ექციათ როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე ორგანიზაციის შიგნით.

42. შესაბამისად, ნევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ:

- ... დაიცვან და სრულად განახორციელონ თანაბარუფლებიანობასთან, დისკრიმინაციის არარსებობასთან, ქალთა და ვაგონთა უფლებებთან დაკავშირებული მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები და სტანდარტები;
- გამოიყენონ უეთო-ს გამოცდილება ყოველმხრივი, ყოვლისმომცველი გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სტრატეგიის გასაეითარებლად.

44. პირობიტეტები

(b) არა-დისკრიმინაციული პოლიტიკისა და მონახაზის უზრუნველყოფა

- ODIHR ... ხელს შეუწყობს უეთო-ს ნევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულებაში, რომლებიც ეხება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების ხელშეწყობას, ასევე, უეთო-სა და სხვა ვალდებულებების თანახმად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის გარანტიების წარმოსაქმნელად შესაბამისი კანონმდებლობის გადასინჯვას.

ODIHR ხელს შეუწყობს ქალთა უფლებების დასაცავად კონკრეტული პროგრამებისა და ქმედებების განვითარებას და განხორციელებას, ქალთა როლის გაზრდას გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე და უეთო-ს მოქმედების მთელ არეალში ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის დასაწერგად, განსაკუთრებით კი გენდერულ საკითხებში გათვითცნობიერებისა და განათლების საქმეში.

ODIHR ხელს შეუწყობს ეროვნული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებასა და შეფასებას გენდერული თანასწორობისა და მთავარი გენდერული მიმართულებების შესაფასებლად; ...

ODIHR-სა და უეთო-ს საველე ოპერაციები ხელს შეუწყობს ადგილობრივი საშუალებებისა და გენდერული საკითხების კომპეტენტური ექსპერტის შექმნას, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ლიდერებისა და პოლიტიკური ფიგურების დამაკავშირებელი ქსელების წარმოქმნას; ...

(g) ქალთა ნინხელის ხელშესანყოზად ეროვნული მექანიზმების შექმნას

- ODIHR ეკლავაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუციების შენება-ჩამოყალიბებისათვის დახმარებისა და ნოუ-ჰაუს მინოდებას გენდერული თანასწორობის ხელშესანყოზად, მაგალითად, ომბუდსმენის სამსახურის როგორც ადგილობრივი, ასევე ეროვნული დონეზე ჩამოყალიბებას, საქიროებისა და მოთხოვნისამებრ ...

## 4. გარემოებები და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს შეიარაღებულ ძალებში ქალთა მონაწილეობის ზრდას

ში ფაქტის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ქალები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შეიარაღებულ ძალებში,<sup>226</sup> მხოლოდ ბოლო ოცდაათი წელია, რაც თანამედროვე სამხედრო შენაერთებში დიანყო ქალებისათვის შედარებით უფრო ფართო და მნიშვნელოვანი როლის მიკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ უეთო-ს ნევრ ბევრ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ქალების მონაწილეობის შეზღუდვების დიდი ნაწილი მოიხსნა, ქალი სამხედროები ჯერ კიდევ აწყდებიან წინააღობებს სამხედრო კარიერის განვითარების ყველა ეტაპზე. მართალია, შეიარაღებული ძალები და სამხედრო შენაერთები, ზოგა-

<sup>224</sup> უეთო-ს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა: ODIHR-ის წვლილი გენდერული საკითხების მიძღვნილ ყოვლილოვრ შენაჯამებულ ანგარიზში უეთო-სადმი, ODIHR, მარტი, 2006, გვ. 12, [http://www.osce.org/document/odihr/2006/05/19286\\_en.pdf](http://www.osce.org/document/odihr/2006/05/19286_en.pdf).

<sup>225</sup> 2004 წლის უეთო-ს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შესახებ No. 1/04 გადაწყვეტილების დანართი, სოფია, 2004 წელი.

<sup>226</sup> ქალებისა და შეიარაღებულ ძალების შესახებ საკითხების უკეთესად გასაგებად, იხ. Helena Careiras, *Gender and the Military: Women in the Armed Forces of Western Democracies* (London: Routledge, 2006) — ქალი და შეიარაღებული ძალები: ქალები დასაქმდებიან დემოკრატიული ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში (ლონდონი: Routledge, 2006 წელი).

და, კონსერვატიული ორგანიზაციებია, რომლებიც ყოველთვის წინააღმდეგა იყვნენ ქალბები მოწინააღმდეგისა მათ რიგებში, მაგრამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ქალბები მოახერხეს მათთვის მიკუთვნებული სამხედრო ფუნქციების გაფართოება, რითაც გააქარწყლეს ის სტრუქტურა რომ არჩა და შეიარაღებული ძალები მხოლოდ მამაკაცური სფეროა. არსებობს მრავალი ფაქტორი, რომლებსაც შეიარაღებულ ძალებში ქალბების მზარდი მონაწილეობის ახსნა შეუძლია.

**ქალთა სამხედრო სამსახურში განვების საჭიროება**  
საგანგებო მდგომარეობებისა და ომიანობის დროს ყოველთვის ხდება განსაკუთრებულად დიდი მასშტაბის თავდასხმები და ტერიტორიებზე შეჭრები. ასეთ ვითარებაში არსებული კრიზისის გასაწყობებლად სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს მოქალაქეთა მასქიშალოური რაოდენობის მოზილიზება. ეს კი თავისთავად წარმოშობს ამ პროცესში ქალთა ჩართვის აუცილებლობას. ტიპური შემთხვევაში ქალბები სამხედრო სამსახურს იწყებენ საზოგადოებაში მათთვის მიკუთვნებული როლის მსგავსად: ხდება ამ შედეგები — სწორედ ეს იყო ის პირველი სფერო, სადაც ქალბები ჩარიცხეს დასავლურ სამხედრო ინსტიტუტებში. ომების დროს არმიამი მყოფი ქალბები რაოდენობა ყოველთვის იზრდება, მაგრამ, როგორც წესი, ომის შემდეგ ამ პერიოდში, როდესაც ქალბების უმრავლესობა თავიანთი ტრადიციული როლების შესრულებას უზრუნველბა (რაც ყოველთვის ნებაყოფლობით როდი ხდება), ეს რიცხვი ისევ იკლებს.

**ნებაყოფლობით მოხალისეთა შეიარაღებულ ძალებში განვება**  
პროფესიულ სამხედრო სისტემაზე გადასვლა ხელს უწყობს შეიარაღებულ ძალებში ქალბების მონაწილეობის გაზრდას. სამხედრო სამსახურში სავალდებულო განვების სანაწარმდგომად, რომელიც მხოლოდ მამაკაცებს ეხება, ნებაყოფლობითი (ან პროფესიული) სამხედრო სისტემები, ჩვეულებრივ, ქალთა კონტინგენტზეც ვრცელდება.

სამხედრო ახალწვეული მოსამსახურეების ნაკლებობის გამო წარმოქმნილ ვაკანსიებზე მოხალისეების მოზილიზების მიზნით ზოგიერთ ქვეყანა ახორციელებს პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე ნაწილობრივ გადასვლას. მაგალითად, რუსეთის ჯარში განვების სისტემა, მრავალ მიზეზთა გამო, ვერ ასრულებდა ახალგაზრდა მამაკაცების სამხედრო სამსახურში საჭირო რაოდენობით განვებას, რამაც, შესაბამისად, 1980-იანი წლების ბოლოს გამოიწვია სამხედრო მოსამსახურეების როგორც ნებაყოფლობითი, პროფესიული, სახელშეკრულებო ნესით აყვანის შემოღება. ამ ნესის შემოღების შემდეგ მოხალისეთა მნიშვნელოვანი ნაწილს სწორედ ქალბები წარმოადგენდნენ: 1990-იანი წლების ბოლოს მოხალისე ქალთა რიცხვმა 50%-ს მიაღწია. მართალია, ქალბები ჯარში ძირითადად დაბალი რანგის პოზიციებს იკავებდნენ, მაგრამ მათი საერთო რაოდენობა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული 3%-დან იმავე ათწლეულის მანძილზე 10%-მდე გაიზარდა.<sup>227</sup>

**კულტურული ღირებულებების შეცვლა**  
შეიძლება კამათი იმაზე, რომ შეიარაღებულ ძალებში ქალბების როლის ზრდისა და გაფართოების მთავარი გადაწყვეტი ფაქტორი საზოგადოებაში ქალბების როლთან დაკავშირებით კულტურული ღირებულებების შეცვლა-გადაფასება იყო. ეს არანაირად ყოფილა ბუნებრივი პროცესი. ქალბები როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად ყოველთვის იზრდნენ საზოგადოებრივ თუ კერძო სფეროებში თანაბარუფლებიანობის მოსაპოვებლად და ითხოვდნენ, რომ ჩართული ყოფილიყვნენ ყველა პროფესიულ საქმიანობაში პოლიტიკურად და იურიდიულად დაკანონებული ნესით. ქალთა ემანსიპაცია მჭიდრო კავშირშია საბუნებრივ ძალებში ქალბების მონაწილეობის ზოგად ზრდასთან. ამ ფართომასშტაბიანმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა გამოიწვია ქალთა და მამაკაცთა შეხვედრების შეცვლა ქალბებისათვის სამხედრო სამსახურში გარკვეული როლის მიკუთვნების საკითხთან დაკავშირებითაც, რამაც, თავის მხრივ, დააქარა ქალთა შეიარაღებულ ძალებში ჩართვის პროცესი.

**არასაბრძოლო სამსახურების ზრდა**  
მეოცე საუკუნეში ჯარისკაცის, როგორც მეომრის, სტერეოტიპი შეიარაღებული ძალების ბიუროკრატიზაციამ და კომპიუტერიზაციამ ამოშალა წარმოდგენებიდან,<sup>228</sup> რამაც, თავისთავად, შეიარაღებულ ძალების ადმინისტრაციულ, ლოჯისტიკის, სამედიცინო და სხვა სექტორებში არასაბრძოლო სამსახურების რაოდენობის გაზრდა გამოიწვია. არასაბრძოლო სამსახურების რაოდენობის გაზრდა შეიარაღებულ ძალებში ქალბების მზარდი ჩართულობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

### 5. ჩართულობის დონე

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქალბები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან და დიდ როლს ასრულებენ დასავლეთის შეიარაღებულ ძალებში და სულ უფრო მეტი ქვეყანა ანიჭებს

<sup>227</sup> Jonathan Mathers, "ქალბები რუსეთის შეიარაღებულ ძალებში: გარიგებით კორნინება?", *Minerva*: კავრტალური ანგარიში ქალბების და შეიარაღებული ძალების შესახებ, 2000 წლის შემოდგომა-ზამთარი.  
<sup>228</sup> Kùmmel, *op. cit.*, შენიშვნა 224.

მათ თვითონ შეიარაღებულ ძალებში სამსახურის კანონიერ უფლებას. ამის მიუხედავად, ქალ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა მაინც დაბალია. სხვადასხვა ქვეყნებში ქალ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი საკმაოდ განსხვავებულია (იხ. სქემა 13.3.).

### სქემა 13.3.

#### ქალების რიცხვი ეუთო-ს წევრი (შერჩეული) სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში<sup>20</sup>

სახელმწიფო	ყველა ჩინი (%)	თანამდებობის პირები (%)
ბელორუსია	5	მონაცემები არ გაგვაჩნია
ბელგია	8.3	6.3% (აქედან მაღალი რანგის ოფიცრები - 1%)
კანადა	15	გენერალ-ადმირალები: 4 ბრიგადის გენერალი: 7 პოლკოვნიკ/კაპიტანი: 4
ხორვატია	9	6
ჩეხეთის რესპუბლიკა	12	ვიცე-პოლკოვნიკი: 1 მაიორი: 4
დანია	5	2
ესტონეთი	15	-
ფინეთი	4	1-ელი ქალი ოფიცერი 2006 წ. დაინიშნა
საფრანგეთი	13	მაღალი რანგის ოფიცრები: 4 გენერალი: 1
გერმანია	7	4
საქართველო	8	მონაცემები არ გაგვაჩნია
ირლანდია	5	არც ერთი
ლატვია	15	მონაცემები არ გაგვაჩნია
ლიტვა	12	ვიცე-პოლკოვნიკი: 3 მაიორი: 6
ლუქსემბურგი	1	0.02
ნორვეგია	7	მონაცემები არ გაგვაჩნია
პოლონეთი	1	მონაცემები არ გაგვაჩნია
პორტუგალია	1	მონაცემები არ გაგვაჩნია
სლოვაკეთი	8	34
სლოვენია	11	მონაცემები არ გაგვაჩნია
ესპანეთი	14	მონაცემები არ გაგვაჩნია
შვეიცია	4	მონაცემები არ გაგვაჩნია
შვეიცარია	5	1
თურქეთი	0.2	მონაცემები არ გაგვაჩნია
აშშ	15	5

გარდა იმ ქვეყნებისა, სადაც ქალებს უფლება არ აქვთ იმსახურონ, როგორც ცხრილი გვიჩვენებს, იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მსახურობენ, მათი რიცხვი თურქეთში არსებული 0,2%-დან აშშ-ში არსებულ 15%-მდე მერყეობს. ქალებისა და მამაკაცებისათვის ხელმისაწვდომ სამხედრო კარიერათა განსხვავებულობა ალბათ კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არის ქალების თანამდებობრივი გადანაწილება ასეთი არათანაბარი. გვიჩვენებს, რომ შედარებით მაღალ სამხედრო თანამდებობებზე ქალები კიდევ უფრო დაბალი მარჩენილობით არიან წარმოდგენილი. ეუთო-ს წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში ქალები მაღალი სამხედრო ჩინით საერთოდ არ გვხვდებიან (მაგ., ლატვიაში, პოლონეთში, ესპანეთში, უკრაინაში). მაღალ სამხედრო თანამდებობებზე ქალების ყოფნის მნიშვნელობა მარტივი სტატისტიკური მონაცემების ქვედა ზღვარს დაბლავს. გენერალი ან სხვა რანგის მაღალჩინოსანი ქალების არსებობა სიმბოლურად იმის მაჩვენებელია, რომ ქალებს შეუძლიათ უმაღლეს სამხედრო ჩინებსაც კი მიიღონ. ეს აძლიერებს წარმოდგენას, რომ ქალებს შეუძლიათ სამხედრო სამსახურში წარმატებული კარიერა შეიქმნან, რაც, ალბათ, მეტ ქალს მიიზიდავს სამხედრო კარიერისაკენ. შეიძლება ფორმალურად ქალების სამხედრო სამსახურში წინსვლას ბევრი ბარიერი არ გააჩნდეს, მაგრამ სამხედრო მაღალჩინოსან ქალთა არსებობის დაბალი სტატისტიკური მონაცემები იმის დადასტურებაა, რომ ეს ბარიერები მაინც არსებობს, თუგნაც უხილავ დონეზე, და ქალებს კულტურული ბარიერების გამო არ შეუძლიათ მაღალი სამხედრო ჩინებისა და თანამდებობების მიღწევა.<sup>240</sup>

<sup>20</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხები 75 და 76.

<sup>240</sup> "The conundrum of the glass ceiling", *The Economist*, 21 July 2005, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [http://www.economist.com/displaystory.cfm?story\\_id=4197626](http://www.economist.com/displaystory.cfm?story_id=4197626).

## 6. ქალების შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობისადმი დამოკიდებულება

ქალებისათვის სამხედრო სამსახურის მეტი ხელმისაწვდომობის წარმოქმნის პროცესში სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ კონკრეტულად რა თანამდებობებზე დაინიშნონ ქალები. გამოიკვეთება ოთხი სახის მიდგომა:

- ქალებმა შეიძლება იმსახურონ მხოლოდ კონკრეტულ შენაერთებში (მაგ., სპეციალურ ქალთა რაზმებსა თუ შენაერთებში);  
უნდა აიკრძალოს ქალების არსებობა ზოგიერთ კონკრეტულ თანამდებობაზე;  
ქალებისათვის ყველა ფუნქცია ხელმისაწვდომია ისევე, როგორც მამაკაცებისათვის;  
შეიარაღებულ ძალებში ქალების არსებობა სრულიად უნდა გამოირიცხოს.

უეთო-ს წევრ სახელმწიფოებში ჩატარებულ გამოკვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უეთო-ს არეალში ნუმოლინიზებული უქანასკნელი მოდელი არ გვხვდება, თუმცა იგი სულ ახლახანს გაუქმდა, მაგალითად, იტალიამ იგი 1999 წელს გააუქმა, ხოლო უნგრეთმა — 1996 წელს.<sup>241</sup>

### ქალთა სპეციალური შენაერთები

წარსულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქალთა სპეციალური რაზმებისა და შენაერთების არსებობა. მაგალითად, აშშ-ში "ქალთა არმიის კორპუსი" (WAC) — აშშ-ს არმიის სპეციალური შენაერთი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომის დროს წარმოიქმნა, 1978 წელს გაუქმდა.<sup>242</sup> აშშ-ის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა განშტოებებს ასევე გააჩნდა ქალთა რაზმები, როგორცაა Navy WAVES, Women's Auxiliary Air Force (ქალთა საჰაერო საპაირო ძალები), SPARS of the Coast Guard (ქალთა საზღვაო სანაპირო დაცვის ძალები) და Women Airforce Service Pilots (საპაირო ძალების პილოტი ქალები). კანონის მოქმედება და ანგარიშგასანევი პოლიტიკური ზედმეტი რეგულარული ჯარში ქალების ინტეგრაციაზე ინტედათონობით ხორციელდებოდა. 1948 წელს "ქალთა შეიარაღებულ ძალებში სამსახურის ინტეგრაციის შესახებ" აქტის მიღების შემდეგ განსაკუთრებით პროგრესულად გაიზარდა როგორც სამხედრო მოსამსახურე ქალთა რაოდენობა, ასევე მათ მიერ დაკავებული სამხედრო თანამდებობების რიცხვი.<sup>243</sup> ქალთა ქვეითი არმიის დამხმარე კორპუსი (Women's Royal Army Corps) დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში 1990 წლამდე არსებობდა.<sup>244</sup> ქალთა სამხედრო კორპუსები გვხვდებოდა ასევე ნიდერლანდებში 1944 წლის დასაწყისში, როგორც იყო მაგალითად, "ქალთა დამხმარე კორპუსი", ხოლო უფრო მოგვიანებით, ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა DARVA (საზღვაო ძალები), MILVA (რეგულარული არმია) და LUVA (საპაირო ძალები). ამ სამხედრო შენაერთებში ქალებს საბრძოლო პოზიციები არ ეკავათ, ისინი მუშაობდნენ ისეთ თანამდებობებსა და რაზმებში, როგორცაა, როგორცაა, საშედიცინო, მომსახურების, სატრანსპორტო და საპაირო-სატრანსპორტო კონტროლის რაზმები. ნიდერლანდებში 1982 წელს ქალთა სამხედრო შენაერთები დაიშალა და, აქედან მოყოლებული, სამხედრო მოსამსახურე ქალთა პერსონალს ენიჭებოდა იგივე უფლება-მოვალეობები და ეძლეოდა იგივე შესაძლებლობები, როგორც მათ მამაკაც კოლეგებს.<sup>245</sup>

### ქალებისათვის ზოგიერთ კონკრეტულ თანამდებობაზე სამსახურის აკრძალვა

უეთო-ს წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში ქალებს ეკრძალებათ კონკრეტულ თანამდებობაზე სამსახური. პირველი სფერო და თანამდებობები, სადაც სამხედრო მოსამსახურე ქალების დაშვება მოხდა, იყო საშედიცინო სამსახურები, რაც ტრადიციულად მონაზრებოდა როგორც ტიპური ქალური საქმიანობა, და თანამდებობები ადმინისტრაციულ სექტორში, სადაც შესესაძლებელია სამუშაო ძირითადად ბიუროკრატიულ ხასიათს ატარებდნენ. მოგვიანებით ქალებს ნება დართეს ემსახურათ ლოჯისტიკური მომსახურების ტექნიკურ ნაწილშიც და ბოლოს, მათ საბრძოლო-დამხმარე ტექნიკური მოსამსახურის როლიც მიიჩნეს.

<sup>241</sup> NATO-ს შეიარაღებული ძალების ქალთა საკითხების შეუნაწილებელი სამსახური, [http://www.nato.int/issues/women\\_nato/perc\\_fem\\_soldier.pdf](http://www.nato.int/issues/women_nato/perc_fem_soldier.pdf), რამდენადაც ეს მოდელი უეთო-ს რეგიონში აღარ გამოიყენება, წინამდებარე სახელმძღვანელოში იგი სხვაგან აღარ იქნება განხილული.

<sup>242</sup> დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.army.mil/cmhh-pg/brochures/wac/wac.htm>.

<sup>243</sup> M. Harrell and L. Miller, ახალი შესაძლებლობები სამხედრო მოსამსახურე ქალთათვის. შვაბიგონის შედეგები, კრ-თიანობა და მოსწავლე (სანტა მონიკა, კალიფორნია: რენდი, 1997 წელი), შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [http://www.rand.org/pubs/monographs\\_reports/MR896](http://www.rand.org/pubs/monographs_reports/MR896). ეს აგარიზი გთავაზობთ აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ქალთა ინტეგრაციის დეტალურ აღწერას.

<sup>244</sup> იხილეთ ვებ-გვერდი: [www.wracassociation.co.uk](http://www.wracassociation.co.uk).

<sup>245</sup> Katia Sorin (ed.), *Des femmes militaires en Occident, quels enseignements pour la France ?* (Paris: Centre d'études en sciences sociales de la défense, 2003), გვ. 94-118, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [http://www.c2sd.sga.defense.gouv.fr/IMG/pdf/SORIN\\_femmes\\_militaires\\_occident\\_premiersemesestre2005.pdf](http://www.c2sd.sga.defense.gouv.fr/IMG/pdf/SORIN_femmes_militaires_occident_premiersemesestre2005.pdf).



**დაიშვებიან თუ არა ქალები საბრძოლო სამხედრო პოზიციებზე? ეუთო-ს წერილ სახელმწიფოების გამოცდილება<sup>246</sup>**

ქალებს საბრძოლო სამხედრო თანამდებობების დაკავება შეუძლიათ შემდეგ ქვეყნებში: ავსტრია, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კანადა, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საქართველო, გერმანია, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პოლონეთი, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვეიცია, შვეიცარია და თურქეთი.

ქალებს საბრძოლო სამხედრო თანამდებობების დაკავება არ შეუძლიათ შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, საფრანგეთი, პორტუგალია, უკრაინა, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და აშშ.

ზოგიერთ ქვეყანაში (როგორც 13.4 სქემაშია ნაჩვენები) ქალებს ხშირად არ ეძლევათ საბრძოლო სამხედრო თანამდებობების დაკავების უფლება, აღნიშნულის ძირითად ოფიციალურ მიზეზად ქალებსა და მამაკაცებს შორის ფიზიკურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული განსხვავებები სახელდება, რაც, ამ დამოკიდებულების მომხრეთა მტკიცებით, ქალ სამხედრო მოსამსახურეებს ხელს უშლის მინიმალური სავალდებულო სტანდარტების მიღწევაში. პერ ქვეყანაში, როგორცაა, მაგალითად, საფრანგეთი, ბელორუსია უკრაინა და აშშ, ქალებს არ შეუძლიათ კონკრეტული სამხედრო თანამდებობების დაკავება. ნიდერლანდებში ქალებს ეკრძალებათ საზღვაო სამხედრო ძალებსა და წყალქვეშა ფლოტში სამსახური.<sup>247</sup> დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ქალები მსახურობენ ყველა სპეცილობით, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც მოსამსახურეთა მთავარი მოვალეობაა "ჩაერთოს მტერთან ბრძოლაში და მოკლას იგი." სწორედ ამის გამო, ქალებს არ ეძლევათ უფლება იმსახურონ საზღვაო ფესოსანთა სამსახურში (სამეფო საზღვაო კომანდოსი), ცხენოსანთა კავალერიაში და ჯავშანსატანო კორპუსში, მკვით რაზმსა და საჰაერო ძალების პოლკო. თუმცა, ეს შეზღუდვები მათ ხელს არ უშლის, იმსახურონ იმავე შენაერთების ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებზე. სამხედრო-საზღვაო ძალების ოფიციალური გამოცემების მიხედვით, ქალებს არ ეძლევათ უფლება იმსახურონ წყალქვეშა ნავებზე და გამანადგმელულად, რადგან ამ დროს არის მკვეთრ არეობის შესუნთქვის საშიშროება.<sup>248</sup> საბრძოლო პოზიციებიდან ქალებს გამოირიცხება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში ბოლოდროინდელი განხილვების საგანია იმ ნიდავზე, რომ ყველას თანაბარი თანამდებობრივი უფლებები და არჩევანის საშუალება უნდა ექნოდეს მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ, მზარდი კრიტიკის ფონზე, ჩაატარა საბრძოლო ეფექტურობის შესწავლა გენდერულ საკითხთან მიმართებაში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, რომლებიც 2002 წელს გამოქვეყნდა, თავდაცვის მდივანმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო თანამდებობებში უშუალო მონაწილეობა ქალებისთვის შეზღუდული დარჩებოდა საბრძოლო ეფექტურობის საფუძველზე არა იმიტომ, რომ ქალები ამ როლისათვის შეუფერებელი არიან, არამედ "ხელჩართული ბრძოლის პირობებში საბრძოლო გუნდში სქესთა აღრევის შედეგებზე" ზრუნვის გამო.<sup>249</sup>

**ქალებისთვის ხელმისაწვდომია ყველა სამხედრო ფუნქცია საბრძოლო როლის ჩათვლით**

ზოგიერთ ქვეყანაში ქალებისთვის ყველა სამხედრო ფუნქცია, საბრძოლოს ჩათვლით, ხელმისაწვდომია მათი რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. პირობებებს არ ეკრძალებათ მუშაობა და არ იზღუდებიან სამუშაო სფეროში სქესის ნიდავზე. ამ მიდგომას ემყარდებიან ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ავსტრია, ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პოლონეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვეიცია, შვეიცარია და თურქეთი. ეს შედარებით ახლებური მიდგომაა, მაგალითად, ნორვეგია — ქვეყანა, რომელშიც შეიარაღებულ ძალებში ქალების ინტეგრაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, 1985 წელს გახდა ნატო-ს პირველი ქვეყანა, რომელმაც ქალებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ყველა თანამდებობა და პოზიცია, ყველაქვეშა გეგმების ჩათვლით. კანადის სამხედრო მოსამსახურე ქალებს 1989 წლიდან მოყოლებული ასევე შეუძლიათ თითქმის ყველა

<sup>246</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 73.  
<sup>247</sup> *Sarin, op. cit.*, უკნიშვნა 245.  
<sup>248</sup> Defense Factsheet, "ქალები შეიარაღებულ ძალებში", შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.mod.uk/DefenceInternet/Factsheets/WomenInTheArmedForces.htm>.  
<sup>249</sup> "ქალები შეიარაღებულ ძალებში", დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო, 22 მაისი 2002, <http://www.mod.uk/NR/rdonlyres/19B34876-75F9-47E0-B376-AE04809F833B/3/summary.pdf>. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: R. Woodward and P. Wintler, "გენდერული საკითხების განხილვა თანამდებობრივ ბრძანებულ არმიებში", ტომი 30, № 2, 2004 წლის ზაფარი, გვ. 289.

ფუნქციის შეთავსება, ის ერთადერთი შეზღუდვაა კი, რომელიც წყალქვეშა გემებზე სამსახურს ეხებოდა, 2001 წლიდან მოხსნილია.<sup>250</sup>

თუმცა მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ თანამდებობებისა და პოზიციების ოფიციალურად ხელმისაწვდომობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს თანამდებობები და პოზიციები აუცილებლად არის დაკავებული ქალების მიერ. მაგალითად, დანიასა და ნორვეგიაში ქალებისათვის ხელმისაწვდომია ყველა თანამდებობა და პოზიცია, მაგრამ ჯერ არც ერთ ქალს არ უმსახურია პარამუტისტი-რეინჯერად, წყალქვეშა კომანდოსისა თუ სამხედრო-საბრძოლო პილოტის პოზიციაზე.<sup>251</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში ქალებმა თანამდებობებისა და პოზიციების სრული ხელმისაწვდომობა მხოლოდ სასამართლოს ჩარევით მოიპოვეს, როგორც ეს, მაგალითად, გერმანიაში მოხდა. ელექტროკის განათლების მქონე ტანია კრაილმა 1996 წელს მოხალისედ მიმართა ფედერალურ შეიარაღებულ ძალებს და ითხოვა იარაღის ელექტრონული გამართვის საბრძოლო დამზარეულ თანამდებობა. ყველაფრის მიუხედავად, მისი კანდიდატურა მაინც უარყოფილ იქნა ფედერალური შეიარაღებული ძალების გამწვევი ცენტრის მიერ იმ მიზეზით, რომ ქალები მხოლოდ სამედიცინო და მუსიკალურ სამსახურებში უნდა მსახურობდნენ და არა ისეთ სამსახურში, სადაც იარაღის გამოყენება ხდება.<sup>252</sup> გერმანიაში ყველა სამართლებრივი საშუალება ამ პირობების შემდეგ, ტანია კრაილმა ევროპის სასამართლოს მიმართა, რომელმაც დაადგინა, რომ პიროვნების სქესი არ უნდა განიხილებოდეს მისთვის ამა თუ იმ თანამდებობისა თუ პოზიციის დაკავების კატეგორიული აკრძალვის საფუძველად, მათ შორის შეიარაღებულ ძალებში.<sup>253</sup> სექსმაში 13.5 მოცემულია ამ დადგინების მთავარი პუნქტების შეჯამება. საგულგონიშნოა, რომ, სასამართლოს განცხადებით, ევროპის საბჭოს დირექტივა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და საშუალებების მიცემის შესახებ უნდა გავრცელებულიყოს შეიარაღებულ ძალებშიც და იქვე განისაზღვრა ქალების შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ევროპული სტანდარტებიც.

### სქემა 13.5

**განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი: ევროპის სასამართლო იღებს ქალისათვის ისეთი სამშვლურების აკრძალვის გადაწყვეტილებას, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან არის დაკავშირებული<sup>254</sup>**

- ევროსაბჭოს 1976 წელს გამოცემული დირექტივა 76/207/EEC ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი საშუალო საშუალებების მიცემის შესახებ ეხება შეიარაღებულ ძალებში სამსახურსაც;
- დირექტივა არ აშორებს ქალების უფორმ შეტად დაცვას იმ რისკებისაგან, რომლებსაც ქალები და მამაკაცები თანაბრად ექვემდებარებიან;
- მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელმძღვანელობა, გარკვეულწილად, თავისუფალია დააყენოს იმ პირობების მნიშვნელობა, რომ ინდივიდის უფლებაა ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი მიღწევა არსებობდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ქალების მთლიანად გამორიცხვა ყველა სამხედრო პოზიციის დაკავებიდან, რაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას გულისხმობს, გაუმართლებელია;
- შეიარაღებული ძალების ბუნების გათვალისწინებით, ის ფაქტი, რომ ამ ძალებში მომსახურე ადამიანებს შეიძლება მოუწიოთ იარაღის გამოყენება, ვერ აშორებს ქალების მთლიანად გამორიცხვას სამხედრო პოზიციების დაკავებიდან.

ამ დადგინებების მიღების შემდეგ გერმანიის მთავრობამ საბრძოლო შენაერთები ქალებისათვის ხელმისაწვდომი გახადა.<sup>255</sup> 2001 წლის იანვრიდან ქალებს მიეცათ უფლება დაეკავებინათ ნებისმიერი თანამდებობა, თუკი მათი კვალიფიკაცია აღნიშნული თანამდებობის დაკავების კრიტერიუმებსა აკმაყოფილებდა.<sup>256</sup> სხვა შემთხვევაში, რომელიც ბრიტანულ სამხედრო მოსამსახურე ქალებს ეხება, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ქალების მონაწილეობა

<sup>250</sup> Vicki Nilsen, "ქალები სამხედრო ფორმებში", NATO-ს რევიუ, ტომი 49, No. 2, 2001 წლის ზაფხული, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.nato.int/docu/review/2001/0102-09.htm>.

<sup>251</sup> იქვე.

<sup>252</sup> სამხედრო კარიერის შესახებ რეზოლუციის მე-3 თავი.

<sup>253</sup> *Kreil v. Bundesrepublik Deutschland*, ევროპის სასამართლო, შემთხვევა NC-285/98, 11 იანვარი, 2000, შეგიძლიათ იხილოთ სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://curia.europa.eu>.

<sup>254</sup> იქვე.

<sup>255</sup> 2003 წლის დეკემბერში ვარშავაში ODIHR-DCAF-ის ექსპერტთა შეხვედრაზე დამსრე გერმანელი ექსპერტების თანხმად, ფედერალური შეიარაღებული ძალების ყველა თანამდებობაზე არ მიუწვევიათ ხელი ქალებს. მაგ., ქალებს არ შეუძლიათ იმსახურონ სპეციალურ საინტერვენციო ნაწილებში.

<sup>256</sup> K. Klumel, "სრული ხელმისაწვდომობა: ქალები ბუნდესვერში და მამაკაცური გაორება", *შეიარაღებული ძალები და საზოგადოება*, ტომი 28, No. 4, 2002 წლის ზაფხული, გვ. 555-573.

ილიბა შეიძლება გამოიყენოს იქნას განსაკუთრებული სამხედრო ძალებიდან, ანუ საზღვაო ქვეითი ჯარის რიგებშიც.<sup>257</sup> სასამართლო განცხადება, რომ თავდაპირველი შენარჩუნების მოქმედებათა გაშლა ისევე, როგორც ურთიერთ ქმედებების შესაძლებლობა თანაბარი მიდგომის უფლების შეზღუდვის საშუალებას იძლევა.

## 7. სექსუალური დევნა-შეინიშნობა და გენდერული სპეციფიკი მქონე დისკრიმინაციის სხვა ფორმები

მიუხედავად იმისა, რომ ქალები ბევრ ქვეყანაში დე იურე უფლებამოსილი არიან იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში, დე ფაქტო, ისინი მაინც აწყდებიან გენდერულ დისკრიმინაციას. თუმცა სახელმწიფოთა უმეტესობა ოფიციალურად ქალებისა და მამაკაცების თანასწორ უფლებებს აღიარებს, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისას ქალებს არ გააჩნიათ მამაკაცებთან თანაბარი სტატუსი, რაც კულტურული და სტრუქტურული უთანასწორობის შედეგია. წინააღმდეგობის დიდ ნაწილში მოდის არსებული ფესვგადგარაი რწმენა-წარმოდგენებიდან იმ კულტურებში, სადაც მამაკაცი ნამყენი ფიგურაა, რადგან ასეთი კულტურა საქმედრო სამსახურს ძირულად მამაკაცური ინსტიტუციის რანგს მიაკუთვნებს. გენდერული დისკრიმინაცია ასევე ახდენს გავლენას სამხედრო სამსახურში განვებისა და სამხედრო თანამშრომლობის პოლიტიკაზე. დისკრიმინაცია სხვადასხვა ფორმით ვლინდება: სამხედრო სამსახურში განვების არსებული მიეკრობულობითა თუ შესრულებული სამუშაოს — განვული სამსახურის დიფერენციალური შეფასებით, ქალებისათვის სპეციალურად შექმნილი, დამხმარე საშუალებების არარსებობით თუ დეკრეტული შეზღუდვებისა და ქალების საბრძოლო ფუნქციების შესახებ საკანონმდებლო დოკუმენტაციის არარსებობით. ქალებისა და მამაკაცებისათვის განსხვავებული კარიერული შესაძლებლობების არსებობა ასევე განმარტავს, თუ რატომ არის სამხედრო ჩინები ქალებზე ასე არათანაბრად გადანაწილებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სავარაუდოდ, ქალებისა და მამაკაცებისათვის არსებული შერჩევის ორმაგი სტანდარტები ზშირად ძირს უთხრის ქალების მხრიდან ნდობა და მამაკაცი კოლეგებისადმი მტრულ დამოკიდებულებას წარმოშობს. შედეგად კი სამხედრო მოსამსახურე ქალები ხედავენ, რომ მათ ორმაგი მუშაობა და ძალისხმევა სჭირდებათ, რათა იგივე პატივისცემა და დაფასება მოიპოვონ, რაც მათ მამაკაც კოლეგებს გააჩნიათ. უფრო მეტიც, იმ ქალების მიმართ, რომლებიც კომპეტენტურ ჯარისკაცებად ითვლებიან, ჩნდება კითხვები მათი სექსუალურობის კუთხით.<sup>258</sup> სწორედ ამიტომ საჭიროა რეკრუტირების ეტაპზე უფრო ღია პოლიტიკის არსებობა. მაგალითად, სექსობრივი კუთხოვნისაგან დამოუკიდებელი ფიზიკური შერჩევის სტანდარტები (მაგ., გაერთიანებულ სამეფოში<sup>259</sup>).

### სექსუალური დევნა-შეინიშნობა და სექსუალური ძალადობა

სექსუალური დევნა-შეინიშნობა წარმოადგენს გენდერული დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და შემდეგნაირად განისაზღვრება:

სექსუალური ხასიათის შეტევით ქმედება პიროვნების მიმართ მისი სურვილის წინააღმდეგოდ, ინტიმური ურთიერთობის მოთხოვნა და სექსუალური ხასიათის მქონე სხვა ქმედებები ... როდესაც (1) ასეთი ქმედებისა და ზნისათვის დათმობა გველეხება ინდივიდის სამსახურებრივი რეკრუტირების აშკარა თუ ფარულ პირობად, (2) ინდივიდის მიერ მისდამი ასეთი ქმედებისადმი დათმობა ან მისთვის წინააღმდეგობის განვება გამოიყენება ამ ინდივიდის სასახურებრივი რეკრუტირებისა და განწყვეტილების მიღების საშუალებად, ან (3) ასეთი ქმედებას შედეგად მოჰყვება ინდივიდის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში მნიშვნელოვანი ჩარევა ან ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს, სადაც ადგილი აქვს დამინებასა და შეურაცხყოფებს.<sup>260</sup>

ზევით მოყვანილი განსაზღვრება სექსუალური დევნა-შეინიშნობის ორ ტიპს გამოყოფს: პირველი ტიპი, ეს არის *quid pro quo* (სამსახურის განვება საპასუხო სამსახურის განვების წაცხვლად) დევნა-შეინიშნობა, რომელშიც ინდივიდის სამსახურებრივი რეკრუტირების, სამსახურთან დაკავშირებული, დანაშაულებისა თუ ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე გადწყვეტილების მიღება ხდება თანამშრომლის მხრიდან სექსუალურ შეტევით ქმედებებზე საპასუხო რეაგირების მიხედვით. სექსუალური დევნა-შეინიშნობის მეორე ტიპი გულისხმობს მტრული სამუშაო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსახურე ქალთა პერსონალი მამაკაცი თანამშრომლების მხრიდან სექსუალური შეტევებისა თუ მათ მიმართ განხორციელებული

<sup>257</sup> *Sivdar v. The Army Board, Secretary of State for Defence*, ევროპის სასამართლო, 29 ოქტომბერი, 1999, შეფასდება №8-273/97, შეგიძლიათ იხილოთ სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://curia.europa.eu>. კომენტარებისთვის იხილეთ G. Harries-Jenkins, "Women in Extended Roles in the Military: Legal Issues", *Current Sociology*, ტომი 50, No.5, 2002 წლის სექტემბერი, გვ. 745-769.

<sup>258</sup> L. Miller, "ქალები შეიარაღებულ ძალებში", J. Callaghan and F. Kernic (eds.), *შეიარაღებული ძალები და საერთაშორისო უშიშროება: გლობალური ტენდენციები და საკითხები* (Münster: Lit Verlag, 2003), გვ. 222.

<sup>259</sup> Woodward and Winter, *op. cit.*, შენიშვნა 249, გვ. 286.

<sup>260</sup> "სექსუალური კორსპონდენციის რეპორტები ქალების წინააღმდეგ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ", გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისია, E/CN.4/1997/47, 12 თებერვალი 1997.

სექსუალური ხასიათის ქმედებები სხვა ქმედებების სამიზნე ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან; მაგალითად, მამაკაცები მათ ფიზიკურად ეხებიან, როცა არ არის ამის საჭიროება, მიმართავენ შეურაცხმყოფელი გამოთქმებით ან ახორციელებენ ძალადობრივ სექსუალურ ქმედებებს. სექსუალური დევნა-შევიწროება იწვევს მისი მსხვერპლის ემოციურ და ფსიქოლოგიურ დონეზე დაზარალებას და შეიძლება მოსასხარებელი ქალთა პერსონალის მიერ ასეთ პირობებში საშუაშოს შესრულებაზე უარყოფითად აისახოს და ხელი შეუშალოს მათ თავიანთი კარიერული დაკავშირებული მიზნების მიღწევაში. ხელმძღვანელ თანამდებობაზე მოშვებულ ნებისმიერი პირი, რომელიც ამკარად დევნად მიმართავს ან ხელს უწყობს თანამშრომლის მიმართ მისი კარიერაზე, საშუაშოს შესრულებასა თუ ანაზღაურებაზე გავლენის მოხდენის ასეთ საშუალებებს, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით განახორციელებს მის მიმართ სექსუალურ დევნა-შევიწროებას.

### სექსუალური ძალადობა

შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქალთა პერსონალის მიმართ სექსუალური ხასიათის თავდასხმითი ქმედება და ძალადობა ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოში თავდაცვის სამინისტროსა და თანხაერი შესაძლებლობების განხილვის კომისიის მიერ ბოლო ხანებში ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგების მიხედვით, თითქმის ყველა სამხედრო მოსამსახურე ქალი, იქნას ზო დიდ მთონების ასეთი ქმედებისგან, ისმენს და იტანს სექსუალური ხასიათის ქმედებების მიხედვით, ამბებსა და გამოთქმებს და ასეთი ხასიათის ფაქტებსაც აწყდება თავის საშუაშო ადგილას. მათგან 15%-ს "განსაკუთრებით შემაფთოებელი" შემთხვევების გამოცდილება ალმოიზანდა, ხოლო 4 პროცენტზე მეტი განაცხადდა, რომ ის სექსუალური თავდასხმის და ძალადობის რიგეტი გამხდარა.<sup>21</sup> აშშ-ში 2005 წელს თავდაცვის დეპარტამენტმა სექსუალური დევნისა და ძალადობის 2374 შემთხვევა გამოაოლინა, რაც 2004 წელს გამოქვეყნებული შესაბამისი სტატისტიკის (1 700 შემთხვევა) 40%-ით ზრდას ნიშნავს. 2004 წლის სტატისტიკური მონაცემები კი, თავის მხრივ, 2003 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით (1012 შემთხვევა), 25%-იან ზრდას უჩვენებს. 2003 წელს, 2002 წელთან შედარებით, ეს ზრდა იყო 4%. ქალ ვეტერანთაგან, რომლებიც პრომისიულწარობისათვის დახმარებას ითხოვენ, 69% საბრძოლო პერსონალის, ხოლო 86% არასაბრძოლო პერსონალის ვეტერანი როგორც სამსახურის დროს, ასევე სამსახურის დამთავრების შემდეგ წაწყდომია სექსუალური დევნისა და ძალადობის შემთხვევებს. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ქალთა სამხედრო პერსონალის მიმართ განხორციელებული სექსუალური დევნა და ძალადობა 3-10-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე, ზოგადად, მოსახლეობაში ქალების მიმართ განხორციელებული იგივე ქმედებები.<sup>22</sup>

სექსუალური დევნა-შევიწროება და ძალადობა იწვევს ზიანს არა მარტო მისი მსხვერპლის ემოციურ და ფსიქოლოგიურ დონეზე, არამედ მომსახურე ქალთა პერსონალის მიერ ასეთ პირობებში შესრულებული საშუაშოს დონისა და საზოგადოების თვალში შეიარაღებულ ძალების იმიჯის დაკნინებას. შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებში სექსუალური დევნა-შევიწროების თავიანთი აკილება ძალზე მნიშვნელოვანია მისი ყველა წევრისათვის უსაფრთხო და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად. თუმცა ძალადობის ზეგერი ფაქტი დაუსჯელი რჩება, რადგან ქალთა მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს არმიის საჩივრის წარდგენა-განხილვის პროცედურებს შეიარაღებული ძალების გამოსასწორებელი სისტემისადმი არასათანადო დონის გამო. ხშირ შემთხვევაში ქალები საიდუმლოდ ინახავენ მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს და თავიანთი ძალებით უწყვეტ ნინაღმდეგობას შექმნილ სიტუაციას, რამდენადაც შიშობენ, რომ ამ ფაქტის გახმოვანება შეარყოფითად იმოქმედებს მათ კარიერაზე და, ამასთან, მათ არც დაუჯერებენ. ზოგიერთი მათგანი სამსახურსაც კი ტოვებს აღნიშნული ფაქტების გამო.

## 8. სექსუალური დევნა-შევიწროების აღმკვეთი პოლიტიკა და მექანიზმები

ეთოთ-ს ნეერ ზოგიერთი სახელმწიფოში სექსუალური დევნა-შევიწროება, ჩადენილი ქმედების სიმძიმის მიხედვით, კვლავიციოდება როგორც დისციპლინური ან სისხლისსამართლუ-

<sup>21</sup> S. Rutherford, R. Schneider, A. Walmsley, "თავდაცვის სამინისტროსა და თანხაერიების კომისიის ხელშეკრულება სექსუალური დევნის თაუდან აკილებისა და მასთან ეფეტური ბრძოლის შესახებ: შეიარაღებულ ძალებში ქალთა სექსუალური დევნა-შევიწროების რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა", 2006 წლის მარტი, შეიარაღებული ძალების ევპ გვერდზე: <http://www.mod.uk/NR/rdonlyres/538E55EE-9CA4-4177-9A0B-6853A41B2B3D/20060522SRReport.pdf>; "HOD და EOC ათანხებენ ქმედებებს შეიარაღებულ ძალებში ქალთა სექსუალური დევნა-შევიწროების აღმკვეთი", შეიარაღებული ძალების ევპ გვერდზე: <http://www.mod.uk/DefenceInlternet/DefenceNews/Defence-PolicyAndBusiness/ModandEccolReactionToTacticsSexualHarassmentInTheArmedForces.htm>; Christine Hansson, "The Miss Foundation-ის აღმასრულებელი დირექტორის, გამოსულა, შეიარაღებულ ძალებში და სახმედრო აკილების ქალთა სექსუალური დევნა-შევიწროების, ჩატვრისა და ძალადობის შესახებ საკითხის მოსმენა, სანფრეული უბრძოლის ექსპორტების თავდაზარის, პატ. კრისტოფერ შერისადმი წარმოდგენილ მოწმის წინებას წარმოქმნილ საფრთხე და სასაზოგარო რეფორმების კომიტეტის საერთაშორისო ურთიერთობები აშშ-ს წარმომადგენელთა პალატაში", 27 ივნისი, 2006.

ბრივი დანაშაული. ხშირ შემთხვევაში არ არსებობს სპეციალური საჩივრის შეტანის პროცედურა, რის გამოც ქალები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების მსხვერპლად გვევლინებიან, იწყებენ რიგითი არაფორმალურ პროცედურას თავიანთი ზემდგომი პირისადმი შეტყობინებით, ამ უკანასკნელმა კი შეიძლება შემთხვევა თავად გამოიძიოს ან ხელმძღვანელ პირს გადასცეს განახილველად. თუკი ეს განხილვა-გამოძიება დაზარალებულისათვის დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა, მათ შეუძლიათ საკითხის ხელახალი განხილვა სამოქალაქო სასამართლოში ითხოვონ (როგორც ეს ხდება, მაგალითად, საფრანგეთსა და შეიქცევაში) ან სახმედრო პროკურატურაში (როგორც, მაგალითად, უკრაინაში). თუმცა, შემთხვევის სიმძიმის გათვალისწინებით, უმჯობესია, სექსუალური დევნა-შევიწროება განხილვადგეს დანაშაულად და საქმის წარმოება თავიდანვე სახელმწიფოს სისხლის სამართლის საქმეების განხილვადგოს სასამართლოებზე დაიწყონ და არა — სახმედრო სასამართლო სისტემაში.

ზოგიერთმა სახელმწიფომ, შეიარაღებულ ძალებში სახმედრო მოსამსახურე ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური დევნისა და ძალადობის სიმძიმისა და ხასიათის ინტენსიური გამოძიების შემდეგ, პრობლემის უფრო ეფექტურად გადაჭრის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვაჭტარებისა განსაკუთრებულ ღონისძიებები. ასე მოხდა, მაგალითად, დანიაში, სადაც 2003 წელს თავდაცვის კოლეჯის ფსიქოლოგთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, დანიის თავდაცვის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და მიიღო შრავილი საკანონმდებლო ინიციატივა და კანონი სექსუალური დევნისა და ძალადობის აღსაქვეთად. ამ მიზნით, ფსიქოლოგიური კონსულტაციებისათვის გაიხსნა ცხელი ხაზი და ჩამოყალიბდა ადგილობრივი საადოკატო-საკანსულტაციო ორგანიზაციები. დღესდღეობით ადოკატ-კონსულტანტთა როლი უკვე ფართოდ არის ფეხმოკიდებული ადგილობრივ მოსახლეობაში და როგორც საზოგადოების წარმომადგენლებმა, ასევე ხელმძღვანელმა პირებმა აქტიურად დაიწყეს ამ საშუალების გამოყენება კონფლიქტების მოგვარების საქმეში. უფრო მეტიც, 2006 წლის იანვარში დანიის შეიარაღებულმა ძალებმა შემოიღო სპეციალური ნებისა და პერსონები, რომელთა თანახმადაც კონკრეტული ქმედებები უკვე დასჯადი გახდა (იხ. სქემა 13.6).

ამ ინიციატივებმა და კანონებმა შედეგად დანიის შეიარაღებულ ძალებში სექსუალური დევნისა და ძალადობის ფაქტების შემცირება გამოიწვია. 2003 წელს ჩატარებული პირველი შეფასების მონაცემების მიხედვით, 80%-ით იყო სექსუალური დევნისა და ძალადობის შემთხვევათა რიცხვები.

**სქემა 13.6**

**დანია იღებს საკანონმდებლო ინიციატივებსა და კანონს სექსუალური დევნისა და ძალადობის საინიციატივოდგადგოს**

**პირადი კონსულტაციები**  
 დანიის თავდაცვის კოლეჯამ ჩამოაყალიბა 50 ადამიანისაგან შემდგარი ორგანიზაცია, რომელიც დასაქმებული არიან ორივე სქების ადგილობრივი მოსახლეები, რომლებიც აწარმოებენ კონსულტაციებს უნევენ ყველას, ვინც მათ ასეთი თხოვნით მიმართავს. სექსუალური დევნისა და ძალადობის, ასევე უარყოფითი საშუალო გარემოს მსხვერპლი მოსამსახურეებისათვის კონსულტაციები უფასოა. მათ შეუძლიათ კონფიდენციალური შეხვედრა გამართონ ნეიტრალურ პერსონებსთან, რომელთა მათ კონსულტაციას გაუწეებს და დახმარებას აღმოუჩენს. საჭიროების შემთხვევაში, ადოკატ-კონსულტანტებს შეუძლიათ ინფორმაცია არსებული ფაქტები შესაბამის ხელმძღვანელ პირებს გადასცენ ან მოავგარონ შუამდგომლობის გზით. კონსულტანტები უშუალოდ სხვადასხვა სახის ჩაჯერის გამოკვლევების შემთხვევებზე, როგორებიცაა, მაგალითად, სექსუალური დევნა და ძალადობა, ძალმომრებითი ჩაჯერა და დისკრიმინაცია.

**სექსუალური დევნისა და ძალადობის საინიციატივოდგადგოს საინფორმაციო ბროშურები**  
 დანიის თავდაცვის კოლეჯამ სექსუალური დევნისა და ძალადობის ფაქტებთან ბრძოლის ფარგლებში გამოსცა ხელმძღვანელი პირებისა და მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი სპეციალური საინფორმაციო ბროშურები. ვარდა ამისა, თავდაცვის პერიოდულ გამოცემაში (ჭურნალიში) გამოქვეყნებულ იქნა შესაბამისი შინაარსის მასალები.

- ადგილობრივი ინიციატივები (შიდაორგანიზაციულ დონეზე), რომლებიც მოიცავს:**
- დიალოგს სექსუალური დევნისა და ძალადობის შესახებ ორგანიზაციის შიგნით ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;
  - ადგილობრივ გამოკითხვებს მოსამსახურეებს შორის;
  - მთავარ გენდერულ მიმართულებებს ადგილობრივ საზოგადოებრივ პოლიტიკაში;
  - ადგილობრივ სამოქმედო გეგმებს სექსუალური დევნისა და ძალადობის საინიციატივოდგადგოს;
  - დიალოგს ქალებს შორის სექსუალური დევნისა და ძალადობის შესახებ;
  - სექსუალური დევნისა და ძალადობის თემას, როგორც სამსახურების სპეციალურ (საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შედგება ხელმძღვანელი პირებისა და მოსამსახურეებისაგან) დღის წესრიგის მუდმივ საკითხს;
  - დაესუსტებს სექსუალური დევნისა და ძალადობის შესახებ ადგილობრივ უსაფრთხოების საბჭოში;

241 ODHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 53.

- სექსუალურ დევნისა და ძალადობის საკითხს, როგორც პერსონალის ყოველწლიური შეფასების ნაწილს;
- სექსუალური დევნისა და ძალადობის საკითხების ჩართვას ხერხანტებისა და ოფიცრებისათვის განკუთვნილ საგანმანათლებლო პროგრამებში;
- ხელმძღვანელი პირების მხრიდან გამახვილებულ ყურადღებას, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ოპერატიული ჩარევა;
- სექსუალური დევნისა და ძალადობის შესახებ კურსის შესავალ ნაწილში ამ საკითხისადმი ყურადღების გამახვილებას;
- შურადაცხმყოფელი ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის საშუალებით გაერცვლებული მასალების აკრძალვას.

შიმარდ პოლიტიკურმა და სამხედრო ლიდერებმა იციან, რომ სექსობრივი ჩაგვრა შეიარაღებულ ძალეში უნდა აღიკვეთოს იმ მიზეზებით, რომლებიც მხოლოდ ცალკეული ინდივიდების კეთილდღეობის საკითხს სცილდება. დევნა-შევიწროება შეიარაღებული ძალების პერსონალს შორის ურთიერთნდობას და ურთიერთდამოკიდებულებას ასუსტებს და ძირს უთხრის ამ სფეროს წარმატებულობას ისევე, როგორც შეიარაღებული ძალების დადებით და თანამშრომლობისათვის სასურველ იმიჯს.

## 9. თანასწორობის ხელშეწყობის პოლიტიკა

განსხვავებულობისა და მთავარი გენდერული მიმართულებების მართვა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიარაღებულ ძალებში ქალების არსებობის საკითხი უნდა განიხილოდეს როგორც სხვადასხვა დემოგრაფიული ფონის მქონე ადამიანების რეკრუტირებისა და სამხედრო სამსახურის გავლის, ასევე მათი მონაცემების ოპტიმალურად გამოყენების საკითხი. ბიზნესისა და სამხედრო მიმართულებების კვლევის შედეგზე დაყრდნობით, დღესდღეობით, ზოგადად, მიღებულია აზრი, რომ განსხვავებულობა ორგანიზაციული დანაყოფების დაჯგუფებებში შეიძლება იყოს როგორც უპირატესობა, ასევე უარყოფითი მხარე იმის მიხედვით, თუ რა ინსტიტუციური ზომები ტარდება ამა თუ იმ შეიარაღებულ ძალეში ან რა განსხვავებებს აქვს ადგილი შიდა საორგანიზაციო დონეზე (მაგ., ხელმძღვანელობა, დავალებები და შესასრულებელი საკითხები თუ ჯგუფური შემადგენლობა). ამ კონტექსტში სქესის თემა არ წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც განსახილველად და მოსაგვარებლად შეიძლება გადაეცეს გენდერულ საკითხებზე მომუშავე ოფიცრს ან მეთვალყურეს ერთ რომელიმე სამსახურში, რადგან ვერც ერთი სამსახური თუ თანამდებობის პირი ვერ იქნება ჩართული სამხედრო სამსახურის ყველა ეტაპზე შეიარაღებული ძალების ყველა შენეარტში.

"გენდერული პერსპექტივების უზრუნველყოფა და გენდერული თანასწორობის მიზნებისადმი ყურადღების გამახვილება ყველა ქმედებათათვის ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა — პოლიტიკის განვითარება, კვლევა, დაცვა/დიპლომატი, კანონმდებლობა, წყაროების გადამანაწილება და დაგეგმვაზე, პროგრამებისა და პროექტების განხორციელება და მონიტორინგი."<sup>24</sup> ამ კონტექსტში ქვემოთ მოცემული პოლიტიკა და პოზიტიური ქმედებები ხელს უწყობს შეიარაღებულ ძალებში ქალთა ინტეგრაციას.

## სქმა 13.7

**ბელგიის წესდება შეიარაღებულ ძალებში ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნასა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების პრინციპების განხორციელების შესახებ<sup>25</sup>**

1975 წლიდან მოყოლებული, როცა ქალები პირველად შეუერთდნენ ბელგიის შეიარაღებულ ძალებს, სახეზე გაქვს შთამბეჭდავი პროგრესი ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში. 2007 წლის მ მარტის ბელგიის თავდაცვის მინისტრმა და მეთაურმა თავდაცვის საკითხებში, ბელგიის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ხელი მოაწერეს წესდებას შეიარაღებულ ძალებში სტრუქტურული თანაბარი შესაძლებლობების შექმნა-ხელმისაწვდომობისა და მთავარი გენდერული მიმართულებების მხარდასაჭერად. ბელგიის შეიარაღებული ძალები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამშვიდობო ოპერაციებში მთავარი გენდერული მიმართულებების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს № 1325 რეზოლუციას/გადანწყვეტილებას.

წესდება მოიცავს 10 მოვალეობა-ვალდებულებას ბელგიის შეიარაღებული ძალებისათვის, მათ შორის, კონკრეტული სტრატეგიის ფორმულირებას (თავი 2), კონკრეტული სამოქმედო გეგმების ფორმულირებას (თავი 4), მთავარი გენდერული მიმართულებების განსაზღვრასა და განხორციელებისათვის თანხების დაყოფას (თავი 5), შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნისა და მონიტორინგისათვის კონკრეტული ზომების მიღებას (თავი 7), გაერო-ს № 1325 რეზოლუციის დაცვას და სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას (თავი 9), ასევე მიღწეული პროგრესისა და შედეგების "პერმანენტული და დემოკრატიული შეფასების" ჩატარებას წესდების კონტექსტში (თავი 10).

ქალთა ორგანიზაციული ქსელები სამხედრო მოსამსახურე ქალთა ორგანიზაციები, როგორებიცაა, მაგალითად, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის სარეკომენდაციო კომიტეტი სამხედრო მოსამსახურე ქალების საკითხში (DACOWITS) და ნიდერლანდების თავდაცვის ქალთა ორგანიზაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ მიმართებით (იხ. სქემა 13.8). ეს მექანიზმები ხელშეწყობს ახდენს თავდაცვის ხელმძღვანელობაზე, რათა ამ უკანასკნელებმა გააუმჯობესონ შეიარაღებულ ძალებში ქალთა პირობები და მდგომარეობა, მოახდინონ ქალების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ და შესთავაზონ მათ დახმარება არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. ამ კუთხით, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქალებისათვის სპეციალური საკონსულტაციო სამსახურების შემოღება (იხ. 13.6 სქემაში მოყვანილი დანიის მაგალითი).

### სქემა 13.8

#### პოლანდიის თავდაცვის ქალთა ორგანიზაციები<sup>264</sup>

1992 წლიდან მოყოლებული, თავდაცვის ქალთა ორგანიზაციები ცდილობდნენ გაეღწიათ მოხდინათ პოლიტიკის შემქმნელებზე და წინ წაიწიონ ქალთა უფლებები პოლანდიის შეიარაღებულ ძალებში. ორგანიზაციათა ქსელი ორ მიზანს ისახავს:

- შეუქმნას მოტივაცია მოქალაქის თავდაცვის სამინისტროში მოსამსახურე ქალებს და შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოს ისინი;
- გაამყაროს შეიარაღებულ ძალებში ქალთა პოზიცია და სტიმული მისცეს მათ დანაშაულებად ნიშნულას. თავდაცვის ქალთა ორგანიზაციების ქსელი შედგება აქტიური სამხედრო მოსამსახურე ქალებისაგან. ორგანიზაცია ქსელის მიერ მოწყობილი და მომზადებული შეკრებები, დისკუსიები და ბიულეტენები ხელს უწყობს ამ ორგანიზაციათა ქსელის წევრებს შორის კონტაქტების გაღრმავებას. ეს გახლავთ არაფორმალური “ზრდასრულ გოგონათა” ქსელი, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ სარგებელი მოუტანოს როგორც შეიარაღებულ ძალებს, ასევე მათში მომსახურე ქალებს. ქსელი წარმოადგენს ცოდინსა და კომპეტენტურობის წყაროს, რომელსაც კონსულტაციისათვის ხშირად მიმართავენ თავდაცვის პოლიტიკის შემქმნელები.

ინფორმირებულობის დონის ამაღლება და სწავლება-გადამზადება გამომდინარე იქიდან, რომ სამხედრო ხელმძღვანელი პირები ორგანიზაციული კულტურის ჩამომყალიბებლები და მფარველები არიან, სამხედრო ოფიცრებისათვის აუცილებელია გენდერულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარება, რათა მოხდეს გაბატონებული კულტურული წყობის აღმოფხვრა, რომელშიც მამაკაცები დომინირებენ, და გაიზარდოს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა შორის არსებული პრობლემების შესახებ ინფორმირებულობის დონე. ასეთი ტრენინგების შემოღება ასევე ხელს შეუწყობს სამხედრო სუბორდინაციული სტრუქტურაში ხელმძღვანელობის როლის გაძლიერებას დისკრიმინაციისა და არასრული დამოკიდებულების შემთხვევათა თავიდან აცილებასა და დასჯაში. თუმცადა მართო ტრენინგები თავისთავად საკმარისი არ არის და შედეგი მხოლოდ მაშინ დადგება, თუ იგი წარმოდგენილი იქნება როგორც სწავლისა და ცოდნის ამაღლების ყოველმხრივი კულტურის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი და თუ მისი მონაწილეები აქ შექმნილ ცოდნას პრაქტიკაში დანერგავენ.

#### პოზიტიური ქმედებები

ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე გაატარა თავის შეიარაღებულ ძალებში პოზიტიური ქმედებების პრაქტიკა, განსაკუთრებით, მაღალჩინოსანი სამხედრო მოსამსახურე ქალების მიმართ. მაგალითად, გერმანიაში შეიარაღებულ ძალებში 2005 წლის იანვრიდან შემოღებულია კვაზი-პრევენციული რეჟიმი; იმ შემთხვევაში, თუ შედეგადად არმიაში ქალ და მამაკაც სამხედრო მოსამსახურეს ერთსა და იმავე თანამდებობაზე აქვთ პრეტენზია, ხოლო მათ მიერ არმიაში განხორციელებული სამსახური ერთი და იმავე დონისა, თანამდებობაზე დანიშნვისას უპირატესობა ქალ პრეტენდენტს ენიჭება.<sup>267</sup>

#### ეროვნული და საერთაშორისო მონიტორინგი

მონიტორინგს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე (საუკეთესო პრაქტიკის გამოსავლენად). სასურველია შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე ქალების რეკრუტირების, დანაშაულებისა და შენარჩუნების შესახებ მონაცემების საკმაოდ სისხშირით მომზადება-წარმოება (მაგალითად, თავდაცვის ყოველწლიური ბიუჯეტის ნაწილის ნახით). იმ შემთხვევაში, თუ ქალი ტოვებს შეიარაღებულ ძალებს, მისმა პასუხისმგებელმა ან შენარჩუნებელმა ან კადრების ოფიცერმა პერსონალის გათავისუფლებისას უნდა ჩაატაროს მასთან გასაუბრება და გარკვეული არმიიდან მისი ნასვლის მიზეზები. საერთაშორისო მონიტორინგი, როგორცაა გავრცელებული CEDAW კონვენციის კომიტეტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი, ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში, და ამის შემდგომ სტაპზე, შეიარაღებულ ძალებში, ქალების ინტეგრაციის ხელშეწყობად და ნასახალისებლად. კომიტეტი მონიტორინგს

<sup>264</sup> გაეროს განდერული და ქალების წინსვლის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური საკონსულტაციო სამსახური შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.un.org/womenwatch/osagi>.

<sup>265</sup> წესდების ნახვა (ერნგულ) და პოლანდურ ენაზე) შეგიძლიათ ვებ-გვერდზე: [www.mil.be](http://www.mil.be).

<sup>266</sup> იხ. [www.defensieforsuwsnetwerk.nl](http://www.defensieforsuwsnetwerk.nl).

<sup>267</sup> იხ. [www.bundeswehr.de/portale/bw/wd](http://www.bundeswehr.de/portale/bw/wd).

უნდა სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონის ნინაშე ქალების მამაკაცებთან გათანაბრების ხელშეწყობად და წასახალისებლად მიღებულ ზომებს. კომიტეტში განვერიაანებულია სახელმწიფო ორგანოების მიერ შერჩეული "მაღალი მორალური სტანდარტებისა და კომპეტენტურობის შერჩევა" 18 ექსპერტი. სახელმწიფო ორგანოებს მოეთხოვებათ გენერალური მდინის ნინაშე კონვენციის მიზნების მისაღწევად და მისი მონიშვნების დასაქმავიფლებლად გაატარებული ყველა ღონისძიების შესახებ ანგარიში წარუდგინონ კომიტეტს განსახილველად. ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის არსებული ნებისმიერი უთანხმოება, რომლის მოგვარებაც შეუძლებელია მოლაპარაკებების გზით, გადაჭრილ უნდა იქნას საარბიტრაჟო ნისით (მუხლი 29).

## სქემა 13.9

### ჩეხეთის რესპუბლიკა: ქალებისა და მამაკაცებისადმი თანასწორი დამოკიდებულების პოლიტიკა<sup>268</sup>

2001 წელს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დოკუმენტი მთავრობის პრიორიტეტებისა და პროცედურების შესახებ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. 2002 და 2003 წლებში თავდაცვის სამინისტრომ გამოისცა კიდევ სხვა ბრძანებები და ინსტრუქციები ჩეხეთის რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობად. ყოველიწლიურად ხდება შესაბამისი პოლიტიკური პრიორიტეტებისა და პროცედურების განახლება. ამ პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელია თავდაცვის სამინისტროს კადრების განყოფილება. პოლიტიკა ოთხ მიზანს ისახავს:

1. ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად საკანონმდებლო საფუძლის ჩამოყალიბებას; 2. შესაბამისი კანონმდებლობაში ცნობიერების ამაღლებას; 3. ქალებისა და მამაკაცებისათვის პროფესიულ კარიერაში თანაბარი შესაძლებლობების არსებობის გარანტიის შექმნას; 4. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორუფლებიანობისა და თანასწორობის პრინციპების განხორციელების შედეგიაანობის შეფასებასა და მონიტორინგს. წელიწადში ერთხელ მაღალ რანგის პერსონალისათვის ტარდება ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის საკითხისადმი მიძღვნილი ლექციები.

თანასწორუფლებიანობისა და თანასწორობის პრინციპები სამხედრო სასწავლებლების სასწავლო პროგრამების განყოფილი ნაწილია და ასევე სავადლებულო სტანდარტულ დისციპლინას წარმოადგენს სამხედრო ხელმძღვანელობისათვის მომზადების ყველა ეტაპზე.

## 10. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

- განსხვავებულობის მართვისა და მთავარი გენდერული მიმართულებების საფუძველზე უნდა ხდებოდეს თანაბარი შესაძლებლობების შესახებ კანონმდებლობის შემოღება და გატარება სამხედრო სექტორში; შეიარაღებული ძალების პერსონალის რეკრუტირება და თანამდებობებისათვის შერჩევა უნდა ხდებოდეს რეალურად წარმოდგენილი ფაქტორი და არა ნავარაუდევი შესაძლებლობების მიხედვით; ოფიცრებს უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგ-სწავლებები, რომლებიც მოიცავს კულტურას, გენდერულ საკითხებს და საჩივრების წარდგენა-განხილვის პროცედურებს; ხელმძღვანელი პირები თავიანთ მდგომარეობას უნდა იყენებდნენ არანსორი მოპყრობის შემთხვევათა აღსაკეთად, თავიდან ასაცილებლად და დასასჯელად; ხელმძღვანელი პირების მიერ უნდა ხდებოდეს ურთიერთდობისა და ურთიერთშედეგობის დამყარებული კულტურის ნახალებისა და ხელშეწყობა; შეიარაღებულ ძალებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სქესობრივი დევნა-შევიწროებისა და ძალადობის რაიმე გამოვლინებებს. ასეთი სახის დევნა-შევიწროებისა და ძალადობის შემთხვევების აღსაკეთად უნდა არსებობდეს შესაბამისი სანქციების ეფექტური სისტემა. შეიარაღებული ძალების პერსონალი ამ ტრენინგებისა და სწავლებებისაგან უნდა იღებდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ქმედებები კლასიფიცირდება როგორც სქესობრივი დევნა-შევიწროება და ძალადობა; სამხედრო მოსახსარე ქალებისათვის, რომლებიც სქესობრივი დევნა-შევიწროებისა და ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრის წარდგენის მექანიზმები; შეიარაღებულ ძალებში ქალებისათვის უნდა არსებობდეს სპეციალური საკონსულტაციო სისტემა; საჭიროა იმ უპირატესობათა და დადებითი როლის უკეთ გაცნობიერება-აღიარების ხელშეწყობა, რომელიც შეიარაღებულ ძალებში ქალების ყოფნას მოაქვს; შეიარაღებულ ძალებს უნდა მიმართაოდეს პოზიტიურ რეკლამას შესაბამისი უთხითო, რათა ადგილი ჰქონდეს ქალების სამხედრო სამსახურში რეკრუტირებას; სახელმწიფოებმა უნდა გააუმჯობესონ და გააძლიერონ შეიარაღებული ძალების უნარი, მოახდინონ ქალების ჯარში რეკრუტირება, შენარჩუნება და დანინაურება.

<sup>268</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის მიერ მონიშნული ODIHR-DCAF-ის კითხვარის დამატებითი ინფორმაცია.



# პომოსექსუალები და ლესბოსელები შეიარაღებულ ძალებში

ზოგადად, საზოგადოებაში პომოსექსუალიზმისადმი ბოლო დროს უფრო ტოლერანტულ მიდგომასთან ერთად, უთო-ს ნეერ ბევრ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების რიგებში პომოსექსუალებისა და ლესბოსელების საკითხების ირგვლივ კამათმა და დისკუსიამ იკლო. პომოსექსუალიზმის დეკრიმინალიზაციამ<sup>258</sup> ბევრ სახელმწიფოში გამოიწვია პომოსექსუალებისა და ლესბოსელებისთვის სოციალური უფლებების (მაგ., სამოქალაქო კავშირები, სოციალური შეღავათები) სექტრის გაფართოება ისევე, როგორც ეროვნულ კანონმდებლობაში პომოსექსუალებისა და ლესბოსელების წინააღმდეგ დისკრიმინაციის სპეციფიური აკრძალვების შემოღება.

შეიარაღებულ ძალებში პომოსექსუალებისა და ლესბოსელების ყოფნის პრობლემატიკა, ზოგადად, ასახავს თანასწორუფლებიანობის აღიარებისა და არსებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისადმი საზოგადოების განწყობას. პომოსექსუალები და ლესბოსელები ყველა დროს მსახურობდნენ შეიარაღებულ ძალებში. თუმცა, ამ დროს ისინი იძულებული იყვნენ თავიანთი სექსუალური ორიენტაცია დაემაღათ, რის გამოც ისინი ხშირად აწყდებოდნენ დისკრიმინაციული პოლიტიკის გამოვლინებასა და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს. ამ ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი ტენდენციის შედეგად, უთო-ს ნეერ ბევრ სახელმწიფოში მიღებულ იქნა დისკრიმინაციის აღკვეთისა და შეიარაღებულ ძალებში თანაბარი შესაძლებლობების დანერგვის პოლიტიკა. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ბელგიის მაგალითი გამოვიყენოთ (სქემა 14.1), სადაც დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ შემოღებული ახალი კანონი ქმნის ბელგიის შეიარაღებულ ძალებში განსხვავებულობისა და დისკრიმინაციის აღკვეთისა და თანაბარი შესაძლებლობების დანერგვის პოლიტიკის განვითარების საფუძველს.

### სქემა 14.1

**ბელგიის შეიარაღებულ ძალებში განსხვავებულობისა და დისკრიმინაციის აღკვეთისა და თანაბარი შესაძლებლობების დანერგვის მენეჯმენტი: "მშვიდობით, დისკრიმინაცია, საღამო განსხვავებულობის არსებობას"<sup>259</sup>**

2003 წლის 25 თებერვალს მიღებული ანტი-დისკრიმინაციული კანონის საფუძველზე, ბელგიის შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად იქნა ამოქმედებული განსხვავებულობისა და დისკრიმინაციის აღკვეთისა და თანაბარი შესაძლებლობების დანერგვის პოლიტიკა. შეიარაღებული ძალები ცნობენ თავიანთი პერსონალის რიგებში განსხვავებულობის არსებობას. ამ პოლიტიკის მიხედვით, დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინება უკანონოა და დასჯადი. ეს პოლიტიკა და ბელგიის შეიარაღებული ძალები როგორც შიდა, ასევე საგარეო ურთიერთობებში სწორედ ამ პრინციპებით ხელმძღვანელობენ. განსხვავებულობის არსებობის პოლიტიკა ეწყარება 2005 წლის 17 ოქტომბრის გენერალურ დირექტივას ეთნიკური, ენობრივი, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერულ კუთვნილებათა განსხვავებულობის შესახებ. აღნიშნული სტრატეგიული გეგმა შესაბამისი პოლიტიკის გატარების მონახავს გეთვაზობს. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ზომების გატარებას ოთხი მიმართულებით: რეკრუტირება, ტრენინგები და სწავლება-განათლება, ლიდერობა და ორგანიზაციული სტრუქტურები და კომუნიკაცია. პოლიტიკის გავრცელება ხდება ბრიფინგების, ახალი ამბების გამოშვებებისა და საინფორმაციო ხასიათის გაზეითებისა თუ ფურცლების მეშვეობით. შემუშავებულია საინფორმაციო სტრატეგია, რათა ინფორმირებული იყოს პერსონალის ყველა წევრი; ამ მიზნით გამოყენებულია DVD ფილმიც სათაურით "მშვიდობით, დისკრიმინაცია, საღამო განსხვავებულობის არსებობას".

ამჟამად გამოხატული პომოსექსუალებისა და ლესბოსელების მონაწილეობა შეიარაღებულ ძალებში შედარებით თანამედროვე მოვლენაა უთო-ს რეგიონში, თუმცა ბევრმა სახელმწიფომ უკრ კიდევ 1970-იან წლებში დაიწყო პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის წინააღმდეგ აკრძალვების გაუქმება, რაც 1974 წელს ნიდერლანდებიდან დაიწყო. ჩანართი 14.3. გვთავაზობს უთო-ს ნეერი ქვეყნების ჩამონათვალს,

<sup>258</sup> პომოსექსუალური ქმედებები დეკრიმინალიზებულ იქნა, მაგ., რუსეთის ფედერაციაში 1993 წელს, აღმანეთში 1995 წელს, პოლონეთში 1932 წელს, ხოლო დიდ ბრიტანეთში 1967 წელს. პომოსექსუალთა და ლესბოსელებსა საგრაზიორის ასოციაციის შესწავლამ 2006 წელს სტრატეგიული მზადობა მოახდინა სახალკეთის მიხედვით. (მედიკალით იბილთო გეგ-გვერდზე: [www.ilga.org](http://www.ilga.org)). პომოსექსუალური ქმედებები უზენაესი დელესი ძალებს.  
<sup>259</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 68-69; იბილთო ბელგიის შეიარაღებული ძალების ვებ-გვერდი: [www.mil.be](http://www.mil.be).

რომლებშიც ნებადართულია კომოსექსუალებისა და ლესბოსელების მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში.<sup>71</sup>

მაშინ, როცა ეუთო-ს ნეერი სახელმწიფოების უშრავლესობა ნებას რთავს კომოსექსუალებსა და ლესბოსელებს ლიად და შეუნიღბავად იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში, ბევრი სხვა ქვეყანა ჯერ კიდევ კრფანაყოფის ერთიანობა და ევრ გაიზიარონ საერთო ღირებულებები. ზოგიერთ ქვეყანაში კი არ არსებობს კომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობის არც ვამატიკცებელი და არც ამქრძალავი პოლიტიკა და კანონები. ასეთ ქვეყნებში სექსუალური ორიენტაცია და თემები პიროვნების ღრმად პირადულ საკითხად ითვლება, რომელიც საჯარო განხილვის თემად არ უნდა იქცეს.

წინამდებარე თავში ჩვენ გთავაზობთ შეიარაღებულ ძალებში კომოსექსუალებისა და ლესბოსელების მონაწილეობის საკითხისადმი სხვადასხვა მიდგომასა და პოლიტიკას და შესაბამისი კვლევის შედეგებს. იგი ხაზს უსვამს იმ მთავარ ბარიერებს, რომლებსაც აწყდება კომოსექსუალური ორიენტაციის მქონე სამხედრო მოსამსახურე თავისი სამხედრო კარიერის მანძილზე. ამ თავში ასევე გთავაზობთ არსებულ საუკეთესო გამოცდილებებს და პრაქტიკის მაგალითებს კომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ თავში ასევე შეეხებით სექსუალური დევნა-შევიწროების საკითხს და შეიარაღებულ ძალების მოსახარბურეთა შორის თანასწორუფლებიანობის დაწერვის პოლიტიკასა და მექანიზმებს. დაბლოს, წინამდებარე თავში წარმოდგენილი იქნება შეიარაღებულ ძალებში არსებული სამხედრო კულტურის მიმოხილვა, როგორც შეიარაღებულ ძალებში კომოსექსუალებისა და ლესბოსელების დისკრიმინაციის პრობლემის გადაჭრის საშუალება და, იმადროულად, მისი ხელშეშლელი პირობა. აღნიშნული განსაკუთრებით გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა შორის სწავლება-ტრენინგებსა და საკითხის გათვითცნობიერების დონის ამაღლებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება თანასწორი შესაძლებლობების წარმოქმნისა და ხელშეწყობის საქმეში.

## 1. პრობლემატური საკითხები

როგორც წინამდებარე თავის შესავალში აღვნიშნეთ, ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოებს განსხვავებული მიდგომა გააჩნიათ კომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში ინტეგრაციის საკითხისადმი.

### მთავარი ამოცანა

ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს ის, რომ კომოსექსუალებისა და ლესბოსელებისათვის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის აკრძალვა არღვევს თანასწორობის პრინციპს როგორც თანამშრომლებისათვის სამსახურებრივი შესაძლებლობებისთვის ხელმისაწვდომობის, ასევე მოქალაქის უფლებების აღიარებისა და პატივისცემის თვალსაზრისით. რამდენადაც სამხედრო სამსახური ისტორიულად ყოველთვის იყო დაკავშირებული მოქალაქეობრიობასთან, კომოსექსუალებისა და ლესბოსელებისათვის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის აკრძალვა მათ ართმევს და უღაზავს მოქალაქეობრივ ღირსებასა და მოქალაქის უფლებების გამოყენების თავისუფლებას.

არსებობს ორი სტანდარტული არგუმენტი კომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურის წინააღმდეგ, რომელთაგან ორივე კულტურული რწმენის საფუძველს ეყრდნობა და არა მეცნიერულად დასაბუთებულ ობიექტურ მტიკცებულებებს: (1) კომოსექსუალიზმი პიროვნობის დარღვევის გამოვლენა; (2) კომოსექსუალიზმი არამის მოქმედების ეფექტურობისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

პირველი არგუმენტი კომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურის წინააღმდეგ გახლავთ ის, რომ კომოსექსუალები და ლესბოსელები ფსიქოლოგიურად დარღვევებისაგან იტანჯებიან და, აქედან გამომდინარე, შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის შესაფერისი არ არიან. თუმცა ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ ჯერ კიდევ 1973 წელს ჩატარებული ოფიციალური გამოკვლევებით, დადასტურდა, რომ არ არსებობს კომოსექსუალიზმის, როგორც მენტალური დაავადების ან დეფექტის, არანაირი სამედიცინო ან მეცნიერული დასაბუთება.<sup>72</sup>

<sup>71</sup> ODIHR-DCAF-ის გამოკითხვის შედეგად მოპოვებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ რუსეთსა და ბელარუსიაში კომოსექსუალებსა და ლესბოსელებს შეუძლიათ იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში მაშინ, როცა კომოსექსუალთა და ლესბოსელების საერთაშორისო ასოციაციის მიერ მოპოვებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ ამავე ქვეყნებში კომოსექსუალებსა და ლესბოსელებს არ შეუძლიათ შეიარაღებულ ძალებში იმსახურონ. ეს ურუტბოები შედგომით კვლევების საკითხებს წარმოადგენს. იხ. [www.siga-europe.org](http://www.siga-europe.org).

<sup>72</sup> ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია, "კომოსექსუალიზმისა და ადამიანთა უფლებების მგვგომარობის შესახებ", *American Journal of Psychiatry*, ტომი 131, №. 4, 1973, გვ. 497. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ვებ-გვერდი: <http://www.psych.org/index.cfm>. ასევე იხილეთ "Military Document suggests that Homosexuality is a Defect". 'სამხედრო დოკუმენტი ითვლება, რომ კომოსექსუალიზმი ნაკლია', მაიკლ დ. პალმის ცენტრი, კალიფორნიის უნივერსიტეტი, სანტა ბარბარა, პრეს რელიზი, 17 ნოემბერი, 2006 წელი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: [http://www.palmcenter.org/press/dadl/release/military\\_document\\_suggests\\_that\\_homosexuality\\_is\\_a\\_defect](http://www.palmcenter.org/press/dadl/release/military_document_suggests_that_homosexuality_is_a_defect).

მეორე ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ პომოსექსუალებისა და ლესბოსელების ყოფნა შეიარაღებულ ძალებში ხელს შეუშლიდა საბრძოლო მზადყოფნასა და ეფექტურობას, შეიარაღებული ძალების რიგებში ერთიანობის რღვევისა და დისციპლინისა და მორალის დაქვეითების გამო. თუმცა იმ ქვეყნებს, რომელთა შეიარაღებულ ძალებშიც პომოსექსუალები და ლესბოსელები მსახურებდნენ, არანაირი საფრთხე არსებობს იმის მტკიცებისა, რომ ამ უკანასკნელთა მათი შეიარაღებული ძალების რიგებში ყოფნას რაიმე სახით საშხედრო პერფორმანსის დონის დაქვეითება გამოეწვია.<sup>270</sup>

#### სქემა 14.2

**შეიარაღებულ ძალებში პომოსექსუალებისა და ლესბოსელების მსახურობის აკრძალვის გაუქმებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია სამხედრო სენატორების ერთიანობაზე<sup>271</sup>**

კანადის ხელისუფლების თავდაცვის წარმომადგენლები დღემდე არ შესწრებიან პომოსექსუალური ურთიერთობების საჯაროდ აღიარების ფაქტსა და ამ საკითხზე ღია დიალოგებს; არ დაფიქსირებულა არც ერთი ჩხუბისა თუ ძალადობრივი აქტის ინციდენტი, თანამდებობიდან გადადგომის არც ერთი ფაქტი (მიუხედავად მათი ადრინდელი მუქარისა, რომ გადადგებოდა დააკეცვლილი პომოსექსუალები), რეკრუტირებისთან არსებული არანაირი პრობლემა და, ასევე, ერთიანობის რღვევისა თუ მორალური და ორგანიზაციული ეფექტურობის დაქვეითების რაიმე მსგავსი შემთხვევა.

**კულტურული დამოკიდებულება, როგორც პომოსექსუალებისა და ლესბოსელების მიუღებლობის ძირეული პრობლემა**

ძირითადი არგუმენტები პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში დამკვიდრების წინააღმდეგ უკრძნობა არა რაიმე მეცნიერულ დასაბუთებას ან ობიექტურ მტკიცებულებებს, არამედ გავრცელებულ კულტურულ წარმოდგენებს და ცრურწმენებს. დამაფრთხილებელია ის გარემოება, რომ შეიარაღებულ ძალებში ვახატონებელია პომოსექსუალი მენტალიტეტი და ნებისმიერი პიროვნება, ვინც სხვებისაგან განსხვავდება ან ზოგადად მიღებული ჩარჩოებში არ ვდება, ბარიერებსა და დაბრკოლებებს აწყდება.<sup>272</sup> კულტურული ბარიერი უმთავრესად წარმოადგენს არა მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც პომოსექსუალებსა და ლესბოსელებს ჯერ კიდევ ეკრძალებათ შეიარაღებულ ძალებში სამსახური, არამედ იქაც, სადაც ეს აკრძალვები გაუქმებულია. პომოსექსუალები და ლესბოსელები ამ ქვეყნებშიც ჯერ კიდევ აწყდებიან სერიოზულ წინააღმდეგობას შეიარაღებული ძალების რიგებში, მაშინაც კი, როცა უმადლესი სამხედრო ხელმძღვანელობა სამსახურებზე ადგილებზე პომოსექსუალი მემკვიდრეების წინააღმდეგ გამოდის. ამგვარად, ეუთო-ს ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ მიიღო ზომები არა მარტო *ძე JAR*, არამედ *ფა CD* თანახმობის უზრუნველსაყოფად (იხ. წინამდებარე თავის პარაგრაფი 4, 'თანახმობის ხელშეწყობის პოლიტიკა და მექანიზმები').

**სექსუალური დევნა-შევიწროება და დისკრიმინაცია**

მიუხედავად იმისა, რომ პომოსექსუალებისა და ლესბოსელების ოციციალურად აღიარებული კანონიერი მდგომარეობა ბოლო წლებში გაუმჯობესდა, პომოსექსუალი და ლესბოსელი მოსამსახურეები მაინც აწყდებიან დისკრიმინაციის სხვადასხვა სახის გამოვლინებებს. დისკრიმინაციის ტიპური სახეები მოიცავს არაოფიციალურ პოლიტიკასა და ქმედებებს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ პირის კონსუალურ წინსვლაზე.<sup>273</sup> დისკრიმინაციის სხვა გამოვლინებები გულისხმობს არათანაბარ მიდგომას იქ, სადაც საქმე ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელი წევრებისათვის საცხოვრებელი ფართის გამოყოფასა და სხვა საყოფაცხოვრებო შეღავათებსა და ფულად დანამატებს ეხება.

ზემოთქმულის გარდა, პომოსექსუალი და ლესბოსელი მოსამსახურეები ხშირად ხდებიან იძულებითი მუშაობისა თუ მტრული გარემოს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო, - დევნა-შევიწროების მსხვერპლი. ასეთი დევნა-შევიწროება მოიცავს ინციდენტებს მუხრაცხმყოფელი მიმართვისა და აბუზად აცდების შემთხვევებიდან დაწყებული, სექსუალური ძალადობისა და ძალადობრივი თავდასხმების შემთხვევებამდე.

<sup>272</sup> A. Bellin, 'არაფერი იციანო და არაფერი ნამოცდეს: პომოსექსუალების აკრძალვა სამხედრო აუცილებლობა? Parameters, ზაფხული 2003 წელი, გვ. 108-119 შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: [http://www.gaymilitary.ucsb.edu/Publications/2003\\_BellinParameters.pdf](http://www.gaymilitary.ucsb.edu/Publications/2003_BellinParameters.pdf).

<sup>273</sup> Bernard Rosker და სხვები, სექსუალური ორიენტაცია და აშშ-ს შეიარაღებული ძალების საკადრო პოლიტიკა: შესაძლებლობები და შეფასება (საბჭო-საქართველო, კალიფორნია: კორპორაცია RAND, 1993), გვ. 74-77.  
<sup>274</sup> უკრაინაში მოსაზრებებზე დაბრუნებული მონაცემები, OOHRI-DCAF სემინარი შეიარაღებულ ძალებში ადამიანთა უფლებების გადამიწვევის შესახებ, გარმბა, 2006 წლის დეკემბერი.

<sup>275</sup> H. Wechsler Segal, 'სექსუალური და სამხედრო ძალები, შეიარაღებული ძალები და სეროპოზივის უსაფრთხოება: გლობალური ტენდენციები და საკითხები', Jean Callaghan და Franz Kernic (eds.), შეიარაღებული ძალები და სეროპოზივის უსაფრთხოება: გლობალური ტენდენციები და საკითხები" (პრინსტონი, ნიუ ჯერსი: Transaction Publishers, 2003), გვ. 217-220.

აშშ-ში ჩატარებული ბოლოდროინდელი გამოკითხვები გვიჩვენებს, რომ როგორც 71,455 სამხედრო რესპონდენტის თითქმის 39%-მა აღნიშნა, განვილი 12 თვის მანძილზე გაგზავნილი ჰქონდათ ინდივიდის სექსუალური ორიენტაციის გამო მათდამი გამოყენებული დევნა-შევიწროების ფაქტების შესახებ. როგორც უდიდესმა ნაწილმა აღნიშნა, მათ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მომხდარი მხოლოდ ერთი ასეთი ფაქტის შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია (რაც 14.6%-ს ნაწილადგენს) მაშინ, როცა ასეთი ფაქტების მეტრ რაოდენობის ცოდნის შესახებ 1.6%-მა განაცხადა.<sup>277</sup>

## 2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

სექსუალური ორიენტაცია თითოეული ინდივიდისათვის ღრმად პიროვნული საკითხია. კანონები, რომლებიც სექსუალურ ორიენტაციაზე დაყრდნობით აკეთებენ განსხვავებებს ადამიანებს შორის, არა მარტო დისკრიმინაციის დამოფხვარა-არაფხვარის პრინციპს ეწინააღმდეგებიან, არამედ პიროვნული ხელშეუხებლობის უფლებასაც.

### დისკრიმინაციის აკრძალვა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების 26-ე თავი აბასტურებს, რომ:

კანონი კრძალავს დისკრიმინაციას და იძლევა გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი იქნება თითოეული პიროვნების თანაბრად და ეფექტურად დაცვა ნებისმიერი ფორმისგან, მათ შორის კანის ფერის, სქესის, რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, რასობრივი, ენობრივი, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილების, ქონების, დაბადებისა თუ სხვა ნივთზე წარმომობილი დისკრიმინაციისგან. გაერო-ს ადამიანთა უფლებების კომიტეტის გადაწყვეტილებით, 26-ე თავი კრძალავს კანონისმიერ თუ ფაქტიურ დისკრიმინაციას ნებისმიერ სფეროში, რომელსაც იცავს და არეგულირებს საზოგადოებრივი ხელისუფლება<sup>278</sup> მიუხედავად იმისა, ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა ამ ხელშეკრულებაში მითითებულ გარანტირებულ უფლებას.<sup>279</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ICCPR-ს 26-ე თავი ღიად არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე სექსუალური ორიენტაციის ნივთზე, ადამიანთა უფლებების კომიტეტმა ICCPR-ის გენერულ ნივთზე წარმომობილი დისკრიმინაციის აკრძალვას მისცა შესაბამისი ინტერპრეტაცია და მასში შეიტანა სექსუალური ორიენტაციის ნივთზე წარმომობილი დისკრიმინაციის აკრძალვა.<sup>279</sup>

დისკრიმინაციის აღმოფხვრა-არარსებობის პრინციპი ხელახლა იქნა დამტკიცებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის (ECHR) მე-14 თავში და ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 თავში, რომელიც საბუნებრივ უფლებას ანჭებს განახორციელოს შესაბამისი ქმედებები, რათა აღკვეთოს ნებისმიერ, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ნივთზე წარმომობილი დისკრიმინაცია.

აღნიშნული თავის დებულებების თანახმად, ევროკავშირის საბჭომ მიიღო ევროკავშირის სამსახურებრივი დირექტივა, რომელიც ანებს სამსახურებრივ საკითხებში თანასწორი მდგომარის ზოგად მონაწილე და დისკრიმინაციის შემთხვევებში კანონისმიერი დაცვის ადეკვატურ საშუალებებს.<sup>280</sup> დირექტივა გვაძლავს, რომ, იკრძალება, ინტერ ალია, სექსუალური ორიენტაციის ნივთზე წარმომობილი დისკრიმინაცია. თავი 3, რომელიც დირექტივის ფარგლებს განსაზღვრავს, აბტკიცებს, რომ ეს დირექტივა ეხება როგორც მთლიანად საზოგადოებას, ასევე კერძო სექტორს, და, როგორც ირკვევა, ეროვნული უშიშროებისათვის არანაირ გამონაკლისს ადგილი არა აქვს. იმავე თავის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს უფლება აქვთ დისკრიმინაცია განახორციელონ, ანუ განსხვავება გააკეთონ მხოლოდ ასაკისა და ფიზიკური უუნარობის მიხედვით, რათა უზრუნველყონ საბრძოლო ეფექტურობა.<sup>281</sup> ეს გულისხმობს, რომ სექსუალური ორიენტაცია არ შეიძლება

<sup>277</sup> K. Bowling, J. Frestone, R. Harris, "Analyzing Questions That Cannot Be Asked of Respondents Who Cannot Respond", შტატთაშორისი ძალის და საზოგადოება, ტომი 31, No. 3, გაზაფხული, 2005 წელი, გვ. 432, შეგიძლიათ იხილოთ ენობრივი: <<http://els.sagepub.com/cgi/rapid/print/31/3/411>>.

<sup>278</sup> გაერო, ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესი კომისია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, "ზოგადი კომენტარი 18: დისკრიმინაციის აღკვეთა-არარსებობა", პარ. 12, 1989 წელი, 37-ე სესია, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე ორგანიზების მიერ მიღებული ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები, UN Doc. HRU/GEN/1/Rev.1, 3, 26, 1994.

<sup>279</sup> Nicholas Toonen v. Australia, გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, 4 აპრილი 1994, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ანგარიში, ტომი 1, 1994, გვ. 97.

<sup>280</sup> თავი 3.4: "იქვე სახელწოდების შედეგად უზრუნველყონ, რომ ეს დირექტივა, რამდენადაც იგი უზარაობისა და ასაკის ნივთზე დისკრიმინაციას შეეხება, არ მოსადაგოს შეიარაღებულ ძალებს".

იხ. <[http://ec.europa.eu/employment\\_social/news/2001/jul/directive78ec\\_en.pdf](http://ec.europa.eu/employment_social/news/2001/jul/directive78ec_en.pdf)>.

<sup>281</sup> იქვე, თავები 1, 3.1, და 3.4.

იყოს პომოსექსუალები და ლესბოსელებისათვის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის აკრძალვის გაშრობა.<sup>252</sup>

დისკრიმინაციის აკრძალვა არ ნიშნავს იმას, რომ აკრძალულია ყოველგვარი განსხვავებების დაშვება. დირექტივა აღიარებს, რომ, ძალზე მებლუდულ პირობებში, დამოკიდებულების განსხვავებულობა შესაძლოა გამართლებულიც იყოს იქ, სადაც კანის ფერთან, სქესთან, რელიჯიასთან თუ რწმენა-მოსაზრებასთან, ფიზიკურ უუნარობასთან, ასაკსა თუ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული რაიმე მახასიათებელი გვეყვინება სამსახურებრივი მოთხოვნის რეალურად განმსაზღვრელ ფაქტორად მაშინ, როცა ეს მოთხოვნა თავისი მასშტაბებით გამართლებული და რეალისტურია, ხოლო მისი მიზანი კანონიერია.<sup>253</sup>

**პირადი ზედმეუბელობის უფლება**  
პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში ყოფნის აკრძალვა შეიძლება ასევე ეწინააღმდეგებოდეს პიროვნების პირად ცხოვრების უფლებას, რომელიც დაცულია ECHR-ის სახელმწიფოების ICCPR-ის მე-17 და ECHR-ის მე-8 თავებში:

არც ერთ სახელმწიფო ორგანოს უფლება არა აქვს ჩაერიოს ადამიანის მიერ ამ უფლების გამოყენებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც განსაზღვრულია კანონით და წარმოადგენს აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების დაცვად. ამგვარად, უნერსიგობის ან დანაშაულის აღკვეთა-თავიდან აცილების, უანაზღვრობის ან მორალური ნების დაცივის ან/და სხვების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.<sup>254</sup>

ამ დებულების საფუძველზე, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ დაადგინა, რომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკის მიერ პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურის აკრძალვა წარმოადგენს პიროვნების პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემის დარღვევას (იხილეთ ნინამდებარე თავის პარაგრაფი 3, "პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურისადმი განსხვავებული მიდგომები").

გაერო აშკარად და ლიდ არ ამტკიცებს მის მიერ ვალდებულების აღებას აღმოფხვრას სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე წარმომოხილი დისკრიმინაცია, მხოლოდ გაერო-ს საპარლამენტო ასამბლეის 1995 წლის ოტავას დეკლარაციაში გაიხსნა მონოდება, რომ: ნევრამა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ პირობა, რომ თავიანთი მოსახლეობის ყველა სეგმენტის წარმომადგენელი, თითოეული პიროვნება კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ადმინისტრაციის მიერ თანაბარი პატივისცემით იქნას დაცული და არ არსებობდეს რაიმე ღია თუ ფარული სუბორდინაცია ეთნიკური, რასობრივი, კანის ფერის, ენობრივი, რელიგიური, გენდერული, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნული, სოციალური და უმცირესობებისადმი კუთვნილებისა თუ სხვათა მიხედვით.<sup>255</sup>

სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე წარმომოხილი დისკრიმინაცია ბევრი სახელმწიფოსა და ეუთო-ს ინსტიტუციის მიერ ითვლება დისკრიმინაციად, რომელიც დისკრიმინაციის აღმკვეთი რეზოლუციების თანახმად, "ნებისმიერ შემთხვევაში" უნდა აღიკვეთოს.<sup>256</sup>

### **3. პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურისადმი განსხვავებული მიდგომები**

პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურთან დაკავშირებული პოლიტიკა და ქმედებები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია. ეუთო-ს ნევრ სახელმწიფოებში შეიარაღებულ ძალებში თანაბარი შესაძლებლობების შექმნისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკის გტარება-დამკვიდრების შემდეგ ბევრ ქვეყანაში შერიბდა ან საერთოდ გაუქმდა პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამსახურის აკრძალვა.

<sup>252</sup> დღესდღეობით გაერო-ს ევროპული იმ სექტორული მოსაზრების გათვალისწინებით, რომ პომოსექსუალებისა და ლესბოსელების ყოფნა შეიარაღებულ ძალებში გაეკანონა ახდენს ამ უკანასკნელის ეფექტიანობას და მორალზე, ყოველდღეც ცხადია, რომ ასეთი განცხადებას იბიქტურ საფუძველზე არ გააჩნია. იხ. *Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom*, *op. cit.*, მენიშენა 4, გვ. 548.

<sup>253</sup> იქვე, პარ. 23.

<sup>254</sup> დისკრიმინაციის აკრძალვა და პიროვნების პირადი და ოჯახური ცხოვრებისადმი პატივისცემის უფლება, განსაკუთრებით სასაზღვრო კონტაქტებში, უდევრისად არის განმტკიცებული ევროპის საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციებში შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ 1742 (2006), პარ. 10.1.5 და 10.2.3, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: <<http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/t08/FRECI1742.htm>>

<sup>255</sup> გაერო-ს საპარლამენტო ასამბლეის ოტავას დეკლარაცია, 8 ივლისი 1995 წელი, <[http://www.oas.org/documents/pdf/1995/07/171\\_en.pdf](http://www.oas.org/documents/pdf/1995/07/171_en.pdf)>

<sup>256</sup> იხილეთ, მაგ., კოპენჰაგენი 1990, პარ. 5.9.

ამჟამად გამოიკვეთება პომოსექსუალებისა და ლესბოსელების შეიარაღებულ ძალებში სამ-სახურთან დაკავშირებული სამი ფართომასშტაბიანი პოლიტიკა:

- სისტემები, რომლებშიც პომოსექსუალებსა და ლესბოსელებს კანონის მიერ ეკრძალებათ შეიარაღებულ ძალებში სამსახური და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ასეთი პიროვნება მსახურობს შეიარაღებულ ძალებში, იგი კანონის ძალით უნდა იქნეს დათხოვნილი მისი რეგებიდან;
- სისტემები, რომლებშიც დისკრიმინაციის სანინააღმდეგო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით პომოსექსუალებსა და ლესბოსელებს ეძლევათ უფლება სრულყოფილიანი წევრების სახით იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში;
- "არანაირი შეკითხვა, არაეისთან დაცდენილი სიტყვა" სისტემები, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში პომოსექსუალიზმის საკითხიადმი მესამე მიდგომას წარმოადგენს, პომოსექსუალებსა და ლესბოსელებს აძლევს უფლებას იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში იმ პირობით, რომ არ გაახმოვანებენ და არ გამოაჩენენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას.

ჩანართი 14.3 შერჩეულ ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებში გავრცელებული პოლიტიკის უფრო მარტივ მიმოხილვას გთავაზობს (ანუ აქ მოყვანილია იმ სახელმწიფოთა მაგალითები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ODIHR-DCAF-ის გამოკითხვაში შეიარაღებული ძალების პერსონალის ადამიანთა უფლებების შესახებ).

**სქემა 14.3**

**აქეთ თუ არა პომოსექსუალებსა და ლესბოსელებს უფლება იმსახურონ ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში?<sup>287</sup>**

ქვეყანა	აქეთ თუ არა მსახურობის უფლება?	ქვეყანა	აქეთ თუ არა მსახურობის უფლება?
ავსტრია	კი	ლუქსემბურგი	კი
აზერბაიჯანი	არა	მალტა	კი
ბელორუსია	კი	ნიდერლანდი	კი
ბელგია	კი	ნორვეგია	კი
ბულგარეთი	კი	პოლონეთი	კი
კანადა	კი	პორტუგალია	კი
ხორვატია	კი	რუსეთის ფედერაცია	კი
ჩეხეთის რეპუბლიკა	კი	სერბია	არა
დანია	კი	სლოვაკეთი	კი
ესტონეთი	კი	სლოვენია	კი
ფინეთი	კი	ესპანეთი	კი
საფრანგეთი	კი	შვეიცარია	კი
საბერძნეთი	არა	შვეიცარია	კი
საქართველო	კი	თურქეთი	არა
გერმანია	კი	უკრაინა	კი
ირლანდია	კი	დიდი ბრიტანეთის გაერთ. სამეფო	კი
ლატვია	კი	აშშ	კი
ლიტვა	კი		

სამხედრო პროფესიის ღირსებისა და პროფესიონალიზმის სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ თითოეული ჯარისკაცის უფლების დაცვით. სისასტიკე, ინსტიტუციონალური დამინება, ძალადობა, დამამცირებელი მოპყრობა და ნაშება არის ჯარში მომსახურე მამაკაცთა თუ ქაღათა უფლებების უბში დარღვევა, რასაც არანაირ ვითარებაში და არც ერთი ტრადიციის თანახმად არ მოენახება გამართლება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას თანახმად:

დამამცირებელი მოპყრობა, დამინება, სისასტიკე, ნაშება, ცუდი კება, ავადმყოფობა, ექსპლუატაცია, რასაც ხშირად მოჰყვება ფიზიკური ავადმყოფობა თუ ფატალური დასასრული - სიკვდილიც კი ... ბევრი ახალგაზრდა ევროპაში სამხედრო სამსახურის გავლის დროს იზიარებს ასეთ ბედს.<sup>359</sup>

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ არსებულ დადებით პრაქტიკას, რომელიც გაერო-სადაც რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პერსონალის უფლებების დაცვის კუთხით, მიუღებელი მოპყრობისა და განსაკუთრებით, დამინების პრაქტიკისა და კატორ-ლული შრომის წინააღმდეგ.

აშკარაა, რომ ცუდი მოპყრობის თემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ სახელმძღვანელოს სხვა თავებში განხილულ საკითხებთან, კერძოდ, თავი 12 "შეიარაღებულ ძალებში ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობები" (ეთნიკური და ლინგვისტური უმცირესობები რასობრივი ჩაგვრის მხრივ შესაძლოა უფრო დიდი რისკის ქვეშ იყვნენ დისკრიმინაციის თუ დამინების სახით); თავი 13, "ქაღათი შეიარაღებულ ძალებში" (ჯარში ქაღათის წინააღმდეგ მოჭარბებული სექსუალური ძალადობა და დისკრიმინაცია); თავი 14, "პროსესუსალები და ლესბოსე-ლები შეიარაღებულ ძალებში" (განსხვავებული ორიენტაციის მქონე სამხედრო მოსამსახურეები ხშირად შევიწროვებასა და დევნას განიცდიან); თავი 15, "შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული ბავშვები" (ახალგაზრდა რეკრუტთა დიდი უმეტესობა იმყოფება ნეგატიური ზეგავლენის ქვეშ); თავი 17, "სამშაო პირობები" (ცუდი სამშაო პირობები ასევე ხელს უწყობს დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევების აღმოცენებას); თავი 20, "მეთაურთა თუ ცალკეულ პირთა პასუხისმგებლობა" (კომპეტენტურ ხელმძღვანელობას უდიდესი როლი ექირსება ჯარში მომსახურე პერსონალის უკანონო მოპყრობისგან დაცვის საქმეში); და თავები 21 და 22, რომლებიც შესაბამისად დაკავშირებული არიან სამხედრო სამართალთან და ომ-ბუდსმენებთან.

<sup>357</sup> "ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, "შეიარაღებული ძალების წევრთა უფლებების დაცვა", დოკ. I0861, 24 მარტი 2006, პარაგ. 53. იხ. <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/Working-Docs/Doc06/EDOC10861.htm>.

<sup>358</sup> იქვე, პარაგ. 54. 359.

<sup>359</sup> იქვე, პარაგ. 19.

## 1. პრობლემატური საკითხები

შეიარაღებულ ძალებს არსებითი როლი ეკისრებათ დაიცვან საზოგადოება სხვადასხვა სა-  
ხეობებისგან. როგორც ასეთი, ისინი მუდამ უნდა იყვნენ დაიცვენ კონსტიტუცია,  
სახელმწიფო ინსტიტუტები და საზოგადოების ძირითადი ფასეულობები. მართლაც, სამხე-  
ობო ინსტიტუტები არ უნდა მოიაზრებოდნენ როგორც საზოგადოებისგან იზოლირებული  
აქტორები, რომლებიც, არამედ ისინი მჭიდროდ უნდა იყვნენ ინტეგრირებული თავად  
საზოგადოებაში და მის ინსტიტუციებში. ადამიანის უფლებების სტანდარტები, როგორც  
საზოგადოების ძირითადი ფასეულობების შემადგენელი ნაწილი, მოიცავს შეიარაღებულ ძა-  
ლებს. სამხედრო ვალდებულებებისთან და დაკავშირებული შეზღუდვის განთავალისწინებით,  
ყოველი ადამიანის უფლება თანაბრად მოიცავს შეიარაღებული ძალების წევრებსაც, მიუხე-  
დავად მათი როდების, ოფიცრის რანგისა და თანამდებობისა, საკონტრაქტო თუ საცალდებ-  
ულო სამსახურისა, რამდენადაც ისინი ყველანი აჩიან მოქალაქეობის სამხედრო ფორმაში.<sup>200</sup>  
მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა შეიარაღებული ძალების წევრ-  
ების წინააღმდეგ კვლავ რჩება ბევრ ქვეყანაში ჯარის წინაშე მდგარ ერთ-ერთ რთულ საკითხ-  
ად. ერთ-ს რეგიონში შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეთა და განსაკუთრებით ახალ-  
წვეულთა მიმართ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულმა მიუღებელი მოპყრობის შესახებ  
ფაქტებმა საზოგადოების განახლებული ყურადღება მიიპყრო. უკვე ძალიან გახშირდა ახალ-  
წვეულთა წინააღმდეგ ცოდვი მოპყრობის, დამინების, სისასტიკის, წამების, ცივი კვების და  
ავადმყოფობის ფაქტები, რასაც თან სდევს ჯარში მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური და  
ფიზიკური ავადმყოფობა ან უკიდურეს შემთხვევებში სიკვდილიც კი.<sup>201</sup>

ახალწვეულთა მიმართ თვითნებური ჩაჯვრა-წამების პრაქტიკა სახეცვლილებას განიცდის  
მისი დამინდებით, თუ რა სახით არის ამ ქვეყნისა თუ კონკრეტული ქვედანაყოფისათვის მიღე-  
ბული ასეთი სახის ტერორის კოდექსი. არაადამიანური მოპყრობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს,  
როგორიც არის "განზრახ სასტიკი მორალური თუ ფიზიკური ტანჯვის მიყენება" და "მოპყ-  
რობა, რომელიც წინასწარ არის განზრახული და მსხვერპლის წინააღმდეგ გამოყენება დრ-  
ის ხანგრძლივობაში შეურეგრებლად, რასაც მოყვება სხეულის დაზიანება თუ იმედიანობის  
ფიზიკური თუ მენტალური ტრავმა."<sup>202</sup> გარდა ამისა, "ტანჯვა და დამცირება უნდა გასცდეს  
იმ დამცირებისა თუ განცდის გარდაუვალი ელემენტის ფარგლებს, რათა ის იქცეს კანონ-  
იერი მოპყრობის თუ დასჯის გარემოებად."<sup>203</sup>

არაადამიანური მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები

ქვემოთ მოყვანილი შემდეგი ფაქტორები თუ პირობები ზრდის დამინებისა და არაადამიან-  
ური მოპყრობის სხვა ფორმების აღმოცენების შესაძლებლობებს შეიარაღებული ძალების  
რიგებში.

1. ახალწვეულთა ქვედანაყოფში მძლეობისათვის მოსამზადებელი რიტუალი თამაშობს მნიშ-  
ვლოვან როლს ქვედანაყოფში ერთსულოვნების, ერთობის და მორალის დამყარების საქმე-  
ში. ეს რიტუალი არის ცერემონიალი, რომელიც ეწყობა ახალწვეულთა თავდაპირველი ძირი-  
თადი წერიტის დროს, ან ბოლოს, როდესაც რეკრუტი ფიზიკურად და მენტალურად გამ-  
ოიცდება, ხანდახან ამტანობის განსაზღვრის მიზნით. ამ რიტუალების შემუშავებით გამოიყვება  
და აღინიშნება რეკრუტის სამოქალაქო ცხოვრებიდან სამხედრო ცხოვრებაში გადასვლის  
ფაქტი. ეს არის პროცესი, რასაც ხანდახან "ზორცის მოკედინება" უწოდებენ, რადგანაც ახ-  
ალწვეულის სამოქალაქო სტატუსი ჩაინაცვლება სამხედრო სტატუსით.<sup>204</sup> აღნიშნულ რიტუ-  
ალთა უმრავლესობა ეწყობა თანატოლების მიერ იზოლირებულ ადგილას, სამხედრო  
ხელმძღვანელების ზედამხედველობისგან შორს, სადაც არაადამიანური მოპყრობის ალბათო-  
ბა მაღალია. სამოქალაქო ცხოვრებიდან (სადაც ჩვეული ცხოვრებაა) სამხედრო ცხოვრებაზე  
(სადაც სხვა წესები ბატონობს) გადასვლა ნიშნავს, რომ რეკრუტი, ფაქტობრივად, ხდება თან-  
ატოლების მხრიდან ზეწოლის მოხვედრის საშიშროების ქვეშ. თუმცა თავად შეიარაღებულ  
ძალებში საყოველთაოდ ითვლება, რომ ამ მოსამზადებელ რიტუალს დადებითი სიმბოლური  
დატვირთვაც აქვს, თუმცა, როგორც პრაქტიკა მონშობს, მან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი

<sup>200</sup> მეორიანდში "უეკუტ და სხვა", თებთა პალატის შეიარაღებული ძალების კანონპროექტის შერჩეის  
კომიტეტი, 14 თებერვალი 2006, ლონდონი, <http://www.publications.parliament.uk/pa/cm200506/cmselect/cmanud/528/528nw13.htm>.

<sup>201</sup> "შეიარაღებულ ძალების წევრთა და უფლებები", *op. cit.*, შენიშვნა 357, პარ. 19.

<sup>202</sup> დაუფრებულთა პრევენციულ სამართალზე, ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია, კულდა ე-კოლონეთი,  
ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, 26 ოქტომბერი 2000, ადამიანის უფლებათა ევროპის ანგარიში, ტომი.  
35, 2002, გვ. 198, პარაგ. 92; და ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია, საბერძნეთის შემთხვევა კ ნოტონის  
ანგარიში 1969, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის წლის წიგნი (სტრასბურგი: ევროპის საბჭო, 1969),  
ტომი. 12, გვ. 186.

<sup>203</sup> *Kudis v. polone TI, Ibid.*, პარაგ. 92. იმისთვის, რომ სამხედრო რეკრუტისთვის სამხედრო სამსახურთან  
დაკავშირებული ჩვეული ზეწოლა და წვალება ჩათვალოს უკანონოდ, ის უნდა გასცდეს ამ პრაქტიკის  
ფარგლებს.

უიღურესი შედეგები, როგორცაა, ფიზიკური და მენტალური ტრავმა. ამიტომ უნდა გაიზი-  
ჯდოს ძაღვების როტაციები იმისგან, სადაც ძაღვის დემონსტრირების არადაგმოი აქვს შესვარა  
დაშინების ფაქტებს. რუსეთის ფედერაციაში ჯარისკაცების წინააღმდეგ არადაგმოიანურ მოპყ-  
რებაზე<sup>345</sup> თავის მოხსენებაში Human Rights Watch-ის მაკონტროლებელმა ორგანიზაციამ ჩაატარა  
ტესტირება, რომლის თანახმადაც, ქმედებები, რომლებიც ამახილებენ მუნდირის სატელარ  
ემთხვევა იმას, რაც პირდაპირ წარმოადგენს უკანონო დამამცირებელ საქციელს. გარკვეუ-  
ლი ქმედებები, რომლებიც თავისთავად არ კვალიფიცირდება როგორც უკანონო, შესაძლოა  
ძალადობის ფაქტად გარდაიქმნას, თუ, მაგალითად, მას პერმანენტული ხასიათი აქვს დროის  
ხანგრძლივობაში, და გასცდეს იმ ზღვარს, რაც უკანონო ხასიათისაა. მაგალითად, კეების თუ  
ძილის საათების შემცირება, როგორც რიტუალის მოსაზრადებელი შემადგენელი ნაწილი, არ  
წარმოადგენს უკანონო ქმედებას, ხოლო, თუ ახალწვეულს ხანგრძლივი დროის განმავლობაში  
არათმევენ ძილის თუ კეების აუცილებელ ნორმას, მაშინ ეს ჩათვლება უკანონო ქმედ-  
ებად.<sup>346</sup>

2. დისციპლინის უიღურესად გამკაცრების შემთხვევა, თუ ის გადასცდება ზღვარს, ასევე  
შესაძლოა ჩაითვალოს ძალადობად. დაქვემდებარების მკაცრი ზომები და მეთაურთა მხრი-  
დან წესრიგზე უპირობო დამორჩილების მოთხოვნა ხშირად აფერხებს ჯარისკაცთა და მე-  
თაურთა შორის ურთიერთვაგებას. ძირითადად ტენდენცია არის ასეთი: დისციპლინა  
ჯარისკაცებს შორის უნდა დამყარდეს შერღველებისდაგვარად მალე და სწრაფად, რათა ზომები  
იყოს რადიკალური და ოპერატიული. მეთაურების მხრიდან მინიჭებული უფლებამოსილებ-  
ის გადაჭარბება - სიტყვიერი თუ ფიზიკური დასჯის სახით, ხშირად ითვლება დისციპლინ-  
ური დამორჩილების აუცილებელ კომპონენტად. ჯარისკაცთა დამორჩილების პირობა კიდევ  
უფრო შეზღუდავს მათ უნარს ღიად გამოხატონ უკმაყოფილება. სამხედრო ფასეულობების  
უიღურესად გამკაცრებულმა ინტერპრეტაციამ, როგორცაა, მაგალითად, სრული და უპი-  
რობო სუბორდინაცია, შესაძლოა უფრო მეტად ხელი შეუწყოს უკანონო ქმედებებს  
გამომწვევი ვითარებების შექმნას.

3. დისციპლინის იმპერატიული დამყარების გარდა, ომისა და სამხედრო ოპერაციისთვის  
ჯარისკაცთა მომზადებისთვის სამხედრო წერტნამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის  
უფლებების დარღვევა. მუიღურებიან დროს წერტნა მოითხოვს ომის პირობების სიმულაციას;  
აქედან გამომდინარე, უიღურესად ემოციური სტრესი და ტანჯვა წარმოადგენს სამხედრო  
წერტნის თანხმლებ პროცესს. ჯარისკაცებს ევალებათ "ბრძოლის იმპეტაციით გაიარონ  
წერტნა" და უნდა გადაიტანონ ბევრი გაჭირვება, რათა მიადნონ "კომანდოსს" მზადყოფ-  
ნას. მუიღურებიანობის დროს წერტნასა და ომის დროს მოქმედება შორის მაქსიმალურად მი-  
ახლოვებამ შესაძლოა გაართულოს წერტნის კანონიერი მეთოდების ძალადობისგან გამი-  
ჯენა.

4. ცუდი სამუშაო პირობები, არახელსაყრელი საშუალებები და ცუდი კვება ასევე  
ხელისშემწყობი ფაქტორებია იმისთვის, რომ გაჩნდეს ცუდი მოპყრობის შემთხვევები.  
შეიარაღებულ ძალებში, ზოგადად, სამხედრო მოსამსახურეები და განსაკუთრებით, ახალ-  
წვეულები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნენ არასამხედრო მიზნით. ზოგ შემთხვევაში, მა-  
გალითად, სამხედრო ქვედანაყოფის მეთაურებმა თუ ოფიცრებმა შესაძლებელია "დი-  
ქირავონ" ახალწვეულები კერძო ბიზნესში სხვადასხვა საქმის შესასრულებლად ან ჩართონ  
ისინი მათივე საცხოვრებელ სახლების მუნებლობის საქმეში. ასეთი პრაქტიკა კი იძულებით  
ის შრომის სახეს იღებს. სამხედრო მოსამსახურეები ასევე შეიძლება გახდნენ სამხედრო  
მსხვერპლი, მაგალითად, როდესაც რეკრუტისთვის მშობლის მიერ გამოგზავნილ კეებასა თუ  
ფულს ზემდგომი პირები თუ კოლეგები ართმევენ ჯარისკაცს ან აიძულებენ მათ მის განა-  
ილებას ან დამობას.<sup>347</sup>

5. ეფექტური და გამჭვირვალე ზედამხედველობისა და სხვა სამონიტორინგო მექანიზმების  
ნაკლებობა, უფლებდაცვითი პროგრამების არარსებობასთან ერთად, ხელს უწყობს დამინებ-  
ის და იძულების ფაქტების აღმოცენებას. უმეტეს შემთხვევაში უკანონო მოპყრობის საუარ-  
აუდო ფაქტების გამოძიება უფროსი ოფიცრების კომპეტენციამია, რაც თავისთავად პირველ

<sup>345</sup> Erving Goffman, თავისთავარი: ფსიქიკური და ფიზიკური პატივგადაცემა და სხვა სახის პატივგადაცემა სოციალური  
მეგობრობის შესახებ ნარკვევა (New-York: Doubleday, 1961).

<sup>346</sup> Human Rights Watch - მაკონტროლებელი ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციის შეარჩეულ ძალებში ახალწვეულთა  
მიმართ უკანონო მოპყრობა, ოქტომბერი 2004, <http://www.hrw.org/reports/2004/russia1/004>.

<sup>347</sup> იქვე, გვ. 27-28. ახალწვეულთა რეკრუტების დროს დივიზი ფიზიკური დატვირთვა, როგორც დასჯის ერთ-ერთი  
ფორმა, არ არის კანონის დამცველი, მაგრამ ძალდატახებით ფიზიკური დატვირთვა და შიმშილი და მუიღურების ქვეშე  
წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას. ახალწვეულებს დაავალი სხვადასხვა სახის საქმიანობა, არ არის  
დამამცირებელი, მაგრამ აიძულებს მას იცხოვროს კატორღული შრომით დროის დიდი მონაკეთის განმავლობაში და  
თან წების საწინააღმდეგოდ, იძულება დისკრიმინაციად.

<sup>348</sup> იქვე.

რიგში შეიძლება გახდეს უკმაყოფილების მიზეზი და ზემდგომ პირთა მხრიდან უკანონო ქმედების ფაქტების მიჩქარებასა და აღკვეთას. უკანონო ქმედებების აღმოფხვრის მიზნით აუცილებელია, რომ შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეები ინფორმირებული იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ და რომ უფროსმა ოფიცრებმა მიიღონ გარკვეული დირექტივები და შეესაბამისნენ წერილობითად, რომ მათ სწორად გამოიყენონ თავისი უფლებამოსილება და ამავე დროს პატივი სცენ და გაითვალისწინონ დაქვემდებარებულითა უფლებები. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ეფექტურმა გარე და შიდა სამონიტორინგო მექანიზმებმა აკატარონ სადამსჯელო ზომები და ამით ხელ შეუშალონ კანონის დარღვევითვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. კანონდარღვევების ფონზე დაუსჯელობის სინდრომის არსებობა მართლაც რომ ეჭვის ქვეშე აყენებს შეიარაღებული ძალების ეფექტურობასა და მის რეპუტაციას.

### უკანონო ქმედების აღმოფხვრის აუცილებლობა

ნებისმიერი უკანონო ქმედება უნდა აღმოფხვრას შემდეგი სულ ცოტა 3 მიზეზის გამო. პირველი რაგში, სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი ქმედების აკრძალვა ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლებიდან გამომდინარე ვალდებულება. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ადამიანის ამ მართლად უფლების შესუსტება დაუსშვებელია სამხედრო ვალდებულების (იხ. ქვემოთ) მოთხოვნებზე მითითებითაც კი. მეორე რაგში, უკანონო მოპყრობა ქმნის შიშისა და უნდობლობის სინდრომს სამხედრო მომსახურეთა შორის. ტერორი და ეჭვი კი ვერანაირ საფუძველს ვერ შექმნის სამხედრო ქვედანაყოფის ერთიანობის უზრუნველყოფის საქმეში, რაც აუცილებელი ნინაპირობაა ომში, კონფლიქტსა თუ სამშვიდობო ოპერაციებში წარმატებული საქმიანობის განხორციელებისთვის. მესამე, ჯარში უკმაყოფილო მოსამსახურეთა მშობლების და მთლიანად საზოგადოებას უნდობლობა გაურუნდება იმ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რომელთაც "გაანადგურებს" მათი უკლებელი. სისტემატური უკანონო მოპყრობის შედეგად, საზოგადოების თვალში დაექვემდებარება სამხედროს სტატუსში, გაიზრდება სამხედრო სამსახურისადმი ნიშლიზმი და ჯარში სამსახურისგან თავისიანრიდებელთა რიცხვი. ეს კი სულაც არ ემსახურება იმ საამაყო მიზანს, რომელიც ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურა ისახავს.

## 2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

მოქალაქეები სამხედრო ფორმაში - შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, უნდა სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, რითაც ჩვეულებრივი მოქალაქეები. მაშინ, როდესაც გარკვეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობა და დაცვა, როგორცაცა: გამოხატვის და აზრის თავისუფლება, სინდისი, რელიგია და მრწამსი, შეიძლება შესუსტდეს სამხედრო ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შეიარაღებული ძალების უკლებლივ ყველა მომსახურე, სტატუსის მიუხედავად, ისარგებლოს გარკვეული ურდვევი ფუნდამენტური უფლებითა და თავისუფლებით, სრულად და შეზღუდვის გარეშე. განსაკუთრებით, სამხედრო პროფესიის თანმხლები საფრთხეების გათვალისწინებით, აუცილებელია პირველ რიგში გარანტირებული იყოს სიცოცხლის უფლების დაცვა (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების მე-6 მუხლი, და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი). შეიარაღებული ძალების წევრებს უკანონო და არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლება აქვთ (ECHR—ის მე-3 მუხლი; ICCPR—ის მე-7 მუხლი), რაც ნიშნავს იმას, რომ შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე ქალთა და მამაკაცთა კონტინგენტი არ უნდა მოექცეს დამამცირებელი თუ შეურაცხყოფილი ზეგავლენის ქვეშ, მაგალითად, წერთის უკიდურესად ხისტი და მკაცრი მეთოდის დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს წამების, სასტიკი მოპყრობის თუ სხვა სახის დამამცირებელ ქმედებებს და დასჯას. იგიძალდება მონობა, კატორღული შრომა და იძულებითი თუ ძალადტანებითი შრომა (ECHR—ის მე-4 მუხლი), რომლის თანახმადაც, ახალწვეულს არ ევალება ისეთი დავალებების, იძულებითი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ არის მისი მისის შესაბამისი. ეს უფლებები ასევე განერილია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციაში ისევე, როგორც ევროპის კონვენციაში,<sup>248</sup> რომლის თანახმადაც მიუხედავად სამხედრო მოთხოვნების თავისებურებებიდან გამომდინარე დაუსშვებელია ზემოსხეხებული საყოველთაო უფლებების რაიმე სახით დარღვევა ან შეზღუდვა.<sup>249</sup>

უკანონო მოპყრობის ფაქტების გამოძიება: აუფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე ძალადობის ფაქტების გამოკვინების დროს შეიარაღებული ძალების წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ იურიდიული დაცვა (ECHR—ის მე-5 მუხლი) და დამოუკიდებელი და მიუკერძოებ-

<sup>248</sup> იხ. <http://www.ohchr.org/english/law/cat.htm>.

<sup>249</sup> იხ. <http://www.cpt.coe.int/EN/documents/ecept.htm>.

ბელი სასამართლოს მიერ გამოტანილი სამართლიანი გადაწყვეტილება (ICCP-ის მე-14 და მე-15 მუხლები და ECHR-ის მე-6 მუხლი). სამხედრო სასამართლოს წინაშე ოფიციალური სარჩელის შეტანის პროცედურებში გათვალისწინებული უნდა იყოს ის, რომ დაპატიმრება და დაკავების პირობები უნდა იყოს კანონიერი და სრულად უნდა ეთანხმებოდეს ECHR-ისა და ICCPR-ის შესაბამის მუხლებს (სადაც ხაზგასმით მითითებულია შესაბამისი ზომების, სასამართლიანი პროცედურების, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს, ახალ-წვეულთა ნებისმიერი დაპატიმრების თუ დაკავების კანონიერების დაცვა). თუმცა, უთო-ს რეაქციები ნევთამა ქვეყანამ ამ მუხლებთან მიმართებაში მაინც ვეიმუშავა გარკვეული დოქტრინები (იხ. თავი 21, "სამხედრო სამართალი და დისციპლინა")<sup>270</sup>

### ვეროპის საბჭო

სახელმძღვანელოს საიმედო წყაროდ გამოდგება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომლის მნიშვნელობა სცდება ევროპის საბჭოს ნევრო ქვეყნების ფარგლებს. სასამართლოს ინტერპრეტაციის თანახმად, კონვენცია შეიარაღებული ძალების წევრებს მოიაზრებს როგორც "მოქალაქებს სამხედრო ფორმში," ანუ სამხედრო მომსახურე კონტინგენტი ინარჩუნებს თავის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, თუმცა უფლებები მოდიფიცირებულია და მათი განხილვა ხდება სამხედრო სპეციფიკის კონტექსტში.

ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მისაღებია მიდგომა "მოქალაქე სამხედრო ფორმში." ამასთან დაკავშირებით მიიღეს კიდევ რიგი რეკომენდაციებისა, სადაც დამოხილულია ვარისკაცთა უფლებების დარღვევის ფართოდ გაერცხლებული შემთხვევები და სადაც მოუწოდებენ ნევრო ქვეყნებს უფლებათა დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მიიღონ მრავალმხრივი ზომები და სრულად გაატარონ ცხოვრებაში ზემოაღნიშნული კონვენცია. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გამოხატა თავისი დიდი ინტერესი ამ საკითხისადმი. 1998 წელს ახალწვეულთა უფლებების შესახებ მან მიიღო რეზოლუცია 1166 და რეკომენდაცია 1380, სადაც იგი მხარს უჭერს პრინციპს, რომ ახალწვეულები, შეიარაღებულ ძალთა სხვა წევრების მსგავსად, უნდა ჩაითვალოს მოქალაქეებად სამხედრო ფორმში და, აქედან გამომდინარე, უნდა სარგებლობდნენ იმავე უფლებებითა და თავისუფლებებით, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის ფარგლებში, და, ამდენად, აქვთ ისეთივე იურიდიული დაცვა, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს გააჩნიათ.<sup>271</sup> ბოლო პერიოდში საპარლამენტო ასამბლეამ ასევე მიიღო რეკომენდაცია 1742 (2006), რომელიც შეეხება, ზოგადად, შეიარაღებული ძალების წევრთა უფლებებს, ყურადღება ექცევა შეიარაღებული ძალებში მოსამსახურეთა წინააღმდეგ უკანონო ქმედებებს, განსაკუთრებით, ახალწვეულებს, როგორც შეიარაღებულ ძალებში ყველაზე დაუცველ ჯგუფს.<sup>272</sup>

### უთო-ს ვალდებულებები

უთო-ს ასევე გამოხატა სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს ნაშეხისა და სხვა სასტიკი, არადამიანური და დამამცირებელი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ზოგ შემთხვევაში, უთო-ს ნევრო-ს ქვეყნებმა პასუხისმგებლობა აიღეს დამნაშავეთა დასჯის მიზნით გამოიძიონ ნაშეხის ყველა საეარაუდო შემთხვევა; ამასთან, გადაწყვიტეს, რომ ნაშეხის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, თავიანთ საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამებში შეიტანონ კონკრეტული დებულებები, ასევე სამხედრო და პოლიციური ძალების შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით გაატარონ კანონმდებლობითი საქმიანობა.<sup>273</sup> უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე უთო-ს ქვეყნის კოდექსი განსაკუთრებით მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეთა პრობლემებს, რომელიც აისრებს ნევრო ქვეყნებს ვალდებულებას უზრუნველყონ, რომ სამხედრო, პარამილიტარულმა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე პერსონალმა შეძლოს თავისი უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობა (იხ. სქემა 16.1.).

<sup>270</sup> აზერბაიჯანმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, საფრანგეთმა და სლოვაკეთმა, მაგალითად, შეიმუშავეს ECHR-ის M8-მ მუხლის და მე-6 მუხლის პირობა. სომხეთმა, ლტვამ, მოლდოვამ, პორტუგალიამ, რუსეთმა და უკრაინამ შეიმუშავეს ECHR-ის მე-6 მუხლის დებულებები ICCPR-ის პირობების სრულ სიბრტის, იხ. [http://www.ohchr.org/english/countries/realificat-ion/4\\_1.htm#N18](http://www.ohchr.org/english/countries/realificat-ion/4_1.htm#N18).

<sup>271</sup> ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას 1742-ე რეკომენდაცია (2006). ასევე, იხილეთ "შეიარაღებული ძალების წევრთა უფლებები" იპ. ციტ. შენიშვნა 357. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ უკრადღება მიაქცია ნევრო კონკრეტულ პუნქტს, კერძოდ იმას, რომ პროფესიონალ მოსამსახურეთა ურთიერთობის უფლებები და სამხედრო მოსამსახურისადმი კეთილსინდისიერი პროტესტის უფლებები საკითხის სკოპის ფარგლებს, რომელიც აისრებს ნევრო ქვეყნებს უფლებები ფუნდამენტური წინააღმდეგ, 1994, გადაწყვეტილებები: VI ადამიანური ფაქტორი, პარიზი, 20.

## სქემა 16.1

უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტებზე ეუთო-ს ქვეყის კოდექსი<sup>375</sup>

32. ეუთო-ს შეთანხმებების და საერთაშორისო სამართლის, ასევე შესაბამისი კონსტიტუციური და იურიდიული დებულებებისა და მოთხოვნების თანახმად, თითოეული წევრი ქვეყანა უზრუნველყოფს იმას, რომ სამხედრო, პარამილიტარულმა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე პერსონალმა შეძლოს თავისი უფლებებით და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობა.

33. ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყანა შესაბამისი იურიდიული და ადმინისტრაციული პროცედურების მეშვეობით დაიცავს შეიარაღებული ძალების მთლიანი კონტინგენტის უფლებებს.

### 3. დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრა

შეიარაღებულ ძალებში უკანონო მოპყრობისა და უფლებამოსილების გადაამტკებლის ფაქტების აღმოფხვრისათვის უნდა გაატარდეს რიგი ზომებისა და უნდა დამკვიდრდეს ასეთი ფაქტების მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულება. ეს ზომები მოიცავს: რეკრუტირების განმავლობაში უკანონო თითონებურობის აკრძალვას; (2) ახალშეყვულთა და უფროს ოფიცერთა ინსტრუქტირებას და წვრთნას; (3) ოფიცერთა და უფლებამოსილების არმქონე ოფიცერთა დონეზე კომპეტენტური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას; და (4) სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

რეკრუტირების განმავლობაში უკანონო რიტუალთა აკრძალვა

აუცილებელია ნებართვის გარეშე უკანონო ცერემონიების მკაცრი კანონისმიერი აკრძალვა, რათა უკანონო ქმედების ფაქტის გამოძიებისა და დასჯის მიზნით შეიქმნას ეფექტური სამართლებრივი ბაზა. 80-იან წლებში, მაგალითად, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ დაძინების შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით გაატარა რიგი ზომებისა, სადაც ყველაზე საყურადღებო იყო ის, რომ უფლებამოსილების გარეშე ჩაგვრის, უკანონო ზენოლის პრაქტიკის აღმოფხვრისთვის შემოიღეს კონკრეტული სანქცია<sup>376</sup> (იხ. სქემა 16.2).

## სქემა 16.2

სამეფო კარის რეგულირებანი შეიარაღებული ძალებისათვის: სანქცია დიდ ბრიტანეთში რეკრუტირების პროცესში უკანონო ქმედებების წინააღმდეგ<sup>375</sup>

სამხედრო პროფესიის ეფექტურობასა და დისციპლინას არსებითად არანაირი კავშირი უნდა ჰქონდეს არასანქცირებულ თუ სხვა სახის უკანონო თვითნებურ ქმედებებთან, რაც მიზნად ისახავს დამინებას, ფიზიკურ თუ მენტალურ დეგრადაციას. ასეთი სახის ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება წვრთნის მორალს და კარგი ხელმძღვანელობის მოთხოვნებს. სავარაუდო უკანონო ქმედებებზე საჩივრები უნდა გადაეგზავნოს სპეციალურ საგამომძიებო განყოფილებას, რათა შეიარაღებული ძალების 1955-ე აქტის თანახმად, უკანონობის ხელისშემწყობთა თუ სხვა მონაწილეთა წინააღმდეგ გაატარდეს დისციპლინური ზომები. ამ პარაგრაფის შინაარსს კი ყოველნაირად უნდა გაეცნოს ყველა სამხედრო მოხმასახურე ქვედანაყოფის ბრძანებებთან ერთად.

### ტრეინინგი

ტრეინინგის პროცესში აუცილებელია, რომ ყოველი სამხედრო პირი გაეცნოს თავის უფლებებს. სატრეინინგო კურსებზე ხაზი უნდა გაესვას ერთობის, ძმობის ცნებებს და შეიარაღებული ძალების რიგებში ლიოლიობას; რამდენადაც ურთიერთდობისა და პატივისცემის გარეშე მოხელს უწყობს ქვედანაყოფის ოპერატიულ შესაძლებლობებსა და ერთიანობის გაძლიერებას, ოფიცერთა სკოლაში აუცილებელი პირობა უნდა იყოს დაძინების პრაქტიკის წინააღმდეგ ინფორმირების გაზრდის მეთოდების შესახებ პრაქტიკული კურსების ჩატარება. ეუთო-ს რიგ ქვეყნებში, მაგალითად, ავსტრიაში, ბელორუსიაში, საფრანგეთში, საქართველოში, ნორვეგიაში, რუსეთში, თურქეთსა და უკრაინაში, ოფიცრები სპეციალურად ინვრთნიებიან დისკრიმინაციის წინააღმდეგ და იღებენ ცოდნას დაძინების, უკანონო შემთხვევათა გამოვლენისა და აღმოფხვრის შესახებ. მაგალითად, ირლანდიაში თავდაცვის ძალებში ყველა ახა-

<sup>375</sup> ეუთო-ს ქვეყის კოდექსი პოლიტიკურ-სამხედრო უსაფრთხოების ასპექტებთან დაკავშირებით, 1994.

<sup>376</sup> James K. Wither, "ბრიტანეთის არმიამ დაძინების წინააღმდეგ ბრძოლა 1987 — 2004", ვერნალი პოსტ-სამბოთა საზოგადოებაში ძალადანი დანქს-ბუღებების შესახებ, №1, 2004, <http://www.pipsa.org/document145.html>.

<sup>377</sup> შეფის ყართან დაკავშირებული დებულებები, გადამამუშავებული გამოცემა, მარტი 1996, IAC 13260, ლონდონი, Her Majesty's Stationery Office, ნაირობი, ზ.პარაგ. 5.201A.

ლი მსმენელი იღებს ინსტრუქტაჟს იმის შესახებ, თუ რა ითვლება შეუსაბამო ქცევად და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმაზე, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ასეთი ვითარება და წარდგინდეს იქნეს საჩივარი იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ჩადი შესაბამის უკანონო ქმედებას. ეს ინსტრუქტაჟი ტარდება უფროსი ოფიცრის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია მოსამზადებელი ტრენინგის ორგანიზებაზე, და გათვალისწინებულია როგორც ზოგადი მომზადებისათვის, ისე ოფიცრის კურსანტებისათვის. ლექცია მიმოიხილავს იმ როლს, რომელიც უფროს ოფიცერი აკისრია საჩივრების ან პრეტენზიების დარეგულირების სფეროში. თავდაცვის ძალებში ყოველ ახალ მსმენელს ეძლევა საინფორმაციო სახელმძღვანელო თავდაცვის ძალების ახალი წევრებისათვის<sup>276</sup> (იხ. სქემა 16.3).

### სქემა 16.3

#### ირლანდია: სახელმძღვანელო თავდაცვის ძალების ახალ წევრებისათვის<sup>277</sup>

ამ სახელმძღვანელოს მიზანია თავდაცვის ძალებში განვირინებულთა ინფორმირება, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პასუხისმგებლობა და ვალდებულება;
- დასაქმების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- თავდაცვის ძალების წევრების უფლებები და უფლებამოსილებები;
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- პიროვნებათმორისი ურთიერთობები;
- მიუღებელი ქცევა, დაშინება და წვალება;
- როგორ შევაჩეროთ მიუღებელი ქცევა; და,
- როგორ გამოვასწოროთ ვითარება და გამოვხატოთ უკმაყოფილება.

#### კომპეტენტური ხელმძღვანელობა

ტრენინგის გარდა, კომპეტენტური ლიდერები არსებით როლს თამაშობენ იმაში, რომ სამხედრო მოსამსახურებმა ურთიერთგაგებისთვის ეფექტური "საბრძოლო" ჩვევები გამოიმუშაონ. გზელმძღვანელები ქვეშევრდომებს აცნობენ მიზნებსა და ამოცანებს და ასცდენ დირექტივებს. ასეთი ხელმძღვანელები ქმნიან ურთიერთგაგების ატმოსფეროს ქვედაეყოფში დისციპლინის გატარების და ვალდებულების გრძობის გამოუმუშავების გზით; მეთაურები ასევე დიდ როლს თამაშობენ დაშინების წინააღმდეგ ზომების გატარებაში. კანადაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, საქართველოში, ლატვიაში, ლიტვიაში, ნორვეგიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, დიდ ბრიტანეთში, ამერიკასა და უკრაინაში ოფიცრები ორგანიზებას უკეთებენ ყოველდღიური შემოწმების რეჟიმს და მოულოდნელი კონტროლის გზით ეძიებენ უკანონო თვითნებურ ქმედებებს. ამას გარდა, ეუთო-ს ბევრ წევრ ქვეყანაში: ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი და შვეიცარია, ოფიცრები ინფორმირებენ იმაში, რომ გამოძიონ უკანონო ქმედების ნებისმიერი გამოვლინება და მკაცრად და თანმიმდევრულად გაატარონ სადამსჯელო ღონისძიებები (ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა). კომანდოსი ოფიცრები მიმაგრებული არიან თავიანთ ქვედანაყოფებზე არა მხოლოდ უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფისათვის, არამედ ისინი ასევე ვალდებული არიან შესაბამის ორგანიზებას მოახსენონ სამხედრო წესისა და კოდექსის წინაშე კანონდარღვევების შესახებ გამოძიების, განხილვისა და იურიდიული ქმედების გატარების გზით (იხ. ქვემოთ).

#### სამუშაო პირობების გაუმჯობესება

შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრისათვის ასევე ეფექტური ზომია შეიარაღებული ძალების სამსახურში სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ცუდმა სამუშაო პირობებმა, არადამაკმაყოფილებელმა საშუალებებმა, ცუდმა კვებამ და აბალმა ანაზღაურებამ შესაძლოა ხელსაყრელი პირობა შექმნას იმისთვის, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, განსაკუთრებით ახალწვეულებია, არასამხედრო მიზნით გამოყენებულ იქნენ მუშებად, კერძოდ, იმუშაონ ქარხანაში ან შეასრულონ საცუდ სამუშაოები.

<sup>276</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 47ბ.

<sup>277</sup> თავდაცვის ჯარებში ახალწვეულთა საინფორმაციო სახელმძღვანელო, თავდაცვის ჯარების შტაბი, ირლანდია, ნოემბერი 2006.

#### 4. შეიარაღებულ ძალებში უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის საგარეო მონიტორინგის ორგანიზაციები

შეიარაღებულ ძალებში, პოლიციურ ზომებთან ერთად, დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრისა და ყაზარმებში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის საქმეში შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ არსაშეხვედრო ორგანიზაციებმა, რომლებიც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამოქალაქო ზედამხედველობას ახორციელებენ.

პარლამენტს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სხვა სახის დამოუკიდებელ დანსებულელებს, მათ შორის მედიას, ხშირად უნევთ შეიარაღებული ძალების რიგებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოძიება. მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, ქვეყნდება თემატურ თუ ყოველწლიურ ანგარიშებში. არსებითია უკანონო შემთხვევათა უგულვებელყოფის ფაქტების დაფიქსირება, რათა სამოქალაქო საზოგადოებასა და სამხედრო პერსონალში გაერცელებს სანდო ინფორმაცია და აშაღდეს ინფორმირებულობის ხარისხი. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციები ეხმარებიან პარლამენტს სამხედრო სფეროზე კონტროლის განხორციელებაში. დღესდღეობით ეუთო-ს ბევრი სახელმწიფო ნებას რთავს სამხედრო ძალებზე ჩატარდეს სხვადასხვა სახის სამოქალაქო ზედამხედველობა (იხ. ჩანართი 16.4).

#### სქემა 16.4

შეიარაღებული ძალების მონიტორინგი: აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, პოლონეთი, შვედეთი, რუსეთის ფედერაცია

##### აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მასშედიის საშუალებათა შესახებ კანონის 49-ე მუხლის თანახმად, მასშედიის მუდმივ სამტატო კორესპონდენტებს უფლება ეძლევათ მოიძიონ, მოამზადონ, რედაქტირება გაუკეთონ და გამოაქვეყნონ ინფორმაცია. ამ ვალდებულებების შესრულებისას ისინი ფურნალისტის სტატუსით მოქმედებენ.

##### ლუქსემბურგი

სხვადასხვა სახის სამხედრო კავშირების თუ რელიგიის წარმომადგენლები ხშირად გვევლინებიან სამხედრო მოსამსახურეთა უკმაყოფილებების მარეგულირებელ არაფორმალურ საკონტაქტო პირებად.

##### პოლონეთი

პარლამენტის წევრებს, განსაკუთრებით პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის წევრებს უფლება ეძლევათ გამოიძიონ შეიარაღებულ ძალებში შექმნილი ვითარებები.

##### შვედეთი

ყოველ მოქალაქე უფლება აქვს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გამოინაკლის წარმომადგენის მხოლოდ ის შემთხვევა, თუ ეს უკანასკნელი გასაიდუმლოებულია. ამგვარად, ყოველ პირს შეუძლია შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერი ფაქტი გამოიძიოს. ამ მიზანს ასევე ემსახურებიან სხვადასხვა სახის ომბუდსმენები, რომელთაც ადამიანის უფლებათა დარღვევებზე შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებით შეუძლიათ აწარმოონ გამოძიება.

##### რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციის ომბუდსმენს და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაატარონ მონიტორინგი და გამოკვლიონ შეიარაღებული ძალების ყოფილ და მოქმედ სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვის საკითხი.

ამასთან დაკავშირებით, წარმოადგენთ ერთი მაგალითს. ეს არის ვლადიმერ ლუკინის, რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა წარმომადგენლის, დამოუკიდებელი კვლევითი ნაშუქუვარი. მან რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაბატონებულ უკანონობაზე 2005 წლის ივლისში სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბებული იყო შემდეგი ზომების გატარების აუცილებლობა: მიზანშეწონილია ტრენინგის ხარისხის გაუმჯობესება და სამხედრო მოსამსახურეთა ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა.

<sup>200</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 7.



## საქმე 16.5

### რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა წარმომადგენლის სპეციალური ანგარიში: ახალწვეულთა, როგორც მოქალაქეთა, სამხედრო სამსახურის განმავლობაში უფლებების დაცვა<sup>279</sup>

#### ღირსების უფლება

- სახელმწიფომ და საზოგადოებამ უნდა გაათავითცნობიეროს, რომ ისეთი სახის ურთიერთობები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, დიდ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვისთვის, არამედ ასევე ჯარში მორალის საკითხის სათანადო დონეზე დაყენებისა და საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
- უფროს ოფიცერთა და, ზოგადად, შეიარაღებული ძალების პერსონალის განერთის მიზნით, უნდა გატარდეს რიგი ზომებისა ... და სერჟანტის ნოდება უნდა მიენიჭოს კონტრაქტზე მომუშავე იმ ჯარისკაცებს, რომლებმაც გაიარეს ტრენინგის საკმაოდ ხანგრძლივი (5 თვეზე მეტი ვადა) კურსი, და რომელთაც გააჩნიათ ხელმძღვანელობის და მართვის ნიჭი; და ამ პირთა შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით უზრუნველყოფა.
- შეიარაღებული ძალების სამსახურზე პასუხისმგებელი უნდა იყოს სამხედრო პოლიციის ისეთი დანებებულება, რომელიც უფლებამოსილი იქნება ანარმოს გამოძიება, პატრულირება ისევე, როგორც შეარსდოს თავისი პირდაპირი მოვალეობა - განაზოციელოს დააკეზებულ პირთა ესპორტი და სამხედრო ტვირთის კონტროლი. არსებითად, რომ სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფები შეიქმნას არა სამხედრო გარნიზონის ან ზონების მიხედვით, არამედ ტერიტორიული პრინციპიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ისინი ანგარიშვალდებული არ უნდა იყვნენ თავისი ხელმძღვანელების წინაშე და უნდა დაუფინანსდნენ ბიუჯეტის ცალკე მუხლით.
- სავარაუდოდ, იმისთვის, რომ არ დაეუშვათ უკანონო ურთიერთობების, მათ შორის, ჩაგვრის შემთხვევების განხორციელება, აუცილებელია ჯარში რეკრუტირებისას გამოყენებული იყოს არასტანდარტული მეთოდი. მაგალითად, გონიერული იქნება, თუ სანერწელი ქვედანაყოფები დაკომპლექტდებიან ერთი და იმავე ნაკადის ახალწვეულებისაგან. ისინი შეძლებენ ასეთი სახით შედგენილ დანაყოფებში მსახურებას თითქმის მთელი (ან ნახევარი მაინც) დადგენილი ვადის განმავლობაში.
- ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ეფექტურია სამხედრო ქვედანაყოფების იმ პირებით დაკომპლექტება, რომლებიც, ძირითადად, ერთი მხარიდან (ქალაქი, უბანი, რეგიონი და ტერიტორია) არიან და რეკრუტთა უფროსი თაობისგან შემდგარი ჯარის ევტერანთა საბჭოების დაფუძნებასთან ერთად, ასეთი ქვედანაყოფების შესაბამისი საპატიო ტიტულით დაჯილდოება.
- ასევე ერთობ საყურადღებოა ... სპეციალური დანაყოფების ეთნიკური ნიშნით ფორმირების პრაქტიკის აღდგენასთან დაკავშირებული იდეა. ეთნიკურ საფუძველზე რეკრუტირების პრაქტიკა წარმატებით აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შეიარაღებულ ძალებში. დღისდღობით, პრინციპი წარმატებით გამოიყენება რიგი ქვეყნების შეიარაღებული ძალების პრაქტიკაში.

#### შეიარაღებულ ძალთა პერსონალის არასამხედრო დავალებების შესრულებაში ჩართვა

- შეიარაღებული ძალების მომსახურეთა არასამხედრო დავალების შესრულების მიზნით დაქირავება კანონიერად ითვლება ძალდატანებულ, იძულებით შრომად და ამიტომ ის უნდა აიკრძალოს.

#### შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უფლება პქონდეთ ადეკვატური ანაზღაურება

- ახალწვეულებს უნდა პქონდეთ საკმარისი ანაზღაურება უნდა ის უნდა იზრდებოდეს.

ჯარში დაშინების და უკანონობის ფაქტებზე დამოუკიდებელი კვლევის კიდევ ერთი მაგალითია ნიკოლას ბლეიკის 2004 წლის DeepsCut-ის ცენტრში მომხდარი მკვლელობის მიმოხილვა.<sup>280</sup> ბლეიკმა, რომელმაც გამოიკვლია ბრიტანეთის ჯარის სატრენინგო ცენტრში 4 სიკვდილის ფაქტი, აღმოაჩინა, რომ ჩადენილი უკანონობის მიუხედავად, ვერანაირი საშიშლი იქნა აღმოჩენილი იმისა, რომ ჯარისკაცების სიკვდილის მიზეზი იყო დაზილება ან სექსუალური ძალადობა. 1995-დან 2002 წლის პერიოდში DeepsCut-ის ყაზარმებში 4 ახალგაზრდა ჯარისკაცის ფატალური დაჭრის ფაქტი გარეგნულად თვითმკვლელობას მგაედა.<sup>281</sup> ბლეიკის გამოძიე-

<sup>279</sup> "სამხედრო სავალდებულო სამსახურის განმავლობაში მოქალაქეთა უფლებების დაცვა", რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა წარმომადგენლის სპეციალური ანგარიში, მოსკოვი, 2005.

<sup>280</sup> nikolas bleik QC, *The DeepsCut-ის მიმოხილვა. Princess Royal-ის ყაზარმებში 4 ჯარისკაცის მკვლელობასთან დაკავშირებით თითარების მიმოხილვა*, ცენტრი-DeepsCut ამ ურთიღმე-1995 ანგ 2002 (ლნდონი: სამდენი, 2006). სრული ტექსტი იხ. <http://www.official-documents.gov.uk/document/hc0506/hc07/0795/0795.pdf>.

<sup>281</sup> იქვე, 12.2.

ბის თანახმად, Deepcut-ის პრაქტიკაში არ მოხდებოდა ისეთი ფაქტები, რომლებიც დამკვეთული და გამართლებული შეიძლება ყოფილიყო უფროსი ოფიცრების მიერ. 14-თვიანი გამოძიების შედეგად, ბლეიკმა დაშინებისა და სექსუალური ძალადობის ისეთ შემთხვევებს ახადა ფარდა, რომლებიც დაუსჯელი და აშკარად უგულვებელყოფილი იყო უფროსი ოფიცრების მხრიდან.<sup>32</sup> მოხსენებაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე ფაქტორი, რომელთაც შესაძლოა ხელი შეეწყო 4 ჯარისკაცის გარდაცვალების გარემოებისთვის: ყაზარმებში ცუდი საცხოვრებელი, განსაკუთრებით სანიტარული და საყოფაცხოვრებო, პირობები; ადგილობრივად გასართობი საშუალებების ნაკლებობა; სასმასურიდან თავისუფალ დროს ჯარისკაცისთვის ყაზარმიდან ფაქტობრივი გასვლის ნაკლები შეუძლებლობა; ზედამხედველობის გარეშე იარაღის ხელში-სწავლობა; შესაბამისი მეთადაყურების არარსებობა; და არაფორმალურად ისეთი სან-ქციების გატარება, როგორც არის დამატებითი საფუძვალ ელდებულების შესრულება.<sup>33</sup> კონკრეტულად ჯარის წევრის რეჟიმში ზემოხსენებული ნაკლოვანებების წარმოჩენის გარდა "Deepcut"-ის მიმოხილვა გვთავაზობს რვა რეკომენდაციებს (იხ. სქემა 16.6).

## სქემა 16.6

### "Deepcut"-ის მიმოხილვა: რეკომენდაციები<sup>34</sup>

- როგორც წესი, ჯარში ხელმძღვანელოში, ადვილად და სრულად მოძიებად უნდა იყოს "ზეარინად მოყოლილი" სამედიცინო თუ სოციალური ისტორიების დადასტურების ფაქტები. ასეთი ინფორმაცია აუცილებელია ინციდენტის შესაბამისობის სრული შეფასებისათვის. შედეგად ტრეინინგის ცენტრებს საშუალება ეძლევათ საკმის კურსში იყვნენ ნებისმიერი კონკრეტული პრობლემატური შემთხვევის შესახებ;
- ინსტრუქტორებმა ახალგაზრდებთან მუშაობის დანყებად უნდა გაიარონ სამედიცინო გამოკვლევა და შესაბამისი წვრთნა;
- ყოველი ოფიცერი, უფლებამოსილების არმქონე ოფიცერი, სამოქალაქო ინსტრუქტორი და მწვრთნელი განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა მიაქციას უკანონობის ნებისმიერ გამოვლინებას; ვალდებული უნდა იყოს ამის თაობაზე ანგარიში წარუდგინოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებს, რათა მოხდეს ობიექტიური და ფაქტური ზომების მიღება; კანონის დაცვისადმი ნებისმიერი დაუდევრობა და ამის შესახებ თვით არმომხსენების ფაქტიც უნდა იყოს დისციპლინარული სანქციის საგანი;
- დისკრიმინაციის, შევიწროების, ძალადობისა თუ დამინების შესახებ ნებისმიერი საჩივარი უნდა გადაეგზავნოს სამედიცინო სამსახურს პოლიციას;
- უნდა შემოღებულ იქნას სამხედრო საჩივრების რწმუნებული ან/და შეიარაღებულ ძალების ომბუდსმენი;
- ნებისმიერი პრაქტიკანტი სამხედრო პოლიციელის ან ჯარისკაცის მიერ პატრულირების პროცესს უნდა მიმდინარეობდეს უწყულოდ არასამთავრობო ორგანიზაციის ან გამოცდილი უფროსი ჯარისკაცის ზედამხედველობის ქვეშ;
- ზედამხედველობის გარეშე შეიარაღებული პატრულირების განხორციელებისათვის პრაქტიკანტი ჯარისკაცთა მინიმალური ასაკი უნდა იყოს 18-წელი.

## 5. გასაჩივრების პროცედურები უკანონო ქმედებების დროს

უკანონობის ქმედების შემთხვევაში, სამხედრო პერსონალს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს პასუხისმგებელი პირებისა და სამხედრო სამართლის სისტემის მემეშობით გამოსწორების სიტუაცია.

სამხედრო მეთაურები პასუხისმგებელი არიან მათზე მიმაგრებული მთელი სამხედრო პერსონალის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. ეს ხელმძღვანელები, როდესაც აწყდებიან კანონის დარღვევას აშკარა ფაქტებს, ვალდებული არიან გამოიმჩნონ და საკმის კურსში ჩააყენონ თავიანთი ზედამხედველობის მიხედვით (მეგალითად, ესტრუქტურა). თუ ეს ქმედებები კრიმინალურ ხასიათს ატარებს, მაშინ დისციპლინის დაცვაზე ვალდებულმა

<sup>32</sup> M Evans, "Deepcut"-ის მკვლელების გამოწვევ მიზეზად დაინების უარყოფა", გაზეთი- Times, 30 მარტი, 2006. "ბატონმა ბლეიკმა განაცხადა, რომ ის ერთობ გაკვირებულია, რომ სამხედრო ხელისუფლებამ არ დაადასტურა Deepcut-ის ინსტრუქტორი, ნიდეტის Sergeant BB, რომელმაც პრაქტიკანტებს ფიზიკური და სიტყვიერი უგუნი ცოცხალი შეაყენა. სერგანტმა, რომელმაც დატოვა ჯარი, ერთ რეკრუტ ქალბატონს სახეში დაარტყა "უმიზეზოდ" და ეკლესიის მიმართ დაჯავახა "მუსუკან" ჯარისკაცებს გზაზე. ჯარის საგამომიძიებო ხელისუფლებამ უარყო სერგანტის ბრალდებების ადასტოება და განაცხადა, რომ ეს გამოძიება არც საზოგადოების და არც ჯარის ინტერესებში არ შედის. სერგანტი იყო ის ერთ-ერთი ადამიანი, რომელმაც Deepcut-ის 10 დანარჩენ კოლეგასთან ერთად მიიღო ბ-ნ ბლეიკის წერილი გაფრთხილებით, რომ ის მათი ქვეყნის შესახებ გამოაქვეყნებდა ინგარიში, და რომ მათი ამოცნობა შესაძლებელია."  
<sup>33</sup> Blake, op. cit., შენიშვნა 380.  
<sup>34</sup> იქვე.

ხელმძღვანელობამ ამის შესახებ უნდა მოახსენოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს, მაგალითად, გერმანიაში – სახალხო პროკურორის, ჩეხეთის რესპუბლიკაში – სამხედრო პოლიციას, რომელიც ამ საკითხს წარადგენს შესაბამისი სასამართლოს წინაშე. სამხედრო მოსამსახურე, თავის მხრივ, პასუხისმგებელია თავისი ქვეშევრდომები თუ კოლეგები დაცვის დამინებისა და ჩავერისგან ან, თუ ადგილი ექნება სხვათა ჩავერის ფაქტებს, ამხილოს ისინი. ზოგიერთ ქვეყანაში, დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება კანონდამრღვევები მიჩნეულ იქნენ სისხლისსამართლებრივ დამნაშავეებად (მაგ., ბელარუსია, საფრანგეთი). ამჟამინდელ სამხედრო სამართლის კოდექსი შეიცავს კონკრეტულ დამსჯელ მუხლებს 93, სახელწოდებით "სისასტიკე და უკანონო მოპყრობა." უასეთი ქმედებისათვის შესაძლოა პასუხისმგებელი სამხედრო პირები დასჯილ იქნენ შემდეგი ზომებით: ანაზღაურების ჩამორთმევა, დანიშნულების შესაძლებლობაზე უარის თქმა, მხარდაჭერის დაკარგვა ან სამსახურიდან გათავისუფლება და სამხედრო ტრიბუნალიც კი, თუ საქმე გვაქვს მძიმე დანაშაულთან და შეიცავს თავდასხმის ნიშნებს დამამძიმებელ გარემოებაში, მათ შორის, შავალთაოდ, ქვეშევრდომთა დამკვირვებას (იხ. თავი 21 "სამხედრო სამართალი და დისციპლინა"). სქემა 16.7 მიმოიხილავს, თუ რა სახით აგებენ პასუხს დანაშაულის ჩამდენი და ის ოფიცრები, რომლებიც ხელს აფარებენ უკანონო ქმედებებს.

## სქემა 16.7

### დაშინების ინიციატორთა და უკანონობის უგულვებელმყოფელი ზედამხედველი ოფიცრების პასუხისმგებლობა<sup>385</sup>

#### ბელგია

სადისციპლინო წესდების თანახმად, ქვეშევრდომთა ქმედებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას იმ შემთხვევაში, თუ ქმედებები გამოწვეულია ზედგომთა დაუდევრობის ან უყურადღებობის გამო ანუ, თუ ხელმძღვანელობა საქმის კურსში იყო ქვეშევრდომთა მხრიდან კანონდარღვევების შესახებ და არ გაატარა ყველა შესაძლო ზომა, რათა შეეჩერებინა ქვეშევრდომთა უკანონო ქმედებები. შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიხედვით, ისუბიან ის მოვლენა, რომელთაც საჩივრის შემოსვლის და შესაბამისი განაჩენის გამოტანის შემდეგ არ აღმოფხვრეს დამინების ფაქტები.

#### დანია

სამხედრო დისციპლინის კოდექსის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეები პასუხს აგებენ კანონის წინაშე, თუ ისინი მხილველი იქნებიან თავიანთ ქვეშევრდომთა ან თანამოსამსახურეთა დამინების თუ წვალეის ქმედებებში.

#### საფრანგეთი

ჩავერა და დამინება სისხლის სამართლით დასჯადი ქმედებაა. ის დამნაშავეები და ოფიცრები, რომლებიც გულგრილი იქნებიან ასეთი გამოვლინებების მიმართ, ვასამართლებიან შესაბამისი სასამართლოში, შესაძლოა ეს იყოს სამოქალაქო სასამართლო (დანაშაულის სიმძიმეიდან გამომდინარე).

#### შვეიცარია

დისკრიმინაციის ინიციატორები ისუბიან 3 წლით თავისუფლების აღკვეთით. დისკრიმინატორულმა პიროვნებამ კი საჩივარი უნდა შეიტანოს სასამართლოში. ვარდა ამისა, უთითო რამდენიმე წევრმა ქვეყანამ დააფუძნა ომბუდსმენის ინსტიტუტები, რომლებიც ეხმარება ხელმძღვანელ რგოლს და სამხედრო სისტემას შეიარაღებულ ძალებში უზრუნველყოს კანონის უზენაესობა, თავდაცვის სტრუქტურებში პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის დამკვიდრება და სამხედრო პრაქტიკაში იმ პრობლებებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც კორექციას საჭიროებს<sup>386</sup> (იხ. თავი 22, "ომბუდსმენი").

## 6. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

ტრენინგის ვაგლის დროს, სამხედრო პერსონალმა, განსაკუთრებით უფროსმა ოფიცრებმა, უნდა გაიარონ სამედიცინო შემოწმება და, შესაბამისად, უნდა ვაცნონ თავიანთ უფლებებს, მათ შორის ვაუკენენ "ჩავერის" არსში;

საჩივრის შეტანის პროცედურებზე ოფიცრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი ტრენინგით;

<sup>385</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 52.

<sup>386</sup> "სამხედრო ომბუდსმენები", იმ. ცი., ნოტე 338.

ხელმძღვანელი პირებისათვის შემუშავებული უნდა იყოს შესაბამისი მართვის პრინციპები იმაზე, თუ როგორ უნდა მოეპყრონ თავიანთ ჯარისკაცებს;

ყოველმა ოფიცერმა და უფლებამოსილების არმქონე ოფიცერმა ყურადღება უნდა გაამახვილოს კანონის დარღვევის ნებისმიერ გამოვლინებაზე, ანგარიშვალდებული უნდა იყოს ხელმძღვანელი რგოლის წინაშე, რათა გატარდეს დროული და ეფექტური ზომები; მეთაურებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი ხელმძღვანელი პოსტი და ძალაუფლება იმისათვის, რომ აღმოიფხვრას უკანონობის ნებისმიერი ფაქტი;

მეთაურებმა დაშინებისა და დასჯის ნაცვლად უნდა შექმნან ურთიერთგაგების და პატივისცემის ატმოსფერო;

ძალადობისა და ჩაგვრის მსხვერპლი სამხედრო მოსამსახურესათვის ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს გასაჩივრების მექანიზმი;

უკანონო მოპყრობის, ჩაგვრის თუ ნაშების შესახებ საჩივრები უნდა იყოს გამოძიებული და, შესაბამისად, დაისაჯონ დამნაშავეები;

სამხედრო სფეროში დისკრიმინაციის არც ერთი გამოვლინებისადმი არ უნდა იყოს შემწყნარებლური დამოკიდებულება;

რეკრუტირების განმავლობაში უკანონო თვითნებური ქმედებების წინააღმდეგ კანონმდებლობაში უნდა ჩაინეროს კონკრეტული სანქცია;

შესაბამისი რეაგირებით სახელმწიფომ მუდმივად უნდა გამოიკვლიოს ჯარში ადამიანის უფლებათა დარღვევების გამომწვევი მიზეზები;

თავდაცვის სამინისტროებმა უნდა ითანამშრომლონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასშედიასთან და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით თავისი სამხედრო ქვედანაყოფების კარები ფართოდ უნდა გააღონ;

მაკონტროლებელ დაწესებულებებს, მაგალითად, ომბუდსმენებს, ადამიანის უფლებათა კომისიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ სპეციალურ საგამოძიებო კომისიებს, ნება უნდა დართონ მონიტორინგი ჩაატარონ იმისა, თუ როგორ დგას სამხედრო ძალებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი. შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა, მდგომარეობის და უკანონობის გამომწვევი ტენდენციების შეცვლის მიზნით, უნდა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

## სამშუშო პირობები

წინამდებარე თავი მიმოიხილავს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამშუშო პირობებს და მათთან დაკავშირებულ პოზიტორ გამოცდილებას ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების კონტექსტში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტორი, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები განსხვავდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისაგან იმით, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები "პროგრამულ" ან "პოზიტორ" უფლებებს განეკუთვნება, რომლებიც ავალდეზულენ სახელმწიფოებს მიღონ ზომები და განახორციელონ ამ უფლებათა პრაქტიკულად დაწერგვა-გატარების ხელშეწყობი პროგრამები.<sup>371</sup>

არსებული პრობლემებისა და განსახილველი საკითხების შემუშავების შემდეგ, წინამდებარე თავი განიხილავს ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური და ეკონომიკური უფლებებისადმი სხვადასხვა მიდგომებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამშუშო საათებს, შრომის ანაზღაურებას, სამშუშო უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას სამშუშო ადგილზე, ასევე, ოჯახურ ცხოვრებას. შემაჯამებლად ისვენში მოცემულია ზოგიერთი საუკეთესო გამოცდილება და რეკომენდაციები. იქიდან გამომდინარე, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო მშეიდობიანობის დროს არსებულ სიტუაციებზე ამახილავს ყურადღებას, მასში არ არის შესული ჯარების სამშეიდობო მისიონი საზღვარგარეთ დისლოცირებისა თუ სხვა ოპერაციების დროს შესაბამისი რეგულირების საკითხები. წინამდებარე თავი შეიარაღებული ძალებისადმი ზოგად მიდგომას მოიცავს, თუმცა, იმავდროულად, გაცნობიერებული გეგმავს, რომ მოცემულ ქვეყანათგან სამშუშო პირობებში განსხვავება შეიძლება არსებობდეს შეიარაღებულ, საზღვაო, საჰაერო და სხვა ძალებს შორის.

### 1. პრობლემატური საკითხები

"სამართლიანი და ხელსაყრელი სამშუშო პირობებით უზრუნველყოფა" ქმნის სოციალური და ეკონომიკური უფლებების კომპლექსის ნაწილს, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მუშაობის, კავშირების ჩამოყალიბებისა და მათი წევრობის, სათანადო საცხოვრებელი სტანდარტების ქონის უფლება და ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობის უზალდესი შესაძლებელი სტანდარტების მიღწევის უფლება.<sup>372</sup> იგი ასევე ითვალისწინებს თანაბარი შესაძლებლობების შექმნის საკითხებს, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოს სხვა თავებშია განხილული (იხ. თავები 12-14).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სამართლიანი და ხელსაყრელი სამშუშო პირობები არ უნდა არსებობდეს დაკანონებული მინიმალური სტანდარტების დონეზე, არამედ სახელმწიფოებმა უნდა შეიმართონ პოლიტიკა და შემოიღონ პროგრამები, რომლებიც ამ პირობებს უზრუნველყოფს. მაგალითად, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება (ICESCR) სახელმწიფოებისაგან მოითხოვს პრაქტიკულად განახორციელოს ეს უფლებები "ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით" და საკითხს ფართო მასშტაბითა და მოქნილი მიდგომით მოეკიდონ, გაითვალისწინონ რა ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სისტემების სპეციფიური წინაპირობები.<sup>373</sup>

ეუთო-ს ყველა წევრი სახელმწიფო გარკვეულ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს ანიჭებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს. ზოგიერთ ქვეყანაში ეს უფლებები განსხვავდება იმ უფლებათგან, რომლებიც სხვა სამოქალაქო მოსამსახურეებსა თუ პირებს ენიჭებათ.<sup>374</sup> ეს ხდება იმ ფაქტის გამო, რომ სამხედრო პროფესია გარკვეულ საცეცხლო რისკებსა და მოთხოვნებთან არის დაკავშირებული, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. მშეიდობიანობის დროს, სახლში ყოფნისას, სამხედრო მოსამსახურეების დიდი ნაწილი ისეთ სამუშაოს ასრულებს (მაგ., დაცვის პერსონალი, ექიმები, სასადილოებში მომუშავე პერსონალი, ინჟინრები, კომპიუტერის სპეციალისტები და სხვა), რომელიც ისევეა დაკავშირებული ჯანმრთელობისა და უსა-

<sup>371</sup> გაერო-ს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის კომიტეტი, "ზოგადი კომენტარები, კომენტარი No. 9: შთანხმების მიღაცელობის გამოყენება", E/C.12/1998/24, 3 დეკემბერი, 1998, 36-ე სეილითი იხილით ევბ-გვერდზე: <http://www.hri.ca/fortherecord/Canada/documentation/bodies/e-12-1998-24.htm>.

<sup>372</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება, შევიდლით იხილით ევბ-გვერდზე <http://www.ohchr.org/english>.

<sup>373</sup> "ზოგადი კომენტარები, კომენტარი No. 9", op. cit., შენიშვნა 387.

<sup>374</sup> Note, op. cit., შენიშვნა 8, გვ. 97.

ფრთხობისათვის შექმნილ რისკებთან, როგორც კერძო სექტორის სხვა სამსახურებში. სამუდამო სამსახურების მცირე ნაწილი, მაგალითად, საბრძოლო პერსონალი, გამანადგმველები და დაზვერვის თანამშრომლები, სამსახურებრივად დაკავშირებული არიან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარკვეულ სამხედრო რისკებთან. ეს რისკები ნაწილობრივ გამოწვეულია სტრესით, რომელიც სამხედრო პროფესიის განუყოფელი ნაწილია, ნაწილობრივ კი – ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზეგავლენისა და დაქვემდებარების გამო (მაგ., წერტილისა თუ დისლოკაციის ადგილების დაბინძურება, რადიაცია, ხმაური და ა.შ.).<sup>211</sup>

შეიარაღებული ძალებისა და მისი პერსონალისათვის სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობები მნიშვნელოვანია მრავალი მიზეზის გამო. პირველი ამ მიზეზთაგან არის სათანადო სამუშაო პირობები, როგორებიცაა, ეფექტური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილებზე უბედურ შემთხვევათა, ავადმყოფობებისა და მსხვერპლის თავიდან აცილებას. ევროკავშირის როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ სექტორში, მაგალითად, ყოველწლიურად ადგილი აქვს დაახლოებით 4.8 მილიონ სამუშაოსთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევას და მთლიანად, მოსამსახურეთა 14% ნელ-ნელაში ერთზე მეტ უბედურ შემთხვევას განიცდის; საშუალოდ, თითქმის 5,200 მუშა-მოსამსახურე იღუპება სამუშაოსთან დაკავშირებულ უბედურ შემთხვევათა გამო, ხოლო ევროკავშირის ფარგლებში ყოველწლიურად დაახლოებით 158 მლნ სამუშაო დღე ეღვება.<sup>212</sup> სექმა 17.1 სამხედრო სექტორში დაფიქსირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემების ხშირ შემთხვევებს გვიჩვენებს.

**სქემა 17.1**

**სამხედრო სექტორში გავრცელებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემები<sup>213</sup>**

**ა. ფსიქო-სოციალური პრობლემები სტრესი**  
სამხედრო ორგანიზაციების სტრუქტურაში ცვლილებები (რესტრუქტურირება, მობილურობის მოთხოვნა და მოქნილობა), როდელ ტექნოლოგიურ აპარატურა-აღჭურვილობასთან მოპყრობა, არასტანდარტული სამუშაო დრო (განსაკუთრებით წერილისა და საუშვამოზე მორიგეობის დროს) სტრესის გამოწვევებზე მიზეზებს წარმოადგენს.

უპმანიტარული და საზღვარგარეთ მყოფ მისიებში ჩართულ სამხედრო მოსამსახურეთა იმუნური სისტემებზე.

**ბ. პროფესიული დაავადებები და უბედური შემთხვევები**  
წერტინის/დისლოციირების ადგილის დაბინძურება აზბესტის, გახლჩილი ურანისა და სხვ. პრობლემები.

რადიაცია რადარებზე მომუშავე სამხედრო მოსამსახურეთა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები.

**პოსტ-დისლოციირების სტრესის სინდრომი (PDS)**

PDS ჩვეულ მოვლენად იქცა შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებში, რომლებიც სამსახურებრივად საზღვარგარეთ იყვნენ დისლოციირებული. ამ სინდრომის გამოწვევი მიზეზის ზუსტად დადგენა რთულია. ზოგადად, ითვლება, რომ მას იწვევს რამდენიმე ფაქტორი ერთობლივად: სტრესი (განსხვავებული კულტურული და რელიგიური გარემო, აგრესიული ატმოსფერო, ოჯახური სტრესი, გაურკვეველობა, ძლიერი დამახლუობა და სხვა), ვაკეინაცია, სამუში რადიოლოგიური და ქიმიური ნიეთიერებების გავლენა, სამუშაო გარემო და ცხოვრების პირობები, არარეგულარული სამუშაო საათები და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს

ფიზიკური ფაქტორები, როგორებიცაა ხმაური, ნესტიანი გარემო და ა.შ. ყურის დამცავი საშუალებების არქონამ შეიძლება სმენის მუდმივი დაკარგვა გამოიწვიოს. ეს განსაკუთრებით გავლენას ახდენს პილოტებსა და საპაეო ბაზებზე მომუშავე სამხედრო მოსამსახურეებზე.

სამუშაო საათები წერტინისა და მისის შესრულების დროს ხანგრძლივი სამუშაო საათები ან ღამის ცვლების მონოტონურობა (საუშვამოზე მორიგეობისას) უბედური შემთხვევების გაზრდილი რისკის მიზეზია.

<sup>211</sup> EUROMIL, "მზეს საერთაშორისო სენიარის საბოლოო ანგარიში: ევროპის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო პერსონალის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: სოციალური დიალოგის მნიშვნელობა", 8-10 ნოემბერი, 2002, ვერლის/კოპენაგენი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.euromil.org/documents/report/Report%20on%20the%20EUMIL%20International%20Seminar.pdf>

<sup>212</sup> ევროპის გაერთიანება კომისია, 2004 წელი, "უბედობის, ევროკავშირის, საბჭოსა და ევროპის კავშირების და სოციალური კონსო კომისია კომუნიკაცია და სოციალური კონსო კომუნიკაცია (სამუშაო ადგილებზე), 89/654 (სამუშაო ადგილებზე), 89/655 (სამუშაო ადგილებზე), 89/656 (პერსონალური დაცვის უზრუნველყოფა), 90/269 (ტვირთების ხალი ანგავა-გაფხვი) და 90/270 (დისკალის უკანას აპარატები), მრეწველების განხორციელების შესახებ რეგულირება კომიტეტის შორის, ბრიუსელი, 5 თებერვალი, 2004 წელი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: [http://eur-lex. LexUriServ/site/escm/2004/cnm2004\\_0062en01.pdf](http://eur-lex. LexUriServ/site/escm/2004/cnm2004_0062en01.pdf)

<sup>213</sup> იხ. ვებ-გვერდი: [www.euromil.org](http://www.euromil.org).

მეორე, ICESCR-ის რატიფიკაციის საფუძველზე, ეუთო-ს წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს კანონიერი ვალდებულება ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით<sup>24</sup> უზრუნველყონ მომსახურე პერსონალისათვის სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნა. შესაბამისად, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების უზრუნველყოფას დადებითი გავლენა აქვს ყაზრებში ცხოვრებასა და მუშაობაზე. ეს ამცირებს ისეთი პირობების არსებობას, როგორებიცაა, სიღარიბე და ცხოვრების დაბალი სტანდარტები, ასევე, არასრორი მოაყრობის შემთხვევების შესაძლებლობა. მეოთხე, კარგი სამუშაო პირობები ხელს უწყობს გუნდში ერთიანობისა და მათი ქმედების, მუშაობის ეფექტურობისა და შედეგანობის ამაღლებას. დაბოლოს, სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფართო სექტორის სოციალური უფლებების უზრუნველყოფამ შეიძლება შეიარაღებულ ძალებს ხელი შეუწყოს დადებითი საზოგადოებრივი იმიჯის ჩამოყალიბებაში. შეიარაღებულ ძალების, როგორც პასუხისმგებლობის მქონე დამპყრობების გაუმჯობესებული საზოგადოებრივი იმიჯი კი ახალი პერსონალის რეკრუტირებას გაადვილებს.

სამხედრო გაერთიანებები და წარმომადგენლობითი ასოციაციები ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნაში. ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის ძალას წარმოადგენენ სამხედრო სამსახურში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შესაბამისი სტრატეგიის ჩამოყალიბების საქმეში. სამხედრო გაერთიანებებსა და წარმომადგენლობით ასოციაციებს თვითონ წვლილი შეაქვთ კანონმდებლობის მიღებასა და მისი პრაქტიკაში განხორციელებაში. გარდა ამისა, ისინი უარსაყრტა სახელით მოქმედებენ, რათა მოახდინონ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ცნობიერება<sup>25</sup> (იხ. თავი 9, "სამხედრო გაერთიანებები და ასოციაციები").

## 2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

მნიშვნელოვანია შემდეგი ხელშეკრულებები და დოკუმენტები: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების კონვენციები, ევროსაბჭოს ევროპული სოციალური წესდება, ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი დირექტივები და ეუთო-ს ვალდებულებები.

ICESCR სრულად მოიცავს წინამდებარე თავში განხილულ ყველა:

- ისეთი ანაზღაურების უფლებას, რომელიც მუშა-მოსამსახურეს უზრუნველყოფს — როგორც მინიმუმი — სამართლიანი, სათანადო ანაზღაურებით, სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნის საშუალებით მისთვის და მისი ოჯახისათვის; თანაბარ შესაძლებლობებს ყველასთვის; უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებს; დასვენებას, გართობას, დღესასწაულებს, დასვენების გონიერულ დღეებსა და შენეულდულ სამუშაო საათებს (თავი 7);  
სოციალური უსაფრთხოება, მათ შორის სოციალური დაზღვევა (თავი 9);  
ოჯახების დაცვა და დახმარება, ბავშვებზე ზრუნვის უზრუნველყოფა, ბავშებისა და ახალგაზრდების დასაცავად და დასახმარებლად სპეციალური ზომების მიღება (უქანასწულ საკითხთან დაკავშირებით იხ. თავი 15 "შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული ბავშვები") (თავი 10);  
თითოეული პიროვნებისა და მათი ოჯახებისთვის ცხოვრების სათანადო სტანდარტები, კვების, სამოსისა და საცხოვრებლის ჩათვლით (თავი 11);  
ფიზიკური და გონებრივი განმრთელობის უმაღლესი სტანდარტები (თავი 12);  
განათლება (თავი 13).

რაიმე კავშირის შექმნისა ან მასში განეწიანების უფლების გარდა (თავი 8), ICESCR კონკრეტულად შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეთათვის არ ზღუდავს ზემოხსენებულ არც ერთ უფლებას ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე.

ევროპის სოციალური წესდება ასევე მოიცავს ბევრ ისეთ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებას, რომელზეც წინამდებარე თავში გვაქვს ლაპარაკი, მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა: სამართლიანი და თანასწორი სამუშაო პირობები (თავი 1); უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო (თავი 3); სამართლიანი და სათანადო ანაზღაურება (თავი 4); მოსამსახურე ქალთა, განსაკუთრებით დედების დაცვა (თავი 8); პროფესიული ორიენტაცია და სწავლება-გადამზადება (თავი 9 და 10); ჯანმრთელობის დაცვა (თავი 11); საზოგადოებრივი უსაფრთხოება (თავი 12); სოციალური და სამედიცინო დახმარება (თავი 13) და სოციალური კეთილდღეობის მომსახურებათა მიღების უფლება (თავი 14). ევროპის სოციალური წესდება აცხადებს, რომ ეს უფლებები შეიძლება შეიზღუდოს კანონის ძალით შესაბამისი განკარგულების ან დემოკრა-

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> საერთაშორისო ხელშეკრულება, მეციდლით იხილეთ ვებ-გვერდი [http://www.unhcr.ch/hiv/hiv/mnu3/m/s\\_cescr.htm](http://www.unhcr.ch/hiv/hiv/mnu3/m/s_cescr.htm).

ტილი საზოგადოებისათვის შესაბამისი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში და, *inter alia*, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე (იხ. თავი G "აკრძალვები").<sup>296</sup>

ზემოხსენებული უფლებები ასევე ხელახლა იქნა დამტკიცებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვადასხვა კონვენციის მიერ. ეს კონვენციები მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, მათ შორის თანასწორი დამოკიდებულებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას<sup>297</sup> სამსახურებრივ უსაფრთხოებას<sup>298</sup> ანაზღაურებას,<sup>299</sup> სამუშაო დროს, საათებს, ყოველკვირეულ დასვენებასა და ფასიან შევებულებას,<sup>300</sup> პროფესიულ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვას.<sup>301</sup>

რამდენადაც ზემოხსენებული ხელშეკრულებები და კონვენციები ზოგადი ბუნებისაა, ევროკავშირმა მიიღო დირექტივები კონკრეტული სამუშაო პირობების შექმნის შესახებ. არასაფრთხილი შედეგების თავიდან აცილება ევროკავშირის სამსახურებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესის წამყვანი პოლიტიკაა. შესაბამისად, ევროკავშირის ფარგლებში მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი მოთხოვნები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე სამუშაო დროის შესახებ. ეს მოთხოვნები მოიცავს დირექტივებს: 89/391 (მთავარი მონახაზი),<sup>302</sup> 89/654 (სამუშაო ადგილები),<sup>303</sup> 89/655 (სამუშაო აღჭურვილობა),<sup>304</sup> 89/656 (პერსონალური დაცვის აღჭურვილობა),<sup>305</sup> 90/269 (ტვირთის ხელით ანება და გადაზიდვა)<sup>306</sup> და 90/

<sup>296</sup> ევროსაბჭოს ევროპის სოციალური წესდება, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: <http://conventions.oieau.org/Treaty/01/Treaty.html#163.htm>.

<sup>297</sup> კონვენცია "ქალ და მამაკაც მოსამსახურეთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულების შემთხვევაში" (№ 100), 1951; რეკომენდაცია "ქალ და მამაკაც მოსამსახურეთა თანაბარი ანაზღაურების შესახებ თანაბარი ღირებულების სამუშაოს შესრულების შემთხვევაში" (№ 90), 1951; კონვენცია "სამსახურებრივი და პროფესიული დისკრიმინაციის შესახებ" (№ 111), 1958; რეკომენდაცია "სამსახურებრივი და პროფესიული დისკრიმინაციის შესახებ" (№ 111), 1958, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: <http://www.ilo.org/ilolex/english/indx.htm>.

<sup>298</sup> კონვენცია "დასაქმების დამსაქმებლის ინიციატიული შეწყვეტის შესახებ" (№ 158), 1982; რეკომენდაცია "დასაქმების დამსაქმებლის ინიციატიული შეწყვეტის შესახებ" (№ 119), 1963, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: <http://www.ilo.org/ilolex/english/indx.htm>.

<sup>299</sup> კონვენცია "შრომის შესახებ დებულებების თაობაზე სახელმწიფო შეკვეთების შესახებ არსებულ ხელშეკრულებებს" (№ 94), 1949; რეკომენდაცია "შრომის შესახებ დებულებების თაობაზე სახელმწიფო შეკვეთების შესახებ არსებული ხელშეკრულებების" (№ 84), 1949; კონვენცია "ანაზღაურების დაცვის შესახებ" (№ 95), 1949; რეკომენდაცია "ანაზღაურების დაცვის შესახებ" (№ 85), 1949; კონვენცია "მინიმალური ფიქსირებული ანაზღაურების შესახებ, განსაკუთრებით გაფართოებულ ქვეყნებთან მიმართებაში" (№ 131), 1970; კონვენცია "შუშების საწივების დაცვის შესახებ დამსაქმებლის არაგადამხდელწარმოების შემთხვევაში" (№ 173), 1992; რეკომენდაცია "შუშების საწივების დაცვის შესახებ დამსაქმებლის არაგადამხდელწარმოების შემთხვევაში" (№ 180), 1992, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი <http://www.ilo.org/ilolex/english/indx.htm>.

<sup>300</sup> კონვენცია "საწარმოო დანახვებებში ყოველკვირეული დასვენების შესახებ" (№ 14), 1921; კონვენცია "კომერციული დანახვებებში და სამსახურებრივ/რეკლამურ ორგანიზებში ყოველკვირეული დასვენების შესახებ" (№ 106), 1957; რეკომენდაცია "კომერციული დანახვებებისა და რეკლამურ სამსახურებში ყოველკვირეული დასვენების შესახებ" (№ 103), 1957; კონვენცია "არასრული სამუშაო განაკვეთის შესახებ" (№ 175), 1994; რეკომენდაცია "არასრული სამუშაო განაკვეთის შესახებ" (№ 182), 1994; რეკომენდაცია "სამუშაო საათების შემცირების შესახებ" (№ 116), 1962, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი <http://www.ilo.org/ilolex/english/indx.htm>.

<sup>301</sup> კონვენცია "პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს შესახებ" (№ 155), 1981; რეკომენდაცია "პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და სამუშაო გარემოს შესახებ" (№ 164), 1981; პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ კონვენციის 2002 წლის ოქმი (№ 155), 1981; კონვენცია "პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ" (№ 161), 1985; რეკომენდაცია "პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ" (№ 171), 1985; რეკომენდაცია "დასაქმების ადგილზე მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" (№ 97), 1953; რეკომენდაცია "მოსამსახურეთათვის კეთილდღეობის პირობების შექმნის შესახებ" (№ 102), 1958; რეკომენდაცია "პროფესიული დავადებებისა და პროფესიულ უბედურ შემთხვევათა წესებისა და ასეთთა თაობაზე შეტყობინებების შესახებ" (№ 194), 2002, შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: <http://www.ilo.org/ilolex/english/indx.htm>.

<sup>302</sup> საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის დირექტია 89/391/EEC "სამსახურის მოსამსახურეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობის ზომების დაწესების შესახებ", შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv\\_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=en&numdoc=31989L0391&model=guichet](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=en&numdoc=31989L0391&model=guichet).

<sup>303</sup> საბჭოს 1989 წლის 30 ნოემბრის დირექტია 89/654/EEC "სამუშაო ადგილზე მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ" (მარცხელი ინდივიდუალური დირექტია 89/391/EEC დირექტივის 16 (1) თავში მოცემული მნიშვნელობის), შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv\\_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31989L0654&model=guichet](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31989L0654&model=guichet).

<sup>304</sup> საბჭოს 1989 წლის 30 ნოემბრის დირექტია 89/655/EEC "სამსახურის მოსამსახურეთა მიერ სამუშაო აღჭურვილობის გამოყენების ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ" (მარცხელი ინდივიდუალური დირექტია 89/391/EEC დირექტივის 16 (1) თავში მოცემული მნიშვნელობის), შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv\\_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31989L0655&model=guichet](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31989L0655&model=guichet).

<sup>305</sup> საბჭოს 1989 წლის 30 ნოემბრის დირექტია 89/656/EEC "ტვირთის ხელით ანება-გადაზიდვის უსაფრთხოებისა და მინიმალური მოთხოვნების შესახებ რისკის არსებობის, განსაკუთრებით შუშების მიერ ზურგის დაზიანების რისკის შემთხვევაში" (მეთოხე ინდივიდუალური დირექტია 89/391/EEC დირექტივის 16 (1) თავში მოცემული მნიშვნელობის), შეგვიძლია იხილოთ ვებ-გვერდი: [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv\\_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31990L0269&model=guichet](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sgv_a.doc?e=smartapi:lexprod:CELEXNumdoc&lg=EN&numdoc=31990L0269&model=guichet).



270 (დისპლემების ეკრანის აპარატურა),<sup>407</sup> ასევე დირექტივა ევროპაში სამუშაო საათების შესახებ 93/104.<sup>408</sup> მთავარი მონახაზისა და ევროპაში სამუშაო საათების შესახებ დირექტივის ნარმოადგენს გამოჩაქისებს, რომლებიც კავშირშია შეიარაღებულ ძალებთან. მთავარი მონახაზის შესახებ დირექტივის 2.2 თავში აღნიშნულია, რომ:

ეს დირექტივა არ შეეხება ისეთ სფეროებს, სადაც ადგილი აქვს სპეციფიურ საზოგადოებრივ მომსახურებას, როგორცაა, შეიარაღებული ძალები ან პოლიცია, ან ზოგიერთი გარკვეული სპეციფიკის მქონე სამოქალაქო დაცვის სამსახურის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ნიშნები უცვლელ ნინააღმდეგობაში მოდის მასთან. ასეთ შემთხვევაში მოსამსახურეთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაცული მოცემული დირექტივის მიზნების ფარგლებში.<sup>409</sup>

ევთო-ს ნეერმა სახელმწიფოებმა ასევე მიიღეს გადაწყვეტილება იმპროლმე მისაღები სამუშაო პირობების მისაღწევად და უზრუნველყონ, რომ დაცული იყოს მათი მოქალაქეების სამსახურბორიკი უფლებები (იხ. ჩანართი 17.2). ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ევთო-ს უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტთა ქცევის კოდექსი, რომელიც ნეერ ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ, რომ უშიშრეველყონ, სამხედრო, საპარლამენტო და დაცვის სამსახურის პერსონალს გააჩნდეს და შეეძლოს გამოიყენოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის ეკონომიკური და სოციალური ხასიათისა. კოდექსის 32-ე თავში მოცემულია მოთხოვნა, რომ ნეერმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ უშიშროების, სამხედრო, საპარლამენტო და დაცვის სამსახურის პერსონალს გააჩნდეს და შეეძლოს გამოიყენოს ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, რომლებიც ასახულია ევთო-ს დოკუმენტებსა და საერთაშორისო სამართალში, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დებულებებისა და სამსახურის მოთხოვნათა მიხედვით.<sup>410</sup>

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისაგან განსხვავებული კუნების მქონეა. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ნეგატიური უფლებებია და ზოგადად მოთხოვს მითხოვს ქმედებათაგან თავის შეკავებას, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები მოთხოვს პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს. ამ გაგებით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ნეგატიური დაცვა ბევრად უფრო სწორხაზოა და ისმება კითხვა, თუ რომელი იურიდიული სტანდარტის დარღვევა ხდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები არაგანხორციელებადია, არამედ ეს ნიშნავს, რომ "ბევრი ქვეყანა და ადამიანთა უფლებების დაცვის ბევრი სისტემა ამჯობინებს არ განახორციელოს ისინი სასამართლო პროცესების ნარმოებისას, მაგრამ მათი განხორციელება სხვა სამუშაოებებით ხდება."<sup>411</sup>

<sup>407</sup> საბჭოს 1990 წლის 29 მაისის დირექტივა 90/270/EEC დისპლემების ეკრანის აპარატურასთან მუშაობისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მგზავთ ინფორმაციური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის 16 (1) თავში მოცემული მნიშვნელობით), პეტიციით იხილეთ ევ-გვერდზე [http://europa.eu.int/amar-epi/cg/sga\\_doc?amar-epi-cgi=EXNUMDOC&lg=EN&numdoc=31990L0270&model=guichet](http://europa.eu.int/amar-epi/cg/sga_doc?amar-epi-cgi=EXNUMDOC&lg=EN&numdoc=31990L0270&model=guichet).

<sup>408</sup> საბჭოს 1993 წლის 23 ნოემბრის დირექტივა 93/104/EEC "პრობის დროის ორგანიზების ზოგიერთი ასპექტის შესახებ", პეტიციით იხილეთ ევ-გვერდზე: <http://www.incomesdata.co.uk/information/worktimedirective.htm>.

<sup>409</sup> მხელთ. 2.2. საბჭოს 1989 წლის 12 ივნისის დირექტივა 89/391/EEC სამუშაო ადგილებზე მოსამსახურეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობის შესახებ, პეტიციით იხილეთ [http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga\\_doc?amar-epi-cgi=EXNUMDOC&lg=EN&numdoc=31889L0391&model=guichet](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?amar-epi-cgi=EXNUMDOC&lg=EN&numdoc=31889L0391&model=guichet).

<sup>410</sup> საბჭოს სამუშაო საათების შესახებ ამ მიდგომას ვერცხობა. 1.3. თავში "ზიზანი და მასშტაბები", იგი მოხსენიებს დირექტივას "მთავარი მონახაზის შესახებ"; ეს დირექტივა გატარებულ უნდა იქნეს საქმიანობათა მოცოცუ საზოგადოებრივ, ასევე კერძო ვალდ სექტორში 89/391/EEC დირექტივის მე-2 თავში მოცემული მნიშვნელობით ის, რომ ადგილი არ უკონდეს ორბეტების მე-17 თავის დებულებათა დარღვევას, გარდა საპარო, სარეინგო, საგზაო, სახალაო, შიდა წყლებზე გაშვებული და ტექნოლოგიური ტრანსპორტის, სახელო თევზჭერისა და სხვა სახელო და იმ ქვემთა საქმიანობებისა, რომლებიც გადის ანაღლებში. პეტიციით იხილეთ ევ-გვერდზე: <http://www.incomesdata.co.uk/information/worktimedirective.htm>.

<sup>411</sup> E. Ni Ashie Kolay, "ზოგიერთი გავრცელებული შეცდომის უფლებები და კავშირები: ერთიანობა და დავაუფლობა, პრიორიტეტები და სასამართლო განხილვის შესაძლებლობა", ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეგიონული სემინარის ანგარიში (დრეცვა: იურისტთა საერთაშორისო კომისია, 1998 წელი).

უეთო-ს ვალდებულებები ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებთან მიმართებაში<sup>411</sup>

(12) [უეთო-ს წევრი სახელმწიფოები] აღიარებენ, რომ ... ეკონომიკური, სოციალური ... და სხვა უფლებები და თავისუფლებები უმაღლესი მნიშვნელობისაა და სათანადო საშუალებების გამოყენებით სრულად უნდა იქნეს რეალიზებული

(13) ამ კონტექსტში ისინი

(13.1) ჩამოაყალიბებენ თვითან კანონებს, ნებსება და პოლიტიკას ... ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და სხვა უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში და პრაქტიკულად განხორციელებენ მათ ამ უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტური გამოყენების გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით;

(13.2) გაითვალისწინებენ "ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ" საერთაშორისო კონვენციისა ... და სხვა შესაბამისი დოკუმენტების მიღებისას, თუ ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა; ...

(14) წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ეკონომიკური [და] სოციალური ... უფლებების ხელშეწყობა ... ადამიანის ღირსებისა და თითოეული ინდივიდისთვის კანონიერი ლტოლვის მისაღწევად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ისინი განაგრძობენ თავიანთ მცდელობებს ეკონომიკური [და] სოციალური ... უფლებების სრულად განხორციელების პროგრესულად მიღწევის მიზნით ყველა სათანადო საშუალების გამოყენებით, განსაკუთრებით საკანონმდებლო ზომების გატარებით. ამ კონტექსტში ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ დასაქმების, საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის, სოციალური უსაფრთხოების/დაცვის [და] ჯანდაცვის პრობლემების სფეროებს ... ისინი ხელს შეუწყობენ ყველა უფლებისა და თავისუფლების განხორციელების შეუქცევად პროგრესს თავიანთ ქვეყნებში ისევე, როგორც ერთმანეთს შორის, და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარებას ისე, რომ ყველას მიეცეს თავისი ეკონომიკური [და] სოციალური ... უფლებების სრულად განხორციელების საშუალება ...

(21) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იმას, რომ ზემოხსენებული უფლებების გამოყენება-განხორციელება არანაირად არ იქნება შეზღუდული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს კანონით არის გათვალისწინებული და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, განსაკუთრებით საერთაშორისო კონვენციის "სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" და მათ საერთაშორისო ვალდებულებებს, ასევე, "ადამიანთა უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას." ეს შეზღუდვები გამოწვევის ნარმოადგენს. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იმას, რომ შეზღუდვები ბოროტად არ იქნება გამოყენებული და არ მოხდება მათი საარბიტრაჟო წესით გამოყენება, არამედ გარანტირებული იქნება მათი ეფექტური განხორციელება.

3. პოლიტიკა და მიდგომები

სამშუპო დრო და დამატებითი ნამუშევარი საათების კომპენსაცია

ტრადიციულად, ბევრი ქვეყანა შეიარაღებულ ძალებში სამშუპო საათების შესახებ წესები-სადმი მიდგომას სამხედრო პერსონალის მუდმივი ხელმისაწვდომობისა და მზადყოფნის კონცეფციას ამაგრებდა. თუმცა ქვეყნები ამ კონცეფციას სხვადასხვა დონეზე მიდევნენ. გეორგ ნოლტესა (Georg Nolte) და პაიკე კრიგერის (Heike Krieger) მიერ ევროპაში ადრე ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, შეიარაღებულ ძალებში სამშუპო საათების საშუალო რაოდენობა კვირაში 36-დან 50 სა-მდე განისაზღვრება.<sup>412</sup> ამავე გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ზოგიერთი ქვეყანა სამოქალაქო სამსახურის მსგავს მიდგომას ირჩევს. ბელგიაში შეიარაღებული ძალების პერსონალი, როგორც წესი, კვირაში 38 საათს მუშაობს ისევე, როგორც სამოქალაქო სამსახურებში. დანიამ შეიარაღებული ძალების პერსონალის სამშუპო საათები სამოქალაქო მოსამსახურეების სამშუპო საათების მსგავსია, შეიარაღებული ძალების ქმედებათა ეფექტურობის მიზნით, მათი შესაბამისი მოდიფიკაციით. მაგალითად, დანიამ შეუქმნა რიგ მოსამსახურეები ყოველი 24-საათიანი სამშუპო პერიოდის შემდეგ 11-საათიანი დასვენების შუალედით ეძლევა. რამდენადაც სამხედრო პერსონალის გარკვეული ოპერაციები ზოგჯერ ზედინდ რამდენიმე დღე გრძელდება და, შესაბამისად, შეუძლებელია ამ პირობებში ზომოლო-ნომწილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებულია კომპენსაცია.<sup>413</sup> იტალიაში რეგულარული სამშუპო საათების რაოდენობა კვირაში 36 საათით განისაზღვრება, ხოლო ზენორმატიული დამატებითი ნამუშევარი საათებისათვის განკუთვნილია კომპენსაცია ფულადი ან დასვენებისათვის დამატებითი გამოყოფილი დროის სახით.<sup>414</sup> თუმ-

<sup>411</sup> ენა, 1989 წელი (ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი, პარ. 12, 13, 13.1, 13.2, 14 და 21).  
<sup>412</sup> Nolte, op. cit., შენიშვნა 6, გვ. 101-103.  
<sup>413</sup> იქვე, გვ. 101.  
<sup>414</sup> F. Piolet, V. Portieret, K. Sorin, and C. Farnachon-Koudjil, "Les conditions de vie des militaires en Europe : convergences et divergences (Allemagne, Belgique, Espagne, France, Pays-Bas, Italie et Royaume-Uni)", Centre d'études en sciences sociales de la défense, პარტი 2003, გვ. 96.

ცა, პრაქტიკულად, არსებულმა პრობლემებმა და ბიუჯეტის შეზღუდვებმა შეიძლება კომპანსაციის გაცემის შეუძლებლობა ან სულაც ვატივებლობა გამოიწვიოს.

მეორე მხრივ, სხვა ქვეყნების სამუშაო დროის ორგანიზება ჯერჯერობით სამხედრო პერსონალის მუდმივი ხელმისაწვდომობისა და მზადყოფნის პრინციპს ემყარება. ასეა, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც "სამხედრო პერსონალის შესახებ ძირითადი კანონი" მე-12 თავის მიერ განსაზღვრულია, რომ ჯარისკაცის შეიძლება მოეთხოვებოდეს მზადყოფნა ნებისმიერ დროს. საერთაშორისო და ეროვნული მისიების (მაგ., 1995 წელს შექმნილი *Vigipirarte*, რომლის გაძლიერებაც მოხდა 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ) რიცხვის გაზრდამ ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა. თუმცა ბოლოდროინდელი სამოქალაქო პერსონალის სამუშაო საათების შემცირების შემდეგ, 2002 წელს საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მიიღო შეიარაღებული ძალების პერსონალის მიერ ნამუშევარი ზეწომატული დამატებითი ნამუშევარი საათებისათვის განკუთვნილი კომპენსაციის სისტემა. აღნიშნული კანონის საფუძველზე, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მიეცათ ყოველწლიურ შევებულებაზე დამატებით 15 დღის გამოყენების უფლება, რაც მთლიანად ყოველწლიურ შევებულების დღეების ოდენობას 60 დღით განსაზღვრავს. იმ შემთხვევაში, თუ შეიარაღებული ძალების პერსონალს სამსახურეობრივი მიზეზების გამო არ შეუძლია თავისი კუთვნილი შევებულების გამოყენება, მათ შეუძლიათ მიიღონ ამისთვის ფულადი კომპენსაცია, რომლის მაქსიმალური რაოდენობა წლინამდომი რვა დღის ექვივალენტით განისაზღვრება, რაც, ფინანსურ გათვლით, 680 ევროს შეადგენს.<sup>418</sup>

ევთო-ს უმეტეს სახელმწიფოში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს პერიოდულად აქვთ დასვენების გამოყენების უფლება სადღესასწაულო დღეებში. მაგალითად, დანიამ მათ შეუძლიათ ყოველწლიურად ექვსი კვირა დაისვენონ, ესპანეთში — ერთი თვე, ნიდერლანდებში — 23 ან 24 დღე სამხედრო ნოდების მიხედვით, ხოლო დამატებითი დასვენების დღეების რაოდენობა აქ ასაკის შესაბამისად იზრდება. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, პოლონეთსა და დიდ ბრიტანეთში, სამხედრო მოსამსახურეებს დასვენება ეძლევათ ასევე მისიის დასრულების შემდეგ.<sup>419</sup>

### შრომის ანაზღაურება

სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული ნორმატიული რეგულირება აქვთ შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასისა და პენსიების შესახებ. აქ ძირითადი აქცენტები კეთდება იმ ხელისუფლების წარმომადგენელ პირზე, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს შრომის ანაზღაურების, სპეციალური ნაბაზლისებელი და დახმარების ზომების საკითხების შესახებ, ზურუნდელყოფს ხელფასების/შრომის ანაზღაურების დროულად გადახდას, უკირიბებს განხილვა-საჩივრების შექანისა და შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასის შეფარდებას ეკრძო და საზოგადოებრივ სექტორში მომუშავე პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან.

განსხვავებები დამოკიდებულია ხელისუფლების წარმომადგენელ იმ პირზე, ვინც იღებს გადაწყვეტილებებსა და ნესებს შრომის ანაზღაურების, დახმარების ზომებისა და პენსიების შესახებ.<sup>417</sup> ზოგიერთ ქვეყანაში ეს ძალაუფლება მხოლოდ ქვეყნის მთავრობის ხელშია, როგორც მაგალითად, ზორეატიაში, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში ან საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტიც არის ჩართული, ხოლო ზოგი ქვეყანაში აღნიშნული საკითხი სამხედრო კავშირებთან ერთობლივ მოლაპარაკებებსა და განსჯის შედეგად წყდება, როგორც მაგალითად, ფინეთსა და შვედეთში (იხ. სექცია 17.3).

ზოგიერთ ქვეყანას შეიარაღებული ძალების პერსონალისათვის შემოღებული აქვს სპეციალური ნაბაზლისებელი ზომები და ანაზღაურებები, რომლებიც სამხედრო ან პოლიტიკური ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით გაიცემა და სამხედრო მოსამსახურეთა თავდადებული, საერთოთხობი აღსაწვდომი და სპეციფიური შრომისა და განუღო სამსახურის აღიარებასა და დაფასებას წარმოადგენს. ჩეხეთის რესპუბლიკაში, მაგალითად, სამხედრო ხელმძღვანელების შეუძლიათ მხოლოდ ხელფასის განსხვავებული ოდენობით (რომელიც მთლიანად ხელფასის ერთ შესამდე არ უნდა აღემატებოდეს) დანიშნის შესახებ მიიღონ გადაწყვეტილება. სამხედრო ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ ასევე მიიღონ ერთჯერადი პრემიები იმ ოდენობით, რის საშუალებასაც მათი ფონდი იძლევა. რუსეთის ფედერაციაში, "სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ ფედერალური კანონის" მე-13.9. თავის თანახმად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ან მთავრობას, განსაკუთრებით კი თავდაცვის მინისტრს, უფლება აქვს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთათვის დაენიშოს პრემიები და სხვა დამატებითი ანაზღაურებები მათთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.<sup>418</sup>

<sup>418</sup> იქვე, მკ. 95.

<sup>419</sup> Nolte, *op. cit.*, შენიშვნა 6, გვ. 104.

<sup>420</sup> EUROMIL-ის პოლიტიკა სამხედრო პენსიებთან დაკავშირებით, მღვდელი EUROMIL საბჭოს მიერ 2004 წლის 16 სექტემბერს, შეიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: [http://www.euromil.org/documents/policies/positionpapermilitarypension\\_16092004fintweb.pdf](http://www.euromil.org/documents/policies/positionpapermilitarypension_16092004fintweb.pdf).

<sup>421</sup> იქვე.

**სქემა 17.3**

**ვის ხელშია შრომის ანაზღაურების შესახებ გადანაცვტილების მიღება ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოებში?<sup>419</sup>**

აზერბაიჯანი პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი	ლიტვა პარლამენტი და მთავრობა
ბოსნია და ჰერცეგოვინა მინისტრთა საბჭო, თავდაცვის სამინისტროს შემოთავაზებისამებრ გენერალურ შტაბთან შეთანხმებით	სლოვაკეთი თავდაცვის სამინისტრო, შრომის, ოჯახისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად
ფინეთი თავდაცვის შეიარაღებული ძალები, კანონისა და ერთობლივი შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებების შესაბამისად	შვედეთი შეიარაღებული ძალები, კავშირებთან მოლაპარაკებათა საფუძველზე
ლატვია მინისტრთა კაბინეტი	უკრაინა პარლამენტი, პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი

ჩვეულებისამებრ, ტარდება სპეციფიური ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ხელფასების, დახმარებების თანხებისა და პენსიების დროული გაცემა, როგორცაა მაგალითად, ხელფასებისა და პენსიების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სათანადო პროცედურების უზრუნველყოფა (მაგ., დანიაში). კანონით გათვალისწინებული სტატუსი (მაგ., სლოვენიაში) ან სამომხსარერო ინსტრუქციები (მაგ., აშშ-ში) შეიძლება მოითხოვდეს ხელფასებისა და სხვა უფლადი შეღავათებისა თუ დახმარებების სწრაფად გადახდას. უფრო მეტიც, სანდო ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე დამყარებული საეწიწო სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა გადახდა ხდება მიმღების საბანკო ანგარიშზე დეპოზიტების პირდაპირი ელექტრონული გადარიცხვით, უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების პერსონალისათვის სწორ და დროულ გადახდას. დღესდღეობით, ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოთაგან უმეტესობაში უკვე დანერგულია ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე დამყარებული საეწიწო სისტემა.<sup>420</sup>

**სქემა 17.4**

**ხელფასის საკითხის განხილვისას აპელირება შერჩეულ ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოებში<sup>421</sup>**

აზერბაიჯანი სამხედრო პერსონალი უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი სასამართლოში, რომელიც შრომის საკითხებთან დაკავშირებულ უთანხმოებებს განიხილავს. ბელორუსია სამხედრო პერსონალი უფლებამოსილია წარადგინოს საჩივარი სასამართლოში. ბოსნია და ჰერცეგოვინა პირმა ჯერ უნდა მიმართოს თავის ზემდგომ ხელმძღვანელს, შემდეგ – თავდაცვის მინისტრს, დაბოლოს – შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სასამართლოს. დანია უთანხმოების შემთხვევაში, გამოჩალიკის სახით, თუ უთანხმოების მოგვარება არ მოხერხდა თავდაცვის ორგანიზაციის შიგნით მოლაპარაკების გზით, პიროვნება უფლებამოსილია მიმართოს თავდაცვის	სამინისტროს ან სასამართლოს. საფრანგეთი საჩივარი შეიძლება წარდგენილ იქნეს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციამ ან სახელმწიფო საბჭოში. ირლანდია საჩივარი წარდგინება შრომის სასამართლოში, რომელიც შრომის საკითხებთან დაკავშირებულ უთანხმოებებს განიხილავს. პოლონეთი საჩივარი წარდგინება ზემდგომ ხელმძღვანელ პირს, ადმინისტრაციულ სასამართლოს, დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების ტრიბუნალს ან თავდაცვის სამინისტროს. ესპანეთი საჩივარი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული, რომელიც მინისტრის რეზოლუციით ნყდება, ან მათი მოგვარება შეიძლება გამოქალაქო სასამართლოში.
---	--

ხელფასის განხილვის შემთხვევაში (იხ. სქემა 17.4) არსებობს სხვადასხვა პროცედურები მათთვის, ვინც მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აპელირებს. ზოგიერთ სახელმწიფოში

<sup>419</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 62.  
<sup>420</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 64.  
<sup>421</sup> იქვე.

პიროვნებას შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა სცადოს ორგანიზაციული წესის მიხედვით მისი ზედგომისათვის მიმართეთ, ხანამ თავდაცვის მინისტრის მიმართედეს (ასეა მაგალითად, ლატვიაში, ბოსნიასა და კერცეგოვინაში); სხვა სახელმწიფოებში პიროვნებას შეუძლია ასეთ შემთხვევაში საქმე აღძრას შრომის სასამართლოში (მაგ., ირლანდიაში), ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ სასამართლოში (მაგ., სლოვაკეთში) ან სამოქალაქო სასამართლოში (მაგ., ნორვეგიაში). ზოგიერთ სახელმწიფოში ინდივიდმა თავისი საქმე უკრ დასაქმებლის წარმომადგენელს უნდა წარუდგინოს, შემდეგ კი, თუ პრობლემა ამ დონეზე არ იქნა მოგვარებული, – ადმინისტრაციულ სასამართლოს, როგორც ხდება, მაგ., ფინეთში.<sup>422</sup>

შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო პერსონალის ხელფასის/პენსიების რაოდენობას შორის თანაფარდობასთან მიმართებაში (მხედველობაში მიიღება მსგავსი ან ერთნაირი საქმიანობა, ცოდნა და გამოცდილება) ეუთო-ს რეგიონში სახელმწიფოებს შორის სურათი განსხვავებულია. სქემა 17.5 გვაძლევს შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასის შედარების საშუალებას ეუთო-ს წევრ შერჩეულ სახელმწიფოებში კერძო და საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებული მოსამსახურეების ხელფასებთან.

## სქემა 17.5

### შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასის შედარება ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებში სხვა სექტორში დასაქმებული მოსამსახურეების ხელფასებთან<sup>423</sup>

#### საფრანგეთი

სამხედრო პერსონალს გააჩნია სპეციალური იურიდიული სტატუსი, მაგრამ ფინანსურ საკითხებში იგი სამოქალაქო ადმინისტრაციულ პერსონალს უტოლდება.

#### გერმანია

შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასი, პენსიები და შეღავათები შეფარდებითია სამოქალაქო სექტორში დასაქმებული მოსამსახურეების ხელფასებთან.

#### ლატვია

უმრავლეს შემთხვევაში შეიარაღებული ძალების პერსონალის ხელფასებსა და განსაკუთრებით, პენსიების დონე სამოქალაქო პროფესიების მოსამსახურეების ხელფასებთან შედარებით უფრო მაღალია.

#### პოლონეთი

სამხედრო პერსონალის ხელფასები. იმავე თანამდებობებზე მომუშავე სამოქალაქო მოსამსახურეების ხელფასთან შედარებით. საშუალოდ 50%-ით უფრო მაღალია. სამხედრო პერსონალის პენსიები 50%-ით უფრო მაღალია, ვიდრე სამოქალაქო მოსამსახურეებისა, რომლებიც იმავე ხანგრძლივობით გაწეული სამსახურისათვის იქნენ დანიშნული.

#### სერბეთი

სამხედრო პერსონალის ხელფასები უფრო დაბალია, ვიდრე იმავე თანამდებობებზე მომუშავე იმავე კვალიფიკაციის მქონე სამოქალაქო მოსამსახურეებისა.

#### აშშ

სამხედრო მოსამსახურეებისა და ოფიცრების/სამხედრო ხელმძღვანელობის რეგულარული ანაზღაურება იმავე თანამდებობებზე მომუშავე იმავე კვალიფიკაციის მქონე სამოქალაქო პერსონალის 70%-ს შეადგენს. სამხედრო პერსონალის პენსიები სამოქალაქო მოსამსახურეების საშუალო პენსიებზე მაღალია.

#### ჯანდაცვა

ეუთო-ს წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში შეიარაღებული ძალების პერსონალს მინიჭებული აქვს ჯანდაცვის სრული უფლება. ამ კუთხით არსებობს ორი ძირითადი მდგომარეობა. ერთი მხრივ, ზოგიერთ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ჯანდაცვის მომსახურებით. სხვა სახელმწიფოებში ჯანდაცვის სპეციფიური სისტემა გააჩნია. ასეა მაგალითად, კანადაში, სადაც კანადის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ყოველმხრივი ჯანდაცვის უფლება უზრუნველყოფილია კანადის შეიარაღებული ძალების ჯანდაცვის მომსახურებით. სხვა სახელმწიფოებში სამხედრო პერსონალისთვის განკუთვნილი სპეციალური ჯანდაცვის სისტემა არ არსებობს და, შესაბამისად, სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემა შეიარაღებული ძალების პერსონალსაც ითვალისწინებს. ასეა, მაგალითად, ნორვეგიაში, სადაც ჯანდაცვა ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის მოსამსახურე პერსონალისთვის, უფასოა. იგივე ხდება დანიშიც, სადაც დანის მოქალაქეებისთვის ჩვეულებრივ გათვალისწინებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელიც საგანასახლო სისტემიდან ფინანსდება. აქედან გამომდინარე, შეიარაღ-

<sup>422</sup> ODHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 64 (ბ).

<sup>423</sup> ODHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 67.

ეული ძალების პერსონალის თითოეული წევრი გათვალისწინებულია საერთო ეროვნულ ჯანდაცვის მომსახურების სისტემაში.

შეიარაღებული ძალები პასუხისმგებელია საერთაშორისო მისიებში დისლოცირებული შეიარაღებულ ძალების პერსონალის მკურნალობაზე. დაავადებული და/ან დაჭრილი პერსონალის რეაპტრიაციისთანავე სამხედრო ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა მის საჭირო მკურნალობას უზრუნველყოფს. მიუხედავად გავრცელებული ჯანდაცვის სისტემისა, შეიარაღებულ ძალებს გააჩნია ვალდებულება მოსამსახურე პერსონალს სამედიცინო მომსახურება გაუწიოს ყანარმებში და სამხედრო წვრთნის დროს სამხედრო სამედიცინო საშუალებების გამოყენებით. სქემა 17.6 წარმოგიდგენს ეუთო-ს შერჩეულ წევრ სახელმწიფოებში ექიმების სამსახურებრივ დიდ მრავალფეროვნებას, სამხედრო სამსახურში ბელორუსიაში არსებული 50 სამხედრო ექიმთან კანადაში არსებულ 2 სამხედრო ექიმამდე შეიარაღებული ძალების ყოველ 1000 მოსამსახურეზე. განსხვავებები სამი მიზეზით აიხსნება. პირველი, ეს გვიჩვენებს, თუ რამდენად პრიორიტეტულია სამედიცინო მომსახურება ამა თუ იმ ქვეყანაში; მეორე, ეს შედეგები შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო და კერძო/სახელმწიფო სამედიცინო პერსონალს შორის შეიძლება არსებობდეს თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკება/შეთანხმება. მაგალითად, კანადაში შესაძლებელია სამხედრო პერსონალი დამოკიდებული იყოს სამოქალაქო სამედიცინო პერსონალზე. მესამე მიზეზი, რითიც ეს განსხვავებები შეიძლება აიხსნას, არის ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია და ეფექტურობა.

### სქემა 17.6

სამედიცინო მომსახურების დონე: სამხედრო ექიმების რაოდენობა ეუთო-ს შერჩეული წევრი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში<sup>424</sup>

	სამხედრო ექიმების რაოდენობა შეიარაღებული ძალების ყოველ 1,000 მოსამსახურეზე
ბელორუსია	50
კანადა	2
ესტონეთი	10
საქართველო	6
გერმანია	3
ირლანდია	3
ლატვია	33
ლიტვა	5
ლუქსემბურგი	4
ნორვეგია	5
პოლონეთი	12
სლოვაკეთი	3

შესაძლებელია, რომ ერთ ქვეყანაში სამედიცინო მომსახურება ცენტრალიზებული იყოს და გააჩნდეს ადმინისტრაციული და სამედიცინო ასისტენტების დახმარების დიდი შესაძლებლობა, რაც სამედიცინო მომსახურების ეფექტურობა-შედეგანობის უპირატესობის გარანტია. ამ მხრივ ყურადსაღებია სქემა 17.6-ში მოყვანილი მონაცემები.<sup>424</sup>

ეუთო-ს სახელმწიფოებში არსებობს განმასხვავებელი წესები იმის შესახებ, თუ რამდენად სპარტლიანია, რომ მუღლებზე, შეილებსა და ოჯახის სხვა წევრებზე ერცელებოდეს იგივე უფლებები, რაც თავად სამხედრო მოსამსახურეებზე. მაგალითად, კანადაში, ფინეთში, პოლონეთსა და ესპანეთში სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებზე სრულად ვრცელდება უფასო ჯანდაცვის უფლება. დიდ ბრიტანეთში, სადაც ეროვნული ჯანდაცვის სისტემა საკმაოდ ძლიერია, სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ ისინი სამხედრო პირებს საზღვარგარეთ ყოფნის დროს თან ახლავენ. სხვა სახელმწიფოებში სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს უფასო სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება არ ეძლევათ.

<sup>424</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 60.

## სექცია 17.7

**სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის ან გარდაცვალების შემთხვევაში გათვალისწინებული მოქმედების პოლიტიკა: შერჩევითი მაგალითები**<sup>103</sup>

### აზერბაიჯანი

სამხედრო მოსამსახურეების სახელმწიფო დაზღვევის შესახებ კანონის მე-5 თავის თანახმად, სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის ან გარდაცვალების შემთხვევაში დაზღვეული იღებს კომპენსაციას 100%-ის ოდენობით.

### ბელორუსია

კომპენსაცია ვაიცემა სადაზღვევო კომპანიის მიერ გარდაცვალების ან უუნარობის შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილის ოჯახისათვის გათვალისწინებულია მელაფათები და დახმარებები.

### დანია

მიღებული ჭრილობის შესახებ ერთი წლის განმავლობაში უნდა ეცნობის დანიის თავდაცვის ხელმძღვანელობასთან არსებულ სადაზღვევო და კომპენსაციის სამსახურს. დანიის შვიარალეული ძალების პერსონალის სამსახურობრივი მოვალეობისას დაავადების შემთხვევაში ავადმყოფობის შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნეს სავლელ საავადმყოფოს ან კერძო ექიმის მოხსენება ან, იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხსენება წარედგინება სადაზღვევო და კომპენსაციის სამსახურს, იგი გადაიგზავნება დანიის სანარმოო ტრავმების განმხილველ სოციალურ სამსახურს.

### ესტონეთი

შვიარალეული ძალების პერსონალის სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების შემთხვევაში, სახელმწიფო მის შვილებს, ქვრივსა და სხვა მასზე დამოკიდებულ პირებს, "ოჯახების შესახებ" კანონის თანახმად, გადაუხდის ერთჯერად კომპენსაციას გარდაცვლილის 10 წლის ხელფასის ოდენობით. გარდაცვლილის დაქრძალიის ოჯახიზე და შესაბამისი ხარჯები გაღებულ იქნება სახელმწიფოს მიერ. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებიდან 8 თვის განმავლობაში სამხედრო ხელმძღვანელს უნდა წარედგინოს სპეციალური მიმართვა, ცნობა გარდაცვალების შესახებ და იმის დამაშტკიცებელი დოკუმენტაცია, რომ დამოკიდებულმა კნო უფლებამოსილია მიიღოს ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები და დახმარებები. სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს ჭრილობის მიღების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ ვაიცემა ერთჯერადი კომპენსაცია.

### გერმანია

სამხედრო მოსამსახურის სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს დისლოცირების ადგილზე მშობღარი უბედური შემთხვევის გამო გარდაცვალებისა და დაზიანების შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახი, პენსიასთან ერთად, დამატებით იღებს კომპენსაციას. ამასთან ერთად, შვიარალეული ძალების სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია ასეთი რისკებისაგან თავის დაზღვევა პერსონალისათვის გათვალისწინებული შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულების დადებით (სიცოცხლის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან დაზღვევა. უბედური შემთხვევის გამო გარდაცვალების გათვალისწინებით).

### პოლონეთი

ოპოდიულ საფუძველს წარმოადგენს 2003 წლის 11 აპრილის აქტი კომპენსაციების შესახებ, რომელიც ვაროიენება სამხედრო სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს უბედური შემთხვევის ან გარდაცვალების შემთხვევაში. გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისადმი დახმარების სახით ვაიცემა მსხვილი ფულადი კომპენსაცია, ინიშნება ფულადი დახმარება და ხდება დაქრძალიის ხარჯების ანაზღაურება. სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს უბედური შემთხვევის ან დაავადების შემთხვევაში ვაიცემა სამედიცინო დახმარებისა და მკურნალობის დამატებითი ანაზღაურება ან დახმარება, ხდება პოსტიტალიზაციის ხარჯების დაფარვა (სრულად ან ნაწილობრივ) და ინიშნება ფულადი დახმარება.

### რუსეთი

სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების ან ჭრილობის მიღების შემთხვევაში ტარდება ამ შემთხვევის გარემოების გამოძიება. გადნეცტილებს სასამართლო სისხლისსამართლებრივი პროცედურის წარწენებას თუ მისი უარყოფის შესახებ მიიღება გამოძიების შედეგების მიხედვით. იმავროულად, სამხედრო ხელმძღვანელობა იღებს დადნეცტილებას დაზარალეულის ან მისი ნათესავების დაზღვევის ანაზღაურების შესახებ.

### ესპანეთი

სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მისი უახლოესი ნათესავები იღებენ ფულად კომპენსაციას: გარდაცვლილის ქვრივის მთელი სიცოცხლის მანძილზე ან მეორედ დაოჯახებამდე ენიშნება ფულადი დახმარება. გარდაცვლილის შვილები ფულად დახმარებას იღებენ იქნაფე, სანამ ისინი 21 წლის გახდებიან, ხოლო უმწვერობის შემთხვევაში, - სანამ 24 წლის არ მიადგენენ. გარდაცვლილის მშობლებს ფულადი დახმარება ენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილს არ ჰყავდა მეუღლე ან შვილები და იგი იყო მშობლების მარჩენალი.

### თურქეთი

სამხედრო მოსამსახურე დაზიანების შემთხვევაში იღებს უფასო სამედიცინო დახმარება-მკურნალობას და მასზე ჩვეულებისამებრ ვაიცემა ხელფასი და დახმარება-შეღავათები. იმ შემთხვევაში, თუ დაზარალეულს არ მიუღია ისეთი სახის დაზიანება, რაც გამოიწვევდა მის ფიზიკურ უუნარებას და ხელს შეუშლიდა მის სამსახურს, მას შეუძლია კვლავაც გააგრძელოს სამსახური დაკავებულ თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა დაზარალეულის ხელს უშლის დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურის ვაგრძელებას, მას ენიშნება პენსია. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოფიციალური ოჯახის წევრებს ენიშნებათ პენსია და ფულადი კომპენსაცია.

მაგალითად, კანადის შეიარაღებული ძალების მოსამსახურებზე დამოკიდებულება პირები, კანადის შეიარაღებული ძალებიდან არ იღებენ ჯანდაცვის მომსახურებას; მაგრამ მათთვის ისევე, როგორც კანადის ყველა მოქალაქისათვის, ადგილობრივი ჯანდაცვის სამინისტროები მიერ გათვალისწინებულია მათი ზოგადი და ყოველმხრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. კანადის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ოჯახებს ასევე საშუალება აქვთ ისარგებლონ საზოგადოებრივი მომსახურების ჯანდაცვის გვერდის მიერ ოჯახების ჯანმრთელობის/დენტალური ფართომასშტაბიანი მომსახურებისათვის გათვალისწინებული ანაზღაურებით/საერთაშორისო მასშტაბითა და დანიშნულებით დისლოცირების შემთხვევაში არსებობს გამონაკლისები, რომლებიც ითვალისწინებს კანადის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზე დამოკიდებულ პირებისათვის სამედიცინო ხარჯების დაფარვას, რომლებიც მათთან ერთად იმყოფებიან ამ უქანას ქნელთა დისლოცირების ადგილებზე. ეუთო-ს ნეერი ბევრი სხვა სახელმწიფო, მაგ., ირლანდია, ლატვია, ლიტვა და შვეიცარია, იმავე მიდგომას ითვალისწინებენ.

შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის ან გარდაცვალების შემთხვევისათვის თითქმის ეუთო-ს ნეერი ყველა სახელმწიფოს სპეციალური პოლიტიკა გააჩნია. სქემაში 17.7 მოცემულია ეუთო-ს ზოგადი (შერჩევით) ქვეყანაში ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებული პროცედურები.

რამდენადაც ამის დადგენა შეიძლება, დაზიანების, ფიზიკური უუნარობის განვითარების ან გარდაცვალების შემთხვევაში დაზარალებული თუ გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებსა და ნათესავებზე ვრცელდება ფინანსური შეღავათები და დახმარებები, ფიზიკური უუნარობის შემთხვევაში გათვალისწინებული კომპენსაცია ან პენსია, საპენსიო უფლებები და ზარალის ანაზღაურების ფულადი კომპენსაციები.

### სამუშაო უსაფრთხოება

ზოგადად, ყველა ქვეყანას გააჩნია სპეციალური კანონები შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისათვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველყოფის შესახებ. სახელმწიფოთა უმრავლესობაში სამოქალაქო სამხედროებში სამუშაო პირობების შესახებ ეროვნული კანონები და ნესები სამხედრო მოსამსახურეებზეც ვრცელდება. მაგალითად, გერმანიაში პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის დეფერალური კანონი "მოსამსახურე პირებში" სამხედრო მოსამსახურეებსაც ითვალისწინებს. ამგვარად, შეიარაღებულმა ძალებმა თავისი სამხედრო მოსამსახურეებისათვის უნდა უზრუნველყოს სამსახურებრივი გარემოსა და უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების იგივე დონე, როგორც გათვალისწინებულია საზოგადო და კერძო სექტორში მომსახურე სამოქალაქო პირებისათვის. ამ მიზნით, ფედერალურ შეიარაღებულ ძალებს თავიანთი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ორგანიზაციები გააჩნიათ ისევე, როგორც საკუთარი ხელმძღვანელობა, რომელსაც, სამოქალაქო ხელმძღვანელობის მსგავსად, შეუძლია განხორციელოს მეთვალყურეობა (პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის ინსპექტორები). იგივე მიდგომა ხორციელდება მაგალითად, სლოვაკეთშიც, სადაც ეს პირობები შრომის კოდექსით არის რეგულირებული.

სხვა ქვეყნებში არსებობს სპეციალური სამხედრო კანონები და ნესები რეგულარულ სამსახურში პროფესიული გარემოს უსაფრთხოებისა და ჯანდაცვისათვის, რომლებიც ძირითადად ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ზოგად ეროვნულ სამოქალაქო ნესებსა და კანონებს ემორჩილება. კანადაში, მაგალითად, "კანონები და ბრძანებები კანადის შეიარაღებული ძალების შესახებ" ეროვნული თვადაცვის აქტის<sup>47</sup> მიხედვით არის შემუშავებული.<sup>48</sup> აღნიშნული კანონები და ბრძანებები სამხედრო ხელმძღვანელ პირებს მათს დაქვემდებარებაში მყოფთა უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებლობას აკისრებს და მოიცავს დებულებებს იმ პირებისათვის დისციპლინური სანქციების დაკისრების შესახებ, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს უგულვებელყოფენ. კანადის შრომის კოდექსის 1-ლი თავი მოიცავს დებულებებს ფედერალური იურისდიქციის ქვეშ მყოფი სამსახურეობრივი დისლოცირების ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის მოთხოვნების შესახებ.<sup>49</sup> კანადის შეიარაღებული ძალები სამართლებრივად არ შედის შრომის კოდექსისა და მისი დებულებების რეგულირების არეალში, მაგრამ შრომის კოდექსის მინარსი აისახება ეროვნული თვადაცვის დეპარტამენტის უსაფრთხოების ზოგადი სტანდარტებში, რომლებიც კანადის შეიარაღებულ ძალებზეც ვრცელდება.

### ოჯახური ცხოვრება

სამხედრო ცხოვრების სპეციფიკა, მაგალითად, სამსახურის ბუნება, სამხედრო ბაზებზე ცხოვრება, საერთაშორისო მასშტაბითა და დანიშნულებით დისლოცირებები და ხშირი გადაადგ-

<sup>47</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 56 და 66.  
<sup>48</sup> მეტილათი იხილეთ ვებ-გვერდი: <http://laws.justice.gc.ca/en/51>.  
<sup>49</sup> მეტილათი იხილეთ ვებ-გვერდი: <http://laws.justice.gc.ca/en/ShowTcm/cml-2>.



## სქემა 17.8

**შეიარაღებულ ძალებში უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობები: სპეციალური სამხედრო წესები და კანონები სამოქალაქო წესებსა და კანონებთან შედარებით ეუთო-ს ზოგიერთ სახელმწიფოში<sup>428</sup>**

სპეციალური სამხედრო წესები და კანონები

აზერბაიჯანი

შეიარაღებული ძალების შიდა განაწესი მოიცავს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნას.

თურქეთი

წესები, კანონები და დირექტივები შემუშავებულია ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით შეიარაღებული ძალების პერსონალისათვის დაცული და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისა და ჯანმრთელობისათვის და, ზოგადად, უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფის მიზნით. ეს წესები, კანონები და დირექტივები შემდგენიარად გამოიყურება: თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა გარემოს დაცვის შესახებ (MD 433-1); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა მყარ ნარჩენების კონტროლის შესახებ (MY 433-2); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა პაერისა და წყლის დაბინძურების, ხმაურისა და ნარჩენების კონტროლის შესახებ (MY 433-3); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა სამედიცინო ნარჩენების კონტროლის შესახებ (MY 433-1A); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა ტყეების გაშენების შესახებ (MY 433-49); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა ინვესტიურ დაავადებებთან ბრძოლის შესახებ (MY 33-14); თურქეთის შეიარაღებული ძალების დირექტივა საკვები პროდუქტების კონტროლის შესახებ (MY 33-13A).

შეიარაღებული ძალებისათვის გათვალისწინებული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სამოქალაქო წესები და კანონები

ლუქსემბურგი

გათვალისწინებულია ზოგადი კანონები უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების შესახებ.

პორტუგალია

გათვალისწინებულია ზოგადი კანონმდებლობის ნორმები.

სლოვაკეთი

გათვალისწინებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობები ზოგადად და არა კონკრეტულად შეიარაღებული ძალების პერსონალისთვის.

სამხედრო სპეციფიკის მქონე და სამოქალაქო კანონების შერეული სისტემები

საფრანგეთი

რამდენადაც შეიარაღებული ძალების პერსონალის სამსახური თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო მომსახურე პერსონალის მუშაობის მსგავსია, გამოიყენება სამოქალაქო წესები და კანონები (მაგ., შრომის კოდექსი); სხვა შემთხვევებში

გამოიყენება სამხედრო წესები და კანონები (მუხლი 16, თავდაცვის სამინისტროს 1985 წლის 19 ივლისის ბრძანება №85-755 პიკიენის დაცვის, სამუშაოს უსაფრთხოებისა და არასასურველ შემთხვევათა თავიდან აცილების შესახებ).

იღებები, გავლენას ახდენს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე და, შესაბამისად, ამ უკანასკნელთა პირად ცხოვრებაზე. ეუთო-ს ნევრ ბევრ სახელმწიფოში სამხედრო დაწესებულებები სულ უფრო და უფრო მეტად აღიარებენ სამხედრო მოსამსახურეებისათვის პირად და სამხედრო ცხოვრებას შორის დადებითი ბალანსის დაყარების მნიშვნელობას, ამავდროულად, აღიარებენ რა პირადი ცხოვრების სამხედრო შემოღობვას გავლენას.

ამ კონტექსტში ეუთო-ს ნევრ სახელმწიფოთა უდიდეს ნაწილში შემოღებულია კანონმდებლობა სამხედრო სექტორში ორსულობის დროს და, შემდგომ, ბავშვის მოვლის პერიოდში დეკრეტულ შევებულებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, შეიცვარია და თურქეთში, დეკრეტული შევებულებების გამოყენება მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოსამსახურე ქალ პერსონალს შეუძლია. სხვა სახელმწიფოებში, მაგალითად, ჩრეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში და ლატვიაში, ბავშვის დაბადების გამო შევებულებით სარგებლობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ბავშვის დაბადების გამო დაწესებული შევებულების ხანგრძლივობა და პირობები ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვაა. სექსუალი 17.9 მოცემულია ზოგიერთი იმ სახელმწიფოს მაგალითები, რომლებიც თავის პოლიტიკაში ზემომოყვანილთაგან ერთ-ერთ მიდგომას იყენებენ.

ზოგიერთ ქვეყანაში შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეთა შვილებისათვის შემოღებულია ბაგა-ბაღები. მაგალითად, ბელგიაში შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურე სამხედრო პერსონ-

<sup>428</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 57.

აღის ჩვილი და მცირეწლოვანი შვილებისათვის არსებული მრავალი ბავა-ბალი იმართება სოციალურ და კულტურულ საქმეთა ცენტრალური სამსახურის მიერ თავადველის სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ. საფრანგეთში არსებობს საბავშვო ბაღები და სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისათვის გათვალისწინებული სხვა დანესებულებები და საშუალებები.<sup>429</sup>

## სქემა 17.9

**ლატვია, ნორვეგია, შვეიცარია და თურქეთი: ბავშვის დაბადების შემთხვევაში გათვალისწინებული დეკრეტული შევებულება დედებისა და/ან მამებისათვის შეიარაღებულ ძალებში<sup>430</sup>**

დეკრეტული შევებულება როგორც დედების, ასევე მამებისათვის

### ლატვია

დეკრეტული შევებულება დედებისა და მამებისათვის შეიარაღებული ძალების ყველა პერსონალს ეხება. სამხედრო მოსამსახურის სურვილისამებრ, იგი იღებს დეკრეტულ შევებულებას ბავშვის მოსაველად, სანამ ბავშვი 1.5 წლის არ გახდება და ამ პერიოდის განმავლობაში მას უნარზუნდება კუთვნილი შრომის ანაზღაურება.

### ნორვეგია

მამებს ახალშობილის მოსაველად ეძლევათ სულ მცირე 5-კვირიანი შევებულება სრული ანაზღაურებით. ასეთ შემთხვევაში მათი ხელფასის გადახდა ხდება ეროვნული სოციალური სამსახურის მიერ. მთავრების მიერ დაქირავებულ მოსამსახურეებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ეძლევათ დამატებით 10 დღე, ხოლო ანაზღაურება ხდება დამქირავებლის მიერ. დედებს ეძლევათ 3-კვირიანი შევებულება მშობიარობამდე და სულ მცირე 6-კვირიანი შევებულება მშობიარობის შემდეგ. მათთვის რეგულარული ხელფასის სრული ოდენობით ანაზღაურება ხდება ეროვნული სოციალური სამსახურის მიერ. გარდა ზემოთქმულისა, დედებსა და მამებს ეძლევათ ეროვნული სოციალური სამსახურის მიერ სრულად ანაზღაურებადი 3მ-კვირიანი შევებულება ახალშობილის მოსაველად ბავშვის დაბადებიდან პირველი 12 თვის განმავლობაში. მშობლები თვითონ წყვეტენ, თუ რომელი მათგანი გამოიყენებს ამ შევებულებას. ბავშვებისა და თანაბარი უფლებების დაცვის სამინისტრო ცდილობს ნაახალისოს მამები, რომ ბავშვის დაბადების პერიოდი ბავშვის დედებთან ერთად გაიზიარონ, რათა ამით ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის გაზიარებას ბავშვის აღზრდაში.

დეკრეტული შევებულება მხოლოდ დედებისათვის

### შვეიცარია

დეკრეტული შევებულება ეძლევა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოსამსახურე დედებს მშობიარობის შემთხვევაში: ბავშვის დაბადების შემდეგ მათ შეუძლიათ სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება.

### თურქეთი

დეკრეტული შევებულების გამოყენების უფლება დედებს ეძლევათ მშობიარობისა და ახალშობილის შოკლისათვის. თურქეთის შეიარაღებული ძალები მამებს არ აძლევს დეკრეტული შევებულების გამოყენების უფლებას, ეს უფლება მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ეძლევა.

ზომოსწრაფილია გარდა, შეიარაღებული ძალები აღიარებენ თავისი მოსამსახურეების ოჯახების დახმარების მნიშვნელობას, რათა მათთვის მისაღებ ეხმარებას იხმარებინათ, რომლებიც სამხედრო ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მიზნით, შეიარაღებული ძალები შემოშვებებს ოჯახის გაერთიანების პროგრამებსა და პროგრამებს სამსახურებრივად საზღვარგარეთის დისლოცირებულ ოჯახების დასახმარებლად. მათთვის ხშირად მოიცავს მისიის წინა მომზადებას და მისიის დასრულების შემდეგ რეინტეგრაციისა და დახმარების საკითხებს. მაგალითად, დანიაში არსებობს სპეციალური პროგრამები იმ პერსონალისა და მათი ნათესავების დასახმარებლად, რომლებიც დაზარალებულნი არიან სამხედრო-საფრთხე შექმნათ ტრავმული ინციდენტების შემდგომი ფსიქოლოგიური შედეგებისაგან, რომლებიც მათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განიცადეს და რომელიც გათვლენას ახდენს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ჯგუფი, რომელიც ეს პროგრამები ატარებდა, მოიცავს როგორც მოქმედ, ასევე ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს.

ზოგიერთ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების მიგნით არსებული სპეციფიური ინსტიტუციები შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების სოციალური და ოჯახური პრობლემებით არის დაკავებული. მაგალითად, საფრანგეთში ორგანიზაცია "არმიის სოციალური კეთილდღეობა" ახდენს საზოგადოებრივი მოვლენების ორგანიზებას, რათა დახმარება გაუწიოს სამხედრო მოსამსახურეებს მათი პრობლემების გადაჭრასა და მათი ცხოვრების გაუმჯობესებაში. იგი ასევე ფინანსურ დახმარებას უწევს ხელმოკლე სამხედრო მოსამსახურეებს.

<sup>429</sup> Pjotet და სტეტი, *op. cit.*, შინაგანი 414, გვ. 128-129.

<sup>430</sup> ODIHR-DCAF-ის კოხბარი, საკითხი 61.

ის ოჯახებს. ამას ვარდ, იგი განაგებს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს სამხედრო მოსამსახურეებისათვის დასაყენებელი სახლებისა და მთისა თუ ზღვის კურორტებზე ბინების გამოყენებასთან დაკავშირებით.<sup>41</sup>

#### 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

- ეუთო-ს უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო ასპექტების შესახებ ქვეყნის კოდექსის მოთხოვნების შესრულებასთან ერთად (განსაკუთრებით, პარაგრაფი 32), ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოების ევალუაბი უზრუნველყონ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ თავიანთი ადამიანთა უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა გამოყენება. 1989 წლის ეენის ვალდებულებების მიხედვით, ეუთო-ს ნეერ სახელმწიფოებს ევალუაბი უზრუნველყონ ეკონომიკური და სოციალური უფლებების შეზღუდვად გამოყენება-განხორციელება იმ შემთხვევათა გარდა, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული და საერთაშორისო ვალდებულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ თავიანთი ეკონომიკური და სოციალური უფლებების გამოყენება-განხორციელების შეზღუდვა კონკრეტულ ხასიათს უნდა ატარებდეს; სამუშაო პირობების რეგულირება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ნორმატიული აქტებით, არამედ მათი განხორციელების დონეზე. შეიარაღებულ ძალებს ყველა საჭირო ზომა უნდა აქონდეს მიღებული, რათა უზრუნველყოს სამუშაო პირობების შექმნა ეროვნული კანონებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად; განსაკუთრებულ ყურადღება უნდა ეთმობოდეს ადმინისტრაციულ ზომებს, რათა მოხდეს ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების დროულად გადახდის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ჯანმრელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგებისა და სწავლების ჩატარება; სამუშაო პირობებსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტმა და შეიარაღებული ძალების პერსონალის წარმომადგენლობითმა ასოციაციებმა უნდა აწარმოონ დიალოგი სამუშაო პირობების, მათ შორის ისეთი საკითხების განსაზღვრაში, როგორებიცაა, ხელფასები, პენსიები და დახმარებები, სამუშაო საათები, ჯანდაცვა, სამუშაო უსაფრთხოება და ოჯახურ და სამსახურეობრივ ცხოვრებას შორის დადებითი ბალანსის დამყარების საკითხები; შეიარაღებული ძალების პერსონალსა და თავდაცვის სამინისტროს შორის სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ საკითხებში უთანხმოების არსებობის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეების უნდა გააჩნდეს საშუალება მიმართოს დამოუკიდებელ არბიტრაჟს (სასამართლოებს, ტრიბუნალებს, ომბუდსმენს, შესაბამის კომიტეტებს, უფლებამოსილ პირებს და ა.შ.). ეს დამოუკიდებელი არბიტრაჟის ორგანოები უნდა ფლობდნენ სრულ ძალაუფლებას გამოიძიონ ან იშუამდგომლონ აღძრულ საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის ქვირდით უფლება სამხედრო პოლიციანების ტერიტორიებზე შეიარაღებული ძალების პერსონალის გამოსაკითხად, და მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, ასევე უფლებამოსილი უნდა იყვნენ რეკომენდაციები განიონ საჭიროების მიხედვით (ასევე, იხ. თავი 22 "ომბუდსმენი"); თავდაცვის სამინისტროებმა ყველა საჭირო ზომა უნდა გაატარონ, რათა უზრუნველყონ სამუშაო პირობებთან დაკავშირებული დებულებების აღსრულება ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად; თავდაცვის სამინისტროებმა უნდა უზრუნველყონ შეიარაღებული ძალების პერსონალის სამედიცინო მომსახურება ყაზარებში, ასევე, სამხედრო ოპერაციებისა და წვრთნების დროს; სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას და ზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში თავდაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი დახმარების გაცემა, ჯანმრთელობისათვის საჭირო მომსახურება და სხვა შესაბამისი ღონისძიებები შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი პარტნიორებისა თუ ოჯახებისათვის; ოჯახური ცხოვრებისათვის ხელშეწყობისა და სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისა და, აგრეთვე, თვითონ მშობლების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიარაღებულ ძალებს უნდა გააჩნდეს შობილებისა და მცირეწლოვანი შვილების ხელშეწყობად შემუშავებული აქტიური პროგრამები, მაგალითად, სპეციალური შეგულებები, საბავშვო ბაღები და ბავშვების მოვლის მიზნით დანსებული სხვა შეღავათები; აღიარებს პირ აირადი/ოჯახური ცხოვრების მნიშვნელობას სამხედრო მოსამსახურეთათვის, შეიარაღებულმა ძალებმა სამხედრო მოსამსახურეთა საზღვარგარეთა სამსახურეობრივი დისლოცირების შემთხვევაში უნდა მოახდინოს სამხედრო პერსონალისა და მათი ოჯახებისათვის დახმარების განევის პროგრამების ორგანიზება. ეს პროგრამები უნდა ხორციელდებოდეს და მოიცავდეს პერიოდს ასეთი სამსახურეობრივი დისლოცირების წინ, მის დროს და შემდეგ.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 128.

## ვეტერანები

მაშინ, როდესაც ამ სახელმძღვანელოს თითქმის ყველა თავი ეძღვნება იმ სამხედრო მოსამსახურეების ადამიანთა უფლებების დაცვას, ვინც შეიარაღებულ ძალებში მსახურობს, წინამდებარე თავში განხილულია ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აღარ მსახურობენ შეიარაღებულ ძალებში. აქ ყურადღება გამახვილებულია ვეტერანთა უფლებებზე, როგორც ყოფილი სამხედრო მოსამსახურე მამაკაცების და ქალების ჯგუფზე (იმის გათვალისწინებით, რომ ზოგ სახელმწიფოებში ვეტერანები შეიძლება კიდევ ირიცხებოდნენ სამხედრო მოსამსახურეებში). ისტორიული და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ეუთო-ს წევრი სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულად განმარტავს ვეტერანებს, შესაბამისად, განსხვავდება იმ ვეტერანთა რიცხვი, რომლებიც გარკვეულ სარგებელს (საქენისო პაკეტს) იღებენ, განსხვავებულია სარგებლის პაკეტის ტიპი და ოდენობაც.

ამ თავში ნაშოქრილი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა არის ის, თუ ვინ არის ვეტერანი. პასუხისგაცემად საჭიროა გაითვალისწინოთ ორი ფაქტორი (ა) სამხედრო მოსამსახურე აქტიურად მსახურობდა შეიარაღებულ ძალებში თუ რეზერვისტთა ძალების რიგებში ირიცხებოდა; (ბ) მთუნაით თუ არა კონფლიქტებში მონაწილეობის მიღება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს. ზემოხსენებულ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია, რამდენადაც ვეტერანთა სარგებლის პაკეტის ტიპი და ოდენობა დამოკიდებულია ვეტერანის კატეგორიის განსაზღვრაზე. ზოგადად რომ ეთქვათ, რაც უფრო ექსლუზიურია, პრესტიჟულია ვეტერანების კატეგორია, მით უფრო მეტ სარგოს იღებენ ისინი. ის ვეტერანები, რომლებსაც ვააჩნიათ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გამოცდილება, მეტ პენსიას და სარგებელს იღებენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნიათ (თუ ეს უკანასკნელი საერთოდ იღებს რაიმე სარგებელს).<sup>422</sup>

წინამდებარე თავში, პირველ რიგში, განხილულია ვეტერანების ტერმინის განსაზღვრის საკითხები ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებში, ასევე, შესაბამისი უფლებები, განსაკუთრებით, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური უფლებები, რაც კავშირშია ვეტერანებთან და აღიარებულია ეუთო-ს წევრი ქვეყნების მიერ. მოყვანილია "ვეტერანის" დეფინიციის განმარტებები, რაც ამ კონტექსტში სხვადასხვა ეროვნულ მიდგომებს წარმოაჩენს. ეს თავი ეხება აგრეთვე ვეტერანებთან დაკავშირებული პოლიტიკის ყველაზე მთავარ ელემენტებს, როდესაც პასუხობს შემდეგ კითხვებზე: ვინ იღებს დახმარებას? ვინ გასცემს დახმარებას? რა ტიპის არის ეს დახმარება? როგორ შეიძლება დაეხმაროთ ადამიანებს სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციის საქმეში? ამ თავში ასევე წარმოდგენილია დასკვნითი რეკომენდაციებიც.

### 1. პრობლემატური საკითხები

სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის ფაქტორი, თუ როგორ აფასებს სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პერსონალის მიერ საკუთარ სამშობლოდასათვის გაღებულ მსხვერპლს და თავგანწირვას და თუ როგორ ზრუნავს ის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზე და მათ ოჯახებზე მაშინ, როდესაც ისინი ტოვებენ სამხედრო სამსახურს.<sup>423</sup> სახელმწიფოს მიერ ვეტერანებისთვის აღმოჩენილი დახმარება და მათი სოციალური აღიარება არის ეროვნული სოლიდარობის და, აგრეთვე, იმ ფაქტორების და მათი არსებობის მაჩვენებელი ფაქტორი, რაზედაც შენდება საზოგადოება. აღნიშნული დამოკიდებულება მიუთითებს ასევე თათბებს შორის არსებულ კავშირზე იმ ხალხთან, ვინც მსხვერპლი გაიღო მომავალი თაობებისათვის.

გარდა იმისა, რომ არსებობს მრავალი საფუძვლიანი გარემოება და მიზეზი, სახელმწიფოებს გააჩნიათ მორალური ვალდებულება ვეტერანთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, რომ მათ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის წინაშე.

#### ზრუნვის ვალდებულება

როგორც პასუხისმგებელი დამქირავებელი, შეიარაღებულ ძალებს გააჩნიათ ვალდებულება იზრუნოს თავის მოქმედ და ყოფილ თანამშრომლებზე. მსახურობის განმავლობაში, გან-

<sup>422</sup> ქრისტოფერ დანქერერი, სიმონ ვესელი, ამი ევერსენი და ჯონ როსი, "რა იგულისხმება სახელმწიფო - ვეტერანების განსაზღვრა და ზრუნვა", გაეროს მიერ გამოცემული სამეფო და საერთაშორისო პერსონალიტი, შეიარაღებული ძალები და საზოგადოება, ტომი 32, № 2, ანაგრა 2006, გვ. 161-177.

<sup>423</sup> იქვე.

საკუთრებით კი საომარ ან მსვავ მდგომარეობებში, შეიარაღებული ძალებისა: მექონოსლას სმირად უნებთ სიცოცხლისათვის საშობ სიტუაციებში ყოფნა. შედეგები ხშირად ბერის სოცოცხლის განმელოზაში სტანჯავს ბევრ ვეტერანს, მამინაც კი, როდესაც ისინი უკვე აღარ მსახურებენ შეიარაღებულ არმიაში. მაგალითად, განიცდიან პოსტ-ტრავმულ სტრესს, ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს და ხდებიან ინვალიდები. სახელმწიფოებს თუ კანონიერი ვალდებულებები არ აიძულებთ, მორალური ვალდებულება მაინც გააჩნიათ იზრუნონ ვეტერანებზე.

ვეტერანების საკითხის მიმართ სწორი პოლიტიკის შემუშავება ხელს უწყობს სამხედრო სამსახურში ახალგაზრდების შესვლას და კადრების შენარჩუნებას შეიარაღებული ძალების დაქირავებლის ინტერესებში შედის, რომ იზრუნოს ვეტერანებზე, რამდენადაც ვეტერანებისათვის გაუმჯობესებული მომსახურების უზრუნველყოფა შეიძლება ნაბაზისებელი ფაქტორი გახდეს სამხედრო სამსახურში შემსვლელებისთვისაც. ამასთან, ვეტერანებისათვის გაუმჯობესებული საკენსო პაკეტი უზრუნველყოფა შეიარაღებული ძალების მოქმედი და მომავალი თაობებისათვის მიმანიშნებელია იმისა, რომ შეიარაღებული ძალები პასუხისმგებლობის შქონდ დაქირავებელია. მეორე მხრივ, უარყოფითი ინფორმაცია ვეტერანების ცუდი მოპყრობის შესახებ დააბრკოლებს პოტენციურ მომავალ რეკრუტებს განვერიანდნენ შეიარაღებულ ძალებში. ამან შეიძლება უწყაყოფილება გამოიწვიოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე პირებს შორის, განსაკუთრებით მათ შორის, რომლებიც უკვე აპირებენ დაუბრუნდნენ სამოქალაქო ცხოვრებას, აგრეთვე, ვინც უკვე დატოვა შეიარაღებული ძალები.<sup>44</sup>

**ვეტერანების მისამართით გამოჩენილი ზრუნვა უფრო ფართო სოციალურ მიზნებს ემსახურება**

შეიძლება ითქვას, რომ სპეციალური სამხედრო სოციალური პოლიტიკის შემუშავება ემსახურება უფრო ფართო სოციალურ მიზნებს. ვეტერანების დახმარება, განსაკუთრებით კი მათი, ვისაც ყველაზე ძლიერ სჭირდება ეს, ან ვინც უსახლკაროა, გარკვეულიწად წყვეტს სოციალური სისტემის პრობლემების ფართო გადაწყვეტას.

**სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლა**

როგორც სხვა, ნებისმიერი (არა ვეტერანი) ყოფილი მოსამსახურე მამაკაცების და ქალების შემთხვევაში ხდება, საზოგადოებამ ზოგადად, შეიარაღებულმა ძალებმა და დაქაუბრებულმა ინდივიდებმა გარკვეული ზომები უნდა გაატარონ იმისათვის, რომ ვეტერანებმა (განსაკუთრებით ახალგაზრდებმა) შეძლონ პქონდით ნარმატებული კარიერა როგორც სამოქალაქო პირებმა. ეს მნიშვნელოვანია არა მარტო ინდივიდუალური მოსამსახურეებისათვის, არამედ თავად შეიარაღებული ძალებისთვისაც, როგორც დაქირავებლისთვის. თუ სამსახურის მიძივლები ხედავენ, რომ შეიარაღებული ძალები აქტიურ პოლიტიკას ატარებენ ამ კუთხით ყოფილი მოსამსახურეების მისამართით, ისინი უფრო მეტად დაინტერესდებიან ამ ორგანიზაციაში მუშაობით. შესაბამისად, ასეთი პოლიტიკა უფრო გამტკიცებს შეიარაღებულ ძალებში მოსამსახურეთა შეხედულებებს.

**ვეტერანები პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში**

ვეტერანის კონცეფციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში. სამხუაროდ, უთოს ს რიგ სახელმწიფოებში ადგილი პქონდა საომარ მოქმედებებს, მაგალითად, დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებში. ყოფილი იუგოსლავიაში ომის დასრულების შემდეგ დასავლეთ ბალკანეთის ყველა ქვეყანა შევიდა ისეთ ფაზაში, როდესაც მათ მოუწიათ საქუთარ შეიარაღებული ძალების შემცილება და რესტრუქტურინაცია. ომში ჩართულმა ბევრმა ქვეყანამ ბევრ მოქალაქეს მოუწოდა ხელში იარაღი აეღო, რომლებიც სამშეიდობო შეთანხმების შემდეგ საჭირო აღარ იყვნენ. ამის გათვალისწინებით, თითოეული ქვეყანა დაგასხვადასხვა პრობლემების წინაშე, მათ ყველას მოუწიათ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების შემცილება მაშინ, როდესაც ყველა ვეტერანს არ გააჩნია საჭირო ცოდნა და კვალიფიკაცია ნარმატებული სამოქალაქო ცხოვრების დასაწყებად. სწორი დემობილიზაციის პოლიტიკის გატარების გარეშე, შეიარაღებული ძალები ფინანსურად არასტაბილურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. თუ არ გატარდა შესაბამისი ვეტერანთა პროგრამები, ბევრი ყოფილი ჯარისკაცი ვერ მოახერხებს საზოგადოებასთან ფექტურ რეინტეგრაციას, თუ საერთოდ მოახერხა ეს.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 167 და 169.  
<sup>45</sup> უელსონი 1975, პრინციპი VI, პარაგ. 2.

## 2. ადამიანის უფლებთა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

სხვა მოქალაქეების მსგავსად, ვეტერანებს უნდა გააჩნდეთ სოციალური და ეკონომიკური უფლებები. ამ კუთხით, ეუთო-ს წევრმა ყველა ქვეყანამ აღიარა ის ვალდებულებები, რაც დაკავშირებულია ვეტერანებთან. მაგალითად, სახელმწიფოებმა აღიარეს ვალდებულება: ხელი შეუწყონ და ნაახალისონ ... ეკონომიკური და სოციალური ... უფლებებით ეფექტურად სარგებლობას<sup>426</sup>. ამ მიზნით, სახელმწიფოები ვალდებული არიან განაწილონ საკუთარი კანონმდებლობა, დებულებები და პოლიტიკა ეკონომიკურ და სოციალურ და ადამიანის სხვა უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლებების სფეროებში და უზრუნველყონ მათი დანერგვა, როგორც გარანტია ვეტერანების მიერ ამ უფლებების მაქსიმალური სარგებლობის მიზნით.<sup>427</sup> ამ კონტექსტში, სახელმწიფოებს "მოუწევთ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დასაქმების სფეროში არსებულ პრობლემებს, საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხებს, სოციალურ უზარუნობებსა და სამედიცინო მომსახურებებს."<sup>428</sup> ეუთო-ს წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე გააკეთეს დათქმა, რომ ამ უფლებების გამოყენებას არ შეუძლება რაიმე სახის შეზღუდვები, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, და არსებული უფლებები უნდა იქნება საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრული საერთაშორისო ვალდებულებებთან.<sup>429</sup> დაბოლოს, არანალები მნიშვნელობის მქონე საკითხი არის ის, რომ სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ ეს შეზღუდვები არასწორად არ იქნება გამოყენებული და მათი დანერგვა არ განხორციელდება თვითნებურად.<sup>430</sup>

რას ნიშნავს ეს უფლებები ვეტერანებისთვის? სხვა მოქალაქეების მსგავსად, ვეტერანებს უფლება აქვთ მიიღონ კარგი სამედიცინო მომსახურება, ჰქონდეთ საცხოვრებელი ადგილი, სამსახური და სოციალური დაცვა. რა თქმა უნდა, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ დაღნიშნული სოციალური და ეკონომიკური უფლებები, გარკვეულია, განსხვავდება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისაგან იმით, რომ პირველი (სოციალურ-ეკონომიკური) არის ის, რაც უნდა მიღწეულ იქნას და რისკენაც მიისწრაფიან, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მეორე მხრივ, ის უფლებებია, რომლის გამოყენება და გატარება დაუყოვნებლივ და სრულად უნდა ხდებოდეს. განსხვავება არის ის, რომ სოციალური და ეკონომიკური უფლებები მოითხოვს გარკვეული პოლიტიკის და ღონისძიებების დანერგვას ეროვნულ დონეზე მაშინ, როდესაც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები მოითხოვს საკანონმდებლო რეგულირებას. ამ მიზეზის გამო, ეუთო-ს მიერ აღებული ვალდებულება სოციალური და ეკონომიკური უფლებების სფეროში არ ნიშნავს ამ უფლებების ავტომატურ გადატანას ეროვნულ დონეზე, სანამ სახელმწიფო ოფიციალურად არ დაამტკიცებს ასეთ უფლებას შიდა კანონმდებლობაში. დამატებით, დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა ვეტერანებთან მიმართებაში შემუშავებული პოლიტიკასთან დაკავშირებულია მხოლოდ მათ მიერ ეკონომიკური და სოციალური უფლებების გამოყენებასთან. სახელმწიფოს არ შეუძლია გამორიცხოს ან, პირიქით, გამოარჩიოს მხოლოდ ვეტერანთა ერთი ჯგუფი სხვა ვეტერანთა ჯგუფისაგან სქესის, ეთნიკური წარმოშობის, ენის, სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობებთან კავშირის, პოლიტიკური ან განსხვავებული არის ქონის საფუძველზე. სხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რაც თანაბრად ეხება ვეტერანებს, არის სამართლიანი სასამართლოს უფლება. თუ ვეტერანებს დაეა აქვთ სახელმწიფოსთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უყვრობა მას სახელმწიფო, ამ თხელი უნდა მუხრეფებოდეთ სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემაზე.

## 3. ვინ არის ვეტერანი? განსხვავებული ეროვნული მიდგომები

არ არსებობს კონკრეტული განსაზღვრება კითხვაზე - "ვინ არის ვეტერანი?", ეს დამოკიდებულია იმაზე, გადაიტანა თუ არა ქვეყანამ ომი სხვა ქვეყანასთან, სამოქალაქო ომი ან, მიიღო თუ არა მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში. ქვეყნებმა შეიძლება აირჩიონ ვეტერანის განსაზღვრის სხვადასხვა ვარიანტები. ეს აგრეთვე დამოკიდებულია ქვეყნის ტრადიციასა და თავად მომხდარი კონფლიქტების ისტორიის ხასიათზე. სქემა 18.1 იძლევა საერთო წარმოდგენას ეუთო-ს წევრ არჩეულ სახელმწიფოებში ვეტერანების მიმართ სხვადასხვა მიდგომებზე.

<sup>426</sup> უნა 1989, პარაგ. 13.1.

<sup>427</sup> იქვე, პარაგ. 14.

<sup>428</sup> იქვე, პარაგ. 14.

<sup>429</sup> იქვე.



არაირა ყველა ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები ვეტერანები?

არსებობს უთუო-ს ნეერი ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც საკმაოდ ფართო მიდგომა აქვთ ვეტერანის ტერმინის განმარტებისთან დაკავშირებით, როდესაც ვეტერანში იგულისხმება ნებისმიერი პირი, ვისაც უმსახურა შეიარაღებულ ძალებში, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი საბრძოლო მოქმედებებში. გავრთიანებულ სამეფოში, მაგალითად, ვეტერანები არიან ყველა ის პირები, ვინც ერთ დღეზე მეტი იმსახურა, აგრეთვე, მათ კმაყოფიან მყოფი პირები. დადგენილია, რომ გაერთიანებულ სამეფოში დაახლოებით 10 მილიონი ყოფილი მოსამსახურე, ქვერეები და მათ კმაყოფიან მყოფი პირია; ისინი ბრიტანეთის მოსახლეობის 16%-ს შეადგენენ.<sup>441</sup> გავრთიანებული სამეფო ვეტერანთა პოლიტიკის გატარებას ახორციელებს ვეტერანთა სააგენტოს საშუალებით, რომლის მთავარი ფუნქცია ჩამოაყალიბოს ომის ინვალიდთა პენსიის სქემა (სამსახურთან დაკავშირებული ტრავმის, სუსტი ჯანმრთელობის ან გარდაცვალების კომპენსაციისათვის), აგრეთვე უზრუნველყოფს მართვა, კონსულტაციებს აწევა და მათთვის პრაქტიკული დახმარება.<sup>442</sup> დაამტკიცა, ვეტერანები უფლებამოსილი არიან სახელმწიფოს ხარჯზე მოინახულონ ბრძოლის ადგილები და "ძმთა სასაფლაოები" მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში.

განსხვავებული მიდგომაა აშშ-ში, სადაც ვეტერანად ითვლება ყველა ყოფილი მოსამსახურე (აქის თუ კაცო), თუ მათ სულ ცოტა 90 დღე მინც აქვთ ნამსახურეები საკითხი ოქნენ გათავსუფულებული სამხედრო სამსახურიდან; დამატებით, ის მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობდნენ ომიანობის პერიოდში ან საომარი მდგომარეობის დროს სულ ცოტა 1 დღის განმავლობაში. ომის ვეტერანები უფლებამოსილი არიან მიიღონ სხვადასხვა სახის დახმარებები. "მსახურობა ომიანობის დროს" ტერმინში იგულისხმება კონგრესის მიერ გამოცხადებული ომის პერიოდი. კონგრესმა აგრეთვე შეიძლება კონფლიქტს მიაჩნტოს ომთან მიახლოებული გარემოებები, რომლის დროსაც კონფლიქტის დაწყება და დასასრული, აგრეთვე, მისი მიმდინარეობის გეოგრაფიული არეალი ზუსტად არის განსაზღვრული კანონმდებლობაში, რომელსაც იღებს კონგრესი.<sup>443</sup>

კანადაში, ვეტერანად ითვლება კანადის შეიარაღებული ძალების ყველა ყოფილი მოსამსახურე, რომელიც საკითხი დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან და, რომლებიც აქამოვლილებდნენ ყველა პროფესიულ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. ამ სამ ქვეყანას საერთო აქვს ის, რომ მათ ვეტერანის საკმაოდ ფართო კვალიფიკაცია აქვთ განსაზღვრული. თუმცა, სამივე შემთხვევაში ვეტერანი უნდა აქმაყოფილებდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს იმისათვის, რომ მიიღოს გარკვეული სარგებელი შემუშავებული პოლიტიკის შედეგად. მაგალითად: ინვალიდობა, ჯანმრთელობისთვის 192 დაზიანება, ან ომში, ან ომის მდგავს გარემოებების დროს მსახურობა და მონაწილეობა.

ყოფილი მოსამსახურეები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საომარ მოქმედებებში მთორე ჯგუფი შედგება სახელმწიფოებისაგან, სადაც ვეტერანის კვალიფიკაცია ეძლევათ მხოლოდ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მსახურობდნენ ომის დროს ან ომთან მიახლოებულ გარემოებებში (მაგალითად, სამშვიდობო ოპერაციებში). ეს პოლიტიკა მიღებულია ნიდერლანდების მიერ 1990 წლიდან, სადაც ვეტერანის კვალიფიკაცია მინიჭებული აქვთ იმ ჯარისკაცებს, ვინც იბრძოდნენ II მსოფლიო ომში, ინდონეზიაში 1945-1950 წლებში, ახალ გვინეაში (1945-1962) და მონაწილეობას იღებდნენ სამშვიდობო ოპერაციებში (დაწყებული გავროს სამშვიდობო ოპერაციით კორეაში 1950-53 წლებში, ავღანეთის ჩათვლით 2006 წლებში).<sup>444</sup> ბელგია აგრეთვე მიეკუთვნება სახელმწიფოების ამ ჯგუფს, სადაც ყველა ის ყოფილი მოსამსახურე ითვლება ვეტერანად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ომში ან საომარ მოქმედებებში, როგორც არის I და II მსოფლიო ომები, კორეის ომი, კონგოს საომარი მოქმედებები, აგრეთვე, სამშვიდობო ოპერაციები.<sup>445</sup>

ამ ჯგუფში შედის რუსეთის ფედერაციაც, რაც დასაბუთებულია ვეტერანის ტერმინის განმარტებით 1995 წლის ივნისის ვეტერანთა შესახებ კანონში.<sup>446</sup> ვეტერანთა ოურიდიული განმარტება

<sup>441</sup> გავრთიანებული სამეფოს ომის ვეტერანთა სააგენტოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რომელიც შეიქმნილია იხილ. [<sup>442</sup> გავრთიანებული სამეფოს მოსამსახურეების და ვეტერანთა სააგენტოს ძირითადი დანიშნულებების შესახებ ინფორმაცია სვეტილით იხილ: \[http://www.veteranagency.mod.uk/about\\\_us/about\\\_us.html\]\(http://www.veteranagency.mod.uk/about\_us/about\_us.html\).](http://www.veteranagency.mod.uk; Dandeker et al., op. cit., შენიშვნა 432, ადგენს რომ გაერთიანებულ სამეფოს აქვს 13 მილიონი ვეტერანი, ჩათვლით მათ კმაყოფიან მყოფი პირებისა, რაც შეადგენს ბრიტანეთის მოსახლეობის 20%-ს, გვერდი 165.</a></p></div><div data-bbox=)

<sup>443</sup> J.M.P. Weerts, "Het Nederlands veteranenbeleid in international perspectief", *Militaire Spectator*, Vol. 169, № 5, 2000, გვერდი 245-253.

<sup>444</sup> 2000 წელს პოლანდის თადაცვის საბინისტრომ გამოაქვეყნა პოლიტიკის დოკუმტები ვეტერანებზე ზრუნვის უზრუნველყოფისათან დაკავშირებით. დოკუმტების ორიგინალს ქვეა "Zorg voor veteranen in samenhang: Hoofdlijnen van het veteranenbeleid", პაგა, 2000.

<sup>445</sup> იხ. ომის ინვალიდების, და ომის მსხვერპლის შესახებ ბელგიის ეროვნული ინსტიტუტის ვებგვერდი, <http://www.nisoo.be/PAGES/We.html>.

<sup>446</sup> 1995 წლის კანონი ვეტერანების შესახებ რუსულ ენაზე შეიქმნილი იხილით [http://www.consultan.ru/popular/veteran/31\\_1.html#p30](http://www.consultan.ru/popular/veteran/31_1.html#p30).



ამჟამად მოიცავს დაახლოებით II მსოფლიო ომის I მილიონ მონაწილეს და ინვალიდ პირს (რუსეთში ცნობილია როგორც დიდი სამამულო ომი); 9.5 მილიონ მშრომელს, რომლებიც ომის დროს ზურგში იბრძოდნენ, (ვინც მუშაობდა ზურგის ფრონტზე სახლებში I მსოფლიო ომის დროს); ლენინგრადის ბლოკადის 200 000-ზე მეტი გადარჩენილი პირი;

19.4 მილიონი შრომის ექვტერანი; 1.4 მილიონზე მეტი ომის ექვტერანი; 300 000 შეიარაღებული ძალების ექვტერანი; 22,000 მაღალი რისკის შემცველ სიტუაციებში ყოფი ექვტერანი.<sup>447</sup> ექვტერანთა ჯგუფის ეს სისტემა მონშობს, თუ რამდენად პატივს სცემენ ომის ექვტერანებს რუსეთის საზოგადოებაში. ექვტერანთა საქმეების პარლამენტის კომისიის არსებობის ფაქტივადსა და საკუთრად ამ დამოუკიდებლობას.<sup>448</sup> ფაქტურად, ეს სია აჩვენებს ექვტერანთა იერარქიას, შესაბამისად, ექვტერანთა სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა შეღავათებით და პატივით სარგებლობს.<sup>449</sup> ყველაზე მეტი საენსიო პაქტით და შეღავათებით ამ ჯგუფში სარგებლობენ ის ჯარისკაცები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დიდ სამამულო ომში. მათ საექვეთნო შედის დასაქმების და განათლების გარანტიები ისევე, როგორც სამედიცინო მომსახურებები, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, საგადასახადო შეღავათები, და უფასო ტრანსპორტირება.<sup>450</sup>

ბოლო წლების განმავლობაში II მსოფლიო ომის ცოცხალ ექვტერანთა რიცხვი შემცირდა მაშინ, როდესაც იზრდება რიცხვი იმ პირებისა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სამხედრო მისიებში სახელმწიფოებში და იწყებს იმის გაცნობარებას, რომ ექვტერანთა ამ ახალ ჯგუფს და მათ ოჯახებსაც სჭირდებათ მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევა. რუმინეთში, მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეები, ვინც 2006 წლიდან მოყოლებული მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო მისიებში საზღვარგარეთ ან ანტი-ტერორისტულ მისიებში სულ ცოტა 4 თვის განმავლობაში (უწყვეტი დროის განმავლობაში ან სულ ერთად აღებული) სა-პაერო პატრულის და სახლგარეშე ინტერვენციების ჩათვლით, ენიჭებათ საპატიო სამხედრო ექვტერანის ტიტული შრომ, როდესაც სამოქალაქო პირებს, რომლებიც იმავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, ენიჭებათ ექვტერანის ტიტული. თუ პირი ინვალიდია, სამხედრო ან სამოქალაქო ინვალიდის ტიტული მას ყველა შემთხვევაში მიენიჭება, მიუხედავად კონკრეტულ მისიაში მონაწილეობის ხანგრძლივობის ვადებისა. სამხედრო ან სამოქალაქო ინვალიდ ექვტერანებს უფლება აქვთ გააგრძელონ საქმიანობა თავდაცვის სამინისტროში.<sup>451</sup>

### მხოლოდ I და II მსოფლიო ომის მებრძოლები

მესამე ჯგუფი ეხება ისეთ ქვეყნებს, სადაც მხოლოდ ის ჯარისკაცები, რომლებიც I მსოფლიო ომში მსახურობდნენ, ითვლებიან ექვტერანებად. ასეთი ქვეყნებია, მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა ან კეკლონია (ექვტერანთა ჯგუფში აგრეთვე შედიან ის პირები, რომლებიც იბრძოდნენ საბერძნეთის დემოკრატიულ არმიებში 1945 და 1949 წლებში), ალბანეთი და ბულგარეთი.

### ოფიციალურად ექვტერანები არ არსებობენ

მეოთხე ჯგუფი შედგება ისეთი სახელმწიფოებისაგან, სადაც ექვტერანები ოფიციალურად არ არსებობენ. მათ შორის შედის დანია და გერმანია, სადაც არ არსებობს იურიდიული სტატუსი ექვტერანის ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურისა. გერმანიასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოს ოფიციალური კურსი აქვს აღებული არ გააგრძელოს გერმანიის შეიარაღებული ძალების ის ტრადიციები, რომლებიც 1945 წლამდე არსებობდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის ადამიანები, რომლებიც მსახურობდნენ I და II მსოფლიო ომების დროს ან მონაწილეობა მიიღეს სამხედრო ოპერაციებში, დავიწყებულია და მათზე არ ზრუნავენ. ამ მხრივ გერმანიაში შემუშავებული შესაბამისი კანონმდებლობა და მოქმედებენ კერძო ფონდები, რომლებიც დაკავებული არიან ასეთ პირებზე ზრუნვით. მაგალითად, I მსოფლიო ომის მონაწილეებზე ვინმეს უნდა ზრუნა მანამდე, სანამ გერმანიის შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბდებოდა 1955 წელს. 1945 და 1955 წლებს შორის ეი არ იყო სამხედრო სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებდა მათზე. II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის სახელმწიფოს პირველი კურსი - სოციალური პოლიტიკა მიმართული იყო ომის მსხვერპლზე ზრუნვისაკენ, მოქალაქეების, ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების ჩათვლით. რაც შეეხება სამხედრო-ნო მომსახურებას, ყოფილი გერმანელი სამხედრო მომსახურეები არ იღებენ რაიმე სახის სამედიცინო დახმარებას სამხედრო ჯანდაცვის სისტემისაგან. მათ მკურნალობენ როგორც

<sup>447</sup> იხ. სახელმწიფო ფუნის ექვტერანთა საკითხების კომიტეტის 2005 წლის მოხსენება (მხოლოდ რუსულ ენაზე), შეგიძლიათ იხ: <http://www.duma.gov.ru/vesteran/otshet/2005.htm>

<sup>448</sup> სახელმწიფო ფუნის ექვტერანთა საკითხების კომიტეტი დაარსდა 2003 წლის ივლისში, იხილ: <http://www.duma.gov.ru/vesteran/>

<sup>449</sup> კომუნისტური ფაქტორი ნაგაბი დაწვრილდა დიპლომატიასთან, უფროსი ლეკტორი სანკტ პეტერბურგის უნივერსიტეტის და ბრის-ტოლის უნივერსიტეტის სამეცნიერო კლდევის წევრი (გაეროთანებული სასული).

<sup>450</sup> ნატოსა და ევროსა და ევროს. "სოციალური კურსი ექვტერანებისთვის კონცეპტუალურია და რუსეთის მაგალითის ადგილზე შეესაბამება", შეიქმნა ზუსტად კლდევის ჩატარებაზე, ბრის-ტოლის უნივერსიტეტი, 2006 წელი.

<sup>451</sup> ეს ინფორმაცია მოყვანილია № 82, 2006 წლის 25 ოქტომბრის მთავრობის ბრძანებაში სამხედრო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ღვაწლის აღიარების შესახებ.

ნებისმიერ ყოფილ სამოქალაქო მოსამსახურეს: სახელმწიფო იხდის 70%-ს სამედიცინო მკურნალობისა; 30%-ს იხდის ყოფილ სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზღვევით კერძო კომპანია; ინვალიდი ვეტერანების ინტერესებს იცავენ და მათზე ზრუნავენ კერძო ასოციაციები ან, უმეტესწილად, კერძო რეგიონალური ფონდები (მაგ, გერმანიის სოციალური ასოციაცია). აღნიშნული პოლიტიკა მოქმედებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის დაფუძნებიდან, 1949 წლიდან მოყოლებული.<sup>452</sup>

#### ვეტერანები პოსტ-კონფლიქტურ სახელმწიფოებში

ეთუთო-ს ნევრა ქვეყნებში 90-იან წლებში დასაქვეთ ბალკანეთში შეიარაღებული კონფლიქტი და სამოქალაქო ომი გადაიტანეს, რამაც, გარკვეულწილად, ზიანი მიაყენა ვეტერანის სტატუსს. ბოსნია პერსეკუციონში, სადაც სამი დაპირისპირებული მხარის სამხედრო ფორმირებები მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ომში, უკეთეს შემთხვევაში დადიდნენ ვეტერანების კვტერანები. ბოსნია და პერსეკუციონს არ უკავს ვეტერანების საქმეთა სამინისტრო, მაგრამ ყოველ მხარეს გააჩნია ვეტერანთა ასოციაციები.<sup>453</sup> სერბეთში ვეტერანთა უფლებები გამყარებულია კონსტიტუციით. მთავრობის პოლიტიკა - დაიცვას მათი უფლებები, ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მაკრედონია რამდენიმე კანონით იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის კანონი ვეტერანთა ძირითად უფლებებზე, ინვალიდი ვეტერანები და ომში დაღუპული ვეტერანების ოჯახები (ჯერ კიდევ ძალაშია) და 1998 წლის კანონი ვეტერანთა უფლებების, ინვალიდი ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახების შესახებ. ამჟამად სერბეთი ცდილობს ამ კანონების გაერთიანებას ერთ კანონში ვეტერანებისა და ინვალიდთა დაცვის შესახებ. 1998 წლის ზემოაღნიშნული კანონის მიხედვით, ვეტერანი არის ნებისმიერი პირი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო I და II მსოფლიო ომებში (როგორც ანტიფაშისტური მოძრაობის წევრი), აგრეთვე ნებისმიერი ის პირი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საომარ მოქმედებებში 1990 წლიდან მოყოლებული. მონაწილეობის მიხედვით, ამ უკანასკნელის კატეგორიაში დაახლოებით 400,000 ვეტერანია მოხვედრილი. 1998 წლის კანონი აგრეთვე ადგენს, რომ ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდდნენ საომარი მოქმედებების ან მშენიშნების დროს (ამჟამინდელი შეიარაღებული ძალების პერსონალის ჩათვლით) განაკუთრებულად უნდა იყვნენ დაცული. სამშენიშნო ოპერაციების შესახებ კანონის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის ნებისმიერი სახის ტრავმის, დაავადების ან სიკვდილის შემთხვევაში დაწესებულია კომპენსაცია იმ საერთაშორისო ორგანიზაციის დებულებების თანახმად, რომელიც ხელმძღვანელობს არსებულ ოპერაციას.<sup>454</sup>

## 4. პოლიტიკა

### ვინ იღებს დახმარებას?

სახელმწიფოებმა განავითარეს სხვადასხვა მიდგომები იმ შეღავათებისა და დახმარების განსახლების მიზნით, რისი მიღების უფლებაც ვეტერანებს აქვთ. ეთუთო-ს ნევრა ბევრ სახელმწიფო სხვადასხვა კატეგორიების ვეტერანები იღებენ სხვადასხვა სახის დახმარებას, რაც დამოკიდებულია კონფლიქტის ტიპზე (მაგ., II მსოფლიო ომის ვეტერანები ბოლოდროინდელი კონფლიქტის ვეტერანებთან შედარებით) და იმაზე, დაინვალიდდნენ თუ არა ისინი სამხედრო სამსახურის გაყლის დროს.

მაგალითად, კანადაში შეიმუშავა საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომა, რაც ნიშნავს, რომ ვეტერანი მიიღებს დახმარებას იმ საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც მას წარმოქმნება. ამ შემთხვევაში, თუ ვეტერანი დააკმაყოფილებს შესაბამის პირობებს, მან შეიძლება მიიღოს სხვადასხვა სახის შეღავათები, ფინანსური დახმარება, სამსახური და ინვალიდობის პენსია.<sup>455</sup>

რუმინეთში და რუსეთში, მეორე მხრივ, II მსოფლიო ომის ვეტერანები იღებენ სხვადასხვა სახის დახმარების პაკეტს ბოლოდროინდელი კონფლიქტების ვეტერანებისგან განსხვავებით. რუმინეთში II მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათ ოჯახებს უფლება აქვთ უფასოდ იმჯ ზაერენ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის და მატარებლის ადგილობრივი რეგისტრაციაზე, ასევე, თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, ეხმარებიან საცხოვრებელი ადგილის უზრუნველყოფაში (პრობლემატიკი ენიჭება დაქირავებულ სახლებს) და უნევენ უფასო სამედიცინო მომსახურებას, ჯანმრთელობის სახლებში დასვენების უფასო ბილეთების ჩათვლით.<sup>456</sup> რუმინეთის ბოლოდროინდელი ვეტერანების მთავარი უფლებაა გააგრძელონ შეიარაღებულ ძალებში სამსახური ტრავმის მიღების ან დაინვალიდების შემდეგაც.

<sup>452</sup> კომუნიკაცია გერმანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან, 2006 წლის ნოემბერი.

<sup>453</sup> კომუნიკაცია ბოსნია პერსეკუციონის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტთან.

<sup>454</sup> კომუნიკაცია სერბეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტთან.

<sup>455</sup> ახალი ვეტერანების ქარტა: ვეტერანებისთვის და მათი ოჯახებისთვის, კანადის ვეტერანთა საქმეთა ორგ. კანადა, ოქტაბერი, 2006, მეტილი. იხ:

<http://www.vac-acc.gc.ca/ciientis/sub.cfm?source=Force/nrv>.

<sup>456</sup> კომუნიკაცია რუსეთისა და რუმინეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის პერსონალთან.

არის კიდევ ერთი კატეგორიის ვეტერანები, რომელთაც განსაკუთრებული მიდგომა და ზრუნვა ესაჭიროებათ, ესენი არიან უსახლკარონი. სისტემატიურმა კვლევებმა და საჯარო რეპორტაჟებმა აჩვენა, რომ უსახლკაროთა რიგებში ვეტერანების რიცხვი განსაკუთრებით დიდია. მაგალითად, აშშ-ის ვეტერანთა საქმეთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2 მილიონი ვეტერანია (ქალი და მამაკაცი) უსახლკარო. ბევრ სხვა ვეტერანს ასევე ემუქრება საცხოვრებლის დაკარგვა სიღარიბის გამო. ამის გამოწვევი მიზეზებია ოჯახიდან და მეგობრების მხრიდან მხარდაჭერის უქონლობა, მძიმე ცხოვრების პირობები, იაფ სასტუმროებში ან გადატვირთულ დაბალ სტანდარტის საცხოვრებელში ცხოვრება.<sup>447</sup> ჩანართში 18.2 მოყვანილია მაგალითი, თუ როგორ წყვეტენ აშშ-ში უსახლკარო ვეტერანების პრობლემებს.

## სქემა 18.2

### აშშ: უსახლკარო ვეტერანების დახმარება<sup>448</sup>

ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი "შეიმუშავებს მთელ რიგ სპეციალურ პროგრამებს და ინიციატივებს უსახლკარო ვეტერანების დასახმარებლად, რათა მათ იცხოვრონ რაც შეიძლება დამოუკიდებლად და ეფექტურად ირჩიონ თავი. ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი არის ერთადერთი სააგენტო, რომელიც დაკავებულია უშუალოდ უსახლკარო ვეტერანების პრობლემებით. აღნიშნული დეპარტამენტი შეიმუშავებს უსახლკაროთა დაცვის სპეციალურ პროგრამებს და განსაზღვრავს დახმარებისა და სხვა ხელშეწყობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

- "ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტის უსახლკაროთა სპეციალური პროგრამები გამსხვილდა და განვიითარდა იმ პერიოდში და მოყოლებულა, როდესაც ისინი პირველად იქნა აღიარებული სახელმწიფოს მიერ 1987 წელს. პროგრამების მიზანია შემოგთავაზონ მომსახურებების სახეები, რაშიც შედის:
  - "ქუჩაში და თავშესაფრებში მცხოვრები იმ ვეტერანების აქტიური ძებნა და დახმარება, რომლებიც თავად დახმარებას არ ითხოვენ;
  - "სამედიცინო დანებსებულებების მიერ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და საჭირო სამედიცინო მკურნალობის განსაზღვრა ფიზიკური ან სულიერი დარღვევების შემთხვევებში, ნარკოტიკების მოხმარების ჩათვლით.
  - "ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავშესაფრის და სხვა დახმარების განევა, კონკრეტული შემთხვევის მართვა, რეაბილიტაცია;
  - დახმარება დასაქმების თვალსაზრისით და კემპშირი ხელთ არსებული ფინანსური საშუალებებით;
  - დახმარება მუდმივი საცხოვრებელი სახლის შენარჩუნებაში

### ვინ ეხმარება და ზრუნავს ვეტერანებზე?

ვეტერანების პრობლემებიდან გამომდინარე, სახელმწიფოებმა შეიმუშავეს სხვადასხვა მოდელები და სტრატეგიები მათთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.<sup>449</sup>

ზოგ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებს, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ I და II მსოფლიო ომების დროს, უკვე გააჩნიათ სპეციალური სამინისტროები, რომლებიც აგვარებენ ვეტერანებთან დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც არის კანადის ან აშშ-ის ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი.<sup>448</sup> აშშ-ის ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი აშშ-ის მთავრობაში მეორე ყველაზე მსხვილი დეპარტამენტია, დაახლოებით 250,000 პერსონალით და ბიუჯეტით, რომელიც დაახლოებით 86.7 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს ერთი ფისკალური 2008 წლისთვის.<sup>441</sup> აშშ-ის ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი ყურადღებას ამახვილებს სამ სტრატეგიულ სფეროზე: ვეტერანთა სარგოს/შეღავათების, ჯანმრთელობის დაცვის და ეროვნული სასაფლაოს ადმინისტრირება.

სახელმწიფოების მეორე უჯვრეში ვეტერანებზე ზრუნვას ერთობლივად ახორციელებს თავდაცვის სამინისტრო და სხვა სამინისტროები მაშინ, როდესაც სპეციალური ინსტიტუტები, ფონდები ან სააგენტოები, თავის მხრივ, ატარებენ ვეტერანების დაცვის პოლიტიკას. ამის მაგალითებია გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები. სპეციალური ვეტერანთა ინსტიტუტი — სპეციალური ორგანიზაცია, რომლის საშუალებითაც თავდაცვის სამინისტრო თან-

<sup>447</sup> Richard Tessier, Robert Rosenheck, & Gail Gamache, "უსახლკარო ვეტერანები დაეკლასიან სახის მოხალისეთა ძალის: "სოციალური სტრუქტურის პერსპექტივა". მეთარალებული ძალები/საზოგადოება, ტომი 29, №. 4, ზაფხული 2003, გვერდი 509-524; "უსახლკარო ვეტერანები" აშშ-ს ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი <http://www1.va.gov/homeless>; Dandeker et al., op. cit., Seite 432, pp. 166-187.

<sup>448</sup> აშშ-ს ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტი, 2006; Tessier et al., ibid.

<sup>449</sup> Wearte, op. cit., შენიშვნა 443

<sup>450</sup> ვეტერანთა საკითხები, კანადა, იხ. <http://www.vac-acc.gc.ca/general/>;

აშშ-ს ვეტერანების საქმეთა დეპარტამენტისთვის იხილეთ <http://www.va.gov>.

<sup>451</sup> იხ.: [www.va.gov/budget/summary/index.htm](http://www.va.gov/budget/summary/index.htm).

ამპრობობის ერთ-ერთ ყველაზე მხვილედ ასოციაციასთან, ნიდერლანდებში არსებობს 2000 წლიდან. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს პოლანდიელი ვეტერანებისა და მათი ოჯახების სოციალურ აღიარებას და მათზე ზრუნვას. სამედიცინო და იურიდიული კონსულტაციების გარდა, ინსტიტუტი ვეტერანებს დახმარებას სთავაზობს სოციალურ და სხვა კონკრეტულ საკითხებში შესაბამის პროგრამების ფარგლებში. გაერთიანებულ სამეფოში, თავდაცვის სამინისტრომ შექმნა მოსამსახურეთა პერსონალი და ვეტერანების სააგენტო, რომლის მიზანია გააუმჯობესოს "პერსონალი, პენსიები, კეთილდღეობა და სხვა დახმარების მომსახურების" შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისთვის და ვეტერანებისთვის. გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, პერსონალის ადმინისტრაციული სააგენტო გაერთიანდა ვეტერანების სააგენტოსთან, ეს მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოს პერსონალის ინტეგრირებული "მუშაობის ციკლი" ამჟამინდელი და ყოფილი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების საკეთილდღეოდ.<sup>42</sup>

საფრანგეთი მაგალითი ასევე ხანტერესოა, სადაც თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში, ვეტერანების საკითხები მინისტრის მოადგილის პასუხისმგებლობის ქვეშ, ფუნქციონირებს ორი ინსტიტუტი, რომლებიც დაკავებული არიან ვეტერანების საკითხით. მინისტროს მოადგილე არის ეროვნული ვეტერანების სამსახურის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე (ONAC). ONAC არის თავდაცვის სამინისტროს მფარველობის ქვეშ არსებული ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანო. ის პასუხისმგებელია დიაცვას ვეტერანების და მისი მსხვერპლი პირების მატერიალური და მორალური ინტერესები. ONAC-ის ცენტრალურ ოფისს გააჩნია 100 დეცენტრალიზებული საშახური ყოვლი ფრანგული რეგიონისთვის. ამ საშახურების ამოცანაა ვეტერანებისთვის შესაბამისი ბარათების გაცემა და იმ დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც ვეტერანებს გარკვეულ უფლებებს ანიჭებს. აღნიშნული სამსახური ასევე დაკავებულია ფარო საზოგადოებისთვის ვეტერანების შესახებ ისტორიული ინფორმაციის გავრცელებით, ისინი ვეტერანებს დახმარებას უწევენ აგრეთვე ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის წარმოებაში. უფრო მეტიც, ONAC-ს გააჩნია სახელი პენსიონერებისთვის და მოსამზადებელი ინსტიტუტები, რომლებიც დაკავებული არიან ვეტერანების საზოგადოებაში რეინტეგრაციით.<sup>43</sup> მიუხედავად იმისა, რომ ONAC მინისტრის პასუხისმგებლობის ქვეშ ფუნქციონირებს, მას ცალკე ბიუჯეტი აქვს. მეორე, 1990-91-იანი წლების სპარტეის ყურეში მიმდინარე ომმა წარმოაჩინა სამედიცინო დახმარების საჭიროება, ცენტრში წოდებულ ახალი ვეტერანებისთვის (ის მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ არა საომარ ოპერაციებში, მაგალითად, გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციებში). ამ კონტექსტში, საფრანგეთმა დააარსა სააგენტო, რომელიც ახორციელებს ვეტერანთა ჯანმრთელობის მონიტორინგს (იხ. სქემა 18.3).

**სქემა 18.3**

**საფრანგეთი: ვეტერანების ჯანმრთელობის მონიტორინგის სააგენტო<sup>44</sup>**

საფრანგეთის ვეტერანების ჯანმრთელობის მონიტორინგის სააგენტო (OSV) პასუხისმგებელია კოორდინირებული ქმედებებისა და პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც მიზნად ისახავს მოქმედი და ყოფილი საზღვრო მოსამსახურეთათვის გაუმჯობესებულ სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას. ეს არის დირექტორატის მუშაობის ნაწილი პენსიების და სოციალური რეინტეგრაციის საქმეში, რომელიც ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის გენერალური მდივნის პასუხისმგებლობების ფარგლებში.

(OSV) -ს ოთხი მიზანია აქვს: (1) შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრა, საგარეო სურათის პროგნოზირების მიზნით; (2) ხელი შეუწყონ ინფორმაციის შეგროვებას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების კარიერის შესახებ, აგრეთვე მონაწილეობის მიღება შესაბამისი სამხედრო და სამოქალაქო ინსტიტუციების მუშაობის კოორდინირებაში; (3) ჯანდაცვის მომსახურეობების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით წარმოშობილი პათოლოგიების სფეროში, და შესაბამისი ეპიდემიოლოგიური შემომწმენდის ჩატარების ინიციატივები; (4) შესაბამისი სამედიცინო კონსულტაციების უზრუნველყოფა ისე, რომ არ მოხდეს იმ დეპრატამენტის დირექტორატის პასუხისმგებლობების ჩანაცვლება, რომელიც დაკავებულია ვეტერანებისა და სამხედრო ინვალიდების საქმისათვის საკითხებით.

სახელმწიფოების მესამე ეტაპში, მაგალითად, ნორვეგიაში და ფინეთში, ვეტერანებზე ზრუნვა თავის თავზე აქვს აღებული გენერალურ სამინისტროს (არა სამხედრო), რომელიც დაკავებულია სოციალური და ჯანდაცვის საკითხებით. ამ ქვეყნებში, ვეტერანები არ იღებენ კონკრეტულ ან ექსკლუზიური სახის დახმარებას, მაგრამ მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე

<sup>42</sup> დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილ. მოსამსახურეების და ვეტერანების სააგენტოს ვებგვერდი: [http://www.veter-ans-uk.info/about\\_us.html](http://www.veter-ans-uk.info/about_us.html).  
<sup>43</sup> იხ. <http://onac62.chez-alice.fr/onac/onac.html>.  
<sup>44</sup> ბრძანება №. 2004/524 10 ივნისი 2004 ვეტერანების ჯანმრთელობის დაცვის მონიტორინგის ორგანოს დაფუძნებაზე (Observatoire de la santé des veterans), შეგიძლიათ იხილ: <http://www.admi.net/orj/20040812/DEFD0400566D.html>.

ზრუნავს გენერალური ჯანდაცვის და სოციალური სისტემები. ამ სახელმწიფოებში ჯგუფში ხშირად არსებობს ვეტერანთა ასოციაციები, მაგალითად, შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ასოციაცია (*Hermandad de veteranos de las Fuerzas Armadas*) ესპანეთში, რომელიც მხარში უდგას სამხედრო მოსამსახურეებს და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას უწევს ვეტერანებს.

უეთო-ს რეგიონის ფარგლებში არსებულ სახელმწიფოებში მრავალი ვეტერანთა ასოციაცია და არაკომერციული ორგანიზაციაა. მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციამ (WVF), ამ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში, შედის 164 ვეტერანთა ასოციაცია 84 ქვეყნიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. WVF აერთიანებს ომის ვეტერანებს, ომში დაზარალებულებს სხვადასხვა კონფლიქტებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდა I მსოფლიო ომის შემდეგ, სამშვიდობო ოპერაციების ვეტერანების ჩათვლით.<sup>443</sup> სამხრეთ აფრიკაში – იოანესბურგში, ჩაატარებულ 24-ე გენერალურ ასამბლეაზე, 2003 წლის დეკემბერში WVF –მა მიიღო დეკლარაცია ომის ვეტერანებისა და ომში დაზარალებულთა შესახებ (იხ. სქემა 18.4).

## სქემა 18.4

### ომის ვეტერანების და ომში დაზარალებულთა შესახებ დეკლარაციის<sup>444</sup>

#### მე-6 მუხლი

მსოფლიო ვეტერანთა ფედერაცია ...

6. მოუწოდებს გაეროს ნეურ სახელმწიფოებს მიიღონ გადაუდებელი ზომები:

- ომის ვეტერანებსა და ომში დაზარალებულებთან დაკავშირებით კანონმდებლობის გაუმჯობესება და დახვეწა;
- სოციალური დაცვა, სამედიცინო მომსახურება და სხვა შესაბამისი პრივილეგიები/დახმარებები.
- ომის შედეგად წარმოშობილი ფსიქოლოგიურ-სოციალური სიმწიფეების შემსუბუქების მიზნით ომის ვეტერანთა და ომში დაზარალებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- სამშვიდობო და მსგავს ოპერაციებში მონაწილე ყოფილი მოსამსახურეების მიმართ ადეკვატური ზრუნვის გამოჩენა მისიის ნინ, მისიის განმავლობაში და მის შემდეგ.

ვეტერანების ქსელური ტიპის ზრუნვის მოდელის საინტერესო მაგალითი აქვს დანიის სამედიცინო დანიამ შეიმუშავა ე.წ. პარტნიორის მოდელი, სადაც მთავრობა, სამხედრო ასოციაციები და ვეტერანთა ორგანიზაციები ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთობენ ვეტერანებისათვის ზრუნვისა და დახმარების აღმოჩენის საქმეში. აღნიშნული პარტნიორის მოდელის მიხედვით, სამი ზემონახსენები სუბიექტი წარმოდგენილია მმართველი ჯგუფით, რომელსაც ხელმძღვანელობს თავდაცვის სამინისტროს მუშაოთა მომსახურების დირექტორი. ამასთან, მართვის ჯგუფში საკუთარ წარმომადგენლებს ნიშნავენ სამხედრო და ვეტერანთა ასოციაციებიც. მართვის ჯგუფი კოორდინირებს ამ სამი მოქმედი სუბიექტის საქმეების წარმოებას, რაც მოიცავს ოჯახის მხარდაჭერას და ცხელ ხაზს, რომელსაც უზრუნველყოფს ვეტერანთა ორგანიზაცია, სამედიცინო და სოციალურ დახმარებას კი უზრუნველყოფს მთავრობა, დაბოლოს, კონკრეტული დახმარებების აღმოჩენას შეიარაღებული ძალების მოქმედი და ყოფილი მოსამსახურეებისათვის უზრუნველყოფენ სამხედრო ასოციაციები. FEUROMIL-მა ყველა ნეურ ქვეყანას ურჩია დაენერგათ მსგავსი პარტნიორის მოდელი საკუთარ სისტემაში.<sup>445</sup>

#### რა სახის სარგებელი (შეღავათები, დახმარებები)?

განასხვავებენ სამი სახის სარგებელს (შეღავათები, ფინანსური დახმარება) და მხარდაჭერის დონისძიებებს. სარგებელი აუცილებლად უნდა შედიოდეს მატერიალური ან ფინანსური დახმარება ვეტერანებისათვის, მაგალითად, ინვალიდობის პენსია, უფასო ან ნაწილობრივ სუბსიდირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა და სამედიცინო მომსახურებები. მეორე ჯგუფი სარგებელისა დაკავშირებულია ვეტერანების არამატერიალურ პრობლემებთან. ამაში შეიძლება შედიოდეს ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური სამსახური და კონსულტაციები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა, რამდენადაც ბევრი ვეტერანი პოსტ-ტრავმული სტრესული მოშლილობის (PTSD) მიღების რისკის ქვეშ არის მათი კონფლიქტურ ზონებში დისლოცირების განმავლობაში. PTSD არის სტრესის გამომწვევი დაავადება, რაც სხვადასხვა სიმპტომებით გამოიხატება, როგორც არის ალკოჰოლიზმი,

<sup>443</sup>იხ: მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის ვებგვერდი <http://www.wvf.org>  
<sup>444</sup> დეკლარაცია ომის ვეტერანების და ომში დაზარალებულთა შესახებ იხ: <http://www.unhcr.ch/traf-docs/Huridocs/na/Teel/Firm/4db25c28e2c258e1c1256e80035174e70pendocument>  
<sup>445</sup> სოციალური დაცვა და ვეტერანების დაკავშირებული პრობლემები (ახალი ვეტერანები) საერთაშორისო მშვიდობის ხელშეწყობის მისიები "Mission", EUROMIL ანგარიში, 29 ოქტომბერი 2005, იხილ: <http://www.afmp.nl/document-en/euromil/addon-newveterns.pdf>.

ნარკოტიკების მიღება და დეპრესია; ეს დაავადება ახალი გამოწვევაა; მისი დიაგნოზირება უკვე დიდი ხანია ხდება იმ ვეტერანთა რიგებს შორის, რომლებიც კონფლიქტში ან ომში იყვნენ ჩართულები დიდი ხნის განმავლობაში. PTSD-ით დიაგნოზირებულ პირს სამედიცინო დახმარება სჭირდება არა მხოლოდ დისლოცირების შემდეგ, არამედ მათი მკურნალობა აუცილებელია დისლოცირების წინ და განმავლობაში. სექსში 18.5 მოცემულია ზოგადი ხეცვა PTSD-ის სისტემატური მკურნალობის რეკომენდაციებისა, რომლებიც შემუშავებულია ეროვნული თავდაცვისა და კანადის ძალების ომბუდსმენის მიერ.<sup>448</sup>

## სქემა 18.5

### PTSD-ით (პოსტ-ტრავმული სტრესული მოშლილობა) დიაგნოზირებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების სისტემატური მკურნალობა

ეროვნული თავდაცვის და კანადის ძალების ომბუდსმენის რეკომენდაციები<sup>449</sup>

PTSD-ით დიაგნოზირებული კანადის ძალების მოსამსახურის საჩივრის პასუხად, კანადის ომბუდსმენმა ნამოინჟყო კვლევა, თუ როგორ შეიძლება დაუმჯობესებულიყო PTSD-ის დიაგნოზირებული პირების სისტემატური მკურნალობა კანადის ძალებში. ამ კუთხით, ომბუდსმენმა გააკეთა 31 რეკომენდაცია. ზოგი მათგანია ჩამოთვლილი ქვემოთ და შეიძლება გამოადგეთ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც PTSD-ითან დაკავშირებულ მიდგომებს ახლა ამუშაებენ და ავითარებენ შეიარაღებული ძალების მოქმედ და ყოფილ მოსამსახურეებს შორის.

ომბუდსმენმა გააკეთა შემდეგი რეკომენდაცია, რომ:

1. კანადის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა შექმნას მონაცემთა ბაზა, რომელიც ზუსტად ასახავს კანადის შეიარაღებულ ძალებში მომუშავე სტრესის შედეგად ტრავმირებული მოსამსახურეების რიცხვს, რეგულარული არმიის და რეზერვისტთა რიგებში რიცხული პირების ჩათვლით.
2. კანადის ძალებმა უნდა შექმნან მონაცემთა ბაზა მოქმედ მოსამსახურეებსა და ყოფილ მოსამსახურეებს შორის თვითმკვლელობების ტ შესახებ.
3. კანადის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა განახორციელონ სულიერი ავადმყოფობის შესწავლა დამოუკიდებლად და კონფიდენციალურად, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ყოფილ მოსამსახურეებს ისე რეგულარულ და რეზერვისტთა შემაგდენლობას. ...
4. 7. კანადის ძალების განათლებისა და მოსამზადებელი დაწესებულებების სასწავლო გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს სპეციფიური და დეტალური ინფორმაცია PTSD-ის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ევბრძოლოთ მას.
5. 8. კანადის ძალების დანაყოფები უფლებამოსილი უნდა იყვნენ ყველა მოსამსახურეს რეგულარული ინტერვალებით ჩაუტარონ ინფორმაციული ტრეინინგები PTSD-ის შესახებ, კონკრეტულ დისლოკაციასთან დაკავშირებული ტრეინინგების დამატებით.
6. 11. კანადის შეიარაღებულმა ძალებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ის მოსამსახურეები ან ყოფილი მოსამსახურეები, რომლებსაც გამოცდილება PTSD-თან დაკავშირებულ საგანმანათლებლო და მოსამზადებელ საკითხებში.
7. 19. კანადის ძალებმა უნდა შეამოწმონ და შეაფასონ ფექტიურობის ხარისხი და პროცედურები, რომლებიც ხორციელდება რეზერვისტთა ძალების მოსამსახურეების დასახმარებლად, მათ შორის დისლოცირების წინ და შემდეგ ...
8. 27. კანადის ძალებმა უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ გადაწყვიტონ სტრესის საკითხი და კრიზისი, გამოწვეული რესურსების ნაკლებობით და კანადის ძალებში მოსამსახურე სამედიცინო პირების დიდი დატვირთვების გამო.
9. 28. კანადის ძალებმა ვარკვეულ ნაბიჯები უნდა გადადგას დახმარების პროგრამების მხარდასაჭერად, რომლებიც შექმნილია PTSD-ით დიაგნოზირებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ოჯახებისთვის.
10. 30. კანადის ძალებმა უნდა ნამოინჟყოს სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალურობის ნების სრულად შესწავლა. კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევები უნდა აღმოიფხვრას მოკლე ვადებში და უნდა მოხდეს საგრძნობი ცვლილებები კონფიდენციალურობის ფაქტორის აღდგენაში და კანადის ძალებში, რათა დაეკონტროლოს PTSD-ით დიაგნოზირებული შეიარაღებული ძალების ოჯახებისთვის ინფორმაცია.
11. 31. კანადის ძალებმა უნდა შექმნან PTSD-ის კოორდინატორის თანამდებობა, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება თავდაცვის პერსონალის უფროსის წინაშე და პასუხს აგებს PTSD-თან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებაზე.

<sup>448</sup> ეროვნული თავდაცვის მინისტრის ანგარიში André Marin, ეროვნული თავდაცვის და კანადის ძალების ომბუდსმენის "სპეციალური ანგარიში: PTSD-ით დიაგნოზირებული პირების სისტემატური მკურნალობა შეიარაღებული ძალებში", ოქტაბ, 2001 წელი <http://www.ombudsman.forces.gc.ca/rep-rapir-rs/pts-ssp/dcc/pte-ssp-eng.pdf>.

<sup>449</sup> იქვე.

მესამე ტიპის ქმედებები დაკავშირებულია გარდაცვალებულთა ხსოვნის აღნიშვნის და საზოგადოების მხრიდან ვეტერანთა თავგანწირვის ცნობა-აღიარების ხელშეწყობასთან. მაგალითად, სასაფლაოს მოვლა, ვეტერანთა დღეების ორგანიზება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური ვეტერანთა ხსოვნის დღის და სახალხო ღონისძიებების ორგანიზება ვეტერანებისადმი საზოგადოების პატივისცემის გაზრდის მიზნით, იმ თავგანწირვისათვის, რაც მათ გაიღეს ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. ვეტერანთა ეროვნული დღეები დანსე-ბულია, მაგალითად, ყოფილ იუგოსლავიის რესპუბლიკა – მაკედონიაში (11 ოქტომბერი), ბოსნია პერცეგოვინაში (4 ივლისი), ბულგარეთში (6 მაისი), რუმინეთში (9 მაისი), ნიდერ-ლანდებში (29 ივლისი) და ალბანეთში (29 ნოემბერი).

**სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლა**

სარგებელის ბოლო ტიპში შედის ის ქმედებები და ღონისძიებები, რომლებიც ეხმარება ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს დაიწყონ სამოქალაქო ცხოვრება, რაც გულისხმობს განათლებისა და მომზადების პროგრამების უზრუნველყოფას. როგორც აქამდე იყო ნახსენები, საზოგადოებისათვის შეიარაღებული ძალებისათვის და, რა თქმა უნდა, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის (როგორც ყოფილი დამჭირავებლისათვის), ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია პირის სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაში ფექტური ინტეგრაცია (რამდენადაც ეს ასევე ამცირებს უშუალოდ, ეუთო-ს აღმშენებლობის უზრუნველყოფის დანერგვით აქვს სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლის ხელშეწყობის პოლიტიკა. ბელგია ვეთავაზობს საინტერესო მაგალითს, ეკრძოდ, ბელგიის შეიარაღებულმა ძალებმა პერსონალის-მენეჯმენტის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად და სამხედრო პერსონალის საშუალო ასაკის შემცირების მიზნით შეიქმნა შერეული კარიერების კონცეფცია.

**სქემა 18.6**

**სამხედრო ცხოვრებიდან სამოქალაქო ცხოვრებაზე გადასვლის ხელშეწყობა<sup>170</sup>**

ბელგიის შეიარაღებულმა ძალებმა გადაწყვიტა შეეცალა სამხედრო კარიერაზე ორიენტირებული პოლიტიკა და შეიმუშავა შერეული კარიერების პოლიტიკა. ამ ახალი პოლიტიკის მიზანია პერსონალი გახადონ უფრო მოქნილი, ადაპტირების უნარის მქონე და შექმნან ახალი შესაძლებლობები სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რათა მათ შეძლონ ფექტური სამოქალაქო ინტეგრაცია.

ამ პოლიტიკის მთავარი ელემენტებია:

- (1) კონცეფცია ეხება ყველა იმ სამხედრო მოსამსახურეს, ვინც დაიწყო მუშაობა შეიარაღებულ ძალებში;
- (2) სამხედრო პერსონალის სამხედრო სამსახურში აყვანა ხდება ფიქსირებული ვადით და ისინი კარიერას იწყებენ ოპერატიულ ქვედანაყოფში.
- ამ საწყისი ეტაპის დასრულების შემდეგ, მოსამსახურეებს აქვთ არჩევანის გაკეთების უფლება: ან გააგრძელონ მუშაობა სამხედრო ოპერატიულ სისტემებში; ან (ბ) დაიწყო მუშაობა როგორც მოქალაქეებმა თავდაცვის სამინისტროს ფარგლებს გარეთ, მთავრობაში ან კერძო სექტორში;
- (3) სამხედრო პირში იგულისხმებიან მხოლოდ ის მოსამსახურეები, რომლებიც მსახურობენ ოპერატიულ ქვედანაყოფებში ან ასრულებენ შესაბამის ფუნქციებს. თითოეული მოსამსახურის შეფასება განხორციელდება მუდმივად, რათა გაირკვეს, არიან თუ არა ისინი საკმარისად კვალიფიცირებული იმისათვის, რომ გააგრძელონ სამხედრო სამსახური;
- (4) ისინი, ვინც სამოქალაქო სამუშაოს ასრულებენ შეიარაღებულ ძალებში, იმუშაებენ დამხმარეს სტატუსით;
- (5) შეიარაღებული ძალები ინსტრუქტაჟს გაუწევენ იმ პირებს, ვინც გადაწყვიტს შეიარაღებული ძალების ფარგლებს გარეთ მუშაობას. შერეული კარიერის კონცეფცია წარმოადგენდა იქნა 2005 წელს. ამ კონცეფციის დასაბრუნად, შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს მოლაპარაკებების წარმოება სამხედრო და სამოქალაქო კავშირებთან ისევე, როგორც სამთავრობო სამსახურებსა და კერძო სექტორთან.

აუცილებელი არ არის, რომ ასეთი პოლიტიკა მაინც და მაინც მთავრობამ ამ შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელო, კერძო ინიციატივები ხშირად უფრო ეფექტურია, აგრეთვე, რაც ნაჩვენებია სქემაში 18.7.

<sup>170</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი. პეკითხვა 87.

**ყოფილი სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეების გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამა: საქართველოს ღია საზოგადოების ინსტიტუტის მაგალითი<sup>41</sup>**

2006 წელს, ღია საზოგადოების ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ საქმეთა პროგრამასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, დაწერა ერთობლივი საპილოტე პროექტი, რომელსაც უკვეა ყოფილი სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეების გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამა.

ამ პროგრამის საშუალებით, შეიქმნა 100 ისეთი პირი, რომლებმაც სამსახური დაკარგა მას შემდეგ, რაც მთავრობამ შეამცირა კადრები სახელმწიფო სამსახურებში. მათ ჯგუფში შედიოდნენ საზოგადოებრივი მოსამსახურეები, პოლიციელები, უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი და სამხედრო მოსამსახურეები. მათგან 50 მომზადდა საქართველოს ტრენინგების ცენტრში, ევროპული მენეჯმენტის სკოლაში, სადაც მათ ასწავლეს, თუ როგორ დაეწყათ საკუთარი ბიზნესი. ტრენინგების გავლის შემდეგ მათ მიეცათ შესაძლებლობა მოემზადებინათ საკუთარი ბიზნეს გეგმა. სულ, 10 ბიზნეს გეგმა გაიგზავნა ღია საზოგადოების ინსტიტუტში, რომელმაც აარჩია 4 საუკეთესო გეგმა, რომლის დაფინანსება თავისთავებ აიღეს პარტნიორმა ბანკებმა.

დანარჩენმა 50 პირმა მონაწილეობა მიიღეს 4-თვიან გადამზადების პროგრამაში, მათ გაიარეს ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებისა და მართვის შესახებ. ამ ჯგუფს მომზადების უკრის ჩაუტარა ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრმა. უკრის პროგრამაში შედიოდა შემდეგი საკითხები: არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსება და მართვა, პროექტის დაგეგმვა და შექმნა, მართვა და მონიტორინგი. შემდგომში, ღია საზოგადოების ინსტიტუტმა გამოაცხადა დახურული ტენდერი, სადაც 16 წარდგენილი პროექტიდან 4 პროექტი დაფინანსდა.

მონაწილეების 30% იყვნენ ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები და პოლიციელები. გადამზადების შემდეგ უმეტესობამ იშოვა ახალი სამუშაო ბიზნესში ან არასამთავრობო სექტორში.

12-მა ყოფილმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელმა მიიღეს მონაწილეობა დახურულ ტენდერში, 3 ყოფილი თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჩათვლით. დაფინანსების მიმღებ პირთა შორის სამართალდამცავი ორგანოების 2 ყოფილი თანამშრომელი იყო; ერთი თავდაცვის სამინისტროდან და მეორე შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

შეიარაღებული ძალების პერსონალის საზოგადოებაში რეინტეგრაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სახელმწიფოებში, რომლებმაც კონფლიქტები და ომი გადაიტანეს. ყოფილი მოსამსახურეების წარმატებული ინტეგრაცია ხელს უწყობს პოსტ-კონფლიქტური სიტუაციის სტაბილურობას, სადაც ჯარისკაცების დიდი ნაწილი შემცირებული და უმუშევარია. მაგალითად, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სამოქალაქო ომში 1990 წელს, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყეს სპეციალური დემონილიზაციისა და გადამზადების პროგრამების განხორციელება, მაგალითად, სამხედრო მოსამსახურეების სამოქალაქო ცხოვრებაში გადაყვანის და გადამზადების პროექტი, რომელიც განხორციელდა სერბეთისა და მონტენეგროში,<sup>42</sup> ან მსოფლიო ბანკისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგრამები ბოსნია და ჰერცეგოვინაში (იხ. სქემა 18.8).<sup>43</sup>

<sup>41</sup> საქართველოს ღია საზოგადოების ინსტიტუტი, 2007 წლის იანვარი

<sup>42</sup> Tobias Pietz with Marc Remillard, "დემონილიზაცია და გადამზადება მოზავლესთის: შეიარაღებული ძალები სერბეთისა და მონტენეგროში", ბონი, კონფერენციის საერთაშორისო ცენტრი და შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრის ცენტრი.

<sup>43</sup> Andreas Heinemann-Grüder and Tobias Pietz with Shay Duffy, "ჯარისკაცების სამუშაო ძიება და დაგეგმვა: Demobilization de reintegracja Post-Dayton Bosnia and Herzegovina", ბონი, შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრის ცენტრი, ბრიუსელის No. 27, ბონი/გენევა, 2003, იხილეთ: <http://www.bicc.de/publications/briefs/brief27/brief27.pdf>.



**რეკომენდაციები ომის ვეტერანების რეინტეგრაციის საქმეში: ბოსნია  
ჰერცეგოვინას მაგალითიდან მიღებული გამოცდილება<sup>44</sup>**

მსოფლიო ბანკი და IOM ხელს უწყობს 3 მსხვილ რეინტეგრაციის პროექტს იმ ჯარისკაცებისთვის, ვინც ჩართული იყვნენ ბოსნია-ჰერცეგოვინის 1990 წლის სამოქალაქო ომში. DCAF-ის მხარდაჭერით, ბოსნიის საერთაშორისო კონვენციის ცენტრმა შემოუშვა რეკომენდაციები ომის ვეტერანების რეინტეგრაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება ამ რეინტეგრაციის პროგრამების გამოცდილებას.

- უსაფრთხოების რეჟიმში: სექტორის რეჟიმში: სამხედრო შტაბების შექმნისა დაგეგმვა და მხარდაჭერა არ იქნება, თუ მას არ მოჰყვება შეიარაღებული ძალების რესტრუქტურის შეთანხმებული პოლიტიკა, რომელსაც ზურგს უმაგრებს ფართო სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები;
- დროის გადახანილება: საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ უშობუსია სამხედროების ადრეული და რადიკალური დათხოვნები, ვიდრე შტაბების გაქაფურებული შექმნა: სხვა შემთხვევაში მაინც რჩება საზოგადოების შემფთხება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარისკაცები შეიძლება აღქმულ იქნენ როგორც რისკები სხვა ქვეყნებისა და მხარეების მიერ;
- ინფორმაცია: სამსახურებიდან დათხოვნის წინ, ჯარისკაცებმა უნდა მიიღონ სარწმუნო ინფორმაცია საკუთარი სარგებლის და კაეტის შესახებ ისევე, როგორც გადაზადების, საქმის ნაშრომების შესაძლებლობების და სასახურის ძებნის სააგენტოების შესახებ;
- ყოველმხრივი ხარჯთაღმავრობა: იმის მაგივრად, რომ ყურადღება გამახვილდეს პოსტ-სამხედრო სარგებლის პაეტზე, ომის ვეტერანთა პოლიტიკის შეფასებაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ფართო სოციალ-ეკონომიკურ ხარჯებზე;
- მოთხოვნაზე ორიენტირებული მიდგომა: განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვეტერანთა გჯუფის ყველაზე მგრძობიარე და გაქირებულ ნაწილს: ინვალიდებს, ქალ ჯარისკაცებს, აგრეთვე მათ კმაყოფაზე მყოფ პირებს, ასევე საყურადღებოა ფსიქიკური მოშლილობების მქონე მოსახლურთა მდგომარეობის გათვალისწინება, მაგალითად პოსტ-ტრავმული მოშლილობა.
- სტაბილური განვითარება: საერთაშორისო დახმარების და პროექტების უპირველესი მიზანია შექმნას სტაბილური ეროვნული სტრუქტურები, რაც უზრუნველყოფს ყოფილი ჯარისკაცების დასაქმებას.

**5. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები**

- ვეტერანთა პოლიტიკის განსახლებისათვის უშთავრსად გასათვალისწინებელია საერთაშორისო სამართალი და შესაბამისი ვალდებულებები, განსაკუთრებით ეუროპის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც შემოუშავებულ იქნა 1975 წელს პელსინისა და 1989 წელს ვენის სამიტებზე;
- ვეტერანების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს: (1) საზოგადოებისა და მთავრობის მიერ ვეტერანების აღიარებას; (2) ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობების ვეტერანთა და სხვა სააგენტოების შროიდან, რომლებიც ზრუნავენ ვეტერანებზე; და (3) ეფექტური ზრუნვის მექანიზმებს, რომელიც ადეკვატურად აკმაყოფილებს ვეტერანთა საჭიროებებს და მოთხოვნილებებს.
- ვეტერანების პოლიტიკისა და ზრუნვის განმახორციელებელმა პირებმა/ორგანიზაციებმა არ უნდა მოახდინონ ვეტერანთა დისკრიმინაცია სქესის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკის ან განსხვავებული შეხედულებების ქონის ნიადაგზე, აგრეთვე ეროვნულობის ან სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობებთან კავშირის, ქონების, დაბადების ან სხვა სტატუსის მიხედვით.
- ყველა ყოფილ მოსახლურს, ვინც ჩართული იყო ომში ან ომთან დაახლოებულ გარემოებებში, უნდა მიეცეთ ვეტერანის ეკვლირაცია.
- ვეტერანებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა განაცხადონ საკუთარი სურვილები, მოთხოვნები და დახვან კითხვები ერთ საკონტაქტო ინსტანციასთან, რათა თავიდან იქნას არიდებული გაუგებრობა და პასუხისმგებლობათა დუბლირება.
- ვეტერანებს, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მგრძობიარე გჯუფს მიეუთვნებიან, მაგალითად, უსახლკარონი და პატიმრები, სჭირდებათ მნიშვნელოვანი მზრუნველობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ოჯახობის ძალდობის და თვისშეკვლიობის ჩადენის რისკებს;
- ვეტერანების სარგებლის პაეტში შეიძლება შევიდეს რეაბილიტაციის პროგრამები; ეხდაცვა და სამედიკალინო დაზღვევა; სამსახურის მოვისის პროგრამა (პროორიტეტული სამუშაო დანიშნულები სამოქალაქო სამსახურებში); ინვალიდობის პრემიები, აგრეთვე სარგებელი სიკვდილის შემთხვევაში; ტრანსაცმლისთვის გამოყოფილი ფულადი დახმარება და ფინანსური რჩევები;
- თავდაცვის სააგენტოებმა კოორდინირება უნდა გაუწიონ ვეტერანთა პოლიტიკას, პირ-ელ რჩეში, ვეტერანთა ორგანიზაციებს ისევე, როგორც სხვა სამინისტროებსა და ადგილობრებს საშთავრობო სამსახურებს. კოორდინაცია მოიცავს შემოშავებას, დანერგვას და ვეტერანთა პოლიტიკის შეფასებას.

<sup>44</sup>იქვე. გვ. 5 და 36.



# ნაწილი VI

## ადამიანის უფლებათა სწავლება

წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც მიზნად ისახავს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საკითხებში განათლებასა და სხვათა უფლებების პატივისცემას სწავლებას. წერთინს მეთოდს უწინშენილოვანესი ადგილი უკავია იმ მხრივ, რომ იგი ეფექტურად აწვდის და ასწავლებს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს პატივი სცენ ადამიანის უფლებებს როგორც მოქალაქეებთან, ისე თვით საშხედრო პერსონალთან ურთიერთობის დროს. შეიარაღებულ ძალებში ტრენინგი ადამიანის უფლებათა საკითხებში, ერთი მხრივ, ამაღლებს სამხედრო პერსონალის ცოდნას სამოქალაქო საკითხებში, მეორე მხრივ კი, აძლევს მათ შესაბამის ინსტრუქტაჟს, თუ როგორ უნდა აიცილონ თავიდან ჯარში ადამიანის უფლებათა დარღვევა. ტრენინგის ჩატარება მიზანშეწონილია როგორც ახალწვეულთათვის, ისე სამხედრო კარიერის შემდგომ საფეხურებზე მყოფი კონტინგენტისათვის. ოფიცრები არიან სამხედრო სისტემის ის ნაწილი, რომლებიც განსაკუთრებულად არიან პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების, როგორც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობის, დაცვაზე. რეკრუტთა და ოფიცერთა სასწავლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა საკითხის ჩართვის აუცილებლობის გარდა, წინამდებარე თავი მიმოიხილავს უფლებათა მნიშვნელობის გაზრდის სხვა სამუალებებსაც, როგორცაა, პროფესიული ცქევის კოდების დამკვიდრება და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა საკითხებში სამხედრო პირთა როლის ხაზგასმამ.

### 1. ადამიანის უფლებათა სწავლების მნიშვნელობა

ტრენინგი ახალწვეულთა, როგორც შეიარაღებული ძალების რიგებში მიღების, ისე შემდგომი მათი წინსვლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ტექნიკური ცოდნისა და სამხედრო უნარჩვევების გამომუშავების გარდა, ადამიანის უფლებათა სწავლება სასარგებლო საშუალებაა მოსამსახურეთა შორის საერთო ფასეულობების, ერთიანი ხედვისა და ღირსების დასამკვიდრებლად.

ტრენინგის მეშვეობით სამხედრო პერსონალს მიენოდება ინფორმაცია ამ სახელმძღვანელო წინა თავებში აღწერილი ადამიანის თითოეული უფლების შესახებ. ის ასევე ზრდის ამ უფლებების დაცვის აუცილებლობის შეგნებას. როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებების ფასეულობების დამკვიდრების გზით სამხედრო მოსამსახურეები უფრო ეფექტურად გაატარებენ ცხოვრებაში უფლებების დაცვის პრაქტიკას.

იმ ქვეყნებში, სადაც შეიარაღებული ძალები ჩართულია საზოგადოებაში მორალის კონფლიქტის თუ რეპრესიულ მოვლენებში, ტრენინგის კურსის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში დემოკრატიული ფასეულობებისა და, საერთაშორისო სამართლის პასუხისმგებლობის გაზრდის საფუძველზე, ახალი მიდგომის შემუშავება.

უფრო მყარ დემოკრატიის ქვეყნებში, ტრენინგი არის დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცების და სამხედრო მოსამსახურის არსისა და როლის საკითხებზე შეიარაღებული ძალების წევრთა აღზრდის ძლიერი საშუალება. შეიარაღებული ძალების დღევანდელი ცვალებადი ფუნქციიდან გამომდინარე, ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამშვიდობო თუ მრავალმხრივი ძალებისათვის.

ახალწვეულთა უკანონო მოპყრობისა და ჩაგვრისგან დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებების საკითხებზე ტრენინგის ადრეულ ეტაპებზე ორგანიზება საგრძნობლად ცვლის რეკრუტთა მცდარ შეხედულებებს მანიკერი ტრადიციებისა და პრაქტიკის შესახებ. დამცირებისა და ჯგუფური უკანონო გამოვლინებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ნაცვლად, უკანონო რიტუალების ასეთ პრაქტიკას უნდა მიეცეს უკუმომართულება და, შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს რეკრუტთა სამოქალაქო შეგნების გაზრდაზე.

ოფიცრებმა ასევე უნდა გაიარონ ტრენინგი შეიარაღებულ ძალებში უმცირესთა ჯგუფებთან მოპყრობის სეციალური ინსტრუქციების შესახებ, მაგალითად, როგორცაა, ეთნიკური უმცირესობების ტრადიციები, (თავი-12, "შეიარაღებულ ძალებში ეთნიკური და ცნობისტური უმცირესობები"). ასეთი სახის ტრენინგის მეშვეობით ოფიცრები გაეცნობიან ამ ჯგუფე-

ბის კონკრეტულ პრობლემებს და იმ საეარაუო ვითარებებს, როდესაც ამ უკუფთა უფლებებ-  
ბის საფრთხის ქვეშ დგება. საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე აღიარებენ ადამიანის უფლებ-  
ბების დაცვის ხელშეწყობის თემაზე განათლებისა და სპეციალური ტრენინგის ჩატარების  
აუცილებლობას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის თანახმად, ასევე,  
რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის მე-7  
მუხლის მიხედვით (იხ. ქვემოთ სქემა 19.1), სექსუალური სტერეოტიპების წყვეტის საკითხზე  
სახელმწიფოს ცენტრალური ვალდებულებაა არმაში მომსახურეებს მისცეს შესაბამისი გა-  
ნათლება და ჩაუტაროს ტრენინგები.

**სქემა 19.1.**

**გაერო-ს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის  
ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ**

**მუხლი მე-7**

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ მიიღონ გადაუდებელი და ეფექტური ზომები,  
კერძოდ, აღზრდის, სწავლების, კულტურის და ინფორმაციის სფეროებში, რომლის მიზანია რასობრივი  
დისკრიმინაციის გამოწვევი ცრუ რწმენებიც კამკვიდროს ურთიერთგაგების ნახაზების, ერებსა და  
რასობრივ ან ეთნიკურ უკუფრებს შორის შეგობობის, მოთმინების ატმოსფერო, კოპულარიაცია  
გაუწიოს გაეროს წესდებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რასობრივი  
დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს წესდებს და ამ კონვენციის მიზნებსა და  
პრინციპებს.

ეთო-მ დაადგინა, რომ "ადამიანის უფლებათა საკითხებთან დაკავშირებით ეფექტური სა-  
განმანათლებლო პროგრამის გატარება ხელს უწყობს შემწყნარებლობის, რელიგიური თუ  
ეთნიკური ცრუ სტერეოტიპების და სიძულვილის, მათ შორის ქსნოფობიისა და ანტი-  
სემიტისმის წყვეტას" (მეიკოი, 1991). ამ მხრივ, ნეერ ქვეყნებს ველებათ ადამიანის უფლებების  
დაცვაზე სტუდენტებისთვის წარადგინონ საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი პრო-  
გრამები, განსაკუთრებით სამართლის, ადმინისტრირებისა და სოციალურ მეციერებათა  
ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე სამხედრო, პოლიციურ და საჯარო სამსახურის  
სკოლების მოსწავლეთათვის. ამ კუთხით საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საგანმანათლე-  
ბლო დაწესებულებებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ, კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

**2. მიდგომები ადამიანის უფლებათა სწავლებისადმი**

ადამიანის უფლებების მნიშვნელობის გასაძლიერებლად უნდა გატარდეს რამდენიმე პრო-  
ცედურა. ეს ქვეთავი მიმოიხილავს სატრენინგო პროგრამებში ადამიანის უფლებათა დაცვის,  
სამხედრო ოფიციალური ფიცის ტექსტში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებუ-  
ლი აზრების გათვალისწინების საკითხებს, ასევე პროფესიული ეთიკის კოდექსს და სამხე-  
დრო კოლეჯების როლს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა სწავლებას  
შეიარაღებულ ძალებში ოფიციალური სტატუსი გააჩნია. ტრენინგის საშუალებით სამხედრო  
მოსამსახურეები ეცნობიან თავიანთ ოურიდიულ უფლებებს და ვალდებულებებს, მათ შორის  
საერთაშორისო კონვენციებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარა-  
ცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, ჟენევისა  
და ჰააგას კონვენციები, ეთო-ს ქვეყის კოდექსი უსაფრთხოების პოლიტიკურ-სამხედრო  
ასპექტებზე (იხ. თავი-4 "ეთო-ს ვალდებულებები") და სხვა. ადამიანის უფლებათა თემაზე  
სამხედროებისათვის ნებისმიერი ტრენინგის ქვაკუთხედს ამ ვალდებულებების გააზრება  
წარმოადგენს. მაგალითად, გერმანიაში წორმატიული ხასიათის მოთხოვნა, რომ სამხედრო  
პერსონალს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ადამიანის უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ  
საერთაშორისო სამართლის მიხედვით მშვიდობიანი თუ საომარი მოქმედებების სპეციფიკის  
გათვალისწინებით. აღნიშნული წარმოადგენს გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მთლიანი  
სამხედრო პერსონალისთვის განკუთვნილი ძირითადი სატრენინგო პროგრამის განუყოფელ  
ნაწილს.

აზერბაიჯანში, თავდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, სამხედრო  
ქვედანაყოფთა პერსონალი ყოველკვირულად იღებს ინსტრუქტაჟს ადამიანის უფლებებისა  
და ფუნდამენტურ თავისუფლებაზე. მომგებიანი იქნებოდა, თუ ასეთ ინსტრუქტაჟს სამო-  
ქალაქო პირები ჩაატარებდნენ, რომელთაც აქვთ ისეთი კონკრეტული გამოცდილება, რასაც

ანალოგი არ მოეცაბა შეიარაღებულ ძალებში. ეს ტრადიცია ხელს შეუწყობდა სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კავშირის გამყარებას. ნიჟელი ჯერის საერთაშორისო კომიტეტი, მაგალითად, მუშაობდა ახორციელებს სატრენინგო პროგრამას უმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებებზე. ადამიანის უფლებათა მრავალფეროვნების მიზნით, აღნიშნულმა თემმა ტრენინგის ძირითადი ნაწილი უნდა შეადგინოს, კერძოდ, მაშინ, როდესაც შეიარაღებულ ძალებში ახალნეულები ფიცის დადების დროს სამხედრო სამსახურის ძირითად მიმართულებებს შეეხებიან. ასეთი სახის ფიცი (კონსტიტუციისადმი და სახელმწიფო დანებებულებისადმი ერთგულების ფიცი) ცხადყოფს, რომ ჯარისკაცის ერთგულება არ არის მიმართული ერთი კონკრეტული ხელმძღვანელის მიმართ, არამედ უზენაეს ნების მიმართ, რაც ეხება, რაც ეხება უზენაესობასა და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას ითვალისწინებს. გარდა იმისა, რომ ეს თემა სტუდენტთა სასწავლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, ადამიანის უფლებების საკითხები ჩართული უნდა იყოს შესაბამის დებულებებსა და სატრენინგო სახელმძღვანელოში.

ადამიანის უფლებების თემაზე ტრენინგი ოფიცერთა წერთის კურსების აუცილებელი პირობა უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ შეიარაღებული ძალები მათ სპეციალური მისიით აღჭურვავენ, კერძოდ, მართონ ქვედანაყოფი. ჩაგერის ნინაალმდე ბრძოლის დროს ოფიცერთა ტრენინგს ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (ასევე იხ. თავი 17, "სამოქალაქო პირობები"). ოფიცერთა სკოლებში სასწავლო პროგრამის ფარგლებში, უფლებამოსილ თუ უფლებამოსილების არმქონე ოფიცერებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი თემაზე ახალნეულთა ჩაგერის, თვითმბურთი ან უკანონო პრაქტიკის შესახებ, მაგალითად, უკანონო ქმედებების ამოცნობის, ძალადობის, ჩაგერის ნებისმიერი გამოვლინების გამოძიებაზე და იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გატარდეს მკაცრად და თანამიმდევრულად დისციპლინური დასჯის ზომები იქ, სადაც ეს დასჯა გარდაუვალია.

### 3. ქვეყნისა და ეთიკის პროფესიული კოდექსი

მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი რეგულირება და შესაბამისი იურიდიული ნორმები ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიაა, ქვეყნის პროფესიულმა კოდექსმა შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, თუ იგი შეიარაღებულ ძალებში სამსახურის პროფესიულ ფასეულობად იქნება აღიარებული. ასეთი პროფესიული ეთიკის სისტემის ყველაზე გავრცელებული მაგალითია გერმანული პროგრამა *Innere Führung* (სამოქალაქო განათლება და მართვა შორალური პრინციპებით), რომელიც ბუნდესჯერში დაინერგა როგორც გერმანიის ომის-შემდგომი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.

პროგრამა *Innere Führung*, ერთი მხრივ, შეიარაღებული ძალების შიდა სტრუქტურას სთავაზობს ძირითად სამოქმედო ორიენტაციებს, მეორე მხრივ კი, მათ დანერგვას სახელმწიფოსა და საზოგადოებაში. ორიენტაციები სამხედრო მოსამსახურეებს ეხმარება როგორც მოქალაქეთა, თავისუფლებისა და ინდივიდუალური უფლებების, ასევე, მათი სამხედრო ვალდებულებების მოთხოვნების დაცვაში, მათ შორის, კონფლიქტებისა თუ დაძაბულობების მინიმალურად განმუხტვაში. აქ მთავარი ასპექტი არის ის, რომ ზემდგომ ოფიცერთა, როგორც ხელმძღვანელთა, ქვევა გააგრძელებული უნდა იყოს ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემით.

#### სქმა 19.2.

#### გერმანიის შეიარაღებულ ძალებში სამოქალაქო განათლება და მართვა: პრინციპები *Innere Führung*<sup>45</sup>

*Innere Führung* ითვალისწინებს შემდეგ მიზნებს:

- შეიარაღებული ძალებში მოსამსახურეთა ინფორმირება იურიდიული და პოლიტიკური ბაზის ისევე, როგორც მათი სამხედრო მისიისა და მიზნების მნიშვნელობის შესახებ;
- შეიარაღებული ძალების და მისი მოსამსახურეების სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მეტი გამჭვირვალობა და ჯარის მისიის გათვითცნობიერება;
- სამხედრო მოსამსახურეებში ევალდებულებების კეთილინდობიერად შესრულებისათვის სტიმულის გაღვივება;
- შეიარაღებული ძალების შიდა სტრუქტურის ადამიანის ღირსების პატივისცემასა და ძალების მისიის შესრულებაზე დამყარების უზრუნველყოფა.
- ყოველდღიურ სამხედრო ცხოვრებაში *Innere Führung*-ის პრინციპების მიზნები და ფაქტიური არსი განერილია რაც კანონებსა და ბრძანებებში, ასევე დებულებებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

<sup>45</sup> იხილეთ გერმანიის ფედერალური პარლამენტის ვებგვერდი: [www.bundestag.de](http://www.bundestag.de).

პროფესიული სამხედრო ფანელოების გარკვეული სახით თავმოყრა, როგორც არის ქვეყნის კოდექსი, შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ნერთის მიზნების უზრუნველსაყოფად. მან ასევე შეიძლება შეასრულოს მითითების როლი, მაგალითად, საეარაუდო უკანონო ქვეყნის გამოძიების დროს. სექსში 19.3 მოცემულია კოდექსთან სამი ასეთი ნაწილი: ფრანგი ჯარისკაცის კოდექსი, ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების პერსონალის ქვეყნის კოდექსი და კანადის შეიარაღებული ძალების ქვეყნის კოდექსი. აღნიშნული კოდექსების მთავარი არის არის ტოლერანტობა, თანაფარდობა და ნეიტრალობა. რამდენიმე ქვეყანამ განავითარა სამხედრო სტრუქტურაში სპეციფიური ჯგუფების ქვეყნის კოდექსი, მაგალითად, კანადაში სამხედრო პოლიციელებისა და კურსანტებისათვის.<sup>476</sup>

### სქემა 19.3

#### ადამიანის უფლებები და ქვეყნის კოდექსი: შერჩეული ქვეყნები (ამონარიდები)<sup>477</sup>

<p>ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების ქვეყნის კოდექსი</p>	<p>6. მე პატივს ვცემ ადამიანის უფლებებს და ვიცავ ომის სამართლით განსაზღვრულ ნებსებს. ყველას ერთნაირად და პატივისცემით ვუპყრობი და, შენულებს დაგვარად, ვესმარები გაჭირვებაში მყოფ ჩემს თანამებრძოლებს.</p> <p>7. ჩემზე დაეკისრებულ ვალდებულებებს ვასრულებ პროფესიონალურად, რთულ ვითარებებშიც კი, და მაშინაც, როდესაც ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ებუქრება.</p> <p>8. არასოდეს გადაეამეტებ ჩემს უფლებამოსილებას. ბრძანების შემთხვევაში გამოიყენებ ჩემს ძალას, მაგრამ არასოდეს გადაეამეტებ იმ ძალას, რაც საჭიროა დაეალების შესასრულებლად. არც ერთ ჩემს მონინაალმდეგეს, არ ეპარება ეჭვი ჩემს სიმტკიცესა და თანამებრძოლობაში.</p>
<p>ფრანგი ჯარისკაცის კოდექსი</p>	<p>1) ჯარისკაცები არიან საფრანგეთის არმიის ერთგულები, რაც ვლინდება ყოველთვის და ყველაფერში, რასაც აკეთებენ;</p> <p>2) ჯარისკაცები აკონტროლებენ ძალის გამოყენებას, პატივს სცემენ მონინაალმდეგეს და არასოდეს არაფერს უმავებენ სამოქალაქო მოსახლეობას;</p> <p>4) ჯარისკაცები ექვემდებარებიან ნებსებს, კანონის, ტრადიციისა და ომის სამართლის პირობების თანახმად; ...</p> <p>8) ჯარისკაცები ყურადღებით არიან სვგათა საქირობების მიმართ და სირთულეების გადალახვისადმი, რათა დაიცვან თავისი ქვედანაყოფის ერთსულელება და ქმედითუნარიანობა;</p> <p>9) ჯარისკაცები არიან გახსნილები სხვა საზოგადოებების მიმართ და პატივს სცემენ მრავალფეროვნებას;</p> <p>10) ჯარისკაცები ფრთხილად ეკიდებიან ფილოსოფიური, პოლიტიკური თუ რელიგიური აზრების გამოხატვას, რათა არ დაზარალდეს არმიის ნეიტრალობა;</p> <p>11) თავისი მისიით ამაყი ჯარისკაცები ითვლებიან თავიანთი ლეგიონის, ტერიტორიული ჯარისა და საფრანგეთის ელვებად.</p>
<p>კანადის არმიის ქვეყნის კოდექსი</p>	<p>იბრძოლდ მხოლოდ სამხედრო ძალისა და ობექტების ნინაალმდეგ; მისიის შესრულებისას გამოიყენე მხოლოდ აუცილებელი ძალა, რაც არ გამოინვეს დამატებით, გადაჭარბებულ სამოქალაქო ზიანს; მოუყარო ყოველ მოქალაქეს ჰუმანურად და პატივი ეცი სამოქალაქო საკუთრებას;</p> <p>არ დეესხა მას, ვინც ჩაგბარდება ნებით. განაიარაღე და დაკაე ისინი; მოუყარო ყველა დაკაებულ პირს ჰუმანურად შენევის მე-3 კონვენციის სტანდარტის თანახმად. აკრძალულია ნებისმიერი კანონის დარღვევა, მათ შორის ნაშება; ...</p> <p>9. პატივი ეცი კულტურულ ნიმუშებს (მუზეუმები, ძეგლები და ა.შ.) და რელიგიური აღმსარებლობის ადგილებს; ...</p> <p>11. მოახსენე და მიიღე შესაბამისი ზომები კანონმდებლობისა და ამ ნებსების დარღვევის ფაქტის შესახებ. შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ კანონისადმი არდამორჩლება ითვლება დანაშაულად.</p>

<sup>476</sup> იხ. <http://oia.justice.gc.ca/en/N-5/SOR-2000-14/index.html> და <http://www.central.cadets.forces.gc.ca/rnsc/J-cadets.pdf>  
<sup>477</sup> ნიდერლანდების პარლამენტში თავდაცვის მინისტრის მოადგილისათვის ნერილი, 7 ნოემბერი 1996 (არაოფიციალური ოარგზანი); ფრანგი ჯარისკაცის კოდექსითილ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ენგელერი [http://www.defense.gouv.fr/terra/youut/se/popup/content/download/46406/461207/file/code\\_du\\_soldat\\_code\\_du\\_soi-dai.pdf](http://www.defense.gouv.fr/terra/youut/se/popup/content/download/46406/461207/file/code_du_soldat_code_du_soi-dai.pdf); [kanadis.SeiarsRebul.ZalebSi mcsmaaxure.pirebis.kodeqal,samxედო.sakhiTxeBSi samTavრობo.konsultantის.ოფიი.Report-B-GG-00T-027/AF-023](http://www.kanadis.SeiarsRebul.ZalebSi mcsmaaxure.pirebis.kodeqal,samxედო.sakhiTxeBSi samTavრობo.konsultantის.ოფიი.Report-B-GG-00T-027/AF-023).

#### 4. სამხედრო კოლეჯები: ადამიანის უფლებათა სწავლების ინტეგრირება

სამხედრო კოლეჯებში წვრთნის პროგრამაში ადამიანის უფლებების საკითხის ჩართვის რამდენიმე გზა არსებობს. გასათვალისწინებელია შემდეგი პირობები:

- სამხედრო კოლეჯებში ოფიციალური პროგრამის შემუშავება, ადამიანის უფლებების საკითხისადმი ყურადღებისა და ამ საგანში სასწავლო საათების გაზრდისა და შეფასების გათვალისწინებით;

სამხედრო წვრთნაში მთავარ სასწავლო მიზანს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის უფლებების საკითხის ცოდნის შეფასება;

შეიარაღებული ძალების ვერც ერთმა წევრმა ვერ უნდა შეძლოს საწყისი წვრთნის გავლა ადამიანის უფლებების ბაზური ცოდნის მიღების გარეშე;

აუცილებელია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ასპექტების ჩართვა ოფიცრის წვრთნის ყველა შემდგომ პროგრამაში;

მიზანშეწონილია სამხედრო კოლეჯებში ადამიანის უფლებების სპეციალისტების მოწვევა, ხოლო არსებული შტატის, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ადამიანის უფლებების სხვა სპეციალიზირებულ ორგანიზაციებში მივლინება;

რეკომენდირებულია შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სტიპენდიებისა და პრიზების დანესება.

ნებისმიერ ერთ სამხედრო კოლეჯში შეიძლება შეიქმნას ადამიანის უფლებების საკითხთან დაკავშირებული შეფასების ცენტრი, რათა სიახლეებისა და წინსვლების შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს სხვა კოლეჯებშიც. მაგალითად, ირლანდიაში აპარატის უფროსის მიერ დაარსდა გაერო-ს წვრთნის სკოლა ირლანდია, როგორც ხელმძღვანელი და ადამიანის უფლებებში შეფასების ცენტრი. გერმანიაში შიდა ხელმძღვანელობის ცენტრი იურიდიულ საკითხთა მრჩეველებს, სამართლის პედაგოგებსა და შტატის ოფიცრებს სთავაზობს საერთაშორისო სამართალზე, განსაკუთრებით საერთაშორისო კუმიანიტარულ სამართალზე სხვადასხვა კურსებსა და სემინარებს. აღნიშნული კურსების მიზანია შეიარაღებულ ძალებში საერთაშორისო კუმიანიტარული სამართლის შესახებ ცოდნის ამაღლება და მისი, როგორც სამხედრო ოპერაციების განუყოფელი ნაწილის, მნიშვნელობის გაზრდა.

#### 5. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

- სამხედრო წვრთნის თავდაპირველ პროგრამებში უნდა გათვალისწინებული იყოს ადამიანის უფლებების საკითხთა სწავლება. შეიარაღებულ ძალთა წევრები ვერ უნდა გადავიდნენ წვრთნის ახალ ეტაპზე ამ პრინციპების ცოდნის გარეშე;

ოფიცრის კურსების პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტრენინგებს, განსაკუთრებით უკანონო მოპყრობისა და დაშინების ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლისა და შეიარაღებულ ძალებში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა განსაკუთრებული საჭიროებების აღიარების მიზნით;

ადამიანის უფლებებში ტრენინგის ჩასატარებლად შეიარაღებულმა ძალებმა უნდა გამოიყენონ სამოქალაქო ექსპერტთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება;

სადაც ქვეყნის კოდექსის პრაქტიკა არ არსებობს, ყურადღება უნდა მიექცეს იმ კოდექსების შემოღებას, რომლებიც შეიარაღებული ძალების წევრთა პასუხისმგებლობას მიმოხილავს ფარისკაცების უფლებების დაცვის კუთხით;

სამხედრო კოლეჯების მუშაობასა და დაკომპლექტებაში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ადამიანის უფლებების უპირატესობა;

შეიარაღებულ ძალებში ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმირების გაზრდისათვის უნდა დაარსდეს ე.წ. შეფასების ცენტრები.



# სამხედრო მეთაურთა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

სამხედრო სისტემაში ხელმძღვანელობის, ბრძანებების გაცემის ძალაუფლება და დამორჩილების — სუბორდინაციის მოვალეობა ცენტრალური მნიშვნელობისაა. ნინამდებარე თავი მიმოიხილავს მშვიდობიანობის პერიოდში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებების დასაცავად პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის სტრუქტურისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ასპექტებს. ისევე, როგორც სხვა თავებში, სამშვიდობო ოპერაციებსა და სხვა სამსახურეობრივი მიზნებით სამხედროთა საზოგადოებას დასლოცობის შემთხვევებს ნინამდებარე თავში არ შევხებით. შკითხვისთვის ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა უმეტესობა ერთდროულად არის ზემდგომი პირიც და დაქვემდებარებულიც, გარდა მათი, ვისაც უმაღლესი ან უმაღლესი სამხედრო ნოდებები აქვთ.

სამხედრო ხელმძღვანელები გადამწყვეტ როლს ასრულებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღების სამხედრო, საზოგადოებრივ და მორალურ ასპექტებში. ერთ-ერთი სამხედრო მეთაურის სიტყვებით, "შეიარაღებული ძალების მთავარი სამოქმედო ბრძანება-დავალებაა შეინარჩუნო გუნდის ერთიანობა, ურთიერთნდობა და ლოიალური დამოკიდებულება სამხედრო ხელმძღვანელობასა და მათზე დაქვემდებარებულ პირებს შორის. ეს ნაწილობრივ უფრო მკაცრი ღირებულებებისა და სტანდარტების ჩამოყალიბების საჭიროებას, ვიდრე ამას ფართო საზოგადოება მოითხოვს."<sup>478</sup> სამხედრო მეთაურები ოპერატიული ეფექტურობის მისაღწევად, როგორც მათი უშუალო პასუხისმგებლობა, ხელმძღვანელობენ გუნდური ურთიერთობის პრინციპებით, რათა უზრუნველყონ ქვედანაყოფებში ურთიერთნდობისა და ურთიერთსატივისცემის ატმოსფერო ერთიანი გუნდური სულისკეთების შენარჩუნებისთვის. იმისათვის, რომ შეიარაღებული ძალები თავის საზოგადოებას წარმატებით ემსახურებოდეს, მის რეგებთ ადგილს არ უნდა აქონდეს უხეშ და არასწორ მოპყრობებსა და დამოკიდებულებებს, კანონდარღვევებს, ჩაგვრა-დისკრიმინაციას, დევნა-შევიწროებას თუ მოუღებელი ქცევები სხვა გამოვლინებებს ან ადამიანთა უფლებების დარღვევას. ოფიცერთა და სერვანტთა შევადგენლობის სამხედრო ხელმძღვანელები ყაზარმებში უნდა განიხილონ ინტერგოპერატიული არასწორი მოპყრობებისა და ჩაგვრისაგან დამცავი პირველი რიგის ინსტანცია. ხელმძღვანელისა და ლიდერის როლი წამყვანი და გადამწყვეტი ყაზარმები ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში. ამ კონტექსტში სამხედრო მეთაურებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დამაჯერებლად და აქტიურად იმოქმედონ სამხედრო მოსამსახურეებს შორის ურთიერთნდობისა და ურთიერთსატივისცემის ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში და მოვალენი არიან ყველანაირ ზომას მიმართონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ქვემდგომი პირების მიერ ან მიმართ უკანონო ქმედებების ჩადენა.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ უკანონო ქმედებების ჩადენის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ეკისრებათ შესაბამისი პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე მაშინაც კი, თუ ისინი მოქმედებენ თავიანთი ზემდგომი პირების მიერ გაცემული ბრძანებების საფუძველზე. პასუხისმგებლობისადმი ასეთ მიდგომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაუსჯელობის თავიდან აცილების თვალსაზრისით და როგორც ჯარისკაცებს, ასევე სერვანტთა შემადგენლობასა და ოფიცრებს თანხარად უსაბოთს შესაძლებლობის თავი აარიონ პასუხისმგებლობას თავიანთი ზემდგომი პირების მიერ გაცემული ბრძანებების შესრულების საბაზს ამოფარებით. ეს გეგმლევს იმის გარანტიას, რომ ის სამხედრო პერსონალი, რომელიც ასრულებს უკანონოდ გაცემულ ბრძანებებს ან სრადის არ-აკანონიერ ქმედებას საკუთარი ინიციატივით, ინდივიდუალურად აგებს პასუხს შესაბამისი დანაშაულებრივი თუ არასწორი ქმედებისათვის.

## 1. პრობლემატური საკითხები

ყაზარმებში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა უფლებების დამცავი წესებისა და კანონების პრაქტიკულ დონეზე არსებობას და ეფექტური საშუალებების ხელმისაწვდომობას ნებისმიერი ძალადობის წინააღმდეგ. თუმცა სათანადო მარეგულირებელი ჩარჩოების არსებობა საკმარისი არ არის ყოველდღიურ სამხედრო ყოფაში ამ უფლებებისადმი პატივისცემის მისაღწევად. ინდივიდებს შეუძლიათ თავიანთი უფლებებისადმი პატივისცემის უზრუნ-

<sup>478</sup> ბრიტანეთის არმია, "ბრიტანეთის არმიის ღირებულებები და სტანდარტები: სამხედრო ხელმძღვანელობის გამოცემა", მარტი, 2000 წელი, შეიარაღებული ძალების ებ-გვერდზე: [http://www.army.mod.uk/serving/soilder/userfiles/infolines/genera/values/ess\\_hpres\\_values\\_comd\\_w.html](http://www.army.mod.uk/serving/soilder/userfiles/infolines/genera/values/ess_hpres_values_comd_w.html).

ველსაყოფად, განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში, დახმარების თხოვნით სამხედრო ან სამოქალაქო სასამართლოებს მიმართონ. თუმცა სამხედრო ან სამოქალაქო სასამართლო ან შემთხვევაში წარმოდგენს დახმარების თხოვნით მიმართვის უკანასკნელ ინსტანციას. სამხედრო ხელმძღვანელები უშუაღეს შემთხვევაში უდიდეს როლს თამაშობენ სამხედრო მოსამსახურეთა შორის ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფის საქმეში. სამხედრო მოსამსახურეებს შორის ერთმანეთზე დამოკიდებულების მქონე ატმოსფეროს შექმნით, მაგალითად, პასუხისმგებლობათა თავიანთ ქვემდგომ პირებზე გადაწანინებით, ხელი ეწყობა ყაზრმებში დისციპლინის დამყარებას. გარდა ამისა, როდესაც ადგილი აქვს სამხედრო ყოფისათვის დამახასიათებელ დევნა-შეურაცხყოფას, სამხედრო ხელმძღვანელების, უპირატესად ყოფისა, ასეთი პრობლემების მოგვარების პასუხისმგებლობა ეკისრებათ და უფლებამოსილიც არიან გამოიყენონ სანქციები შესაბამის სამართალდამრღვევთა მიმართ.<sup>479</sup> სქმა 20.1 გვიჩვენებს სამხედრო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობათა ფართო სპექტრს სერვისის შეიარაღებულ ძალებში. ეს მაგალითი ნახს უსკანს იმას, რომ სამხედრო მეთაურთა ზრუნვა მათი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი პირების ადამიანის უფლებათა დაცვაზე გატეხულ უნდა იქნეს ამ მოვალეობების უფრო ფართო კონტექსტში.

იმ უზარმაზარი როლის გათვალისწინებით, რომელიც სამხედრო მეთაურებს სამხედრო მოსამსახურეთა შორის ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფის საქმეში ეკისრებათ, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ოფიცრებისა და სერჟანტთა კორპუსებისათვის ადეკვატური ტრენინგებისა და სწავლებების ჩატარება-უზრუნველყოფისა. ამ თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული უნდა იყოს სამხედრო ხელმძღვანელობისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობების მკვეთრად განსაზღვრული ჩარჩო-მონახაზი. ოფიცრებსა და სერჟანტთა კორპუსებს ტრენინგები და სწავლებები უნდა უტარდებოდეთ არა მხოლოდ ლიდერობის წარმართში, არამედ სამხედრო სამართალში, ადამიანის უფლებათა დაცვაში და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალშიც. ეს ტრენინგები და სწავლებები ოფიცრებსა და სერჟანტთა კორპუსის წარმომადგენლებს ძირეულ ცოდნას უნდა აძლევდეს სამართლის სფეროში, რომ ისინი სამავალითონი იყვნენ მოზადებული თავიანთი ქვედანაყოფების სწორად მართვისთვის. შესაბამის ტრენინგებსა და სწავლებებთან ერთად უნდა არსებობდეს ხელმძღვანელობისა და სუბორდინაციის ფექტიური სტრუქტურა. სამხედრო მეთაურების მიერ პასუხისმგებლობათა თავიანთ ქვემდგომ პირებზე უნდა იქნეს დაცვა და სათანადოდ გადაწანინება ურთიერთდამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნასა და, შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებში ჩაგვრა-არასწორი მოპყრობის შემთხვევათა შემცირებას ინეცეს.

**სქმა 20.1**

**რუსეთის ფედერაცია: სამხედრო მეთაურების პასუხისმგებლობათა სპექტრი**<sup>480</sup>

სამხედრო მეთაურები ... როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს ერთადერთი პასუხისმგებელი პირები არიან მუდმივ საბრძოლო და მომილიზაციისათვის მზადყოფნაზე, საბრძოლო დაეკადრების წარმატებით შესრულებაზე, სამხედრო დისციპლინაზე, კანონის დაცვასა და წესრიგზე, სამხედრო პერსონალის მორალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, სამხედრო სამსახურის უსაფრთხოებაზე, სამხედრო აღჭურვილობისა და მარაგის დაცვასა და მდგომარეობაზე, ყოველდღიური ფინანსური და ტექნიკური საკითხების მოგვარებასა და სამედიცინო მომსახურებაზე.

**მშვიდობიანობისა და სამარირ მდგომარეობის საკითხთა შედარება**

ის პრინციპი, რომ სამხედრო მეთაურები პასუხისმგებელი არიან მშვიდობიანობის დროს მათი ქვემდგომი პირების მიერ მოქმედებებზე და სამხედრო წოდებათა შორის დისციპლინის შენარჩუნებაზე, უნდა გავარკვიეთ ე.წ. სამხედრო მეთაურების პასუხისმგებლობის დოქტრინის მიხედვით.<sup>481</sup> ეს უკანასკნელი ომის დროს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიერ სამოქალაქო პირთა და მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მოსამსახურების მიმართ ჩადენილი ომის სამართლის დარღვევებთან მიმართებაში გამოიყენება. აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, სამხედრო მეთაურებს შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა მათი ქვემდგომი პირების მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის, თუკი მათ იცოდნენ ან შეიძლებოდა ცოდნოდეთ, რომ

<sup>479</sup> საჯაროო სანქციის ტიპი (აღმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის) დამოკიდებულია ერთგულ კანონმდებლობაზე და შესაბამისად ხდებასხვა ქვეყანაში განსჯადებულია.  
<sup>480</sup> 1998 წლის 27 მარტის ფედერული კანონი No. 76-FZ "სამხედრო პერსონალის სტატუსის შესახებ", თავი 27.2.  
<sup>481</sup> დოქტრინა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაზე ჩამოყალიბებულ იქნა პაპაივი IV (1907) და X (1907) კონვენციების მიერ და პირველად გამოყენებულ იქნა გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ ლაიპციგში (1909) მოცული ომის შემდეგ მთელი მთელის განამართლების დროს. ეს დოქტრინა (ს მოთული ომის შემდეგ განხორციელებულ იქნა საერთაშორისო სამხედრო ტრიალებების მიერ და მისი შეზღუდული დახვეწა მოხდა როგორც საერთაშორისო, ასევე საერთაშორისო იურისპრუდენციის სპეციალური, განსაკუთრებით იამპიტას საქმეში (ს მოთული ომის შემდეგ, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: [http://cases.elaw.com/criptes/elsecase\\_pi?cour=US&vol=327&invol=1](http://cases.elaw.com/criptes/elsecase_pi?cour=US&vol=327&invol=1)). 1977 წლისათვის, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის დოქტრინა მიღებულ იქნა, როგორც რიგითი საერთაშორისო კანონი და მოხდა მისი სისტემატიზირება ყენუის კონვენციების დამატებით №1 კომში. მისი, როგორც ჩვეულებრივი კანონის, სტატუსი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ნაოლად ახასიათებს უყოფილი ოგონდაციის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუსის<sup>7.3</sup> თავში, "რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუსის" 6.3 თავში და "რომის საერთაშორისო კომისიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სტატუსის" 7.3 თავში.

მათი ქვემდგომი პირები მონაწილეობას იღებდნენ დანაშაულებრივ ქმედებაში და ვერ მოახერხეს ასეთი ქმედების დასჯა ან თავიდან აცილება. შეიარაღებული ძალების უშთაურესი მიზანია მოქმედებათა ეფექტურობა. ამ მიზნის განსახორციელებლად შეიარაღებული ძალები მიმართავენ პრინციპს "ნერთან ბრძოლაში გაიარე", რაც გულისხმობს იმას, რომ სამხედროები წინააღმდეგობას და კრიზისული სიტუაციების იდენტურ პირობებში გადაიან. სამხედრო მეთაურებს ევლემათ თავიანთი შენაერთების ომისა და კონფლიქტური სიტუაციებისათვის მოამზადონ, რისთვისაც, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეების საბრძოლო მზადყოფნის მისაღწევად, უარჩაივ სიძნელის გადალახვა და გადატანა უხდებათ. ექსტრემულ სიტუაციებში, კოლექტიური ინტერესებისათვის, სამხედრო მოსამსახურეებს შეიძლება სიცოცხლის განირვაც კი მოუწიოთ. საომარი მოქმედებების მსგავს სიტუაციებში ნერთან შეიძლება სამხედრო მოსამსახურეების ადამიანის უფლებათა დარღვევა გამოიწვიოს, რაც წინაშეა კანონიერი და არაკანონიერი მეთოდებს შორის განსხვავების დადგენის აუცილებლობას წარმოშობს.

სამხედრო ხელმძღვანელობის ეფექტურ სტრუქტურასთან ერთად, ადამიანის უფლებათა პატივისცემის დაცვაში კრიტიკულ როლს თამაშობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის უზრუნველყოფა პასუხისმგებლობის მქონე პირის ინდივიდუალური ქცევის ნახალისებითა და ხელშეწყობით. მართლაც, ეს შეიარაღებული ძალების თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს ადამიანის უფლებათა სტანდარტების დაცვით მოქმედება ავალდებულებს, მიუხედავად იმისა, თუ რა ბრძანება აქვთ მათ მიღებული. იგი ასევე ხელს უწყობს პასუხისმგებლობის ბალანსირებულ გადანიშნვას სამხედრო მეთაურებსა და ქვემდგომ პირებს შორის უფლებათა დარღვევის დროს. ადვილი არ არის შევინაოდედგო მეთაურს და არ შეასრულო არაკანონიერი ბრძანება, რამდენადაც ზემდგომი პირები ბევრად უფრო მეტი უფლებებით არიან აღჭურვილი, ვიდრე მათზე დაქვემდებარებული პირები; სამხედრო მეთაურს მისი ნოღება და თანამდებობა დიდ ძალაუფლებას ანიჭებს. ვაკრეცლებულია წარმოდგენა, თითქოს ბრძანების შესრულების ვალდებულების მოტივით შესაძლებელია უკანონო ქმედების გამართლება. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება შეიარაღებულ ძალებში ინდივიდუალური გამბედაობის გამოვლინებასაც გულისხმობს.

## 2. სამხედრო მეთაურთა პასუხისმგებლობა

მათზე დაქვემდებარებულ პირებს შორის სწორი და მართებული ქცევის ღირებულებებისა და სტანდარტების დანერგვა და შენარჩუნება სამხედრო მეთაურების უშთაურესი პასუხისმგებლობაა. ტოპური სამხედრო ღირებულებები ღირსებას, ერთიანობას, გამბედაობას, ლოიალობასა და დისციპლინას გულისხმობს (იხ. სქემა 20.2). სამხედრო მეთაურებს აქვთ სრული ბრძანებები და, შესაბამისად, მათი შესრულება, სრულად შეესატყვისებოდეს კანონმდებლობას; ისეთი ცხოვრებისა და საშუაო პირობების უზრუნველყოფას, რომლებიც ადვილი არ ექნება ჩაგვრას, დევნა-შევიწროებას, არაკანონიერ დისკრიმინაციას და დამინებას; ასევე სამხედრო მოსამსახურეებისადმი გამოვლენილი აგრესიული შევიწროებისა და ჩაგვრის, არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებას და ასეთი შემთხვევების დასჯას; ადეკატური ცხოვრებისა და საშუაო პირობების უზრუნველყოფას ისევე, როგორც არასათანადო თუ არასწორი ქცევის, მათ შორის ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების აღკვეთასა და აკრძალვას. ყველა ამ საკითხში სამხედრო მეთაურებს ექვსებით პასუხისმგებლობა მათ მიერ გაკეთებულ ბრძანებებზე. ისინი ასევე პასუხისმგებელი არიან მათზე დაქვემდებარებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე მაშინაც კი, თუ გაკეთული ბრძანებები პირად უნარ გულისხმობს ან არ მოიცავს არაკანონიერი ქმედების ჩადენას, თუკი მათ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ ამ არაკანონიერი ქმედებების შესახებ და ვერ მოახერხებდნენ მათი განხორციელების თავიდან აცილებას.

### სქემა 20.2

**დიდი ბრიტანეთი: სამხედრო მეთაურების როლი სწორი და სათანადო ქცევის ღირებულებებისა და სტანდარტების დაცვის საქმეში**<sup>42</sup>

"32. არმიის სწორი და მართებული ქცევის ღირებულებებისა და სტანდარტების დანერგვა და შენარჩუნება ყველა დონის სამხედრო მეთაურების უშთაურესი პასუხისმგებლობაა. პირველ საკითხთან დაკავშირებით, ის ინსტრუქტივის ერთზე მეტ პერიოდს, მაგრამ განმეორებით სწავლებებს მოითხოვს. ... ის ასევე მოითხოვს სამხედრო მეთაურებისაგან თავიანთ ყოველდღიურ ტრენინგებისა და სწავლების პროგრამაში შეიტანვას და პერიორიტეტი მიანიჭოს მორალური შეგნების სწავლებას, რომლებიც საფუძველს უმაგრებს და შეესატყვისება ამ ღირებულებებსა და სტანდარტებს. ...

<sup>42</sup> "ბრიტანეთის არმიის ღირებულებები და სტანდარტები: სამხედრო ხელმძღვანელობის გამოცემა", მარტი, 2000 წელი, შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდი: [http://www.army.mod.uk/serving/soldier/usefulinfo/valuesgeneral/values/es\\_hrpara\\_values\\_comd\\_w.html](http://www.army.mod.uk/serving/soldier/usefulinfo/valuesgeneral/values/es_hrpara_values_comd_w.html).

"34. იმ ინდივიდების მიმართ, რომლებიც ვერ მოახერხებენ ამ დოკუმენტში მოცემული ქცევის სტანდარტების გათავისება-ათვისებას, შეიძლება გატარებულ იქნეს დისციპლინარული ან ადმინისტრაციული სანქციები. ... იმის შეფასებისას, თუ რამდენად საჭიროა ზომების მიღება, სამხედრო მეთაურებმა უნდა გაითვალისწინონ მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც "არმიის ზოგად და ადმინისტრაციულ ინსტრუქციებშია ჩამოყალიბებული". ეს განსაზღვრავს არასწორი ქმედების სერიოზულობასა და ქმედით ეფექტურობაზე მის გაელენას, და შესაბამისი სანქციების ზომა ამის მიხედვით უნდა იყოს განსაზღვრული. ... არასწორი ქმედების განსაკუთრებული სერიოზულობის შემთხვევაში შესაძლოა მართებული იყოს პირდაპირ დისციპლინური ან ადმინისტრაციული ზომების გატარება. ასეთი ზომები შეიძლება გულისხმობდეს ფორმალურ გაფრთხილებას, ოფიციალურ გაკიცხვას ან დისციპლინური სანქციის დაკისრებასაც. განსაკუთრებით სერიოზულ შემთხვევებში ან, რაიმესაც ადვილი აქვს ინდივიდის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების განმეორება ან გააზნია ჩადენილი არასწორი ქმედებების ისტორია, შეიძლება გატარებულ იქნეს დისციპლინური ან ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც შესაძლოა პიროვნების სამსახურიდან განთავისუფლებაც მოჰყვეს. ..."

სამხედრო მეთაურების როლი ყაზარმებში ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში დამოკიდებულია სამხედრო მეთაურის მართვის ფორმასა და ხასიათზე. ზოგადად თუ განვიხილავთ, შეიძლება გამოვარჩიოთ ხელმძღვანელობის ისეთი სტილი, რომელიც შიშსა და უნდობლობაზეა დამყარებული, და ისეთი, რომელიც ხაზს უსვამს სამხედრო მეთაურების როლს ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე დამყარებული გარემოს შექმნაში. პირველი მიდგომის მიხედვით, სამხედრო მეთაურების მთავარი ამოცანაა აიძულონ მათზე დაქვემდებარებულ პირებს პატივი სცენ ხელმძღვანელობას მათი ქმედებების მეთვალყურეობისა და მათთვის მკაცრი სადამსჯელო ზომების დანესებით, ნესებისა თუ დისციპლინური დარღვევის ყველა შემთხვევაში. ამ დამოკიდებულების გატარებით ყალიბდება ხელმძღვანელობის სტილი, რომელიც შიშსა და დასჯის მუქარაზეა დამყარებული.

მეორე მიდგომა ხაზს უსვამს სამხედრო მეთაურის მორალური ხელმძღვანელობის, წინამძღოლობის როლს, როგორც ყაზარმებში დისციპლინის შენარჩუნების უფრო ეფექტურ და ურთიერთნდობაზე დამყარებული გარემოს შექმნის საშუალებას. ამ მიდგომის მიხედვით, ოფიცრებისა და სერჟანტთა უნდადგენილობის დამოკიდებულება თავიანთი ზემდგომი მეთაურების მიმართ განსაკუთრებული დატვირთვის მქონეა სამხედრო მოსამსახურეებში ადამიანის უფლებათა პატივისცემის გარეშე შექმნა-დამკვიდრებაში. მიიჩნევა, რომ ყოველდღიური ტრენინგი და მსუბუქი დისციპლინური სანქციების გატარება დისციპლინის დარღვევა-გათავისებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების შემთხვევათა შემცირებისათვის ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე უხეში მეთოდები. ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობაზე დამყარებული სამხედრო ხელმძღვანელობა, შიშსა და მუქარაზე დამყარებული ხელმძღვანელობის სტილისაგან განსხვავებით, გამართულად მოქმედი არმიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველია.

აღნიშნული მიდგომის მნიშვნელოვანი მაგალითი შეგვიძლია აღმოვაჩინოთ გერმანიის *Innere Führung*-ის ცნებაში, რომლის თანახმად, როგორც ხელმძღვანელთა, ასევე დაქვემდებარებულ პირთა ქცევა შეიძლება ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპით ნარიმაროოს (იხ. თავი 19 "ადამიანის უფლებათა აღზრდა"). ზემდგომ პირთა მოვალეობები ნაწილობრივ განხილულია შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ ზოგად კანონებში; ამ მოვალეობების შემდგომი დაკონკრეტება ხდება სამხედრო დისციპლინურ ნესდებებსა და სხვა სადამსჯელო ნორმატიულ აქტებში.

**სქემა 20.3**

**იტალია: ზემდგომ პირთა მოვალეობები**<sup>489</sup>

1. ზემდგომი პირები პასუხისმგებელი არიან მათზე დაქვემდებარებული პირების მხრიდან კანონის, ნესებისა და სამხედრო ნესდებების პატივისცემის უზრუნველყოფაზე. ისინი დისციპლინისა და კანონის დაცვისა და პატივისცემის კარგ მაგალითს უნდა წარმოადგენდნენ.
  2. ზემდგომი პირები პასუხისმგებელი არიან მათზე დაქვემდებარებულ პირებს შორის დისციპლინის შენარჩუნებაზე და მათ მიზანს უნდა წარმოადგენდეს ამ კუთხით თავიანთი შენაერთებში მაქსიმალური შედეგების მიღწევა. განსაკუთრებით კი მათ მოეთხოვებათ:
    - ა) მათზე დაქვემდებარებული პირების მიმართ პატივისცემა, ყველა ჯარისკაცის ღირსების თანაბრად აღიარება და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული შეფასება;
    - ბ) ზოგადად, ჯარისკაცის საჯარო გაკიცხვისგან თავის შეკავება არასწორი ქცევის შემთხვევაში.
- ზემდგომი პირი მას პირადად - ცალკე უნდა დაეულოაპარაკოს;

<sup>489</sup> რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილება No. 545/1986, მუხლი 21.

- გ) მათზე დაქვემდებარებულ პირებთან არაზედაპირული ურთიერთობების ჩამოყალიბება, მათი პიროვნული თვისებების დაფასება და უნარ-ჩვევების დახვეწა-გაუმჯობესების მცდელობა;
- დ) მათზე დაქვემდებარებული პირების სამხედრო განათლებაზე ზრუნვა და სამოქალაქო განათლებასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შორის სწორი გადანაწილება-დამოკიდებულების გაუმჯობესებისათვის ზომების მიღება.
- ე) პერსონალისთვის კარგი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა;
- ვ) მათზე დაქვემდებარებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
- ზ) ნებისმიერი საჭირო შეხვედრის მოწყობა (მათ შორის პირადი ან ოჯახური საკითხების განსახილველად) კანონით დადგენილი პირობების დაცვით და ასევე კანონით დადგენილი ნებისმიერი საჩივართა ოპერატიული განხილვა;
- თ) სამაგალითო ქცევის წარმორჩენა ყველანაირ პირობებში და მოუკერძოებელი და მტკიცე ქმედება;
- ი) მათზე დაქვემდებარებული პირებისათვის ბრძანებების შესასრულებლად საუკეთესო პირობების უზრუნველყოფა, როგორც შექმნაც კი შესაძლებელია.

სამხედრო მეთაური პასუხისმგებელია თავისი ქვემდგომი სამხედრო მოსამსახურეების განათლებაზე, უსაფრთხოებაზე, დისციპლინაზე, ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობაზე, შრომისა და ქმედუნარიანობაზე. სექმა 20.3 გვიცხობს სამხედრო სისტემების უმეტესობათა შეზღუდვებზე და მათზე დაქვემდებარებული პირებისათვის სამაგალითო ქცევის ჩვენება, ასევე მათზე ზრუნვის ვალდებულება და შესაბამის დისციპლინაზე პასუხისმგებლობა.

**არაკანონიერი და არასწორი ბრძანებები**

სამხედრო მეთაურები პასუხისმგებელი არიან მათ მიერ ბრძანებების გაცემასა და შესრულებაზე; ასევე მათზე დაქვემდებარებული პირებისადმი სათანადო და სწორ მოპყრობაზე. სამხედრო მეთაურების განსაკუთრებულ მოვალეობა-ვალდებულებას წარმოადგენს არ გასცეს არასწორი და არაკანონიერი ბრძანებები და არ განახორციელოს უკანონო დასჯა. სამხედრო მეთაურები არასწორი და არაკანონიერი ბრძანებებს გასცემენ მათზე დაქვემდებარებული პირებისაგან ისეთი ქმედების ჩადენის მოთხოვნისას, რაც მათს მანდატით მიწიჭებულ უფლებებს სცილდება ან, რაც სამხედრო მიზნებს არ ემსახურება. მაგალითად, როდესაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა სამუშაო პირობები არადაამკაყოფილებელია, ხოლო მათი ხელფასი - ძალზე დაბალი, შესაძლებელია სამხედრო მოსამსახურეებმა არასამხედრო დანიშნულების სამუშაოც შესასრულონ (მაგ., მოსაელის ალბანში მიიღონ მონაწილეობა) აუ: ან აწარმოონ კერძო ბიზნესი დაკარგებულ პერსონალის სახით თავიანთი ძალზე დაბალი ხელფასისათვის დამატებითი სამუშაოების წარმოქმნისა და ყაზარმებში ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

ბევრ ქვეყანაში სამხედრო სამსახურის მართვის ფუნქციის ბოროტად გამოყენებისათვის გათვალისწინებულია საჯარო სანქციები. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, გაიჩნევა მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მსუბუქი სახე, რომელიც დისციპლინური სანქციით შემოფარდება, და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მძიმე ფორმა, როცა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., აესტრიაში) ხელმძღვანელის ფუნქციის ბოროტად გამოყენების როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე ფორმა მხოლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

**სქემა 20.4**

**დამოკიდებულება არაკანონიერი ბრძანებისადმი: შერჩევითი მაგალითები ეროვნული კანონმდებლობიდან<sup>44</sup>**

**ბელარუსია**

არაკანონიერი ბრძანება არის ბრძანება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

**ბელგია**

ბრძანება არაკანონიერია, თუ იგი არ შეესაბამება ბრძანების ერთ-ერთ მახასიათებელს: 1) ბრძანება გაიცემულია ხელმძღვანელი პირის მიერ და არ მოიცავს სამხედრო ვალდებულება-მოვალეობებს; 2) ბრძანება არ შეიძლება შესრულდეს, რადგანაც მისმა შესრულებამ შეიძლებს გამოიწვიოს დანაშაულებრივი ქმედება ან დანაშაული; 3) ბრძანების შინაარსი უნდა იყოს გასაბეჭდი იმისთვის, ვისთვისაც იგი გაიცემა ისე, რომ მან სრულად გაიგოს, თუ რა მოთხოვნებია; 4) ბრძანება უნდა იყოს გასაბეჭდი იმისთვის, ვისთვისაც იგი გაიცემა და დაზუსტებული, არაზოგადი ხასიათის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქვემდგომ პირთა მხრიდან საჩივრები მის შინაარსთან დაკავშირებით.

<sup>44</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 22.ა.

### ესტონეთი

ისეთი ბრძანების გაცემა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, აკრძალულია, ისევე, როგორც ბრძანებები, რომლებიც ბრძანების გამოცემა პირის უფლადამოსილებას ცვილებს და მოითხოვს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელთა განხორციელება ბრძანების შემსრულებლისაგან დაშვებული არ არის, რომელთა შესრულება მორალურად ან მატერიალურად გაუმართლებელ ზიანს გამოიწვევდა და შეიცავს საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისა და/ან იცოცხლისათვის.

### ლიტვა

არაკანონიერი ბრძანება არის ბრძანება, რომელიც აიძულებს სამხედრო მოსამსახურეს ჩაიდინოს სამხედრო ფიცის დამრღვევები და სანაწაღმდეგო ქმედება; რომელიც არღვევს ეროვნულ კანონმდებლობას, პრინციპებსა და ნორმებს და საერთაშორისო სამართალს; ან რომელიც აიძულებს სამხედრო მოსამსახურეს, მოემსახუროს სხვა პირებს ან პიროვნებათა ჯგუფს სამხედრო მოვალეობების მიღმა.

### ლუქსემბურგი

არაკანონიერი ბრძანება არის ბრძანება, რომელიც კანონით არის აკრძალული.

### პოლონეთი

ბრძანება არაკანონიერია, თუ იგი მოითხოვს რაიმე აკრძალული ქმედების განხორციელებას ან დასჯადი სამართალდარღვევის აქტის ჩადენას, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე, 343-ე და 344-ე თავებით არის განსაზღვრული.

ხელმძღვანელობის მიერ გაცემული არაკანონიერი ბრძანებები წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის დარღვევას და, შესაბამისად, — დანაშაულს. ეს ასევე მოიცავს მეორე ჯარისკაცის უშიშეზოდ მოკვლის ან სამხედრო ძალაუფლების არასამხედრო მიზნებით გამოყენების ბრძანებებს (იხ. სქემა 20.4).<sup>485</sup>

არაკანონიერი ბრძანებები მოიცავს ისეთ ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციამოცემულ ღირებულებებსა და სტანდარტებს, მაგალითად, ისეთ ქმედებებში მონაწილეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ ნეგრივს (იხ. სქემა 20.5).

### სქემა 20.5

#### სლოვაკეთი: არაკონსტიტუციური ბრძანება<sup>486</sup>

აქტი №346/2006, თავი 117.3

სხვადასხვა არ არის არც ერთი ისეთი სამხედრო ბრძანების გაცემა, რომელიც ეწინააღმდეგება სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, სხვა კანონებს, ზოგად სახელმწიფო და სამსახურებრივ ნებსებს, სამხედრო ფიცს ან პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეების ეთიკურ კოდექსს.

არაკანონიერი ბრძანებები ასევე მოიცავს არაკანონიერ დამსჯელ ღონისძიებებს, მაგალითად, კოლექტიურ დასჯას. კოლექტიური დასჯა ვრცელდება მთელ ჯგუფზე კოლექტივის ერთ-ერთი წევრის მიერ არასანორი საქციელის ჩადენის შემთხვევაში. სამხედრო მეთაურები მოკვლენი არიან თავი შეიკავონ დასჯის უკანონო მეთოდებისაგან.

სამხედრო მეთაურების პასუხისმგებლობა მათზე დაქვემდებარებულ პირთა ქმედებებზე სამხედრო მეთაურების მოვალეობა – პასუხი აგონ მათზე დაქვემდებარებულ პირთა ქმედებებზე, იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ჩვენ შევძიოლია სანაწაღმდეგო ხასიათის კითხვათა დასჯა: რამდენად არის სამხედრო მეთაური პასუხისმგებელი მასზე დაქვემდებარებულ პირთა არასანორ ქვეყანა თუ არაკანონიერ ქმედებებზე?

სამხედრო მეთაურები პასუხისმგებელი არიან მათზე დაქვემდებარებულ პირთა არასანორ ქვეყანა თუ არაკანონიერ ქმედებებზე იმ შემთხვევაში, თუკი მათ იცოდნენ ან უნდა ცოდნოდნოთ ამ არაკანონიერ ქმედებების შესახებ და ეერ მოახერხეს მათი განხორციელების თავიდან აცილება ან დასჯა. სამხედრო მეთაურების პოზიტიური მოვალეობაა თავიდან აიცილონ

<sup>485</sup> მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ უკანონო ბრძანებების საკითხი შეიძლება უფრო ფართო კონტექსტში იქნეს განხილული. ის ბრძანებები, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოებრივ სამართალს ეწინააღმდეგება, მაგ., ბრძანება, რომელიც გაეროს წესდების 2.4. თავის დარღვევას წარმოადგენს, ასევე არაკანონიერია. გაეროს წესდების 2.4. თავი ითვლება, რომ: "ყველა წევრმა თავი უნდა შეიკავოს საერთაშორისო ურთიერთობებში ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეჭრის ან ძალის გამოყენებისაგან ან გაეროს მიზნებისათვის შეუსაბამო რაიმე სხვა სახით მოქმედებისაგან." რადგანაც წინამდებარე სახელმძღვანელოში მოხლოდ მშვიდობიანობის დროზეა გათვალისწინებული, ჩვენი მთავარი ინტერესის საგანია ის კანონები, რომლებიც ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ეხება, ხოლო ის, თუ რამდენად შეესაბამება ან ეწინააღმდეგება სამხედრო მოსამსახურეების სამსახურებრივად საზღვარგარეთ დისლოცირება საერთაშორისო საზოგადოებრივ კანონში, წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული არ არის.

<sup>486</sup> იქვე.

მათზე დაქვემდებარებული პირების მიერ კანონდარღვევის ან დანაშაულის ჩადენა. კანონდარღვევის ან დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში სამხედრო მეთაური ეკისრება ვალდებულება პასუხი აგოს სისხლის სამართლის ან სამხედრო დისციპლინის კანონის ნუსხით ამ დარღვევის სახეობის, მისი გარემოებებისა და, განსაკუთრებით, იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ამ კანონდარღვევის ან დანაშაულის წინაშე გაწყვეტიტა.

იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მეთაურის ჩარევა პოზიტიური ქმედების ნაცვლად შეცდომის დაშვების ან დათმობის სახეს იღებს, უფრო ძნელია სამხედრო მეთაურის პრაქტიკული დამტკიცება ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევებში მეტად უფარაუდოა, რომ მაღალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელებისადმი შეუფარდებულ იქნეს სისხლის სამართლის ან სამხედრო დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაცრი ზომები. მათზე დაქვემდებარებული პირების მიერ კანონდარღვევის ან დანაშაულის ჩადენისას უმეტეს შემთხვევაში სამხედრო ხელმძღვანელებისადმი ხდება აღმინიშნული სახეობის სანქციების გამოყენება. მაგალითად, ისინი შეიძლება გათავისუფლებულ იქნენ სამხედრო მეთაურის მოვალეობებისაგან, დაქვეითებულ ან სულაც გათავისუფლებულ იქნენ სამსახურიდან.

### 3. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

ყველა სამხედრო სისტემაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ეკისრებათ ზოგადი ვალდებულება - დემოკრატიულ ზემოქმედების ბრძანებებს. იმ შემთხვევაში, თუ გაცემული ბრძანება არაკანონიერია, მათ შესრულებაზე მორალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ბრძანების გამცემს, ასევე, შემსრულებელ პირსაც. სწორედ ამიტომ, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს მეთაურის მიერ გაცემული არაკანონიერი ბრძანების შესრულების ან ინიცირებული კანონდარღვევის ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორც ნუსი, ეკისრებათ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

არაკანონიერი ბრძანების შესრულების შემთხვევაში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები ექვემდებარებიან სისხლის სამართლის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და მათ მიერ ჩადენილი კანონდარღვევის მიხედვით. უკანონო ბრძანების გამცემს და მის ფაქტობრივად შემსრულებელ პირს დისციპლინური სანქციის უფარდებს მაღალი რანგის ხელმძღვანელი. სისხლის სამართლის ზომების შეუფარდება, ჩვეულებრივად, სპეციალური სამხედრო ან სამოქალაქო სასამართლოს მიერ ხდება (იხ. თავი 21, "დისციპლინა და სამხედრო სამართალი").

არაკანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის ვალდებულება სამხედრო მეთაურის მიერ გაცემული ბრძანებისადმი მორჩილების ვალდებულებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნების შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. ამ მიზანშეწობილ ცენტრალურ საკითხებს წარმოადგენს: გარემოებები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურეს ავალდებულებს დემოკრატიულ არაკანონიერ ბრძანებას და ის, თუ რამდენად საეალებულა არაკანონიერი ბრძანების შესრულება. აქ სამი სახის მიდგომა გამოიკვეთება:

1. პირველი მიდგომის მიხედვით, შეიარაღებული ძალების პერსონალი მოვალეა დემოკრატიის მხოლოდ კანონიერ ბრძანებებს. აქედან გამომდინარე, სამხედრო მოსამსახურე არანაირად არის ვალდებული არაკანონიერ ბრძანებებს დემოკრატიულად. ეს მიდგომა მოქმედებს, მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში, სადაც არაკანონიერი ბრძანებები სანჯიდავად არასავალდებულოდ ითვლება (იხ. სქემა 20.6);
2. მიდგომათა მეორე ვარიანტი გახლავთ ის, რომ ბრძანებები ყოველთვის სავალდებულოა; შესაბამისად, შეიარაღებული ძალების პერსონალი მოვალეა დემოკრატიის ბრძანებებს, მიუხედავად მათი კანონიერების ან უკანონობისა;<sup>407</sup>
3. მესამე ვარიანტია ის, რომ ბრძანების სავალდებულო ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კანონიერია ნაბრძანები ქმედება და მისი შესრულება ამ რამდენად ამკადად არაკანონიერია იგი. იტალიაში, მაგალითად, (იხ. სქემა 20.6) ნებისმიერი ბრძანება ითვლება კანონიერად, თუკი იგი ამკადად გამოკვეთილად არაკანონიერი არ არის. დანიაში შეიარაღებული ძალების პერსონალი მოვალეა დაუყოვნებლივ დემოკრატიის ბრძანებებს მიუხედავად მათი კანონიერების ან უკანონობისა, ამასთანავე, მათ უნდა აცნობონ თავიანთი ზემოქმედება ოფიცერს/სერჟანტს, რომ იმ შემთხვევაში, თუ უფრო მაღალი რანგის ოფიცერი/სერჟანტი აღმოაჩენს, რომ ბრძანება არაკანონიერია, ისინი ასეთ ბრძანებას გასაჩივრებენ. შეიარაღებული ძალების პერსონალი მოვალეობაა დემოკრატიის ბრძანებას და შეასრულოს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაკანონიერი ბრძანება საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას და მისი შესრულება მოსახლეობისთვის რისკს ნარეკომქმნის. მაგრამ ამ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურემ მაინცვე უნდა დაეხმოს ამის შესახებ თავის ზემოქმედებას პირს და გააკეთოს შესაბამისი განცხადება.<sup>408</sup>

<sup>407</sup> Nolte, op. cit., გვ. 93.

<sup>408</sup> პასუხები კითხვარზე "საერთაშორისო სამხედრო კანონის პროგრამა Eurofem-ი", საკითხები IX.1 და IX.2. პასუხები წინააღმდეგარ სახელმძღვანელოს ავტორებს გაეცა დანის CS ასოციაციის, Danish Association of IHL 2006 წლის 2 ივნისს.

## სქემა 20.6

### ბრძანებებისადმი დამორჩილების მოვალეობის მაგალითები<sup>499</sup>

#### ბელგია

ბრძანება, რომელიც არაკანონიერ ქმედებას გულისხმობს, არ წარმოადგენს კანონიერ ბრძანებას და იგი არ უნდა შესრულდეს.

#### დიდი ბრიტანეთი

##### პარაგრაფი 12

(1) პიროვნება ჩადის სამართალდარღვევას, თუ იგი:

(ა) აელენს კანონიერი ბრძანებებისადმი დამორჩილებლობას;

(ბ) განზრახული აქვს ბრძანებებისადმი დამორჩილებლობა ან ბრძანებებისადმი დამორჩილებლობას გაუღვრილად ეკიდება.

#### იტალია

თავი 25.2: სამხედრო მოსამსახურემ, რომელიც იღებს ისეთ ბრძანებას, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ამის შესახებ უნდა მოახსენოს თავის ზემდგომ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი ხელმძღვანელი პირი დაადასტურებს ბრძანების შესრულების აუცილებლობას, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იგი შესრულოს. იმ შემთხვევაში, თუ ბრძანება აქარად ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინსტიტუტების ან მათი შესრულება აქარა დანაშაულს წარმოადგენს, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია არ დაემორჩილოს ბრძანებას და ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს ზემდგომ პირებს.

#### პიროვნული მიდგომა VS უპირობო მორჩილება

იმის აღიარება, რომ შეიარაღებული ძალების პერსონალი უფლებამოსილია არ დაემორჩილოს არაკანონიერ ბრძანებებს, უზნადაშტურს მნიშვნელობის მქონე საკითხია. ეს გულისხმობს, რომ ბრძანებების შესრულების მოვალეობა უპირობო მორჩილებას არ მოითხოვს. გარკვეულ გარემოებებში, ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეებს უნდა აქონდეთ უფლება შეაფასონ ბრძანების შესრულების შედეგები, თუმცა, მეორე მხრივ, ეს საკმაოდ მაღალი რისკის შემცველი სტრატეგიაა, რამდენადაც იგი სამხედრო მოსამსახურეების გზიწილან პიროვნულ მსჯელობა-აღქმას მოითხოვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისთვის მიცემული ბრძანების სავალდებულო ძალა გაურკვეველია. სიტუაციისა და ბრძანების არასათანადო შეფასების შემთხვევაში ქვემდგომი პირი პასუხს აგებს ბრძანების შესრულებლობის გამო.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მრავალი მექანიზმის შემუშავება შეიძლება. პირველი, კონკრეტულმა სამხედრო მოსამსახურემ განსაჯოს, გაცემული ბრძანება ეწინააღმდეგება თუ არა ქვეყნის კონსტიტუციას ან კანონმდებლობას და ეს გამოიყენოს იმის შეფასების მთავარ კრიტერიუმად, თუ რამდენად უნდა დაემორჩილოს მისთვის მიცემულ ბრძანებას. მეორე შესაძლებლობაა, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეს, რომელიც თვლის, რომ მის მიმართ გაცემული ბრძანება არაკანონიერია, უფლება მიეცეს მიმართოს გასაჩივრების მექანიზმებს (იხ. სქემა 20.7). შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, რომლებიც საივარს შეიტანენ არაკანონიერ ქმედების ნინაღმდეგ, კანონით უნდა იყვნენ დაცული შესაძლო ზენოლისგან.

## სქემა 20.7

### არაკანონიერი ბრძანებების გასაჩივრების პროცედურები: შერჩეული მაგალითები<sup>490</sup>

#### ბელგია

ნებისმიერი სამხედრო მოსამსახურე უფლებამოსილია მოითხოვოს ზემდგომი ხელმძღვანელისგან, რომ მას მოუსმინონ, თუკი არსებობს საჩივრის წარდგინების სურვილი. გარდა ამისა, გენერალური ინსპექტორის სამსახური პასუხისმგებელია გამოიძიოს და შეისწავლოს შეიარაღებული ძალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საჩივრები. ეს სამსახური ადგილობრივი მედიატორების ქსელს მოიცავს.

#### ჩეხეთის რესპუბლიკა

№221/1999 აქტის თავის №48 მხივებით, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია არ დაემორჩილოს [არაკანონიერ ბრძანებას] და ამის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენოს ზემდგომ პირებს ან სამხედრო პოლიციას.

<sup>499</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 22.ე, ბელგია; დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების კანონპროექტი, 2005 წელი; იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის დადგენილება №0. 545/1986, კანონი სამხედრო დისციპლინის შესახებ.

<sup>490</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 22.ა.



## მალტა

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც თელიან, რომ მიიღეს არაკანონიერი ბრძანება, შეუძლიათ ამ ბრძანების გასაჩივრება ზემდგომ ხელმძღვანელობასთან.

## ნორვეგია

არაკანონიერი ბრძანების გაცემა-მიღების საკითხის რეგულირებისთვის არსებობს მრავალი გზა და საშუალება. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც მიიღეს არაკანონიერი ბრძანება, შეუძლიათ მისი გასაჩივრება ამ ბრძანების გამცემ პირთან, მათ უფლება აქვთ საკითხი დააყენონ ზემდგომ ხელმძღვანელობასთან ან სამხედრო პოლიციაში (როცა საქმე ეხება საერთაშორისო უმუხარტარული ან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევას, სამხედრო მოსამსახურე, როგორც წესი, ვალდებულია არაკანონიერი ბრძანების შესახებ მოახსენოს თავის ზემდგომ პირებს). სამხედრო მოსამსახურეს ასევე შეუძლია ნერილობითი საჩივარი შეიტანოს ომბუდსმენთან.

## სლოვაკეთი

346/2005 აქტის 117.4 თავის მიხედვით, თუ პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე თელის, რომ მისი ზემდგომ ხელმძღვანელობისაგან მიღებული სამხედრო დავალება, ბრძანება, დირექტივა ან ინსტრუქცია ეწინააღმდეგება ზოგადად მოქმედ კანონმდებლობას, იგი ვალდებულია საქმის უკრძა ჩაყენოს ზემდგომი ხელმძღვანელობა ამ ფაქტის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი ხელმძღვანელი პირი მინც მოითხოვს ამ დავალებას, ბრძანების, დირექტივისა თუ ინსტრუქციის შესრულებას, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეს ეს ნერილობით უნდა დაუდასტურდეს და ამ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია მიიღოს ზომები, რომ გაეცემა ბრძანება, დირექტივა, დავალება თუ ინსტრუქცია შესრულებულ იქნეს. 346/2005 აქტის 117.5 თავის მიხედვით, პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე შეიძლება არ დაემორჩილოს ზემდგომ ხელმძღვანელობისაგან მიღებულ სამხედრო დავალებას, ბრძანებას, დირექტივას ან ინსტრუქციას, თუკი მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულებრივ ქმედებას; ასეთ შემთხვევაში ამ ფაქტის შესახებ მან დაუყენებლად უნდა აცნობოს თავის უშუალო ზემდგომ ხელმძღვანელ პირს ან იმ პირს, რომელმაც გასცა ეს ბრძანება, დავალება თუ ინსტრუქცია.

## თურქეთი

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ბრძანება არაკანონიერია, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია არ დაემორჩილოს ბრძანებას და ამის შესახებ მოახსენოს ზემდგომ პირებს. შიდასამსახურეობრივი აქტის თანახმად, ბრძანების გასაჩივრება შეიძლება ზემდგომ მეთაურებთან.

მეორე გამოსავალია ის, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს უფლება მიეცეთ გარკვეული გარემოებების პირობებში არაკანონიერი ქმედებებისათვის გამაშართლებლად თუ თავის დასაცავად საშუალებად გამოიყენონ ის ფაქტი, რომ ისინი ბრძანებას ემორჩილებოდნენ (მაგ., რუსეთის ფედერაციაში). სხვადასხვა ქვეყანა ამ საკითხს განსხვავებულ რეგულირებას უძებნის. მაგალითად, გერმანიაში სამხედრო სისხლის საშართლის კოდექსის მე-5 თავი გვამცნობს, რომ ქვემდგომი სამხედრო პირი, რომელიც თავის დანაშაულს ბრძანების შესრულებისას, სასჯელს დაექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ან უნდა სიცოდებდა, რომ ამ ბრძანების შესრულებით იგი უკანონო ქმედებას ასრულებდა.<sup>491</sup> სხვა ქვეყნებში ბრძანებებისადმი დამორჩილების მოთხოვნა განიხილება როგორც უბრალოდ შემაშისუქებელი გარემოება, ანუ სასჯელის შემსუბუქების საფუძველი (მაგ., მეიციარისა და პოლენეთში). დაბოლოდ, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოში (მაგ., ესპანეთში) არ ხდება ზემდგომის მიერ გაეცემა ბრძანებისადმი დამორჩილების ცნობა გამაშართლებლად გარემოებად არც სამოქალაქო და არც სამხედრო კანონმდებლობით. სქემა 20.8 ვთავაზობთ რამდენიმე განსხვავებულ მოდელს.

<sup>491</sup> ეს სტანდარტი შეესაბამება "საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს სტატუტის" 33-ე თავის დებულებებს: "8.1 ის ფაქტი, რომ სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში პირის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოხდა მთავრობის ან სამხედრო თუ სამოქალაქო ზემდგომი პირის ბრძანებისადმი დამორჩილება გამო, დანაშაულის ჩადენ პირს არ ათავისუფლებს სისხლის სასამართლოს პასუხისმგებლობისაგან გარდა იმ შემთხვევების, თუ: (ა) აღნიშნული პირი ეხება ორიდანვე ვალდებული იყო დამორჩილებოდა მთავრობის ან აღნიშნული ზემდგომი პირის ბრძანებას; (ბ) აღნიშნული პირი ეხება არ იყო ინფორმირებული გაეცემა ბრძანების უკანონობის შესახებ; და (გ) გაეცემა ბრძანება არ ნაშრომდებად კანონის ან კანონდარღვევას. 8.2 ნაშრომდებად თვის მიხედვითად გამოიხილება, გენერალის ან კაცო-პროკორისადმი მთავრობის დამორჩილების ჩადენის ბრძანებები კანონის ან კანონდარღვევას წარმოადგენს. დიდ ბრიტანეთს ეს თაობა თავის ორიგინალ სისტემაში არ აქვს უტანალი; ნაცლებად ამისა გათვალისწინებულია უფრო მაკრდი კანონი, რომელიც შედგომარბობს იმისი, რომ მოუხედავად იმისა, თუ კანონის რამდენად ან კანონდარღვევას წარმოადგენს გაეცემა ბრძანება, იგი არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს უკანონო ბრძანების შესრულების გამაშართლებელი გარემოება.

## სქემა 20.8

**ბრძანებისადმი დამორჩილების ვალდებულება, როგორც არაკანონიერი ქმედების გამართლება ეუთო-ს ზოგიერთ სახელმწიფოში (შერჩევით)<sup>492</sup>**

### ეტიკონეთი

არაკანონიერი ბრძანების შემსრულებელ პირს ნებისმიერ შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგ(ებ)ზე.

### მალტა

ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაკანონიერი ქმედების ჩადენის გასამართლებლად.

### პოლონეთი

სადასჯელო ღონისძიებათა კოდექსი, თავი 30: აკრძალული ქმედების ჩადენის შემთხვევაში, თუკი მის ჩამდენს ამ ქმედების უკანონობა არ ჰქონდა გაცნობიერებული და ეს შეიძლება მის გამამართლებელ გარემოებად ჩაითვალოს, ეს პიროვნება სამართალდამრღვევად არ ჩაითვლება; იმ შემთხვევაში, თუ არასწორი ქმედების ჩადენის ფაქტისათვის არ არსებობს გამამართლებელი გარემოება, სასამართლომ ეს შეიძლება მხედველობაში მიიღოს სადასჯელო ღონისძიების შეფარდებისას, როგორც მდგომარეობის შემამსუბუქებელი გარემოება.

### რუსეთის ფედერაცია

სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე თავის თანახმად, იურიდიულად დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ იქნება კვალიფიცირებული როგორც დანაშაული, თუ იგი ჩადენილ იქნა პიროვნების მიერ სავალდებულო ბრძანების ან ინსტრუქციის შესრულებისას; ასეთი ზარალის მიყენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება არაკანონიერი ბრძანების ან ინსტრუქციის გამცემს. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი პირი, ვინც ბრძანების ან ინსტრუქციის შესრულებისას განზრახ ახორციელებს სამართალდარღვევას ამ ქმედების უკანონობის გაცნობიერებით, ექვემდებარება სადასჯელო ღონისძიებას ჩვეულებრივი ნების; არაკანონიერი ბრძანების ან ინსტრუქციის შესრულებისადმი დაუმორჩილებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის წაყენების თავიდან აცილების გარანტია.

### შვეიცარია

არაკანონიერი ბრძანების შემსრულებელ პირს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილ ქმედებებზე, თუმცა სადასჯელო ღონისძიება შეიძლება შემსუბუქებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება ბრძანების არაკანონიერად გაცემის ფაქტი.

### თურქეთი

ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაკანონიერი ქმედების ჩადენის გასამართლებლად.

## 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

- სამხედრო მეთაურებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობების ჩარჩოები კანონმდებლობაში წათვლიდ და მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული; ოფიცერთა და სერჟანტთა კორპუსისათვის უნდა ტარდებოდეს შესაბამისი ტრეინინგები და სწავლებები არა მარტო ლიდერობის წვრთნაში, არამედ სამხედრო და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროშიც; სამხედრო მეთაურები თავიანთ თანამდებობებს უნდა იყენებდნენ იმისთვის, რომ უზრუნველყონ შეიარაღებული ძალების რიგებში ეფექტური სამსახურებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება თანამოსამსახურეთა შორის და ამგვარად ურთიერთდობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნან; ხელმძღვანელობის ფუნქციის ბოროტად გამოყენების შემთხვევებისთვის შემსუბუქებულ უნდა იქნას საჯარიმო სანქციების ეფექტური სისტემა; წვრთნის დროს სამხედრო მეთაურებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობა არ გასცენ უკანონო ბრძანებები და არ განახორციელონ უკანონო დასჯა; უკანონო დასჯა, განსაკუთრებით კოლექტიური ანდა დასჯის ისეთი ფორმა, რომელსაც მოჰყვება დამამკიცრებელი მოპყრობა, დამცირება-შეურაცხყოფა ანდა წამება, უნდა ჩაითვალოს კანონდარღვევად; წვრთნის დროს სამხედრო მოსამსახურეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი მოვალეობა არ დაემორჩილონ არაკანონიერ ბრძანებებს; სამხედრო მოსამსახურეებს არაკანონიერი ბრძანებების მიღების შემთხვევაში უნდა შეეძლოთ გასაჩივრების მექანიზმების გამოყენება.

<sup>492</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საქობი 22.8.

ნინამდებარე თავი განიხილავს სამხედრო სამართლის სისტემების როლს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში. სამხედრო მოსამსახურეები სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან ისევე, როგორც სამოქალაქო პირები. გარდა ამისა, მათ ეკისრებათ განსხვავებული პასუხისმგებლობა და მოვალეობებიც სამხედრო სამართლის ფარგლებში, რომლებიც შემუშავებულია ჯარში დისციპლინური გარემოს უზრუნველსაყოფად. მაშინ, როცა სამხედრო სამართლის მიზანია დისციპლინის დამყარება-შენარჩუნება, სამართლებრივი ნორმების პრაქტიკული განხორციელება ცალკე განხილვის თემაა.<sup>493</sup> სამხედრო სამართლის სისტემების ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში კიდევ ერთი მთელი და მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული დისციპლინური მოვალეობების შესრულება ისე, რომ ის შეესაბამებოდეს სამართლიან განსჯას და სათანადო პროცესის წარმართვის უფლებას. სამხედრო სამართალი განიხილავს როგორც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა, ასევე ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმეთა განხილველ სასამართლოებში დასაცავ პირთა უფლებების დაცვის და, აგრეთვე, სამხედრო სასამართლოებისა და მათი მომსახურე ჯარის, იქნება ეს მოსამართლე თუ ადვოკატი, დამოუკიდებლობის საკითხებს.

ნინამდებარე თავში თავდაპირველად განხილული იქნება სამხედრო სამართლის არსებობის საფუძვლიანობა და გამართლებულობა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებაში, რომლებიც იცავენ სამართლიანი განსჯის უფლებას. ამის შემდგომ, წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნებში სისხლის სამართლის კონდნადარეგულება და სამხედრო დისციპლინას შორის ურთიერთდამოკიდებულება და სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებს შორის იურისდიქციის განაწილების საკითხები. დამოუკიდებლობის საკითხები განხილულია სასამართლოების, პროკურატურისა და თავდაცვის სამსახურს, ასევე სააპელაციო სასამართლოების სტრუქტურისა და დანიშნულების თელსაზრისით.

## 1. პრობლემატური საკითხები

შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში არსებობს ისეთ ასპექტთა მთელი რიგი, რომლებიც იწვევს სამხედრო სამართლის სისტემის შემოღების აუცილებლობას. შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები მსახურობენ ისეთი დისციპლინის გარემოში, რომელიც მათ ცხოვრებას უფრო მეტ ასპექტში არეგულირებს, ვიდრე სხვა პროფესიათა უმეტესობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი უმეტესად სამხედრო ნაწილებში ცხოვრობენ და აქტიური სამსახურის რეჟიმში ყოფნისას მთი დროსა და მოქმედების უდიდესი ნაწილი ზემდგომი ხელმძღვანელი პირის ბრძანებების მიხედვით დაეკუთვნებიან შესრულებაში გამოიხატება. ისეთ სიტუაციებში, რომლებიც პოტენციურად შეიარაღებულ კონფლიქტს მოიცავს, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ სამხედრო დაეკუთვნებიან და სიცოცხლისათვის შექმნილი რისკი გამუდმებული მორჩილებისა და დაქვემდებარების მდგომარეობაში ყოფნას ამართლებდეს. სხვა პროფესიებში სამუშაოსა და პირად ცხოვრებაში არსებული განსხვავება აღნიშნულ პირობებში, ფაქტობრივად, არ არსებობს. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისათვის სამხედრო დისციპლინა მათი ცხოვრების მრავალ ასპექტებს ეხება და სამოქალაქო სისხლის სამართლის მოთხოვნათა ჩარჩოებს ბევრად სცილდება. სამხედრო მოსამსახურეების აქტიური სამხედრო მოქმედებისთვის მზადყოფნისთვის გამუდმებული წვრთნების აუცილებლობა ნიშნავს იმას, რომ დისციპლინა მშვიდობიანობის დროსაც უნდა იყოს დაცული. თუმცა აქ შეიძლება ის მნიშვნელოვანი ასპექტიც გამოყოფილი, რომ დისციპლინისადმი მიდგომა, ფაქტობრივად, არსებული ვარემოებების მიხედვით უფრო მეტი ნიუანსის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმში თავისთავად გულისხმობს სამხედრო დისციპლინის სისტემების არსებობას. მაგალითად, საერთაშორისო პუბლიცისტური სამართალი მოითხოვს, რომ იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ტყვედ აყვანილი სამხედრო მოსამსახურეებისადმი, როგორც სამხედრო ტყვეებისადმი, პუბლიცისტი მიდგომა, საჭიროა ისინი სადისციპლინო კოდექსს ექვემდებარებოდნენ.<sup>494</sup> ეს სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს დაქირავებული ჯარისკაცებისა და უზრუნველყოფის და უზრუნველყოფის, რომ ისინი ნებისმიერი ომის სამართლის საწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს მაღალი რანგის სამხედრო ხელმძღვანელთა დისციპლინარულ ნორმებს ემორჩილებოდნენ.<sup>495</sup>

<sup>493</sup> აშშ-ის პოლიციის ვასცენობა იხ. David A. Schluter, სამხედრო სისხლის სამართალი: პრაქტიკული საკითხობა და პროცედურული მართლმართალი, კორკია: LexisNexis, 2004, მე-6 გამოცემა, გვ. 5-7.

<sup>494</sup> ახაიის 1907 წლის კონვენციის თავი 1, დამატება; ტენევის 1949 წლის შესავალ კონვენცია, თავი 4.2; ტენევის 1949 წლის 12 აგვისტოს (ოქმი №1) კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხლი 43.

<sup>495</sup> P. Rowe, op. cit., შენიშვნა 4, გვ. 67.

ერთიანობის დაურღვევლობის აუცილებლობა ასევე ამართლებს სამხედრო დისციპლინის სისტემების არსებობას. სამხედრო დისციპლინის სისტემას შეუძლია შეიარაღებულ ძალებს მისამსახურების საერთო სამართლებრივი სტანდარტებისათვის დაქვემდებარება უზრუნველყოს, იმის მიუხედავად, ისინი საზღვარგარეთ მსახურობენ თუ თავიანთ ქვეყანაში. სამხედრო სამართლის ზომების მოქმედება ნიშნავს იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნაკლები აუცილებლობა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი კანონები (იმ სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, სადაც ისინი მსახურობენ, რათა ჩადენილ სამართალდარღვევებზე აცილებულ იქნეს ადგილობრივი ქვეყნის იურისდიქცია).

იმ სახელმწიფოთა შემთხვევაში, რომლებიც თავიანთ შეიარაღებულ ძალებს არ აგზავნიან მისიებში საზღვარგარეთ, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ ზოგადი სახის დისციპლინარულ დარღვევებათა და დანაშაულის ჩადენისათვის სამხედრო დისციპლინის სისტემის შემოღების საჭიროება უფრო აკლდება. ეს მნიშვნელოვანი განსხვავება განსაზღვრავს მთელ რიგს ისეთი განიხილვებისა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო დისციპლინის სისტემებში გვხვდება. სამხედრო დისციპლინის ერთიანი სისტემა ასევე შეიძლება იყოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა შენაერთების, პოლიციის, დანაყოფის გამაერთიანებელი.<sup>498</sup> ეს საკითხი მზარდი მნიშვნელობის მქონეა, რამდენადაც უსაფრთხოებისა და უშიშროების საფრთხიანი ცვალებადი ბუნება უფრო მოქნილ სამხედრო საპასუხო ქმედებებს მოითხოვს. დისციპლინის განხორციელება-შენარჩუნება მჭიდროდ არის დაკავშირებული სუბორდინაციის სტრუქტურასთან. შეიარაღებული ძალების უმეტესობა ცდილობს შედარებით მცირემაშტაბიანი დისციპლინური რეგულირების სისტემა შემოიღოს, სადაც საკითხებისა და სირთულეებისადმი სწრაფი და ადაფორმალური გადაწყვეტილებები მიიღება, ძირითადად მაღალი რანგის სამხედრო მეთაურების ჩარევით. სამხედრო ეფექტურობის, დისციპლინისა და მორალის საკითხები ბევრ ქვეყანაში გადასულია სამხედრო სასამართლოებისა და ტრიბუნალების ხელში, რომლებიც სამოქალაქო სასამართლოებისაგან განცალკევებით არსებობენ. კანადის უზუნაესმა სასამართლომ მოახდინა იმ პრობლემატურ საკითხთა შეჯამება, რომლებიც სამოქალაქო სასამართლოებისაგან განცალკევებით არსებული სამხედრო სასამართლოების მქონე ქვეყნებში განიხილება. შედეგები მოცემულია სექციაში 21.1.

## სქემა 21.1

### სამხედრო სასამართლოების მიზანი (კანადის უზუნაესი სასამართლო)<sup>497</sup>

სამხედრო სასამართლოების დამოუკიდებელი სისტემის მიზანია ნება დართოს შეიარაღებულ ძალებს იმოქმედონ ისეთ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც პირდაპირ კავშირშია დისციპლინასთან, სათანადო დონეზე მოქმედებასა და სამხედრო ძალების მორალთან. კანადელთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა დიდ წილად დამოკიდებულია ადამიანთა სურვილსა და მზადყოფნაზე იმოქმედონ ერის უსაფრთხოებისათვის შექმნილი მუქარისაგან დასაცავად. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შესანარჩუნებლად სამხედრო ძალები უნდა იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლოს შიდა დისციპლინის ეფექტურობისა და სათანადო დონეზე მოქმედება-გატარების უზრუნველყოფა. სამხედრო დისციპლინის დარღვევის შემთხვევების რეაგირება უნდა ხდებოდეს უფრო სწრაფად და დასჯა, რაც ხშირად საჭირო ხდება, უნდა გამოყენებოდეს მეტი სიმკაცრით, ვიდრე სამოქალაქო პირის მიერ იმავე ქმედების ჩადენის დროს. ... შესაბამისად, დამოუკიდებელი ტრიბუნალებისათვის ჩნდება სპეციალური დისციპლინური სტანდარტების დანერგვის საჭიროება.

ასეთმა სასამართლოებმა შეიძლება განიხილონ ისეთი საკითხები, რომლებიც, ზოგადად, ჩვეულებრივ სისხლის სამართალს განეკუთვნება და რომლებიც მხოლოდ სადისციპლინო კოდექსის კომპეტენციაშია. ამისი ალტერნატიული გზა, რომელიც სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, არის ის, რომ სამოქალაქო სასამართლოებს შეიძლება ჰქონდეთ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დარღვევათა განხილვის იურისდიქცია, როგორც მინიმუმი, მაშინ მაინც, როცა ისინი თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში იმყოფებიან. არსებობს მთელი რიგი განსხვავებებისა, რომლებზეც უფრო ქვევით ვისაუბრებთ, კერძოდ, სასამართლოების პერსონალის, პროცესის, საქმის წარდგენისა და განაჩენის გამოტანის შესახებ.

ამ განსხვავებათა მიუხედავად, წინა პლანზე გამოდის სამხედრო სამართლის სისტემასთან კავშირში არსებული ორი ძირითადი პრობლემატური საკითხი: დამოუკიდებლობა და მიდგომა.

დამოუკიდებლობის საკითხი დაკავშირებულია სუბორდინაციის სტრუქტურასთან. როგორც უკვე განვმარტავდით, სამხედრო დისციპლინის ყველგანმომღწევი ბუნება მაღალი რანგის

<sup>498</sup> ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც გაცელენა მოახდინა დიდ ბრიტანეთში გაერთიანებული სისტემის მიღებაზე. იხ. 2006 წლის აქტი შეიარაღებული ძალების შესახებ.

<sup>499</sup> R. v. Ghosh, კანადის უზუნაესი სასამართლო, 13 თებერვალი, 1992, Canada Supreme Court Reports - კანადის უზუნაესი სასამართლოს მისჯევებები, ტომი 1, 1992, გვ. 267; იხ. აგრეთვე <http://scc.lexum.umontreal.ca/en/1992/1992rc1-259/1992rc1-259.html>.

სამხედრო მეთაურებს სამხედრო მოსამსახურეთა ძალზე მკაცრი კონტროლის განხორციელების საშუალებების აძლევს, შორსმიმავალ გადამწყვეტილებაში მიღების პოტენციალით, რომლებსაც შეუძლიათ, მაგალითად, გაეღებინათ იქონიონ პიროვნების უსაფრთხოებაზე, განმრთვობასა და ოჯახურ ცხოვრებაზე. დისციპლინური ზომების შიდააღივს მისაღებად შეიძლება მოითხოვდეს სამსახურის ექსტრემალური პირობების განასაზღვრას, როდესაც პროცედურული დაცვის საშუალებების სრულად გამოყენება შეუძლებელია და არსებობს დისციპლინის აღდგენისა და, ამავდროულად, სამხედრო მისიის შედეგების სრულყოფილად მიღწევის უპირატესი და უზრუნველყოფის მნიშვნელობის მქონე საჭიროება. თუმცა, მიერ მხრივ, სამართლებრივი ზომების სათანადოდ გაუტარებლობამ ასევე შეიძლება მივიყიყიანოს შორსმიმავალი შედეგების მქონე მკაცრი სადამსჯელო ზომების გატარებამდე.

როგორც შეიარაღებული ძალების, ასევე, საზოგადოების თვალში კანონიერი და სანდო ავტორიტეტის მოპოვების მიზნით, სამხედრო სამართალი გამოყოფილი უნდა იყოს უშუალო სუბორდინაციის სტრუქტურისაგან. ნინაალმდე შემთხვევაში ნარჩინობა კონფლიქტი სამხედრო მეთაურების პოზიციებს შორის სამართალდარღვევის შესახებ საჩივრის აღძვრის ინციდენტისა და მისი დადებითი მხარეების განხილვისას. ამის გამო, არსებობს გაეროცვლებული უფლება გადახედო იქნეს სამხედრო მეთაურების მიერ მიღებული შემაჯამებული დისციპლინური გადაწყვეტილებები. უფრო სერიოზულ შემთხვევაში, სამხედრო სასამართლოს იურისდიქციის გაეროცვლებისას, დამოუკიდებლობის საკითხში მოიკავს მოსამართლობის ან სასამართლოს სხვა ნებრების დანიშნვის, სასამართლოს ნებრების (მეზუდედად იმისა, ისინი იმავე შენაერის წარმოადგენენ თუ სხვადასხვას ან სამხედრო პირები არიან თუ სამოქალაქო), ნარჩინადგენლობის უფლებისა და ბრალმდებელი და დამცველი საბჭოს არჩევანის საკითხებს.<sup>498</sup> იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს ნებრები განიცდიან განსასჯელი პიროვნების ზემდგომი პირების მხრიდან ავტორიტეტის უშუალო გავლენას, ამან შეიძლება მათი დამოუკიდებლობის საკითხი ეჭვის ქვეშ დააყენოს.

თანასწორ მოპყრობაზე ზრუნვა ფოკუსირებას ახდენს სამხედრო სასამართლოს ნინაშე ნარმდგარი სამხედრო მოსამსახურეების უფლებების დონეზე, სამოქალაქო პირებთან შედარებით. ამ საკითხს უდიდესი ყურადღება ეთმობა სამხედრო სამართლის სისტემაში, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობას, რომლებიც, სამოქალაქო პირების მიერ არაკანონიერად ჩადენის შემთხვევაში, განხილული იქნებოდა სამოქალაქო სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება შემდეგი დილემა — უნდა სარგებლობდეს სამხედრო მოსამსახურე სამხედრო ტრიბუნალის ნინაშე იმავე უფლებებით, როგორებიცაა სამოქალაქო პირები ჩვეულებრივი სასამართლის ნინაშე? ამ კითხვის დასმისას უნდა გავითვალისწინოთ ისეთი საკითხები, როგორებიცაა: უფლებები, მაგალითად, დუმილის უფრანაშუალობის პრეზუმფციის, ადოკატის აყვანის, გირაოთი ვათავისუფლების უფლება, ასევე კონკრეტული საფუძვლის გარეშე დაპატიმრების შეუძლებლობა, უფლება გაცენოს პროკურორის მიერ შედგენილი საქმეს, დაითვისოს მონშენი ბრალმდებელ მხარესთან თანაბარ პირობებში და სხვა. თითოეული ამ ამოცანის ამოხსნისათვის საჭიროა ნებრ სახელმწიფოებში კონსტიტუციურ რეგულირებათა და სისხლის სამართლის პროცედურების დეტალური განხილვა (ეს საკითხები თავიანთი მნიშვნელობის მხრივ განსხვავდება და არ წარმოადგენს ნინამდებარე თავისათვის თემატურ საკითხს). არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი განსხვავება იმ ქვეყნებს შორის, სადაც ზოგადი კანონები გაეროცვლებული; სადაც სისხლის სამართლის სასამართლოში მოსამართლე გამოდის ბრალმდებელი და დამცველი მხარეების არბიტრაჟი; სადაც არის სამოქალაქო კანონთა სისტემები, რომლებიც გამოიძევა-განსამართლების მოდელს იყენებენ და ა.შ. მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ პროცედურებში ნებისმიერი განსხვავებები და ვარიაციები სრულად იქნას გამართლებული სამხედრო უკიდურესი აუცილებლობით და შესაბამისი ადამიანის უფლებათა დამცველი კონვენციების მიერ განსაზღვრული პროცედურული განსჯის უფლებების შემზღუდავი მიზნების ფარგლებში. ზოგიერთ შემთხვევაში სამხედრო სამართლის სისტემები შეიძლება გამოეხდეს სამოქალაქო სასამართლო პროცედურებს, მაგრამ მაშინ ისმება კითხვა: შექლებენ კი ისინი ასეთ შემთხვევაში დასაცავი პირების სათანადო დაცვას?

ბერ ქვეყანაში, სადაც ადრე სასამართლო პროცესები ისეთ შემთხვევაზე, როდესაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს ბრალი ედებოდათ დანაშაულებრივ სამართალდარღვევებში, სამხედრო სასამართლოში ტარდებოდა, ბოლო წლების მანძილზე სამოქალაქო სასამართლოს მიზნითა იურისდიქცია ზოგადი სამართალდარღვევების განსჯისას, დამოუკიდებლობისა და თანასწორი მიდგომის საჭირობის გამო.<sup>499</sup> თუმცა ზოგიერთ სამოქალაქო

<sup>498</sup> დიდი ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალის წარმოადგენს თავებდმარე მოსამართლე (მოსამართლე-ადოკატი), რომელიც ეკლავიციური სამოქალაქო პირია, მაგრამ სასამართლოს სხვა ნებრებს სამხედრო მეთაურები არიან, რომლებიც იწინებენ ამა თუ იმ ინდივიდუალურ საქმის განსახილველად და, როგორც წესი, პრედაუთი იურისტი არ არიან.

<sup>499</sup> იხილეთ, მაგ., "სამხედრო კანონმდებლობისა და იმის სამართლის საერთაშორისო საზოგადოების" სემინარი, როდესო, 10-14 ოქტომბერი, 2001, გამოქვეყნდა: *Seminar on Military Jurisdiction* (ბრიტისული: International Society for Military Law and Law of War, 2001).

სასამართლოები მოქმედებენ სპეციალურ დანაყოფებში ან სპეციალური პროცედურული წესების თანახმად. იქაც კი, სადაც ამას ადგილი არ ჰქონია, კონსტიტუციური და ადამიანის უფლებათა გარანტიების შეტანამ საშხედრო სამართლის სისტემებში მნიშვნელოვანი რეფორმები გამოიწვია, რის შედეგადაც საშხედრო სამართლის სისტემებში გამართული სასამართლო პროცედურა ინდივიდუალური შესაბამისი სამოქალაქო სასამართლო პროცედურებს დაემსგავსა.

## 2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებები

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები მოიცავს ისეთ უფლებებს (მაგ., სამართლიანი სასამართლოსა და პატიმრობის ან დაკავებისაგან გათავისუფლების უფლება), რომლებიც საშხედრო სამართლის სისტემებზეც ვრცელდება. ყოველივე აღნიშნული კი სასამართლოს სამართლიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების განუყოფელი ნაწილია.

### სქემა 21.2

#### საერთაშორისო სამართლის მიხედვით ადამიანის უფლებები დაკავებასა და გასამართლებასთან დაკავშირებით

ICCPR მუხლი 9	1. თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ შეიძლება თვითნებურად დააპატიმროს ან პატიმრობაში აიყვანოს. არავის არ შეიძლება თავისუფლება აღუკვეთონ სხვაგვარად, თუ არა ისეთ საფუძველზე და ისეთი პროცედურის შესაბამისად, რომლებიც კანონით არის დაწესებული.
UDHR მუხლი 10	ყოველ ადამიანს მის უფლება-მოვალეობათა განსაზღვრისათვის და მისთვის ნაყენებელი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის დასადგენად აქვს, სრული თანასწორობის საფუძველზე, იმის უფლება, რომ მისი საქმე საექვეყნოდ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით გაართვოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ.
UDHR მუხლი 11.1	ყოველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა დადგენილი არ იქნება კანონიერი წესისამებრ საჯარო სასამართლო განხილვით, რომლის დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.
ECHR მუხლი 5	<p>1. ყველას აქვს უფლება პიროვნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე. არავის ნაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრულ პროცედურების შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პიროვნების კანონიერი დაკავება კომპეტენტური სასამართლოს მიერ მისი ბრალდებულად აღიარების შემდგომ ...</li> <li>• (გ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ქვეის არსებობის შემთხვევაში ...</li> <li>• ყველა დაპატიმრებულს დაუყოვნებლივ აცნობებენ, მისთვის გასაგებ ენაზე, მისი დაპატიმრების მიზეზსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს.</li> <li>• ნებისმიერი დაპატიმრებული ან დაკავებული პირი ამ მუხლის პირველი პუნქტის აგ. პარაგრაფის დებულებების შესაბამისად დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სხვა მოსამსახურეს, უფლებამოსილს განხორციელოს სასამართლო ხელისუფლება და მას უფლება მიეცემა ჩატაროს სასამართლო განსაზღვრულ ვადებში ან გათავისუფლდეს სასამართლოდღე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლოში მოსვლის გარანტიებით.</li> <li>• ვისაც ჩამორთმევა თავისუფლება დაპატიმრებით ან დაკავებით, უფლება მიეცება განაზოცილოს კმდებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონიერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და გათავისუფლება, თუკი მისი დაკავება არ არის კანონიერი.</li> <li>• ყველას, ვინც იყო დაპატიმრების ან დაკავების მსხვერპლი, ამ მუხლის დებულებათა საწინააღმდეგოდ, ექნებათ უფლება კომპენსაციაზე.</li> </ul>
ECHR მუხლი 6	<p>1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ობიექტურად დროის ვარკვეულ ვადაში, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ განაჩენი გამოაცხადოს ლაიდ, მაგრამ პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრაფოდეს მთელ სასამართლო პროცესს ან მის ნაწილს, რაც არასამართლოვანათა ან მის მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, რომ საჯაროობამ ზანი არ მოაყენოს სასამართლოს განაჩენს;</p> <p>2. ყველა, ვისაც ბრალი ედება დანაშაულში, განიხილება უდანაშაულოდ კანონის შესაბამისად, დამნაშავედ ცნობადედ.</p>

საშხედრო სასამართლოების წინაშე არსებული სირთულეები ECHR-ის იურისპრუდენციის ნაყოფიერ წყაროს წარმოადგენს, რის შედეგადაც ზოგიერთ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, მგალითად, დიდ ბრიტანეთში, ბელგისა და ირლანდიაში. თუმცა ECHR-ის მე-6 თავი "სისხლის სამართლის სასჯელის" შესახებ, გვამცნობს: ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოს იურისპრუდენცია ნათლად გვაძლევს იმის გაგებას, რომ სისხლის სამართლის სასჯელის განსაზღვრისას საკმარისი არ არის მხოლოდ იმის გათვალისწინება, თუ როგორ უყურებთ ამას ეროვნულ კანონმდებლობა. სისხლის სამართლის სას-

ჯელის ცნება შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში დისციპლინური ზომების განთავსებებისას დასჯის ბუნების მიხედვით ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ვანასაზღვრებებს სცილდებოდეს, განსაკუთრებით, როცა შეიარაღებული ძალების მოსამსახურე, რომელიც სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს დისციპლინური სამართალდარღვევისათვის, შეიძლება დასატიმრებული იქნეს დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში.<sup>100</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭომ დაადგინა, რომ საქმის განსასჯელად სამხედრო სასამართლოს მოსამართლეთა ან ბრალმძებელი და დამკველი მხარის საბჭოს დანიშვნა, აგრეთვე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მომზადება ბრალდებულის ზემდგომი ხელმძღვანელის მიერ არ შეესაბამება დამოუკიდებელი და მოუკიდებელი ტრინუნალის მიერ სამართლიანი სასამართლო პროცესის ჩატარების უფლებას.<sup>101</sup> მაღალი რანგის სამხედრო მეთაურის უფლებამოსილება – გააუქმოს ან შეეცალოს სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილება, ზემოსწინებული შე-ნ თავისათვის ასევე შეუძლებელი იყოფა.<sup>102</sup> სამოქალაქო პირების სამხედრო ან ისეთი სამოქალაქო სასამართლოს განხილვისადმი დაქვემდებარებას, რომლებსაც უკავთ სამხედრო მოსამართლეები სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევის შემთხვევებისათვის, ასევე შეიძლება იყოს მე-6 თავის დებულებათა დარღვევა.<sup>103</sup>

ევროსაბჭოს წევრი მთელი რიგი ქვეყნების მიერ ECHR-ის მე-5 და მე-6 თავები შენარჩუნებულ იქნა მათს სამხედრო სამართლის სისტემებში; ესენი არიან: ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, ლიტვა, მოლდოვა, პორტუგალია, ესპანეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებში მე-5 და მე-6 თავები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიმართ (შეტრ ინფორმაციისთვის იხ. თავი 5, "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი"). ეს სახელმწიფოები ევროსაბჭოს თითქმის ერთ მეთხებდს წარმოადგენენ, დანარჩენი 37 ქვეყანა, რომლებშიც აღნიშნული თავები გამოიყენება სამხედრო სამართლისათვის, ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების ორ მეთხებდს შეადგენენ.

<sup>100</sup> Engel v. Netherlands, op. cit., პუნქტი 29, პარ. 80-82.  
<sup>101</sup> ფინლენ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, 25 თებერვალი 1997, ანგარმ-მის-ბენიტი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ტომი 24, 1997, გვ. 221. იხ. ასევე Grievs v. the United Kingdom, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, 16 დეკემბერი, 2003, European Human Rights Reports, ტომი 39, 2004, გვ. 7, ყოფილ სხვადასხვა ოქროსი - სახელა სასამართლო ადვოკატის დამოუკიდებლობის დეფიციტის შესახებ. დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ წარმოგებული პროცედურების 1996 წლის აქტის განხილვა მიწვევს იქნა მე-6 თავის მოთხოვნათა შესატყვისად: Cooper v. the United Kingdom, 16 დეკემბერი, 2003, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, European Human Rights Reports, ტომი 39, 2004, გვ. 171.  
<sup>102</sup> ფინლენ დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, იქვე; შორის დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, 26 თებერვალი 2002, მოხსენება უფლებების ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ტომი 34, გვ. 1253.  
<sup>103</sup> ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, 12 მარტი, 2005, ანგარმ-მის-ბენიტი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ტომი 41, 2005, გვ. 985; მარტინი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, 24 ოქტომბერი, 2006, განაცხადი №: 40426/98 (გამოქვეყნებულია ევროსა, შეგიძლიათ იხილოთ სასამართლოს ვებ-გვერდიზე: www.echr.coe.int), პარ. 44: "როგორც არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ კონკრეტულ ახსოვებულად გამოირჩევა სამხედრო სასამართლოს იურიდიულ განსაკუთრებულ მტკიცება, რომელიც ჩართული არაა სამოქალაქო პირები, ასეთი იურიდიული არსებობა განსაკუთრებით ძირულ გამოიყენება უნდა ქვემდებარებულად, რადგანაც ასეთი სასამართლებები მხოლოდ დასაჯენ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება სისხლის სასმართლის სახელი განისაზღვროს სამოქალაქო პირების მიმართ მე-6 თავის მოთხოვნათა შესაბამისად."

<sup>104</sup> მისიყო, 1991 წელი: "[23.1] წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ (I) ხელუფლება არ იქნება არავითარ თავსუფლებით უფლება, ვიდრე იმ შემთხვევებში, თუ ამას მოთხოვნიან კანონი; (II) ნებისმიერი პირისთვის, რომელიც უფლებას, რომელიც უფლებას აქვს, სწრაფად უნდა იქნეს ინფორმირებული მისთვის გასაცემ ენაზე მისი დაკავების მიზეზებისა და მისთვის დაკავებული არაღსაკუთრების შესახებ; (III) ნებისმიერი პირისთვის, რომლის თავისუფლების უფლებაც ხელუფლებით იქნა მისი დაკავებული ან დასჯის გამო, სწრაფად იქნება ინფორმირებული მისი უფლებების შესახებ; (IV) ნებისმიერი პირისთვის, რომელიც დაკავებული ან დასჯის გამო, უფლებას აქვს წინააღმდეგ იქნეს მოსამართლეს ან სხვა ოფიციალურ ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს მისი დაკავების კანონიერების დასადასტურებლად და, დაკავების უკანონოების შემთხვევაში, იგი დაუკრძალავ იქნება განთავისუფლებული; (V) ნებისმიერი პირისთვის, რომელიც დაკავებული ან დასჯის გამო, უფლებას აქვს, უფლებას აქვს დაუკრძალავ იქნება ორგანიზებული შეტევების ან მოსთხოვოს კომპენსაცია პირს, რომ მან შეატყობინოს საჭირო პირისთვის დაკავებული არჩევინების, დაკავების, დაპატიმრებისა და ადგილსაშეცვლის შესახებ; ან უფლებას გამოიყენოს ნებისმიერი შეიძლება განსაზღვრული იქნება კანონის მიერ და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; (VI) თუ უკვე არ არის მიღებული, მიღებული იქნება ეფექტური ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონმდებლობით იმის გამოცემის მიხედვით არ იყენებულ დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის მდგომარეობას მისგან აღიარების შესახებ; (VII) ნებისმიერი დაკავების დრო და, მათ შორის, ინტერვალები ჩანერილ და დადასტურებულ უნდა იქნეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად; (VIII) დაკავებული ან დაპატიმრებული პირისთვის ან მისი მრავალი უფლებამოსილი არან მოთხოვნის და დაკავების ადგილის ამდინორესტრუქცია და დადასტურებული უფლებამოსილი პირთან და უფრო მაღლა მდგომ ინსტანციებში გაასაჩივროს მისდამი მოპოვება, განსაკუთრებით, თუ მის მიმართ ადგილი აქვს ნაბიჯებს ან სხვა სახის სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპოვების გამოხილვების, და საჭიროების შემთხვევაში მისდამი პროცედურების გადამხედვის ან შეცვლის უფლებით აღუბრუნებელი პირებს; X) ასეთი მოთხოვნა ან საჩივარი სწრაფად უნდა იქნას განხილული და დაუყოლებელი იქნეს მიღებული ზომები; იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა ან საჩივარი მიღებული არ იქნება უზარმაზარად დაყოვნებისას, საჭიროს ან მოთხოვნის წარმომადგენელი უფლებამოსილი ან საჩივრების სასამართლო ან სხვა ხელისუფლების წარმომადგენლებს; არც დაკავებული თუ დაპატიმრებული და არც საჩივრის წარმომადგენელი პირისთვის მიმართ არ იქნება დაზარალებული ან საჩივრის ან მოთხოვნის წარმომადგენლებს; (IX) ნებისმიერი პირისთვის, რომლის თავისუფლების უფლებაც უკანონოდ იქნა ხელუფლებით მისი დაპატიმრების ან დაკავების გამო, კომპენსაციის მოთხოვნის სრული უფლება აქვს."

უეთო-ს წერნა სახელმწიფოებმა ბევრ შემთხვევაში დაამტკიცეს სამართლიანი სასამართლო სისტიმის მიზნად აღიქმის სტანდარტების ყველაზე უფრო დაუმტკიცებელი მნიშვნელობა (ანუ ის ასევე გულისხმობს შეიარაღებულ ძალების მოსამსახურეებს). ეს ვალდებულებები ხაზს უსვამს იმას, რომ დაკავებულ პირებს უნდა გააჩნდეთ გარკვეული უფლებები სასამართლო პროცეს-სამდე<sup>504</sup> და ამის უზრუნველყოფის გარანტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო.<sup>505</sup> ამ უკანასკნელი ასპექტის ზოგიერთი დეტალი, რომელიც წინამდებარე თავი-სათვის განხილვის ძირითად საგანს წარმოადგენს, შემუშავებულ იქნა 1990 წელს კოპენჰა-გენის კონფერენციაზე (იხ. სექცია 21.3).

### სქემა 21.3

უეთო-ს ვალდებულებები სამართლიანი სასამართლოს შესახებ (ამონარიდები)<sup>506</sup>

- (5) [წერმა სახელმწიფოებმა] ოფიციალურად განაცხადეს, რომ სამართლის იმ ელემენტებს შორის, რომლებიც აუცილებელია ღირსებისა და ყველა ადამიანის თანასწორი და განუხრელი უფლებების სრულად ასახვისათვის, არის ის, რომ: ...
- (5.12) უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა;
- (5.13) აღიარებულ და დაცულ იქნეს სასამართლო აღმასრულებელთა დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით მათი სამსახურებრივი რეკრუტირებისა და სამუშაო პირობებთან მიმართებაში;
- (5.14) სისხლის სამართლის პროცესებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოკავადენი სასამართლო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ძალაუფლებისა და სასამართლო საქმის წარმოების წინა და თანმხლები ზომების ნათლად განსაზღვრეს;
- (5.15) უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი პიროვნების, რომელიც დაპატიმრებულ ან დაკავებულ იქნა დანაშაულში ბრალის წაყენებით, უფლებამოსილება, მისი ბრალულობის კანონიერების დასადაგენად, სწრაფად იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სხვა ოფიციალური ხელისუფლების იურიდიული წარმომადგენლის წინაშე, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ეს ქმედება;
- (5.16) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას, პიროვნების უფლებებისა და მოვლუბების განსაზღვრისას ანდა მისთვის ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალის წაყენებისას, ნებისმიერ პირს ჰქონდეს სამართლიანი და ღია მოსმენის უფლება კანონმდებლობის მიხედვით დაინიშნული კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს წინაშე;
- (5.17) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სასამართლოს წინაშე წარმდგარ ნებისმიერ პირს უფლება ჰქონდეს, მისი გადაწყვეტილებისამებრ, დაიცვას თავი თვითონ ან სწრაფად უზრუნველყოფილი იურიდიული დახმარებით ან, იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია იურიდიული დახმარების მოპოვება გადა-მხედელუწარმოების გამო, ეს იურიდიული დახმარება მისთვის უზრუნველყოფილ იქნეს უსასყიდლოდ.

### 3. მიდგომები

სამხედრო სამართალი — ეს არის კომპლექსური სფერო, რომელშიც მოქმედებს ძალზე ფარ-თო დიაპაზონის მქონე ეროვნული სისტემა, შესაბამისი ტექნიკური საკითხების მთელი რიგი-თი. წინამდებარე თავში აღნიშნული სისტემის მახასიათებლები განხილული იქნება შემარა-ღებული ძალების მოსამსახურეთა ადამიანის უფლებათა დაცვაზე მიმართული ფოკუსის გათვალისწინებით.<sup>507</sup> აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელო არ განიხილავს სამხედრო სასამართლოს იურისდიქციას სამოქალაქო სასამართლოზე, რასაც შეიძლება ად-ვილი ჰქონდეს ზოგიერთ ქვეყანაში, როდესაც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა წინააღმდეგ საჯაროდ ჩადენილია სამართალდარღვევის ქმედება სამოქალაქო პირების შხრიდარ. წინამდებარე სახელმძღვანელოში ჩვენ ვეხებით: სისხლის სამართლის სამარ-თალდარღვევებსა და სამხედრო დისციპლინას შორის ურთიერთდამოკიდებულებას; სახა-მართლოს ტიპს, რომელიც სამხედრო ხასიათის სამართალდარღვევებს განიხილავს; სამხე-დრო ან სამოქალაქო სასამართლოს არჩევას; ბრალდებელი და დამცველი მხარეების ად-ვოკატთა მდგომარეობას და დამოუკიდებელი აპელირების საჭიროებას.

<sup>504</sup> ენა, 1989 წელი (ეროპის უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები: პრინციპები). [წერილ სახელმწიფოები] ... უზრუნველყოფენ, რომ მდგომარეობის გამოსწორებელი სტრატეგიი საშუალებები და მათ შესახებ სრული ინფორ-მაცია ხელმისაწვდომი იყოს მათთვის, ვინც აცხადებს, რომ მათი უფლებები და ფუნქციონირება თავისუფლებები არ-დაცვა; ისინი, ინტერ ალი, ევქტურად შეკლებენ შემდეგი ზომების გამოყენებას: ... ინფორმის უფლება მინიმალის ადამიანურულად, საკანონმდებლო, ან ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებს; ... სამართლიანი და ღია მოსმენის უფლება; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის წინაშე გონივრულ დროს მიწვევებით და პირად არჩევანის საფუძველზე კანონიერ არგუმენტების წარდგენისა და იურიდიული საბე-დების მიერ წარდგინების უფლების საფუძველი; ... უფლება დროულად და ოფიციალურად იქნეს ინფორმირებული მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი მოვლესა-თვის იურიდიული საფუძველს შესახებ. ეს ინფორმაცია, როგორც წესი, წერილობითი ფორმით იქნება მიწოდებული და ნებისმიერ შემთხვევაში ის, რომ ინფორმაციის საშუალება დარჩეს, ევქტურად გამოიყენოს მდგომარეობის გამოსას-წორების შედეგობი საშუალებები.

<sup>505</sup> კოპენჰაგენი, 1990.

<sup>506</sup> Nolte, op. cit., შენიშვნა ნ, გვ. 130-175.



სისხლის სამართლის სამართალდარღვევებსა და სამხედრო დისციპლინას შორის ურთიერთდამოკიდებულება  
საქიროა განსხვავების გაანალიზება სისხლის სამართლისა და დისციპლინარულ სამართალდარღვევებს შორის, რომლებიც სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს არ წარმოადგენს. მაგალითად, ჯურთხმა ან პიროვნებაზე თავდასხმა კვალიფიკაცია როგორც სისხლის სამართლის დანაშაული მაშინ, როდესაც სამსახურებრივი ანგარიშის წარუდგენლობა ჩათვლება დისციპლინარულ სამართალდარღვევად. სამოქალაქო სასამართლებს, როგორც წესი, შეუძლიათ მხოლოდ სისხლის სამართლის სამართალდარღვევების განიხილა მაშინ, როცა სამხედრო სასამართლოს შეუძლია (ეს დამოკიდებულია კონკრეტულ სახელმწიფოზე) როგორც სისხლის სამართლის, ასევე დისციპლინარულ სამართალდარღვევების ან მხოლოდ დისციპლინარულ სამართალდარღვევების განხილვა.

სისხლის სამართლის სამართალდარღვევებსა და სამხედრო დისციპლინას შორის ურთიერთდამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის ორ სპეციფიკურ საკითხს წამოჭრის: სასამართლოს წინაშე წარმდგარი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების სისხლის სამართლის სამართალდარღვევებისათვის იღებენ თუ არა იმავე პროცედურულ დაცვას, რომლებიც სამოქალაქო პირების შემთხვევაში გამოიყენება, და ერთი და იმავე ქმედების ჩადენისათვის ექვემდებარებიან თუ არა ისინი სხვადასხვა სისტემით დასჯას.

გამოიკეთება ორი განსხვავებული ძირითადი მიდგომა. უფრო გავრცელებულია სისხლის სამართლისა და დისციპლინარულ სამართალდარღვევების ცალკეულ განსჯა. ამ მიდგომის უპირატესობა ის გახლავთ, რომ სისხლის სამართლის სამართალდარღვევების შემთხვევაში ღიად და პირდაპირ გამოიყენება იგივე პროცედურები, რომლებიც სამოქალაქო პირებს მიმართ (თუმცა აქ ცალკე ისმება აგრეთვე პრაქტიკული საკითხი, თუ რა ტიპის სასამართლო განიხილავს კონკრეტულ საქმეს). ესაა ეთიკური და ნორმეტიული დისციპლინარ სამართალდარღვევებსა (რომლებსაც განიხილავს სამხედრო სასამართლო) და ზოგად სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს (რომლებსაც განიხილავს სამოქალაქო სასამართლო) შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს. ეს მიდგომა ქმნის იმის გარანტიას, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს სამართალდარღვევების შემთხვევაში იმავენიარად უდგებიან როგორც სამოქალაქო პირებს, მაგრამ მკვეთრად სამხედრო ხასიათის მქონე სამართალდარღვევების შემთხვევაში საკმეში ხდება სამხედრო ექსპერტიზის მოხმობა. მეორე მხრივ, ამ მიდგომის უარყოფითი მხარეა ის რისკი, რომ ინდივიდუალური სამხედრო მოსამსახურე ერთი და იმავე ქმედებისათვის შეიძლება რამდენჯერმე იქნეს დასჯილი, რამდენადაც მას მიეყენება როგორც სისხლის სამართლის, ასევე დისციპლინარულ სასჯელის ზომები და, შესაძლოა, აგრეთვე პროფესიულიც (როგორცაა, მაგალითად, შვედეთში). ვარდა ამისა, ეს სადამსჯელო ზომები ერთად აღებული შეიძლება სამართალდარღვევის არაპროპორციულიც იყოს, განსაკუთრებით თუ გათვალისწინებთ და შედარებას მოვახდინებთ იმასთან, თუ როგორ ხდება ყოველივე ამის გადამწყვეტა სამოქალაქო პირების შემთხვევაში.

მეორე მიდგომა (რომლის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი) მდგომარეობს იმაში, რომ სამხედრო სასამართლოს აქვთ უფლება განიხილონ როგორც სისხლის სამართლის, ასევე დისციპლინარულ სამართალდარღვევები (შეიარაღებული ძალების 2006 წლის აქტი). ეს აღმოფხვრავს ორმაგი დასჯის პოტენციურ პრობლემას. თუმცა აქ ამ მიდგომამ შეიძლება ხაზი გაუსვას განსხვავებას პროცედურებში ასეთ სასამართლოებსა და ჩვეულებრივ სასამართლებს შორის, რომლებიც სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს განიხილავენ. ამ მოდელის სახეხვებაა, როგორც, მაგალითად, კანადაში, არის ის, რომ სამხედრო სასამართლოს აქვს უფლება განიხილოს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის სამართალდარღვევები, მაგრამ ზოგიერთი სახის სერიოზული სამართალდარღვევა (როგორცაა, ვანზაბა და წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობა) სამოქალაქო სასამართლოს პრეროგატივად დატოვოს.<sup>500</sup>

როგორც ზევით უკვე განვმარტეთ, იმ ქვეყნებში, სადაც სისხლის სამართლისა და დისციპლინარულ სამართალდარღვევებს შორის დიფერენცირება ხდება, დღის წესრიგში დგება ორმაგი დასჯის პრობლემა, რომელიც უწინააღმდეგეა როგორც კანონის მიერ დადგენილ წესებს, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებებს.<sup>501</sup> დისციპლინარული პროცედურები და სისხლის სამართალი შეიძლება განიხილებოდეს როგორც სხვადასხვა ფუნქციების განმარტებული ინსტანციები, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავი არ არის. შესაბამისად, დისციპლინარული დონისძიების მიზანი – უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების ქმედებათა ეფექტურობა, შეიძლება ყურადღებ არ იქნეს გათვალისწინებული სამხედრო სადამსჯელო ზომების მიერ, რომლებიც სურდადენის კონცენტრირებას ახდენს

<sup>500</sup> კრიმინული უშიშროების აქტი (Revised Statutes of Canada, 1985, c N-5), § 6.1.

<sup>501</sup> ICCPR: "რაიონი უნდა იქნეს განმარტებული სასამართლო ან დასჯილი სახელმწიფო სამართალდარღვევისათვის, რომლისთვისაც იგი უკვე იქნა სასჯელმისჯილი ან გამართებული ქვეყნის კანონმდებლის და სისხლის სამართლის პროცედურების თანახმად", თავი 14.7.

გარემოებებსა და ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმეზე და ამ გარემოებებს სადამსჯელო ზომის შუფარდების პარამეტრებად იყენებს (რამდენადაც საემო ორმაგ დასჯის ეხება, დისციპლინური ღონისძიება შესაძლოა, გარემოებათა მიხედვით, შედარებულ იქნეს დამქირავებლის მიერ გატარებულ ღონისძიებასთან ერთად მისი დაქირავებული მუშაკის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც აკაპარავებს, რომ ეს მუშაკი შეუფერებელია სამსახურისთვის).

მაგრამ არსებობს ასევე დამაჯერებელი კონტრარგუმენტები ამ ორი სისტემის მიზნებს შორის ზედმეტად მკვეთრი განსხვავების წინააღმდეგ. მაგალითად, გერმანიისა და ესპანეთში შეიძლება ერთზე მეტი სისხლის სამართლისა და დისციპლინური სადამსჯელო ზომის შეფარდება. დისციპლინარულ სისტემაში არსებული ზოგიერთი სადამსჯელო ზომის გამოყენება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ადგილი აქვს შესაბამისი ნესისა თუ კოდექსის დებულებათა დარღვევას. დამნაშაულის რეაბილიტაცია სისხლის სამართლის განმზილველის სასამართლოების ის მიზანია, რომელიც იხილი ხშირად ითვალისწინებენ განაჩენის გამოტანისას. გარდა ამისა, ვასათვისწინებელია ის გარემოება, რომ კონკრეტული სამხედრო მოსამსახურის პერსპექტივიდან მის მიერ თავისუფლების დაკარგვა ან მისდამი ფინანსური თუ სხვა სანქციის შუფარდება შეიძლება ბევრად მეტად მნიშვნელოვანი და ამკარა იყოს, ვიდრე ნებისმიერი მსუბუქი განსხვავება დასჯის მთავარ მიზეზებსა თუ მის ლოგიკურ დასაბუთებას შორის. ნიდერლანდები, ბელგია და დიდი ბრიტანეთი<sup>10</sup> წარმოადგენს იმ სახელმწიფოთა მაგალითებს, რომლებიც კრძალავს ორმაგ დასჯას. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო მოსამსახურებს ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულში, მისთვის იმავე ქმედებისათვის არ შეიძლება დისციპლინური სადამსჯელო ზომის შეფარდება სამხედრო სასამართლოს მიერ.

როგორც ზევით მე-2 პარაგრაფში აღენიშნავდით, ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი საკითხთაგანია, რომელიც სამხედრო დისციპლინას ეხება, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სუბორდინაციის სტრუქტურასთან მიმართებაში. ეს პრობლემა საკმაოდ მრავალნაწიანია: ვის ხელშია იურისდიქცია, ჩვეულებრივი რიგითი სასამართლოებისა თუ სამხედრო სასამართლოსი, შედიან თუ არა სამხედრო სასამართლოში სამხედრო მოსამართლები, როგორ ხდება სამხედრო სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნა, ბრალდებელი და დაცვის მხარის ადვოკატთა როლი, და როგორ ხდება შეტანილი საქმის გაძლოლა სასამართლოს მიერ. ყველა ეს საკითხი ქვევით იქნება თანმიმდევრობით განხილული.

**სასამართლოს ტიპი, კრედიტის სახედრო სამართალდარღვევის განხილვის სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის საგარეულო დარღვევის შემთხვევებისათვის განსხვავებულ სისტემას იყენებენ (იხ. სქემა 21.4).**

**სქემა 21.4**

**სისხლის სამართლის დარღვევათა საპასუხო ქმედებები**

მოდელი	ქვეყანა
ჩვეულებრივ სამოქალაქო სასამართლებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ყველა კრიმინალურ საქმეზე	დანიია, გერმანია, შვედეთი
სპეციალურ სამოქალაქო სასამართლებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია ყველა კრიმინალურ საქმეზე	იტალია, ნიდერლანდები
სამოქალაქო და სამხედრო სასამართლოების იურისდიქცია ერთმანეთს ემთხვევა	საფრანგეთი, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, აშშ
სამხედრო სასამართლებს აქვთ ექსკლუზიური იურისდიქცია კრიმინალურ და დისციპლინურ სამართალდარღვევებზე	აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლუქსემბურგი, პოლონეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა

პირველი სისტემის შემთხვევაში, სადაც ჩვეულებრივი სასამართლოები სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს განიხილავენ, შეიძლება განიხილავდნენ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებისადმი სისხლის სამართლის ბრალდების წაყენების საქმეებსაც, როგორც მაგალითად, დანიამ, გერმანიასა და შვედეთში. ეს მიდგომა მაკარად განსაზღვრული მოპყრობის, თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს ატარებს. თუმცა ამას შესაძლებელია თან ახლდეს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც, რამდენადაც სამხედრო კონტექსტში წარმოშობილი ზოგიერთი სამართალდარღვევა შეიძლება გასხილულ იქნას ისეთი მოსამართლის მიერ, რომელიც არ იცნობს სამხედრო პირობებსა და კულტურას. ასევე, შესაძლებელია, რომ სამოქალაქო სასამართლო სისტემის ჩარევამ თავისთავად უკვე უარყოფითი გავლენა იქონიოს სამხედრო ეფექტურობაზე და მოთხოვნებზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო პროცესი ხანგრძლივად გაჭიანურდება. მეორე მიდგომა, რომელიც სპეციალურად იმისათვის შეიქმნა, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ეს შესაძლო გართულებები, მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო სასამართლოებში დაარსდა სპეციალიზებული განაყოფილებები ან პროცედურები. ნიდერლანდებში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების

<sup>10</sup> დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების 2006 წლის აქტი, პარ. 66.

მიერ ჩადენილი სამხედრო ხასიათის დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის განსახილველად არსებობს სპეციალური პალატები მაშინ, როცა სისხლის სამართლის სამართალდარღვევებს სამოქალაქო სასამართლო სისტემა განიხილავს. ამ სასამართლოებში არიან მოსამართლეები, რომლებიც შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს წარმოადგენენ. საქმეები განიხილება თავდაპირველად რაიონული სასამართლოს საოქო განყოფილებაში (შემდარებით მსუბუქი სამართალდარღვევის შემთხვევებში) ან არანების რაიონულ სასამართლოში არანების სასამართლოს სამხედრო პალატისადმი პალატიით.<sup>511</sup> იტალიაში 1981 წელს უზენაესი სამხედრო სასამართლოს გაუქმების შედეგად მოხდა სამხედრო სასამართლოების სამოქალაქო სასამართლო სისტემასთან გაერთიანება, რის შედეგადაც იგი საკანსაციო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ აღმოჩნდა.

მესამე სისტემის მიხედვით, სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებს შეიძლება ერთნაირი იურისდიქცია გააჩნდეს. ასეთ შემთხვევებში შეიძლება საქმის ამ სასამართლოებს შორის გადაინაცვლება მრავალი ფაქტორის გამო, როგორცაა: სამართალდარღვევის სიმძიმე და სერიოზულობა, მისი ჩადენის ადგილი, მსხვერპლის ვინაობა და შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევები იმის ან მსხვერპლიანობის დროს. დიდი ბრიტანეთში შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ სამოქალაქო პირების წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევები, ჩვეულებრივ, სამოქალაქო სასამართლების მიერ განიხილება მაშინ, როცა სამხედრო მოსამსახურის მიერ სხვა სამხედრო პირის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის სამართალდარღვევები, როგორც წესი, სამხედრო სასამართლოში (სამხედრო ტრიბუნალზე) იქნება განხილული. ეს სისტემა ნათლად არის შემუშავებული განსაკუთრებით მძიმე და სერიოზულ შემთხვევებში დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და საზოგადოების მხრიდან ნდობის ასამყარებლად. ბელგიაში სამოქალაქო სასამართლოების მიერ განიხილება სამართალდარღვევის შემთხვევები, როცა ქვემოთაღნიშნულ სამოქალაქო პირია, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ ექვსი მოსამსახურე პირისადმი თანაბარი მიდგომა იქნება განხორციელებული. საფრანგეთში სამოქალაქო სასამართლების მიერ განიხილება შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების მიერ საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევები, ხოლო სამხედრო სასამართლოები პასუხს აგებენ სამხედრო მოსამსახურეების მიერ საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევებზე (პრაქტიკული მოსაზრებით).

დამბოლოს, ზოგიერთ ქვეყანაში მხოლოდ სამხედრო სასამართლოები აგებენ პასუხს სისხლის სამართლის სამართალდარღვევათა განხილვის ყველა ასპექტზე, მათ შორის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებზეც. ამ მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სამხედრო სასამართლოებისთვის უცხო არ არის სამხედრო ცხოვრება და ყოფა და გარე მხრიდან სამხედრო ეფექტურობაში ნებისმიერი სახის ჩარევა შეიძლება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

სამხედრო სასამართლოების აგებულება როგორც სქემა 21.5 გვიჩვენებს, არსებობს სამხედრო სასამართლოების აგებულების მრავალნაირი ფორმა. მასში სამოქალაქო ელემენტების ჩართვა ჩვეულებრივი მოქალაქეა. თუმცა სამოქალაქო მოსამართლე, სამხედრო მოსამართლესთან შედარებით, ნაკლებ ჩახედული და გათვითცნობიერებულია სამხედრო სპეციფიკასა და კონტექსტში, რომელიც ხდება დიკომინური გადაწყვეტილებების მიღება. თუმცა მისი უპირატესობა ისაა, რომ სამოქალაქო ელემენტების ჩართვა სამხედრო სასამართლოში ზრდის დამოუკიდებლობის ხარისხს და, ამგვარად, სამხედრო სამართლისადმი საზოგადოების ნდობას. სამხედრო სასამართლოებში სამოქალაქო ელემენტები გათვალისწინება გარკვეულწილად წარმოადგენს სამხედრო ხელმძღვანელების მხრიდან სამხედრო მოსამსახურეებზე ზეგავლენის თავიდან აცილების გარანტიას. იმავე შედეგის მიღწევა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მიმართვა კეთდება ისეთი სასამართლოს მხრიდან, რომელიც სამხედრო პერსონალისაგან შედგება, ისეთი სასამართლოსადმი, რომელიც სამოქალაქო ელემენტებსაც მოიცავს. ამგვარად, სამხედრო სასამართლოები შეიძლება შეუერთდნენ ერთიან სასამართლო სისტემას, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი.

**სქემა 21.5**

**სამხედრო სასამართლოებში მომუშავე პერსონალი<sup>512</sup>**

მხოლოდ სამხედრო	მხოლოდ სამოქალაქო	ორივე
ბელორუსია, ხორვატია, ირლანდია, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა, აშშ	აზერბაიჯანი, ლატვია	კანადა, ფინეთი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი

**სამხედრო სასამართლოების პერსონალის დანიშვნა**  
 ბევრ ქვეყანაში სამხედრო სასამართლოების პერსონალი ინიშნება ისევე, როგორც სამოქალაქო სასამართლოების შემადგენლობა, რაც ხშირად ხდება სახელმწიფოს მეთაურის მიერ (მაგ., ჩეხეთის რესპუბლიკაში, ესტონეთსა და ფინეთში), იუსტიციის სამინისტროს მიერ (მაგ., დანიამი) ან/და თანამდებობების გადაინაცვლების სამტოს მიერ (როგორც მაგ., ნორვეგიაში).

<sup>511</sup> Nolle, *op. cit.*, შენიშვნა 6, გვ. 630.

სხვა ქვეყნებში ამ პროცესში ჩართული შეიძლება იყოს თავდაცვის სამინისტრო (მაგ., ბორ-ვატიხა და გერმანიაში), სამხედრო სამართლის სისტემის ნევრები (ირლანდიაში) ან ეს შეიძლება მოხდეს დიფერენცირებულად ომისა და მშვიდობიანობის დროს (საფრანგეთში). როცა ამ პროცესში ჩართულია თავდაცვის სამინისტრო, ეს ზრდის დამოუკიდებლობის ხარისხს, თუ განაცხადი ეთმება უფრო მაღლა მდგომი სასამართლოს მიმართ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ არ ინიშნება, როგორც ეს ხდება გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს დანიშნვის შემთხვევაში.

**სქემა 21.6**

**სამხედრო სასამართლოების პერსონალის დანიშვნა (შერჩევითი მაგალითები)<sup>153</sup>**

<b>გერმანია</b>	სამოქალაქო მოსამართლეები სამხედრო დისციპლინურ და საპულააციო სასამართლოებში (1-ლი ინსტანციის სასამართლოები) ინიშნებიან თავდაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს სამხედრო განყოფილების სამოქალაქო მოსამართლეები პირველად ოუსტიციის ფედერალური სამინისტროს მიერ, ოუდიოლი უკრძევით საბჭოსთან ერთად და ინიშნებიან ფედერაციის პრეზიდენტის მიერ.
<b>საფრანგეთი</b>	მშვიდობიანობის დროს მოსამართლეები ინიშნებიან კონსულის მიერ, სასამართლოებში არიან მხოლოდ სამოქალაქო მოსამართლეები. მშვიდობიანობის დროს სამხედრო პერსონალისათვის რამდენიმე გამონაკლისი არ დაიშლება და ისინი განისჯებიან სამოქალაქო მოსამართლეების მიერ. ომიანობის დროს მოსამართლეები ინიშნებიან თავდაცვის სამინისტროს მიერ და სასამართლოში არიან როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მოსამართლეები.
<b>ირლანდია</b>	სამხედრო ტრიბუნალის შემთხვევაში, სამხედრო მოსამართლეები ინიშნებიან გენერალური მოსამართლე ადვოკატის მიერ, სამოქალაქო ადვოკატი ინიშნება ირლანდიის პრეზიდენტის მიერ. სამოქალაქო მოსამართლეები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ მთავრობის წინადადებების საფუძველზე.

ბრალდებული და დაცვის მხარის იურისტები გააჩნია თუ არა ქვეყანას სამხედრო პროკურორი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის სასამართლოში ხდება საქმის გარჩევა: სამოქალაქო თუ სამხედრო სასამართლოში. მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში და ნიდერლანდებში სამხედრო პერსონალის გასამართლება რიგითი პროკურორების მიერ ხდება. ბევრ სხვა ქვეყანას კი მკვეთრად აქვს განსაზღვრული სამხედრო პროკურორისა და სამხედრო სასამართლო პროცესების ინსტიტუტები. ისევე, როგორც მოსამართლისა შემთხვევაში, ეს პროკურორი არიან სამხედრო სამართლის სპეციალისტები და, შესაბამისად, კარგად იცნობენ სამხედრო რეალებს. იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი იურიდიული სისტემა პროკურორებს ფართო უფლებებს ანიჭებს ბრალდების ნაყენებისა და სასჯელის განსაზღვრის, სასამართლო პროცესის შეწყვეტის, მტკიცებულებათა გამოძიებისა და შესალოდ უვარედინი დაკითხვის თვალსაზრისით, მათი დამოუკიდებლობის საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. როგორც ჩანართი 21.7 გვიჩვენებს, ამ დამოუკიდებლობის დამცავი ზომები და შექმნილი შეიძლება იყოს კონსტიტუციური, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ხასიათის.

**სქემა 21.7**

**სამხედრო პროკურატორის დამოუკიდებლობის გარანტიები<sup>154</sup>**

<b>ქვეყანა</b>	<b>დაცვის ზომები და შექმნილზომები</b>
<b>ესტონეთი</b>	პროკურორები არიან ოუსტიციის სამინისტროს წინაშე პასუხისმგებელი სამოქალაქო პირები
<b>ირლანდია</b>	პროკურორები სამხედრო სასამართლისთვის ინიშნებიან სამხედრო პროკურატორის ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი საბჭოს შემადგენლობიდან. ისინი არ უნდა მსახურობდნენ იმავე შენაერთში, რომელიც ბრალდებული.
<b>რუსეთის ფედერაცია</b>	პროკურატორის ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებას იყენებენ სახელმწიფო ადმინისტრაციის ფედერალური ორგანოებისაგან, სახელმწიფო ხელისუფალთაგან, ადვოკატორიკი მმართველობის სტრუქტურისაგან და საზოგადოებრივი ასოციაციებისაგან დამოუკიდებლად და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ კანონების შესაბამისად. მათზე უგვალებლის მოხდენის ყველაზეაირი ფორმა ეწინააღმდეგება კანონის („პროკურატორის შესახებ“ რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 17 იანვრის ფედერალური კანონის 2202-1 თავი 4 და 5).
<b>თურქეთი</b>	პროკურორთა დამოუკიდებლობა განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-9, 138-ე, 139-ე, 140-ე, 145-ე თავებში.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ შეიარაღებული ძალების მოსამსახურებებს, რომელთაც ბრალი ედებათ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულები ან სერიოზულ დისციპლინურ სამართალდარღვევებში, უფლება აქვთ გამოიყენონ დამოუკიდებელი იურიდიული კონსულტანტის ან წარმომადგენლის მომსახურება. სამხედრო იურისტის მიერ ბრალდებულ-

<sup>153</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 9.  
<sup>154</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 10.  
<sup>155</sup> ODIHR-DCAF კითხვარი, საკითხი 11.ბ.

ლის სურვილის საწინააღმდეგოდ დაიცვის წარმოება ან მისთვის წარმოადგენლის დანიშვნა კონვენციის დარღვევად ჩაითვლება. თუმცა ეს ეხება სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევებს ან ისეთ დისციპლინურ გადაცდომას, რომელსაც მსგავსი შედეგები მოჰყვება (რა ყველა დისციპლინური სახის დარღვევას) და – იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მიაწერეს აღნიშნულ კონვენციას. თავდაცვის მხარის ადვოკატების დამოუკიდებლობის დამატებითი გარანტი ასეთ შემთხვევებში ადვოკატის პროფესიული მოვალეობებია, როდესაც ის კლიენტს წარმოადგენს ადვოკატთა ქვეყნის კოდექსის შესაბამისად. ადვოკატისა და კლიენტის პრივილეგია შეიძლება ერთ-ერთი პოზიტური საშუალება იყოს მეთაურთა გაფრთხილების წინააღმდეგ, ისეთ შემთხვევებში, სადაც დაიცვის ადვოკატი შეიარაღებული სამსახურის წევრია.

#### აპელაციები სამხედრო სასამართლოში

სამხედრო სასამართლოდან სამოქალაქო სასამართლოში აპელაციის შეტანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარანტიო ფორმაა. ის გეგმარება დავრწმუნდეთ, რომ დაბალი რანგის სასამართლო ემორჩილება და იცავს ზოგადად კანონმდებლობას. აღნიშნული ასევე ხელს უწყობს პროცედურული შეცდომების გამოსწორებას, იმ ნაკლოვანებების ჩათვლით, რაც შეიძლება წარმოიშვას სამხედრო ხელმძღვანელების გულების ზემოქმედებით. შესაბამისად, სამხედრო სასამართლოს ინტეგრაცია სამოქალაქო საკანონმდებლო სისტემაში მნიშვნელოვანი გარანტია მართლმსაჯულების საქმეში შესაძლებელი დამტკიცებელი შეცდომების გამოსწორებლად და, ამასთან ერთად, ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის გაზრდას სამხედრო სასამართლოდამცავი სისტემების მიმართ. რამდენადაც სამხედრო საბოლოოდ სამოქალაქო კონტროლის ქვეშ გადადის, შეიძლება საკამათო გახდეს, თუ რამდენად გამართლებულია სამხედრო სასამართლოს სამოქალაქო სასამართლოს სისტემაზე დაქვემდებარება.<sup>515</sup> უფრო მეტიც, სისხლის სამართლებრივი ბრალდებების შემთხვევაში განაჩენის ან სასჯელის განაჩენის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულებებით, თუმცა მათში განსაზღვრული არ არის სააპელაციო სასამართლოს ტიპი.<sup>516</sup> რამდენადაც ნაკლებად სერიოზულ დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით დასჯას რანგით მაღლა მდგომი ოფიცერი ახორციელებს, ასეთ შემთხვევებში აპელაცია პირველ საშუალება იქნება ოფიციალური მოსმენისათვის, პროცედურული დაცვის მექანიზმების თანხლებით.

პრაქტიკაში, ქვეყნებში აპელაციების წარდგენის სხვადასხვა საშუალებები არსებობს.<sup>517</sup> ერთ-ს წევრი ქვეყნების მცირე რიცხვითა ისეთი, სადაც აპელაციის წარდგენა მხოლოდ უფრო მაღალი რანგის სამხედრო სასამართლოშია შესაძლებელი. თუმცა, უმეტეს ქვეყნებში საბოლოო განაჩენის მიყვარებელი უზენაეს სასამართლომდე,<sup>518</sup> თუმცა ხანდახან შეზღუდული პირობებით. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, აშშ-სა და კანადაში) არსებობს უშუალო აპელაციის სამხედრო სასამართლოში, რომელსაც სხვადასხვა სამსახურებრივ განმტკიცებებს შორის შესაბამისობის დაცვის ფუნქცია გააჩნია.

#### 4. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

- იმ შემთხვევებში, როცა სამოქალაქო და სამხედრო სასამართლოები ინანილებენ იურისდიქციას, იურისდიქციის თავის თავზე აღების არჩევის უფლება სამოქალაქო სასამართლოს უნდა რჩებოდეს; დაიცვის ზომები და მექანიზმები უნდა იქნეს მობილიზებული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა ერთი და იმავე ქმედებისათვის ორმაგად დასჯის თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლისა და დისციპლინური პროცესების დროს; საქმის წარმოებაში ჩართული უნდა იყვნენ ის სამხედრო მოსამართლეები და პროკურორები, რომლებმაც სხვა დამოუკიდებელ სამსახურებსა და დანაყოფებს წარმოადგინეს, რომლებიც არ მსახურებენ იმავე დანაყოფსა თუ შენაერთში, რომელშიც ბრალდებულია. სასურველია, ისინი დაინიშნონ იუსტიციის სამინისტროს ან პროკურატურის მიერ. სამხედრო მოსამართლეების დანიშვნისას განსაზღვრული უნდა იყოს მათი თანამდებობაზე ყოფნის გარანტიები; მოსამართლეები და პროკურორები დაცული უნდა იყვნენ სამხედრო სასამართლო სისტემის სუბორდინაციის სტრუქტურის ჩარევისაგან; სამხედრო სასამართლოში დასაცავ პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, არჩევანისამებრ, იურიდიულ კონსულტაციასა და წარმომადგენლობაზე და თუ მათ არ შეუძლიათ ამ უფლების გამოყენება გადამხდელუწარობის გამო, მათ უნდა მიეცეთ იურიდიული დახმარების უფლების უფასოდ გამოყენების საშუალება არანაკლებ, ვიდრე ეს ხდება, ჩვეულებრივ, სისხლის სამართლის სამოქალაქო პროცესებზე; როდესაც სამართალდარღვევა სამხედრო სასამართლოში განიხილება და არა – სამოქალაქოში, სამხედრო სასამართლოებმა თავიანთ წევრთა რიგებში უნდა შეიყვანონ სამოქალაქო მოსამართლეები პირველად ინსტანციებზე, თუ საქმე საჩივრდება, ის უნდა განიხილოს სამოქალაქო სასამართლომ. ნებისმიერ შემთხვევაში, საბოლოო აპელაცია უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო სასამართლო სისტემაში.

<sup>515</sup> Rowe, *op. cit.*, შენიშვნა 4, გვ. 87.

<sup>516</sup> ICCPR, მუხლი 14.5; ევროპის ადამიანთა უფლებებისა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის პროტოკოლი No. 7, მუხლი 2.

<sup>517</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 14.

<sup>518</sup> პოლონეთის გააჩნია უზენაეს სასამართლოსთან არსებული სამხედრო პალატა.

ომბუდსმენი არის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას საზოგადოებრივ ადმინისტრირებაზე და ეხმარება მათ იმის დარწმუნებაში, რომ ეს უკანასკნელი იცავს მართვის შესაბამის პრინციპებს და მეთოდებს, დაკავებულია რა საზოგადოების მხრიდან შემოსული საჩივრების განხილვით საზოგადოების ადმინისტრირების დროს მიღებული გადაწყვეტილებების, ქმედებებისა და ადმინისტრირების დროს დაშვებული შეცდომების შესახებ.

წინამდებარე თავში ძირითადად განხილულია სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტები და შენაბამისი სპეციფიკა. ის იკვლევს ამ ინსტიტუტის არსებობის მნიშვნელობას შეიარაღებული ძალების ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში მშვიდობიანობის დროს და მის წვლილს შეიარაღებული ძალების ეფექტურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებაში. დასასრულს, მოყვანილია ომბუდსმენის ფუნქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა მიდგომები, შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების განხილვით.<sup>519</sup>

## 1. მართულობა

რატომ არის საჭირო ომბუდსმენი? მიუხედავად სამხედრო სისტემაში არსებული საჩივრების პროცედურებისა, სხვადასხვა ქვეყნებს მთელ მსოფლიოში ჰყავთ ომბუდსმენი, რომელიც განიხილავს სხვადასხვა საჩივრებს სამხედრო სამსახურში ჩაგვრის და არასწორი მოპყრობის შესახებ, აგრეთვე სამხედრო სისტემაში არსებულ ნაკოვანებებსა და არსებულ სისტემატიურ პრობლემებს. საჩივრების გამოძიების შემდეგ ომბუდსმენი შეიმუშავებს რეკომენდაციებს არასწორი ქმედებების გამოსწორების შესახებ. ამ კონტექსტში, ომბუდსმენის მნიშვნელობის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა ასპექტებში:

1. მის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი კონტროლი ზრდის სამხედრო სექტორის მიმართ ნდობას, ხდის რა ადმინისტრაციულ პროცესს უფრო გამჭვირვალეს, სამხედრო სუბორდინაციის სტრუქტურის ავტორიტეტის შებღაღის გარეშე;
2. როგორც დამოუკიდებელი მაკონტროლებელი, ის ხელს უწყობს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლს. ის აძლიერებს სწორი მართვის პრინციპებს, სამოქალაქო კონტროლს, კანონის უზენაესობას და ადამიანი უფლებების დაცვას ყაზარმებში;
3. ომბუდსმენი განსაკუთრებით იცავს შეიარაღებული ძალების ინდივიდუალური მოსამსახურეების უფლებებს, უზნააღმდეგება რა ძალადობის, ძალაუფლების არასწორად გამოყენების და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევებს;
4. ომბუდსმენს შეუძლია დაეხმაროს სამხედრო ხელმძღვანელ პირებს შიდა ცვლილებების დანერგვაზე და შეიარაღებული ძალების შიდა ფუნქციონირების გაუმჯობესებაში;
5. შედეგად, ომბუდსმენმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სამხედრო მოსამსახურეების ცხოვრების ხარისხზე, მათ მორალზე, ან *esprit de corps*, რაც, თავი მხრივ, ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეების კადრების შენარჩუნებას არსებული კრიტიკული სიმციროის ვითარებაში.<sup>520</sup>

## 2. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებები

უთო-რამდენჯერმე დაადსტურა ომბუდსმენის ინსტიტუტის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში, სამხედრო კონტექსტზე ყურადღების გააქვების გარეშე. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ომბუდსმენის როლს უმცირესობებისა<sup>521</sup> და გენდერულ<sup>522</sup> საკითხებთან მიმართებაში (იხ. სექმა 22.1).

<sup>519</sup> მიუხედავად ამ საკითხის უზარმაზარი მნიშვნელობისა ეს თავი არ ეძღვნება ომბუდსმენის საქმიანობებს და მის შესაბამისი კომპეტენციებს ომში და სამშვიდობო ოპერაციების დროს.

<sup>520</sup> A. Marin, "ზედმდენებითი კონტროლი": ომბუდსმენი თეთრი ძაღლი", 30 მარტი 2005, შეგიძლიათ იხ: <http://www.ombudsman.forces.gc.ca/rep-rap/r-r/rlwp-lb/index-eng.asp>.

<sup>521</sup> გადაწყვეტილება №3/30: უთო-რამდენჯერმე რომასა და სინტის სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული ქმედების გეგმის დამატება. მასკრიბიტი, 2003 წელი.

<sup>522</sup> გადაწყვეტილება № 14.04-ის დამატება: 2004 უთო-რამდენჯერმე გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში, სოფია 2004.

**ეთო-ს ვალდებულებები ომბუდსმენის შესახებ: შერჩეული მაგალითები**

გადანყევითლება №3/30: ეთო-ს ფარგლებში რომასა და სინტის სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული ქმედებების გეგმის დამატება (მაასტრიხტი, 2003)

ეთო-ს ინსტიტუციებისა და სტრუქტურების მიერ რეკომენდირებული ქმედებები:

22. ODIHR, სადაც შესაფერისია, ეთო-ს სხვა ინსტიტუციები და სტრუქტურები, ეთო-ს გარე ოპერაციები, მოთხოვნისამებრ, დაეხმარება წერს სახელმწიფოებს ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავებაში ისევე, როგორც ანტი-დისკრიმინაციული ორგანიზაციების დაარსებაში ...

22. მოთხოვნისამებრ, ODIHR უზრუნველყოფს რეკომენდაციების მიწოდებას წერს ქვეყნებში არსებულ ისეთი მექანიზმების შექმნა-გაუმჯობესებისათვის, როგორც არის ომბუდსმენის სამსახურები, დისკრიმინაციასთან ბრძოლის კომისიები, პოლიციის დისციპლინური კომისიები და სხვა მსგავს ორგანიზაციებს, და გაუწევს კონსულტაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღკვეთონ დაძაბულობა რომასა და სინტის საზოგადოებებს შორის.

გადანყევითლება №14.04-ის დამატება: 2004 ეთო-ს ქმედებების გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის საქმეში (სოფია, 2004)

44 (გ) ეროვნული მექანიზმების შექმნა ქალთა წინსვლისა და განვითარების საქმეში: ODIHR გააგრძელებს დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის, როგორც არის ომბუდსმენის სამსახურები, ნოუ-ჯაუს და დახმარების მინორიტეტებს, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე.

**3. ომბუდსმენის ფუნქციის მიმართ სხვადასხვა მიდგომები**

ომბუდსმენის სტრუქტურასთან დაკავშირებით და კომპეტენციის თვალსაზრისით არსებობს 4 მთავარი მოდელი:

- ქვეყნები, სადაც არ არის სამხედრო ომბუდსმენი (მაგალითად, სლოვაკეთი, ესპანეთი);
- ქვეყნები, სადაც სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტი გაერთიანებულია სამხედრო სისტემასთან, გენერალ-ინსპექტორის სახით (მაგ., ნიდერლანდები, ბელგია);
- ქვეყნები, სადაც სამოქალაქო ომბუდსმენის მოვალეობები შედის სამხედრო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები (მაგ., შვედეთი, დანია, პოლონეთი);
- ქვეყნები, რომლებსაც აყვავებული დამოუკიდებელი სამხედრო ომბუდსმენი (მაგ., გერმანია, კანადა, ირლანდია).

ქვეყნები, რომლებსაც არ აყვავებული სამხედრო ომბუდსმენი

ქვეყნების უმეტესობას არ აყვავებული სამხედრო ომბუდსმენი. ამ მიდგომის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ ის ძირითადად ეყრდნობა სუბორდინაციის სტრუქტურას დისციპლინის ადმინისტრირების საქმეში სამხედრო კატეგორიების ფარგლებში. არსებობს რისკი იმისა, რომ სამხედრო მისამსახურების ჩაგეგმვა და ცუდი მოპყრობის შემთხვევები დაუსჯელი დარჩეს შიდა დისციპლინური პროცედურების უნდობლობის და/ან სამხედრო ხელმძღვანელების მხრიდან შერჩევითი შიშის გამო; შესაბამისად, სამხედრო მისამსახურთა ადამიანის უფლებათა დაცვა შეიძლება რისკის ქვეშ დადგეს. სამხედრო ომბუდსმენის არარსებობა ხშირად გამოწვეულია სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან ასეთი დამოუკიდებელი საჩივრების განხილვის მექანიზმის შემოღების მიმართ დიდი ნინაზიანობის გამო. გაერთიანებული სამეფოში, მაგალითად, Deepcut-ის ყაზარამში 4 რეკრუტის სიკვდილის შემდეგ ადგილი ჰქონდა ინტენსიურ მსჯელობას შეიარაღებული ძალების გარეთ ალტერნატიული დამოუკიდებელი კონტროლის მსჯელობების დაარსების მიზნით. მიიღივებლობაზე. თმთა პალატის თავდაცვის კომიტეტისა<sup>322</sup> და ბოლოდროინდელი Deepcut განხილვის ანგარიშის<sup>323</sup> მიერ რეკომენდირებულ იქნა სამხედრო ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება საჩივრების სრულყოფილი გამოძიების ჩატარების უფლებით და დამავალდებულებელი განჩინების გამოძიების უფლებამოსილებით. თუმცა თავდაცვის სამინისტრომ არ გაითვალისწინა ეს რეკომენდაცია ძირითადად იმის გამო, რომ სამხედრო სამსახურში უკვე არსებობდა ისეთი პროცედურები, რომლებიც დაკავებული იყვნენ ამ საკითხების მოგვარებით.<sup>324</sup>

<sup>322</sup> "ზრუნვის ვალდებულება," 2004-2005 წლების მესამე ანგარიში, თმთა პალატის არჩეული კომიტეტი, 3 კარტი 2005, რეკომენდაციები 112, შეიძლება იხილოს: <http://www.publications.parliament.uk/pa/cm200405/cma-lec/cmnfence/63/6302.htm>.

<sup>323</sup> Blake, *op. cit.*, შინაგან 380, თავი 12, გვ. 400-403.

<sup>324</sup> 2004-5 წლის სესიის, "მთავრობის პასუხი თმთა პალატის თავდაცვის კომიტეტის მესამე ანგარიშზე", ზრუნვის გამოძიების მოვალეობის შესახებ", თავდაცვის სამინისტრო, გაერთიანებული სამეფო, ივნისი 2006. შეიძლება იხილოს: <http://www.mod.uk/NR/rdonlyres/25DDEF96-F9E8-4C70-8B83-8EE8BCD5496/0/GovtResponseToTheDeepcutReview.pdf>.

ასევე უკუგდებულ იქნა შეთავაზება საპარლამენტო რწმუნებულის ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რომ ნება მიეცათ მისთვის დაკავებულყო სამხედრო მოსამსახურეების საჩივრებით ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით.<sup>526</sup> სამაგიეროდ, 2006 წლის კანონმდებლობით შეიქმნა სამხედრო საჩივრების კომისარია, რომელსაც ნიშნავს თავდაცვის მინისტრი. სამხედრო საჩივრების კომისიის შოვალეობაში შედის სამხედრო სისტემაში საჩივრების წარმოებაზე ზედამხედველობა და თავდაცვის მინისტრის წინაშე წლიური ანგარიშების წარდგენა გამოსასწორებელი პროცედურების განხორციელების შესახებ.<sup>527</sup>

ქვეყნები, სადაც ომბუდსმენის თანამდებობა გაერთიანებულია სამხედრო სისტემასთან სამხედრო ხელმძღვანელობა ხშირად უპირატესობას ანიჭებს კონტროლის ისეთ მექანიზმს, რომელიც ინტეგრირებულია სამხედრო სამსახურთან, რამდენადაც ის ხშირ შემთხვევაში უფრო გაგებით ეკიდება მეთაურობის სპეციფიურ და კონტროლის საკითხებს და ითვალისწინებს სამხედრო ოპერატიული ეფექტიანობის დაცვის აუცილებლობას; უფრო მეტიც, მას, როგორც სპეციალისტს, გააჩნია სამხედრო ცხოვრებისა და საკითხების მეტი ცოდნა. თუმცა, მეორე მხრივ, ინტეგრირებული მექანიზმები შეიძლება ნაკლებ დამოუკიდებელი იყოს, რამდენადაც ის სამხედრო იერარქიის კონტროლქვეშაა. ეს კი, თავის მხრივ, შესუსტებს საჩივრის ლეგიტიმურობას მომჩივნების თვალში. გენერალ-ინსპექტორი, როგორც ამ მექანიზმს ზოგადად ეძახიან, დაკავშირებულია ოპერატიულ საკითხებთან, და ამ თანამდებობაზე დანიშნული პირი ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურეა. ეს არის ნიდერლანდების მაგალითი, სადაც შეიარაღებული ძალების ინსპექტორს შეთავსებული აქვს ორივე – მრჩეველისა და შუამავლის ფუნქცია; მას ავრთვებ აქვს ეტერანთა ინსპექტორის ფუნქცია (იხ. სქემა 22.2). ამ შიგნით მთავარი ნაკლია ის, რომ სამხედროები საკუთარ თავს თავად აკონტროლებენ, რამაც შეიძლება ინტერესთა პოტენციური კონფლიქტი გამოიწვიოს და გაცემული რეკომენდაციების მიმართ რწმენა დააქნინოს.

## სქემა 22.2

### ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების გენერალ-ინსპექტორი (IGK)<sup>528</sup>

#### IGK-ის თანამდებობა

IGK-ის თანამდებობა უშუალოდ თავდაცვის მინისტრის დაქვემდებარებაშია, რაც ნიშნავს იმას, რომ მას დაკავებული აქვს დამოუკიდებელი თანამდებობა თავდაცვის ორგანიზაციაში. ამოცანებისა და შოვალეობის შესრულების უზრუნველსაყოფად IGK-ს ხელი მიუწვდება თავდაცვის ორგანიზაციის ყველა ელემენტზე და, ამავდროულად, ის უფლებამოსილია შეამოწმოს დოკუმენტაცია და დაეხსროს თათბირებს.

#### IGK-ის საქმიანობა

IGK-ის შოვალეობებში შედის კონკრეტულ შემთხვევებში შუამავლის ფუნქციის შესრულება, როდესაც საქმე ეხება ნიდერლანდების შეიარაღებული ძალების (ყოფილი) მოსამსახურეების მიერ პირადად ან კონკრეტული ინდივიდის, ან მისი ნათესავების სახელით, წარდგენილ საჩივრებს.

#### რა შემთხვევაშია IGK უფლებამოსილი შეასრულოს შუამავლის ფუნქცია?

IGK შუამავლის ფუნქციის ასრულებს ისეთ ინდივიდუალურ შემთხვევებში, რომლებიც დაკავშირებულია თავდაცვის ორგანიზაციასთან. IGK-სთვის მიმართვა აგრეთვე შესაძლებელია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა არასწორი საქციელი, უპატივცემულო ყოფაცქევა კოლეგების მიმართ და სხვა. პრინციპში, ის არ არის დაკავებული ისეთი საკითხებით, სადაც კანონით გათვალისწინებული პროცედურებია დანიშნული და რაზედაც განაჩენი უკვე გამოტანილია.

განაჩენის გასაჩივრებისთვის დაშვებული პერიოდის შეცვლა არ შეიძლება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ IGK-ს საბოლოო შუამავლის როლის შესრულება. IGK არ იღებს გადაწყვეტილებებს კანონის დარღვევების შემთხვევაში. საჭიროებისდა მიხედვით, ასეთ საქმეებს ის გადაუზავნის სამეფო სამხედრო პოლიციას.

ბელგიაში, გენერალ-ინსპექტორ-მედიატორი ხელმძღვანელობს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამსახურს. მისი კომპეტენციები აღწერილია სქემაში 22.3.

<sup>526</sup> *Blaes, op. cit.*, შენიშვნა 380, პარაგრაფი 8.

<sup>527</sup> შეიარაღებული ძალების აქტი, სექციები 336 და 339, [http://www.opml.gov.uk/scis/scis2006/ukpgs\\_20080052\\_01\\_21](http://www.opml.gov.uk/scis/scis2006/ukpgs_20080052_01_21).

<sup>528</sup> ნიდერლანდების ომბუდსმენის შესახებ იხ. ვებგვერდი: <http://www.mindf.nl/ministerie/igk/english>.



## სქემა 22.3

### ბელგიის შეიარაღებული ძალების გენერალ-ინსპექტორ-მედიატორი (IGM)<sup>47</sup>

#### IGM-ის თანამდებობა

IGM თავდაცვის მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაშია, რაც ნიშნავს, რომ მას უკავია დამოუკიდებელი თანამდებობა თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში. საქირობის შემთხვევაში ის ანგარიშს წარუდგენს სამხედრო ხელმძღვანელს. IGM ხელმძღვანელობს გენერალური ინსპექციის სამსახურს.

#### უფლებამოსილება

- გამოიძიოს/შეისწავლოს შეიარაღებულ ძალებში მოქმედი ნებისმიერი სამხედრო ან სამოქალაქო მოსამსახურის საჩივარი თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში ნებისმიერი სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
- იშუამავლოს მომჩივანსა და თავდაცვის სამინისტროსთან;
- მიიღოს ოფიციალური საჩივრები სამსახურში ძალადობისა და ფსიქოლოგიური ან სექსუალური შეურაცხყოფის შესახებ და ისინი გადაუგზავნოს პრევენციის მრჩეველს, როდესაც მომჩივანი უარს აცხადებს მედიაციაზე;
- განახორციელოს სპეციალური ან რეგულარული შემოწმებები და გამოძიებები;
- ანგარიში წარუდგინოს თავდაცვის მინისტრს და თავდაცვის ხელმძღვანელს; – ამ უკანასკნელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საფრთხის ქვეშ არ ჩაადგება გამოძიების მიმდინარე ან დაგეგმილ პროცესებს.

#### გამოძიება მედიაციის საპირისპიროდ

მიღებული საჩივრების საფუძველზე, IGM-ს შეუძლია შეისწავლოს საჩივარი იმ იშუამავლოს მოსარჩელესა და თავდაცვის სამინისტროს სამსახურებს შორის. ეს ორი საქმიანობა რადიკალურად განსხვავებულია და არასდროს იმართება ერთდროულად. იმ შემთხვევაში, თუ მედიაციამ არ გააძარტოლა, IGM უფლებამოსილებას გადასცემს კომისიას, რომელიც საქმის გამოძიებით დაკავდება. გამოძიების კომისიას უფლება არ აქვს ინფორმაცია მიიღოს მედიაციის კუთხით განხორციელებული საქმიანობების შესახებ.

#### წლიური ანგარიში

IGM-ის წლიური ანგარიში ეგზავნება თავდაცვის მინისტრს. IGM-ის წლიურ ანგარიში არ შეიცავს რაიმე სახის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება მომჩივანის იდენტიფიცირება.

#### ადგილობრივი მედიატორების როლი

IGM-ის მუშაობას ხელს უწყობს მთელი რიგი ადგილობრივი მედიატორების ქსელი. ისინი არიან შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები, რომლებიც შუამავლობენ მოსარჩელესა და სამსახურს შორის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. ადგილობრივი მედიატორების ოფიციალური სტატუსია მრჩეველი.

ქვეყნები, სადაც სამოქალაქო ომუდსმენი ზედამხედველობას უწევს სამხედრო სისტემასაც ზოგ ქვეყნებში, სამხედრო კონტროლის ფუნქცია სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის ნაწილია, მაგალითად, როგორც ეს არის შვედეთსა და პოლონეთში. სამოქალაქო ომუდსმენის უპირატესობა არის ის, რომ ის გამოკეთილად დამოუკიდებელია და უზრუნველყოფს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის თანაბრად მოპყრობას. მორე მხრივ, სამოქალაქო ომუდსმენს შეიძლება არ გააჩნდეს სპეციალური ცოდნა და, შესაბამისად, ნაკლები ნდობით სარგებლობდეს სამხედროებში. ამასთან, საქმიანობის ფართო სექტორში შეიძლება მნიშვნელოვან დაყოვნოს საქმეების გადაწყვეტა. ამ პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ომუდსმენის სამსახურში სხვადასხვა სპეციალიზაციების წარმოდგენის საშუალებით, მაგალითად, ომუდსმენის მოადგილის დანიშვნა, რომელიც კონკრეტულად სამხედრო საკითხებით იქნებოდა დაკავებული.

მსგავსი სიტუაციაა, მაგალითად, შვედეთში, სადაც ომუდსმენის სამუშაო დაყოფილია რამდენიმე მიმართულებად სხვადასხვა სფეროების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების, არასამხედრო ეროვნული სამსახურისა და თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებული სხვა საკითხებზე.<sup>48</sup>

<sup>47</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი. საკითხი 4; გენერალური ინსპექციის სამსახურის წლიური ანგარიში, 2004. იხილეთ: [www.mil.be](http://www.mil.be).

<sup>48</sup> იხილ. შვედეთის პარლამენტის ომუდსმენი, [http://www.jo.se/Pages.aspx?MenuId=3&MainMenuId=12&ObjectClass=DynamX\\_Persons&Language=en](http://www.jo.se/Pages.aspx?MenuId=3&MainMenuId=12&ObjectClass=DynamX_Persons&Language=en).

შვედეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 1915 წელს დარსსა ომბუდსმენის სამსახური სამხედრო საკითხებში. მოგვიანებით, 1980-იან წლებში, შვედეთის სამხედრო სისტემის რეფორმისთან ერთად, სამხედრო ომბუდსმენის ფუნქციები შეითავსა საპარლამენტო ომბუდსმენმა (იხ. სქემა 22.4).

## სქემა 22.4

### შვედეთი: სამოქალაქო ომბუდსმენი ზედამხედველობას უწევს სამხედროებს<sup>531</sup>

შვედეთის შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს უფლება აქვთ საჩივროთ ან უკმაყოფილების წერილით მიმართონ საპარლამენტო ომბუდსმენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამონაწერი შეიძლება სამხედრო საჩივრების სისტემის შესაძლებლობებს. ის სამხედრო მოსამსახურეები, ვისი საჩივარიც დაკმაყოფილებული არ იქნება მიდაუწყებრივ დონეზე პირდაპირი აპელაციის გზით, დანაყოფების ოფიცრებიდან დაწყებული სამხედრო მეთაური დამთავრებული, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა ეროვნულ საბჭოზე, უფლებამოსილია მიმართონ საპარლამენტო ომბუდსმენს. ოფიცრმა საჩივარი შეიძლება წარადგინოს სუბორდინაციის გაკლით მთავარსარდალთანაც კი. თუ ამ უკანასკნელმაც არ მიიღო მომჩივანისთვის მისაღები გადაწყვეტილება, საჩივარი ეგზავნება საპარლამენტო ომბუდსმენს.

პარლამენტის ომბუდსმენი უფლებამოსილია დაათვალიეროს და ესტუმროს შეიარაღებული ძალების დანაყოფებს საჩივრების შესასწავლად და გამოსაძიებლად ან უბრძოლვად სამხედროებთან ან სამოქალაქო პერსონალთან გასაუბრების მიზნით. ბოლო პერიოდში, მხოლოდ ათამდე საქმემ მიაღწია პარლამენტის ომბუდსმენამდე.

დანიამი ჩამოყალიბდა კონსულტაციების სისტემა დახმარებისა და რჩევის მიწოდების მიზნით იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის, რომლებსაც მაიჩნიათ, რომ დისკომინაციის მსხვერპლი გახდნენ, ან რომლებიც დადანაშაულებულები არიან დისკრიმინაციაში.

სისტემა შედგება არასამხედრო ინსტანციებში მომუშავე მრჩეველებისგან. ისინი მრჩეველის ფუნქციას ახორციელებენ სხვა მოვალეობებისა და საქმეების პარალელურად და ანგარიშვალდებული არიან არმიის ხელმძღვანელობის მთავარი მრჩეველის წინაშე. მრჩეველები მომჩივნებს უხსნიან იმ სამოქმედო გზას, რაც დაკავშირებულია გასაჩივრების პროცედურებთან, ან აუცილებლობის შემთხვევაში ეხმარებიან დაინტერესებულ პირებს საჩივრის შედგენაში ინსტანციების პროცედურების გათვალისწინებით. ეს სისტემა არ წარმოადგენს გარე დამოუკიდებელ საჩივართა განხილვის საშუალებას.

ზემოაღნიშნული სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ჯარისკაცთა უფლებები შეუსაბამოდ არ იყოს დიფერენცირებული, ზოგადად, მოსახლეობის უფლებებისგან. ომბუდსმენის ფუნქციის ერთ ოფისში კონცენტრაცია შეიძლება ყველავფეროვან ერთად ნაკლებ ხარვეზში იყოს დაკავშირებული, ვიდრე რამდენიმე სპეციალიზირებული სამსახურის შენახვა. ამავე დროს, სამოქალაქო კონტროლის მექანიზმს შეიძლება არ გააჩნდეს აუცილებელი კომპეტენცია და ცოდნა თავდაცვის სექტორის საკითხებთან დაკავშირებით, და შეიძლება არ გააზარტოს ფართო სექტორის საშუაოს გამო - სიღრმისეულად ვერ შეძლონ სამხედრო მოსამსახურეების წინაშე მდგომ სპეციფიურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება.

### ქვეყნები, რომლებსაც დამოუკიდებელი სამხედრო ომბუდსმენი ჰყავთ

დამოუკიდებელი სამხედრო ომბუდსმენი, როგორც ცალკე ინსტიტუტი, გათვალისწინებულია რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობით, როგორც არის პარლამენტის ომბუდსმენი ნორვეგიის შეიარაღებულ ძალებში, ჯერმანიის შეიარაღებული ძალების საპარლამენტო რწმუნებულნი, კანადის ძალების ეროვნული დაცვის ომბუდსმენი ან ირლანდიის თავდაცვის ძალების ომბუდსმენი.

სამხედრო საკითხებში სპეციალური განათლების გარდა, დამოუკიდებელი სამხედრო ომბუდსმენის უპირატესობა არის მისი სანდოობა მოსარჩელეთა, პარლამენტისა და საზოგადოების თვალში, ხოლო მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ ამ უწყების შენახვა შეიძლება საკმაოდ დიდ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული.

ნორვეგიის შეიარაღებული ძალების პარლამენტის ომბუდსმენის ინსტიტუტი დაარსდა 1952 წელს, როგორც პირველი სამხედრო საპარლამენტო ომბუდსმენი ყველმსოფლიოში. ომბუდსმენი არის ომბუდსმენის კომიტეტის ხელმძღვანელი, რომელიც შედგება 7 წევრისაგან. ომბუდსმენი და ომბუდსმენის კომიტეტი ნორვეგიის პარლამენტის ორგანოებია. მათ ირჩევენ პარლამენტი და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულებაც პარლამენტის წინაშე აქვთ. ომ-

<sup>531</sup> იხ. შვედეთის პარლამენტის ომბუდსმენი ვებ-გვერდი: <http://www.jo.se>.

ბუდსმენი არის მიუჯერებელი და დამოუკიდებელი უწყება თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო ხელისუფლებისაგან. ომბუდსმენი იცავს შეიარაღებული ძალების მოქმედ და ყოფილი მოსამსახურეების უფლებებს.<sup>822</sup> სექტემბერში 22.5 შეჯამებულია ომბუდსმენის მთავარი ფუნქციები.

## სექცია 22.5

### ნორვეგიის შეიარაღებული ძალების პარლამენტის ომბუდსმენი<sup>823</sup>

- ომბუდსმენი უფლებამოსილია მოთხოვნის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით დაიწყო გამოძიება ნებისმიერი ისეთი საქმისა, რამაც შეიძლება ის დაინტერესოს;
- სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის საკითხი ან გარემოება ექვემდებარება ომბუდსმენის განხილვას;
- ომბუდსმენი უფლებამოსილია ჩაერიოს ნებისმიერ საკითხში, მიუხედავად იმისა, თუ ხელისუფლების რა ემელონები არიან მასში გარეული;
- ომბუდსმენს ხელი მიუწვდება ყველა დოკუმენტსა და ინფორმაციაზე და უფლება აქვს მოუსმინოს მონაშენებსა და ექსპერტებს;
- ომბუდსმენის კომიტეტი ამონშებს სამხედრო დანაყოფებს ქვეყნის ფარგლებში და მის გარეთ (საზღვარგარეთ);
- ომბუდსმენი უგზავნის ინსპექციის პროტოკოლებს შესაბამისი რეკომენდაციებით თავდაცვის სამინისტროს, თავდაცვის უფროსს ან სხვა სამხედრო უფლებამოსილ ხელისუფლებას;
- ომბუდსმენს ნებისმიერ დროს უფლება აქვს საკითხის შესახებ მოხსენებით მიმართოს პარლამენტს;
- ომბუდსმენი მოქმედებს როგორც პარლამენტისა და თავდაცვის სამინისტროს შერეული მისი კომპეტენციების ფარგლებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით;
- ომბუდსმენის კომიტეტი ნლოურ ანგარიშს წარუდგენს პარლამენტს.

გერმანიის სამხედრო საპარლამენტო რწმუნებულის (გსსრ) ინსტიტუტი ჩამოყალიბდა 1959 წელს, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გერმანიის შეიარაღებული ძალების აღდგენის შესახებ.<sup>824</sup> გსსრ გერმანიის ბუნდესთაგის დამხმარე ორგანოა. მას ირჩევა და ანგარიშვალდებულია ბუნდესთაგის წინაშე. გსსრ, რომელიც არ არის ბუნდესთაგის წევრი, შეუძლია იმოქმედოს ბუნდესთაგის ან მისი თავდაცვის კომიტეტის ინსტიტუტების თანხმად, ან საკუთარი შეზღუდვისამებრ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება ისეთი გარემოებების შესახებ, რაც გულისხმობს შეიარაღებული ძალების მოსამსახურეების ადამიანის ძირითადი უფლებების ან *innere Führung*-ის პრინციპების დარღვევას.<sup>825</sup> ამასთან, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებს შეუძლიათ წარადგინონ საჩივარი პირდაპირ მასთან სამხედრო საჩივრების სისტემის ნებისმიერი რგოლის გვერდის აკლით. საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებისას, საპარლამენტო რწმუნებულს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალური ინფორმაცია, ასევე, მონათა წარმოდგენა და ჩვენებების მიღება; საჭიროებისამებრ, მას შეუძლია საქმეში ჩაერიოს ექსპერტები. გარდა ამისა, მას შეუძლია ესტუმროს ნებისმიერ სამხედრო დანესებულებას წინასწარი გაფრთხილების გარეშე. გამოძიების დასრულების შემდეგ სამხედრო საპარლამენტო რწმუნებული წარადგენს რეკომენდაციებს და ახორციელებს მონიტორინგს ამ რეკომენდაციების შესრულებაზე. გსსრ ყოველწლიურად აქვთებს მოხსენებას ბუნდესთაგის წინაშე, სადაც მას შეუძლია ბუნდესთაგის წევრებს მიანოროს ინფორმაცია შეიარაღებულ ძალებში მომხდარი ფაქტებისა და ინციდენტების შესახებ, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ მსჯელობებს ან გადაწყვეტილებებს შეიარაღებულ ძალებში მიდა განვითარებისა და რეფორმების თვალსაზრისით.

ეროვნული თავდაცვის სამსახურისა და კანადის ძალების ომბუდსმენის ინსტიტუტი არსებობს 1998 წლიდან, რომელიც 1992 წელს სომალში<sup>826</sup> სამშვიდობო მისიით მყოფი კანადის საპაერო დენანტის პოლკის წევრების მიერ სომალელი ახალგაზრდების ცემის, წამებისა და მკვლელობის ფაქტში დადანიშნულების გამო შემდგომი საზოგადოებრივი გამოძიების შედეგად ჩამოყალიბდა. საზოგადოებრივი გამოძიების ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო კანადის ძალებში პასუხისმგებლობების გაძლიერება დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოს

<sup>822</sup> იხ. ნორვეგიის პარლამენტის შეიარაღებული ძალების ომბუდსმენის ვებგვერდი: <http://www.ombudsman.no/mil/english.asp>.

<sup>823</sup> იქვე.

<sup>824</sup> ძირითადი კანონის მუხლი 45.ბ.

<sup>825</sup> საპარლამენტო რწმუნებულის მანდატი განხილულია კანონში გსსრ-ის შესახებ, თუი 1, პარაგრაფი 2 და 3.

<sup>826</sup> კანადის ძალების სომალში დისლოცირების შემსწ. კომისიის გამოძიების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ [http://www.forca.gc.ca/site/Report/somalia/vol/index\\_e.asp](http://www.forca.gc.ca/site/Report/somalia/vol/index_e.asp).

დაფუნდები გზით.<sup>347</sup> კანადის სასხედრო ომბუდსმენი არის სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტი, რომელსაც არჩევს მინისტრთა კაბინეტი და რომელიც ანგარიშვალდებულია თავდაცვის სამინისტროს წინაშე. ის შეისწავლის ინდივიდუალურ საჩივრებს, რომლის ინიციატორებიც არიან სასხედრო პირები, მათი ოჯახები, თავდაცვის სამინისტრო ან საკუთარი ინიციატივით. გერმანიისგან განსხვავებით, მოსარჩელე ვალდებულია სასხედრო ომბუდსმენისადმი მიმართავდეს, გარდა უკიდურესი გარემოებებისა, საჩივარი წარადგინოს სასხედრო გასაჩივრების პროცედურების შესაბამის ინსტანციებში. ომბუდსმენს შეუძლია სისტემური ხასიათის გამოძიებები ანარჩოს, მაგალითად, როგორც არის „ქოსტ-ტრეკელი სტრესული მოდილიზის“ ინიციატივა (PTSD).<sup>348</sup> ომბუდსმენი აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, რომელსაც თავდაცვის მინისტრი წარუდგენს პარლამენტს. ეს უკანასკნელი განხილავს იქნება შესაბამის საპარლამენტო კომიტეტებში. იგივე ეხება განსაკუთრებულ მოხსენებებს, რაშიც იგულისხმება ისეთი საქმეები, რომლებიც საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

სასხედრო სისტემაზე დამოუკიდებელი კონტროლის მექანიზმის არსებობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია საკუთარი ყურადღება ექსკლუზიურად დაუთმოს მხოლოდ სასხედრო საკითხებს, რაც, თავის მხრივ, ავითარებს მის ცოდნასა და გამოცდილებას ამ სფეროში. მისი შესაძლებლობა გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი მოხსენებები, აძლიერებს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს, რაც სასხედრო სისტემაში მეტი გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის გარანტია.

ეს არის სასხედრო სისტემის კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური დამოუკიდებელი მექანიზმები, რომლის სხვა ქვეყნებში გადატანა და დანერგვა ხშირად ხდება, მაგალითად, ეს მისთვის სასარგებლოდ ჩათვალა ირლანდიამ. თავდაცვის ძალების ირლანდიულ ომბუდსმენს ნიშნავს ირლანდიის პრეზიდენტი მთავრობის რეკომენდაციით და ანგარიშვალდებულია თავდაცვის მინისტრის წინაშე.<sup>349</sup> ომბუდსმენი შეისწავლის თავდაცვის ძალების მოქმედებას და ყოფილი მოსამსახურეების საჩივრებს. ომბუდსმენის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ თავდაცვის ძალების და რეზერვისტთა ძალების მოქმედება და ყოფილი მოსამსახურეებს მუდმივად ჰქონდეთ დამოუკიდებელი და სამართლიანი გასაჩივრების უფლება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მათი რწმენით სამართლიანად არ იქნა გამოძიებული სასხედრო საჩივრების შიდა პროცედურების გზით.<sup>350</sup> ომბუდსმენი მიუკერძოებელი და დამოუკიდებელია თავდაცვის მინისტრისაგან, თავდაცვის დეპარტამენტისა და სასხედრო ხელისუფლებისგან. კანადის მსგავსად, შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებმა საჩივარი თავდაპირველად, სანამ ომბუდსმენს მიმართავენ, შიდა სტრუქტურებში უნდა შეიტანონ.<sup>351</sup> გამოძიების დასრულებისას ომბუდსმენმა შეიძლება გარკვეული რეკომენდაციები მისცეს თავდაცვის მინისტრს იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულ იქნეს შესაბამისი გარემო ან აღდგენილ იქნეს სამართლიანობა და კონკრეტულ პირთა დარღვეული უფლებები. თუ მინისტრის პასუხი ომბუდსმენის რეკომენდაციებზე არაადაკმაყოფილებელია, ომბუდსმენმა შეიძლება სპეციალური მისხსენება გააკეთოს ამ საკითხთან დაკავშირებით.<sup>352</sup>

ქვემოთ მოყვანილი სქემა გვიჩვენებს სასხედრო ომბუდსმენების სხვადასხვა მიდგომების მთავარ მიმართულებებსა და თავისებურებებს (სქემა 22.6).

**სქემა 22.6**

**ომბუდსმენის ფუნქცია: სხვადასხვა მიდგომების შედარება (კანადა, ნიდერლანდები და შვედეთი)**

	დამოუკიდებელი	სპეციალური ცოდნა	შიდაუნყებრივ დაქვემდებარებაში	სანდო მოსარჩელესთვის
კანადა	კი	კი	არა	კი
ნიდერლანდები	არა	კი	კი	არა
შვედეთი	არა	არა	არა	არა

<sup>347</sup> კანადის ძალების სომალი დისლოცირების შემს. კომისიის გამოძიების შესახებ, პატივადილი მეგვიდრობა: სომალის ინციდენტების გაკეთებული (ოტავა: კანადის მთავრობის გამოცემული 1997 წელი) შემაჯამებელი დაცვები და ოკუპ. 16.  
<sup>348</sup> André Marin, "PTSD-ით დიაგნოზირებული კანადის ძალების მოსამსახურეების სისტემატორი მკურნალობა", კანადის თავდაცვის და კანადის ძალების, 66P-60G.pdf.  
<sup>349</sup> შეიარაღებული ძალების ომბუდსმენის ინსტიტუტი დაფუნდა კანონით ომბუდსმენის შესახებ (თავდაცვის ძალები) აქტი 2004, მგაბრძოლა იხილ: <http://www.aireschias.le/documente/bills28/actes/2004/a3604.pdf>. იხ. ებ-გვერდი: <http://www.odf.le>.

#### 4. ომბუდსმენის ფუნქციონირება: კითხვები და პასუხები

რა ფაქტორები ადასტურებს, რომ ომბუდსმენი კარგად მუშაობს?

მიუხედავად არჩეული მიდგომისა, ომბუდსმენის ინსტიტუტის სწორი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სამი პირობის დაკმაყოფილება:

1. ეფექტურობა (ე.ი. ომბუდსმენის რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შესაბამისი ორგანოები);
2. სამართლიანობა (პროცედურების გამჭვირვალობა) და
3. დამოუკიდებლობა.

ომბუდსმენის სამსახურის დამოუკიდებლობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამხედრო სისტემაში ადეკვატური ანგარიშვალდებულობის უზრუნველსაყოფად. იმისათვის, რომ ომბუდსმენი დამოუკიდებელი იყოს, მას უნდა მიენიჭოს კანონიერი უფლებები, დამოუკიდებელი ქმედებების უფლება და ადეკვატური პერსონალი.<sup>542</sup> ეს, პირველ რიგში, ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტია ომბუდსმენის სამსახურს, სწორი იურიდიული სტატუსი მიენიჭოს, მაგალითად კონსტიტუციით (აზერბაიჯანი), ან საკანონმდებლო აქტით (უიგეთი), ან ორივე ინსტიტუტის ძალით (დანია). მეორე, ომბუდსმენს უნდა გააჩნდეს ავტონომიური საჯაროიძიებო საშუალებები. მესამე, ომბუდსმენს უნდა ჰქავდეს საკმარისი და კვალიფიციური პერსონალი.

სამხედრო ომბუდსმენის დამოუკიდებლობა აგრეთვე დამოკიდებულია თავის ინსტიტუციონალურ მონაცემებზე, რაც ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ზოგ სახელმწიფოში, თავდაცვის ომბუდსმენი ინიშნება პარლამენტის მიერ და ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე (მაგ., პოლონეთი, ნორვეგია, ჩეხეთის რესპუბლიკა), სხვა ქვეყნებში ომბუდსმენს ნიშნავს თავდაცვის სამინისტრო და ანგარიშვალდებულება თავდაცვის მინისტრის და პარლამენტის წინაშე (მაგ., კანადა). ომბუდსმენი შეიძლება დაინიშნოს და ანგარიშვალდებულებული იყოს შეიარაღებული ძალების მეთაურის მიერ (მაგ., ესტონეთი). ომბუდსმენის დამოუკიდებლობა მისი სიძლიერის ყველაზე მთავარი კომპონენტია, რაც ასევე პირდაპირ კავშირშია სამხედროთან დრობის ფაქტორთან; ამიტომაც, მიზანშეწონილია, რომ ომბუდსმენი არ იყოს მინისტრების ან პარლამენტის მრჩეველის როლში (იხ. სქემა 22.7).

#### სქემა 22.7

#### ომბუდსმენის დამოუკიდებლობა: შერჩეული ეროვნული დებულებები<sup>544</sup>

##### პოლონეთი

კონსტიტუციის მუხლი 210

მოქალაქეების უფლებების დამცველი კომისარი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და ანგარიშვალდებულება სეიმ-ის წინაშე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

##### აზერბაიჯანი

კომისარს დამოუკიდებლობის გარანტიის ზომები

5.1. კომისარი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობას.

5.2 კომისარის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს შემდეგი:

5.2.1. მისი შეცვლა არ შეიძლება, სანამ ის სამსახურშია;

5.2.2. მას აქვს იმუნიტეტი;

5.2.3. სახელმწიფოს ან მუნიციპალურ ორგანოებს უფლება არ აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში;

5.2.4. კომისარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფინანსური და სოციალური გარანტიებით;

5.3 კომისარის საქმიანობას არ ზღუდავს ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

<sup>540</sup> თავი 4.1 ომბუდსმენის (თავდაცვის ძალები) აქტი 2004.

<sup>541</sup> თავდაცვის ძალების ომბუდსმენს უფლება არ აქვს გამოძიოს ისეთი ქმედებები, რაც დაკავშირებული უსაფრთხოებასთან ან სამხედრო ოპერაციებთან; თავდაცვის ძალების ორგანიზაციისთან, სტრუქტურასა და ბაზრებისათვის; დისციპლინის ვადებთან ან პირობებთან, სამხედრო ციხეების აღმასტრობასთან.

<sup>542</sup> ამ პარაგრაფში მოყვანილი ინფორმაცია აღებულია თავდაცვის ძალების ორგანიზაციის ომბუდსმენის ვებგვერდიდან <http://www.odh.lj>. კონკრეტული მოსწინებები შესულია ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში.

<sup>543</sup> "სამხედრო ომბუდსმენი", *op. cit.*, შენიშვნა 338.

<sup>544</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, კითხვა 4.დ, და საკონსტიტუციო კანონი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანის უფლებების კონსერვაციის შესახებ (ომბუდსმენი), მარტული 2001 წლის 28 დეკემბერი, <http://www.transparence-az.org/files/n5.doc>.

ვის აქვს საჩივრით მიმართვის უფლება?

უშეტეს ქვეყანაში ომბუდსმენისთვის საჩივრით და საქმის გამოძიების თხოვნით მიმართვის უფლება აქვთ: შვიარალბებული ძალების მოსამსახურეებს, ყოფილ სამხედროებს, რეზერვისტებს, კანდიდატებს ან მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მიმართ ადგილი უქონდა უსამართლო ან ცუდ მოპყრობას. გარდა ამისა, ომბუდსმენი ხშირად უფლებამოსილია დაიწყო საგამოძიებო მოქმედებები პარლამენტის წინადადების საფუძველზე.

ზოგ ქვეყანაში, ომბუდსმენს აგრეთვე შეუძლია საკუთარი ინიციატივით დაიწყო ისეთი საქმეების გამოძიება, რაც მიუთითებს შვიარალბებული ძალების მოსამსახურეებში უმთავრესი უფლებების უგულვებელყოფას (მაგ., გერმანია, კანადა, ფინეთი, საქართველო, ირლანდია) (იხ. სექცია 22.8). ასეთი გამოძიებები მნიშვნელოვანი საშუალებაა, როდესაც ომბუდსმენს სურვილი აქვს შეისწავლოს უფრო ფართო სისტემური ხასიათის პრობლემები.

## სექცია 22.8

**კანადა: ვის შეუძლია საჩივრით მიმართოს ომბუდსმენს? <sup>545</sup>**

- კანადის ძალების მოქმედ ან ყოფილ მოსამსახურეებს;
- მოქმედ ან ყოფილ კადეტებს;
- ეროვნული თავდაცვის მოქმედ ან ყოფილ მოსამსახურეებს;
- არა-სახალხო ფონდის მოქმედ ან ყოფილ მოსამსახურეებს;
- შვიარალბებული ძალების რიგებში განვერიანების მსურველს;
- ზემოთ ნახსენები ნებისმიერი პირის ოჯახის წევრს;
- კანადის ძალებში გაცვლითი პროგრამით ან მივლინებაში წარგზავნილ პირს.

### საჩივართა ტიპები

საჩივრები შეიძლება დაკავშირებული იყოს სამსახურებრივ, პირად ან სოციალურ სახის პრობლემებთან, რამაც, მათი აზრით, შეიძლება გამოიწვიოს მათი უფლებების დარღვევა ყოველდღიურ სამხედრო ცხოვრებაში, დანაშაული არაფექტური ადმინისტრირებიდან და დამთავრებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევით. საჩივრები შეიძლება დაკავშირებული იყოს, ზოგადად, სამუშაო პირობებთან; სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადავადებასთან ან სარგებელის გამოყენების უფლებამოსილებასთან, სამხედრო ოპერაციების დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაინვალიდების ან სიკვდილის გამო. საჩივრები შეიძლება ეხებოდეს დისკრიმინაციასა და დევნა-შევიწროებას სამუშაო გარემოში (იხ. სექცია 22.9).

## სექცია 22.9

**გერმანია: საკითხთა ტიპები, რომელთა წარდგენაც ნებადართულია ომბუდსმენტთან <sup>546</sup>**

- მოსამსახურე პერსონალის უფლებები და მოვალეობები;
- ლიდერობის სტილი და ქცევა;
- სამხედრო წერტილის მოდალურობა;
- დისციპლინური წესდების გამოყენება;
- სამუშაო საათებისა და ხელფასის საკითხის მონერსიგება;
- დავალების ადგილი და ტიპი;
- მოსამსახურე პერსონალის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- საჩივრები საცხოვრებელი პირობების შესახებ (საცხოვრებელი, ტანსაცმელი და ა.შ.);
- სამედიცინო მკურნალობის და მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- დანაშაურებასთან, პერფომანსის შეფასებასა და ტრანსფერებთან დაკავშირებული საკითხები.

<sup>545</sup> მინისტრიალის დირექტრები ეროვნული თავდაცვის და კანადის ძალების ომბუდსმენის შესახებ, დირექტრია 12, [www.ombudsman.forces.gc.ca](http://www.ombudsman.forces.gc.ca).

<sup>546</sup> იხ. გერმანიის პარლამენტის ვებ-გვერდი [http://www.bundesrat.de/httdocs/\\_elorga/03organ/06amforce/index.html](http://www.bundesrat.de/httdocs/_elorga/03organ/06amforce/index.html).

ომბუდსმენმა შეიძლება ინდივიდუალური სახის პრობლემებზე ან ისეთი სისტემური სახის საკითხებზე იმუშაოს, რაც უფრო ფართო პოლიტიკის საკითხია. ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალურ საკითხებზე წარმოებულმა გამოძიებამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს სისტემური ხასიათის პრობლემებს.

რა ძალაუფლება გააჩნია ომბუდსმენს იმისათვის, რომ ანარჩოს გამოძიება და მოიპოვოს ინფორმაცია?

ზოგ ქვეყანაში, ომბუდსმენს საქმის წარმოების დაწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ აპელაციებმა უკვე ამონურა შიდა სამხედრო საჩივრების მექანიზმები (სამხედრო მართლმსაჯულებისა და სამხედრო სუბორდინაციის ინსტანციები) (იხ. თავი 20, "სამხედრო მეთაურთა და ინდივიდთა პასუხისმგებლობა" და თავი 21 "დისციპლინა და სამხედრო სამართალი"). ირლანდიაში, სამხედრო ინსტანციებსა და მართლმსაჯულებას 28-დღიანი ვადა აქვთ საქმის შესასწავლად. ამ პერიოდის შემდეგ, საჩივარი შეიძლება წარდგინდეს იქნეს სამხედრო ომბუდსმენტთან. ამ ნუსხა გარკვეულწილად დააჩქარა შიდა საჩივრების მექანიზმები.<sup>147</sup>

გერმანიაში კი პირიქით, მოსამსახურეებს პირდაპირ სამხედრო საპარლამენტო რწმუნებულთან შეუძლიათ იჩივლონ სამხედრო ინსტანციების გვერდის ავლით და დროში რაიმე სახის შეზღუდვების გარეშე.<sup>148</sup> იმისათვის, რომ დაიცვას მოსამსახურეების უფლებები, ომბუდსმენს გააჩნია გამოძიების დაწყების საშუალება. საკუთარი საგამოძიებო ქმედებების განსახორციელებლად ომბუდსმენს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია, დაკითხოს მოწმეები და ხელი მიუწვდებოდეს დოკუმენტაციაზე. უსაფრთხოების სექტორის თავისებურებებიდან გამომდინარე, გარკვეული ინფორმაციის გამხელა საზოგადოებისთვის შეუძლებელია ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ღრმად კომფიდენციალურ ინფორმაციას, ომბუდსმენი უფლებამოსილია კონკრეტულ საქმისთან დაკავშირებით მოითხოვოს ეს უკანასკნელი (მაგ., ლიტვაში). ამ შემთხვევაში ომბუდსმენს უფლება არ აქვს ფართო საზოგადოებს გაუშვილოს ამ კატეგორიის ინფორმაცია ან მიღებული მონაცემები<sup>149</sup> (იხ. სქემა 22.10).

## სქემა 22.10

### საიდუმლოს შენახვის აქტი: სპეციალური ინსტრუქციები პარლამენტის ომბუდსმენის სამსახურებში კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით (შვედეთი)<sup>150</sup>

თავი 11, მუხლი 4

"...კონფიდენციალურობის დაცვა არ შეიძლება გასაჩივრდეს პარლამენტის ომბუდსმენის მიერ, რაც შეიძლება იწვევდეს საქმის შეწყვეტას. თუ პარლამენტის ომბუდსმენი სხვა საზოგადოებრივი ხელისუფლების წარმომადგენლისაგან საიდუმლო ინფორმაციის მიიღებს, კონფიდენციალურობის პრინციპი შენარჩუნებული უნდა იყოს ომბუდსმენის ან იუსტიციის კანცლერის სამსახურში. ამასთან, თუ ეს დოკუმენტირებული ინფორმაციაა, რომელიც მოპოვებულ იქნა შესაბამისი საქმიანობის პროცესთან დაკავშირებით, ომბუდსმენის სამსახური ვალდებულია დაიცვას მისი კონფიდენციალურობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამხელა სერიოზულად დააზარალებს საზოგადოების ან მომჩივნის ინტერესებს ...

აქვს თუ არა ომბუდსმენს უფლება განახორციელოს ვიზიტები სამხედრო ყაზარმებში?

ბევრმა ქვეყანამ (მაგ., გერმანია, საქართველო) თავიანთ ომბუდსმენს უფლება მიანიჭა ნებისმიერ დროს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, მოინახულოს სამხედრო ომბუსმენი სამხედრო ნაწილი (იხ. სქემა 22.11). ასეთი ვიზიტები ადგილზე საშუალებას აძლევს ომბუდსმენს შეხედოს და გაესაუბროს ნებისმიერი რანგის სამხედრო მოსამსახურეს და, შესაბამისად, უშუალო წარმოდგენა შეეძმანს მათი ცხოვრების პირობებზე. ასეთი ვიზიტების განმეჯობაში, მოსამსახ-

<sup>147</sup> ქ.ნი მარინან ქეინი, ირლანდიის თავდაცვის ძალების ომბუდსმენი, ODIHR-DCAF ექსპერტ/განხილვის სემინარი, ვარშავა, 11 დეკემბერი, 2006.

<sup>148</sup> K. Gleumes, *Der Wehrbeauftragte: parlamentarische Kontrolle über die Streitkräfte: Petitionsinstanz für Soldaten der Bundeswehr* [შვიტარღებელი ძალების პარლამენტის კომისარ: საპარლამენტო კონტროლის განხორციელება შეიარაღებულ ძალებს, ფედერალური მართლმსაჯულებული ძალების გარეისკაცთა პეტციციების ინსტრუქტი (ბერლინი: გერმანიის მუნიციპალური გამომცემლობა, 2001)].

<sup>149</sup> Hans Born, Philip Fluri, Anders Johnson (eds.), *სახელმძღვანელო უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის შესახებ: პრინციპები, მექანიზმები, და პრაქტიკა* (იდუვა: შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრის ცენტრი, პარლამენტთაშორისო კავშირი, 2003) გვ. 92.

<sup>150</sup> იხ. [http://www.jp.ae/Page.aspx?MenuId=37&MainMenuId=12&Language=en&ObjectClass=Dynam\\_X\\_Document&Id=576](http://www.jp.ae/Page.aspx?MenuId=37&MainMenuId=12&Language=en&ObjectClass=Dynam_X_Document&Id=576).

ურეგბა ომბუდსმენის შეიძლება გაუზიარონ იმ პრობლემების შესახებ, რაც მათ ანუხებთ სამხედრო მოვლების შესახებ და სხვა სახის დროს ყოველდღიურ ცხოვრებაში, აგრეთვე, - პირადი პრობლემების შესახებ, რაც ხშირად არ არის საჩივრებში მოყვანილი. ასეთი ადგილზე განხორციელებული ვიზიტების საშუალებით, ომბუდსმენს შესაძლებლობა ეძლევა განახორციელოს პრევენციული ქმედებები და კონკრეტული პრობლემატური საკითხების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს.

## სქემა 22.11

### ომბუდსმენის მიერ სამხედრო ნაწილების ინსპექტირების უფლება ჩეხეთის რესპუბლიკაში, საქართველოსა და ლიტვაში<sup>51</sup>

#### ჩეხეთის რესპუბლიკა

აქტის №349/1999 მიხედვით, ომბუდსმენი უფლებამოსილია აწარმოოს ინდივიდუალური გამოძიება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მისცეს რეკომენდაციები გამოსასწორებელი ღონისძიებების შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ ეს რეკომენდაციები მიღებულ არ იქნა, ომბუდსმენი უფლებამოსილია საქმე გამოიტანოს საზოგადოების სამსჯავროზე, ასევე მოითხოვოს ზომების მიღება უფრო მაღალი ინსტიტუტის ან მთავრობის მხრიდან. ადამიანის უფლებების საკითხებში უფროსი ინსპექტორი უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სახის ინსპექცია შეიარაღებული ძალების შიგნით და გააკეთოს წინადადებები გამოსასწორებელი ზომების შესახებ.

#### საქართველო

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ კანონის მე-18 მუხლი

შემონშების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს:

- ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, სანარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, მათ შორის სამხედრო ქვედანაყოფში, დაკავების წინასწარი პატიმრობის და თავისუფლების შეღუპულების სხვა სფეროებში;
- ბ) მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებისაგან, აგრეთვე თანამდებობის და იურიდიულ პირთაგან შემონშებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა;
- გ) მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისაგან;
- დ) სახელმწიფო და - ან არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპორტო გამოკვლევები და მოამზადოს დასკვნები; მოინვიოს სპეციალისტების საექსპერტო და საკონსულტაციო საშუაოთა შესასრულებლად;
- ე) გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელთა თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

#### ლიტვა

ომბუდსმენი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოძიებისათვის აუცილებელი ინფორმაცია, შევიდეს სახელმწიფო ორგანოებში (სამხედრო დაწესებულებების ჩათვლით) და უწყებებში ადგილზე შემონშების ჩასატარებლად და ახსნა-განმარტების მისაღებად.

#### რა შედეგები მოსდევს ომბუდსმენის გამოძიებებს?

გამოძიების დასრულებისთანავე ომბუდსმენს უფლება აქვს წარმოადგინოს რეკომენდაციები არასწორი ქმედებების აღმოფხვრის მიზნით, პოლიტიკის ცვლილების ან კონკრეტული ზომების გატარების ჩათვლით, რათა გამოირიცხოს მსგავსი ფაქტების გაყოფის ალბათობა. მან, ამ კონტექსტში, შეიძლება მიმართოს ხელისუფლების სხვადასხვა რგოლებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე თუ დისციპლინური ღონისძიებების გატარებაზე (იხ. თავი 20, "სამხედრო მეთაურთა და ინდივიდთა პასუხისმგებლობები" და თავი 21, "დისციპლინა და სამხედრო მართლმსაჯულება"). უმეტეს სახელმწიფოებში, ომბუდსმენის ინსტიტუციებს არ გააჩნიათ დამავალდებულებელი განჩინების გამო-

<sup>51</sup> ODIHR-DCAF-ის კითხვარი, საკითხი 4.დ; კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ // [www.ombudsman.gov/eng/laws/1.html](http://www.ombudsman.gov/eng/laws/1.html).



ტანის უფლება, სამაგიეროდ, მათი იარაღი არის დარწმუნება და დაყოლება. მათი რეკომენდაციები დამავალდებულებელი არ არის და სამხედრო ან სამოქალაქო მართლმსაჯულების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეერ შეცვლის; თუმცა, ომბუდსმენის რეკომენდაციებს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნონა და მორალური ძალაუფლება (იხ. სქემა 22.12).

რა საკითხებს ეხება ომბუდსმენის წლიური ანგარიში?

რეკომენდაციების პარალელურად, ომბუდსმენს უფლება აქვს გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში, რომელიც საზოგადოებისთვის ღია დოკუმენტს წარმოადგენს. პარლამენტის მისამართით ან მთავრობისთვის გაკეთებულ ანგარიშში (მაგ, ფინეთი, ლიტვა, პოლონეთი) ომბუდსმენი აღწერს იმ პრობლემებს, რომლებიც აწუხებთ ჯარისკაცებს და ამ ურთიერთობების სტატუსს ომბუდსმენის სამსახურსა და სამხედრო ინსტანციებს შორის. სქემაში 22.12 მოყვანილია საკითხები, როლებიც ხშირად ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში ხვდება.

## სქემა 22.12<sup>552</sup>

### ომბუდსმენის წლიური ანგარიში უნდა:

- გამოქვეყნდეს ყოველი წლის დასასრულის შემდეგ, რაც შეიძლება მალე;
- იყოს დამოუკიდებელი (დაუსუბებელია ცენზურა პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან);
- შეიცავდეს და აღწერდეს იმ საჩივრებს, რომლებიც მიღებულ იქნა წლის განმავლობაში;
- საზღვრავდეს სისტემურ პრობლემებს;
- მოიყვანოს მოტივაცია და დაასაბუთოს ომბუდსმენის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე;
- დააკონკრეტოს, თუ რამდენად გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაციები.


წლიური ანგარიში არის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის გაზრდის საშუალება; თუ რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული ან გამოძიებას დაბრკოლდა, ეს შეიძლება აღნიშნული იყო ანგარიშში. აღნიშნული ანგარიშები, როგორც ასეთი, წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ ბერკეტს ომბუდსმენისთვის, რამდენადაც ის პოლიტიკური ტრიბუნის გამოყენებით ზეწოლას ახდენს სამართალდამცავი ორგანოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებზე ცარიელი სამხედრო საქმეებში და ყურადღება გაამახვილონ აღმოჩენილ ნაკლოვანებებზე. ცალკე ხელშეწყობი ფაქტორია ის, რომ ეს ანგარიშები ღია საზოგადოებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, პასუხს მოითხოვს პრობლემების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

ზოგ ქვეყანაში, მაგალითად ირლანდიაში და კანადაში, გარდა საავადებულო წლიური ანგარიშისა, ომბუდსმენს საკუთარი სურვილით შეუძლია გააკეთოს სპეციალური მოხსენება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრობლემები რეკომენდაციების გატარებასთან ან კონკრეტული სისტემური საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.<sup>553</sup>

მიუხედავად ომბუდსმენის უფლებებისა – გასცეს რეკომენდაციები და გააკეთოს წლიური ანგარიში, მხოლოდ ის ფაქტივ კი, რომ არსებობს ასეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტი, შეიძლება დადებითად აისახოს მაღალი რანგის მქონე ან თანამდებობის პირების საქციელზე.

<sup>552</sup> ქ-ნი, პაულინ მარინან ქეინ, ირლანდიის თავდაცვის ძალების ომბუდსმენი, ვარზაუ, OOHHR-DCAF-ის სემინარი... 11 დეკემბერი, 2006.

<sup>553</sup> ეროვნული თავდაცვის და კანადის ძალების ომბუდსმენის სპეციალური მოხსენებები შეგიძლ. იხ. <http://www.ombudsman.forces.gc.ca/rsp-rps/er-rs/index-eng.asp>.



<sup>54</sup> 2005-2006 წლების წლიური ანგარიში (ოტავა: ეროვნული თავდაცვის და კანადის ძალების ომბუდსმენის, 2006 18, შვედ. nb.: <http://www.ombudsman.forces.gc.ca/rep-rap/ar-ra/2005-2006/doc/2005-2006-ong.pdf>).

## 5. საუკეთესო პრაქტიკა და რეკომენდაციები

დამოუკიდებელი ომბუდსმენი, როგორც სამხედრო სისტემის გარეთ მყოფი მაკონტროლებელი ორგანო, ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ შეისწავლოს სამხედრო სისტემაში არსებული პრობლემები, საჩივრები, შეცდომები და ნაკლოვანებები;

ომბუდსმენს მინიჭებული უნდა ჰქონდეს კანონიერი უფლებამოსილება, მოქმედების თავისუფლება და უნდა ჰყავდეს ადეკვატური პერსონალი;

ომბუდსმენის სამსახურს უნდა გააჩნდეს კონსტიტუციით ან საკანონმდებლო აქტით მინიჭებული კანონიერი სტატუსი. კანონში შესული უნდა იყოს დებულებები ომბუდსმენის უფლებამოსილებების შესახებ, როგორებიცაა, მაგალითად: ვის შეუძლია იჩივლოს ომბუდსმენთან, რა სახის საქმეები და შემთხვევები უნდა განიხილოს ომბუდსმენმა, უფლება მოიპოვოს ნებისმიერი სახის კლასიფიკაციის ინფორმაცია, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში და სამსახურებში შესვლის უფლება, უნდა იყოს თუ არა შიდა სამხედრო გამოძიების რესურსები ამონურული ომბუდსმენის სამსახურში საჩივრის წარდგენამდე, ომბუდსმენის დანიშნისა და განთავისუფლების პროცედურა, ომბუდსმენის სამსახურის დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიები, ომბუდსმენის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცების პროცედურები, ომბუდსმენის მიერ გაცემული რეკომენდაციების სტატუსი და ანგარიშებთან დაკავშირებული მოთხოვნები (ნლოური ანგარიში, სპეციალური მოხსენებები);

ომბუდსმენს უნდა გააჩნდეს კერძო გამოძიების ჩატარების უფლება, რაც მნიშვნელოვანი საშუალებაა შეიარაღებულ ძალებში ფართო სისტემური ხასიათის საკითხების გადამწყვეტის თვალსაზრისით;

ქვეყნებს, სადაც თვდაცვის ომბუდსმენია, ან რომლებსაც განზრახული აქვთ დააარსონ ასეთი ინსტიტუტი, უნდა მოიპოვონ ინფორმაცია და ისწავლონ სხვა ისეთი ქვეყნების კონკრეტული გამოცდილებების მაგალითზე, სადაც უკვე მოქმედებს ასეთი ინსტიტუტი;

ქვეყნებმა, რომლებსაც ომბუდსმენი ჰყავთ, უნდა მოითხოვონ ამ ტერმინით გათვალისწინებული პირობების გადახედვა; ფუნქციები, ზოგადი პროცედურები, პარლამენტის წინაშე ანგარიშის გაკეთების ჩათვლით; გავლენა, რესურსები; და ბიუჯეტი სხვა ქვეყნებში არსებული შესაბამისი ინსტიტუციების მიხედვით, სადაც უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად მსგავსი სიტუაციებია.



# დანართი 1. ეუთო-ს ვალდებულებები

უშლავა	ეუთო-ს ვალდებულება
სიცოცხლის უფლება	"დანაშაულის ჩადენის დროს, მოქმედი კანონის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებში, სადაც სიკვდილის დასჯა ვაჭმუბული არ არის, სიკვდილით დასჯის განაჩენი მხოლოდ ძალიან სერიოზული დანაშაულების შემთხვევებში შეიძლება იქნას გამოტანილი, ეს უკანასკნელი არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში საერთაშორისო ვალდებულებებთან." (ვენა, 1989)
ნაშების აკრძალვა	"ნეერი ქვეყნები მკაცრად გმობენ ნებისმიერი სახის ნაშების, როგორც ადამიანის უფლებათა ყველაზე სერიოზულ დარღვევას და ღირსების შელახვას. ისინი იღებენ ვალდებულებას აღმოფხვრან ასეთი შემთხვევები." (ბუდაპეშტი, 1994)
თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება	"არ შეიძლება ადამიანს ნაართვა საკუთარი თავისუფლება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა და კონკრეტული პროცედურების დაცვით." (მოსკოვი, 1991)  "ნებისმიერ პირს, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით არის დაკავებული ან პატიმრობაში იმყოფება, უფლება აქვს მისი დაპატიმრების ან პატიმრობაში ყოფნის კანონიერების დასაფუძნად მოითხოვოს სასამართლო პროცესი, რომელსაც წარმოადგენს მოსამართლე ან სხვა უფლებამოსილი პირი, რომელსაც კანონით მინიჭებული უფლება შესაბამისი ფუნქცია." (კოპენჰაგენი, 1990)
სამართლიანი სასამართლოს უფლება	"ნეერი სახელმწიფოები ვეფქტურად ვაატარებენ სამართლიან და საჯარო მისამართებს გონიერული დროის ფარგლებში დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი სასამართლოს წინაშე." (ვენა, 1989)
უკანონო დასჯის აკრძალვა	"არავის არ დაადანაშაულებენ, არ აწმებენ, ან განაჩენს არ გამოუტანენ რაიმე სახის სისხლის სამართლის დანაშაულის გამო, თუ ეს უკანასკნელი გათვალისწინებული არ არის კანონით, სადაც ზუსტად და ხაზლად არის განსაზღვრული დანაშაულის ელემენტები." (კოპენჰაგენი, 1990)
პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	"ნეერი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ პირადი და ოჯახური ცხოვრების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის, კონფესიონეტციის, ელექტრონული კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას. იმისათვის, რომ თავიდან ავირიდოთ სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ცხოვრებაში ჩარევა, რომელიც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის ზიანის მომტანია, ამ უფლებებით სარგებლობაზე შეზღუდვების დაწესება დაშეუხებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან. ნეერი ქვეყნები განსაკუთრებით ყველა ზომის მიიღებენ, რომ ადამიანთა ძებნა და დაკავება, ავრთვეე კერძო საკუთრების ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ იმ სტანდარტების დაცვით, რაც სამართლებრივად გამართლებულია." (მოსკოვი, 1991)
აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება	"ნეერი სახელმწიფოები თანხმდებიან განსაზღვრულიონ აუცილებელი ქმედებები, რათა უზრუნველყონ ინდივიდის თავისუფლება იმისთვის და აღსარულის თავისი რელიგიური აღმსარებლობა მარტომ არაა საზოგადოებასთან ერთად საკუთარი სინდისის კარნახის მიხედვით." (მადრიდი, 1983)
რელიგიური ან პოლიტიკური მრწამსის გამო საშეფრო სამსახურზე უარის თქმა და ალტერნატიული სამსახურის არჩევის უფლება	"ნეერი სახელმწიფოები ... თანხმდებიან გაითვალისწინონ (სადაც აქამდე არ ყოფილა) და დაწერგონ ალტერნატიული სამეფრო სამსახურის სახეები, რომლებიც შესაბამისობაშია სამეფრო სამსახურზე პოლიტიკური ან რელიგიური მიზეზით უარის განმცხადებელი პირის მსოფლმხედველობასთან. ასეთი ალტერნატიული ფორმის სამსახური, რომელიც პრინციპით არა-საბრძოლოა ან სამოკალეთ ხასიათისაა, საზოგადოების ინტერესს უმსახურება და არა დასჯადია; ... და უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებას ამის შესახებ ... და ადამიანის უფლებათა განზომილებების შესახებ კონფერენციის ფარგლებში გაითვალისწინებენ შესაბამის საკითხებს ასეთი პირთა საეაღმებულო სამეფრო სამსახურიდან (სადაც ის არსებობს) გათავისუფლებასთან დაკავშირებით." (კოპენჰაგენი, 1990)  ნეერი სახელმწიფოები საკუთარ კანონებში და შესაბამის დოკუმენტებში ასახავენ შეიარაღებულ ძალების პერსონალის უფლებებს და მოვალეობებს და გაითვალისწინებენ საეციალური გათავისუფლების შესაძლებლობებს ან ალტერნატიულ სამსახურს (ბუდაპეშტი, 1994)

თვითგამოხატვის თავისუფლება	"ნეერი ქვეყნები ყველა ადამიანისთვის უზრუნველყოფენ თვითგამოხატვის თავისუფლებას, კომუნიკაციის უფლების ჩათვლით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, რომ ადამიანებს უკონტროლო მხედველობები და მიიღონ ან გააკრედიონ ინფორმაცია და იდეები სახელმწიფო სახელისუფლების ორგანოების მხრიდან ჩარევის გარეშე და მიუხედავად საზღვრებისა." (კოპენჰაგენი, 1990)
შეკრების და კავშირის თავისუფლება	"[ნეერი სახელმწიფოები] კიდევ ერთხელ ადასტურებენ ნებისმიერი ინდივიდის უფლებას გაერთიანდნენ ან მოახსონ მშვიდობიანი შეკრება." (პარიზი, 1990)
ეფექტური სასამართლო დაცვის საშუალების უფლება	"[ნეერი სახელმწიფოები მიიღებენ ზომებს, რათა უზრუნველყონ ეფექტური სასამართლო საშუალებები და, აგრეთვე, სრული ინფორმაცია იმ პირებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები დაირღვა." (ვენა, 1989) "ნეერი სახელმწიფოები იმსჯელებენ, რათა მიიღონ რეგიონალური და გლობალური საერთაშორისო კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, როგორც არის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია ან საერთაშორისო ხელშეკრულების არჩევითი პროტოკოლი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ, სადაც განსაზღვრულია, თუ რა პროცედურები უნდა იყოს დაცული ინდივიდუალური პირების მიერ თავშესაფრის მოთხოვნისას საერთაშორისო ორგანოების მიმართ." (კოპენჰაგენი, 1990)
დისკრიმინაციის აკრძალვა	"ყველა ადამიანი თანაბარუფლებიანია კანონის წინაშე და თანაბრად არის დაცული კანონის მიერ რაიმე სახის დისკრიმინაციის გარეშე. აქედან გამომდინარე, კანონი კრძალავს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არის გაანატი ყველა პირისათვის დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეფექტური და თანაბარი დაცვის უზრუნველყოფისა." (კოპენჰაგენი, 1990)
გენდერული თანასწორობა	"[ნეერი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ] მოსკონ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ქალების წინააღმდეგ და ბოლო მოუღონ ქალებისა და ბავშვების მიმართ განხორციელებულ ძალადობას, ისევე, როგორც სექსუალურ უქმალუტაცისა და ნებისმიერი სახის ტრეფიკინგს." (სტამბოლი, 1999)
საკუთრების უფლება	"ყველას აქვს უფლება მშვიდობიანად გამოიყენოს საკუთარი საკუთრება საკუთრად ან სხვებთან ერთად. არავის აქვს უფლება წაართვას საკუთრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარეობს ან კანონით არის გათვალისწინებული და შესაბამისობაშია საერთაშორისო ვალდებულებებსა და მოვალეობებთან." (კოპენჰაგენი, 1990)
განათლების უფლება	"[ნეერი სახელმწიფოები] მიიღებენ ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ ყველას მიუხედავად სხვა სხვადასხვა ტიპის და დონის განათლებაც რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მხედველობების, საკუთრების, დაბადების ან სხვა ფაქტორების საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე." (ვენა, 1989)
ადამიანის უფლებების სწავლება	"ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების სწავლება და, შესაბამისად, უზარმაზარი როლი აქვს [ნეერი ქვეყნებს] უზრუნველყო საკუთარი მოქალაქეების ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა გათვითცნობიერებაში." (მოსკოვი, 1991)
თავისუფალი არჩევნების უფლება	"იმის უზრუნველყოფად, რომ ხალხის ნება-სურვილი დამოკიდებული მთავრობის ძალაუფლებაზე, ნეერი სახელმწიფოები სრული ასაკის მოსახლეობას აძლევენ საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო ხმის უფლების გარანტიას; აგრეთვე, - გარანტიას, რომ პატივს სცემენ მოსახლეობის უფლებას მიიღებოდნენ პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მასშტაბის დაკავებისაკენ, ინდივიდუალურად ან როგორც პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წარმომადგენლები და დისკრიმინაციის გარეშე; პატივს სცენ ინდივიდების ან ჯგუფების უფლებას თავისუფლად დაარსონ საკუთარი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, და მინიმუმს მათ აუცილებელი ორგანიზაციული გარანტიები, რათა მათ შეძლონ წარმოებულ კონკურენტის ვანევა ერთმანეთთან კანონისა და ხელისუფლების მიერ თანაბარი მოპყრობის პირობებში." (კოპენჰაგენი, 1990)
ვადადგობის უფლება	"ნეერი სახელმწიფოები სრულ პატივს სცემენ თითოეული ქვეყნის საზღვრების ფარგლებში ყველა ადამიანის ვადადგობისა და ცხოვრების უფლებას" და უფლებას დატოვოს ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში." (ვენა, 1989)
ეროვნების უფლება	"ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ყველა ადამიანის ეროვნების უფლებას და ვგმობთ იძულებითი ეროვნების წარმოქმნას. ჩვენ ვავაგრძელებთ ქმედების გატარებას, რათა უზრუნველყოთ ყველა ადამიანის მიერ ამ უფლებით სარგებლობა. ამასთან, ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას უფრო გააქარმავოთ საერთაშორისო დაცვა იმ პირებისა, რომლებსაც სახელმწიფო არ აქვთ." (ვენა, 1989)

<p>ეროვნული, კულტურული და ლინგვისტური იდენტურობა</p>	<p>"ნეერი ქვეყნები დაიკავენ და შექმნიან ხელსაყრელ პირობებს ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური იდენტურობის ხელის შეწყობის მიზნით." (სტამბოლი, 1999)</p>
<p>ეკონომიკური და სოციალური უფლებები</p>	<p>"ნეერი ქვეყნები აღიარებენ ... რომ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა უფლებები და თავისუფლებები უზიარებელია და სრულად უნდა იყოს დაცული ყველა შესაძლებელი საშუალებებით. (ამ კონტექსტში, ისინი განაუთარებენ თავიანთ კანონმდებლობას, დებულებებს და პოლიტიკას ეკონომიკურ, სოციალურ და ადამიანის სხვა უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა სფეროში და განახორციელებენ მას პრაქტიკაში, როგორც გარანტს ამ უფლებების რეალიზებისა." (ვენა, 1989)</p> <p>"ნეერი სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ გარანტირებული იქნება ადამიანთა გაერთიანების/ასოციაციის შექმნის უფლება. გარანტირებული იქნება უფლება დაფუძნონ და, პროფკავშირების შესახებ ზოგადი კანონის მიხედვით, განსაზღვრონ მის ნეერთა რაოდენობა, აგრეთვე, უფლება ადამიანების გაერთიანდნენ პროფკავშირში. ეს უფლებები გამოიცხადეს ნებისმიერ აქამდე არსებულ კონტროლს. გარანტირებული იქნება მუშათა ასოციაციების თავისუფლება, გაფიცვის მოწყობის თავისუფლების ჩათვლით, იმ შემთხვევების დაცვით, რაც გათვალისწინებულია კანონით და შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან." (კომენაგენი, 1990)</p>





Ahdar, R., and I. Leigh, *Religious Freedom in the Liberal State* (Oxford: Oxford University Press, 2005)

Blake, N., *The Deepcut Review. A review of the circumstances surrounding the deaths of four soldiers at Princess Royal Barracks, Deepcut between 1995 and 2002* (London: The Stationery Office, 006)

Born, H., P. Fluri, and A. Johnsson (eds.), *Handbook on Parliamentary Oversight of the Security Sector: Principles, mechanisms and practices* (Geneva: Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces, Inter-Parliamentary Union, 2003)

Caforio, G. (ed.), *Handbook of the Sociology of the Military* New York: Kluwer Academic/Plenum Publishers, 2003)

Callaghan, J., and F. Kernic (eds.), *Armed Forces and International Security: Global Trends and Issues* (Münster: Lit Verlag, 2003)

Careiras, H., *Gender and the Military: Women in the Armed Forces of Western Democracies* (London: Routledge, 2006)

Detter, *The Law of War* (Cambridge: Cambridge University Press, 2000), 2nd edition

Fleck, D. (ed.), *The Handbook of Humanitarian Law in Armed Conflicts* (Oxford: Oxford University Press, 1995)

Ghébali, V.-Y. and A. Lambert, *The OSCE Code of Conduct on Politico-Military Aspects of Security: Anatomy and Implementation* (Leiden/Boston: Brill Academic Publishers, 2005)

Ghébali „V-Y., *Revisiting the OSCE Code of Conduct on Politico-Military Aspects of Security (1994)*,” in H. Hänggi and T.H. Winkler, *Challenges of Security Sector Governance* (Berlin: DCAF and LIT Verlag, 2003).

Gleumes, K., *Der Wehrbeauftragte: parlamentarische Kontrolle über die Streitkräfte; Petitionsinstanz für Soldaten der Bundeswehr* (Berlin: German Bundestag Publications, 2001)

Goffman, E., *Asylums: Essays on the Social Situation of Mental Patients and Other Inmates* (New York: Doubleday, 1961)

Harrel, M., and L. Miller, *New Opportunities for Military Women. Effects Upon Readiness, Cohesion and Morale* (Santa Monica, California Rand, 1997)

Lindholm, T., W.C. Durham, and B. Tahzib-Lie, *Facilitating Freedom of Religion or Belief: A Deskbook* (Leiden: Martinus Nijhoff Publishers/Brill Academic, 2004)

Moskos, C., J.A. Williams, and D. Segal (eds.), *The Post-modern Military: Armed Forces after the Cold War* (Oxford: Oxford University Press, 2000)

Nesterov, V.S., and A.D. Pruefert, *Military Unionism: The Establishment of Professional Organisations/Trade Unions of Servicemen and their Present Position* (Moscow: Ves Mir, 2006)

Nolte, (ed.), *European Military Law Systems* Berlin: De Gruyter Recht, 2003)

Piotet, F., V. Porteret, K. Sorin, and C. Famechon-Koudjil, "Les conditions de vie des militaires en Europe :convergences et divergences (Allemagne, Belgique, Espagne, France, Pays-Bas, Italie et Royaume-Uni)", Centre d 'études en sciences sociales de la défense, March 2003

Quaker Council for European Affairs,The Right to Conscientious Objection in Europe: A Review of the Current Situation Brussels (Quaker Council for European Affairs, 2005)

Rowe, P., The Impact of Human Rights Law on Armed Forces (Cambridge: Cambridge University Press, 2006)

Sassoli, M., and A. McChesney, Conscripts' rights and military justice training manual(Chisinau:Centre for Recruits ' and Servicemen 's Rights Protection of the Republic of Moldova, 2002)

Schlueter, D.A., Military Criminal Justice: Practice and Procedure (Charlottesville, Virginia: LexisNexis, 2004)

Shelton, D., Remedies in International Human Rights Law (Oxford: Oxford University Press, 2005), 2nd edition

Snider, T.W., A.B. Adler, and C.A. Castro (eds.), Military Life: The Psychology of Serving in Peace (Westport, Connecticut: Praeger, 2005)

Soeters, J., and J. van der Meulen (eds.), Managing Diversity in the Armed Forces: Experiences from Nine Countries (Tilburg: Tilburg University Press, 1999)

Sorin, K. (ed.), Des femmes militaires en Occident, quels enseignements pour la France? (Paris: Centre d ' études en sciences sociales de la défense, 2005)

Thoreau, .D., On Civil Disobedience (Chicago: Charles H. Kerr, 1989)

## გამოყენებული ინტერნეტ რესურსები

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ფენეის ცენტრი  
[www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch)

სამხედრო ასოციაციების ევროპული ორგანიზაცია  
[www.euromil.org](http://www.euromil.org)

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ეუთო-ს ოფისი [www.osce.org/odhr](http://www.osce.org/odhr)

ევროსაბჭო  
[www.coe.int](http://www.coe.int)

ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლო  
[www.echr.coe.int](http://www.echr.coe.int)

წამების პრევენციის ევროპის კომიტეტი  
[www.cpt.coe.int](http://www.cpt.coe.int)

ადამიანთა უფლებების ინსტიტუციების ეროვნული ფორუმი  
[www.nhri.net](http://www.nhri.net)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია  
[www.ilo.org](http://www.ilo.org)

გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ  
<http://www2.ohchr.org/english/bodies/cat/>

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა:  
[www.assembly.coe.int](http://www.assembly.coe.int)

ადამიანის უფლებების დარგში გაერო-ს უმაღლესი კომისარის სამსახური  
[www.ohchr.org](http://www.ohchr.org)

ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი  
[www.icrc.org](http://www.icrc.org)



## ODIHR-ის შესახებ

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR) წარმოადგენს ეუთო-ს მთავარ უწყებას, რომელიც ეხმარება წევრ ქვეყნებს "უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული პატივისცემა, კანონის უზენაესობისადმი ერთგულება, დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობა და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების შენება, განმტკიცება და დაცვა, ასევე, საზოგადოებაში შემწყნარებლობის განვითარება" (1992 წლის პელსინკის დოკუმენტი).

ODIHR, რომელიც ვარშავაში, პოლონეთში მდებარეობს, თავდაპირველად დაარსდა როგორც თავისუფალი არჩევნების სამსახური 1990 წლის პარიზის სამიტზე, ხოლო ფუნქციონირება დაიწყო 1991 წლის მასში. ერთი წლის შემდეგ მას სახელი შეეცვალა, რათა მასში ასახულიყო მისი გაფართოებული მანდატი ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიზაციის თვალსაზრისით. დღესდღეობით მასში 120-ზე მეტი მუშაკია დასაქმებული.

ODIHR წარმოადგენს მონივრულ ორგანიზაციას ევროპაში არჩევნების დაკვირვების სფეროში. იგი ყოველწლიურად კოორდინირებს უწეს და ხელშეშლად ეწინააღმდეგება სადამოკრებო რეგლამენტებს, რათა მოხდეს იმის შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება არჩევნები ეუთო-ს ბლოკში ქვეყნის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს. მისი უნიკალური მეთოდის წყალობით, მოცემულია საარჩევნო პროცესის ყველა ელემენტის დეტალური გახილვა. დამხმარე პროექტების მეშვეობით, ODIHR ხელს უწყობს წევრ ქვეყნებს გააუმჯობესონ საკუთარი საარჩევნო სისტემა.

ODIHR-ის დემოკრატიზაციის ღონისძიებები ხელს უწყობს შემდეგი თემატური სფეროების განვითარებას: კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიული მმართველობა, გადაადგილების თავისუფლება, სქესთა თანასწორობა და სამართლებრივი მხარდაჭერა. ODIHR ყოველწლიურად ახორციელებს 100-ზე მეტ მიზნობრივ პროგრამას, რითაც ეხმარება სახელმწიფოებს მათ მიერ ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასა და დემოკრატიული სტრუქტურების განვითარებაში.

ODIHR ასევე ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას ტექნიკური დახმარების პროექტებისა და ადამიანის განზომილების საკითხების გარშემო ტრენინგების მეშვეობით. იგი ახარმობს კვლევებს და ამახვილებს ანგარიშებს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგი ყოველწლიურად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა შეხვედრებს, რათა მონიტორინგი გაუწიოს იმას, თუ რამდენად სრულდება წევრი ქვეყნების მიერ ეუთო-ს ადამიანის განზომილებათა ვალდებულებების განხორციელება. ანტიტერორისტული საქმიანობით ODIHR ხელს უწყობს ადამიანის განზომილებათა საკითხებში აამაღლოს ცნობადობა და ახორციელებს ისეთ პროექტებს, რომლებიც ტერორიზმის წარმომქმნელ ფაქტორებს ეხება. ODIHR ასევე უერთდება საერთაშორისო ძალისხმევას ადამიანთა ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად და კოორდინირებულად რეაგირებს, რაც მსხვერპლთა უფლებებს წინა პლანზე აყენებს.

ODIHR-ის შემწყნარებლობისა და არა-ღისკრიზისის პროგრამა ეხმარება წევრ ქვეყნებს ეუთო-ს ვალდებულებათა განხორციელებასა და მათი მცდელობის გაძლიერებაში რეაგირებას მოახდინონ და შეებრძოლონ სასტიკ დანაშაულს და არა-შემწყნარებლობის გამოვლინებას. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების უნარის გაძლიერებას განმტკიცების სამოქალაქო ინსტიტუტები შესაბამისი რეაგირება მოახდინონ იძულებით განპირობებულ დანაშაულებსა და ინციდენტებსზე.

ODIHR უზრუნველყოფს წევრ ქვეყნებს რეკომენდაციები მისი პოლიტიკის შესახებ რომასა და სინტიზე. იგი ავითარებს რომასა და სინტის საზოგადოებებს შორის თავსებადობას და ურთიერთკავშირს და ხელს უწყობს მათი წარმომადგენლების მონაწილეობას პოლიტიკის შექმნა-ჩამოყალიბებაში. ODIHR ასევე წარმოადგენს აფილის, სადაც ხდება ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანოების მიერ რომასა და სინტიზე ინფორმაციის გაცემა.

ODIHR-ის ყველა ღონისძიება ხორციელდება ეუთო-ს ინსტიტუტებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ახლო კოორდინაციითა და თანამშრომლობით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ODIHR-ის ვებ-გვერდზე: [www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr).



## DCAF-ის შესახებ

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) წარმოადგენს საერთაშორისო ფონდს, რომლის მიზანია დაეხმაროს საერთაშორისო საზოგადოებას უსაფრთხოების სექტორის უკეთ მართვასა და რეფორმირებაში. ამდენად, ცენტრი ადგენს და აერცვლებს შესაბამის ნორმებს საერთაშორისო დონეზე თუ ქვეყნის მასშტაბით, საზღვრავს საუკეთესო პრაქტიკას და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს უსაფრთხოების სექტორის ეფექტურად სამართავად. გარდა ამისა, იგი ახორციელებს მხარდაჭერას ქვეყნის შიგნით ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

გაენვიეთ ვებ-გვერდზე: [www.dcaf.ch](http://www.dcaf.ch)

**Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces**  
შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი  
Ru de Chantepoiet 11  
PO Box 1360  
CH-1211, ჟენევა 1  
შვეიცარია  
ტელ: +41 22 741 77 00  
ფაქსი: +41 22 741 77 05  
ელ-ფოსტა: [info@dcaf.ch](mailto:info@dcaf.ch)